ივანე ჭოჭუაშვილი

ოქროს ფოთელი

„ლიტერატურა და ხელოვნება“
თბილისი

ივანე ფოფხაძე

ძველი თხზულებანი

ტომი II

ფილოსოფიური ლიტერატურული ანეულებანი

„ლიტერატურა და ხელოვნება“
თბილისი

ახალი გზა

(„ქამუშაძის გაპირვება“ დ. კლდიაშვილისა)

I

ქართველი მწერლის ხვედრი სწორედ რომ გასაოცარია და მასთან სამწუხაროც: გარდა იმისა, რომ ის ძვირად არის იმდენად ნაყოფიერი, როგორც ევროპის მწერლები, მის ნიჭს ზრდა სრულებით არ ეტყობა: გამოვა თუ არა სამწერლო ასპარეზზე, ის მალე იქცევს საზოგადოების ყურადღებას, პირველ წლებშივე შექმნის თავისი კალმის საუკეთესო ნაწარმოებს, შემდეგ და შემდეგ კი უარესს თუ დასწერს, თორემ უკეთესს ძვირად. ნიჭის იმ თანდათანობით განვითარებას, რომელიც ევროპის მწერლობაში ჩვეულებრივი მოვლენაა, ჩვენში ძვირად შეამჩნევთ. იშვიათ მწერალს შეხვდება ჩვენში იმ იმედების გამართლება, რომლებსაც მისი მოღვაწეობის დასაწყისი გამოიწვევს ხოლმე საზოგადოებაში. სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ, რომ დავით კლდიაშვილი ამ იშვიათთა რიცხვს ეკუთვნის. გამოვიდა თუ არა სამწერლო ასპარეზზე, მან მაშინვე დაიმსახურა საზოგადოების ყურადღება, და მას აქეთ მისი ყოველი ნაწარმოები შუქს ჰფენს ჩვენს ცხოვრებას, მკითხველს ყოველთვის რასმე ახალს აწვდის ამ ცხოვრებიდან. ჩვენს ცხოვრებას ის სრულიად ობიექტურად უყურებს, ხატავს მას მიუდგომლად, ისე, როგორიც თვით ცხოვრებაა; ის შავი და მწარე ფიქრები, რომლებსაც მასში ამ ცხოვრების ზოგიერთი მხარე იწვევს, სრულებით არ ამახინჯებენ მის სინამდვილეს, არამედ სარჩულად ედებიან იმ ნაზ და სევდიან იუმორს, რომელიც ასე ამშვენებს მის ყოველ ნაწარმოებს; შეუმცდარად შეგვიძლია ვთქვათ, რომ დღეს ჩვენს მწერლობაში არც ერთი ბელეტრისტი არ აძლევს საზოგადოებას ისეთ უტყუარსა და დამახასიათებელ სურათს ჩვენი ცხოვრებისას, როგორსაც დავით კლდიაშვილი.

ცხოვრების ნამდვილ სახეს, იმის დამახასიათებელ სურათებს,

ნაზ და სევდიან იუმორს ავტორის უკანასკნელ მოთხრობაში, „ქამუ-შაძის გაჭირვებაშიც“, ისევე შეხვდებით, როგორც იმის სხვა მო-თხრობებში. ხოლო ეს უკანასკნელი მოთხრობა არ წარმოადგენს ავტორის ძველი თემების განმეორებას, როგორც „კვალის“ ბიბ-ლიოგრაფი შიშობდა, არამედ ის აღნიშნავს ისეთ ახალ მოვლენას ჩვენს ცხოვრებაში, რომელიც ჯერ ჩვენს ბელეტრისტიკას ვერ შეუმ-ჩნევია. ამ მოთხრობის ერთადერთი ნაკლულევანება ის არის, რომ მომქმედი პირები ავტორს ერთობ მკრთალად ჰყავს დახასიათებუ-ლი; მკითხველი ნათლად და გარკვევით ხედავს მხოლოდ ეკვირინეს სურათს, დანარჩენები კი ბურუსში არიან გახვეულნი, თითქოს მო-თხრობაში შემთხვევით შემოპარულან და ავტორსაც ამიტომ ყურა-დღება არ მიუქცევიაო. ავტორის ასეთი ნაკლი ზოგიერთ წინანდელ მოთხრობასაც ემჩნევა, სათავე კი ყველგან ერთი და იგივეა: დავით კლდიაშვილი გატაცებულია მოთხრობის დედააზრით, ის მშვენივ-რად ასაბუთებს და ხატავს ამ დედააზრს. სხვა ყოველივე, რაც დე-დააზრს არ შეეხება, უყურადღებოდ რჩება; მაგრამ შთაბეჭდილების სისრულისა და სიცხოველისათვის მოთხრობაში ყოველგვარ წვრილ-მანს აქვს მნიშვნელობა და, რამდენადაც უფრო სრულად არის და მკაფიოდ ყოველი ფაქტი, ყოველი მომქმედი პირი, — რა გინდ უმნიშვნელონიც იყვნენ ისინი, — მოთხრობის სახელოვნო ღირსება და მნიშვნელობაც მით მეტია. უკანასკნელ მოთხრობაში ავტორის მიზანი იყო არა მომქმედი პირების დახასიათება და ახალი ტიპების დახატვა, არამედ ცხოვრების სინამდვილისა და მისი ტენდენციის გადმოშლა. მთელი მოთხრობა მკითხველზე მეტად მძიმე და მწვავე შთაბეჭდილებას ახდენს. ძალიან გულცივი და გრძნობაჩლუნგი უნ-და იყოს ადამიანი, რომ „ქამუშაძის გაჭირვებამ“ გული არ დაუღო-ნოს და მის სულიერ განწყობილებას სევდა და მწუხარება არ მოჰ-ფინოს. უნებური ოხვრა ამოგხდებათ, როდესაც მოთხრობას ბო-ლომდე ჩაიკითხავთ. ამ მოთხრობაში ერთობ ბევრი სურათია ერ-თად თავმოყრილი, რომლებსაც პირველი შეხედვით საერთო ერთ-მანეთში თითქმის არაფერი აქვთ. ავტორის ასეთ თვისებას მის სხვა მოთხრობებშიაც შეხვდებით; მაგრამ ამდენი სხვადასხვა სურათი ერთად, როგორც უკანასკნელ მოთხრობაშია, ავტორს არც ერთ წი-ნანდელ მოთხრობაში არ მოუცია. ზოგიერთი მკითხველი კიდეც იტყოდა: ამდენი სურათი რა საჭირო იყო, ავტორი ზომიერებას მოკლებული ყოფილაო და სხვ., მაგრამ ასეთი საყვედური საფუძ-ვლიანობას მოკლებულია. აიღეთ, მაგ., ან. ერისთავის „მოლიპულ გზაზედ“. ამ დიდ და საყურადღებო რომანში, რომლის რეალურ ტანს რომანტიული კუდი აუშნოებს, შეხვდებით ერთ-ორ ეპიზოდს,

რომლებსაც რომანის დედააზრთან არავითარი კავშირი არა აქვს, და ავტორს თამამად შეეძლო გამოეტოვებინა ან ცალკე მოთხრობად შეენახა. „ქამუშაძის გაჭირვების“ სურათების შესახებ კი ესევე არ ითქმის. ყველა სურათს საერთო სარჩული აქვს, მათ ერთმანეთში აკავშირებს ეს სარჩული; ყოველი სურათი ნათელს ჰფენს მოთხრობის დედააზრს. ამოშალეთ რომელიმე მათგანი და დედააზრიც უფრო მკრთალი გამოვა. ავტორის ნიჭი სინთეტურია, მისი მოთხრობის დედააზრი ამ სურათებზე არის დამყარებული, ამ სურათების დასკვნა არის. ავტორი თანდათანობით გვიშლის თვალწინ სოფლის ცხოვრებას და გვიჩვენებს იმ გონებრივსა და ქონებრივ გაღატაკებას, რომელშიაც ჩვენი აზნაურობა ჩავარდნილა. ამ ცხოვრების გადმოსაშლელად ავტორი ერთობ მოხერხებულ საშუალებას ხმარობს: სოფლის აზნაურს, ქამუშაძეს. ის რთავს ქალაქელ ქალს, რომელიც სოფლის ცხოვრებას სრულებით არ იცნობს და, როდესაც გაიცნობს, გულშეწუხებული გაურბის სოფელს და ქალაქში იტაცებს ქმარ-შვილს, რადგანაც ხედავს, რომ სოფელი დღევანდელ აზნაურობას დაღუპვის მეტს არას უმზადებს მომავალში. სოფლის ყოველი აზნაურის სულიერ არსებაში მთელი დრამა სწარმოებს და ავტორმა კარგად დაგვანახა ეს დრამა, ნათლად გადმოგვიშალა ის მწარე ფიქრები, ის სულიერი ტანჯვა, რომელიც უსაშველო მდგომარეობას აღძრავს ჩვენი აზნაურების არსებაში. ზოგი მათგანი გრძნობს, რომ ცხოვრება შეიცვალა, შეცვლილმა ცხოვრებამ მხოლოდ გაჭირვება მოუტანა, მაგრამ ის იმედს არ ჰკარგავს, რომ მომავალი მაინც მისია, და მიწის ხვნის გარდა სხვა საშუალების გამონახვის ფიქრი სრულებით არ მოსდის თავში. ასეთია ეკვირინე, ასეთია ოტია დაქორწინების პირველ ხანებში, ასეთია მანანა და მისი სიძე, მარუშიძე. ეკვირინე ძველებური ქალია, სოფელთან და მიწასთან თანშეზრდილი და შესისხლხორცებული. ახალმა ცხოვრებამ ის გაჭირვებასა და სიღატაკეში ჩააგდო, მაგრამ გულს მაინც არ იტეხს, ძველებურად მხიარულია, მომავალზე ამყარებს თავის იმედს. ყოველ წამს ამით ინუგეშებს თავს: „ღმერთი მოგვცემს, ზოგს ჩვენ-ოდენიც არა აქვთ-რა“, ამაყობს თავისი აზნაურობით და თავისი ოჯახის ხსნას მხოლოდ მიწაში ეძებს. ოტიას სურათი ავტორს ძალიან მკრთალად აქვს დახატული. ის არის პატიოსანი გულისა და ზნეობის ადამიანი, მაგრამ გაჭირვებას მეტისმეტად დაუბეჩავებია. ახალჯვარდაწერილ ოტიას რცხვენია თავისი ცოლისა, ის ხედავს, რომ მისი ცოლი მოტყუებულია, ეს ოტიას ტანჯავს, ცოლის წინაშე დამნაშავესავით დარცხვენილია, ამიტომ შრომას აორკეცებს, თავს აკლავს მიწას და ამით ცდილობს თავისი ზნეობრივი გრძნობის დაკ-

ნაყოფილებას, ცოლის გულის მოგებას და ოჯახის ბედის გამოტრიალებას. საყურადღებოა ოტიასა და მისი ცოლის ლაპარაკი. როდესაც ეკვირინე ღმერთზე ამყარებს იმედს და ოტია მიწაში ეძებს ხსნას, სონია დარწმუნებულია, რომ სოფელში ცხოვრება და ძველი გზით სიარული მათთვის დამღუპველია, და მოთმინებადაკარგული ქმარს ეკითხება:

„— ჰო, რას აპირობ, რას?.. რას უპირებ ამას, აგერ რომ შემოგვეპატება?..

— რას უნდა ვუპირებდე, შე ქალო! — მიუგო მან წყნარად.

— შენ თავად ვერ ატყობ, რომ ის, რაზედაც ახლა ვდგევართ, ჩვენთვის ვერაა სამყოფი? ვერ ატყობ?

— ვატყობ... რავა არ ვატყობ! — წაილაპარაკა დამნაშავესავით ოტიამ.

— ჰოდა ვინც ჩვენ მოგვყვება, იმათ რა ცეცხლში უპირებ ჩაგდებას? მე შენ გკითხავ და, ოტია, პასუხი უნდა მომცე ამაზე!..

— არ ვმუშაობ თუ? რომ ვხედავ ყორისფელს, ამიტომ თავს არ ვზოგავ... თავს აღარ ვიბრალებ. ასე არაა, შენ თავად არ ხედავ ამას, სონია?!....

— კიდევ უფრო მეტს ვიმუშავებ, თავს შევაკლავ! — განიმეორა ოტიამ იმავე კილოთი. — უფრო ვეცდები კიდევ!

— რას ეცდები, ოტია? რას შეაკლავ თავს? მაგით რომ არაფერი გამოდის!

— აბა სხვა რა ვქნა, შენ გენაცვალე, შენ მითხარი, მირჩიე... მიმახვედრე და ისე გავირჯები, ისე მოვიქცევი! მირჩიე!“

დიახ, ოტიამ არ იცის ცხოვრების სხვა გზა; ის დაუზოგავად ჩიჩქნის მიწას, თავს აკლავს მას, მაგრამ თანდათან რწმუნდება, რომ რამდენიც უნდა იმუშაოს, მარტო მიწა მის ოჯახს ვეღარ იხსნის. საჭიროა სხვა გზის გამონახვა, მაგრამ ოტიამ არ იცის ეს გზა და ამაში მდგომარეობს მისი სულიერი ტანჯვაც. სხვების მდგომარეობა უარესიც არის, ვიდრე ოტიასი. ზოგი კიდევ ებრძვის ცხოვრებას, მაგრამ მისი ბედიც გადაწყვეტილია: დაღუპვის მეტი არაფერი მოელის. ასეთია სარდიონ ქველიძე. სხვებს უბრძოლიათ, სანამ ძალონე ჰქონიათ, მაგრამ ცხოვრებას მაინც საბოლოოდ დაუმარცხებია ისინი. ასეთია უმეტესობა და მათში ლევან ქამუშაძე. ერთ დროს ეს კაცი ჩვეულებრივი აზნაური იყო, საშუალო შეძლების პატრონი, მაგრამ ახალი ცხოვრებისაგან წარმოშობილ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება ძველ გზაზე სიარულით ვეღარ შესძლო, გაღარიბდა, დაბეჩავდა. დღეს მის შეძლებას ერთადერთი ქოხი შეადგენს, რო-

მელიც სადგომიც არის, სასიმინდეც, ბეღელიც, ბოსელიც, და ძველი დაკერებული ჩოხა. ლევანი და მისი მეუღლე ნახევარჯერ მშივრები არიან. ნედლ სიმინდს ახმობენ და ასე იკვებებიან, ისიც თუ ვინმემ სამადლოდ დაუფქვა. ლევანი ჯავრობს, დარდობს, რატომ მოვესწარი ამ დღესაო; ფიქრობს რაღაცას, თავის თავს რაღაცას ელაპარაკება. ცხოვრებამ დაამარცხა ლევანი, ჯავრისა და ფიქრის მეტი აღარა დარჩენია რა. ამ ჯავრსა და ფიქრს ისე გადუტანია, რომ თითქმის სრულ გონებაზედაც აღარ არის. მიუმატეთ ყოველსავე ამას გონებრივი სიბნელე და ცრუმორწმუნეობა, რომელსაც სოფლის აზნაურობა მოუცავს და რომლის ერთ მაგალითს წარმოადგენს ომანისა და ეფროსინეს ჩხუბი, და ნათლად წარმოგიდგებათ ის საშინელი სურათი, რომელსაც ჩვენი სოფლის აზნაურობის ცხოვრება წარმოადგენს.

სონია უკვირდება ასეთ ცხოვრებას და მალე რწმუნდება, რომ სოფლის შეჩერება და თავისი იმედებისა და კეთილდღეობის მარტო თოხსა და სახნისზე დამყარება მხოლოდ ოჯახის დაღუპვაა. ის ქალაქისაკენ გაიყურება და მტკიცედ სწამს, მხოლოდ იქ შეიძლება ცხოვრებისათვის დროის შესაფერი სახსრის გამონახვა, დაღუპვისაგან თავის დაღწევა. ოტიაც არა ნაკლებ უკვირდება ცხოვრებას. ჯვარის წერის პირველ ხანებში ის თუ თავის თავსა და ცოლს აიმედებდა: კიდევ მეტს ვიმუშავებ, თავს არ დავიზოგავ და ოჯახს გამოვაბრუნებო, მალე რწმუნდება, რომ თავიც რომ შეაკლას მიწას, მის ოჯახს მიწა ვეღარ იხსნის.

„მისთვის ეხლა თვალსაჩინო იყო, რომ ძველს გზაზე დარჩენა მეტს ხანს არ შეიძლებოდა აწი, რომ მარტო მიწა ვერ დააკმაყოფილებდა მისი ოჯახის მთელ საჭიროებას; რომ საჭირო იყო განსხვავებული გარჯა, განსხვავებული შრომა და მას კი არ ეხერხებოდა, არ ემარჯვებოდა, და აღარ იცოდა, რა ექნა. სინათლეზე უფრო ნათელი შეიქნა მისთვის, რომ მარტო მიწა. ის მიწა, რომელზედაც იგი იდგა. ვერას გზით მას ვერ დააკმაყოფილებდა, რომ მისი შეჩერება მხოლოდ სამუდამოდ დაღუპავდა მასაც, მის ცოლ-შვილსაც და მომავალსაც!..“

ამგვარად, ოტიასათვის ცხადია, რომ საჭირო არის ახალი გზა, ძველი გზა დღევანდელ ცხოვრებას უარუყვია. მაგრამ სად მონახოს ეს ახალი გზა, ოტიამ არ იცის და კიდეც რომ იცოდეს, არც ეხერხება.

გასაჭირი მდგომარეობიდან ოტია ისევ ცოლს გამოჰყავს, ის კატეგორიულად უცხადებს:

„— ოტია! ჩვენი აქ დარჩენა სიკვდილია, ოტია... სიკვდილი,

ოტია! ამდენი ხანია გიცდი, გითხრა ეგ... ჩვენ კიდევ უარესი თუ მოგველის აქ, თორემ უკეთესი არაფერი. ჩვენ უნდა წავიდეთ, უნდა გავშორდეთ აქაურობას, ოტია... უთუოდ, უთუოდ, ოტია!"

წინათ რომ გაეგონა ვისგანმე ოტიას ასეთი სიტყვები, საშინლად გაოცდებოდა, რადგანაც სოფლის, საკუთარი სახლ-კარისა და მიწა-წყლის მიტოვება მისთვის წარმოუდგენელი იყო, მაგრამ დღეს ის თვითონ არის ამ აზრისა, საკუთარი გამოცდილებით დარწმუნდა, რომ სხვა გზაა საჭირო ცხოვრებისათვის. როდესაც ცოლი უცხადებს: ქალაქში უნდა გადავსახლდეთო, ის ყოყმანობს, მაგრამ იმიტომ კი არა, რომ სოფლის დატოვების საჭიროებაში დარწმუნებული არ იყოს, არამედ ეშინია: გამოუცდელი ადამიანი ვარ და ვაი თუ იქაც დამამარცხოს ცხოვრებამ. რაკი ერთხელვე შეეპარა ოტიას ის აზრი, რომ სოფელში დარჩენა მისთვის შეუძლებელი იყო, ეს აზრი უნებურადაც განვითარდებოდა, რადგანაც მას ავითარებდა ის ცხოვრება, რომელიც გარშემო ერტყა, ის საშინელი სიღარიბე და მისგან მომზადებული უნუგეშო მომავალი, რაც მისი მსგავსი აზნაურების ხვედრი იყო. რაკი განვითარდებოდა ოტიას არსებაში ასეთი აზრი, უეჭველია, მოსვენებას დაუკარგავდა და ის ან ისევ თავის მიწას დააკვდებოდა ჯავრსა და შრომაში, ან სხვა გზას გამონახავდა. ოტია ენერგიული კაცი არ არის, არ არის დაუდგომელი, მოძრავი ბუნების და შეიძლება ესეც დაემართებოდა, რომ ის არ გაეტაცებია ძველი გზიდან მის ცოლს, სონიას, და მისი ბიძის, ლევანის, სიკვდილს. „ოტია მწარე ცრემლით დასტიროდა ბიძას, ამ მიცვალებულში იგი რაღაც თავის მომავალს ხედავდა". ეს ასეც უნდა ყოფილიყო: ლევანი ყმაწვილობისას ოტიას თუ ჯობდა მოქმედებითა და ვარჯილობით, თორემ ნაკლები არ იყო: ადგილ-მამულიც იმის ოდენა ჰქონდა; მაგრამ სიბერეში სიღარიბის გამო აღძრულმა ჯავრმა და მწუხარებამ გონება გამოულაყა, შიმშილმა კი სული ამოაძრო. ოტიას ცხოვრებაში არაფერი იყო ისეთი, რომ იზედისა და ნუგეშის მცირეოდენი შუქი მოეფინა მისი მომავლისათვის და გაემხნევებინა: გულს ნუ გაიტეხ, ოტია, ლევანის ხვედრი შენ არ გეწევაო. პირიქით, ოტიას ყველაფერი ეუბნებოდა, რომ უკიდურეს სიღარიბესა და შიმშილში სულამომხდარი ლევანი მისი მომავალი იყო. „არა... მეტი საშველი არაა! — ეუბნებოდა თავის თავს ლევანისაგან დაბრუნებული ოტია: — მეც უნდა ავიბარგო, მეც უნდა შევეხიზნო იქ, სადაც ყოველი კაცი საშველს პოულობს... სადაც იმოდენა საშოვარია და საშუალებაა... გზა აღარ არის!..". მკითხველისათვის, რასაკვირველია, ცხადია, რომ ოტიას ასეთი გადაწყვეტილება მარტო ლევანის სიკვდილით არ ყოფილა გამოწვეული, ასეთ გადაწყვეტი-

ლებას დიდი ხნიდან ამზადებდა ოტიას გონებაში თვით ცხოვრება, ცოლის სიტყვები და ცხოვრების მიერ აღძრული ფიქრები. მაგრამ ლევანის სიკვდილი ის უკანასკნელი ნაპერწკალი იყო, რომელმაც ოტიას ყოყმანს ბოლო მოუღო და მისი გადაწყვეტილება განამტკიცა. ბიძის სიკვდილმა ოტიას ცხადად დაანახვა, რომ მან ან ბიძასაებრ მშიერმა, მწყურვალმა, ასეთ საცოდაობაში უნდა დალიოს თავისი „გაჯახირებული სული“, ან სხვა საშუალება უნდა გამონახოს ამ საშინელი მომავლის გადასაცდენად, — „მეტი გზა აღარ არის!..“ რამდენიმე თვის შემდეგ ჩვენ ვხედავთ ოტიას თავისი ოჯახობით ქალაქ №-ის მცხოვრებად გადაქცეულს, მის სამოსახლოზე და ადგილ-მამულში კი სხვა მოსახლეს, ახლად გამოყოფილ გლეხს. ოტიასავით მისივე სოფლიდან სხვებსაც მიუტოვებიათ სოფელი და გარეთ ირჩენენ თავს. სოფლის ცხოვრებამ გარიყა ისინი, როგორც მეტი წევრნი, სხვას გაუგზავნა: მე ველარ ვარჩენ და შენ არჩინეო.

II

ჩვენ განვიხილეთ, როგორ განვითარდა ოტიას არსებაში ის რწმენა, რომ საჭირო იყო ცხოვრებისათვის ახალი გზის გამონახვა და ძველის უკუგდება; შევეხეთ იმ მიზეზებსაც, რომლებმაც განუვითარეს ოტიას ასეთი რწმენა, მაგრამ მოთხრობაში ამაზე მეტი რომ არაფერი იყოს, სხვას რომ არაფერს აძლევდეს მკითხველის გონებას, ამდენი ლაპარაკითაც არ შევაწუხებდით. როგორც უკვე მოვიხსენიეთ, მოთხრობაში ბოქმედი პირები ძალიან მკრთალად არიან დახასიათებულნი, ის არ გვაძლევს არც ერთ ისეთ ახალ ტიპს, რომელიც ჩვენს სახელოვნო ლიტერატურაში არ მოიპოვებოდეს: ზოგიერთი მკვლევარისათვის ეს ისეთი დიდი ნაკლია, რომ მოთხრობას ფრიად სუსტ ნაწარმოებად ჩასთვლიდა ხელოვნების მხრით და ყურადღებასაც არ მიაქცევდა. სადაც არ არის ტიპი, იქ არც ხელოვნებაა. მაშასადამე, არც ნიჭიო, — აი, ბევრი მკვლევარის აზრი. ჩვენ სრულიადაც არ უარვყოფთ იმ აზრს, რომ მხოლოდ ნიჭს შეუძლია ტიპის შექმნა. პოეტურ ნაწარმოებში ტიპი დიდ ღირსებას შეადგენს, მაგრამ გვგონია, რომ შეიძლება რომელსამე პოეტურ ნაწარმოებში არც ერთი ტიპი არ მოიპოვებოდეს, არც ერთი მოქმედი პირი არ იყოს სრულად და ნათლად დახასიათებული, მაგრამ. მიოხედავად ამისა, ნაწარმოებს დიდი მნიშვნელობა ჰქონდეს. ჩვენ მიჩვეულნი ვართ იმ აზრს, რომ ტიპი მხოლოდ ადამიანი უნდა იყოს და ადამიანის გარეშე ტიპიურს აღარაფერს ვეძებთ მოთხრობაში, მაგრამ ასეთი აზრი სრულებით შემცდარია. რატომ არ შეიძლება ტიპიური იყოს ის მომენტები, რომლებსაც ავტორი იღებს ცხოვრებიდან? რასაკვირ-

ველია, შეიძლება, და ხშირად ასეც არის ხოლმე. ასეთ მოთხრობას, ერთი ტიპიური ადამიანიც რომ არ იყოს შიგ, მაინც დიდი მნიშვნელობა აქვს, — მნიშვნელობა სოციალური. „ქამუშაძის გაჭირვებასაც“ სწორედ სოციალური მნიშვნელობა აქვს და ჩვენც ამაზე გვინდა მივუთითოთ მკითხველს. თუ ძველად ჰერაკლიტე ქადაგებდა: ყოველივე მიმდინარეობაშია, ყველაფერი იცვლებაო, დღევანდელმა მეცნიერებამ ჰერაკლიტეს ასეთ ქადაგებაში ჭეშმარიტი აზრი დაინახა. ეს აზრი დღეს გაიზარდა, გაფართოვდა და გადაიქცა ევოლუციის თეორიად, რომელიც მეცნიერების ერთ დიდ ღვაწლს შეადგენს დღეს. მეცნიერებამ დაგვიმტკიცა, რომ ერთხელვე სამუდამოდ დადგენილი ფორმა არაფერს არა აქვს; იცვლება ორგანიული არსება, იცვლება თვით საზოგადოებრივი ცხოვრებაც. ერთ ეპოქას ყოველგან და ყოველთვის მეორე ეპოქა მოსდევს, მეორეს — მესამე, მაგრამ სანამ ცხოვრება ერთი ეპოქიდან მეორეში წადგებოდეს, ის რამდენსამე ხანს გამოურკვეველ, მოსამზადებელ მდგომარეობას განიცდის ხოლმე; ამ დროს მასში ძველი ეპოქის ელემენტებიც არიან, ახლისაც ჩნდებიან; ცხოვრების სახე წაშლილია და ძნელია იმისი გამოცნობა, როგორ სახეს მიიღებს იგი მომავალში, ე. ი. როგორი იქნება შემდეგი ეპოქა. ასეთ გამოურკვეველ მდგომარეობას უწოდებენ გარდამავალ ხანას, და სწორედ ასეთი გარდამავალი ხანის შვილნი ვართ ჩვენც, დღევანდელი ქართველები. იქ, სადაც ცხოვრებას გარკვეული ფორმა მიუღია, სოციალური მნიშვნელობის რომანი მაინცა და მაინც დიდ საჭიროებას აღარ შეადგენს; ამ მხრით მისი რჩევა და ჩხრეკა სრულიად მეტია, რადგანაც უმრავლესობისათვის ისეც ცხადია, თუ როგორია ცხოვრება. ჩვენში კი ასეთი მიმართულების სახელოვნო ნაწარმოებს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. როდესაც თითქმის ყოველ ქართველს თავისებურად ესმის ჩვენი დღევანდელი ცხოვრება და მისი ტენდენცია, ჩვენი აზრით, ყოველი მწერალი მოვალეა უმთავრესი ყურადღება ცხოვრებას მიაქციოს; ყოველი მკვლევარი ვალდებულია ლიტერატურულ ნაწარმოებში, პოეზია იქნება ის თუ პროზა, ცხოვრების სახე უყურადღებოდ არ დასტოვოს და მასზე მკითხველს მიუთითოს.

კაპიტალისტური წყობილების, ბურჟუაზიული ცხოვრების ნიშნებმა ჩვენში კარგა ხანია თავი იჩინეს, მაგრამ ამ ცვლილებას არა თუ საზოგადოება ვერ ხედავდა, ვერ ხედავდა დღემდე ჩვენი ჟურნალ-გაზეთობაც, რომელიც ვალდებულია ცხოვრებას დაკვირვებით ადევნოს თვალყური. კაპიტალისტური წყობილება ნატურალური წყობილების მტერია. ის ამარცხებს და სპობს უკანასკნელს და, რადგანაც წოდებრივი დაყოფა ნატურალური წყობილების სრული კუ-

თვნილებაა, მასვე ატანს თან. ქართლსა და კახეთში, სადაც ბურჟუაზიული ცხოვრების ნიშნებს ჯერ შესამჩნევი ცვლილება ვერ მოუხდენია საზოგადოებრივ განწყობილებაში. წოდებრივი კედლები ჯერ ისევ მტკიცედ არიან; თუმცა თავადაზნაურობა „მოლიპულ გზაზედ“ დაექანა, მაგრამ გლეხობა ჯერ ისევ უძრავად არის აქ ძველ საზღვრებში. აქ თავად-აზნაურს და გლეხს ერთიმეორეში ტანისამოსითაც გაარჩევთ ისევ. იმერეთში კი, განსაკუთრებით მის დასავლეთ ნაწილში, სადაც კაპიტალისტური წყობილების ნიშნები შესამჩნევად განვითარებულა, ცხოვრება სულ სხვა სურათს წარმოადგენს.

ქონებრივად რომ გვარიანად დაქვეითდა და თანდათან ღარიბდება როგორც ქართლ-კახეთის, ისე იმერეთის თავადაზნაურობა, ეს აღარავისათვის აღარ უნდა იყოს დაფარული. მაგრამ მაშინ, როდესაც ქართლ-კახეთის თავად-აზნაურთა ქონების დიდი ნაწილი უცხო ტომთა წარმომადგენლების ხელში გადადის, იმერეთის თავადაზნაურობის ადგილ-მამული უმთავრესად გლეხებში ნაწილდება. ბატონყმობის გაუქმების შემდეგ იმერეთში იმ გლეხობის უმეტესი ნაწილი, რომლებიც აზნაურების ყმებს შეადგენდნენ, უმიწაწყლოდ დარჩა, რადგანაც მცირეყმიანნი აზნაურებმა ყმებს მამული ჩამოართვეს, იმერეთის აზნაურობა კი უმეტესად მცირეყმიანი იყო. მიუხედავად ამისა, დღეს იმერეთში ისეთ მიწის მომუშავე გლეხს ვეღარ ნახავთ, რომ უძრავი, კერძო საკუთრება არა ჰქონდეს. ახალმა ცხოვრებამ ჩვენს თავადაზნაურობას ძალიან ბევრი მოთხოვნილება შემატა. თავადაზნაურობის ერთადერთ სიმდიდრეს მიწა შეადგენდა, ფული მას არ გააჩნდა და ამიტომ გასაჭირ მდგომარეობაში ჩავარდა. მაგრამ ამ მდგომარეობიდან გამოსასვლელად ცხოვრებამ მას ერთი კარი დაუტოვა: როგორც ყველაფერი, ისე მიწაც გასაყიდ ნივთად აქცია. თავადაზნაურობაც გაექანა ამ კარისაკენ, მიწა ბაზარზე გამოიტანა და დღესაც გამოაქვს გასასყიდად. იმერელმა გლეხმა ისარგებლა ამ მდგომარეობით და დღეს საცა კი გასასყიდი მიწა გამოჩნდება, — ტყე იქნება, სახნავი თუ ვენახი, — ის ხელიდან აღარ უშვებს. დავით კლდიაშვილი თავის ახალ მოთხრობაში იმერეთის აზნაურობის მდგომარეობას გვიხატავს. ის ფაქტი, რომელსაც ჩვენ ზევით მივაქციეთ მკითხველის ყურადღება, ავტორმაც აღნიშნა: ოტიასა და მისი ბიძის, ლევანის, ადგილ-მამულს გლეხები ინარჩუნებენ. იმერეთის აზნაურობა ადგილ-მამულით არც წინათ იყო მდიდარი, მაგრამ ხალხი ცოტა იყო, მოთხოვნილებაც მცირე, ამიტომ ყველას საკმარისად ჰქონდა ყველაფერი. დღეს ხალხი გამრავლდა, ახალმა ცხოვრებამ ყველას ისე გაუღვიძა კერძო საკუთრების მადა, რომ შვილი მამასთან აღარ დგება, ცალკე მოსახლეობას ეტანება, ამი-

ტომ იმერეთის აზნაურობის ერთადერთ ქონებას — მიწას — მარ-ტო ეს გარემოებაც დააქუცმაცებდა. მაგრამ ამას ზედ დაერთო მრავალი ახალი მოთხოვნილება, რომელთა დასაკმაყოფილებლად საჭირო შეიქნა ფული. აზნაურობა მთელი თავისი მოთხოვნილებით მიწას დააწვა: მიწაც ყველაფერს ვეღარ გასწვდა, აზნაურობას ხელიდან გამოეცალა და ცარიელზე დასტოვა. იმერეთში დღეს ხშირად შეხვდებით ისეთ აზნაურებს, რომლებიც არც ადგილ-მამულით, არც მოსახლეობით, არც ჩაცმა-დახურვით საშუალო გლეხისაგან აღარ გა-ნირჩევიან; სამაგიეროდ, ნახავთ ისეთ გლეხსაც, რომელიც შეძლებით, სახლ-კარით და გარეგნობით აზნაური ან თავადი გეგონებათ. თუ წინათ ყოველ თავადს, აზნაურს და გლეხს ტანისამოსითაც კი იცნობ-დით, დღეს ასეთი დრო გაფრინდა სამუდამოდ. ამის მოწმეა თამარნაშენის ცხოვრება „ქამუშაძის გაჭირვებაში“.

ერთი მითხარით, რითი განირჩევა აზნაური ლევან ქამუშაძე საშუალო კი არა, ღარიბი გლეხისაგან? არაფრით. ტანზე აცვია დაგლეჯილი ჩოხა; მის სახლ-კარს შეადგენს ერთადერთი ქოხი, რომელიც სადგომიც არის, სასიმინდეც, ბეღელიც და ბოსელიც. ადგილ-მამული კი იმდენიც აღარ დარჩენია, რომ ორ ძოხუცებულ ადამიანს მჭადი აჭამოს, და ეფროსინე იძულებულია ნედლი სიმინდი ტეხოს ყანაში, მზეზე ახმოს და მითი ირჩინოს თავი. რითი სჯობია მანანა და მისი სიძე, სეფე მარუშიძე, ღარიბ გლეხს? ვერაფრით. თვითონ სეფე ფეხშიშველი დადის, შვილები ტიტველი დაუდიან და ნახევარჯერ ის და მისი ოჯახი კუჭგაუმაძღარნი არიან. ერთი სიტყვით, ახალმა ცხოვრებამ აზნაურობას გლახა დროს უსწრო: აზნაურობა მოუმზადებელი დაუხვდა და, თუმცა ახლა ებრძვის ცხოვრებას თავგამეტებული. ცდილობს მას შეეგუოს, მაგრამ ცხოვრება ძალიან ბევრს ამარცხებს და ანადგურებს.

დავით კლდიაშვილი გვიხატავს ამ ბრძოლის ველს, რომელზედაც ზოგი უკვე დამარცხებულია, ზოგი უკანასკნელი ძალ-ღონითღა იბრძვის და დღეს თუ ხვალ დამარცხდება; სხვები ახლა იწყებენ ბრძოლას და წინამებრძოლთა ხვედრით შეშინებულებს, წინდაწინვე აქვთ გული გატეხილი, ვაი თუ ჩვენც დაგვამარცხოს ცხოვრებამაო. როგორც დავით კლდიაშვილი გვიჩვენებს თავის ახალ მოთხრობაში, ახალ ცხოვრებასთან შეგუებისათვის ბრძოლაში აზანაურობა ორ ნაწილად იყოფა: ერთ ნაწილს შეადგენს ძველი თაობა, მეორეს ახალი. მაშინ, როდესაც ძველი თაობიდან უმეტესი ნაწილი მარცხდება, ახალი თაობიდან ძალიან ბევრი ეგუება შეცვლილ ცხოვრებას. საზოგადო ცხოვრების ცვლილება, ახალ სოციალურ პირობებთან შეგუება აუცილებლად ითხოვს იმ საშუალებათა შეცვლასაც, რომელთა

შემწეობითაც ადამიანი თავს ირჩენს. თუ ეს უკანასკნელი პირობა არ არის დაცული, რამდენიც უნდა იშრომოს ადამიანმა, ნაყოფი მაინც მცირე იქნება. ძველი თაობის დამარცხების მიზეზიც სწორედ ამაში მდგომარეობს. ის გრძნობს, რომ ცხოვრება შეიცვალა, სხვა დრო დადგა. მაგრამ აზრადაც არ მოსდის, რომ სხვა გზას მიმართოს, სხვა საშუალება გამონახოს ცხოვრებისათვის; ის მხოლოდ მიწაში ეძებს ხსნას და შრომას აორკეცებს; სხვა ღონე რომ გამონახოს, არც აგონდება, არც ეხერხება. ახალ ცხოვრებას ახალი გზა უნდა, ძველი თაობა კი ძველი გზით ცდილობს ახალი ცხოვრების დამორჩილებას და ამიტომაც მისი დამარცხება აუცილებელია. აიღეთ, მაგ., ეკვირინე. მაშინ როდესაც დაღონებული ოტია ეუბნება: „რა მოვაგვარო, რას მოვეკიდო, არ ვიცი! აწი ხომ უფრო მეტი დაგვჭირდება ყველაფერი“-ო, აი ეკვირინე როგორ ანუგეშებს მას:

„ღმერთი მოგვცემს, შვილო! ღმერთი მოგვცემს! თავის გაჩენილს თავის ლუკმას გაუჩენს კიდე. რაზედ სწუხარ, შენი ჭირიმე! გულგახსნილად იყავი! ღმერთი მოგვცემს ყოველიფერს! ყოველისფერი გვექნება. ბევრიც გვექნება... ბარე ათი დედალი გვყავს დამჯდარი, ისე რავა გაოხრდებიან, რომ ერთი ასი ფრთა მაინც არ გაზარდონ. ბატიც ოთხი ზის, ათ-ათი კვერცხი უდევთ. ინდოურია სამი... გულ-მაგრად იყავი!... ღვთის წყალობით არასფერში არ შევწუხდებით და უკლებლათ ვიქნებით. კი, შვილო, კი!“.

ეს გულუბრყვილო ადამიანი სწორედ რომ საცოდავია თავისი ბავშვური იმედებით. ეკვირინე სრულებით არ არის ოტიაზე ნაკლები ჭკუის პატრონი, მან კარგად იცის, რომ დღეს მის ოჯახს მეტი საჭიროება აქვს, მაგრამ სხვა, ახალი გზის გამონახვა ფიქრადაც არ მოსდის. როდესაც მისმა რძალმა და შვილმა გამონახეს სხვა საშუალება ცხოვრებისათვის, ის თვალცრემლიანი შესტირის ორსავე: ოჯახს ნუ დაანგრევთ, შვილებს გზაში ნუ გამიყრითო. ის ყოველგვარ გაჭირვებას აიტანს, შიმშილით მოკვდება, ოღონდ თავის ორ კვალ მიწას ნუ მოაცილებთ. სულ სხვანაირად ფიქრობს ახალი თაობის უმეტესი ნაწილი. ის დარწმუნებულია, რომ „ძველ გზაზე დარჩენა მეტ ხანს არ შეიძლება აწი“; რომ მარტო მიწა ვერ დააკმაყოფილებს მისი ოჯახის მთელ საჭიროებას; რომ „საჭიროა განსხვავებული გარჯა, განსხვავებული შრომა“. ამიტომაც ის თავს ანებებს მიწას და ჰკიდებს ხელს ამ „განსხვავებულ შრომას“. ამგვარად, ცხოვრება აიძულებს ჩვენს ერს მოქალაქეობრივ გზაზე შედგომას, სოფლის დატოვებას და ქალაქში გაშურებას. იმას ნურავინ დაგვწამებს, ვითომ, ჩვენი აზრით, საჭირო იყოს, რომ ყველამ თავი დაანებოს სოფელს და ქალაქში გადასახლდეს. ჩვენი აზრით, ცხოვრება

ითხოვს, რომ სოფელმა თავისი ზედმეტი ელემენტი ქალაქს გაუგზავნოს. უკვე იჩინა თავი ჩვენს ხალხში სოფლიდან ქალაქში მოძრაობამ. ასეთ გზაზე უმალ გლეხობა შედგა; ძას ახლა უკან მისდევს გაღარიბებული თავადობაც. იმერეთში უკვე გაჩნდა გაღარიბებული, პროლეტარად ქცეული აზნაურის ტიპი, რომელიც სოფელში ყველაფერს ჰყიდის, თუ რამ დარჩენია, სოფელთან სრულებით სწყვეტს კავშირს და ქალაქისაკენ მიეშურება. ასეთი ტიპი არა თუ ქვემო იმერეთში, ზემო იმერეთშიაც კარგა ხანია არსებობს, თუმცა ზემო იმერეთი ეკონომიურად ცალი ფეხით ქართლში სდგას. დ. კლდიაშვილის ერთ დიდ ღირსებას ის შეადგენს, რომ მან მკითხველს მიუთითა ამ ახალ მოვლენაზე, რომელმაც თავი იჩინა ჩვენს ცხოვრებაში და რომლისთვისაც დღემდე ჩვენს მწერლობას ყურადღება არ მიუქცევია. აზნაურები და თავადები, მართალია, წინათაც მიდიოდნენ სოფლიდან ქალაქ ადგილას, მაგრამ ასეთ გადასახლებას წინათ კერძო ხასიათი ჰქონდა, კერძო მიზეზებით იყო გამოწვეული; დღეს კი ამ მოძრაობას სოფლიდან ქალაქისაკენ საზოგადო ხასიათი აქვს, სოციალური მიზეზებით არის გამოწვეული და ამ მოთხრობის ენიშვნელობაც სწორედ ასეთ სოციალურ მიზეზებში მდგომარეობს. მოქალაქეობრივ გზაზე შედგომა თვით ცხოვრებამ მოითხოვა; ჩვენი ხალხიც უსათუოდ უნდა დაადგეს ამ ახალ გზას, თუ უნდა ცხოვრებას არ გაანადგურებინოს თავი. ჩვენთვის ფრიად გასახარებელია, რომ ქართველობა უკვე შედგა ამ გზაზე, თორემ „ევერიის“ რეცეპტებს რომ ჩვენს ცხოვრებაზე გავლენა ჰქონდეს[1], თქვენი მტერი: ჩვენი ხალხის დაღუპვა აუცილებელი იქნებოდა.

III

წოდებრივი დაყოფის მომხრეთაგან არა ერთხელ გვსმენია: ხელოვნურმა შერჩევამ და მემკვიდრეობამ თავადაზნაურობა ქართველი ერის საუკეთესო ელემენტად აქცია, მას წარსულში დიდი ღვაწლი მიუძღვის მამულის წინაშე, მისი მოსპობა, როგორც კერძო წოდების, ე. ი. მთელს ერში არევა, ქართველებისათვის საზარალო იქნებაო. თავადაზნაურობა რომ ქართველი ერის საუკეთესო ელემენტი იყოს, ეს არავის დაუმტკიცებია და ვერც დაამტკიცებს, რადგანაც ცხოვრება გვეუბნება, რომ დღევანდელი თავადი გინდ აზნაური გლეხს ვერც ზნეობით და ვერც გონებრივად ვერ სჯობია;

---

[1] ჩვენი ინტელიგენციის ნაწილმა 90-იან წლებში თეორიაში უარჰყო კაპიტალიზმის გზა, რადგან ვერ ხედავდა კაპიტალიზმის განვითარების შესაძლებლობას ჩვენში. ვ. წ.

პირიქით, ჩვენ იმისი გვეშინია, ვაი თუ ნაკლებიც იყოს. ხოლო თავადაზნაურობას რომ ღვაწლი მიუძღვის მამულის წინაშე, ამას ჩვენ არ უარვყოფთ; მაგრამ იგივე ღვაწლი გლეხობასაც მიუძღვის. ზემოთ მოყვანილი საბუთები აშკარად გვიჩვენებენ, თუ როგორი ყალბი შეხედულების არის ზოგიერთი ქართველი ადამიანი ცხოვრების მსვლელობის შესახებ. ჩვენ იმას კი არ ვიკვლევთ, რა არის სასურველი, არამედ იმას, რა არის აუცილებელი. განა ცოტა რამ არის სასურველი, მაგრამ შეუძლებელი?!.. ჯერ სასურველიც რომ იყოს წოდებათა შერჩენა, მაშინაც ამ სასურველს გასავალი არ ექნება, რადგანაც დღევანდელმა ცხოვრებამ აუცილებლად გახადა მათი გადასხვაფერება.

ცხოვრების აუცილებელ პროცესს ვერავითარი სურვილი ვერ შეაჩერებს. წოდებრივმა დაყოფამ შეასრულა თავისი დანიშნულება; დღევანდელი დრო მას აღარ საჭიროებს და ამიტომ კიდეცა სპობს და მის მაგიერ შობს სოციალურ კლასებად დაყოფას. გარდა ამისა, წოდებების შერჩენა ჩვენი ერისათვის დღეს მხოლოდ საზარალოა; რაც მალე წაიშლება წოდებრივი საზღვრები, ქართველი ერის კეთილდღეობისათვის მით უმჯობესია და აი რატომ: თუ ცხოვრება შეიცვალა, შეცვლილ ცხოვრებას შეგუება უნდა, როგორც კერძო ადამიანის, ისე მთელი ერის მხრით; ვინც ვერ შეეგუება ცხოვრების შეცვლილ პირობებს, მისი დალუპვა აუცილებელია. ამ კანონს ვხედავთ როგორც საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ისე მთელ ორგანიულ ცხოვრებაშიაც. ქართველი ერის დღევანდელ ცხოვრებასთან შეგუება კი იმაში მდგომარეობს, რომ წოდებრივი საზღვრები უკუაგდოს და ახალს მოქალაქეობრივ გზაზე გამოვიდეს ყოველი ქართველი, თავადი იქნება ის, აზნაური თუ გლეხი. ასეთ გზაზე ჩვენი ერი უკვე გამოვიდა. მაგრამ თუ ბევრი ვერ ამჩნევს წოდებრივი საზღვრების დარღვევას, ერთი იმიტომ, რომ არ სურს შეამჩნიოს, მეორე იმიტომ, რომ თავადაზნაურობა ჩვენში ჯერ კიდევ წარმოადგენს ეკონომიურ ძალას თავისი ადგილ-მამულით და გულუბრყვილო პირებს კი ეს ეკონომიური ძალა გვარიშვილობის ნაყოფი ჰგონიათ. ისინი, ვისაც ეს ეკონომიური ძალა ხელიდან გამოსცლია, მშვენივრად გრძნობენ, რომ ცარიელი გვარიშვილობა დღეს ჩირადაც აღარ ფასობს, მაგრამ გულს არ იტეხენ და საქვეყნოდ ჯერ მაინც არ აცხადებენ ამას. ჩვენში უკვე ჩნდებიან ისეთი აზნაურები, რომლებიც გლეხებისაგან აღარაფრით განირჩევიან: ლევან ქამუშაძე, ომან ქამუშაძე, სეფე მარუშიძე და სხვა. დღეს თუ ხვალ ასეთი პირნი თავადებშიაც გაჩნდებიან. სამაგიეროდ გლეხებშიც გაჩენილან ისეთი პირნი, რომლებსაც ქონებრივი ძალა მოუხვეჭიათ და აზნაურისა და თავადისაგან

აღარ განირჩევიან. ასეთია გლეხი სამადაძე. ის ეკვირინეც კი, რომელიც ამპარტავნობს თავისი გახუნებული აზნაურობით, აი, რას ამბობს სამადაძის შესახებ:

„ყაზახი ქვია, თქვენ გენაცვალეთ, თვარა რომელი აზნაური გაუტოლდება, ჩემო ბატონო! მდიდარი, თქვენი ჭირი შემეყაროს, ზრდილობიანი... ისეთი შეხედულება აქვს... თავადიშვილი გეგონებათ... უბრალო კი არა, ჩემო ბატონო!“

მიეცით ასეთ გლეხს განათლება და, რასაკვირველია, მაშინ ის თავადზედაც და აზნაურზედაც წინ იქნება ცხოვრებაში. ჩვენ იმას კი არ ვამბობთ, ვითომც ცხოვრება ითხოვდეს მთელი თავადაზნაურობის გაღატაკებას, ლევან ქამუშაძეებად გადაქცევას და მთელი გლეხობის გამდიდრებას და სამადაძეებად გახდომას. ჩვენ მხოლოდ იმას ვამბობთ, რომ ცხოვრება უარჰყოფს წოდებრივ დაყოფას, ის ითხოვს ძველი გზის დატოვებას და ახალ გზაზე შედგომას. ვინც შეიგნებს ახალი დროის მოთხოვნილებას და ახალ გზაზე ფეხს მოიმაგრებს, გლეხი იქნება თუ თავადი — სულ ერთია — გაიმარჯვებს. ვინც ახალ ცხოვრებაში ძველი გზით მოინდომებს თავის გატანას, გინდა თავადი იყოს, გინდა გლეხი, დაღუჯვას ვერ ასცდება. ჩვენი აწმყო ბელეტრისტიკა თუ უფრო ხალისიანად ხატავს დამარცხებულ თავადაზნაურობას და გამარჯვებულ გლეხობას, ვიდრე გამარჯვებულ თავადაზნაურობასა და დამარცხებულ გლეხობას, თუმცა ცხოვრებაში პირველიც არის და მეორეც, — ეს იმიტომ, რომ დამარცხებული თავადი და გამარჯვებული გლეხი სრულებით ახალი მოვლენაა, ძველმა ცხოვრებამ არაფერი ამგვარი არ იცოდა და ამიტომაც, როგორც ახალი მოვლენა, უფრო იქცევს მწერლის ყურადღებას.

სამადაძის ტიპის დახატვაში ჩვენი ბელეტრისტები, თითქო პირობა მიუციათო, ყველა ერთნაირად იმეორებს შემდეგ გარემოებას: დამარცხებული თავადაზნაურობა გამარჯვებულ გლეხობას ერთობ მტრულად უყურებს. როდესაც პირველი მეორეს შეხვდება, აშკარად ხედავს, რომ ჩამომავლობამ დღეს ყოველგვარი მნიშვნელობა დაჰკარგა, რომ ცხოვრება გლეხსა და აზნაურს არა თუ ათანასწორებს, ხშირად გლეხს თავადსა და აზნაურზე მაღლაც აყენებს; ის კარგად გრძნობს, რომ მომავალი ასეთი გამარჯვებული გლეხისა არის; რომ გუშინდელი მისი ყმა ხვალ იმაზე წინ უნდა იდგეს ცხოვრებაში. დამარცხებული თავადი და აზნაური ამ გარემოებას ვერ შერიგებია და შეხვდება თუ არა გამარჯვებულ გლეხს, თავის სიძულვილს ვეღარ მალავს. ამის მაგალითს ვხედავთ „ფირალ დავლაძეში“. ასეთსავე მაგალითს გვიჩვენებს „ქამუშაძის გაჭირვება“. ცხოვრებისაგან დაჩაგრული და გარიყული აზნაურნი, ქამუშაძეები,

გრძნობენ, რომ სამადაძე მათ სჯობია, მაგრამ წოდებრივ თავმოყვარეობას იმ გრძნობით იკმაყოფილებენ, რომ ისინი აზნაურნი არიან. სამადაძე კი გლეხი და „რაც რომ იყვეს, უზრდელ ყაზახს მაინც ჯობიან“. ისინი ცდილობენ, სამადაძეს გული დაუკოდონ მით, რომ ის ყაზახია, შეაგნებინონ მას, რომ ყაზახი აზნაურს ვერასოდეს წაეტოლება, მაგრამ მათი მეცადინეობა სრულიად ამაოა, რადგანაც სამადაძემ მშვენივრად იცის, რომ დღევანდელმა ცხოვრებამ ის „შემოდგომის“ აზნაურზე მაღლა დააყენა. აზნაურობის ძველი თაობა ამ გარემოებას ან ვერ ამჩნევს, ან, თუ ამჩნევს, არ უნდა დაიჯეროს; ის მაინც ირწმუნებს თავს, რომ ცხოვრება აზნაურს და გლეხს არ გაასწორებს. ახალი თაობა კი ნათლად ხედავს და დარწმუნებულიც არის, რომ ძველ გზაზე დარჩენა მხოლოდ დამღუპველია, რომ საჭიროა ახალი გზა და კიდეც გამოდიან ამ ახალ გზაზე. მაგრამ ვინ არის იმისი თავდები, რომ ეს ახალი გზა ოტიასა და მის მსგავსებს დაღუპვისაგან იხსნის? ამის თავდებია თვით ცხოვრება, რომელსაც ერთ მხარეზე დაუყენებია ლევანი და ომან ქამუშაძეები, სეფე მარუშიძე და სხვები, მეორე მხარეზე— სამადაძე, პორფირი ბიაშვილი, ბეგლარ ჭინჭარაძე და სხვ. მოთხრობაში ერთი საყურადღებო ადგილია: როდესაც ოტია და სონია ლევანისგან სახლში დაბრუნდებიან, იმ ლევანისგან, რომელიც „შიმშილმა მოჰკლა“, როგორც ეუბნებოდა თავის თავს გზაში მიმავალი სონია, და ორივე ცოლ-ქმარი უნუგეშო ფიქრებით არის მოცული ასეთის სურათის ნახვით, ამ დროს მათ სახლში დაუხვდებათ პორფირი ბიაშვილი. სიამოვნებით მოხითხითე პორფირის დანახვაზე სონიას ალბათ თვალწინ წარმოუდგება თავისი ძმაც და უცებ თავში გაურბენს: „ამათია ყორიფელი“. ამავე დროს გულდაღონებული ოტიაც თავის თავს ეუბნება:

„ამათ უნდა გავსდიოთ!.. ჩემისთანებმა მაინც, თუ ქვეყანაზედ სიცოცხლე გვინდა!..“

ამგვარად, პორფირის დანახვაზე, „რომლის პირითაც თითქო თავ-მომწონე უფრო ღონიერი ქალაქი დასცინოდა მისუსტებულ სოფელს, დასცინოდა, თავის გამარჯვებას აქადნიდა და ემუქრებოდა მეტს დაჩაგვრას მასთან ბრძოლაში“, ცოლ-ქმარს ერთსა და იმავე დროს ერთი და იგივე აზრი გაურბენს თავში. გავიგოთ, რას წარმოადგენენ პორფირი და ბეგლარი. ეს ორი ადამიანი მხოლოდ იმით განირჩევიან ერთიმეორისაგან, რომ ერთი მუდამ მხიარულია, მუდამ ხითხითებს, ყველაფერს სიცილით აკეთებს, ყველასთან თავმდაბალია; მეორე კი მუდამ სერიოზული სახის არის, ამპარტავანია, ბევრი ლაპარაკი, ხალხში ტრიალი არ უყვარს და დედაც კი მორიდებით არის მასთან. დანარჩენში კი ორივე ერთიმეორის ხატებაა, ორ-

ააკე ერთი მიზანი აქვს ცხოვრებაში, ორივე ერთნაირად უყურებს ადამიანის მოქმედებას. ორივე ერთი და იმაზე ზნეობისა და პატიოსნებისა არის. ბეგლარი თავით ფეხებამდე ეგოისტია, მხოლოდ პიროვნული ინტერესების მიმდევარი; ყველაფერი, საიდანაც თავისათვის სარგებლობას არ გამოელის, მის თვალში უმნიშვნელოა და სისულელე. მას არა თუ ვერ წარმოუდგენია, როგორ შეიძლება, რომ ადამიანმა სხვისი სარგებლობის გულისთვის იმოქმედოს ან დაიკლოს რამე, — ასეთი მიმართულების პირებს კიდეც დასცინის.

თავის ყოველ მოქმედებაში ის მხოლოდ პირადი სარგებლობით ხელმძღვანელობს, მაგრამ ეს კიდევ არაფერი. ის არ დაერიდება არაფერს, — სისაძაგლეს, უსინდისობას ჩაიდენს თავისი სარგებლობის გულისათვის. რა მაქნისია მისთვის სინდისი, პატიოსნება, როდესაც ისინი მის ჯიბეს არას მატებენ? აიღეთ მისი სიყვარული ნინოსადმი. მას წინდაწინვე განზრახული ჰქონდა ყოველი თავისი მოქმედება ამ სიყვარულის დროს; ის სცდილობდა სარდიონი ისე ჩაეთრია ხელში, რომ ვეღარსად წასვლოდა და ჩაეთრია კიდეც. მაშინ განზე გადგა და სარდიონს შემოუთვალა: ბარგთან თუ რვაასს მანეთსაც მომცემ, მაშინ დავიწერ ჯვარსაო, და კიდეც შეასრულა თავისი სიტყვა, — საყვარელი ქალი რვაას მანეთში გასცვალა. ასეთივეა პორფირიც; ხოლო ეს უკანასკნელი უფრო კუდქიცინა და ლაქუცაა: ყველას ტკბილ სიტყვას აგონებს, ყველას თეთრ კბილს უჩვენებს, გულში კი საკუთარი სარგებლობის მეტი არა სწამს რა; მისი მიზანია სხვები გაფცქვნას, გაატყავოს, თავის თავს კი ასარგებლოს. პატიოსნება, სხვისი თანაგრძნობა, სხვისი სარგებლობით ხელმძღვანელობა მისთვის სრულიად უცნობი ხილია. აი, როგორ თაიგულს წარმოადგენენ ეს ორი „აიქსი“, და ნუთუ მართლა „მათია ყორიფელი“, როგორც სონიას ჰგონია?!. ნუთუ მართლა ამათ უნდა გასდიონ ოტიასთანებმა, თუ ქვეყანაზე სიცოცხლე უნდათ, როგორც ფიქრობს ოტია?!. აქ შეცდომა აშკარაა. ახალი დრო ითხოვს მხოლოდ ახალ გზაზე გამოსვლას და არა სინდისისა და პატიოსნების დაკარგვას. რა საძაგელიც უნდა იყოს ესა თუ ის ეპოქა, ყოველთვის შეიძლება ადამიანმა ადამიანის ღირსება დაიცვას და ღორს არ დაემსგავსოს. საზიზღარი იყო მონობა, საზიზღარი იყო ბატონყმობა, მაგრამ განა ცოტა იყო ორსავე ეპოქაში ისეთი ბატონი, რომელიც ადამიანის სახელს არ არცხვენდა? შეცდომა იქნება, რომ ყველაფერი ცხოვრებას გადავაბრალოთ და ადამიანის ბუნება სრულებით არ მივიღოთ მხედველობაში. სინდისისა და პატიოსნების სრულებით ამოშლა არც ერთ ეპოქას არ მოუთხოვია, არც მოითხოვს და, კიდეც რომ მოითხოვოს, ადამიანი მაინც უნდა შეებრძო-

ლოს ასეთ დამამცირებელ მოთხოვნილებას. დეე, მისი ბრძოლა სრულებით უნაყოფო იყოს, მისთვის საზარალოც: სინდისის შერჩენისა და ამაღლებისათვის უნაყოფო ბრძოლა და მსხვერპლიც გაცილებით უფრო პატიოსანია, ვიდრე სინდისის მოქნა და ყოველგვარი სისაძაგლის წინაშე მორჩილად ქედის მოდრეკა.

დღევანდელი დრო სრულებითაც არ ითხოვს იმას, რომ ყოველი ადამიანი, ვისაც კი ცხოვრება უნდა, ბეგლარსა და პორფირის დაემსგავსოს. და ჩვენც, მკითხველო, ამ რწმენით გამოვემშვიდობებით ოტია ქამუშაძეს და მასთან ერთად მის ბედში მყოფთ: მათთვის საჭიროა, აუცილებელია მოქალაქეობრივ გზაზე დადგომა, მაგრამ ამ გზაზე შემდგართ ზნეობის შერჩენა და ამაღლება არ უნდა ავიწყდებოდეთ, რადგანაც სინდისი, პატიოსნება, ერთმანეთის თანაგრძნობა, ერთიმეორის ინტერესთა დაცვა ადამიანის ბუნების საუკეთესო სამკაულია და უამისოდ ადამიანი ხომ ორფეხა მხეცი იქნება მხოლოდ.

1900

ორმოცდაათი წელი ქართული თეატრისა

I

ამ წლის ორ იანვარს ორმოცდაათი წელი შესრულდა მას აქეთ, რაც პირველად იხილა ქართველმა საზოგადოებამ ქართული პიესა, ქართველი მსახიობნი, ქართული წარმოდგენა. ნახევარმა საუკუნემ გაირბინა აგერ მას აქეთ, რაც ქართველმა საზოგადოებამ პირველად შედგა ფეხი გონებრივი და ზნეობრივი წინმსვლელობის სასწავლებელში — თეატრში.

რა გაჭირვება გამოიარა ამ დროის განმავლობაში ჩვენმა თეატრმა, რა გააკეთა მან, რა შესძინა ჩვენს ცხოვრებას, რამდენად შეუწყო ხელი ჩვენი ეროვნული თვითცნობიერების შეგნებას და განვითარებას, — ყველა ამგვარი კითხვები, მგონია, საყურადღებოა ყოველი ქართველისათვის, რომელსაც თავისი ერის მომავლი აინტერესებს. ამიტომ, რომ გადავავლოთ თვალი ჩვენი თეატრის ბედიღბალს ამ ორმოცდაათი წლის განმავლობაში, შეიძლება ვპოვოთ შიგ მცირე რამ საგულისხმიერო და მომავლისათვის სახელმძღვანელო ან ყურადსაღები.

ადამიანის ორგანიზაცია ისე არის მოწყობილი, რომ ინსტინქტურად მიისწრაფვის სიამოვნებისაკენ. სიამოვნება მის აუცილებელ მოთხოვნილებას შეადგენს. სიამოვნება ორგვარია: ერთია ხორციელი ანუ ფიზიოლოგიური, მეორე — სულიერი.

მაშინ, როდესაც ფიზიოლოგიური სიამოვნების მოთხოვნილება ყოველგვარ ცხოველსა აქვს, განვითარების რა საფეხურზეც უნდა იდგეს, სულიერი სიამოვნება მხოლოდ ადამიანის საჭიროებად ეამხდარა და ისიც ყველა ადამიანისათვის არა. ადამიანი გონებრივად და ზნეობრივად კარგად განვითარებული უნდა იყოს, რომ სულიერ სიამოვნებას საჭიროებდეს. როდესაც ცხოვრება რთული და განვითარებულია, ერი გონებრივად დაწინაურებული, მაშინ სულიერი სიამოვნების მოთხოვნილება ერთი და ორი კი არა, მთელი სა-

ზოგადოების, მთელი ერის ნიშნობლივ თვისებას შეადგენს. ასეთი ერისათვის საჭირო ხდება სხვადასხვა საშუალება სულიერი წყურვილის დასაკმაყოფილებლად.

ერთ ამგვარ დაწესებულებას წარმოადგენს თეატრი, რომელიც განვითარებულმა საბერძნეთმა წარმოშვა, შემდეგ გადმოსცა რომს და რომიდან მიიღო საშუალო საუკუნეების და დღევანდელმა ევროპამ.

ამ დროის განმავლობაში თეატრი სახეს იცვლიდა, ისე როგორც იცვლებოდა თვით ცხოვრება. მაგრამ მაყურებელთა უმეტესი ნაწილი საბერძნეთშიც, რომშიც, დღევანდელ ევროპაშიც ერთი და იმავე მიზნით მიდიოდა და მიდის თეატრში: მას უნდოდა და უნდა სიამოვნება.

მართალია, სულიერი სიამოვნების საჭიროება ადამიანის გონებრივად და ზნეობრივად განვითარების უტყუარი ნიშანია, მაგრამ ნუთუ თეატრსაც ცალიერი სიამოვნების მოცემის მეტი არა შეუძლია რა? (თუ მხედველობაში არ მივიღებთ ბალაგანურ თეატრს, ძველ ბერძნებსაც და დღევანდელ ევროპელებსაც თეატრი წვრთნიდა, ახედებდა ცხოვრებაში და ადამიანის გულში, უღვიძებდა სხვადასხვა გასაკიცხი მოქმედების სიძულვილს, ჰბადებდა მათ გულში სიყვარულს და მისწრაფებას ყოველგვარი კეთილისადმი და ამგვარად აფაქიზებდა და ამაღლებდა ადამიანის გონებას და ზნეობას).

თეატრი ყოველ დროს ხელს უწყობდა ცხოვრებისა და ადამიანის გაუმჯობესებას: ვოლტერმა თეატრი პოლიტიკური იდეების გასავრცელებელ ასპარეზად ამოირჩია და თეატრის შემწეობით ხელი შეუწყო რევოლუციის მოახლოებას.

ამგვარად ჭეშმარიტი თეატრი სარგებლობს ხალხის სულიერი სიამოვნების საჭიროებით და სიამოვნების სახვევში აწვდის მას სხვადასხვა საგულისხმო აზრს და მაგალითს.

თეატრის ამგვარი მნიშვნელობა კარგად ჰქონდა შეგნებული თითო-ოროლა პირს, რომლებიც მეორმოცე წლებში გამოჩნდნენ ჩვენში.

ამ პირთა შორის იყო გიორგი ერისთავიც. ერისთავი როგორც განვითარებით, ისე ნიჭითა და მიმართულებით გაცილებით მაღლა იდგა დანარჩენ ქართველობაზე. ჩვენი საზოგადოება მეორმოცე წლებში საღათას ძილს მისცემოდა. გონებრივად და ზნეობრივად ის ძალიან დაქვეითებული იყო; მისი ცხოვრება იყო ფუქსავატი, უზნეო, უშინაარსო. ჩვენი არისტოკრატია ხანდახან წარსულისაკენ თუ გაიხედავდა ხვნეშით, თორემ მომავალი არც აგონდებოდა, არც

ეზიდავდა; ამ მომავლისათვის ის სრულებით არ ფიქრობდა, არ ზრუნავდა. სულიერი მოთხოვნილება უმრავლესობას არავითარი არ ჰქონდა: ძალზე გაძღომა და ლოგინზე გაგორება, ლოთობა და ქორ-მეძებარი, — აი მთელი მაშინდელი ცხოვრების შინაარსი.

მხოლოდ მცირეოდენ პირთ, და მათთან ერთად გიორგი ერისთავსაც, მამულისათვის გული შეტკიოდათ, მიზნად დაესახათ საზოგადოების გამოფხიზლება, ეროვნული თვითცნობიერების გაღვივება და გაძლიერება, ცხოვრების გაუმჯობესება.

რა საშუალებით შეეძლოთ თავისი მიზნის მიღწევა? საშუალება იყო საჭვარი: სწავლა-განათლება, ლიტერატურა და თეატრი.

განათლებისათვის ზრუნვა მთავრობის სრულ უფლებას ექვემდებარებოდა, ამიტომ მამულის გულშემატკივართაც ორი უკანასკნელი საშუალება დარჩენოდათ და მათ მიმართეს გ. ერისთავის მეთაურობით. ქართული თეატრის დაარსება გიორგი ერისთავის უძლიერეს საწადელს შეადგენდა, მაგრამ ამ საწადელის ასრულებას ბევრი დაბრკოლება ეღობებოდა წინ. ყველა ამ დაბრკოლების ძლევა თავისთავად, სხვის დაუხმარებლად, მარტო გ. ერისთავს არ შეეძლო.

დამხმარებელიც მალე აღმოუჩნდა ერისთავს — ეს იყო ვორონცოვი, რომელიც 1844 წელს კავკასიის მმართველად დაინიშნა.

რას აკეთებდა ამ დროს გ. ერისთავი? მას სულითა და გულით უნდოდა თეატრის შემწეობით სინათლე შეეტანა ჩვენს ბნელ ცხოვრებაში, მაგრამ მისი სურვილი სურვილადვე რჩებოდა ჯერჯერობით, მხოლოდ მისი პიესა „გაყრა“ ხელნაწერი ვრცელდებოდა საზოგადოებაში და ნელ-ნელა ნიადაგს უმზადებდა თეატრს.

როდესაც ვორონცოვმა გაიგო, ქართველებს საკუთარი დრამატურგიც ჰყოლიათ და კომედიაც ჰქონიათო, გადაწყვიტა ხელი შეეწყო ამ საქმისათვის და ამიტომ გ. ერისთავის გაცნობა მოიწადინა. ერისთავი ამ დროს ხიდისთავში ცხოვრობდა. შეიტყო თუ არა ვორონცოვის სურვილი, მყისვე გამოეცხადა მას თავისი ხელნაწერით. რადგანაც ვორონცოვი არც გიორგის იცნობდა, არც მის „გაყრას“, ამიტომ თხოვა მას: სცენისმოყვარე ქართველებს მოუყარეთ თავი და თბილისის გიმნაზიის სცენაზე[1] წარმოადგინეთ თქვენი კომედიაო. ვორონცოვს ამით უნდოდა, თავისი თვალით დარწმუნებულიყო, შეეძლო თუ არა გ. ერისთავს ქართულ თეატრს წინ გაძღოლოდა.

რაკი ვორონცოვში ჰპოვა საუკეთესო თანამგრძნობელი, გ. ერისთავი გულმოდგინედ შეუდგა თავისი საქმის განხორციელებას.

---

1 ის შინაური სცენაც ვორონცოვმა გააწყო.

მისი დიდი ხნის „უზენაესი ნატვრა“, ოცნებად გადაქცეული, დღეს სრულდებოდა და განა ის საცდელსლა დააკლებდა, რომ საქმე დაეგვირგვინებინა?!

გ. ერისთავმა შეადგინა სცენისმოყვარეთა გუნდი, შეასწავლა მათ „გაყრა“ და 2 იანვარს 1850 წ. გიმნაზიის პატარა ზალიდან დაანახვა ქართველ საზოგადოებას მისივე ავ-კარგი.

აი ის პირნი, რომლებიც პირველად გამოვიდნენ ქართულ სცენაზე: ილ. ორბელიანი, ოქ. ერისთავი, დ. ი. ყიფიანი, ბ. გ. ანდრეევსკისა, კნ. ა. ორბელიანისა, გ. ერისთავი, კნ. ქ. ორბელიანისა, გ. ო. შანშიევი, ნ. ერისთავი, გრ. ერისთავი, კნ. მ. ერისთავისა და მ. გ. ჭილაევი. მიკირტუმ გასპარიჩის როლს კი გ. ერისთავი თამაშობდა. წარმოდგენას დიდძალი ხალხი მოაწყდა.

ვორონცოვი ერთობ კმაყოფილი დარჩა. პირველმა წარმოდგენამ ის დაარწმუნა, რომ გიორგი ერისთავს შეეძლო ქართული თეატრისათვის მეთაურობა და პატრონობა გაეწია, და ამიტომ ერისთავი ხიდისთავიდან თავის ამალაში გადმოიყვანა, რომ თეატრს მუდამ გვერდში ჰყოლოდა.

მალე თამამშოვის ქარვასლაში დაასრულეს ახალი თეატრის აშენება და ამ თეატრში 3 მაისს 1850 წელს გაიმართა მეორე ქართული წარმოდგენა, ითამაშეს ერისთავის ახალი კომედია „დავა“. რომლის შინაარსიც თითქმის იგივეა, რაც პირველი პიესისა; შინაარსს გარდა ტიპებიც იგივეა, თუ შეიძლება ტიპები ვუწოდოთ იმ მკრთალად და გარეგნულად დახატულ პირებს, რომლებიც ამ კომედიებშია.

ამ წარმოდგენის შემდეგ ვორონცოვმა გადაწყვიტა ქართული თეატრი უფრო მტკიცე ნიადაგზე დაეყენებია, მაგრამ ამისათვის ფული იყო საჭირო. ვორონცოვი მოელაპარაკა გიორგი ერისთავს, მიანდო მას ქართული დასის შედგენა. ორასი თუმანი მაშინვე მისცა მსახიობთა დასასაჩუქრებლად და წასახალისებლად და ყოველწლივ ოთხასი თუმანი ჯამაგირი აღუთქვა.

ოთხასი თუმანი თუმცა დიდ ფულს არ შეადგენდა, მაგრამ ამ ფულით მაშინ შეიძლებოდა მსახიობების შოვნა.

1850 წ. გაზაფხულზე გიორგი ერისთავი გაემგზავრა სოფლისაკენ, რომ იქ შეედგინა დასი. ჩვენ არ ვიცით, რად მიმართა ერისთავმა სოფელს; ალბათ ის ხედავდა, რომ სოფელში არ აღმოუჩნდებოდა მის საქმეს იმდენი მტერი, როგორც ქალაქში, ამას გარდა სოფელში უფრო იაფად იშოვნიდა მსახიობებს.

ერისთავმა რამდენსამე თვეში მოამზადა ქართული დასი და შემოდგომაზე ქალაქში ჩამოვიდა. ჩვენი პირველი მსახიობები იყვნენ:

ქ-ნნი სააკაძისა, ტატიშვილისა, ანტონოვისა და ბაფეროვისა; ბ-ნნი დვანაძე, ტატიშვილი, რჩეულიშვილი, კორძაია, კიკნაძე და ელიოზიშვილი.

თბილისში ერისთავი განაგრძობდა გამოუცდელი მსახიობების წვრთნას. ვორონცოვი დიდი სიყვარულით ეპყრობოდა მათ, ხშირად დადიოდა რეპეტიციებზე, გულს უხალისებდა ყველას საჩუქრებით და, როცა გაიგო, რომ ოთხასი თუმანი არტისტებისათვის ძალიან ცოტა იყო, ასი თუმანი კიდევ მოუმატა ჯამაგირად. მთელი შემოდგომა ემზადებოდა დასი და 1851 წ. 1 იანვარს გამოვიდა იმავე „გაყრაში". ამის შემდეგ ახალი დასი ვორონცოვმა გადასცა თბილისის თეატრის დირექციას.

დირექცია ქართველ მსახიობებს გულგრილად ეკიდებოდა, ხელს თუ უშლიდა, თორემ არ ეხმარებოდა, რუსული და იტალიური წარმოდგენები უფრო იზიდავდა ჩვენს საზოგადოებას, ერთი იმიტომ, რომ ჩინოვნიკობა და მხედრობა სულ იქ დადიოდა, მეორე—რუსული და იტალიური თეატრი უფრო ამხიარულებდა მაყურებელს; ამას პიუმატეთ ჩვენი საზოგადოების მოუმზადებლობა, რეპერტუარის სიღარიბე და ადვილად წარმოიდგენთ, თუ როგორ მდგომარეობაში უნდა ყოფილიყო ჩვენი თეატრი.

1855 წელს ვორონცოვი საქართველოდან გადაიყვანეს. ამის შემდეგ დასს ჯამაგირი აღარ მისცეს. შემოსავალი მას ვერ ინახავდა, გ. ერისთავმა ვეღარა გააწყო რა და იძულებული იყო თავის საქმეს გამოსთხოვებოდა, დასი დაეთხოვა და თავის მამულში, ხიდისთავს, წასულიყო.

გიორგის შემდეგ სცენისმოყვარენი კიდევ ცდილობდნენ, რომ თეატრი როგორმე წამოეყენებინათ ზეზე. ამგვარ პირთა შორის ყველაზე მეტი შრომა და ხარჯი კერესელიძემ გასწია. მან ისესხა ორასი თუმანი, დაიქირავა შარმაზანოვის დარბაზი, გააკეთა ლოჟები, პარტერი, მოაწყო სცენა, დაახატვინა დეკორაციები და დაიწყო წარმოდგენები.

კერესელიძეს იმედი ჰქონდა: შემოსავალი იმდენი მექნება, რომ ნახევრით ვალს ვისტუმრებ ნაწილ-ნაწილად, ნახევარიც არტისტებს დააკმაყოფილებსო. მაგრამ იმედი არ გაუმართლდა: მიუხედავად იმისა, რომ ნიჭიერი არტისტები ჰყავდა და როლებს კარგად სწავლობდნენ, შემოსავალი არტისტებსაც ვერ აკმაყოფილებდა; ძველი ვალი ვალადვე რჩებოდა და მას ახალი ემატებოდა.

ექვს თვეს აცოცხლა კერესელიძემ თეატრი, ექვსი თვის შემდეგ კი მოვალეებმა ყველაფერი ვალში გაუყიდეს და თეატრის არსებობას ბოლო მოუღეს. დასი დაიშალა, ვალი კერესელიძეს დაატყდა.

„ჩემი ჯამაგირი სამი წლის განმავლობაში სულ მოვალეებს მიჰ-ქონდათ“, — წერს კერესელიძე.

ამგვარად ქართულმა თეატრმა ხუთი წლის არსებობის შემდეგ სული დალია.

ამის შემდეგ ოცდაოთხმა წელმა გაიარა, სანამ სამუდამო სცენის დაარსება შესაძლებელი გახდებოდა. ამ ოცდაოთხი წლის განმავლობაში ხალხი ნელ-ნელა იღვიძებდა და წინ მიდიოდა. ბატონყმობა მოისპო, ევროპული ცხოვრების გზაზე მტკიცედ შედგა ფეხი ჩვენმა ქვეყანამ. მაგრამ გამოფხიზლება იმდენად ძლიერი ჯერ არ ყოფილა, რომ საზოგადოების მოთხოვნილებას თეატრი დაებადა. მხოლოდ ხანდახან სცენისმოყვარენი გამართავდნენ ხოლმე წარმოდგენებს თუ კლუბებში, თუ კერძო ოჯახებში, და ამით თეატრის სიყვარულს ნელ-ნელა აღვივებდნენ საზოგადოებაში. ამ დროის განმავლობაში ყველაზე მეტი სამსახური ჩვენი თეატრისათვის ნ. ავალიშვილს, ან. ფურცელაძეს და ა. როინაშვილს მიუძღვით.

როდესაც საზოგადოებამ იმდენად გამოიღვიძა, რომ თეატრის საჭიროება თვით ცხოვრების განვითარებამ გამოიწვია, შეადგინეს ამხანაგობა: დიმიტრი ყიფიანმა, გიორგი თუმანიშვილმა, დავით ერისთავმა, ნ. ავალიშვილმა, იოს. ბაქრაძემ, ალ. სარაჯიშვილმა, ილ. ჭავჭავაძემ და განიზრახეს სამუდამო სცენის დაარსება. მათ შეაგროვეს ფული, დააარსეს დრამატული კომიტეტი, გამოიკვლიეს ამხანაგობის წესდება და 1879 წ. 5 სექტემბერს ჩაჰყარეს საძირკველი სამუდამო სცენისა: ამ დღეს წარმოდგენილი იქნა კნ. ბარბარე ჯორჯაძის კომედია — „რას ვეძებდი და რა ვპოვე“.

იქიდან მოკიდებული დღემდე ოცი წლის განმავლობაში ჩვენი თეატრი არ დახურულა; ის თუმცა რყევით მიდიოდა წინ, თუმცა ხშირად განსაცდელში ყოფილა ხოლმე, მაგრამ მისი არსებობა უკვე მტკიცე ნიადაგზე არის აგებული; ეს მტკიცე ნიადაგი ჩვენი საზოგადოების სულიერი მოთხოვნილებაა, ჩვენი ცხოვრება წინ მიდის, საზოგადოების სულიერი მოთხოვნილება უფრო იზრდება და ძლიერდება; ამიტომ თეატრიც დღითი დღე უფრო საჭირო ხდება ჩვენთვის და მისი დღეგრძელობა ეჭვს გარეშეა.

სამუდამო სცენის მეორედ დაარსებაში ყველაზე გულმხურვალე მონაწილეობას იღებდნენ დ. ყიფიანი და გ. თუმანიშვილი. გიორგი თუმანიშვილი არაფერს ზოგავდა, რომ თეატრი მტკიცე ნიადაგზე დაეყენებია და დაეწინაურებია; ის ცდილობდა, რომ თეატრის სიყვარული სოფელშიაც აღეძრა და ამიტომ დასი სოფლებშიაც დაჰყავდა ხოლმე. ამგვარმა შრომამ ის დაასნეულა, ამას ზედ დაერთო უმადურობა და იგი იძულებული გახდა 1880 წლის გასულს თეატრი-

სათვის თავი დაენებებია; ამავე დროს დრამატიულმა კომიტეტმაც ხელი აიღო თეატრზე და მეთაურობა ვ. აბაშიძემ და კ. მესხმა იკისრეს. ამ ორ პირს პირველ ხანს კარგად მიჰყავდათ საქმე, მაგრამ მალე თავი დაანებეს და თეატრის წინგაძღოლა იკისრა აკაკიმ.

აკაკის მეთაურობა მეტად ხანმოკლე იყო, მას შემდეგ მეთაურობას ხან ერთი პირი კისრულობდა, ხან მეორე; პატარა ხანს ისევ შედგა დრამატიული კომიტეტი, მაგრამ მალე დაიშალა.

დღევანდელ ჩვენს თეატრს ისევ დრამატიული კომიტეტი განაგებს.

ჩვენ ზოკლედ განვიხილეთ ჩვენი თეატრის ნახევარი საუკუნის ისტორია. შემდეგ წერილში ვეცდებით დავანახოთ მკითხველს, რაზ წარმოადგენდა ამ დროის განმავლობაში ქართული სცენა, რას აძლევდა ის ჩვენს საზოგადოებას და რამდენად უწყობდა ხელს ჩვენი ცხოვრების წინმსვლელობას.

II

ყოველგვარ დაწესებულებას მხოლოდ მაშინ შეუძლია შესაფერი სარგებლობის მოტანა, როცა ის პირდაპირი შედეგია საზოგადოებრივი წინმსვლელობისა, როცა ის საზოგადოების სულიერი მოთხოვნილებებით არის გამოწვეული, როცა საზოგადოებას შეგნებული აქვს მისი მნიშვნელობა.

სამოცდაათიან წლებში ჩვენმა ცხოვრებამ შესამჩნევი ნაბიჯი წადგა წინ; განათლებული და განვითარებული გონების პატრონი ახალგაზრდები ბლომად გამოერიენ ცხოვრებაში; ჩვენი მწერლობა აყვავდა. ოცი წლის წინათ თუ ერთმა „ცისკარმაც“ ვერ იფორჯალა, სამოცდაათი წლის დასაწყისში ქართულ ენაზე გამოდიოდა: „დროება“, „სასოფლო გაზეთი“, „კრებული“ და „მნათობი“. შედგა სხვადასხვა ლიტერატურული წრე, დაიბადა სხვადასხვა მიმართულება, ამან გამოიწვია კრიტიკის აღორძინება და განვითარება.

საზოგადოების გამოფხიზლებას და ლიტერატურის განვითარებას ის შედეგი მოჰყვა, რომ გასართობმა თეატრმა ველარავინ დააკმაყოფილა და ხელი მიჰყვეს რუსეთისა და ევროპის დრამატურგების თარგმნას. გაჩნდნენ ორიგინალური დრამატურგებიც. გ. წერეთლის „ჯიბრი“ 1872 წ. დაიწერა.

როდესაც საზოგადოებამ შეიგნო ჭეშმარიტი თეატრის ნამდვილი მნიშვნელობა, მაშინდელი საუკეთესო პირების შრომით კიდეც

დაარსდა სამუდამო სცენა, 5 სექტემბერს, 1879 წელს. ამგვარად, 1870 წლამდე ქართული თეატრი უმთავრესად გასართობი იყო; ის მხოლოდ სიყვარულს უღვიძებდა საზოგადოებას თეატრისადმი, ნიადაგს უმზადებდა ხალხის აღმზრდელ თეატრს, თვითონ კი აღმზრდელობითი მნიშვნელობა არა ჰქონდა.

შემდეგი ათი წლის განმავლობაში თეატრი ცდილობს გასართობ გზას თავი დაანებოს და საზოგადოების განვითარებას შეუწყოს ხელი, მაგრამ მუდმივი სცენა არ არსებობდა და წელიწადში ორი-სამი წარმოდგენა დიდ ნაყოფს ვერ მოიტანდა, თავის ჭეშმარიტ კალაპოტში ჩვენი თეატრი ხოლოდ მეოთხმოცე წლებში ჩადგა და მას აქეთ შეუჩერებლად იღებს მონაწილეობას ჩვენი ერის გონებრივსა და ზნეობრივ წინმსვლელობაში.

ჩვენს სცენაზე დღეს ბევრი ისეთი ნიჭიერი მსახიობია, რომ მათ შეუძლიათ საუკეთესო ევროპული სცენაც დაამშვენონ. სამწუხაროდ, ამასვე ვერ ვიტყვით ჩვენი დრამატურგების შესახებ. ჩვენს დრამატულ მწერლობაში ორი ხანა არის აღსანიშნავი: პირველი ხანა დაიწყო გ. ერისთავის კომედიებით, მეორე ხანა მეოთხმოცე წლებში დავით ერისთავის დრამით „სამშობლო“.

ყველა კომედია, რომელიც ქართულ ენაზე დაიწერა, გიორგი ერისთავის კომედიების კოპია; ყველა გარეგნულად ხატავს ცხოვრებას, ყველა ცდილობს სიცილი გამოიწვიოს ოხუნჯობით, მიქცეულ-მოქცეული სიტყვებით და არა მოქმედების განვითარებით და ხასიათთა კონტრასტებით; ყოველი ეს კი არ შეადგენს კომედიის დამახასიათებელ თვისებებს, — ასე რომ ნამდვილი კომედია ქართულ დრამატულ ხელოვნებას ჯერ არ შეუქმნია.

ყველა დრამა, რომელიც მეოთხმოცე წლებს აქეთ დაწერილა, დ. ერისთავის „სამშობლოს“ ზეგავლენის ნაყოფია. თუ ასეთი დრამები საზოგადოებაზე შთაბეჭდილებას ახდენს, უფრო პატრიოტული გრძნობის ბრალია, ვიდრე დრამების ღირსების.

რადგანაც ორიგინალური პიესები ცოტა მოგვეპოვებოდა და რაც იყო, უმეტესი ნაწილი ძალიან სუსტი იყო, ამიტომ ჩვენი მწერლობა იძულებული იყო უცხო დრამატურგები ეთარგმნა, და ამ მხრით ჩვენმა სცენამ და ლიტერატურამ ძალიან ბევრი შეიძინა.

შეუძლებელია იმის გამოკერძოება, რაც მარტო თეატრმა გააკეთა ამ დროის განმავლობაში; ხოლო თუ რამემ შეუწყო ხელი ჩვენი საზოგადოების გამოფხიზლებას, ცხოვრების წინმსვლელობას, ჩვენს თეატრსაც დიდი ღვაწლი მიუძღვის ამ მხრივ.

შემდეგში, როცა ცხოვრება უფრო გამოირკვევა და ის გასაზოვნებული კლასები, რომლებმაც ჩვენში თავი იჩინეს, დასრულე-

ბულ სახეს მიიღებენ, თეატრი უფრო მეტ სარგებლობას მოიტანს, რადგანაც ეცოდინება, ვინ ამხილოს და ვისი ინტერესები დაიცვას.

ამ ორმოცდაათი წლის განმავლობაში, როგორც აღმოჩნდა დრამატიული საზოგადოების გამგეობის მოხსენებიდან, თბილისის სცენაზე წარმოუდგენიათ სულ 219 პიესა, რომელთაგან კომედიები და ვოდევილებია 139, დრამა და ტრაგედიები 80. ამათში უმეტესი წილი თარგმანია, ორიგინალურია მხოლოდ 85 პიესა, 50 კომედია-ვოდევილი და 35 დრამა.

ამგვარად ჩვენი ორიგინალური რეპერტუარი არ ყოფილა მაინც და მაინც ღარიბი, თუმცა არც სიმდიდრე ეთქმის. ჩვენს დრამატურგებს უფრო კომედია-ვოდევილების თხზვაში გამოუჩენიათ ნიჭი. სამწუხაროდ კომედიებში ძალიან ცოტა არის ისეთი, რომ ამართლებდეს თავის სახელს; უმეტესი წილი უფრო ვოდევილსა ჰგავს, ვერ აჩვენებს მაყურებელს ჩვენი ცხოვრებისა და ბუნების გასაკიცხ თვისებებს. ვერ ჩააფიქრებს, ვერ დაუბადებს სურვილს ცხოვრებისა და თავისი თავის გაუმჯობესებისას.

დღეს არისტოკრატიამ და მისმა ქარაფშუტა ცხოვრებამ უპირატესობა დაკარგა ჩვენს ცხოვრებაში. დღეს მარტო არისტოკრატიის ინტერესები საზოგადო ყურადღებას აღარ იპყრობს; მათ ალაგს იჭერს მთელი ერის ინტერესები, მთელი ერის აწმყო და მომავალი და არა ერთი რომელიმე წოდების: ასე მოითხოვა ჩვენი ცხოვრების წინმსვლელობამ.

თუ ცხოვრებამ იცვალა ფერი, თეატრმაც უსათუოდ უნდა იცვალოს. თუ ის ერთ დროს აკმაყოფილებდა ჩვენს საზოგადოებას უშინაარსო კომედიებითა და ხმალ-ხანჯლის ტრიალის ცქერით, ასეთი პიესებით დღეს ბევრს ვეღარ დააკმაყოფილებს. რასაკვირველია, ჩვენი საზოგადოებრივი განვითარება ადრე თუ გვიან მისცემს ჩვენს ცხოვრებას დროის შესაფერ დრამატურგს, მაგრამ, სანამ ნიჭიერი კაცი დაიბადებოდეს და სცენას გარდაქმნიდეს, თვითონ სცენა უნდა ცდილობდეს დროის შესაფერი სახე მიიღოს. ჩვენი დღევანდელი სცენის შესახებ კი ამას ვერ ვიტყვით. როდესაც დღევანდელმა საპირბოროტო სოციალურმა კითხვებმა დიდი ხანია თავი იჩინეს ჩვენს ლიტერატურაში, როდესაც სოციალური კლასების აღორძინება ჩვენს ცხოვრებაში ყველასათვის ცხადია და ლიტერატურაც ვეღარ მალავს ამ მოვლენას, ჩვენი სცენა ჯერჯერობით ყურსაც არ იბერტყავს: ის ისევ ძველი არისტოკრატიის შექცევას ცდილობს. თუ კი ჩვენი დრამატურგები არ იღებენ ან ვერ იღებენ დღევანდელი ცხოვრებიდან პიესისათვის თემას, სცენამ რა მოაგვაროსო, იტყვის ზოგიერთი მკითხველი; აი რა უნდა მოაგვაროს: სხვა ერსაც გაუვლია ისე-

თი ხანა, როგორიც დღეს ჩვენშია, სხვა ერსაც ჰყოლია ასეთი ხანის შესაფერი ნიჭიერი დრამატურგები. მარტო ნაციონალური დრამატურგებით არც ერთი სცენა არ იკვებება და ჩვენ სად დაგვებადება იმდენი დრამატურგი, რომ მარტო მათ დააკმაყოფილონ ჩვენი სცენა? აი ამ უცხო მწერლებს უნდა მიაქციოს ჩვენმა სცენამ ყურადღება და თარგმნოს ისეთი პიესები, რომლებიც უფრო შეეფერებიან დღევანდელ ჩვენს ცხოვრებას, რომლებიც უფრო მეტ მასალას მისცემენ დღევანდელი ქართველის გულსა და გონებას. ამ გზას უნდა დაადგეს ჩვენი სცენა, თუ უნდა საზოგადოებრივ წინმსვლელობაში თავისი წვლილი შეიტანოს და არ გადაიქცეს მარტო გასართობ დაწესებულებად, როგორიც ის ამ ოცდახუთი წლის წინათ იყო.

1900

დავ. კლდიაშვილის მოთხრობანი

სხვადასხვა აზრთა შორის საზოგადოებისა და მისი ზრდა-განკითარების შესახებ მკითხველი შეხვდება ორ აზრს, რომლებიც ერთიმეორის სრული წინააღმდეგია. პირველი ამბობს: საზოგადოებრივი ცხოვრება იგივე ბრძოლაა არსებობისათვისაო, მეორე კი ამტკიცებს: საზოგადოებრივი ცხოვრება შეზღუდვაა, ალაგმაა არსებობისათვის ბრძოლისაო. რა თვალითაც უნდა უყურებდეს მკითხველი საზოგადოებას, ერთი გარემოება ყველასათვის აშკარაა: საზოგადოებრივი ცხოვრება შეზღუდვაა ადამიანის პიროვნებისა. ადამიანის გრძნობებს, ადამიანის მიდრეკილებათ საზოგადოებაში არა აქვს ბუნებრივი თავისუფლება დათმობილი და სწორედ ამაში მდგომარეობს საზოგადოებრივი ცხოვრების ერთი კარგი თვისება: ადამიანში ეგოისტური, საპიროვნო ინსტინქტები ჯერ იმდენად ჭარბობენ ალტრუისტულ, სოციალურ ინსტინქტებს, რომ თუ საზოგადოება არ შეზღუდავს პირველი ინსტინქტების ბუნებრივ მსვლელობასა და განვითარებას, მაშინ აღარავითარი გონივრული აზრი აღარ ექნება თვით საზოგადოებრივ ცხოვრებასაც, რომლის ერთადერთი მიზანია უზრუნველჰყოს, დაიცვას ადამიანის სიცოცხლე, მისი პიროვნება და უფლებანი. თუმცა, ამგვარად, საზოგადოებრივი ცხოვრება შეზღუდვაა ადამიანის პიროვნებისა და ამით შეზღუდვაა თვით არსებობისათვის ბრძოლისაც, მაგრამ ეს სრულიად იმას არ ნიშნავს, რომ საზოგადოებაში არსებობისათვის ბრძოლას ალაგი აღარ ჰქონდეს; არსებობისათვის ბრძოლა საზოგადოების ერთ ნიშნობლივ მხარეს შეადგენს. როგორც ბუნებაში, ისე საზოგადოებაშიაც ბრძოლა ორგვარია: ბრძოლა საზოგადოებისა ბუნებასთან და ბრძოლა საზოგადოების სხვადასხვა ნაწილთა შორის. ხოლო ეს ბრძოლა ბუნებრივი ბრძოლისაგან მით განირჩევა, რომ მეორე მოკლებულია რთულ და მოსაზრებულ ორგანიზაციას, თვით საზოგადოებაში კი არსებობისათვის ბრძოლამ რთული ორგანიზაცია მიიღო. მაშინ, როდესაც ბუ-

ნებრივ პირობებთან ბრძოლით ერთიანად მთელი საზოგადოება იცავს თავის თავს, აუმჯობესებს თავისი ცხოვრების პირობებს, ბრძოლას საზოგადოების სხვადასხვა ნაწილს შუა სრულებით სხვა მიზანი აქვს. სხვადასხვა ნაწილი საზოგადოებისა რომ ყველა ერთნაირის უფლებით იყოს აღჭურვილი, უპირატესობა არც ერთს არ ეკუთვნოდეს და მხოლოდ უმრავლესობა აწარმოებდეს ყველაფერს და არა უმცირესობა, მაშინ მეორეგვარ ბრძოლას საზოგადოებაში ალაგი არ ექნებოდა. მაგრამ ყოველგვარ საზოგადოებაში მთლიანობა დარღვეულია, უფლებითი ერთგვარობა უარყოფილია და ერთი ნაწილის ბედნიერება მეორე ნაწილს გახდომია საზიდავ ტვირთად. ამიტომ ყოველი ნაწილი საზოგადოებისა ან იმისათვის იბრძვის, რომ თავისი უპირატესობანი დაიცვას და ბატონობა შეინარჩუნოს — თუ ბატონია, — ან მისთვის იბრძვის, რომ უფლებანი მოიპოვოს — თუ მათ მოკლებულია, — და მონობის უღლიდან თავი განითავისუფლოს.

ბატონყმური წყობილება როგორც ყველგან, ისე ჩვენშიც წარმოადგენდა განსაზღვრულ ორგანიზაციას კლასთა შორის ბრძოლისას. ერთი მხრით ბატონი და მეორე მხრით ყმა ორ სხვადასხვა კლასს ეკუთვნოდნენ; ბატონი მთელი თავისი სიმძიმით ყმას აწვა კისერზე, ყმა ბატონის სრულს კუთვნილებას შეადგენდა, ბატონის ხელთ იყო მისი ბედ-იღბალი და, თუ მას ხშირად კარგ მეძებარში ან მიმინოში გასცვლიდა ბატონი და მოგლეჯდა ოჯახს, მაშინ ჩვენი წარსულის მოტრფიალენი მარტოდმარტო მამობრივ მზრუნველობას ხედავდნენ! ბატონი და ყმა იმდენად განირჩეოდნენ ერთიმეორისაგან უფლება-უპირატესობით, რამდენადაც სხვადასხვა ეკონომიურ პირობებში იყო მოქცეული თვითეული მათგანის ცხოვრება. ნატურალური წარმოების დროს ყველაზე მეტი მნიშვნელობა მიწას ჰქონდა. მიწა კი ერთიანად ბატონის ხელში იყო. ქონებრივად ბატონი ყმაზედ გაცილებით მაღლა იდგა და ქონებრივი უპირატესობით შეიძინა მან მეტი მნიშვნელობა, უფლებანი და ძალა საზოგადოებრივ ცხოვრებაში; ყმა კი ღატაკი იყო ქონებით და ამიტომ უფლებითაც სრულს არარაობას წარმოადგენდა; საზოგადოებრივ ცხოვრებაში ის არ იყო განკერძოებული პიროვნება, არამედ ნივთი, ღირებულება; ყმა და მიწა წარმოადგენდნენ ორ მთავარ ბოძს, რომლებზედაც დამკვიდრებული იყო ბატონის ძლიერება. ბატონი მარტო იმით კი არ იყო ძლიერი, რომ ის მიწის პატრონი იყო, არამედ უმთავრესად იმით, რომ მას ჰყავდა ყმა. ცხოვრება მარტივი იყო, მოთხოვნილებანი ერთფეროვანი, ღვინო და პური ასრულებდა ფულის დანიშნულებას, ორსავე ამას კი ყმა აძლევდა ბატონს. წაართვით

ბატონს მიწა და ყმა, და ამით წაერთმევა მას განსაკუთრებული უპირატესობანი ცხოვრებაში. სწორედ ასეთი მტრობა გაუწია ბატონს კაპიტალისტურმა ხანამ: ბატონს ჩამოერთვა ყმა, მიწის ძალა და მნიშვნელობა ფულმა დაისაკუთრა და ძველი ბატონის ალაგას ფულის პატრონი გაბატონდა. ბატონი და ყმა წარმოიშვნენ ნატურალური წარმოების ნიადაგზე, ნატურალური წარმოების გარეშე მათ არ შეეძლოთ თავისი სახე შეერჩინათ. კაპიტალისტურმა წარმოებამ კი მოითხოვა ახალი ურთიერთობა საზოგადოების წევრთა შორის; მისთვის საჭიროა თავისებური ფიზიკური ძალა და ამიტომ ის უარჰყოფს ყმას, მისთვის მნიშვნელობა აქვს მხოლოდ ფულს და არა მიწას; ამიტომ ის უარყოფს მიწის პატრონს და პირველობას აძლევს ფულის პატრონს.

ჩვენი ბელეტრისტიკა თავადაზნაურობის შესახებ გადაჭრილ პასუხს იძლევა. თანამედროვე ბელეტრისტთა შორის ერთი საუკეთესო ალაგი უჭირავს დ. კლდიაშვილს. სხვა ღირსებათა შორის მას აქვს ერთი დიდი ღირსებაც: მისი ნაწერები სახელოვნო ჭეშმარიტებაა. უტყუარი სარკეა ჩვენი ცხოვრებისა. თითქმის არც ერთ ჩვენს ახალგაზრდა ბელეტრისტს არ ეხერხება ჩვენი ცხოვრების სურათების დახატვა იმდენად უტენდენციოდ და მარტივად, როგორც დ. კლდიაშვილს. ჩვენი ცხოვრების დამახასიათებელ სურათებს წარმოადგენენ „სამანიშვილის დედინაცვალი“ და „სოლომონ მორბელაძე“. დ. კლდიაშვილი გამოვიდა თუ არა სამწერლო ასპარეზზე, მაშინვე რეალურ გზას დაადგა. ჩვენ არ ვამბობთ, რეალური მიმართულება საუკეთესო გზა იყოს სიტყვაკაზმული მწერლობისათვის; საუკეთესო მიმართულება ყოველგვარ მოღვაწეობაში ის არის, რომელიც უკეთ ემსახურება თანამედროვე ცხოვრებას. ადვილი შესაძლებელია, ხელოვნებამ სულ მალე უარჰყოს რეალიზმი, მაგრამ არის ისეთი ხანა, როდესაც ბელეტრისტი უმთავრესად პუბლიცისტი უნდა იყოს და სწორედ ასეთ ხანაშია რეალური მიმართულება უფრო დროის შესაფერი და ნაყოფიერი. ასეთ ხანაში გამოვიდა კლდიაშვილი მწერლობაში. ყველა გრძნობდა და ამჩნევდა, რომ ცხოვრებაში რაღაც ცვლილება ხდებოდა, ძველი განწყობილება ირღვეოდა, მაგრამ ეს ცვლილება ყველას თავისებურად ესმოდა: ვინც ძველით კმაყოფილი იყო, ის გაიძახოდა — ძველი საზოგადოებრივი განწყობილება უცვლელი დარჩებაო; ვინც ახლისაკენ უფრო მიისწრაფოდა, ის ამტკიცებდა — ყოველივე ძველი უნდა დაირღვესო. მაშინ, როდესაც საუკეთესო არგუმენტად ცხოვრების დაკვირვება და მისი პირუთვნელად შესწავლა კი არ იყო აღსარებული, არამედ ლანძღვა-გინება და პიროვნების დამცირება (სამწუხაროდ, ეს დღესაც ასეა

ჩვენში), დ. კლდიაშვილმა ცხოვრების შესწავლა აირჩია თავის მიზნად და წოდებათა ბედ-იღბლის გამოკვლევა თავისი ხელოვნების საგნად. უმთავრესი ყურადღება კლდიაშვილს თავადაზნაურობისაკენ აქვს მიქცეული. თავადაზნაურობის შესწავლა მან დაამთავრა „ქამუშაძის გაჭირვებით", სადაც მან გამოსთქვა თავისი უკანასკნელი აზრი და დაკვირვება: თავადაზნაურობა გაპროლეტარების გზაზე არის შემდგარი.

დიდი ნაწილი ჩვენი თავადაზნაურობისა გაღატაკებულია და არა თუ გლეხს ვეღარ სჯობია ქონებრივად, ზოგიერთ კუთხეში ის უფრო გაჭირვებულია: დასავლეთ საქართველოში ბევრგან შეხვდებით, რომ გლეხს ოდა წამოუჭიმავს და მის გვერდით იმის გუშინდელ ბატონს საჯალაბო სახლიც კი თავზე ეზგრევა.

თუ შეძლებული ნაწილი ჩვენი არისტოკრატიისა ჯერ კიდევ ოცნებობს უპირატესობა შეიძინოს ცხოვრებაში და თავისი საკუთარი ლხინი და მუცლის ტკივილი მთელი ერის ლხინად და ჭირად მიაჩნია, სამაგიეროდ გაღატაკებულმა ნაწილმა თავი დაანება ამგვარ ოცნებას და მისი ფიქრი და აზროვნება მხოლოდ იმ ორიოდე კვალი მიწის გარშემო ტრიალებს, რომელიც მას დღემდე შერჩენია, — მისი უმთავრესი საზრუნავი ის არის, რომ როგორმე ეს მიწა შეირჩინოს და ეს მაინც არ გამოეცალოს ხელიდან. მან უკვე შეიგნო, რომ ახალი დრო დადგა, ის ახლა იმას ცდილობს, კუჭი მაძღარი ჰქონდეს და დღეს თუ ლუკმა პურს სჭამს, არც ხვალ მოშივდეს. ამის საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს „სამანიშვილის დედინაცვალი". მიწა ერთადერთი გასაღებია პლატონ სამანიშვილის ფსიქოლოგიისა, რაც ავტორს სინამდვილითა და სამაგალითოდ აქვს დახასიათებული. პლატონი გაღარიბებული აზნაურია. სხვებთან შედარებით მას კიდევ აქვს რიგიანი ლუკმა, რადგანაც ცოტაოდენი ადგილ-მამული კიდევ შერჩენია; ის კარგად გრძნობს, რომ მისი და მისი ცოლ-შვილის ბედ-იღბალი დამოკიდებულია მიწაზე და ყოველგვარი მისი მოქმედების, მისი მხიარულების, მისი მწუხარების, მისი შიშის, ერთი სიტყვით, მისი გონებრივის ცხოვრების ერთადერთი სათავე მიწაა, რომელიც მას ძილშიაც კი არ ავიწყდება. მან კარგად იცის, რომ მიწა ერთადერთი წყაროა მთელი მისი ოჯახის ცხოვრებისა, მიწის შემცირება და დამშევა ერთი და იგივეა მისთვის და ამიტომ მთელი თავისი არსებით ჩაბღაუჭებია ამ მიწას და მთელ მის სულიერ კმაყოფილებას და მყუდროებას აქარწყლებს მარტო ის მოფიქრება, ვაი თუ მიწის მოცილე გაუჩნდეს ვინმე. პლატონის ფიქრი და მოქმედება პირველი შიშიდან მოკიდებული დედინაცვლის ცემამდე მხოლოდ მიწით აიხსნება. მამამისი ბეკინა ცოლს ირ-

თავს. მერე რა ვუყოთ?! მეორე კი არა, ზოგს მესამე მოჰყავს და მეოთხეც, მაგრამ ცა კი არავის ექცევა თავზე! უწინდელი დრო რომ ყოფილიყო, როდესაც აზნაური პლატონი მიწას მტკაველობით კი არ ზომავდა, დედინაცვლის მოყვანას პლატონი არაფრად ჩააგდებდა; მაგრამ დღეს, როდესაც ის გაღარიბდა და სხვის ნაბიჯსაც იმ თვალით ზომავს, თუ რა შეეძინება ან რა დააკლდება მის ქონებას, პლატონმა კარგად იცის, რომ დედინაცვალს ან შვილები მოჰყვება თან და მაშინ ოჯახს მეტი მეჯამელი პირი შეემატება, ან ეყოლება შვილები და მაშინ პლატონის ლუკმა შემცირდება, და ამიტომ ის წინააღმდეგია დედინაცვლის. უწინდელი დრო რომ ყოფილიყო, დედის სიკვდილს უმალ მისი გული იგრძნობდა და მწუხარებას მიეცემოდა, როგორც შვილი; დღეს კი დედის სიკვდილს გულზე უმალ მისი კუჭი გრძნობს და ის იგლოვს დედას უფრო, როგორც მიწის მესაკუთრე, ვიდრე შვილი; მან იცის, დედის სიცოცხლე მას იფარავდა ახალგაზრდა დედინაცვლისაგან, დედის სიკვდილმა კი შეიძლება ოჯახში ისეთი დედინაცვალი შემოიყვანოს, რომელსაც შვილები მიეცემა. უწინდელი დრო რომ ყოფილიყო, პლატონს ეყვარებოდა ბეკინა, როგორც მამა, პატივს სცემდა მას, მუდამ წარბებში ცქერასა და პირფერობას არ დაუწყებდა; დღეს კი პლატონის სიყვარულსა და პატივისცემაში იმდენად მამაშვილური გრძნობა არ ურევია, რამდენადაც მიწა, — პლატონს ეიწა უფრო უყვარს და, თუ მამას მოვლასა და პატივისცემას უორკეცებს, მხოლოდ იმიტომ, რომ ადგილი შეირჩინოს. პლატონი მშრომელი, უწყინარი, უბოროტო და პატიოსანი კაცია. ამ მხრივ ის სრული მსგავსებაა მამამისი ბეკინასი. მაგრამ მამასა და შვილს შორის ერთი განსხვავებაა: მიწის შემცირების შიშს სრულებით დაუმონებია და დაუბეჩავებია პლატონის გული და გონება; ბეკინას შესახებ კი ამას ვერავინ იტყვის. რა არის ამგვარი განსხვავების მიზეზი? მხოლოდ სხვადასხვაობა იმ პიროებისა, რომლებშიაც აღიზარდნენ მამა და შვილი. ბეკინა დაიბადა და აღიზარდა მაშინ, როდესაც თავადაზნაურობა ჯერ კიდევ სრული ბატონი იყო. მაშინ ცხოვრება არ იყო რთული, ფული დიდ საჭიროებას ჩვენი თავადაზნაურობისათვის არ შეადგენდა; ბეკინას მიწა იმდენი ჰქონდა, რომ საკმაო პურსა და ღვინოს აძლევდა და ის სრული კმაყოფილი იყო თავისი ეკონომიური მდგომარეობის. ამგვარი შიში, ვაი თუ ხვალ მიწა შემომაკლდეს და მომშივდესო, ბეკინას არ უკარგავდა მოსვენებას. დღეს კი თუმცა სხვა დრო შეესწრო ბეკინას, მაგრამ მისი შეხედულება და გრძნობანი ძველებური დარჩნენ. მას უკეთესი გზა თავისი ცხოვრებისა უკვე განვლილი აქვს და ამიტომ მომავალიც აღარ აშინებს. სულ სხვაგვარია პლატონის მდგომა-

რეობა. ის ცხოვრობს ისეთ დროს, როდესაც თავადაზნაურობის პატონობას რეალური საფუძველი გაეოცლილი აქვს. ბეკინას თუ ოჯახისათვის საკმაო პური და ღვინო მოუვიდოდა, ის შეძლებულ აზნაურად ითვლებოდა და გული საგულეს ჰქონდა. დღეს კი მარტო ოჯახისათვის საკმარისი პური და ღვინო პლატონისათვის სანუგეშოსა და გასამხნევებელს არაფერს წარმოადგენს. ცხოვრებამ მას თავს დაატეხა მრავალი საჭიროება, რომელსაც უფულოდ თავს ვერ გაართმევს, ფულის წყარო მას სხვა არაფერი გააჩნია, გარდა მიწისა, მიწა კი ველარ გასწვდა ოჯახის გამრავლებულ მოთხოვნილებათ და უმთავრესად ფულის საჭიროებას. წინათ ბეკინას მოჯამაგირე არ სჭირდებოდა, იმის ოჯახში მისი ყმები მუშაობდნენ მორიგეობით; დღეს კი პლატონს მოჯამაგირე სჭირდება, რომელსაც ფული უნდა; წინათ ბეკინას ფული არ სჭირდებოდა, როცა ახლობელი ვინმე მოუკვდებოდა, პურსა და ღვინოს მიიტანდა და მეტი არაფერი ეხარჯებოდა; დღეს კი პლატონი ახლობელი ნათესავის სატირლად ვერ წავა, თუ ფული არა აქვს; წინათ ბეკინას ხუთი ან ათი თუმანი რომ მიეცა ქალისთვის მზითვად, მთელ კუთხეში ხმა გავარდებოდა, ბეკინამ ასეთი დიდი მზითევი გაატანა ქალსაო; დღეს კი პლატონს ხუთი და ათი თუმნით ხელს არავინ მოუკიდებს ქალს; წინათ არც ბეკინას მამას უფიქრია შვილის განათლებაზე, არც ბეკინას უფიქრია, დღეს კი პლატონი თუ განათლებას არ მისცემს შვილებს, იმდენი მაინც უნდა ასწავლოს, რომ სახელი და გვარი მოაწეროს ხელმე, და ამასაც ფული უნდა... ერთი სიტყვით, უწინდელის ერთი საჭიროების მაგიერ დღეს ათი და ოცი გაჩნდა და უწინ თუ ცოტა მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლადაც პური და ღვინო სრულებით საკმაო იყო, დღეს ფული, ფული და ფულია უპირველესად საჭირო.

ერთადერთ წყაროს ფულის მოპოვებისას და თან ცხოვრებისას პლატონისათვის მიწა შეადგენს; უწინ, როცა ფული ასე არ იყო საჭირო, ბეკინა შეიძლება არც კი აფასებდა დიდად მიწას, მაგრამ დღეს პლატონი საუცხოოდ ხედავს, რომ თავისი საკუთრების — მიწის გარეშე მას ხსნა და საშველი არა აქვს და ამიტომ არასოდეს მიუზიდნია ის მიწას ისე ძლიერად, როგორც დღეს, არასოდეს უგრძვნია მას იმდენად უძლურება და უსაშველობა მიწის გარეშე, როგორც დღეს. ამიტომ ადვილი გასაგებია პლატონის ფსიქოლოგიაც. თუ ასეთი მშვიდი, უწყინარი და უბოროტო ყმაწვილი კაცი იმდენად ეცემა ზნეობით, რომ მამას ურჩევს: შენ ცოლს მუცელი წაუხდინეო, ამგვარი უზნეობის სათავე მიწის შემცირების შიშია და ამგვარი შიშით შეპყრობილ პლატონს არ შეეძლო სხვაგვარი რჩევა

ფიეცა მამისათვის, როდესაც მიწის მოცილეს უკვე თავისი თვალით ხედავდა. როდესაც პლატონი ელენეს წიხლებქვეშ გაიგდებს, ეს სრულებით ბუნებრივი საქციელია: მიწის დაკარგვის შიშს შეუძლია უსაშინელეს ბოროტებამდე მიიყვანოს ისეთი პატიოსანი კაციც კი, როგორიც პლატონია. პლატონის არსებაში მთელი დრამა სწარმოებს; ეჭვები, ტანჯვა, იმედები, სასოწარკვეთილება ერთიმეორეს შეუჩერებლად სცვლიან და თუ ჩვენ ამ დრამას მკაფიოდ, გარკვევით ვერ ვამჩნევთ, იმიტომ რომ თვითონ პლატონიც პატარა, შეუმჩნეველი კაცია, უმეტესი ნაწილი მკითხველისა არც კი მიაქცევს მას ყურადღებას. დრამის უკანასკნელ აქტში ჩვენ თვალწინ დგას აზნაური პლატონი, რომელიც სამზარეულო სახლში დაბინავებულა თავისი ცოლ-შვილით და ცხოვრებით გაგლეხკაცებულა. იქნება პლატონი გამონაკლისია მხოლოდ? არა, პლატონი ერთი მრავალთაგანია. ჩვენი წოდების ცხოვრებაში ნელი, მაგრამ საზოგადო კატასტროფა წარმოებს. მსხვერპლი მარტო პლატონი კი არ არის, მისთანა ათასია; არისტო ქვაშავიძე, დათია ბრეგაძე და სხვანი მსგავსნი რითი განირჩევიან პლატონისაგან? არაფრით. ერთადერთი განსხვავება იმაშია, რომ არისტო და დათია ადრე გარიყა ცხოვრებამ, პლატონი უფრო გვიან. როგორც არისტო, ისე დათია ბრეგაძე ავტორს სამაგალითოდ ჰყავს დახასიათებული. არისტო წარმოადგენს ნამდვილ ტიპს მოხერხებული, გაქნილი, გაიძვერა იმერლისას, რომელსაც სახლიც კი აღარ უდგია, რომ შიგ თავი შეაფაროს და სხვის კარზე აღამებს და ათენებს, მუდამ სხვის სუფრაზე ძღება. მიუხედავად თავისი უკიდურესი სიღარიბისა, აზნაურული ამაყობა და მედიდურობა კიდევ შერჩენია: ისე თავს არავის გააცნობს, რომ არ დაატანოს, აზნაური გახლავარო; ორჯერ რომ ვისმე სახლში დრო გაატაროს, მესამეჯერ თვითონ მიიპატიჟებს უსათუოდ, მაგრამ რადგანაც სახლში ნაცარიც კი არ გააჩნია, ნათლიმამის პურღვინით გაუმასპინძლდება. სულ სხვაა დათია ბრეგაძე. არისტო თუ ყმაწვილი კაცია, თავისი თავის მეტი არავინ გააჩნია და სადაც უნდა, იქ ირჩენს თავს, დათია ბრეგაძე ხანში შესული კაცია, მას მთელი ოჯახი აწევს სარჩენად კისერზე; ერთადერთი სახსარი ცხოვრებისა მისთვის მიწაა; მთელი თავისი სიყმაწვილე მას მიწაში ჩაუკლავს. დილიდან საღამომდე მუშაობს, მაგრამ მიწა იმდენად უმადურად აკმაყოფილებს მის შრომას, რომ ოდესღაც სტუმრისმოყვარე და გულუხვ აზნაურს დღეს სტუმარიც კი შესძულებია.

მეტის შრომისა და სიღარიბისგან დათია მუდამ აღრენილია, გულჩათხრობილი და წინათ თუ სტუმრის დანახვა ამხიარულებდა,

დღეს მხოლოდ აბრაზებს, რადგანაც ერთი დოქი ღვინოც კი აღარ აბადია სახლში, რომ სტუმარს დაალევინოს.

ჩვენს თავადაზნაურობაში ორგვარი ხასიათის პირებს შეხვდება მეთვალყურე: პირველნი თუმცა გრძნობენ, რომ აღარც აწმყო, აღარც მომავალი მათ აღარ ეკუთვნით, მაგრამ მიუხედავად ამისა გულს არ იტეხენ და ცდილობენ არა თუ სხვები, თავისი თავიც დაარწმუნონ, რომ თავადაზნაურობა და გლეხობა ღვთისაგან არის დაწესებული და, მაშასადამე, არც დაირღვევა არასოდეს; მეორენი კი მშვენივრად ატყობენ, რომ თავადაზნაურობა დაღუპვის გზას ადგას და ამას აღარც თავის თავს, აღარც სხვას აღარ უმალავენ. უკანასკნელთა რიცხვს ეკუთვნის სოლომან მორბელაძეც. ადგილ-მამული სოლომანს ვეღარ არჩენს, მან ან ავაზაკობა, ან ქურდობა უნდა დაიწყოს, რომ თავი ირჩინოს, ან სხვა რაიმე სახსარი გამონახოს ცხოვრებისათვის. ასეთ სახსრად სოლომანს აურჩევია მაჭანკლობა. მაშვლობა სოლომანისათვის ერთადერთი წყაროა, ერთადერთი საშუალებაა ფულის შოვნისა. თავისი შოვალეობის ასრულების დროს ის ხშირად თავის ღირსებას და ნამუსსაც კი ღალატობს, ათასგვარ ხერხს სმარობს, რომ ორივე მხარე მოატყუოს — ქალის პატრონიც და საპიძოც; მაგრამ არაფრის წინაშე არ იხევს უკან, ოღონდ კი ორიოდე თუმანი იშოვნოს. ბესარიონი სოლომანს ბევრში წააგავს, ხოლო მასავით გაიძვერა, გაქნილი და მოხერხებული არ არის, და თუ სოლომანი ებრძვის ცხოვრებას და ცდილობს თავი დააღწიოს დაღუპვას, ბესარიონი უბრძოლველად კვდება. უწინდელი დრო რომ იყოს, ვინ გაუბედავს მას და ეტყვის — გლეხს ქალი მიეცით; გაუჭირვებლად და დაუხარჯავად საუკეთესო აზნაურს იშოვიდა სიძედ; დღეს კი მას გლეხი კაცის შოვნაც კი საძნელო და სამუდარო საქმედ გახდომია: უნდა ვალში ჩაიფლოს, თავი დაიმციროს და სოლომანისთანა კაცს სახლში ეახლოს და თვალცრემლიანი ემუდაროს, გლეხკაცს ნუ მიატოვებინებთ ჩემს ქალსაო. რა აიძულებს ბესარიონს გლეხი შეიყვანოს სახლში სიძედ? იქნება ის წოდების უარმყოფელია, ან განათლებას მაღლა აყენებს გვარიშვილობაზე? არც ერთი და არც მეორე. „ფულს და ქალს რავა მივცემ ქათამაძეს? კაი ფულით კაი გვარიშვილის კაცს ვიშოვი“, — აი, ბესარიონის სიტყვები. აქედან აშკარაა, რომ უფულობა, სიღარიბე აიძულებს ბესარიონს ქალი გლეხს მიათხოვოს. მას რომ ფული ბლომად ჰქონდეს, მაშინ რიგიან აზნაურს გამონახავდა, ახლა კი იძულებულია თავისი შეხედულებისა და გემოვნების წინააღმდეგ გლეხი ისიძოს, რადგანაც ეს უკანასკნელი უფრო ნაკლებ ფულს სჯერდება, მაგრამ ბესარიონის უბედურებაც იმაში მდგომარეობს, რომ ეს ნაკლებიც სავალებლად გახდომია. ბე-

სარიონი მშვენივრად გრძნობს, რომ არა თუ მარტო მას, მთელ აზნაურობას გასაჭირი დღე ადგია, ლუკმა პურს ძლივს შოულობს; ფიქრობს, ფიქრობს ბესარიონი, მაგრამ ვერაფერი მოუგვარებია და ნელ-ნელა უკან-უკან მიდის. ერთი ქალიც კიდევ რომ გაათხოვოს, მაშინ იძულებული იქნება ისე იცხოვროს, როგორც ბრეგაძეები და პლატონ სამანიშვილი ცხოვრობენ.

ორსავე მოთხრობაში მკითხველი ბევრს ნახავს ტიპიურ პირებსა და ტიპიურ სურათებს, ხოლო შეხვდება ერთს უმთავრეს ნაკლსაც, რომელიც ამჩნევია საზოგადოდ ყველა ნაწერებს დ. კლდიაშვილისას: მაშინ, როდესაც უმთავრესი პირნი მკაფიოდ და გარკვევით არიან დასურათებულნი, დანარჩენები ისე ბუნდოვნად მოსჩანან, თითქოს ჩრდილში მოქმედებენო. რასაკვირველია, რაც უფრო საყურადღებოა ცხოვრებაში, უფრო საყურადღებოა მკითხველისათვის და ყოველსავე საყურადღებოს ავტორიც მეტს ყურადღებას აქცევს, მაგრამ სახელოვნო ნაწარმოები მხოლოდ მაშინ არის სრული, როდესაც ყოველი უმნიშვნელო საგანი, უმნიშვნელო ფაქტიც კი ჯეროვნის ყურადღებით არის დახატული.

ერთადერთი დასკვნა, რომელსაც გამოიტანს მკითხველი აღნიშნული მოთხრობებიდან, ის არის, რომ დღევანდელ დროს წოდებრივი ურთიერთობანი იშლება, აზნაურობა ქონებრივად თანდათან ეკვეითდება და გლეხობის ღარიბ ნაწილს უთანასწორდება. როგორის თვალითაც უნდა უყურებდეს მკითხველი ამ მოვლენას ჩვენს ცხოვრებაში, რა რწმენა-შეხედულებისაც უნდა იყოს ის, უნდა შეურიგდეს იმ აზრს, რომ წოდებრივი წყობილების დარღვევა დრომ მოიტანა და ამას ვეღარაფერი გააბრუნებს უკან. ეჭვს გარეშეა, რომ ყოველდღიურ ცხოვრებაში პიროვნებას კიდევ აქვს მნიშვნელობა, მაგრამ ისტორიულ პროცესში პიროვნების ნება და სურვილი სრულებით უძლურია: დროის მოთხოვნილება თავისას გაიტანს, რა ძლიერი დაბრკოლებაც უნდა ეღობებოდეს წინ. ხოლო შესაძლებელიც რომ იყოს თავადაზნაურობის ნელი კატასტროფის თავიდან აცილება, სასურველი არ არის. რატომაო, იკითხავს მკითხველი. აი რატომ: ყოველი წყობილება საზოგადოებრივი, სადაც ყოველგვარი ძალა, როგორც ქონებრივი, ისე პოლიტიკური და სხვა, უმცირესობის ხელშია, დასაგმობია და რაც ადრე დაირღვევა ასეთი წყობილება, მით უმჯობესია. წოდებრივი წყობილება სწორედ ამგვარი ხასიათისა იყო და არის. ქონებრივი და პოლიტიკური ძალის წარმომადგენელი ჩვენში თავადაზნაურობა იყო და ამიტომ რაც მალე წაერთმევა მას განსაკუთრებული ძალა და უპირატესობანი, რაც უფრო ადრე გაუთანასწორდება ის მთელ ერს, მით უმჯობესია. თუ ჩვენ

მაქსიმ გორკი

(კრიტიკულ-ბიოგრაფიული წერილი)

XIX საუკუნის რუსული სიტყვაკაზმული მწერლობა წარმოადგენს რამდენიმე მსგავს მომენტს: ასეთია ერთის მხრით ოცდაათიანი წლები და მესამოცდაათე, მეორე მხრით მეორმოცე წლები და მესამოცე. ოცდაათიანი წლების გულგატეხილობას და პესიმიზმს თან მოჰყვა მეორმოცე წლების აღფრთოვანება და გატაცება, რაც შეიცვალა ორმოცდაათიანი წლების უფერულობითა და უშინაარსობით. აღფრთოვანებამ ხელახლა თავი იჩინა მესამოცე წლებში. მაგრამ მას მალე შეეკვეცა ფრთები და მესამოცდაათე წლების უილაჯო პესიმიზმით შეიცვალა. მეოთხმოცე წლების უფერულობას და უიმედობას თან მოჰყვა ხელახლა აღფრთოვანება. რამაც სულ ბოლო დროს იჩინა რუსულ პოეზიასა და ბელეტრისტიკაში თავი. როდესაც გადაავლებთ თვალს წარსული საუკუნის რუსულ სიტყვაკაზმულ მწერლობას, ცხადად იხატება შემდეგი ფაქტი: მთელი წარსული საუკუნის განმავლობაში რუსული ლიტერატურა ცხოვრების აზრისა და იდეალების ძებნაში იყო. იყო ისეთი მომენტები, როდესაც ლიტერატურას გამოკვლეული ჰქონდა ეს აზრი და იდეალები და უახლოვდებოდა მათ, იყო ისეთი მომენტებიც, როდესაც დაშორებული იყო ერთსაცა და მეორესაც და, რადგანაც ცხოვრება მუდამ წინ მიდის და მასთან ერთად იცვლება იდეალებიც, ამიტომ ერთ ხანაში გამორკვეული და დადგენილი აზრი და შეხედულება მეორე ხანაში უარსაყოფი ხდებოდა და სწორედ ეს იწვევდა რუსული ლიტერატურის მწყობრ ღელვასაც — აღფრთოვანებიდან უიმედობაზე გადასვლას. მსგავსების გარდა აღნიშნულ მომენტებს შორის ძირითადი განსხვავებაა: ოცდაათიანი წლების პესიმიზმი იყო ერთის მხრით არისტოკრატული, ბაირონიზმის ზეგავლენით გაცხოველებული, მეორე მხრით ეპიკურეული. ისეთი პირები, როგორც პუშკინის ონეგინი და ლერმონტოვის პეჩორინი, ჩაილდ-ჰაროლდის შე-

ᲡᲐᲛᲝᲡᲨᲘ ᲘᲛᲘᲢᲝᲛ ᲔᲮᲕᲔᲕᲘᲐᲜ, ᲠᲝᲛ ᲐᲛᲒᲕᲐᲠᲘᲐ ᲡᲐᲔᲠᲗᲝᲓ ᲛᲝᲓᲐ ᲛᲐᲨᲘᲜᲓᲔᲚ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡ ᲬᲠᲔᲨᲘ ᲓᲐ ᲔᲡᲔᲜᲘ ᲙᲘ ᲛᲝᲓᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲞᲐᲢᲘᲕᲘᲡᲛᲪᲔᲛᲔᲚᲜᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ, ᲜᲐᲛᲔᲢᲣᲠ ᲝᲜᲔᲒᲘᲜᲘ, ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲘᲡ ᲬᲧᲐᲚᲝᲑᲘᲗ. ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲣᲠᲐᲓ ᲘᲡᲘᲜᲘ ᲣᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲧᲝᲤᲘᲚᲜᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ, ᲐᲛᲥᲕᲔᲧᲜᲘᲣᲠᲘ ᲧᲝᲕᲔᲚᲒᲕᲐᲠᲘ ᲡᲘᲐᲛᲝᲕᲜᲔᲑᲐ ᲛᲐᲗᲗᲕᲘᲡ ᲐᲓᲕᲘᲚᲐᲓ ᲮᲔᲚᲛᲘᲡᲐᲬᲕᲓᲝᲛᲘᲐ, ᲛᲐᲗ ᲛᲐᲚᲔ ᲐᲛᲝᲪᲐᲚᲔᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲞᲘᲠᲣᲢᲧᲕᲣᲚᲘ ᲛᲮᲐᲠᲔ ᲓᲐ, ᲠᲐᲡᲐᲙᲕᲘᲠᲕᲔᲚᲘᲐ, ᲛᲔᲚᲐᲜᲥᲝᲚᲘᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲣᲚᲒᲐᲢᲔᲮᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲔᲢᲘ ᲐᲦᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘ ᲓᲐᲠᲩᲔᲜᲘᲐᲗ. ᲘᲛ ᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲑᲛᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲕᲘᲠᲑᲝᲠᲝᲢᲝ ᲙᲘᲗᲮᲕᲔᲑᲑᲛᲐ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲝᲪᲓᲐᲐᲗᲘᲐᲜ ᲬᲚᲔᲑᲨᲘ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲞᲘᲠᲘᲡ ᲙᲣᲗᲕᲜᲘᲚᲔᲑᲐᲡ ᲨᲔᲐᲓᲒᲔᲜᲓᲜᲔᲜ, ᲛᲔᲝᲠᲛᲝᲪᲔ ᲬᲚᲔᲑᲨᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲖᲔᲓᲐᲞᲘᲠᲖᲔ ᲐᲛᲝᲮᲔᲗᲥᲔᲡ ᲓᲐ ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲘ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲘᲠᲘᲡ ᲙᲣᲗᲕᲜᲘᲚᲔᲑᲐᲓ ᲨᲔᲘᲥᲜᲔᲜ. ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐᲨᲘ ᲒᲐᲩᲜᲓᲐ ᲛᲘᲡᲬᲠᲐᲤᲔᲑᲐ ᲡᲐᲔᲠᲗᲝ ᲘᲓᲔᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲘᲖᲜᲘᲡᲐᲙᲔᲜ. ᲐᲛᲐᲜ ᲒᲐᲛᲝᲐᲤᲮᲘᲖᲚᲐ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐ, ᲐᲛᲐᲜ ᲐᲦᲐᲤᲠᲗᲝᲗᲝᲕᲐᲜᲐ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐᲪ. ᲔᲡ ᲘᲓᲔᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲘᲡᲬᲠᲐᲤᲔᲑᲐ ᲘᲧᲝ ᲑᲠᲫᲝᲚᲐ ᲑᲐᲢᲝᲜᲧᲛᲝᲑᲐᲡᲗᲐᲜ... ᲒᲐᲓᲐᲕᲐᲠᲓᲐ ᲑᲐᲢᲝᲜᲧᲛᲝᲑᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲐᲛᲝᲫᲠᲐᲕᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲘᲡ ᲐᲦᲤᲠᲗᲝᲗᲝᲕᲐᲜᲔᲑᲐ ᲛᲐᲡ ᲐᲠ ᲒᲐᲧᲝᲚᲘᲐ ᲣᲙᲐᲜ; ᲐᲛᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲘ ᲪᲮᲐᲓᲘᲐ: ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲕᲔ ᲗᲐᲝᲑᲐᲛ ᲓᲐ ᲛᲐᲡᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲡᲘᲢᲧᲕᲐᲙᲐᲖᲛᲣᲚᲛᲐ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐᲛᲐᲪ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐ ᲛᲘᲐᲥᲪᲘᲐ ᲒᲐᲜᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲣᲚ ᲒᲚᲔᲮᲡ, ᲘᲛᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐᲡ ᲓᲐ ᲑᲔᲓ-ᲘᲦᲑᲐᲚᲡ. ᲗᲣ ᲛᲐᲜᲐᲛᲓᲔ ᲒᲚᲔᲮᲘ ᲡᲐᲔᲠᲗᲝ ᲑᲔᲓᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ ᲘᲓᲒᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲐᲕᲘᲜ ᲘᲛᲢᲕᲠᲔᲕᲓᲐ ᲗᲐᲕᲡ, ᲐᲮᲚᲐ ᲘᲡ ᲒᲐᲮᲓᲐ ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲕᲔ ᲗᲐᲝᲑᲘᲡ ᲣᲛᲗᲐᲕᲠᲔᲡᲘ ᲡᲐᲖᲠᲣᲜᲐᲕᲘ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲮᲨᲘᲠᲐᲓ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ ᲜᲘᲐᲕᲡ ᲐᲢᲐᲜᲡ ᲫᲐᲡ, ᲠᲐᲡᲐᲪ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ ᲐᲖᲠᲝᲕᲜᲔᲑᲐ ᲒᲐᲜᲙᲔᲠᲫᲝᲔᲑᲣᲚ ᲙᲐᲑᲘᲜᲔᲢᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲮᲐᲢᲐᲕᲡ ᲓᲐ ᲐᲛ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲨᲘᲐᲪ ᲐᲡᲔ ᲛᲝᲮᲓᲐ: ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲕᲔ ᲗᲐᲝᲑᲐᲡ ᲑᲔᲕᲠᲘ ᲘᲛᲔᲓᲘ ᲰᲭᲝᲜᲓᲐ. ᲘᲡ ᲑᲔᲕᲠᲡ ᲛᲝᲔᲚᲝᲓᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲡᲘᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲔᲛ ᲐᲠᲪ ᲘᲛᲔᲓᲔᲑᲘ, ᲐᲠᲪ ᲛᲝᲚᲝᲓᲘᲜᲘ ᲐᲠ ᲒᲐᲐᲛᲐᲠᲗᲚᲐ: ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲡᲕᲚᲔᲚᲝᲑᲐ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲒᲖᲘᲗ ᲬᲐᲕᲘᲓᲐ. ᲐᲥᲔᲓᲐᲜ ᲬᲐᲠᲛᲝᲘᲨᲕᲐ ᲛᲔᲡᲐᲛᲝᲪᲓᲐᲐᲗᲔᲯ ᲬᲚᲔᲑᲘᲡ ᲣᲘᲛᲔᲓᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲞᲔᲡᲘᲛᲘᲖᲛᲘ — ᲞᲔᲡᲘᲛᲘᲖᲛᲘ ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ.

ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲡ ᲘᲛᲔᲓᲘ ᲣᲭᲐᲠᲬᲧᲚᲓᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲠᲬᲛᲔᲜᲐ ᲔᲙᲐᲠᲒᲔᲑᲐ, ᲛᲗᲔᲚ ᲛᲘᲡ ᲐᲖᲠᲝᲕᲜᲔᲑᲐᲡ ᲣᲜᲣᲒᲔᲨᲝᲑᲘᲡ ᲞᲘᲠᲑᲐᲓᲔ ᲔᲤᲐᲠᲔᲑᲐ, ᲓᲐ ᲗᲣ ᲓᲘᲓᲘᲐᲜᲡ ᲒᲐᲡᲢᲐᲜᲐ ᲐᲛᲒᲕᲐᲠᲛᲐ ᲡᲣᲚᲘᲔᲠᲛᲐ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐᲛ. ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲣᲠᲘᲒᲓᲔᲑᲐ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲑᲔᲓᲡ ᲓᲐ ᲮᲨᲘᲠᲐᲓ ᲡᲐᲛᲣᲓᲐᲛᲝᲓ ᲪᲘᲚᲓᲔᲑᲐ ᲘᲓᲔᲐᲚᲣᲠ ᲛᲘᲡᲬᲠᲐᲤᲔᲑᲐᲗ ᲓᲐ ᲘᲓᲔᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲫᲔᲑᲜᲐᲡ. ᲘᲡ, ᲠᲐᲪ ᲔᲛᲐᲠᲗᲔᲑᲐ ᲔᲠᲗ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲡ. ᲔᲛᲐᲠᲗᲔᲑᲐ ᲮᲨᲘᲠᲐᲓ ᲛᲗᲔᲚ ᲬᲠᲔᲡ, ᲛᲗᲔᲚ ᲗᲐᲝᲑᲐᲡ. ᲐᲛᲘᲡ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲓᲐᲛᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲔᲚᲘᲐ ᲝᲗᲮᲛᲝᲪᲘᲐᲜᲘ ᲬᲚᲔᲑᲘᲡ ᲑᲔᲚᲔᲢᲠᲘᲡᲢᲘᲙᲐ. ᲐᲘᲦᲔᲗ ᲐᲛ ᲓᲠᲝᲘᲡ ᲜᲘᲭᲘᲔᲠᲘ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲔᲚᲘ — ᲩᲔᲮᲝᲕᲘ. ᲗᲣ ᲒᲐᲛᲝᲕᲐᲙᲚᲔᲑᲗ ᲛᲘᲡ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲣᲚ ᲛᲝᲦᲕᲐᲬᲔᲝᲑᲐᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲬᲚᲔᲑᲡ, ᲠᲝᲪᲐ ᲐᲕᲢᲝᲠᲘ ᲡᲐᲡᲐᲪᲘᲚᲝ ᲐᲛᲑᲔᲑᲘᲡ ᲛᲔᲢᲡ ᲐᲠᲐᲡᲐ ᲬᲔᲠᲓᲐ, ᲩᲕᲔᲜ ᲓᲐᲒᲕᲠᲩᲔᲑᲐ ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲓᲐᲜ ᲐᲛᲝᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲐᲯᲐᲚᲘᲗᲝᲓ ᲓᲐᲮᲐᲢᲣᲚᲘ ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲡᲣ-

რათები, რომლებიც უიმედობის, უნუგეშობის და ცხოვრების სისაძაგლეთა აუცილებლობის მეტს არას ეუბნებიან მკითხველს, სულსა და გულს უხუთავენ მას, სასოწარკვეთილებაში აგდებენ, მაგრამ გზას ჭეშმარიტებისაკენ, გზას სინათლისა და ხსნისაკენ სრულებით არ უჩვენებენ.

როდესაც ცხოვრებაში ოდნავ მაინც არის განხორციელებული საერთო კეთილდღეობა და ბედნიერება, როდესაც ცხოვრებაში ადამიანის ელემენტარული უფლებანი საჯაროდ არიან მიღებული და აღიარებული და შათ მოსაპოვებლადაც ბრძოლა აღარ არის საჭირო, მაშინ მწერალს არავინ მოსთხოვს იდეალების ხატვას, რადგანაც ცხოვრება თვითონ იძლევა იდეალებსაც და იმისკენ მიმავალ გზასაც. მაგრამ ასე არ იყო რუსეთში ოთხმოციან წლებში და არც დღეს არის. ეროწინავე თაობას საზოგადოებრივი ცხოვრება ვერ აკმაყოფილებს და მაშ სად უნდა ჰპოვოს შვება აწმყოთი შეწუხებულმა სულმა, თუ არ მომავლის იმედში — და ამ მომავალს ხომ ყოველი ადამიანი თავისი იდეალების პრიზმით ჭვრეტავს!

ოთხმოციანი წლების სიტყვაკაზმულ მწერლობაში ცხოვრება იხატება რაღაც მოჯადოებულ რკალად, რომელსაც გამოსავალი არსაიდან გააჩნია. ამ რკალს შიგნით ყოფნა აუტანელია, საძაგელია, უფერული, უნუგეშო, მაგრამ სხვა გზა არსით არის. საკმარისი იყო ასეთ დროს საზოგადოებას სმენოდა: ნუ გეშინია, გამხნევდი — აი გზაო, რომ ხელახალ გამოღვიძებას, გამოცოცხლებას, ამოძრავებასა და გატაცებას ეჩინა თავი. ასეთი ხმა მართლაც გაისმა. მისი გამომცემი არის მაქსიმ გორკი.

თუ ძნელია საზოგადოდ ახალი სიტყვის თქმა, მით უმეტეს ძნელია ახალი სიტყვა სთქვა ისე, რომ ყველა გაიტაცო, ყველა დააჯერო. ამისათვის საჭიროა ძლიერი ნიჭი, რასაც დღეს აღარავინ უარყოფს გორკიში. სულ რამდენიმე წელიწადია, რაც ის სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა და არა თუ რუსეთში, საზღვარგარეთაც კი დაიმონა მკითხველის სული და გული. რასაკვირველია, ნიჭს გარდა გორკის გარემოებამაც ხელი შეუწყო: მან სწორედ იმ დროს თქვა ეს ახალი სიტყვა, როცა ის არა თუ საჭიროებად, წყურვილად იყო გადაქცეული, მაგრამ სანამ მას ავხსნიდეთ, საჭიროა მოკლედ თვალი გადავავლოთ მის ცხოვრებასაც. მაქსიმ. გორკის სახელი და გვარი არის ალექსი პეშკოვი. ის დაიბადა ნიჟნი-ნოვგოროდში 14 მარტს 1869 წელს. ბაბუამისი დედის მხრით შეძლებული ვაჭარი იყო, მამაკი ღარიბი, — შპალერების გაკვრა შეადგენდა მის ხელობას. პატარა ალექსის მამა ადრე მოუკვდა; დედა მეორედ გათხოვდა და მალე ისიც ჭლექმა იმსხვერპლა. გორკი რამდენიმე წელიწადს ცხოვრობდა

ბაბუასთან, რომელმაც მას წერა-კითხვა ასწავლა და შემდეგ სკოლაში მიაბარა. სკოლაში გორკი ხუთი თვის მეტი არა ყოფილა. ცხრა წლისა არ იქნებოდა ის, როდესაც ბაბუამისი გაკოტრდა და ამიტომ გორკი იძულებული გახდა მოჯამაგირედ დამდგარიყო ფეხსაცმლის მაღაზიაში. ამ დღიდან იწყება მისი უგზოუკვლოდ ხეტიალი. მაღაზიაში მან მხოლოდ რამდენიმე თვე დაჰყო, რადგანაც ხელებზე ცხელი წვენი გადისხა, დაიწვა და ბაბუასთან დაბრუნდა. მორჩა თუ არა, მხატვარს მიებარა, მაგრამ არც აქ დარჩენილა დიდხანს, — რამდენიმე ბინა კიდევ გამოიცვალა და შემდეგ გემზე დადგა მზარეულის თანაშემწედ. მზარეულს კითხვა ძალიან უყვარდა და წიგნების გემო პირველად მასთან იგემა გორკიმ. გემზე ყოფნა რომ მოსწყინდა, გორკი მებაღესთან დადგა უბრალო მუშად, მაგრამ ესეც მალე მოსწყინდა და გადაწყვიტა სწავლისათვის მიეყო ხელი. ამ მიზნით გასწია ყაზანში, მაგრამ უფულობის გამო უნივერსიტეტში ლექციების მოსმენის მაგიერ კრენდელების მაღაზიაში მოეწყო ცომის მზელავად. თვეში დაუნიშნეს 3 მანეთი. ყაზანში გორკი დაუახლოვდა სტუდენტებს, მათის ზეგავლენით მიჰყო თვითგანვითარებას ხელი და თავისუფალ დროს წიგნებს ანდომებდა, მაგრამ მისი საუკეთესო მასწავლებელი თვითონ ცხოვრება იყო. ცომის ზელა რომ მოსწყინდა, გორკიმ ვაშლების გაყიდვას მიჰყო ხელი; მალე ამასაც თავი დაანება და ცარიცინის რკინისგზის სადგურზე მეთვალყურედ დადგა. შემდეგ ის ყიდის ბურახს ნიჟნი-ნოვგოროდში და ბოლოს დგება მწერლად ლანინთან, რომელიც ვექილი იყო. ერთ ბინაზე გაჩერება გორკის არ შეეძლო, — ლანინსაც დაანება თავი და ჩვენ ვხედავთ მას ხან ერთ ქალაქში, ხან მეორეში.

ლიტერატურულ ასპარეზზე თავდაპირველად გორკი გამოვიდა თბილისში, სადაც ის რკინიგზის სახელოსნოებში მუშაობდა. აქ „Кавказ"-ში მან პირველად დაბეჭდა „მაკარ ჩუდრა". თბილისიდან გორკიმ ისევ რუსეთში გასწია და ნიჟნი-ნოვგოროდში გაიცნო რუსეთის ნიჭიერი ბელეტრისტი კოროლენკო; ამ გაცნობამ გორკის დიდი სარგებლობა მოუტანა, კოროლენკო იყო და არის ერთი რედაქტორ-გამომცემელთაგანი ცნობილი ჟურნალის „რუსსკოე ბოგატსტვო". ისეთს ქვეყანაში, საცა სახელმოხვეჭილი მწერლები საკმაოდ არიან, უცნობი პირის ნაწარმოებს ძალიან ძვირად უთმობენ ხოლმე ალაგს ცნობილი ჟურნალები. კოროლენკოს შემწეობით კი გორკი გახდა მისი ჟურნალის თანამშრომელი. სატახტო ქალაქის მკითხველმა საზოგადოებამ ამნაირად გაიცნო ახალგაზრდა მწერალი და მისმა ნიჭმა სულ მალე მიიქცია ყველას ყურადღება და სიყვარული მოიხვეჭა.

ამის შემდეგ გორკიმ დაიწყო სხვადასხვა ჟურნალებსა და გაზეთებში თანამშრომლობა, ხოლო 1898 წლიდან გახდა მუდმივი თანამშრომელი ჟურნალ „ჟიზნისა“, რომლის დახურვამდეც მხოლოდ აქ ბეჭდავდა თავის ნაწერებს. დღეს უკვე ხუთი ტომია გამოცემული მისი ნაწერებისა. ამგვარია მოკლე ბიოგრაფია მაქსიმ გორკისა.

სულ ექვსი-შვიდი წელიწადია, რაც ის სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა და უკვე საჭირო გახდა მისი ნაწერების მეოთხე გამოცემა. ამდენი გატაცებული მკითხველი, ამდენი თაყვანისმცემელი ასე მოკლე დროში არც ერთ რუს მწერალს არ მოუპოვებია; ამგვარი თანხმობა კრიტიკოსთა შორის ერთი და იმავე მწერლის ნიჭის შესახებ იშვიათია ლიტერატურის ისტორაში: ყველა მიმართულების კრიტიკოსები და ჟურნალ-გაზეთები რუსეთში დღეს ერთხმად აღიარებენ, რომ გორკი ძლიერი ნიჭია.

რაში იმალება ყოველივე ამის მიზეზი? ერთის მხრით იმაში, რომ გორკი ფრიად შესაფერ დროს გამოვიდა სამწერლო ასპარეზზე, მეორე მხრით იმაში, რომ გორკიმ ძლიერის ნიჭით ისეთი კითხვები აღძრა, რომლებიც ყველაზე უფრო აღელვებენ დღევანდელ საზოგადოებას. ჩვენ ისეთ პირობებში ვცხოვრობთ, როდესაც სოციალური კითხვები დღევანდელი დღის საჭირბოროტო კითხვებს შეადგენენ. ტექნიკურმა, სავაჭრო-სამრეწველო და სამეცნიერო განვითარებამ — ერთის სიტყვით ეკონომიურმა და გონებრივმა ზრდამ საკმაო სიმაღლეს მიაღწია, მაგრამ ამან ვერ გააუქმა საზოგადოებრივ ცხოვრებაში უსამართლობა, ძალმომრეობა, ექსპლოატაცია, უფროს-უმცროსობა, შენ-ჩემობა და ვერ დაამყარა თანასწორობა და საერთო ბედნიერება; ეკონომიურ კეთილდღეობასა და მეცნიერებაზე მხოლოდ უმცირესობას მიუწვდებოდა ხელი, უმეტესობა კი მთელი თავისი სიცოცხლით შიმშილს ებრძვის და, რაც უნდა ნიჭი ჰქონდეს და ძლიერი წყურვილი, მეცნიერების ტაძრის კარი მისთვის დახშულია. ადამიანი უძველესი დროიდან ებრძვის ამ საზოგადოებრივ უსამართლობასა და უთანასწორობას, ამ ბრძოლის დროს ხშირად შეუმჩნევია მას გამარჯვების ცისარტყელა, ბევრჯერ ჩაშუქებია გულს სხივი საერთო ბედნიერებისა და თანასწორობისა, მაგრამ ბრძოლის შემდეგ ცისარტყელაც უცებ გადასულა, სხივიც მალე ჩამქრალა და მსხვერპლთა ძვლებზე ისევ ხელახალ ძალმომრეობასა და უსამართლობას აუგია თავისი სამკვიდრო. ყოველივე ამან დღევანდელ საზოგადოებას გული მოუხარშა, იმედი დაუკარგა. არსებულ სოციალურ პირობებში ადამიანს სული ეხუთება, მას სძაგს, ეზიზღება ეს პირობები, მას ხსნა უნდა, წინ მიისწ-

რაფვის, მაგრამ ნამდვილად კი ისევ ამ სოციალურ სისაძაგლესა და სიბინძურეში ტრიალებს და ხსნის იმედს არც წარსული, არც აწმყო არ აძლევს. ამგვარ სოციალურ და ფსიქოლოგიურ მდგომარეობაში ადამიანს არ შეუძლია აღტაცებით არ მიეგებოს იმ პირს, რომელიც კი ეტყვის: არის ხსნაო, რომელიც კი იმედს მისცემს არსებული სოციალური ჭაობიდან გამოსვლისა და განბანისას.

მე სწორედ ასეთ პირად მიმაჩნია მაქსიმ გორკი: ნიჭს გარდა მან დროზედ თქვა ის, რისი თქმაც ყველაზე უფრო საჭირო იყო, რაც უფრო აღელვებდა იმ დღევანდელ მკითხველს, რომელიც მომავლისკენ იყურება და არა წარსულისაკენ. ამას უფრო ნათლად დავინახავთ მისი ნაწერების მოკლე დახასიათებით.

როგორც მოკლე ბიოგრაფიიდან დაინახავს მკითხველი, გორკიმ ცხოვრებაში ბევრი გაჭირვება გამოიარა, დღევანდელი საზოგადოებრივი წყობილების ყოველგვარი ცუდი მხარე მან კარგად შეიგნო, რადგანაც ძალმომრეობა, უსამართლობა, უთანასწორობა, ექსპლოატაცია საკუთარ თავზე გამოსცადა. ამგვარ ცხოვრებაში უმეტესი ნაწილი იღუპება, მაგრამ გორკი არაჩვეულებრივი პირია. ცხოვრების წუმპედან ის განბანილი და მედგარი მებრძოლი გამოვიდა. ის მტერია არსებული სოციალური წყობილების, მტერია არსებული ზნეობრივი შეხედულებების, ის თავდადებული ვეჭილია პიროვნების, რომლის უფლებებსაც უშიშრად ჰღაღადებს. ამგვარი აზროვნებისა და მიმართულების კაცი ვის უნდა მიჰკედლებოდა? — უზრუნველყოფილ კლასს? უზრუნველყოფილი კლასი როგორც ყოველგან და ყოველ დროს, ისე დღესაც მოტრფიალეა წესრიგის, მშვიდობიანობისა და მორჩილების, მას ყოველგვარი „გარდაქმნა" ჭირივით ეჯავრება, — ის არსებული წყობილების სრული კმაყოფილია. ინტელიგენციას? აი როგორი აზრის არის ინტელიგენციის შესახებ გორკის ერთი გმირი (ეჟოვი „თომა გორდეევში"): „მე შევკრებდი ჩემი დაფლეთილი სულის ნაგლეჯებს და გულის სისხლთან ერთად ცხვირპირში ვახლიდი ჩვენს ინტელიგენციას! მე მას ვეტყოდი: ფუმფლებო! თქვენ საუკეთესო წვენი ხართ ჩემი ქვეყნისა. ფაქტი თქვენის არსებობისა მრავალ მოდგმათა სისხლითა და ცრემლით არის შესყიდული! ოჰ, წილებო! თქვენ ასე ძვირად უღირხართ თქვენს ქვეყანას და რას უკეთებთ მას? წარსულის ცრემლები გარდაქმენით თუ არა მარგალიტებად? რა შესძინეთ ცხოვრებას? რა გააკეთეთ, დაამარცხებიეთ თავი? რას აკეთებთ? მასხარად აგდებიებთ თავს?..". ეს აზრი იგივე გორკის აზრია ინტელიგენციის შესახებ. გორკი არ უარჰყოფს, რომ ინტელიგენციას ბევრი კარგი სურვილები აქვს, მაგრამ ღრმად დარწმუნებულია, რომ სურვილე-

ბის განხორციელება მას არ შეუძლია და ახალი ცხოვრების შენებაში ის არ არის და არც გამოდგება აქტიურ ელემენტად. ინტელიგენციას არ შეუძლია ბრძოლა უკეთესი მერმისისათვის და გორკი-მებრძოლი კი მებრძოლებს ეძებდა. ასეთი მებრძოლები მან ნახა იმ წრეში, რომელიც თანამედროვე ცხოვრების მიერ გარიყულია. უსამართლობას ყველაზე უკეთ ის გრძნობს და ის იცნობს, ვინც ყოველდღე ჰხედავს მას საკუთარ კისერზე; უსამართლობა ყველაზე მეტად მას ეზიზღება, ვინც ყველაზე უფრო იტანჯება იმის კლანჭებში და რადგანაც ყოველგვარი სოციალური უსამართლობა საზოგადოების უმდაბლეს წრეს აწვება მძიმე ტვირთად, სწორედ ეს წრეა ყოველგვარი უსამართლობის დაუძინებელი მტერიც, და ამიტომ აირჩია გორკიმ თავისი ხელოვნების საგნად მხოლოდ ეს წრე და არა სხვა რომელიმე. როგორია უმთავრესი თვისებანი ამ წრის? ყველა ის მათხოვრები და მაწანწალები ანუ „ბოსიაკები", რომლებსაც გორკი ხატავს თავის მოთხრობებში, თუმცა ძალიან წააგავან ერთმანეთს, მაგრამ ყოველი მათგანი თავისებური ადამიანია და ეს თავისებურება თვითეულის ნიშნობლივ მხარეს შეადგენს. მათი არსება დაუშრეტელი სევდით და ჭმუნვით არის გარემოცული; ამ სევდის სათავე ერთადერთია — არსებული წყობილება მათ ჭირივით ეჯავრებათ, ისინი გრძნობენ, რომ დღევანდელ ცხოვრებაში მეტნი — უალაგონი არიან, მზად არიან დაამხონ არსებული წყობილება, იბრძოლონ მომავლისათვის, მაგრამ მომავალი მათთვის წყვდიადით არის მოცული, ეძებენ თავის ალაგს, მაგრამ „თავისი წერტილი" ვერ უპოვიათ და ეს ჰბადებს როგორც მათს სევდას, ისე საშინელს ტრაგიზმს მათი მდგომარეობისას; დღევანდელი ცხოვრება მათ არ მოსწონთ, ეჯავრებათ საზოგადოებრივი ურთიერთობა, საზოგადოებრივი მორალი, შეხედულებანი და სხვ., ეძებენ აზრს ცხოვრებისას, მაგრამ ვერ მიუგნიათ და სევდას ხშირად საშინელს ლოთობაში ჰლევენ. არსებულ ცხოვრებასთან ერთად მათ თან ებრალებათ, თან ეზიზღებათ ყველა ისინი, ვინც ამ ცხოვრებას შერიგებიან, შეგუებიან და მით კმაყოფილნიც არიან: ვაჭარი იქნება, ინტელიგენტი თუ უბრალო გაუნათლებელი გლეხი, ისინი ყველას სიბრალულითა და სიძულვილით იხსენიებენ. თანამედროვე ცხოვრებას, მის ჩვეულებებს ისინი ყველგან გაურბიან — როგორც სოფელში, ისე ქალაქში. მათის შეხედულებით სოფელში, „როგორც ორმოში — წყვდიადია და სივიწროვე", სამაგიეროდ ქალაქშიაც „დამპალი და ვიწრო ცხოვრებაა. არც ჰაერია, არც თავისუფლება, — არაფერი, რასაც ადამიანი საჭიროებს". მათ ეზიზღებათ ყველაფერი, როგორც ერთი მათგანი ამბობს: „ქალაქები,

სოფლები, სხვადასხვა ზომის ხალხი...“ — სამაგიეროდ ყველა მათგანს „უნდა რაღაც სხვა, სხვა შეხედულება ცხოვრებაზე, სხვა გრძნობები, რაღაც სხვა ახალი“.

აწმყოსთან მათ არაფერი აკავშირებთ, მთელი დღევანდელი საზოგადოებრივი წყობილება ერთბაშად მიწამ რომ შთანთქას, ოღნავაც არ ინაღვლიან, დღევანდელ საზოგადოებას ისინი არ საჭიროებენ, რადგანაც დღევანდელი საზოგადოებრივი წყობილება მათის აზრით ხარშავს ადამიანს, პატიოსან მისწრაფებათ ავიწყებინებს, ყოველის მსრით ჰბორკავს; ყველა ამ ბოსიაკებს კი სრული დამოუკიდებლობა და თავისუფლება უყვართ; თავისუფლება და დამოუკიდებლობა ისეთი ატმოსფერაა, ურომლისოდაც მათ ცხოვრება არ შეუძლიათ. ყური დავუგდოთ გორკის ერთ გმირს ლაკუტინს, რას ამბობს: „მიყვარს, ძმობილო, ეს ხეტიალი. გცივა, გშია, მაგრამ ძალიან თავისუფლადა ხარ. არვის არ ემორჩილები. შენ თვითონა ხარ შენი ცხოვრების ბატონი...“.

მიუხედავად დამოუკიდებლობისა და თავისუფლების ამგვარი სიყვარულისა, გორკის ბოსიაკები სრულებითაც არ არიან ინდივიდუალისტები, როგორც ეს ბევრსა ჰგონია; ისინი შენატრიან ისეთ საზოგადოებრივ წყობილებას, სადაც კაცთა შორის არ არის ექსპლოატაცია, უსამართლობა, უფროს-უმცროსობა, პრივილეგიები, საცა ყველა თანასწორია, თვითეული ადამიანი მთელს საზოგადოებას ემსახურება და არა ვინმე პიროვნებას ან რომელიმე კლასს. იქ, საცა არ არის კლასობრივი დაყოფა საზოგადოებისა, საცა არ არის საზოგადოებრივი უსამართლობა, საცა ყველა თანასწორია, საცა ერთი ბატონი არ არის და მეორე ყმა, არამედ ყველანი ერთიმეორეს ემსახურებიან, ერთნაირის უფლებით აღჭურვილნი, პიროვნებაც თავისუფალია და სწორედ ამგვარ თავისუფლებას ეტრფიან გორკის გმირები. აი რას ამბობს გორკის ერთი გმირი კონოვალოვი, რომელსაც თავისუფლების სიყვარული ძვალ-რბილში აქვს გამჯდარი: „ნუ თუ მართლა არ შეიძლება იმისთანა კანონის გამოგონება, რომ მთელი ხალხი ისე მოქმედებდეს, როგორც ერთი და ყველას ერთიმეორეს გაგება შეეძლოს?“ — აქედან თავისთავად ცხადია, თუ როგორ ესმის კონოვალოვს თავისუფლება. ეს თავისუფლება იგივე სრული საზოგადოებრივი თანასწორობაა. სანატრელი წყობილების დასამყარებლად, ბოსიაკების აზრით, საჭიროა ბრძოლა და რადგანაც ბრძოლაში გამარჯვება ძალაზე და მოხერხებაზეა დამოკიდებული, ამიტომ ისინი დიდი თაყვანისმცემელი არიან ყოველგვარი ძალღონის, რაშიაც არ უნდა იხატებოდეს ის. მათი რწმენა და შეხედულებანი სრულიად ეწინააღმდეგება ოფიციალურ რწმენა-შეხედუ-

ლებას; მათი შეხედულება საზოგადოებაზე, ოჯახზე, ცოლქმრობაზე, ადამიანის მოქმედებაზე და სხვ. სრული უარყოფაა დღევანდელი წყობილებისა, კანონმდებლობისა და მორალისა.

გასაოცარია, რომ მიუხედავად თავისი უკიდურესი სიღარიბისა, არც კერძო საკუთრება, არც ფული მათ არ იზიდავს. ისინი მზად არიან, ფულის პატრონი თავიდან ფეხებამდე გაფცქვნან, მაგრამ პირველ ღამესვე გაფლანგავენ, რაც უნდა იშოვონ, ან სხვას მისცემენ დაუნანებლად. გაიხსენეთ „ჩელკაში". მან ავაზაკობით იმდენი ფული შეიძინა, რაც ამისთანა ღარიბი კაცისათვის მთელ სიმდიდრეს შეადგენდა, მაგრამ ერთი თუმნიანის გარდა მან სულ გავრილას მისცა. იმ გავრილას, რომელმაც რამდენიმე წამის წინათ ის სასიკვდილოდ არ დაზოგა ამ ფულების გულისათვის.

ჩვენ ჩამოვთვალეთ უმთავრესი დამახასიათებელი თვისებანი გორკის გმირებისა. მკითხველი თვით ავტორის მოთხრობათა წაკითხვით უკეთ დაინახავს, რომ ეს ბოსიაკები როგორც ცხოვრებით, ისე აზროვნებითა და ლტოლვილებით სრულებით განსხვავდებიან დანარჩენთაგან. მოთხრობებიდანვე შეიტყობს მკითხველი, რომ გორკის სიმპატია ამ „ბოსიაკთა" საუკეთესო წარმომადგენლებისაკენ არის, მათი შეხედულებანი იგივე გორკის შეხედულებაა, მათი მისწრაფება — გორკის მისწრაფება, მათი წმიდათა წმიდა — ავტორის წმიდათა წმიდა. გორკიმ ცხოვრების ყველა ბნელი კუნჭული განელო და გამოიტანა სრული უარყოფა თანამედროვე წყობილებისა, აზროვნებისა და მორალისა. ის გვიწვევს უარვყოთ ეს აწმყო და შევქმნათ ისეთი მომავალი, საცა სრული თანასწორობაა ადამიანთა შორის, საცა კეთილდღეობისა და ბედნიერებისაკენ ყველას ერთნაირად მიუწვდება ხელი, — ერთის სიტყვით გორკის ქადაგება არის ძლიერი ხმა მღაღადებლისა საზოგადოების დაჩაგრული ნაწილის უფლებათა აღსადგენად. გვაძლევს მერე ავტორი რაიმე იმედს უკეთესი მომავლისას? დრო მოვა და ჩვენც შევქმნით სხვა ცხოვრებასო, — მტკიცედ ამბობს ერთი მისი გმირთაგანი და ამით გვიმტკიცებს, რომ კეთილი განზრახვით გატაცებულსა და ღრმა რწმენით აღჭურვილ ადამიანს წინ არაფერი დაუმაგრდება. რა გზით შეგვიძლია მივაღწიოთ უკეთეს მომავალს? გორკის აზრით გზა შემდეგია: უპირველესად ჩვენ თვითონ უნდა უარვყოთ დღევანდელი ცხოვრება ისე, როგორც უარჰყვეს ის ბოსიაკებმა, შევიყვაროთ თავისუფლება და დამოუკიდებლობა ისე, როგორც ეს ბოსიაკებმა შეიყვარეს; ჩვენვე თვითონ განვდევნოთ უსამართლობა, ძალმომრეობა, უთანასწორობა და პრივილეგიები; შევისისხლხორცოთ ის უბრალო ჭეშმარიტება, რომ წუმპეში გორვას სინათლისაკენ მიმავალ გზაზე სიკვდილი სჯო-

ბია, და მტკიცედ გავექანოთ ამ სინათლისაკენ. თუ ასე მოვიქცევით— უვარგისი ცხოვრების დამხობა და უკეთესის დამყარება აუცილებელი გახდება. „არავინ არის დამნაშავე, ჩვენ თვითონაა ვართ დამნაშავე ჩვენი თავისა და ცხოვრების წინაშე“, — ამბობს კონოვალოვი.

ცხოვრებაში კარგისა და ცუდის გარჩევა, მკითხველის გამოფხიზლება და მასში კეთილი სურვილებისა და მისწრაფების გაღვიძება— აი ერთადერთი საქმე, რისი გაკეთებაც ლიტერატურას შეუძლია. ამ საქმეს კი თანამედროვე ახალგაზრდა მწერალთა შორის ყველაზე უკეთ, ყველაზე გარკვევით, თავისებურად და დამოუკიდებლად გორკი ემსახურება. მართლა კარგი აზრი საკმარისი არ არის, რომ ბელეტრისტის ნაწარმოებმა თავის მიზანს მიაღწიოს, — აზრს უნდა აცხოველებდეს და გზას უნათებდეს ის, რასაც ნიჭს ეძახიან. მიმართულების გარდა ეს ნიჭი უხვად აქვს ამ ბელეტრისტს მომადლებული. მისი სიტყვა მოჭრილია, ენა საუცხოო, ბუნების სურათები მშვენიერი და დახატული პირები ისე ცოცხლად არიან სინამდვილიდან ამოღებული, რომ თავისი ლაპარაკით, მოქმედებითა და მთელი თავისი არსებით სრულ ილუზიას ახდენენ მკითხველზე. მართალია, გორკის ბოსიაკები იდეალიზაციას არ არიან მოკლებული, მართალია, ავტორი არ მალავს არავითარს მათს ნაკლულევანებას, მაგრამ მიუხედავად ამისა ისინი გაცილებით უკეთესნი გამოვიდნენ, ვიდრე სინამდვილეში არიან, მაგრამ ვინც გორკის გმირებში ჰხედავს მხოლოდ ბოსიაკებს, ის გორკის ნიჭსაც ვერ დააფასებს. ბოსიაკებში გორკიმ ხორცშესხმულად დაგვანახვა მოძრავი, დაუდგრომელი და უკმაყოფილო სული ძლიერი პროტესტისა, სამართლიანობისა და თავისუფლებისა. აი მხოლოდ ამ მხრივ არიან საყურადღებონი გორკის ბოსიაკები.

მესამოცე წლებიდან მოყოლებული რუსეთში ბევრ მწერალს ჩაუხედვინებია მკითხველისათვის ბოსიაკების ცხოვრებაში. მაგრამ მათთვის მიუწვდომელი რჩებოდა ბოსიაკების სული და გული, მათი შინაგანი არსება. გორკიმ კი დაგვიხატა ისინი, როგორც საზოგადოებრივი განახლების მატარებელნი, ჩაგვახედა მათს შინაგან არსებაში და დაგვანახვა შიგ საუცხოოდ გამოქანდაკებული ძლიერი სული პროტესტისა და მხილებისა, ძლიერი წყურვილი განახლებისა.

გორკის ნიჭის ამ თვისებასა და ავტორის მეტისმეტ გულწრფელობასა და მიმართულებაში იმალება მიზეზი იმ ძლიერი შთაბეჭდილებისა, რომელსაც გორკი ახდენს ყოველ მკითხველზე.

1902

ფილერის პოეზიის ძირითადი თვისებანი

სადღაც მინახავს ერთი გერმანელი მხატვრის (სახელი არ მახსოვს) ნახატი, რომელიც, არ ვიცი რად, იმდენად მძლავრად ჩამეჭედა მეხსიერებაში, რომ დღესაც უცვლელი სიცხოველით წარმომიდგება ხოლმე თვალწინ მისი ყოველი ხაზი. ნახატი შემდეგია: ერთ მხარეზე დახატულია ინკვიზიტორები, და მათ ფერხთა წინაშე ურიცხვი მსხვერპლი — ზოგი თავმოჭრილი, ზოგი ჩამოხრჩობილი. და სხვ.; მეორე მხარეზე კი მშვიდი და მასთან განუსაზღვრელი სევდის გამომხატველი სახით ქრისტე ამბობს: შეიყვარეთ ერთმანეთი. რა დიადი, რა წარმტაცი და მანუგეშებელი სიტყვებია, მკითხველო!

ქრისტე უდიდესი მასწავლებელი იყო, ადამიანის ბედნიერებას მსხვერპლად მოუტანა თავისი თავი, და აჰა, განვლო მას შემდეგ ცხრამეტმა საუკუნემ. ცხრამეტი საუკუნე ისმენს ჰუმანურ ქადაგებას ძმობისას, ერთობისას, თანასწორობისა და კაცთმოყვარეობისას, ცხოვრება კი სრულებით სხვა გზით მიდის, სრულებით სხვა ურთიერთობას ამყარებს ადამიანთა შორის. ცხრამეტი საუკუნე თავისთავადაც საკმაოა იმის შესაგნებად, თუ რა უფრო ძლავრია ცხოვრებაში — ადამიანის სული თუ ხორცი, ე. ი. ადამიანის სულიერი თუ მატერიალური მისწრაფებანი. აიღეთ რა დროის საზოგადოებაც გნებავთ, მასში უმთავრესი საზრუნავი მატერიალური კეთილდღეობაა — არა საერთო ან თანასწორი, არამედ კერძოობითი, კლასობრივი; სულიერი მისწრაფებანი კი მშვენიერი სამკაულია, რომელიც ცხოვრებას ალამაზებს, ხოლო ურომლისოდაც საზოგადოება საუცხოოდ ძლებს. ეგოიზმი, საკუთარი ბედნიერებისათვის ზრუნვა ადამიანს იმდენად მძლავრად აქვს გამჯდარი ძვალ-რბილში, რომ ცხრამეტმა საუკუნემ საქმით სხვისთვის ზრუნვა, საქმით სხვისი სიყვარული ვერ გახადა ჩვენს მოთხოვნილებად. ძმობა, ერთობა, სიყვარული,

თანასწორობა ყოველ ჩვენგანს მხოლოდ ენაზე აქვს მიწებებული — ისიც უაზროდ და ნაძალადევად: როდესაც ჯერი საქმეზე მიდგება, ყოველივე ამას უარეყოფთ და ჩვენს აზრსაც კი ვერ ვამხელთ საჯაროდ, აშკარად, იმდენად დაგვიმონა საკუთარ კუჭში ცქერამ! ყოველი მკითხველისათვის აშკარაა, რომ მატერიალური კმაყოფილება და იდეალური სულიერი მისწრაფებანი ერთად ვერ თავსდებიან, ერთიმეორეს არ ეკარებიან, ერთმანეთს გაურბიან. რა არის მიზეზი? ის, რომ მატერიალური კმაყოფილების საგანი პიროვნებაა, მაღალი სულიერი მისწრაფებანი კი პიროვნების ალაგას მთელს კაცობრიობას აყენებენ და ამისდა მიხედვით საერთოდ და სათანასწოროდ აღიარებენ ყოველივეს. ადამიანში ეგოიზმი მძლავრია, მას ყოველივე კერძო უფრო იზიდავს, ვიდრე საერთო და საზოგადო და ამიტომ ვიდრე თვით ცხოვრება არ გაამეფებს პრინციპს ერთობისა და თანასწორობისას, ადამიანი ამ პრინციპს გზას არ გაუვლია. მეთვრამეტე საუკუნემ თავისი ჭაღარა წვერი ამ პრინციპისათვის ბრძოლაში დაღვრილი სისხლით შეღება; ბრძოლა იყო სასტიკი და მედგარი, მაგრამ რას ვხედავთ დღევანდელ საზოგადოებაში? მხოლოდ შელახვას ამ პრინციპისას: ყველა ვცხოვრობთ საკუთარი თავისთვის, ყველას მხოლოდ საკუთარი თავი გვახსოვს; გამძღარ კუჭზე ზოგი ვწერთ სტატიებს ერთობასა და სიყვარულზე, ზოგი პირზე ღიმით ვკითხულობთ ამგვარ სტატიებს; ზოგი გახარებული ვამტკიცებთ სხვადასხვა ალაგას და სხვადასხვა შემთხვევის დროს, რომ ერთობასა და თანასწორობაშია კაცობრიობის მხსნელი ძალა, ნამდვილად ჩვენს კერძო ცხოვრებაში კი მტერი ვართ ყოველივე ამისი და ეს ნებით მოგვდის თუ უნებლიეთ, საქმისათვის სულ ერთია, — ფაქტი ფაქტად რჩება. ამისთანა დროს რა მნიშვნელობა აქვს მძლავრ ქადაგებას კაცთმოყვარეობისა და თანასწორობისას? მხოლოდ ის, რომ საკუთარი ბედნიერებით გატაცებულ ადამიანს არ დაავიწყოს, რომ არსებობს უფრო მაღალი მიზანი, უკეთესი ცხოვრება, უკეთესი წყობილება; მხოლოდ ის, რომ ადამიანს მოაგონოს, რომ ის ადამიანია და ამიტომ ცხოვრებითა და მისწრაფებით პირუტყვზე მაღლა უნდა იდგეს. არავითარი ქადაგება და არავითარი სიტყვა, ვისგანაც უნდა იყოს ის ნათქვამი, არაფერს აკეთებს იმის მეტს, რომ ადამიანს დაანახვებს უმაღლეს მიზანს და მოაგონებს მის მოვალეობას. ქადაგება კაცთმოყვარეობისა და თანასწორობისა სწორედ ასეთი სიტყვაა. დეე ხშირად გაისმოდეს ის, დეე ხშირად აღელვებდეს და აფხიზლებდეს ადამიანის გონებას, დეე შეუწყვეტლად გვაგონებდეს ჩვენს ადამიანურ მოვალეობას ადამიანის მიმართ, — ერთხელაც არის, სული ხორცსა სძლევს, გადმოხეთქავს,

განბანს და გაწმენდს ცხოვრებას და შემოიტანს იქ კაცთმოყვარეობას, ერთობასა და თანასწორობას.

მკითხველმა იქნება იკითხოს კიდეც, რა აქვს საერთო ამგვარ შესავალს შილერთანო. აი რა: შილერი სწორედ ის უკვდავი პოეტია, რომლის ქადაგება კაცთმოყვარეობისა, ერთობისა და თანასწორობისა ყველაზე უფრო მძლავრად გაისმოდა წარსული საუკუნის განმავლობაში. შილერი არის მშვიდი, წყნარი, ჩვილი და მეტად ნაზი მოციქული კაცთმოყვარეობისა და თანასწორობისა. მართალია, საზოგადოებაში უკვე მოისპო ის ფორმა ურთიერთობისა და უთანასწორობისა, რომელიც შილერის დროს მეფობდა, მაგრამ ეს პოეტი არ ებრძოდა განსაზღვრულ ფორმას საზოგადოებრივი უთანასწორობისას, — ის მტერი იყო ყოველგვარი უთანასწორობისა და სიძულვილისა. სანამ არ განხორციელდება ის სპეტაკი მისწრაფებანი, რომელსაც პოეტი ქადაგებდა, შილერიც ყოველთვის ჩვენთან მყოფი, ჩვენი თანამედროვე, ჩვენი თანამგრძნობი იქნება, მარად ახალგაზრდა და მარად გარდუვალი. და ამიტომ გათვალისწინება მისი აზრების, განახლება გულსა და გონებაში მისი გრძნობების, ფიქრისა და მისწრაფების ჯერ კიდევ დიდხანს მოუტანს სარგებლობას ჩვენისთანა მკითხველს.

სანამ გადავიდოდეთ პირდაპირ საგანზე, გავიცნოთ შილერის ცხოვრება და მისი სიყმაწვილის წლები. ბიოგრაფიის მხრივ ევროპის მწერლები გაცილებით ბედნიერნი არიან ჩვენს მწერლებზე. შილერის ბიოგრაფიის შესახებაც ბევრი მასალა არსებობს. იოჰან-ქრისტოფინ-ფრიდრიხ შილერი დაიბადა 10 ნოემბერს, 1759 წელს. მამამისი, იოჰან კასპარ შილერი, იყო ფერშალი, შემდეგ სამხედრო სამსახურში შევიდა და, რადგან ჯამაგირი ცოტა ეძლეოდა, სხვა წყარო შემოსავლისა კი არავითარი არა ჰქონდა, ამიტომ ღარიბულად ცხოვრობდა. პატარა შილერის დედა მეტად გულკეთილი, პატიოსანი, ჭკვიანი და ღვთისმოსავი ქალი იყო; თავისი ხასიათის ყველა კარგი თვისება გადასცა შვილს და აღზრდით კიდევ უფრო განუმტკიცა. შილერი პატარაობიდანვე ნამეტანი გულკეთილი, გულჩვილი და საამხანაგო ბავშვი იყო. ხშირად წიგნებს თავისზე უფრო ღარიბ ამხანაგებს მისცემდა ხოლმე, ხანდახან ზედატანისამოსსაც თან გაატანდა და, თუმცა ამისათვის მადლობას არ ეუბნებოდა მამამისი. მაგრამ ყველა ახალი შემთხვევის დროს პატარა შილერის კაცთმოყვარეობა და პატიოსნება უცვლელად იჩენდა ხოლმე თავს. დედის შემდეგ შილერს ასწავლიდა ადგილობრივი ეკლესიის პასტორი მოზერი, რომელიც მთელი სამი წელიწადი იყო შილერის მასწავლებლად. 1772 წლამდე შილერი სწავლობდა ადგილობრივ ოთხ-

კლასიან სასწავლებელში ლუდვიგსბურგში. ლუდვიგსბურგში ცხოვრობდა ვიურტემბერგის მთავარი, კარლოს-ევგენი, რომელიც განთქმული იყო თავისი უზნეობითა და გარყვნილობით. ეს იყო ნამდვილი წარმომადგენელი თვითმპყრობელი მტარვალისა: თავის ქვეშევრდომებს სულს ეხუთავდა სხვადასხვა გადასახადით, მის სასახლეში კი მილიონები იხარჯებოდა იმისი საყვარლების საჩუქრებზე. პატარა შილერი გულმოდგინედ უკვირდებოდა ყოველივეს. რასაც ხედავდა და რაც მის გარშემო ხდებოდა და მთავრის ცხოვრება, მისი ზნე-ხასიათი მალე გაიცნო დაწვრილებით. პოეტის ნიჭი შილერს ბავშვობაშივე ეტყობოდა. ათი წლისა არც კი იყო, როდესაც ლექსებსა და პიესებსაც კი წერდა. თორმეტი წლისამ ორი ტრაგედია დაწერა და ლექსების წერაში იმდენად დახელოვნებული იყო, რომ არათუ გერმანულ ენაზე, ლათინურადაც კი წერდა ხოლმე. როდესაც სკოლას ინახულებდა რომელიმე წარჩინებული პირი, მასწავლებელი საგანგებოდ შეუკვეთდა პატარა შილერს მისალოც ლექსს და ისიც საუცხოოდ ასრულებდა მასწავლებლის დავალებას. როგორც თვითონ შილერს, მის მშობლებსაც მისი პასტორობა უნდოდათ, მაგრამ ერთმა გარემოებამ შეუშალა ხელი: 1770 წლიდან შილერის მამა დაინიშნა სასახლის ბაღების ზედამხედველად. მთავარმა პატარა შილერს ყურადღება მიაქცია და, როდესაც ის კურსს ათავებდა, მამამისს წინადადება მისცა: შენმა შვილმა პასტორობას თავი დაანებოს და იურიდიული მეცნიერება შეისწავლოს, რადგანაც ჩემს სამთავროს კარგი ჩინოვნიკები ესაჭიროებაო. მამამ, რასაკვირველია, უარი ვერ გაბედა და 1773 წელს შილერი მიაბარეს მთავრის სასწავლებელში. ეს სასწავლებელი, ანუ აკადემია, რომელიც მთავარმა დააარსა თავისი საკუთარი ხარჯით, იმყოფებოდა ერთ-ერთ მის სახლში. აკადემიაში მეტად სასტიკი წესრიგი არსებობდა. რექტორად თვითონ მთავარი ითვლებოდა და ყმაწვილების აღზრდასა და ყოფაქცევის თვალყურის გდებაში დიდ მონაწილეობას იღებდა. სასწავლებელში აზნაურები გაყოფილი იყვნენ არააზნაურთაგან; ისინი ტანისამოსსაც კი სხვადასხვანაირს ატარებდნენ. იურიდიული საგნები შილერს დიდად არაფრად ეპიტნავებოდა და უფრო მეტ ყურადღებას საექიმო საგნებს აქცევდა. მაგრამ ყველაზე უფრო ის პოეზიამ გაიტაცა. თუმცა სასწავლებელში ახალი პოეტების კითხვა და ლექსების წერა სასტიკად იყო აკრძალული, შილერი მაინც ახერხებდა ახალი წიგნების შეძენას, გაფაციცებით კითხულობდა შექსპირს, კლოპშტოკს, ლესინგს, გოეთეს და სხვ., და თვითონაც ბევრსა წერდა. აკადემიაში მოსწავლენი მოკლებულნი იყვნენ ყოველგვარ თავისუფლებას, მათ სასტიკ მხედრულ წესზე ზრდიდნენ.

ამგვარი შეეიწროება ყველაზე უფრო ახალგაზრდა შილერს უხუთავდა სულს და ხშირად ისეთ სასოწარკვეთილებაში აგდებდა, რომ ახალგაზრდა პოეტს თავის მოკვლაც კი განუზრახავს ხოლმე. ერთი ამგვარი სასოწარკვეთილების დროს ის აკადემიიდან თავის დას წერდა: ვინიცობაა მე თავი მოვიკლა, ჩემი მშობლების მანუგეშებელი შენ უნდა იყო. პატარაობიდანვე შილერი თავისუფლებას და თანასწორობას ეტრფოდა, პატარაობიდანვე ვერ ეგუებოდა შეეიწროებას, შეზღუდვას, უთანასწორობას; პატარაობიდანვე იხატებოდა ბავშვში ის თვისებანი და მიდრეკილებანი, რომლებიც შემდეგ საძირკვლად დაედვნენ იმის პოეზიას.

თავის ყმაწვილურ სულის ქენჯნას, სასოწარკვეთილებასა და უიმედობას შილერი პოეზიაში გამოთქვამდა ხოლმე, მაგრამ ლექსების წერა აკრძალული იყო და ნორჩი პოეტი იძულებული ხდებოდა ღამით ეწერა, ბევრჯერ ლოგინში თან ჩაიტანდა ხოლმე ქაღალდს და საბანქვეშ წერდა ლექსებს. ამგვარად აქვს მას დაწერილი „ავაზაკების“ ზოგიერთი ალაგიც. 1780 წელს შილერმა გაათავა აკადემია და მიიღო ექიმის მოწმობა. ახალგაზრდა შილერი დანიშნეს სამხედრო ექიმად, დაუნიშნეს მცირე ჯამაგირი და ამგვარად მისი იმედი: აკადემიას გავათავებ და მშობლებს დავეხმარებიო, მცდარი გამოდგა, —მცირე ჯამაგირი შილერს თვითონაც არ ყოფნიდა. მაგრამ შილერი არ იყო ექიმობისთვის დაბადებული; ამისათვის მას არც ნიჭი ჰქონდა, არც ხალისი. 1781 წელს მან გამოსცა „ავაზაკები“ და ამ წლიდან იწყება მისი საჯარო გამოსვლა ხელოვნების ასპარეზზე. აქედან მოკიდებული შილერი რამდენჯერმე იყო სხვადასხვა გაზეთისა და ალმანახის რედაქტორი, მაგრამ რედაქტორის ნიჭს და მოხერხებას მოკლებული იყო და მის ხელში ვერც ერთმა გაზეთმა ვერ იხეირა.

რედაქტორობამ შილერს ვალების მეტი ვერაფერი შესძინა 1782 წელს მანჰეიმის საუკეთესო თეატრში პირველად წარმოადგინეს „ავაზაკები“. ახალგაზრდა პოეტი სამსახურიდან უფროსის ხებადაურთველად გამოიპარა, რომ თავისი პიესის თამაშს დასწრებოდა. პიესამ დამსწრე საზოგადოებაში მთელი არეულობა გამოიწვია: ახალგაზრდობის საუკეთესო ნაწილი დიდი აღტაცებით მიეგება კარლოს მორორს; ძველი თაობა კი გაგულისდა და პიესისა და მისი ავტორის წინააღმდეგ ამხედრდა. ეს ასეც უნდა მომხდარიყო: ახალი ახალს ეტრფის, ძველი კი ყოველთვის უკან იყურება და ახალს უარყოფს, რაგინდ კარგი იყოს ის. წარმოდგენის შემდეგ ახალგაზრდა პოეტი დაბრუნდა შტუტჰარდში, სადაც მსახურობდა, — ახლა ის იყო უკვე განთქმული დრამატურგი, რომლის გაცნობას, დაახ-

ლოებას ყველა ნატრობდა; ამ დღიდან მოკიდებული შილერმა ხშირად იწყო სამსახურიდან გაპარვა, რაც მთავარს შეუმჩნეველი არ დაურჩა. ერთხელ მან ახალგაზრდა პოეტი ორი კვირით დააპატიმრა თვითნებობისთვის და შემდეგ გამოუცხადა: რასაც დაწერ, ყველაფერი უმალ მე უნდა მაჩვენოო. შილერმა მტკიცე უარი განაცხადა ამგვარ წინადადებაზე. მაშინ გულმოსულმა მთავარმა აუკრძალა ყველაფრის წერა, გარდა საექიმო გამოკვლევებისა. ამგვარად შილერის სულიერ მოთხოვნილებას, მის მისწრაფებას მთავარი გადაეღობა. ეს დაბრკოლება იმდენად ძლიერი იყო, რომ შილერმა გადასწყვიტა ჩუმად გაპარულიყო მანჰეიმს და ამგვარად მოშორებოდა მთავარსაც და შტუტჰარტსაც. მალე შილერმა თავისი განზრახვა აღსრულებაში მოიყვანა და ერთ მშვენიერ ღამეს მიატოვა შტუტჰარტი. მანჰეიმს მისვლისთანავე შილერმა მიმართა თეატრის დირექციას და წარუდგინა თვისი „ფიესკო“, რომლის დადგმაზეც დირექციამ უარი განაცხადა. შილერს სხვა სახსარი ცხოვრებისა არ გააჩნდა: მისი ერთადერთი იმედი მისი პიესები იყო. ის მცირეოდენი ფული. რაც თან გამოჰყვა სამშობლოდან, მალე შემოეხარჯა და ამიტომ იძულებული გახდა მანჰეიმიდან გადასახლებულიყო მახლობელ სოფელ ბაუერბახში. აქ ცხოვრებამ შილერს დიდი სარგებლობა მოუტანა. მარტოდმარტო მყოფი შილერი, გულგატეხილი და იმედდაკარგული, ხარბად დაეწაფა მეცნიერების ყოველ დარგს და თავისი თვითგანვითარება საკმაოდ გააფართოვა. ამავე დროს ის ხელოვნებასაც არა ტოვებდა და თან წერდა ახალ პიესებს, თან მასალას აგროვებდა სხვა პიესებისათვის. მალე მანჰეიმის თეატრის დირექციამ ისევ მიიწვია ის. მთელი წლის განმავლობაში შილერი დაუღალავად მუშაობდა თეატრისათვის, დაამზადა ამ დროის განმავლობაში სცენისთვის „ფიესკო“ და „ლუიზა მილერი“; მაგრამ შემდეგი წლიდან დირექციამ ის აღარ მიიწვია და შილერი ისევ გაჭირვებაში ჩავარდა. მან განიზრახა ჟურნალის გამოცემა, მაგრამ ახალმა ჟურნალმა იმდენი მტერი მოუპოვა, რომ იძულებული გახდა, მანჰეიმს გაცლოდა. შილერი გადასახლდა ლაიპციგში, სადაც მას ბევრი თაყვანისმცემელი ჰყავდა. აქ ის დიდი აღტაცებით მიიღეს; მალე მან გაიცნო ლიტერატორები, არტისტები და გავლენიანი პირები და მისი ცხოვრების პირობებიც რიგიანად მოეწყო. აქედან შილერი გადასახლდა დრეზდენში, სადაც ორი წელიწადი დაჰყო. შილერის ერთ დამახასიათებელ თვისებას შეადგენდა მეტად მოსიყვარულე გული: უმეგობროდ, უამხანაგოდ ცხოვრება არ შეეძლო და სადაც კი გაჩნდებოდა, უსათუოდ უნდა მოეპოვებია გულითადი მეგობარი. დრეზდენშიაც მთელი ორი წელიწადი შილერმა ერთ თავის საუკე-

თესო მეგობართან გაატარა. 1787 წელს შილერი გადასახლდა ვაიმარში. ვაიმარი ამ დროს ნამდვილი პოეტთა ქალაქი იყო: აქ იყვენ ჰერდერი, ვილანდი, გოეთე და ვაიმარის მთავარი, — ლიბერალური მიმართულების კაცი და პოეზიის დიდი თაყვანისმცემელი. ვაიმარში პირველ ხანებში შილერმა უმთავრესი ყურადღება მიაქცია ისტორიას და დაიწყო ისტორიული გამოკვლევების წერა, რითაც მალე მოიხვეჭა არა თუ ნიჭიერი ისტორიკოსის სახელი, არამედ იმდენი ფულიც, რომ თავისი დიდი ხნის ვალების უმეტესი ნაწილი გაისტუმრა. ამგვარ შრომას ისტორიის ასპარეზზე ის შედეგი მოჰყვა, რომ 1788 წელს ვაიმარის ჰერცოგმა ის დანიშნა იენის უნივერსიტეტში ისტორიის პროფესორად. სტუდენტობა დიდი აღტაცებით მიეგება ახალგაზრდა პოეტ-პროფესორს. მის ლექციებს მუდამ ბევრი მსმენელი ესწრებოდა, მაგრამ პროფესორობა არ შეესაბამებოდა შილერის ბუნებას, რომელსაც ყოველგვარი შევიწროვება და თავისუფლების შეზღუდვა ეჯავრებოდა. თუ დათანხმდა პროფესორობაზე, უმთავრესად იმიტომ, რომ უბინაოდ სიარული მობეზრდა და საკუთარი ოჯახის მოპოვების სურვილი დღითი დღე უძლიერდებოდა. 1790 წელს შილერი დაქორწინდა ლოტა ლენგე ფელდზე. ქორწინებამ შესძინა შილერს ერთგული და მოყვარული ამხანაგი. მშვიდი და წყნარი ოჯახი. ასე კარგად, ასე მოსვენებულად შილერს არასოდეს უგრძვნია თავი; მასში თითქოს შრომის სურვილმა და ძალამაც ერთიორად იმატა, მაგრამ ბედმა აქაც უღალატა პოეტს; მალე თავი იჩინა იმ სენმა, რომელმაც ბოლო მოუღო. 1799 წელს შილერმა თავი დაანება პროფესორობას იენში და გადასახლდა ვაიმარში. აქ მან ისევ ხელოვნებას მოჰკიდა ხელი და დაუღალავად მუშაობდა სცენისათვის გოეთესთან ერთად: შილერის სიცოცხლის უკანასკნელ წლებში ისა და გოეთე დიდი მეგობრები იყვენ; შილერი ისე არაფერს დაბეჭდავდა, რომ უმალ გოეთესთვის არ წაეკითხვინებია, აგრეთვე გოეთეც ყოველ თავის ახალ ნაწარმოებს უმალ შილერს უკითხავდა და მის მსჯავრს ისმენდა. შილერი დაუღალავად შრომობდა და წერდა ახალ პიესებს. რამდენჯერმე ავადმყოფობა იმდენად გაუძლიერდა, რომ მის მორჩენას აღარ ელოდნენ, მაგრამ განგება იფარავდა პოეტს. მუდმივი შრომა მისმა სუსტმა აგებულებამ ვეღარ აიტანა და 1805 წელს 9 მაისს გარდაიცვალა.

რას გვასწავლის პოეტის მოკლე ბიოგრაფია? პოეტი იყო ღარიბი ოფიცრის შვილი, დაიბადა ღარიბ ოჯახში, აღიზარდა ისეთ სასწავლებელში, სადაც სასტიკი დისციპლინა არსებობდა; კურსის გათავებისთანავე ის ისევ სამხედრო წესრიგის სისასტიკეს დაუმორჩილეს; მთელი თავისი სიცოცხლე გაჭირვების, სიღარიბისა და შევიწ-

როების მეტი არაფერი გამოუცდია; ბუნებამ მას არგუნა მეტად მოსიყვარულე გული, მშვიდი და წყნარი ხასიათი. აქედან თავისთავად ცხადია, თუ რა უნდა ყოფილიყო შილერის პოეზიის უმთავრესი თვისებანი. მიუხედავად მრავალი გაჭირვებისა, პოეტმა უკანასკნელ ჟამამდე შეინარჩუნა ღრმა რწმენა და სიყვარული ადამიანისა და ცხოვრებისა; მას უყვარდა ადამიანი ყველა მისი ნაკლულევანებით, ის იყო გულმხურვალე მოსარჩლე და მფარველი ყველა გაჭირვებულისა. პოეტი დაიბადა იმ დროს, როდესაც ევროპაში გვარიშვილობას, „სისხლს" დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. იგი არ ეკუთვნოდა „სისხლიანთ" ნაწილს თავის პოეზიაში მან აღიარა სრული თანასწორობა, დაგმო ტრადიციები და ჩამომავლობითა და გვარის მიხედვით კაცის დაფასება; პოეტი აღიზარდა ისეთ პირობებში, სადაც გამეფებული იყო ყოველგვარი შევიწროება და თავისუფლება სრულებით უარყოფილი; ახალგაზრდა პოეტი გამოვიდა თავისუფლების აღფრთოვანებულ მქადაგებლად და დამცველად. სიყვარული ადამიანისა, თანასწორობა და თავისუფლება, — აი უმთავრესი საგანი შილერის გულწრფელი და მასთან განუსაზღვრელი რწმენითა და იმედით აღფურვილი პოეზიისა.

ყველა ფილოსოფიურ მოძღვრებაში პესიმიზმი ყველაზე უფრო მავნებელია, ხოლო ადამიანის ყოველგვარ გრძნობაში გულგატეხილობა, მელანქოლია — ყველაზე უფრო მაზარალებელია. თუ კი სიტყვას, თუ კი ამა თუ იმ მოძღვრებას ცხოვრებაში რისამე გაკეთება შეუძლია, ყოველი სიტყვის, ყოველი მოძღვრების მიზანი ის უნდა იყოს, რომ ადამიანს სიცოცხლე და ცხოვრება შეაყვაროს. ცხოვრების სიყვარული უმთავრესი პირობაა, ურომლისოდაც ადამიანის ბედნიერება შეუძლებელია. თუ ზოგჯერ მილიონერი თავისი ხელით ისპობს სიცოცხლეს, ფეხშიშველი გლეხი კი, რომელსაც რიგიანად გამოძღომაც კი ბევრჯერ არ შეხვედრია, ღრმა მოხუცებულობაშიაც ცას და ქვეყანას შეხარის, ამის მიზეზი ის არის, თუ რა თვალით უყურებს პირველი ან მეორე სიცოცხლესა და ცხოვრებას. სიყვარული — ეს დიადი გრძნობა, თუ რომ ის ადამიანმა ადამიანურად არ მოიხმარა, არ აკავშირებს პირველს ცხოვრებასთან. ამიტომ მას სიცოცხლეც მეტ ბარგად გადაქცევია, ბედნიერების წყარო სათავეშივე მოწამლული აქვს და ასეთ კაცს თავის მოკვლის მეტი, რასაკვირველია, აღარა დარჩენია რა; მეორეს კი ცხოვრება უყვარს, ეს სიყვარული შინაარსს აძლევს მის კერძო სიცოცხლესაც და ბევრჯერ მშიერიც რომ იყოს, გულის სიღრმეში ის მაინც ბედნიერად გრძნობს თავს. რა საძაგელიც უნდა იყოს ცხოვრება, რა სისულელესაც უნდა წარმოადგენდეს ადამიანის სიცოცხლე, ყველას შეუძლია,

ყველა ვალდებულია უკეთესი ცხოვრების დამყარებას ხელი შეუწყოს, ხოლო არავის არა აქვს უფლება, ადამიანის გულში თესოს თესლი სიცოცხლის სიძულვილისა. ვინც შრომობს ცხოვრების გაუმჯობესებისათვის, ის ემსახურება ადამიანის კეთილდღეობას, ადამიანის ბედნიერებას; ვინც მხოლოდ სიძულვილს თესავს, ის ემსახურება ადამიანის უბედურებას და ვისაც არ შეუძლია ადამიანის გაბედნიერება, მას რა უფლება აქვს ადამიანის უბედურებას ემსახუროს?! საშუალო ადამიანს სიცოცხლე უყვარს, მას ცხოვრება სწყურია, ცხოვრება ადამიანური. გააღვივეთ მისი სიყვარული, დააკმაყოფილეთ მისი წყურვილი — აი პატიოსანი საქმე.

იმ მოღვაწეთა შორის, რომლებიც ამ პატიოსან საქმეს ემსახურებოდნენ, ერთი საუკეთესო ალაგი შილერს უჭირავს. შილერი ღარიბ ოჯახში დაიბადა, მთელი თავისი სიცოცხლე სიღარიბეში გააატარა; ბევრგვარი შევიწროება, ძალმომრეობა, უსამართლობა, დაჩაგვრა, დამცირება თავის საკუთარ თავზე გამოსცადა; ჯერ კიდევ ახალგაზრდას შეეპარა სენი, რომელიც მთელი თხუთმეტი წელიწადი ღრღნიდა მის ჯანმრთელობას. ღმერთო, როდის მოეღება ამას ბოლოო, არა ერთხელ წარმოუთქვამს ამ დროის განმავლობაში, მაგრამ მიუხედავად ყოველივე ამისა, მას არც ერთხელ არ დაკარგვია რწმენა ცხოვრებისა და ადამიანის. სიცოცხლე ბედნიერებაა, ადამიანი ბუნებით კეთილი და პატიოსანი არსებაა — აი შილერის ღრმა რწმენა. მისი რწმენა სარჩულად უდევს მის პოეზიას. ბუნებამ შილერს არგუნა ნაზი, ფაქიზი და მეტად მგრძნობიარე ნერვები; დედის მოსიყვარულე გულმა კიდევ უფრო გაანაზა, მწარე ცხოვრებამ კიდევ უფრო გააგრძნობიერა ისინი. ამიტომ შილერის პოეზია არის პოეზია ნერვების, პოეზია გრძნობის და, რადგანაც გრძნობა ყოველთვის ინდივიდუალურია, სუბიექტური, შილერის პოეზიაც უმთავრესად სუბიექტურია. ნაზი და გრძნობით სავსე ნერვები ის აღგზნებული სიმებია, რომლებზედაც აწყობილია შილერის მთელი პოეზია — როგორც ლექსები, ისე დრამები. ლირიკა შილერის ნიჭის უმთავრესი ძარღვია, ლირიზმი შილერის ხელოვნების უმთავრესი თვისებაა. თუ შილერის თანამედროვე გოეთე თავისი ობიექტივიზმით, თავისი პოეზიის დედააზრით საყოველთაო მსოფლიო გენიოსია, შილერი თავისი ფრძნობებით წვდება ყოველ ადამიანს, ქვეყნის ყოველ კუთხეს. შილერის ძლიერება მისი პოეზიის ლირიზმია და ამ ლირიზმს მოკლებული რომ იყოს მისი დრამები, რომლებიც დღესაც ამშვენებენ ევროპის თეატრის რეპერტუარს, მათ აღარ ექნებოდა ის მნიშვნელობა და გავლენა, რომელიც სამართლიანად აქვს მოხვეჭილი.

შილერის წვრილი ლექსები და ბალადები წარმოადგენენ ერთ აღფრთოვანებულ ლირიკას. ძირითად თვისებას შილერის ლექსებისას ის შეადგენს; რომ მათში თანამედროვე ცხოვრება სრულებით უარყოფილია. ლექსებში შილერი ის არ არის, რაც დრამებში; თუ თავის დრამებში ის სასტიკად კიცხავს ზოგიერთ მავნე ტრადიციას და თანამედროვე ცხოვრების სიმახინჯეს, ლექსებში შილერის ძთელი გრძნობა, მისი სული და გული მხოლოდ ბუნებისაკენ არის მიქცეული. მაგრამ შილერი არ არის ბუნების უდარდელი, უმიზნო მოტრფიალე, მას უყვარს ბუნება იმიტომ, რომ ბუნებაში განხორციელებულია ის, რასაც ამაოდ დაეძებს ადამიანთა საზოგადოებაში, და ის გამუდმებით ითხოვს ადამიანთა შორის იმგვარ კავშირს, იმგვარ დამოკიდებულებას, როგორიც ბუნებაში არსებობს. ცხოვრება შილერს არ აკმაყოფილებდა, მთელი თავისი სიცოცხლე ის უკეთესისაკენ მიისწრაფოდა, მაგრამ ცხოვრების განვითარება და გაუმჯობესება ადამიანის ნატვრასავით სწრაფად არ მიცურავს და ამიტომაც შილერი ოცნებაში ჰპოვებდა ნუგეშს და იმედს, ოცნებით იახლოებდა იმ სისრულეს, რასაც ცხოვრება მოკლებული იყო. თუ გინდა, რომ ღმერთს დაედარო, უარჰყავ ქვეყნიური ვიწრო და სულისშემხუთავი ამაოებანი და ოცნებით იდეალის შუქმმოსავ სამყაროში აფრინდიო, — ამბობს პოეტი ერთ თავის ლექსში („იდეალი და ცხოვრება", 1795 წ.). იდეალი ის წმინდა და ნათელი ლამპარი იყო, რომელიც გზას უნათებდა შილერის ნიჭს და სულს უდგამდა მის პოეზიას. რამდენადაც პოეტს არ აკმაყოფილებდა ცხოვრება, იმდენად უფრო იზიდავდა ბუნება და ხელოვნება. ბუნება და ხელოვნება — ის ორი ღმერთია, რომლებსაც შილერი თაყვანს სცემდა; ამის მიზეზი შემდეგია: შილერი მხოლოდ ბუნებაში ხედავდა იმ სიყვარულსა და მეგობრობას, ხელოვნებაში კი იმ მშვენიერებასა და თავისუფლებას, რომლებსაც მოკლებული იყო ცხოვრება.

შილერის პოეზია არის პოეზია საერთო, მსოფლიო სიყვარულისა. სიყვარულის ქადაგება შეადგენს შილერის ლექსების ერთ უმთავრეს თვისებას. შილერის სიყვარული ნაზი, წარმტაცი, მომხიბლავი გრძნობაა, ის რაღაც უხილავი ბადეა, რომელშიაც მოთავსებულია მთელი სამყარო. ქვეყნიერება შილერის თვალში სიყვარულის საკურთხეველია; ამ უდიდეს გრძნობას ის არა თუ ადამიანთა შორის, უსულო საგნებშიც კი ხედავს. უკვდავი ნიუტონის კანონი შილერის პოეზიაში შეცვლილია სიყვარულითა და მეგობრობით: მხოლოდ სიყვარული და მეგობრობა აკავშირებს ერთმანეთთან მზესა და დედამიწას, იმავე სიყვარულსა და მეგობრობას ხედავს ის ვარსკვლავთა შორისაც. შილერი ღვიძლი შვილია ბუნების, მას არა თუ ადამიანი

უყვარს, მას ძლიერი გრძნობით უყვარს ბუნება, როგორც შვილს მშობელი დედა. აი რას წერს ის ერთ თავის ლექსში „მეგობრობა“, რომელიც დაწერილი აქვს 1781 წელს: ადამიანნი რომ უცებ მოისპონ დედამიწაზე, კლდეებს ჩავთვლიდი სულიერ ქმნილებად, მათ დავუწყებდი აღგზნებით კოცნას, შევიყვარებდი მთის მწვერვალებს, დავუმეგობრდებოდი ჭალებს და ჩემს საიდუმლოს ქარს გავანდობდი; სიძულვილი ჩვენ მძოვრად გადაგვაქცევს ხოლმე, სიყვარული კი ღმერთადო, დასძენს შილერი. განვლო ამის შემდეგ თხუთმეტმა წელმა, ბევრი რამ განიცადა ამ დროის განმავლობაში შილერმა, მაგრამ მისი შეხედულება, აღტაცებული სიყვარული ბუნებისა უცვლელი დარჩა. 1775 წელს „იდეალებში“ პოეტი წერს: ბუნება ჩემს სიყვარულს იზიარებდა, უენომ ენა ამოიდგა, ამბორი უკან დამიბრუნა და ჩემი გულისძგერა შეიგნო. ტყე და მთები გაცოცხლდნენ და ვერცხლისფერი რუ მე მიგალობდაო. თუ ასეთი ღრმა იყო პოეტის სიყვარული უსულო საგნებისა, როგორი უნდა ყოფილიყო მისი სიყვარული თვით ადამიანისა?! მტრობა, სიძულვილი ის გრძნობაა, რომლებსაც შილერის ბუნება მოკლებული იყო. ამ გრძნობებს მოკლებულია შილერის პოეზიაც. შეიყვარეთ ერთმანეთი, განდევნეთ შური და მტრობა, მხოლოდ სიყვარული ამაღლებს ადამიანთ! — აი რას ქადაგებდა შილერი მთელი თავისი სიცოცხლე. თვით სიცოცხლეც შილერს არარაობად მიაჩნია უსიყვარულოდ, „თვით ზეცაც კი რა არის უსიყვარულოდ“, — ამბობს შილერის იუნონა „სმელაში“. ყოვლად ძლიერი ზევსი კიდევ უფრო მაღლა აყენებს სიყვარულს იმავე „სმელაში“: „რა არის ძლიერება, უკვდავება, მარადისობა, ღმერთი უსიყვარულოდ!“. ზევსისა და იუნონას აზრი იგივე შილერის აზრია.

თავის წვრილ ლექსებში შილერს ბევრი აქვს სასიყვარულო ლექსიც, თუმცა ზოგიერთ მათგანში პოეტს მუზა უკოცნელად ვერ ძლებს და ქალის ლოყებისკენაც იყურება, მაგრამ, საერთოდ, ამ ლექსებში სიყვარული ქალისა მეტად ნაზი, ამაღლებული, იდეალურია.

მეორე ძლიერი გრძნობა, რომელიც სარჩულად უდევს შილერის ლექსებს, არის მეგობრობა. სიყვარული და მეგობრობა შილერის პოეზიაში განუშორებელი და ერთნაირად ძლიერი გრძნობებია: ორივეს საზღვრები ერთად იწყება და ერთადვე თავდება: ამიტომ, შილერის აზრით, იქ, საცა სიყვარულია, მეგობრობაც არის, საცა მეგობრობაა, იქ სიყვარულია. ამგვარად, შილერის პოეზიაში სიყვარული და მეგობრობა ის განწმენდილი იდეალური გრძნობებია, რომლებიც ადამიანის ბუნების საუკეთესო სამკაულს შეადგენენ.

თუ შილერი სიყვარულს მთელს სამყაროში ხედავდა და მიაჩნდა ის რაღაც მსოფლიო სულად, რომლითაც გაჟღენთილი იყვნენ თვით უსულო საგნებიც კი, ამგვარადვე უყურებდა ის მეგობრობასაც; მეგობრობას ის ხედავდა ყველგან სამყაროში, ყოველგვარ უსულო საგნებს შორის, და ადამიანთა შორის ხომ მეგობრული კავშირი მას მიაჩნდა საუკეთესო კავშირად. არ ყოფილა არც ერთი წამი, როდესაც შილერს თავის გულისათვის ეღალატნოს, მას არ დაუწერია არც ერთი სტრიქონი, არც ერთი სიტყვა, სადაც ის თავის გრძნობას მტრობდეს: შილერი წერდა ყოველთვის მხოლოდ იმას, რასაც გრძნობდა და მისი მუზა და მისი გული მეგობრობის საკითხში სავსებით ეთანხმებოდნენ ერთმანეთს. შილერი ისეთი ადამიანი იყო, რომელსაც მარტოდ მარტო, უმეგობროდ გაძლება არ შეეძლო. სადაც კი მივიდოდა, უმალ მეგობარს მოძებნიდა ხოლმე მისი გული. თუ რამდენად ღრმა იყო მისი სიყვარული ყოველი მეგობრისადმი, იქიდანაცა ჩანს, რომ როდესაც მას სასწავლებელში გულითადი ამხანაგი ავად გაუხდა და შილერი ატყობდა, რომ ის აღარ მორჩებოდა, მომავალი პოეტი გულწრფელად ეეედრებოდა ღმერთს: მე მომკალი მის მაგიერო. ამგვარი პატიოსანი თვისება გულისა შილერმა ბოლომდე შეირჩინა. მეგობრისათვის არ იშურებდა სულსა და გულს, მასთან დაფარული არა ჰქონდა რა და ამიტომ საკვირველიც არ არის, თუ ასე მაღლა აყენებს პოეტი ამ გრძნობას..

როგორც უკვე ვთქვით, მთელს ბუნებაში, ყოველგვარ უსულო საგანთა შორისაც, შილერი სიყვარულსა და მეგობრობას უმღერის. შილერის აზრით, ბედნიერება მხოლოდ იქ არის, სადაც სიყვარული და მეგობრობაა; მაგრამ ამათ გარდა ბედნიერების მთავარ პირობად ძას მიაჩნია თანასწორობა და თავისუფლება. შილერის აზრით, ადამიანთა შორის ყველაფერი თანასწორად უნდა იყოს განაწილებული, თვით ბედნიერების განაწილებასაც კი თანასწორად ითხოვს პოეტი და ვერ ურიგდება იმგვარ უსამართლობას, რომ ერთსა და იმავე საზოგადოებაში ერთი ბედნიერი იყოს, მეორე კი უბედური. თავისუფლების საკითხზე შილერი გადაჭრილ პასუხს იძლევა თავის ლექსებში. როგორც შემდეგშიც დავინახავთ, ის მტერი იყო ყოველგვარი შევიწროების, შეზღუდვის, ძალმომრეობისა და ერთისაგან მეორის დაჩაგვრის. თავისუფლება, მისი რწმენით, ყოველი ადამიანის ორგანული თვისებაა. ამ თვისების წართმევა ყოვლად შეუძლებელია. „ყველა ადამიანს დასაბამიდანვე მინიჭებული აქვს თავისუფლება, თუნდაც ბორკილებში დაბადებულიყოს“, — წერს ის ერთ თავის ლექსში 1797 წ. და ამით აშკარად აძტკიცებს, თუ როგორ ესმოდა თავისუფლება. თავისუფლების ყოველგვარი შევიწროება ში-

ლერს მიაჩნდა დიდ უსამართლობადა და მტარვალობად და ამგვარ მტარვალობასთან ბრძოლას შეალია მთელი თავისი ნიჭი და ღონე. შილერის ლირიკა — ეს თვით გულია შილერისა, მისი წვრილი ლექსები მისივე სულის სარკეა. თქვენ იხედებით ამ სარკეში და უნებურად, შეუმჩნევლად, ძლიერი წყურვილი გებადებათ — გინდათ ყველა შეიყვაროთ, ყველას დაუმეგობრდეთ, შური და მტრობა დავიწყოთ, და თვით უსულო ბუნებასაც კი გაუამხანაგდეთ, გულში ჩაიკრათ. თუ შენ სული შეგიხუთა, მკითხველო, საზოგადოებრივი ცხოვრების ვიწრო და შმორიანმა ატმოსფერომ, მიმართე შილერს: ის გადაგიშლის ბუნებას და დაგანახვებს, რომ ბუნება საუკეთესო საზოგადოებაა, სიმშვენიერით, სიყვარულითა და მეგობრობით აღსავსე; თუ შენს გულში მარტოობის სევდას დაუბუდნია, მკითხველო, შილერს მიმართე, — ის გეტყვის: მე მარტო არასოდეს ვყოფილვარ — ხე, ბალახი, კლდეები ყოველთვის ჩემთან იყვნენ და მათ შორის ჩემი თავი მარტო არ მიგრძვნია, მათთან ერთად მეც ბუნების შვილი ვიყავიო; თუ ადამიანის რწმენა დაგკარგვია, მკითხველო, მიმართე შილერს, — ის ჩაგახედებს ადამიანის გულში და დაგანახვებს სიყვარულს, ძმობას, მეგობრობას, დაგარწმუნებს, რომ ადამიანში არის პატიოსნება, რაც უნდა დაცემული იყოს ის; თუ ბოროტებას შენთვის სასოება წაურთმევია, მიმართე შილერს, — ის დაგანახვებს, რომ ქვეყნად კეთილი არსებობს; თუ ცხოვრებაზე გული გაგტეხია, მკითხველო, და სიცოცხლე მოგბეზრებია, დაუმეგობრდი შილერს და ის გასწავლის: გაათბე შენი გული სიყვარულისა და მეგობრობის წმინდა შუქით, შეუმჩნევლად იზრუნე შენი განკარგებისათვის, მაშინ შენს სიცოცხლესაც მიზანი ექნება და ცხოვრებაც მეგიყვარებაო. შილერს მე არასოდეს არ ვუწოდებ გენიოსს, ის არ არის გენიოსი. მაგრამ ის იმედია ყველა უიმედოსი, ნუგეშია ყველა უნუგეშოსი, შვებაა ყველა სულით ტანჯულისათვის და აი ამაშია მისი ძლიერებაც.

შილერი ღრმად დარწმუნებულია, რომ ადამიანი უზენაესი მიზნისათვის არის დაბადებული. რაში მდგომარეობს ეს უზენაესი მიზანი? ზნეობრივად და გონებრივად შეუჩერებელ განვითარებაში. შილერი ამგვარ განვითარებას, განკარგებას ითხოვს ყოველი ადამიანისაგან, ხოლო ამისათვის აუცილებელ პირობად მიაჩნია: სიყვარული ანუ ძმობა, მეგობრობა ანუ ერთობა, და თავისუფლება ანუ თანასწორობა. პირად განვითარებას შილერი მეტ ყურადღებას აქცევდა და მეტ მნიშვნელობასაც აძლევდა, ვიდრე საზოგადოებრივს. ამაში მარტო შილერის კი არა, — მთელი მეთვრამეტე საუკუნის ფილოსოფიური აზროვნების შეცდომაა. საშუალო საუკუნეებიდან მოყოლებული სარწმუნოებამ, ტრადიციებმა, საზოგადოებრივმა წყობილე-

ბამ პიროვნება ნელ-ნელა შებორკა, შეზღუდა და ბოლოს სრულებით მოუსპო ყოველგვარი თავისუფლება მარტო მოქმედებაში კი არა, აზროვნებაშიც. მეთვრამეტე საუკუნის განმანათლებლებმა მოინდომეს პიროვნების გათავისუფლება და რადგანაც ყოველ ახალ მოძრაობას, ახალ მიმართულებას თან სდევს უკიდურესობა, გადაჭარბება, აქაც ასე მოხდა. პიროვნების გამათავისუფლებელთა შორის ბევრმა სრულებით დაივიწყა, რომ პიროვნების გარდა არსებობს საზოგადოებრივი ცხოვრება და რომ ორი ამ ელემენტის განვითარება, გაუმჯობესება უერთმანეთოდ, ცალკ-ცალკე შეუძლებელია, და მთელი თავისი ყურადღება პიროვნებას მიაქცია. შილერიც სწორედ ამგვარმა უკიდურესობამ გაიტაცა. პიროვნების განვითარებას შილერი უმთავრეს მნიშვნელობას აძლევს, მაშინ, როდესაც თვით პიროვნების განვითარება დამოკიდებულია საზოგადოებრივ განვითარებაზე; პიროვნების კეთილდღეობისათვის ზრუნვას ის ყოველი ადამიანისაგან ითხოვს, მაშინ, როდესაც საზოგადოებრივ კეთილდღეობაზე ზრუნვა მას სრულებით არ მიაჩნია სავალდებულოდ. „საჭიროების დროს მეგობრულად ხელი გაუწოდე და დაეხმარე იმ კაცს, რომელსაც ცხოვრების ღრე-კლდეებში შეხვდები, მაგრამ ყველა შენი მოყვასის კეთილდღეობაზე ზრუნვა ცას მიანდე", — წერს ის ერთ თავის ლექსში („კაცობრიობის გამასწორებელს". 1796 წ.). აქედან ცხადია, თუ როგორ ესმოდა შილერს საზოგადოებრივი მოღვაწეობა: შენ პიროვნების კეთილდღეობისათვის იზრუნე და მთელი საზოგადოებისათვის ცა იზრუნებსო. შეიძლება იმ დროს ცა მართლაც ასე ზრუნავდა, ეს სულიერ მამებს ჩემზე უკეთ ეცოდინებათ, ხოლო ის კი კარგად ვიცი, რომ დღეს ასე აღარ არის, და ამიტომ შილერის აზრი ერთ დიდ შეცდომას წარმოადგენს. ყოველი კერძო პიროვნება იმდენად არის ჩასკვნილი საზოგადოებრივი ცხოვრების ბადეში, რომ მას განძრევა არ შეუძლია ისე, თუ უმალ ცხოვრება არ აიძრა, არ ამოძრავდა. ზნეობრივად და გონებრივად პიროვნების ამაღლება, თუ უმალ საზოგადოებრივი ცხოვრება არ ამაღლდა, სრული უტოპიაა. ადამიანის ყოველგვარი მოთხოვნილება, როგორც სულიერი, ისე ხორციელი, მხოლოდ ცხოვრებაში ჰპოვებს დაკმაყოფილებას და თუ თვით ცხოვრება არ წარმოადგენს საკმაოდ მომზადებულ ნიადაგს ამა თუ იმ მოთხოვნილების დასათესად და გასაფურჩქნად, მარტო პიროვნების ზნე და გონება ბევრს ვერაფერს გააწყობს. საქმე ის კი არ არის, რომ ერთი და ორი პირი ზნეობითა და გონებით ვარსკვლავებსა წვდებოდეს, საქმე ისაა, რომ უმრავლესობა იყოს ბედნიერი, უმრავლესობას შეეძლოს დაუბრკოლებლად განვითარება ზნეობრივად და გონებრივად, — ამისათვის კი აუცილებელ და უპირველეს პირობას საზო-

გადოებრივი ცხოვრების შესაფერად გაწესრიგება, მისი ამაღლება შეადგენს. პიროვნება ვერ გააკეთებს, ვერ განახორციელებს იმას, რის პირობებსაც თვით ცხოვრება არ იძლევა. ამიტომ შილერის თეზისი — თუ პიროვნება კარგია, საზოგადოებრივი ცხოვრებაც კარგია, თუ პიროვნება ზნეობრივია, საზოგადოებრივი ცხოვრებაც ზნეობრივია, თუ პიროვნება განვითარებულია, საზოგადოებრივი ცხოვრებაც განვითარებულიაო, — დღეს ამგვარად უნდა შეიცვალოს: თუ საზოგადოებრივი ცხოვრება კარგია, პიროვნებაც კარგია, თუ საზოგადოებრივი ცხოვრება განვითარებულია, პიროვნებაც განვითარებულია, თუ საზოგადოებრივი ცხოვრება ზნეობრივია, პიროვნებაც ზნეობრივია.

ამგვარია დედააზრი შილერის ლექსებისა. თუ როგორია მისი დრამების დედააზრი — ამას ქვევით დავინახავთ.

ზევით, როდესაც შილერის ლექსებს შევეხეთ, ჩვენ ვამბობდით: შილერის ლექსებში ცხოვრება სრულებით უარყოფილია-თქო. მართლაც, შილერის ლექსებსა და ბალადებში ძვირად წააწყდება მკითხველი საზოგადოებრივ ლირიკას, საზოგადოებრივ მოტივს, — აქ პოეტის მთელი ყურადღება, მთელი მისი არსება ბუნებისა და ადამიანისაკენ არის მიქცეული. მიუხედავად იმისა, რომ შილერს ბედმა კერძო ცხოვრებაში არ გაუღიმა, მიუხედავად იმისა, რომ პოეტმა ბევრი სიმწარე გამოცადა, მიუხედავად იმისა, რომ, პოეტისავე სიტყვით, ის არკადიაში დაიბადა, მაგრამ მისმა გაზაფხულმა მთლად ცრემლებში გაიარა, პოეტმა სიცოცხლის უკანასკნელ წამამდე შეინარჩუნა ოპტიმისტური შეხედულება ცხოვრებაზე, მარად ახალგაზრდა სული. მისი პოეზია ღრმა სიყვარულია ბუნებისა და ცხოვრებისა, ღრმა რწმენაა სიკეთისა და ადამიანისა. აი, ამ რწმენის ნაყოფია შილერის დრამები. თუ ლექსებში შილერის საგანი ბუნება იყო, დრამებში შილერის უმთავრესი ყურადღება ცხოვრებისაკენ არის მიპყრობილი. სიკეთისა და ადამიანობის სახელით ის ებრძოდა ყოველგვარ საზოგადოებრივ უსამართლობას და, თუ ნაპოლეონი ამბობდა ბომარშეს „ფიგაროს“ შესახებ: ეს კომედია რევოლუციაა სცენაზეო, ეს სიტყვები უფრო სამართლიანად ითქმის შილერის დრამების შესახებ.

მისი „ავაზაკები“, „ფიესკო“ და „ლუიზა მილერი“ ნამდვილი რევოლუციაა, დამხობაა თანამედროვე საზოგადოებრივი ურთიერთობისა. შილერი იგივეა გერმანიისათვის, რაც შექსპირი ინგლისისათვის. შილერამდე და მის დროსაც გერმანიაში ბევრი იყო დრამატურგი, ხოლო შილერი გერმანიის სცენის მთავარი ბოძია. შილერის დრამატული ხელოვნების ასახსნელად საჭიროა იმის გახსენება, თუ რა შესძინა ლესინგმა გერმანიის ხელოვნებას; არათუ შილერის, გო-

ეთეს დრამატიული მოღვაწეობაც ულესინგოდ გაუგებარია და ამიტომ ჩვენც ლესინგიდან დავიწყებთ.

VII—VIII ს.ს. პირველ ნახევარში გერმანიის პოეზია, განსაკუთრებით კი დრამატული ხელოვნება, მეტად ღარიბი იყო ორიგინალური თხზულებებით. ყველაფერს, რაც კი გერმანიის სცენაზე იდგმებოდა, მონური მიბაძვის ან მაიმუნობის ბეჭედი ესვა. უმთავრესი წყარო, რომელსაც ამ დროს ეწაფებოდა გერმანიის თეატრი, ფრანგული პიესები იყო და, რადგანაც საფრანგეთის დრამატურგები დიდი პატივისმცემელნი იყვენ არისტოტელეს ესთეტიკისა, ამიტომაც მაშინდელი სცენა — როგორც საფრანგეთში, ისე გერმანიაში — ცრუკლასიკურ გზას ადგა. ცრუკლასიკური ტრაგედიები ყველაფერში საბერძნეთსა და რომის კლასიკოსებს ბაძავდნენ, მაგრამ ის, რაც კლასიკურ ტრაგედიებში აუცილებელი იყო, ორგანიული, დროისა და ცხოვრების შესაფერი და ნაციონალური, ყოველივე ამან ცრუკლასიკურ პიესებში მიიღო რაღაც ნაძალადევი, დროისა და ცხოვრების შეუფერებელი და გამოურკვეველი სახე. უმთავრეს თვისებას ამგვარი ტრაგედიებისას ის შეადგენდა, რომ ჩვეულებრივი დამოკიდებულებანი, ჩვეულებრივი შემთხვევები, ჩვეულებრივი სულისკვეთება და მისწრაფებანი მათთვის არ არსებობდა, — მათი გმირები უნდა ყოფილიყვნენ უსათუოდ მეფეები, ან წარჩინებული გვარისა და შთამომავლობის პირნი. ცრუკლასიკური დრამატურგები მათ აყენებდნენ ჩვეულებრივ ცხოვრებიდან ამოღებულ პირობებში კი არა, არამედ ისეთ პირობებში, რომლებიც გახურებული ოცნების ნაყოფი იყო, და მთელი მიზანი ტრაგედიისა იმაში მდგომარეობდა, რომ ძლიერთა ამა ქვეყნისა არაჩვეულებრივი ტანჯვითა და უბედურებით მაყურებელში გაოცება გამოეწვიათ. ცრუკლასიკური ტრაგედიის წინააღმდეგ საფრანგეთში ამხედრდა რუსო, დალამბერი და დიდრო, მაგრამ პირველად მას ინგლისმა გამოუცხადა ბრძოლა. ინგლისში ორმა დრამატურგმა — ლილომ და ედუარდ მურმა XVIII საუკუნეში პირველად უარჰყვეს ცრუკლასიკური მეთოდი და საძირკველი ჩაუყარეს სოციალურ ტრაგედიას ანუ ჩვეულებრივ დღევანდელ დრამას — პირველმა „ლონდონელი ვაჭრით“, მეორემ — „მოთამაშით“.

მაგრამ როგორც დიდროს პიესები, ისე „ლონდონელი ვაჭარი“ და „მოთამაშე“ მხოლოდ კერძო შეტაკება იყო, რომლის შემდეგაც ევროპის სცენა მაინც ცრუკლასიკური ტრაგედიების ხელში დარჩა. უმთავრესი ბრძოლა მოხდა და მასთან ცრუკლასიციზმიც დამარცხდა სცენაზე მხოლოდ მაშინ, როდესაც ლესინგმა გამოაქვეყნა თავისი „ჰამბურგის დრამატურგია“. ეს მოხდა 1767—1768 წლებში. ლესინგმა აქ ვრცლად გაარჩია 75 ტრაგედია და ნათლად დაამტკიცა ცრუ-

კლასიკური თეორიის არარაობა. საბერძნეთის ტრაგედია თავისი დროისა და ეპოქისათვის შესაფერისი იყო, ამიტომ დღევანდელი ტრაგედიაც თავის დროს უნდა შეეფერებოდესო, მოითხოვა ლესინგმა. ტრაგიკული კოლიზიების ანალიზით მან დაამტკიცა, რომ ტრაგედია მაყურებელში თანაგრძნობას უნდა აღძრავდეს, და არა განცვიფრებასა და გაოცებას, როგორც წარმოდგენილი ჰქონდათ ცრუკლასიკოსებს. თანამედროვე ტრაგედიის უმთავრეს პირობად ლესინგმა აღიარა თანამედროვე, ჩვეულებრივი ცხოვრების ხატვა და ეროვნული ხასიათი, და პირველად მანვე შექმნა გერმანულ ენაზე სოციალური დრამები. რადგანაც ლესინგი უმთავრესად თეორეტიკოსი და კრიტიკოსი იყო, ვიდრე პოეტი, ამიტომ მისი დრამებიც უფრო მშრალ მსჯელობას წარმოადგენენ, ვიდრე ცოცხალ ცხოვრებას. ლესინგის თეორიამ საუკეთესო განხორციელება ჰპოვა შილერის დრამებში. ჯერ კიდევ თავის ლექსებში აღიარა შილერმა, თუ როგორ უყურებდა ის დრამატულ ხელოვნებას და რას ითხოვდა თეატრისაგან. „ჩვენ ვეძებთ თეატრში ჩვენს თავსა და ნაცნობებს, ჩვენს მწუხარებასა და გაჭირვებას", — ამბობს შილერი „შექსპირის აჩრდილში", „ჩვენ არ გვინდა ცრუ ნიღბებით გმირები, ჩვენ გვინდა, რომ ჩვენი გმირი ადამიანი იყოს. სცენაზე ხან ცრემლებში, ხან ლმობიერებაში სინამდვილე უნდა გვეჩვენებოდეს", — ამბობს შილერი ერთ თავის ლექსში. ყველა ეს აზრი შთაგონებულია „ჰამბურგის დრამატურგიით".

სოციალური დრამების უმთავრეს თვისებას ის შეადგენს, რომ მათში, წინააღმდეგ ცრუკლასიკური ტრაგედიებისა, გამოყვანილია ჩვეულებრივი ცხოვრება ჩვეულებრივი ადამიანებისა, რომლებიც უმთავრესად მესამე წოდების — ბურჟუაზიის წრეს ეკუთვნიან; მათში მოქმედება ბუნებრივი შედეგია გმირების ხასიათისა და იმ პირობების, რომლებშიაც ისინი იმყოფებიან, და არა ავტორის სურვილისა, როგორც ეს ცრუკლასიკურ ტრაგედიებშია. ამიტომ, თუ ამ უკანასკნელებში ბევრი რამ არის გაუგებარი და აუხსნელი, სოციალურ დრამებში ყველაფერი გასაგებია მაყურებლისათვის. ნიშნობლივ თვისებას ყველა ამ ახალი ანუ ბურჟუაზიული დრამებისას ის შეადგენს, რომ მათში მესამე წოდება გამოყვანილია საზოგადოებრივ რეფორმატორად, ის უკმაყოფილოა არსებული წყობილებით, არსებული კანონმდებლობით, ტრადიციებით, შეხედულებებით და ითხოვს სრულ განახლებას ყველა ამ სფეროში.

თავისთავად იბადება შემდეგი საკითხი: რატომ დაიბადა ბურჟუაზიული დრამის თეორია და თვით დრამაც მხოლოდ XVIII საუკუნის მეორე ნახევარში და არა ადრე? ყოველგვარი მწერლობა მხოლოდ აზრი და ემოციაა; საზოგადოებრივი ცხოვრება ყოველ კონკ-

რეტულ პირობებში შესაფერ აზრსა და ემოციას წარმოშობს ხოლმე. ამიტომ მწერლობის ევოლუცია ყოველთვის საზოგადოებრივი ცხოვრების ევოლუციას მოსდევს თან. მწერლობაში მხოლოდ იმგვარი რეფორმაცია ხდება, რისი თანაბარიც თვით ცხოვრებაში წარმოებს. XVIII საუკუნის მეორე ნახევარში მესამე წოდების თვითცნობიერება იმდენად განვითარდა, რომ ამ წოდებამ შეიგნო თავისი თავი, გამოაცხადა თავი სრულწლოვან კლასად და მოითხოვა თავისი უფლებანი როგორც ცხოვრებაში, ისე ლიტერატურაში. მხოლოდ ამ წოდების თვითშეგნების განვითარებამ წარმოშვა ლესინგი და შილერი, ბურჟუაზიული დრამა და ბურჟუაზიული რომანი; ლესინგი ქადაგებს მესამე წოდების უფლებას მწერლობაში და განსაკუთრებით დრამაში, შილერი კი იცავს მის პიროვნებას და ქადაგებს იმის უფლებებს სცენაზე. შილერი საუკეთესო წარმომადგენელია ბურჟუაზიული დრამისა გერმანიაში. იმ დროს და იმ პირობებში, რომელშიაც შილერის ნიჭი გაიფურჩქნა, ბურჟუაზია, რომლის ძალ-ღონე ჯერ კიდევ განუმტკიცებელი იყო, მოწინავე იდეებს ნერგავდა. ცხოვრება, ჩვეულებანი, კანონმდებლობა, ზნეობრივი შეხედულებანი — ერთი სიტყვით, მთელი საზოგადოებრივი ატმოსფერო ამ ახალი კლასისათვის შეუფერებელი იყო, — ის ითხოვდა ახალ წყობილებას, ითხოვდა თავისი უფლებებისა და ზნეობრივი შეხედულებების გამეფებას. იმ დროს ეს კლასი სიმპათიური იყო, სიმპათიური იყო მისი საკაცობრიო მისწრაფება და ამ მისწრაფების საუკეთესო მქადაგებლად შილერი გამოვიდა. უპირველეს ყოვლისა, ახალგაზრდა პოეტმა მოითხოვა პიროვნების თავისუფლება. შილერი კარგად ხედავდა, რომ პიროვნება და საზოგადოება ორი ერთიმეორის მოწინააღმდეგე ელემენტები არიან. რომელს უნდა მიეცეს უპირატესობა? მეთვრამეტე საუკუნის ერთი საუკეთესო შვილთაგანი ამ კითხვაზე იძლევა ისეთ პასუხს, როგორიც უფრო შეეფერებოდა თანამედროვე მოწინავე მისწრაფებას. საზოგადოებრივი ჩვეულებანი, ტრადიციები, თვით კანონმდებლობაც კი უნდა დაემხონ პიროვნების უფლებათა წინაშე,— აი, შილერის ღრმა რწმენა, აი შილერის უძლიერესი სურვილი. ამ მხრივ შილერზე დიდი გავლენა ჰქონდა უმთავრესად რუსოს, რომლის მოძღვრების კვალსაც შესამჩნევად დაინახავს მკითხველი პოეტის პირველ დრამაში „ავაზაკები“.

შილერი ჯერ ჩვიდმეტის წლისა არც კი იყო, როდესაც „ავაზაკების“ დაწერა განიზრახა. ჯერ კიდევ აკადემიაში იყო პოეტი, როდესაც ამ პიესას წერდა და ოცდაერთი წლის პოეტმა კიდეც წარუდგინა საზოგადოებას თავისი პიესა. როდესაც ის 1782 წელს მანჰეიმის სცენაზე წარმოადგინეს, პიესის შთაბეჭდილება აუწერელი იყო, მაგრამ

ამ შთაბეჭდილებას ორგვარი ხასიათი ჰქონდა: ძველი წყობილების მოტრფიალენი, „სისხლის“ წარმომადგენლები საშინლად გაბრაზდნენ და აუმხედრდნენ ახალგაზრდა პოეტს, განახლების მოსურნენი— განსაკუთრებით ახალთაობა — აღტაცებით მიეგება ახალი სიტყვის მთქმელს. რა იყო ან რა არის საამისო „ავაზაკებში“? მაშინ, როდესაც შილერი „ავაზაკებს“ წერდა, ის იყო, ერთი მხრით, გამოუცდელი მწერალი, მეორე მხრით, ცხოვრებაში ჯერ გამოუსვლელი ახალგაზრდა, მესამე — მტერი ყოველგვარი შევიწროებისა და შეზღუდვისა. სამივე მხარემ თავისი კვალი დააჩნია „ავაზაკებს“. როგორც გამოუცდელი მწერლის ნაწარმოებში, მასში ბევრია ისეთი შეცდომა, რომლებიც პიესის სახელოვნო ღირსებას ძალიან აქვეითებენ. „ავაზაკები“ არ წარმოადგენს იმგვარ შემუშავებულ და დახელოვნებულ კალმის ნაყოფს, სადაც ყოველი ნაბიჯი მოქმედი პირებისა ლოგიკურად არის ერთიმეორეზე დაკავშირებული, სადაც მოქმედება ბუნებრივად იშლება და ფართოვდება. აქ ბევრ ალაგს ატყვია ავტორის ძალდატანება, ავტორის სურვილი. ყოველი ადამიანი უფრო მედგრად და უდრეკად მისდევს თავის რწმენას, უფრო რადიკალია მანამ, სანამ ცხოვრება ჩაითრევს; ჩაითრევს თუ არა ცხოვრება, მის აზრებს ძველებური პირდაპირობა, უშიშროება და გატაცება აკლდება, იბადება სხვადასხვა კომპრომისი და სხვ. შილერზედაც იგივე ითქმის: „ავაზაკებს“ შილერი წერდა იმ დროს, როცა ჯერ კიდევ ცხოვრებაში ჩაბმული არ იყო და ამიტომაც აქ ყოველი მისი აზრი პირდაპირი, მედგარი, უშიშარი და ძლიერია. რადგანაც შილერი მოტრფიალე იყო სრული თავისუფლებისა და მტერი ყოველგვარი შევიწროებისა, მისი პირველი დრამაც ძლიერი ქადაგებაა თავისუფლებისა და პიროვნების დამოუკიდებლობისა.

შინაარსი „ავაზაკებისა“ მარტივია: მოხუცებულ გრაფს — მოორს ჰყავს ორი შვილი: კარლოსი დ ფრანცი. უფროსი — კარლოსი — შესანიშნავია როგორც ნიჭით, ისე გარეგნობით; ფრანცი კი გარეგნობით უშნოა, ულაზათო და მისი ერთადერთი მისწრაფებაა სხვის უბედურებაზე საკუთარი კეთილდღეობის აშენება. ფრანცი ცდილობს, როგორმე თავიდან მოიშოროს უფროსი ძმა, ისარგებლოს იმ დროით, როცა კარლოსი შინ არ არის, შეთხზავს ყალბ წერილს, რომელშიაც სხვადასხვა ავაზაკობას სწამებს ძმას და ურჩევს მამას: დროებით მაინც დასწყევლე შენი შვილი და შეაშინე, რომ გამოსწორდესო. მამის მაგიერ ის წერს ძმას წერილს: მამაშენი შენი მამობისაგან ხელს იღებს სამუდამოდო. ეს წერილი უკანასკნელი წვეთი იყო, რომელმაც აღავსო კარლოსის ზიზღი და სიძულვილი საზოგადოებრივი წყობილებისადმი; ის მყისვე შეადგენს ავაზაკების ბრბოს

და ცდილობს სხვადასხვა მავნე პირთა მოკვლით საზოგადოებაში ბოროტების აღმოფხვრას. ამავე დროს ფრანცი თავის მოხუცებულ მამას აკლდამაში დაამწყვდევს, მას მკვდრად გამოაცხადებს და მის ალაგს თვითონ იჭერს. კარლოსი შემთხვევით გაიგებს ამას, გაათავისუფლებს მოხუც მამას და ამხანაგებს გზავნის ფრანცის შესაპყრობად და დასასჯელად, მაგრამ ფრანცი ცოცხალი არ ნებდება ავაზაკებს და თავს ჩამოიხრჩობს. კარლოსი კი სასოწარკვეთილებასა და სინანულს ეძლევა, თვითონვე გმობს მთელ თავის მოქმედებას და თავისი ნებით ჩაუვარდება პოლიციას ხელში. ამით თავდება პიესა.

მთელ დრამაში ყველაზე უფრო საყურადღებო პირი კარლოს მოორია. ეს პირი საყურადღებოა იმით, რომ ის გამოხატავს შილერის აზრებსა და მისწრაფებას. შილერის პოეზიის დედააზრი მისი მსოფლიო შეხედულების დედააზრია, კარლოს მოორი იმდენადვე ჰგავს თვით შილერს, რამდენადაც ვერტერი გოეთეს. კარლოს მოორი მაღალი ნიჭის, მაღალი ზნეობისა და მაღალი გრძნობის კაცია. წინააღმდეგ ფრანცისა, რომელსაც სულელად მიაჩნია ყველა, ვინც კი მხოლოდ თავის საკუთარ სარგებლობაზე არ ზრუნავს, მისი ფიქრი და გრძნობა მხოლოდ მოძმის კეთილდღეობას, საზოგადოებრივ სარგებლობას შეუპყრია. მთელი მისი არსება ნაზი და მგრძნობიარე ნერვებისაგან შედგება. მას ებრალება ყველა გაჭირვებული, ის თანაუგრძნობს ყოველ დაჩაგრულს. ყოველგვარი სიბოროტე, სისაძაგლე და უსამართლობა სულსა და გულს უმღვრევს, მშვიდობასა და მოსვენებას უკარგავს. მრავალ ფიქრს, მრავალ გრძნობას, მრავალ მისწრაფებას მასში ერთად შეუყრია თავი, მას არ შეუძლია ერთ რომელიმე მათგანს მისდიოს, ერთ გზას დაადგეს, ერთი გადაწყვეტილება აირჩიოს უყოყმანოდ; გადადგამს თუ არა ნაბიჯს, მყისვე ეჭვი ებადება, სასოწარკვეთილებაში ვარდება და მზად არის უკან დაიხიოს. რისი მიზეზია ამგვარი შინაგანი დაყოფა, სულის ამგვარი გაბორბოტება და შფოთვა? ამის მიზეზი ერთადერთია: მას უნდა ადამიანის ბედნიერებას ემსახუროს. ადამიანის კეთილდღეობას შესწიროს ძალ-ღონე, მაგრამ ხედავს, რომ არსებული საზოგადოებრივი წყობილება აკანონებს უსამართლობას, ძალმომრეობას, მექრთამეობას, სინიდისით ვაჭრობას, ერთიმეორის ექსპლოატაციას და ამით ძირიანად ეწინააღმდეგება პიროვნების ბედნიერების პრინციპს. კარლოს მოორის უწმიდეს მიზანს ადამიანი შეადგენს, ადამიანთა შორის ერთადერთ კავშირად მას მხოლოდ სიყვარული, ერთობა და ძმობა მიაჩნია; ასეთ კავშირზე უნდა აღმოაცენოს სრული თანასწორობა და თავისუფლება. რად ეტრფის ის თავისუფლებას და თანასწორობას? იმიტომ, რომ, მისი ღრმა რწმენით, მხოლოდ თავისუფლება ბადებს სრულ

ადამიანს, მხოლოდ თავისუფლება და თანასწორობა უწყობს ხელს ადამიანის გონებრივად და ზნეობრივად ამაღლებას. არსებული საზოგადოებრივი წყობილება კი, მოორის აზრით, სრულიად საწინააღმდეგო გზას ადგია: აქ ადამიანში ყველა ხედავს მხოლოდ საშუალებას თავისი კეთილდღეობის მოწყობისას, ადამიანთა შორის მხოლოდ მტრობა და გაუტანლობაა, საზოგადოებაში თავისუფლებისა და თანასწორობის მაგიერ სრული მონობა და უთანასწორობა მეფობს. მოორი მტერია ჩვეულების, ტრადიციების, თანამედროვე საზოგადოებრივი წყობილებისა და კანონების, ის მიისწრაფვის სრული თავისუფლებისაკენ, მაგრამ როგორ შექმნას, როგორ დაამყაროს ეს თავისუფლება, როდესაც მთელ საზოგადოებას, თითქოს განგებ, მის წინაღმდეგ პირი შეუკრავს? მოორი შეკრებს ისეთ პირებს, რომლებიც მასავით უკმაყოფილონი არიან არსებული საზოგადოებრივი წყობილებით და ფიზიკური ძალით, ე. ი. ბრძოლით ფიქრობს საზოგადოების განახლებას და პიროვნების გათავისუფლებას. მებრძოლი მოორის ლოგიკა ამგვარია: საზოგადოებაში მრავალგვარი ბოროტება, უსამართლობა და სისაძაგლე არსებობს, არიან ისეთი პირნი, რომლებიც ყოველივე ამას ჩადიან; მაშასადამე, საჭიროა ამ პირების მოსპობა და მხოლოდ მაშინ მოისპობა საზოგადოებაში ყოველგვარი ბოროტება, უსამართლობა და კეთილი გამეფდებაო. მოორი ასეც ირჯება; ის გამოდის ავაზაკად, მაგრამ ის არ არის ქურდი, მტაცებელი, — ის იცავს დაჩაგრულს მჩაგვრელისაგან, ის ართმევს მდიდარს და ღარიბს აძლევს, ის კლავს ვექილს, რომელიც ფულის გულისათვის ყოველგვარ სისაძაგლესა და ბოროტებას ესარჩლება; კლავს მინისტრს, რომელიც ფლიდობით ამაღლდა და პირფერობითა და ქვრივ-ობლების ცრემლებზე აშენებდა თავის ბედნიერებას; ის კლავს გავლენიან მოხელეს, რომელიც ადგილებს მათ ურიგებს, ვინც მეტ ქრთამს აძლევს; ის აღრჩობს მღვდელს, რომელიც თავისი მრევლის წინაშე ინკვიზიციის გადავარდნას გლოვობს. რამდენადაც უფრო წყურია მას, რომ საზოგადოებრივი წყობილება სამართლიანობაზე იყოს აგებული და ადამიანი ბედნიერი, იმდენად უფრო გახელებულია საზოგადოებრივ უწესოებასა და უსამართლობაზე, იმდენად უფრო მკაცრი და დაუზოგველია საზოგადოებრივი სამართლიანობის მტრებთან ბრძოლაში. რითი თავდება მოორის ბრძოლა? ნეკზე კბენითა და სინანულით! უკანასკნელი მოქმედების დასასრულს ის თვალცრემლიანი შემოგვტირის: მე შეურაცხვყე კანონი, შევლახე წესრიგიანობა. მე ვოცნებობდი, ქვეყნის ბოროტებით გამესწორებია, კანონები უკანონობით დამეცვა. ახლა შესმის, რომ ორი ჩემისთანა ადამიანი მთლად დაამხობს ზნეობრიობის სამფლობე-

ლოს. მხოლოდ შენ შეგფერის, ღმერთო, შურისძიება, ადამიანის ხელი შენთვის საჭირო არ არისო.—ათავებს მოორი, მთელ თავის ოცნებასა და მოქმედებას ბავშვურ თავქარიანობას უწოდებს და თვითონვე გარბის პოლიციასთან, რომ გამოისყიდოს დანაშაული კანონისა და საზოგადოებრივი წესრიგიანობის წინაშე. ძროხამ იწველა, იწველა, ბოლოს ჰკრა წიხლი და დააქციაო, — სწორედ ზედგამოჭრით შეეფერება ეს ანდაზა შილერის გმირს. ის გამოვიდა საზოგადოებრივ ასპარეზზე, არსებული საზოგადოებრივი წყობილება, ურთიერთობა, კანონმდებლობა და სხვ. პიროვნების განვითარების მტრად აღიარა, დაიწყო ბრძოლა ახალი წყობილების დასამყარებლად და დაამთავრა იმით, რომ თვითონვე ქედი მოიდრიკა არსებული წყობილებისა და იურიდიული ნორმის წინაშე: მაპატიეთ, ბავშვობა მომივიდა, სისულელე ჩავიდინე, რაც გასასწორებელია ცხოვრებაში, თვითონ ღმერთი გაასწორებს, ადამიანს რა ესაქმებაო! თუკი სიტყვას, თუკი ახალ აზრს რაიმე გავლენა აქვს საზოგადოებაზე, „ავაზაკების“ გავლენას და მნიშვნელობას ძალიან ასუსტებს კარლოს მოორის უკანასკნელი და მოულოდნელი რევერანსი.

თავისი დრამის ეპიგრაფად შილერმა აიღო ჰიპოკრატეს სიტყვები: რასაც წამალი ვერ კურნავს, რკინა კურნავს, რასაც რკინა ვერ კურნავს, ცეცხლი კურნავსო. ამგვარი ეპიგრაფი ცხადად ატყობინებს მკითხველს, თუ რისი თქმა უნდოდა თავისი დრამით შილერს. საზოგადოება მას მიაჩნდა სნეულად, ამ სნეულის განსაკურნავად ყველაზე უფრო ძლიერი, ყველაზე უფრო რადიკალური წამალი იყო საჭირო; ასეთ წამლად მოორმა და მასთან ერთად ახალგაზრდა, გატაცებულმა და აღფრთოვანებულმა შილერმა აღიარეს ფიზიკური ძალა და მედგარი, შეუბრალებელი ბრძოლა. ამ ბრძოლამ ვერ დააკმაყოფილა ვერც მოორი, ვერც შილერი; მოორის სასოწარკვეთილება იმის მაჩვენებელია, რომ თვით შილერმა ვერ გადაჭრა საბოლოოდ ის საკითხი, თუ როგორ და რა გზით შეიძლება დასნეულებული საზოგადოების განკურნება. მიუხედავად იმისა, რომ მოორი გაბრაზებული და გაშმაგებული ღვრის სისხლს იმ იმედით, საზოგადოება ბოროტთაგან განიწმიდებაო, სულის სიღრმეში ის გულჩვილი, უბოროტო, გრძნობაჭარბი და კაცთმოყვარე იდეალისტია. სისხლისღვრას შესამჩნევი შედეგიც რომ მოჰყოლოდა, ბოლოს ის მაინც სასოწარკვეთილებას მიეცემოდა, რადგან მას არც სწამს ის კეთილი, რომელიც სისხლით არის ნაყიდი. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ მოორის მიერ სისხლის ღვრას არც პიროვნება გაუნთავისუფლებია, არც საზოგადოება განუწმენდია ბოროტისაგან; ათი და თუნდა ათასი მავნე პირის მოკვლა განა სიკეთესა და სამართლიანობის სასუფეველს მოავლენს ქვეყნად? ამის იმე-

დი ჰქონდა მოორს, როცა ავაზაკთა წინამძღოლობას კისრულობდა და სწორედ აქ არის მისი დიდი შეცდომა. თუ საზოგადოებაში სხვადასხვა ბოროტება, უსამართლობა და ძალმომრეობა ხდება, ყოველივე ამას მხოლოდ ერთი სათავე აქვს; ვისაც უნდა ყველა ამ ბოროტების, უსამართლობის, ძალმომრეობისა და სხვ. მოსპობა, უმალ ამ სათავეს უნდა მიაშუროს, ეს სათავე უნდა გადაანგრიოს, მწარე ბალახს რაც უნდა ფოთლები აგლიჯოთ, ამით მას ვერ მოსპობთ: მოგლეჯილის ალაგას ახალი ფოთოლი ამოჰყოფს თავს; მიაჭერით მას ძირი და ფოთლები თავისთავად გახმებიან. სწორედ ეს დაავიწყდა კარლოს მოორს. თუ XVIII საუკუნეში გერმანიის საზოგადოება დასნეულებული იყო, იქ სხვადასხვა უსამართლობასა და ბოროტებას დაედოთ ბინა, უსამართლო ვექილების, მექრთამე მოხელეების და კუდქიცინა კარისკაცების მოკვლა არავის და არაფერს განკურნავდა. კარლოს მოორს უნდა მიეტანა იერიში თვით გერმანიის მონარქიულ მთავრობაზე, რომელიც აკანონებდა მრავალგვარ საზოგადოებრივ უსამართლობასა და ძალმომრეობას, — მხოლოდ მაშინ მოიტანდა მოორის ბრძოლა ნაყოფს, მხოლოდ მაშინ დაემხობოდა არსებული წყობილება, მხოლოდ მაშინ გაიმარჯვებდა სამართალი. კიდეც რომ ჰქონოდა მოორს შეგნებული, თუ სად იყო უმალ იერიშის მიტანა საჭირო, ის მაინც ვერაფერს გახდებოდა; ვერ გახდებოდა იმიტომ, რომ მიუძღოდა ერთ მუჭა ავაზაკებს, რომლებსაც არც კი ჰქონდათ შეგნებული თავისი წინამძღოლის მიზანი და მისწრაფება; მას თვით ხალხი უნდა გამოეყვანა მებრძოლად, უნდა აეხსნა მისთვის, რომ საზოგადოებრივი უსამართლობა, ძალმომრეობა და ბოროტება მხოლოდ მას აწვა მძიმე ტვირთად. მხოლოდ ამგვარ შემთხვევაში შექმნიდა ის უკეთეს საზოგადოებრივ წყობილებას და, თუ სასოწარკვეთილებას მიეცემოდა, გულს იმით მაინც ინუგეშებდა: მიზანს ხომ მივაღწიეო.

კარლოს მოორის იდეალურ მისწრაფებას შილერმა გვერდში დაუყენა ფრანც მოორის ეგოისტური, მატერიალური მისწრაფებანი, რომ ამით მკითხველს უკეთ დაენახა პირველის მიმზიდველი სიმშვენიერე და მეორის საზიზღარი სისაძაგლე. მიუხედავად იმისა, რომ ფრანცი ჩინებული ნიჭისა და ძლიერი ლოგიკის პატრონია, ის საზიზღარია მთელი თავისი არსებით, საზიზღარია თავისი სურვილებით. ფრანცში შილერმა დაგმო ყველა, ვინც კი მხოლოდ დედამიწას დასჩერებია და ვარსკვლავებისაკენ არასოდეს იყურება, ვინც აწმყოთი კმაყოფილია და უკეთეს მომავალს არ შეტრფის, ვისაც არავითარი წმინდათაწმინდა არ გააჩნია, თავისი კუჭის გარდა. თავისი პირველი დრამით შილერმა გამოუცხადა საზოგადოებას: ის, ვინც საზოგადოე-

ბას არ ემსახურება, ის, ვისაც პირად ინტერესზე უფრო საზოგადო ინტერესი არ ახსოვს, ის, ვინც უკეთესი წყობილების მოახლოებასა და პიროვნების ამაღლებას არ ემსახურება, ადამიანი არ არისო.

„ავაზაკები“ საუცხოო დამამტკიცებელია იმისა, რომ შილერის ბუნება ორად იყო გაყოფილი: რამდენადაც ის რევოლუციონერი იყო აზრში, ცნებაში, იმდენადვე სრული კონსერვატორია პრაქტიკაში. მას უნდოდა საზოგადოების განკურნება, პიროვნების გათავისუფლება და ამაღლება და ამავე დროს სურდა, რომ კანონი და წესრიგიანობა არ დარღვეულიყო. ამგვარად, თუ შილერი შეუდარებელია ოცნებაში, პრაქტიკულ ცხოვრებაში ის ბურჟუაზიულ მორალს ვერ ასცილდა. ამით აიხსნება მხოლოდ, თუ რად გმობდა ეს დიდებული პოეტი თავისი დროის დიდებულ მოვლენას — საფრანგეთის რევოლუციას.

ხელოვნების ასპარეზზე შილერი მებრძოლად გამოვიდა. თუ თავისი მოღვაწეობის უკანასკნელ დროს, როდესაც პოეტმა ვაიმარში დაისადგურა და გოეთესთან ერთად ხელოვნების წმინდა ფორმების კვლევასა და შემუშავებას შეუდგა, შილერმა დაკარგა ძველებური აღტაცება, ენთუზიაზმი, სულის ძლიერი, დაუწყნარებელი კვეთება, და დღიურმა ვარამმა, სოციალურმა კითხვებმა მის თვალში ძველებური ინტერესი დაკარგეს. — ამ დროსაც კი პოეტის ოცნებას ხანდახან ფრთას წამოკრავდა ხოლმე ყმაწვილობის ენთუზიაზმი და გააღვიძებდა საზოგადოებრივი საკითხების სიყვარულს. ახალგაზრდა შილერის მთელი აზროვნება კი, მთელი მოფიქრება საზოგადოებრივი ცხოვრების გარშემო ტრიალებდა. ხელოვნებაში ის არ ხედავდა დამოუკიდებელ მიზანს, მას არ სწამდა ხელოვნება ხელოვნებისათვის, — ხელოვნებაში ის ხედავდა მხოლოდ საშუალებას ცხოვრების გასაუმჯობესებლად და ამ საშუალებას მტკიცედ და ერთგულად ჩასჭიდა ხელი. არსებული წყობილება, როგორც საზოგადოებრივი, ისე პოლიტიკური, პოეტს სრულებით არ აკმაყოფილებდა; ყოველ წყობილებას ის ზომავდა პიროვნების ბედნიერების საზომით; რაც შეიძლება უმეტესი ბედნიერება უმრავლესობისათვის — აი რას ითხოვდა შილერი ცხოვრებისაგან. ის მედგრად მიისწრაფვოდა წინ, უკეთესი ცხოვრებისაკენ, რომელშიაც გამეფებული უნდა ყოფილიყო სრული თავისუფლება, დამოუკიდებლობა და თანასწორობა. ჩვენ დავინახეთ, რომ პირველ ხანებში ახალგაზრდა პოეტის მისწრაფება იმდენად შეგნებული, ხანგრძლივი მოფიქრებისა და აწონ-დაწონვის წაყოფი არ იყო, რამდენადაც სტიქიური: კარლოს მოორი იბრძვის, მას უნდა ცხოვრების გაუმჯობესება, ზნეობის ამაღლება, პიროვნების გათავისუფლება და გაბედნიერება, მაგრამ მას არა აქვს გამორკვეუ-

ლი, ერთი მხრით, ამ სანატრელი ცხოვრების არსებითი თვისებანი, შეორე მხრით, ის გზა, ის საშუალება, რომელსაც ადამიანი მიჰყავს ამ უკეთესი ცხოვრებისაკენ. შემდეგში შილერი თანდათან გარკვეულ გზას დაადგა. იმის ორ პიესაში: „ფიესკო“ და „დონ-კარლოსი“ — ნათლად არის გარკვეული როგორც პოეტის პოლიტიკური იდეალი, ისე საზოგადოებრივიც.

„ფიესკოს“ შინაარსი შემდეგია: გენუას მართავს მოხუცებული დორია, რომლის მემკვიდრედაც ითვლება მისი ძმისწული — ჯანეტინო დორია. თუმცა მოხუცებულ დორიას უმრავლესობა პატივსა სცემს, მაგრამ ჯანეტინო არის გარყვნილი და უზნეო ახალგაზრდა; სხვისი დამცირება, სხვისი პიროვნების შელახვა მისი ერთადერთი ხელობაა; საკუთარი ბედნიერებისა და პირუტყვული სიამოვნების მეტს ის ცხოვრებაში არაფერს ეძებს; ადამიანი მის თვალში მხოლოდ უბრალო საშუალებაა საკუთარი ბედნიერების განსახორციელებლად და საკუთარი მდაბალი ნეტარების მოსაპოებლად; ის წარბშეუხრელად არღვევს ოჯახის სიწმინდეს, ქალწულის უმანკოებას, — მისთვის არ არსებობს არც პატიოსნება, არც ზნეობა, არც სინიდისი, არც სირცხვილი — არსებობს ერთადერთი საკუთარი ბედნიერება, რომელსაც ის მხოლოდ პირუტყვულ სიამოვნებაში ხედავს; მთავრობას ის დიდი ნეტარებით შეჰხარის, იმიტომ კი არა, რომ მას ხალხისათვის შესტკიოდეს გული, მისთვის ზრუნვა, მისი ცხოვრების გაუმჯობესება წადდეს, არა — მისი სიხარულის სარჩული სულ სხვაა: როგორც მთავარს, მას ყველაზე მეტი უფლება ექნება სამთავროში, თითქმის თვითმპყრობელი გახდება და ამით უფრო გზა გაეხსნება ყოველგვარ სისაძაგლეს, რომელსაც კი მისი გარყვნილი ბუნება და გემოვნება მოითხოვს. ამიტომაც გენუის საზოგადოების საუკეთესო ნაწილს უნდა თავიდან მოიშოროს დორიები, მათი მმართველობა დაამხოს და გენუის დამოუკიდებლობა — რესპუბლიკური მთავრობა გამოაცხადოს. გენუის საზოგადოების ამ ნაწილის სული და გული არის ახალგაზრდა ფიესკო. ფიესკო ყველაფრით დაუჯილდოებია ბუნებას: ის არის მეტად ლამაზი, ნიჭიერი, გულადი, პირდაპირი, მდიდარი და გავლენიანი პირი გენუაში; მას ყველა პატივს სცემს, ყველა უჯერებს, ხალხს ის უყვარს. გენუის განმათავისუფლებლებს ყველაზე მეტი იმედი ფიესკოსი აქვთ; ფიესკოს უნდა გენუის გათავისუფლება, დარწმუნებულია, რომ მხოლოდ მას შეუძლია დორიების მმართველობის დამხობა. მაგრამ ფიესკო დაახლოებულია სასახლესთან, მას კარგად იცნობს როგორც მოხუცი დორია, ისე ჯანეტინო, რის გამო ადვილად შეიძლება განზრახვა შეუტყონ. სხვების თვალის ასახვე-

ვად ფიესკო მიმართავს შემდეგ ხერხს: ის მიყოფს ხელს ქეიფს, ლოთობას და არშიყობას, პოლიტიკას სხვების შესახედავად სრულებით ანებებს თავს, ქალების მეტი მას თითქო აღარაფერი აინტერესებს ქვეყნად; ფარულად კი ის აღელვებს ხალხს, ჰკრებს თავის მომხრეებს, იწვევს უცხო ქვეყნებიდან ჯარს, ხომალდებს და სხვ. მტრებს — დორიების მომხრეებს — ფიესკოსი აღარ ეშინიათ, რესპუბლიკის მომხრეები კი ფიესკოს გლოვობენ. აჰა, უკვე დადგა ისეთი მომენტი, როდესაც ხალხის აღელვებამ უმწვერვალეს მიზანს მიაღწია; საკმაოა გაჩნდეს მარჯვე მეთაური, რომ ხალხი აჯანყდეს. ფიესკო უცებ მოუყრის თავს მეგობრებს, შეატყობინებს მათ საქმის ნამდვილ გარემოებას, წაუძღვება წინ მეამბოხეებს და დაესხმის თავს დორიებს; ჯანეტინოს კლავენ, მოხუცი დორია კი ქალაქიდან იპარება და ამით გადაურჩება სიკვდილს. მაგრამ გენუის გამათავისუფლებელი ფიესკო თავისი საუკეთესო მეგობრის ხელით კვდება. რა არის ამის მიზეზი? ერთი მეამბოხეთაგანი — ვერინა რწმუნდება, რომ ფიესკოს თვითონ უნდა გენუის მთავრობა; ის ხედავს, რომ ხალხი ფიესკოს მხარეზეა; მან კარგად იცის, რომ ფიესკო მეტისმეტად ამაყი და თავმოყვარეა; მთავრობა მას კიდევ უფრო გაამედიდურებს და ამგვარად ამბოხებასა და სისხლისღვრას გენუის გათავისუფლება და რესპუბლიკა კი არ მოყვება შედეგად, არამედ მტარვალ დორიას ალაგზე უარესი მტარვალის ფიესკოს წამოსკუპება. ვერინა ამჯობინებს საყვარელი მეგობრის მოკვლას, და გენუის გათავისუფლების შემდეგ ფიესკოს ზღვაში გადაუძახებს.

მთელ პიესაში ვერინა მეტად საყურადღებო პირს წარმოადგენს. მას წვერი უკვე გაჭაღარავებული აქვს: ბევრი ბრძოლა, ბევრი სისხლისღვრა გაუვლია და ბევრი მთავარი უნახავს, ბევრგვარ მმართველობას მოსწრებია და სიბერის ჟამს სამი მცნება გამოუტანია ცხოვრების დაკვირვებიდან: 1. თავისუფლება აუცილებელი პირობაა, ურომლისოდაც როგორც კერძო პიროვნების, ისე მთელი ერის ბედნიერება ყოვლად შეუძლებელია; 2. ყოველი მთავარი, ყოველი მეფე, რაც უნდა მრავალი ღირსებით იყოს შემკული, ყოველგვარი მმართველობა, რომელიც ერთი პირის ხელშია შეგროვილი, ხალხის თავისუფლების მტერია და ამით მტერია ხალხის ბედნიერების; აქედან თავისთავად ცხადია ისიც, რომ თუ ხალხს უნდა ბედნიერი იყოს, მან თვითონ უნდა იკისროს თვისი თავის მეფობა. ვერინას აზრით, პიროვნება, საზოგადოება და ერი უნდა იყვნენ სრულიად თავისუფალნი. თუ რას ნიშნავს, რაში უნდა იხატებოდეს პიროვნების თავისუფლება, ამის შესახებ ვერინა არაფერს გვეუბნება; ეს კითხვა ნათლად აქვს გარკვეული შილერის მეორე პირს, მარკიზ პოზას „დონ-კარ-

ლოსში“. ერის თავისუფლება, ვერინას აზრით, უნდა იხატებოდეს რესპუბლიკაში, საზოგადოებრივი თავისუფლება კი იმგვარ პოლიტიკურ წყობილებაში, სადაც ყოველგვარი უფლება, მთელი მართვა-გამგეობა უმრავლესობის, და არა უმცირესობის ხელშია.

ვერინას აზრით, ერთ პირს მართვა-გამგეობა არასოდეს უნდა ანდოს საზოგადოებამ, რადგანაც ყოველ პირს, რა მედგარი დამცველიც უნდა იყოს ის საზოგადოებრივი ინტერესებისა, უფლებანი და უპირატესობანი რყვნის. რა საბუთი აქვს ვერინას, რომ ასე ფიქრობს? საუცხოო საბუთი მისთვის ფიესკოს მთელი ფსიქოლოგიაა. როდესაც ფიესკო მამულის ? `თავისუფლებისათვის ფიქრსა და ზრუნვას შეუდგა, თავისი თავი !.რულებით არ ახსოვდა, მისი ოცნება — თავისუფალი გენუა იყო. „გენუა, შენ იყავ თავისუფალი და მე კი შენი საუკეთესო მოქალაქე ვიქნები“, — ამბობდა ფიესკო გულში. ფიესკო არაჩვეულებრივი ღირსებით იყო ბუნებისაგან დასაჩუქრებული, მაგრამ ამ იშვიათმა პირმაც ვერ შეიკავა თავი აღნიშნულ ზნეობრივ სიმაღლეზე: რაც უფრო აღსრულებაში მიდიოდა მისი ოცნება, მით უფრო იზრდებოდა ფიესკოს საკუთარი „მე“, მით უფრო მეტ ალაგს იჭერდა მის სულში საკუთარ ბედნიერებაზე ფიქრი და ზრუნვა, და როდესაც მამულის გათავისუფლებაში მას აღარავითარი ეჭვი არა ჰქონდა, მან თავისი თავი გენუის ჰერცოგად გამოაცხადა. ამგვარად, ფიესკომ დაიწყო მამულის გათავისუფლებით და დააბოლოვა მამულის დამონებით! განა ეს უნდოდა ფიესკოს, განა ამას ოცნებობდა, ამას შეტრფოდა? არა და არა! ფიესკო გულწრფელი იყო, როდესაც ამბობდა: გენუა, მხოლოდ შენ იყავ თავისუფალი და მე კი შენი საუკეთესო მოქალაქე ვიქნებიო; მას არ ახსოვდა თავისი თავი, მას გულწრფელად უნდოდა მამულის გათავისუფლება ყოველგვარი ბატონისაგან, მაგრამ ფიესკომ რა ქნას, თუ რომ

> გული კრულია კაცისა,
> ხარბი და გაუძღომელი!

ფიესკო რა შუაშია, თუ რომ ეს ოხერი ბატონობა ყოველ ადამიანს თავისკენ იზიდავს!

ჩაუგდეთ ფიესკოს ხელში ბატონობა, დასვით ის გენუის მთავრად: რას იზამს ის ამგვარ შემთხვევაში? ამის პასუხს მისი უკანასკნელი ნაბიჯი გვაძლევს. როდესაც მას საშუალება მიეცა მთავრად გამხდარიყო, დიდი ბრძოლა არ დასჭირვებია საკუთარ თავთან: მყისვე უარყო სისხლით მოპოვებული თავისუფლება თავის სასარგებლოდ; როდესაც ის უკვე მთავარი იქნებოდა და სრული მბრძანებელი — თვითმპყრობელი, ეჭვს გარეშეა, თავისი ადგილის შესანარჩუნებლად და გასაძლიერებლად დევნას დაუწყებდა თავისუფლების ყოველგვარ

გამომჟღავნებას, ყოველ ნიშანწყალს თავის სახელმწიფოში; ამის შემსედვარე ვერინას არ შეუძლია არ თქვას, ყოველი მეფე, რა დიდი ღირსების პატრონიც უნდა იყოს ის, მტერია თავისუფლებისაო. მეფე და საზოგადოებრივი თავისუფლება, ვერინას თვალში, ერთად წარმოუდგენელია; იდეა მეფისა უარყოფაა თავისუფლების იდეისა და თავისუფლება მხოლოდ იქ არის, სადაც თვით ხალხია თავისი თავის მეფე. ამიტომ თუ ვერინა უყოყმანოდ კლავს თავის ძვირფას მეგობარს, მას ვერავინ გაამტყუნებს, რადგანაც მისი მოქმედება პატიოსანია: პოლიტიკური და საზოგადოებრივი თავისუფლება მას მიაჩნია უმთავრეს პირობად, რომლის გარეშეც არავითარი ბედნიერება არა სწამს; თავისუფლების მოპოვება და შერჩენა უცილოდ ითხოვს მეგობრის სიკვდილს; ან მეგობარი, ან თავისუფლება — სხვა გზა ვერინას არ დარჩენია და თუ მთელი ერის ბედნიერებას ის მაღლა აყენებს კერძო პირის ბედნიერებაზე, ეს მხოლოდ მისი ბუნების პატიოსნებას და მისი რწმენის სიდიადეს მოწმობს.

ამგვარსავე პოლიტიკურ სარჩულზე არის აგებული შილერის მეორე პიესა — „დონ-კარლოსი". ესპანეთის მეფეს ფილიპე II-ს ჰყავს შვილი დონ-კარლოსი, რომელიც მემკვიდრეა სამეფო ტახტისა. ის სწავლობდა და იზრდებოდა მარკიზ პოზასთან ერთად; სწავლის დამთავრების შემდეგ მეგობრები ერთმანეთს დაშორდნენ; დონ-კარლოსი სასახლეში დაბრუნდა. პოზამ კი ევროპაში მოგზაურობა განიზრახა. პოზა იდეალებით ცხოვრობს, მისი მიზანია ადამიანთა ბედნიერება; მას უნდა შექმნას ისეთი სახელმწიფო, სადაც მისი იდეალები სრულ განხორციელებას ჰპოვებენ და ამ მიზნით ცდილობს ფლანდრიის გათავისუფლებას ესპანეთის ქვეშევრდომობისაგან. ფლანდრიის გათავისუფლება მას უნდა დონ-კარლოსის დახმარებით. ამგვარი დახმარება პოზასათვის ორმხრივ არის საჭირო: ფლანდრიის მცხოვრებთ დონ-კარლოსი განსაკუთრებით უყვართ; მხოლოდ დონ-კარლოსს შეუძლია ისინი აამხედროს მეფის წინააღმდეგ; გარდა ამისა, დონ-კარლოსი ესპანეთის ტახტის მემკვიდრეა და ამავე დროს პოზას მეგობარი, მისი იდეების თანამგრძნობი; მაშასადამე, ფლანდრიაში დონ-კარლოსი იქნება მხოლოდ პოზას აზრების განმახორციელებელი. ფილიპეს სიკვდილის შემდეგ ის იქნება უდიდესი სახელმწიფოს მპყრობელი და მაშინ პოზას იდეალებს, მის რწმენას ფართო ასპარეზი დაეთმობა. როდესაც მოგზაურობის შემდეგ პოზა სასახლეში ბრუნდება, შემდეგ სურათს ხედავს: დონ-კარლოსს უყვარს თავისი ახალგაზრდა დედინაცვალი, კარისკაცებს ხელთა აქვთ ამის უტყუარი საბუთები, მეფეს უკვე ეჭვი აქვს აღებული. მეფე სასტიკია, კარისკაცებს კი დონ-კარლოსის დაღუპვა უნდათ, რადგან ის, მა-

თი სიტყვით „თავისუფლებას ეტრფის და ტახტისათვის არ ვარგა“. დღეს თუ ხვალ მეფე ყველაფერს შეიტყობს და, ამგვარად, დონ-კარლოსს დაღუპვის მეტი არაფერი მოელის. პოზამ როგორმე უნდა გადაარჩინოს თავისი ძვირფასი მეგობარი. სხვადასხვა მოხერხების წყალობით მან მეფეს ხელში ჩაუგდო საბუთები, ვითომ მას უყვარდა დედოფალი და არა დონ-კარლოსს, მაგრამ პოზა თვითონვე გაება თავის მიერ გაბმულ ქსელში; მეფემ ის თავისი ხელით მოჰკლა. ბოლო დროს პოზა თვითონვე კარგად ხედავდა, რაც მოელოდა, მაგრამ მეგობრის გადასარჩენად სხვა გზა აღარ იყო. მეგობრის სიკვდილით გამწარებული დონ-კარლოსი ატყობინებს მეფეს საქმის ნამდვილ გარემოებას; ფილიპე II დედოფალს კლავს და შვილს კი ინკვიზიციას გადასცემს საწამებლად. ამით თავდება პიესა.

როგორც ერთ წერილში დავინახეთ, შილერი დიდი თაყვანისმცემელი იყო მეგობრობისა და სიყვარულის. ორივე ამ დიად გრძნობას ის უსულო საგანთა შორისაც კი ხედავდა: მეგობრობა და სიყვარული მას ძირითად ელემენტებად მიაჩნდა. „დონ კარლოსში“ პოეტმა წარმოგვიდგინა საუცხოო მაგალითი მეგობრისათვის თავგანწირვისა. პოზა მსხვერპლად წირავს თავს დონ-კარლოსს. თუმცა მეგობრობას შილერი ფრიად მაღლა აყენებდა და მეგობრისათვის თავისდადებას ყოველი ადამიანისაგან ითხოვდა, მაგრამ საქვეყნო, საზოგადო ინტერესს მეგობრობაზე გაცილებით მაღლა აყენებდა. ჩვენი თავი მეგობარს უნდა შევწიროთ, ხოლო მეგობარი საზოგადოებას — აი შილერის ღრმა რწმენა; რესპუბლიკის მოტრფიალე ვერინა უყოყმანოდ შესწირავს თავის სიცოცხლეს მეგობარს, ხოლო უყოყმანოდვე მოუსპობს სიცოცხლეს იმ მეგობარს, რომლისაგანაც ერის თავისუფლებას და მასთან საზოგადოებრივ ბედნიერებას საფრთხე მოელის. პოზა ის ბრწყინვალე პირია, რომელშიაც შილერმა სრულად და გარკვევით ჩამოასხა თავისი პოლიტიკური მოძღვრება. დონ-კარლოსი და პოზა ერთიმეორის დამატებაა, ორივე ერთად იგივე შილერია: პირველი შილერის ნერვები, შილერის ტემპერამენტია, ხოლო მეორე—შილერის სული, შილერის აზროვნება. პოზას სიტყვით დონ-კარლოსის გულში მთელი სამყარო მოთავსდება; ის არის გატაცებული, მოძრავი, დაუდგრომელი ახალგაზრდა. მზად არის მთელი სამყარო ბრძოლაში გამოიწვიოს, მაგრამ მას კარგად არ აქვს გარკვეული და შეგნებული, თუ რას უნდა მოახმაროს თავისი ძალ-ღონე, ცხოვრებაში რა გზას უნდა დაადგეს. ის ითხოვს სრულ თავისუფლებას პიროვნებისათვის, მას კანონიერად მიაჩნია პიროვნების ყოველგვარი სურვილი, პიროვნების ბედნიერება მას ყველაზე უფრო სწამს და ამით ბევრში წააგავს კარლოს მოორს: ისიც მა-

სავით ნაზი და აღგზნებული ნერვების პატრონია, მასავით გულჩვილი და დაუდგრომელი, მასავით დაუდუღებელი და, საბოლოოდ, მყარ რწმენას მოკლებული. სულ სხვაა პოზა. „ჩვენი დრო არ მომწიფებულა ჩემი იდეალებისათვის, მე მომავალ საუკუნეთა მოქალაქე ვარ“,— თამამად უცხადებს ის მეფეს, როგორია მისი იდეალები? მისი იდეალების შესაგნებლად საჭიროა იმის გათვალისწინება, თუ როგორ უყურებს პოზა პიროვნებას, საზოგადოებას და მეფეს. პოზა უარყოფს ყოველგვარ მოვალეობას პიროვნებისათვის; მის თვალში არავითარი მოვალეობა არ არსებობს, მოვალეობის მაგიერ მას სწამს მხოლოდ თავისუფალი შრომა. შრომა, პოზას აზრით, ადამიანის დანიშნულებაა, მხოლოდ შრომა აძლევს ადამიანს ცხოვრების შინაარსს, მაგრამ შრომა თავისუფალი, ნებაყოფლობითი; ძალდაუტანებელი შრომის თავისუფლებაში აუცილებლად იგულისხმება ადამიანის სრული თავისუფლებაც, და მართლაც, პოზას აზრით, ადამიანი თავისუფალი ქმნილებაა. მის გონებაში ორი მცნება — ადამიანი და თავისუფლება სინონიმები არიან, ერთი უმეოროდ ვერ წარმოუდგენია. სინიდისის, სიტყვის და აზრის თავისუფლება ყოველი ადამიანის ბუნებრივი უფლებაა; ამ უფლების შეზღუდვა დამახინჯებაა ბუნების; ბუნების დამახინჯება კი ყოვლად შეუძლებელია; პოზას აზრით, თუ ბუნების დამახინჯება შეუძლებელია, თავისუფლება კი ბუნებრივი უფლებაა ყოველი ადამიანის, მაშ ამ უფლების წართმევა, თავისუფლების მოსპობაც შეუძლებელი ყოფილა! პოზას საღ ოპტიმიზმსა და ღრმა რწმენას კაცობრიობის პროგრესისას სარჩულად ის უდევს, რომ თავისუფლების სამუდამოდ მოსპობა მას არათუ შეუძლებლად, — სრულ აბსურდად მიაჩნია. „როგორ, თქვენ გაბედავთ შეაჩეროთ ქვეყნიერების გადახალისება, შეაყენოთ საზოგადო გაზაფხული. რომელიც მთელ ქვეყნიერებას განაახლებს?.. თქვენ ვერაფერს მიაღწევთ!.. ტყუილად ებრძოდით ბუნებას“, — თამამად ეუბნება ის მეფეს. პოზას რწმენით, შეიძლება თავისუფლების შეზღუდვა, დროებით შეჩერება ისე, როგორც ფილიპე მეორემ შეაჩერა, მაგრამ მისი სამუდამოდ მოსპობა მოკვდავს არ შეუძლია: ერთხელაც იქნება ხალხი გამოიღვიძებს, მოითხოვს თავის უფლებებს და მაშინ ვერავითარი ფილიპე მეორე ვერ გაუმაგრდება მას, ვერავითარი მეფე ვერ წაართმევს ხალხს იმას, რაც თვით ბუნებამ მისცა. ყოველი ადამიანის მოქმედებისა და მისწრაფების მიზანი, მეფე იქნება ის თუ ჩვეულებრივი მოკვდავი, პოზას აზრით, ადამიანი უნდა იყოს. ყოველი ადამიანი უნდა ემსახურებოდეს ადამიანის ბედნიერებას და, რადგანაც ბედნიერება გარეშე თავისუფლებისა არც პოზას სწამს ვერინასავით, ამიტომ ყოველი ადამიანი უნდა ეძებდეს და იცავდეს

უწინარეს ყოვლისა თავისუფლებას. ეროვნული საზღვრები პოზასთვის არ წერია, მას მთელი ქვეყნიერება მიაჩნია თავის სამშობლოდ, მთელი კაცობრიობა თავის ერად. „მე კაცობრიობა მიყვარს", — უცხადებს ის მეფეს.

რადგანაც პიროვნების სრული თავისუფლება შესაძლებელია მხოლოდ თავისუფალ საზოგადოებაში, ამიტომ პოზა საზოგადოებისათვისაც ითხოვს იმას. რასაც ის პიროვნებისათვის ითხოვდა. საზოგადოებრივ ცხოვრებას სარჩულად უნდა ედვას სრული თანასწორობა; პოზა უარყოფს ყოველგვარ პრივილეგიებს, ყოველგვარ უპირატესობას საზოგადოებაში, ის მტერია წოდებრივი ურთიერთობის, მტერია ყოველგვარი უფროს-უმცროსობის როგორც ოჯახში, ისე საზოგადოებრივ ასპარეზზე. რაში უნდა იხატებოდეს, პოზას აზრით, საზოგადოების თავისუფლება? სრულ თანასწორობაში შრომის, სიტყვის, სინიდისისა და აზროვნების, და ყოველგვარი მთავრობის უარყოფაში. გარდა იმ მთავრობისა, რომელსაც მხოლოდ ხალხი — უმეტესობა ირჩევს თავისი ნებისა და სურვილისამებრ. რა არის საზოგადოების მიზანი? პიროვნების ბედნიერება, — გიპასუხებთ პოზა, და, რადგანაც პიროვნება მხოლოდ თავისუფალ საზოგადოებაშია ბედნიერი, ამიტომ პოზა კატეგორიულად უარყოფს მეფეს და მონარქიულ წყობილებას. აქ პოზა ბევრში წააგავს ვერინას, მაგრამ იქ, საცა ვერინას მხოლოდ ბუნებრივი ინსტინქტი, სტიქიური ძალა ამოქმედებს, პოზა სრულებით შეგნებულად ფიქრობს და მოქმედებს. როგორც ფილოსოფოსი. მეფის ინტერესი და ხალხის ინტერესი, პოზას აზრით, ერთიმეორის სრული წინააღმდეგობაა; ის, რაც მეფისათვის სასარგებლოა, ხალხისათვის ან პირდაპირ მაზარალებელია, ან სრულებით უსარგებლო. პოზას კი მხოლოდ ხალხის სარგებლობა სწამს და ამიტომ პირდაპირ უცხადებს ფილიპე მეორეს: მე არ შემიძლია მეფის სამსახური ვიყოო. ამით რა უნდოდა მას ეთქვა? ის იმას კი არ ეუბნება მეფეს: შენ — ფილიპე მეორეს ვერ გემსახურებიო. არა — ფილიპე რომ ბუნებით კეთილი და პატიოსანია, პოზას ამაში ეჭვიც არა აქვს: ის აცხადებს: მე საზოგადოდ მეფის სამსახური არ მინდაო, და ამით აშკარად გვატყობინებს, რომ მას ყოველი მეფე ეზიზღება, როგორც ხალხის ინტერესების მტერი. თუ ყოველი მეფე მხოლოდ ეგოისტია, მხოლოდ თავის თავზე ფიქრობს და იმ უფლებებს. რომლებიც მას აქვს მინიჭებული, მხოლოდ თავის სასარგებლოდ და ხალხის საზარალოდ იყენებს, ადამიანი კი მხოლოდ საზოგადო ინტერესს უნდა იცავდეს, აქედან თავისთავად ცხადია ისიც, რომ ვისაც უნდა ხალხს ემსახუროს, მან მეფის სამსახურს თავი უნდა დაანებოს. რატომ?

აი რატომ: თავის მოხელეთაგან მეფე თავისუფალ მოქმედებას კი არ ითხოვს, არამედ მხოლოდ იმის აღსრულებას, რაც მას განუზრახავს, რაც მას ენებება; მეფეს კი მხოლოდ ის ნებავს, რაც მისთვის სასარგებლოა; თავისუფლება როგორც სიტყვის, ისე სინიდისისა და აზროვნების, მეფისათვის დამღუპველია და ამიტომ ის სასტიკად დევნის მას; ყოველი მისი სურვილი იქითკენ არის მიმართული, რომ ხალხი რაც შეიძლება დააბეჩაოს, დაიმონოს, თავისუფლების წყურვილი, დამოუკიდებელი მოქმედების უნარი აღმოუფხვრას; ამიტომ ყოველი ადამიანი, რომელიც კი მეფეს ემსახურება, ხალხის მტერია; მეფესთან ერთად ის ხალხის პროგრესს, ხალხის თავისუფლებასა და ბედნიერებას ებრძვის. თუკი მეფის ინტერესი და ხალხის სარგებლობა ერთიმეორეს ეწინააღმდეგება, აქედან თავისთავად ცხადია, რომ ხალხისათვის მეფე არათუ საჭირო არ არის, მხოლოდ მავნებელია და ამიტომ როგორც ხალხი, ისე ხალხის მოკეთე იმას უნდა ცდილობდნენ, რომ მეფე მოიშორონ. პოზას სწამს მხოლოდ ისეთი პოლიტიკური წყობილება, სადაც არავითარი მეფე არ არის და ყოველგვარი უფლება თვით ხალხის ხელშია, თვით ხალხია თავისი თავის მეფე და პატრონი. მხოლოდ ამგვარ პოლიტიკურ წყობილებაშია ადამიანი ბედნიერი. ამგვარი პოლიტიკური წყობილების განხორციელებას ემსახურება პოზაც და თავის იდეალს სწირავს სიცოცხლეს. ძირს მეფე! გაუმარჯოს შრომის, სიტყვის, აზრისა და სინიდისის თავისუფლებას, გაუმარჯოს ხალხის მეფობას! — აი რა გვაუწყა შილერმა დიადი და ბრწყინვალე პოზას სახით.

არის ისეთი მომენტები, როდესაც პოზას სწამს: მოვა დრო, როდესაც ხალხის ბედნიერება და ტახტი ერთიმეორის წინააღმდეგი აღარ იქნებიანო. მაგრამ აქ ულოგიკობა ან თავისი თავის წინააღმდეგობა კი არ არის — მომავლის მეფე, მომავალი დროის მთავრობა პოზას სრულიად სხვანაირად ესმის: ის დარწმუნებულია, რომ მომავალში მეფედ ერთი ადამიანი კი არ იქნება, თვით ხალხი იქნება თავისი თავის მმართველი და პატრონი; მაშინ, რასაკვირველია, ხალხის ბედნიერებას აღარავითარი მტერი აღარ ეყოლება მეფის სახით.

აგერ ასი წელიწადი გადის მას შემდეგ, რაც შილერმა შექმნა პოზას უკვდავი სახე. მაგრამ პოზას აზრები დღესაც სრულ და მასთან დღესავით ცხად ჭეშმარიტებას წარმოადგენენ. მართლაც და ვისთვის არ უნდა იყოს ცხადზედ უცხადესი. რომ ხალხი მხოლოდ მაშინ მოიპოვებს ქვეყნად შესაძლებელ ბედნიერებას, როდესაც ის მოიხვეჭს სრულ თავისუფლებას, უარყოფს ყოველგვარ მთავრობას

და თვითონ გახდება თავისი მეფეც და თავისი პატრონიც. შილერის აზრებში არც ისეთი რამ ურევია, რომ მთელ საუკუნეს არ შეძლებოდეს მისი განხორციელება, მაგრამ მიიხედე გარშემო. მკითხველო, და მერე შენს თავს დაეკითხე: სიცრუეა ყოველივე, რაც შილერმა გვაუწყა პოზას სახით. თუ სრული ჭეშმარიტება? თუ სიცრუეა, რად ხიბლავს ის ამდენად შებორკილ ადამიანს, რად იზიდავს თავისკენ ადამიანის სულსა და გულს, რად ბრწყინავს ასე სპეტაკად?!. თუ ჭეშმარიტებაა, რად მიუცია ყველას ძილისათვის თავი, რატომ არ შეიგნებენ ამ ჭეშმარიტებას და სხვასაც არ შეაგნებინებენ? რატომ, რატომ?! ერთ ადამიანს თუ შეუძლია ხალხის დამონება, ნუთუ მთელ ხალხს არ ძალუძს ერთი მტარვალის ძლევა? დრო მოვა, ხალხი გამოიღვიძებს და მოითხოვს თავის წმინდა უფლებებსო, ეუბნებოდა პოზა ფილიპე II-ს, ეუბნებოდა შილერი გერმანიის მთავრობას. დრო დიდი ხანია მოვიდა. მაშ რატომ არ ვიღვიძებთ, რატომ არ ვითხოვთ ჩვენს წმინდა, ადამიანურ უფლებებს? რატომ, რატომ?!

ბუნებრივი მდგომარეობა დაუსრულებელი ბრძოლა და სისხლისღვრაა, რადგანაც ადამიანი ადამიანისათვის მხოლოდ მგელიაო, — ქადაგებს ჰობსი. არა, ბუნებრივი მდგომარეობა სიმშვიდისა და მყუდროების ხანაა, რადგანაც ადამიანი ბუნებით კეთილი ქმნილებაა — მას მხოლოდ საზოგადოებრივი ცხოვრება რყვნისო, — ამტკიცებს რუსო. ეჭვს გარეშეა, საზოგადოებრივი ცხოვრების პირობებს ხშირად წაუხდენია ადამიანი. მაგრამ ისიც ცხადია, რომ იმ ხანში, რომელსაც კი შეიძლება ბუნებრივი მდგომარეობა ვუწოდოთ, კაცთა შორის არ ყოფილა არც სიმშვიდე, არც მყუდროება, რადგანაც ადამიანი თუ ახლა: ჭოკლებული გულკეთილობას, მაშინ უფრო ღარიბი იყო ხასიათის ამგვარი თვისებით. მეცნიერებამ არ იცის ის მხეცი არსება, რომლისგანაც დღევანდელი ადამიანი თანდათანობით განვითარდა, ხოლო დღეს მხოლოდ ბრიყვმა და უმეცარმა არ იცის, რომ ადამიანი უძველეს დროს მოკლებული იყო როგორც ენას, ისე დღევანდელ გარეგანს სახესა და სულიერ თვისებებს და როგორც თავისი ბუნებით, ისე ორგანიზაციით და ცხოვრებით სრულ მხეცს წარმოადგენდა. როგორი ურთიერთობა არსებობს ბუნებაში მხეცთა შორის? უმთავრესად ბრძოლა არსებობისათვის. ისინი ეცილებიან ერთმანეთს საზრდოს, ეცილებიან დედალს. ეცილებიან საცხოვრებელ ალაგს და სხვ. არსებობისათვის გამწვავებულმა ბრძოლამ განავითარა მხეცთა ბუნებაში შესაფერი ინსტინქტები, შესაფერი მისწრაფებანი, რომლებსაც ერთად ეწოდება თავისი თავის სიყვარული ანუ ეგოიზმი. როდესაც ადამიანის

მხეცი წინაპარი იმდენად დაწინაურდა. რომ პირველად დაეტყო ადამიანობის ნიშანწყალი. რას შემოიტანდა ის ცხოვრებაში? მხოლოდ განვითარებულ ეგოიზმს. განვლილი ხანა ადამიანის ცხოვრებისა ძალიან ნაკლებად უწყობდა ხელს ამ ეგოიზმის შესუსტებას; პირიქით, ის უფრო აძლიერებდა მას. საზოგადოებრივი ცხოვრება არათუ უწინ, დღესაც იგივე ბრძოლაა არსებობისათვის, ხოლო თუ ხშირად ეს ბრძოლა ბრძოლად არ გვეჩვენება, ამის მიზეზი ორგვარია: პირველი ის, რომ დღევანდელმა საზოგადოებამ დაიწყო მოყვასის სიყვარულის განხორციელება, ე. ი. ალტრუიზმის ქადაგება და მისი პრაქტიკულად გამოყენება; მეორე ის, რომ საზოგადოებრივ ცხოვრებაში ბრძოლა არსებობისათვის იმ სახით არ წარმოებს, როგორც ბუნებაში დანარჩენ ცხოველთა შორის; ბუნებაში არსებობისათვის ბრძოლა წესრიგს მოკლებულია, იქ ყველა იბრძვის ყველას წინააღმდეგ და ყველას მხოლოდ თავისი თავი ახსოვს; საზოგადოებრივ ცხოვრებაში კი არსებობისათვის ბრძოლამ დიდი ხანია მიიღო ერთგვარი ორგანიზაცია: აქ ადამიანი ადამიანს კი არ ებრძვის, არამედ კლასი კლასს; მაშინ, როდესაც ორი სოციალური კლასი ხშირად ერთიმეორის მოსისხლე მტერია, თითოეული კლასის წევრთა შორის მყუდროება, სოლიდარობა და ერთიმეორის გატანა სუფევს; თუ ხანდახან მათ შორის ჩამოვარდება ბრძოლა, ისინი მალე ახერხებენ მორიგებასა და შეთანხმებას.

რაც შეეხება ალტრუიზმს, ეს უმთავრესად იმავე ეგოიზმის ნაყოფია და ის მცირე ნაწილი ამ მოვლენისა, რომლის სათავეც წმინდა გულია და პატიოსანი მისწრაფება, ჯერჯერობით ფრიად სუსტ ძალას წარმოადგენს ადამიანის ეგოიზმის წინააღმდეგ. შეხედეთ მას, ამ ეგოიზმს, რამდენ საზიზღროებას ჩადის! რამდენი სისხლი, რამდენი ცრემლი იღვრება მისი წყალობით, რამდენი ადამიანი ხდება მისი მსხვერპლი! ერთ უსაშინელეს შედეგს ადამიანის ეგოიზმისას წარმოადგენს ომიანობა. რა მხრითაც უნდა შეხედოთ მას, რანაირადაც უნდა აწონოთ და გაზომოთ, ის მხოლოდ საზიზღარი იქნება და ვერავითარი საღი გონება მას ვერ გაამართლებს. ვერ ამართლებდა მას შილერიც მთელი თავისი უმაწვილური სულის ძლიერებით. ის წინააღმდეგი იყო ომისა და სისხლისღვრის. სხვაგვარად ვერც მოიქცეოდა ის ადამიანი, რომლის მთელი ქადაგება ადამიანის სიყვარულზე იყო აგებული. „ვალენშტაინის“ ტრილოგიაში შილერმა დახატა ახალგაზრდა მხედარი მაქს პიკოლომინი. პიკოლომინი ღვიძლი ძმაა კარლოს მორორის, დონ-კარლოსის, პოზასი და თვით შილერის. ადამიანის სიყვარული, ადამიანის ბედნიერება მის წმიდათაწმიდას შეადგენს და მიუხედავად იმისა, რომ დროშ

და გარემოებამ მას ხელში ააღებინა ხმალი, ის მთელი თავისი არსებით მტერია ომიანობის, მას ეზიზღება, ეჯავრება ადამიანისაგან ადამიანისავე სისხლისღვრა. გულამღვრეული შენატრის იმ დროს, როდესაც საზიზღარი ომი, ადამიანის დამამცირებელი სისხლისღვრა სრულებით მოისპობა ადამიანთა საზოგადოებაში, და დარწმუნებულია. რომ ეს დრო ახლო მომავალს ეკუთვნის.

თავის იდეალებში, მისწრაფებასა და რწმენაში შილერი პირდაპირი. გადაჭრილი იყო, კომპრომისები მას არ უყვარდა, ხოლო ომსა და სისხლისღვრას ის ურიგდებოდა ერთადერთ შემთხვევაში — როდესაც ეროვნულ თავისუფლებას იცავდა ის ხალხი. რომელსაც ხმლის გარდა სხვა საშუალება არ დარჩენოდა თავისი არსებობისა და პიროვნების დასაცავად. ეროვნული თავისუფლების დაცვაზეა აგებული შილერის ერთი საუკეთესო პიესა „ვილჰელმ ტელი". ვილჰელმ ტელი იყო შვეიცარიის გმირი, რომელმაც მეთოთხმეტე საუკუნის დამდეგს შვეიცარია გაათავისუფლა და აღადგინა მისი დამოუკიდებლობა. დღეს ისტორიის მკვლევართა უმეტესობა იმ აზრისაა. რომ არავითარი ტელი არ არსებობდა და ის მხოლოდ ხალხის ფანტაზიის ღვიძლი შვილია, მაგრამ საქმე ეს კი არ არის, საქმე ისაა, თუ როგორ უყურებდა შილერი ტელის მოქმედებას. ვინ არის შილერის პიესაში უმთავრესი გმირი? ტელი? არა, მას მხოლოდ რამდენიმე ალაგას ხედავს მაყურებელი და გარდა გესლერის მოკვლისა, ის არაფერს ჩადის ისეთს მთელს პიესაში, რომ უმთავრეს მომქმედ პირად ჩაითვალოს. უმთავრესი გმირი, ცენტრი მთელი პიესისა არის შვეიცარიელების ეროვნული თავისუფლება. ყველას — დიდსა და პატარას, მოხუცსა და ახალგაზრდას — ენაზე აკერია თავისუფლება, ყველას წყურვილს ის შეადგენს. თავისუფალი ვართ, თავისუფალიო, — შეჰხარიან ერთმანეთს შვეიცარიელები გესლერის მოკვლის შემდეგ. თუ მთელი პიესა გაჟღენთილია თავისუფლების წყურვილით, თუ ის წარმოადგენს მძლავრ ქადაგებას ეროვნული თავისუფლებისას. ეს მხოლოდ იმას მოწმობს, რომ შილერი მთელი თავისი არსებით ეროვნული დამოუკიდებლობის მომხრე იყო. თავისუფლება სრული, თავისუფლება ყოველმხრივი, თავისუფლება განუსაზღვრელი — აი რას ითხოვდა პოეტი. ეროვნული თავისუფლება მხოლოდ ერთი ტოტია საერთო თავისუფლებისა და ის, ვინც საზოგადოდ თავისუფლებას იცავს. უნდა იცავდეს ეროვნულ თავისუფლებასაც; ეროვნული თავისუფლების წართმევა შეზღუდვაა, შეკვეცაა საზოგადოდ თავისუფლების და ის, ვინც მტერია თავისუფლების შეზღუდვის, მტერი უნდა იყოს ეროვნული თავისუფლების მოსპობისაც. მთელი თავისი სიცოცხლე შილერი სწორედ

განუსაზღვრელ თავისუფლებას ქადაგებდა და ამიტომაც ითხოვდა ეროვნულ თავისუფლებას. რა არის ხალხი, რას წარმოადგენს ერი? ამის შესახებ შილერი არაფერს გვეუბნება, მაგრამ მას სწამს, რომ სამშობლო ენა, ეროვნული კულტურა ადამიანის ბუნების ორგანული ნაწილია; ამ ნაწილის მოსპობა, ერთი მხრით, მაზარალებელია მთელი ერის კეთილდღეობისათვის, მეორე მხრით. დიდი უსამართლობაა და ამიტომ პოეტი ზნეობისა და კაცობრიობის კეთილდღეობის სახელით მედგრად იცავს ეროვნულ დამოუკიდებლობას, ეროვნულ თავისუფლებას. გაუმარჯოს თითოეული ერის თავისუფლებასო, — აი რას გვეუბნება „ვილჰელმ ტელის“ ყოველი სტრიქონი.

შილერი იყო საუკეთესო ადამიანი, საუკეთესო მამულიშვილი და საუკეთესო მოქალაქე; საუკეთესო ადამიანად და საუკეთესო მოქალაქედ დარჩება ის ყოველ დროს, ყოველი თაობისათვის. ის იყო განხორციელებული სიყვარული, განხორციელებული პატიოსნება და მასთან მოწინავე დემოკრატულ-ლიბერალური აზრების გატაცებული მედროშე. ცხოვრება არათუ შილერის დროს, დღესაც ისეა მოწყობილი, რომ უმცირესობის კეთილდღეობა უმრავლესობის დაბეჩავებაზე, დამონავებასა და უძლურებაზე არის აგებული. ადამიანსა და ადამიანს შუა სიყვარულის. თანაგრძნობისა და გამტანობის ხიდი კი არ არის გადებული, არამედ მტრობის, ცივი გულის და შენ-ჩემობის უფსკრული. პოეტი ყველგან მეგობრობასა და სიყვარულს ეძებდა. ნაცვლად ყოველ ნაბიჯზე მხოლოდ მტრობისა და გაუტანლობის სურათებს ხედავდა; პოეტი შენატროდა თავისუფალ ადამიანს. სინამდვილეში კი მხოლოდ ყოველის მხრით შებორკილ და დამონავებულ ადამიანს ხედავდა; პოეტი ეძებდა საერთო ბედნიერებას, ცხოვრებაში კი მხოლოდ უმცირესობა ტკბებოდა კეთილდღეობით, უმრავლესობა კი უმეცარი, ტიტველი, მშიერი და მწყურვალი ატარებდა თავის დღეებს; პოეტი შენატროდა საზოგადოებრივ თანასწორობას და პოლიტიკურ თავისუფლებას, ყველგან კი მხოლოდ უთანასწორობას და პოლიტიკურ მტარვალობას ხედავდა; პოეტი ეძებდა აზრის, სიტყვის, სინიდისის თავისუფლებას, სინამდვილეში კი არა თუ თავისუფალი სიტყვა. თავისუფლად აზროვნებაც სასტიკად იყო აკრძალული. საჭირო იყო ბრძოლა, ბრძოლა დაუცხრომელი სიყვარულის, სამართლიანობისა და თავისუფლების აღსადგენად საზოგადოებაში. პოეტი უშიშრად და შეუდრეკლად გამოვიდა ბრძოლის ასპარეზზე და თავის პირველსავე პიესას წააწერა: მტარვალების წინააღმდეგო. მან გაილაშქრა მტარვალების წინააღმდეგ და იარაღად იხმარა სცენა. ამგვარ არჩევანს სარჩულად დაედვა, ერთი მხრით, პოეტის ბუნებრივი ნიჭი და

თეატრის სიყვარული, მეორე მხრით, პოეტის შეხედულება თეატრის შესახებ. პოეტის აზრით. ხელოვნების არავითარ დარგს, არავითარ კულტურულ დაწესებულებას არ შეუძლია ხალხის ზნეობრივად და გონებრივად აღზრდა იმდენად, რამდენადაც თეატრს; ვერავითარი კანონმდებლობა ვერ მოსპობს საზოგადოებაში უსამართლობას და ბოროტებას იმდენად. რამდენადაც ეს თეატრს შეუძლია.' პოეტის არჩევანს ხელს უწყობდა ის პირობებიც, რომლებშიაც მაშინ გერმანიის თეატრი იმყოფებოდა: პოეზიის არც ერთ დარგში სიტყვას არა ჰქონდა იმდენი თავისუფლება, რამდენიც სცენაზე; თავისუფლება კი ის ჰაერი იყო, ურომლისოდაც შილერს ცხოვრება და მოქმედება არ შეეძლო. პირველი ნაბიჯიდან მოკიდებული პოეტი იყო მამხილებელი პიროვნების, მამხილებელი საზოგადოების, მამხილებელი მთავრობის; პირველი ნაბიჯიდან მოყოლებული ის იყო მქადაგებელი საუკეთესო საკაცობრიო აზრების და მედგარი დამცველი დაჩაგრული ადამიანისა და უმრავლესობის ინტერესების; უფერულ, უნუგეშო და სულისშემხუთველ სინამდვილეს ის ჩრდილავდა მომავალი ცხოვრების იმგვარი სურათით, როგორიც იმის იდეალებში იყო გამოხატული; თუ აწმყო არ აკმაყოფილებდა ადამიანს, სამაგიეროდ მისი დრამები თავისი დედააზრით სულსა და გულს უნათებდა სინათლის ყველა ნოყვარულს. შილერის ყოველ ნაწარმოებში ჩანს შილერი, თავისი სულისა და გულის, ზიზღისა და სიძულვილის, სიყვარულისა და თანაგრძნობის დამალვა პოეტს არ შეეძლო მაშინ, როდესაც მოქმედ გმირთა პიროვნებას ხატავდა; პოეტი თვითონ ცხოვრობდა მათთან ერთად, მათთან ერთად ოცნებობდა, მათთან ერთად ფიქრობდა და გრძნობდა, — ამიტომაც მისი პოეზიის ორი უმთავრესი თვისება — იდეალიზმი და სუბიექტივიზმია. პოეტის ყოველი სიტყვა წრფელი გულიდან იწყება, — გულწრფელობა შილერის პოეზიის დამახასიათებელი მხარეა; გულწრფელობით ხიბლავს ის იმ მკითხველსაც კი, რომელიც მის აზრებს არ თანაუგრძნობს. მიუხედავად იმისა, რომ კერძო ცხოვრება პოეტს არ უღიმოდა. საზოგადოებრივი ცხოვრების პირობები კი სრულებით არ ანუგეშებდა, პოეტს ვერაფერმა დააკარგვინა ღრმა რწმენა ადამიანისა და მომავლისა: ის დარწმუნებული იყო, რომ ახლო მომავალში უეჭველად განხორციელდებოდა ყოველივე. რასაც ის შეტრფოდა, რასაც ოცნებით წვდებოდა; ეს რწმენა უმხნევებდა პოეტს გულს, ეს რწმენა აყვარებდა ცხოვრებას; ეს რწმენა შეადგენს ძლიერ სულს შილერის პიესებისას. ამგვარად, საღი ოპტიმიზმი შილერის ხელოვნების ნიშნობლივი თვისებაა. „ის მტერია საზოგადოებრივი კეთილდღეობის, ვინც მხოლოდ თავის თავზე

ფიქრობს“, — ამბობს „ვილჰელმ ტელის“ ერთი გმირი; ამგვარადვე ესმოდა შილერს ყოველგვარი მოღვაწეობა, ამგვარადვე უყურებდა ის ხელოვნებასაც. გაუმჯობესება ცხოვრების, უმრავლესობის სარგებლობა, — აი ხელოვნების მიზანი შილერის აზრით. მართალია, ის არ ყოფილა უკიდურესი უტილიტარისტი, მართალია, საერთო სარგებლობისათვის ზრუნვაში ის მხოლოდ სულს უთმობდა ალაგს, კუჭს კი არავითარს, მართალია ისიც, რომ თავისი მოღვაწეობის ბოლო ხანებში შილერი მოსწყდა ცხოვრებას და თავისი არსებობის მიზანი წმინდა ხელოვნებაში დაინახა, მაგრამ თავისი მოღვაწეობის საუკეთესო ხანაში ის შეელი თავისი არსებით საზოგადოებას ეკუთვნოდა, მისი უმთავრესი საზრუნავი ხალხის ბედნიერება იყო.

რა იყო საჭირო ხალხის ბედნიერებისათვის? პოეტს სწამდა, რომ ადამიანი მხოლოდ მაშინ შეიძლება ბედნიერი იყოს, თუ ის თავისუფალია, თუ მის სიტყვას, სინიდისსა და აზრს სრული თავისუფლება აქვს მინიჭებული; პოეტი დარწმუნებული იყო, რომ საზოგადოება მხოლოდ მაშინ არის ბედნიერი, როდესაც მასში სრული თანასწორობაა, როდესაც მასში შრომის თავისუფლება არსებობს და მართვა-გამგეობა უმრავლესობის ნებასა და სურვილზეა დამოკიდებული. აი ამგვარი ბედნიერების მოახლოებას, პიროვნებისა და საზოგადოების გათავისუფლებას ქადაგებდა ის მთელი თავისი სიცოცხლე. ძირს მტრობა და სიძულვილი, ძირს ტრადიციები, ძირს არისტოკრატია, ძირს მეფე! გაუმარჯოს მეგობრობას და სიყვარულს, გაუმარჯოს თანასწორობას, გაუმარჯოს სიტყვის, აზრისა და სინიდისის თავისუფლებას, გაუმარჯოს ხალხს და მის მეფობას, ვაშა ეროვნულ დამოუკიდებლობას! — აი რას ქადაგებდა შილერი ამ ასი წლის წინათ, აი, რას ქადაგებენ მისი პიესები დღეს. ასი წლის წინათ მოხუც თაობას გულს უმღვრევდა ახალგაზრდა პოეტის კრიტიკული აზრები; დღეს კაცობრიობის საუკეთესო ნაწილი თაყვანსა სცემს შილერს. ჩვენც თაყვანი ვცეთ, მკითხველო, ამ დიდებული პოეტის ხსენებას. რითო, იკითხავ შენ? ვემსახუროთ იმ აზრების განხორციელებას, რომლებსაც ის ქადაგებდა...

1904

ჩაგრულთა პოეტი

როდესაც საზოგადოება დაყოფილია სხვადასხვა კლასებად, ყოველ შეხედულებას, ყოველ მისწრაფებას, ყოველ მოძღვრებას კლასობრივი ელფერი ადევს. კლასობრივი აზროვნების გამომხატველი განსაკუთრებით მწერლობა არის.

ლექსების წერა ჩვენს ცხოვრებაში სნეულებად არის გადაქცეული; ლექსებს მარტო ისინი კი არა სწერენ, ვისაც პოეტის ახლოსაც არ გაუვლია, არამედ ისინიც კი, ვისაც ლექსთა წყობის მარტივი კანონებიც კი არ აქვს რიგიანად გათვალისწინებული. ნამდვილი პოეტები კი ორი-სამი თუ გვყავს, — მეტი არა.

როგორ და რანაირადაც უნდა ჩნდებოდეს ესა თუ ის იდეა, ერთი რამ უტყუარია: იდეის გარეშე არ არის ბრძოლა, არ არის წინმსვლელობა. ვერაფერი ვერ აამხედრებს, ვერ აამოძრავებს ამა თუ იმ კლასს მანამდე, სანამ ის იდეაში არ ჩამოყალიბდება. ეჭვს გარეშეა, ესა თუ ის იდეა ციდან კი არა სცვივა, ის ცხოვრების გულში ისახება ეკონომიური პირობების ზეგავლენით, მაგრამ ცხოვრებასა და ადამიანის გულს შუა შუამავალი მხოლოდ იდეა არის. სანამ ცხოვრების მოთხოვნილებანი არ ჩამოყალიბდებიან ამა თუ იმ იდეაში, ხალხის გული უგრძნობელია, გონება დახშული; როცა ეს იდეა ჩასწვდება ხალხს გულში და გააცისკროვნებს გონებას, მხოლოდ მაშინ იწყება მუშაობა უკეთესი მომავლისათვის.

ცხოვრების წინმსვლელობაში იდეას განუზომელი მნიშვნელობა აქვს; ამიტომ დიდი მნიშვნელობა აქვს ყველაფერს, რაც იდეის გავრცელებასა და შესისხლხორცებას ხელს უწყობს. პოეზიის სარგებლობა და დანიშნულება სწორედ ამაში მდგომარეობს: იდეა პოეზიისა ყოველი ადამიანის გულსა და გონებას იმორჩილებს.

მუშა ხალხისათვის, რომელსაც საკუთარი მისწრაფება აქვს, საკუთარი მიზანი, საკუთარი პოეზია აუცილებელ საჭიროებას შეადგენს. მუშა ხალხს უნდა ჰყავდეს საკუთარი პოეტები, რომელთა

რიცხვიც ჩვენში სამწუხაროდ ფრიად მცირეა. ამათ შორის საპატიო ადგილს დაიკავებს ახალგაზრდა პოეტი ვარლამ რუხაძე.

ვარლამ რუხაძე დაიბადა 1874 წელს ს. ქვიტირში (ქუთაისის მაზრა). ვარლამის მამა იყო მეღვინე და ქუთაისში სამიკიტნო დუქანი ჰქონდა. ცხრა წლამდე ბავშვი სოფელში იზრდებოდა. რვა წლისა რომ გახდა, დედამ დაუწყო წერა-კითხვის სწავლება. სახელმძღვანელოს დაბეჭდილი წიგნი კი არ შეადგენდა, არამედ მონაწერი წერილები. პატარა ვარლამი მეტად ცელქი და დაუდგრომელი იყო, ანბანის გაზეპირებამ ის ვერ დააინტერესა და დედის მეცადინეობამ უნაყოფოდ ჩაიარა. როცა ზაფხულზე სოფლად ჩამოვიდა ბათლომე მოსეშვილი, რომელიც მაშინ სემინარიაში სწავლობდა, ვარლამი მას მიაბარეს, როგორც ნათესავს და ამგვარად წერა-კითხვა ისწავლა. როცა ვარლამმა დაინახა, თუ როგორ შენდებოდა ასოებიდან სიტყვა და სიტყვებიდან აზრი, ძალიან დაინტერესდა, კითხვა შეუყვარდა. რადგანაც ხელმძღვანელი არა ჰყავდა, ის კითხულობდა ყველაფერს, რაც კი ხელში ჩაუვარდებოდა. ვარლამის მამა სწავლა-განათლებას მაინც და მაინც დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებდა. მე არაფერი მისწავლია, მაგრამ პურს ვჭამო, ამბობდა ხოლმე ის. მან გადასწყვიტა, შვილიც თავის ხელობაზე გაეზარდა, ამიტომ ცხრა წლის ვარლამი ქუთაისში წაიყვანა თავის სამიკიტნოში. ვარლამს აქ ხელში ჩაუვარდა აკაკის და ილიას ლექსები, ყარამანიანი, არსენას ლექსი და სხვ. კითხვამ ის კიდევ უფრო გაიტაცა, მაგრამ სამიკიტნოს პირობები და მოქეიფეთა ღრიალი პატარა ვარლამს ხელს უშლიდნენ და თვითგანვითარების ნებას არ აძლევდნენ. 1886 წელს ვარლამის მამამ სამიკიტნოს თავი დაანება, რადგანაც საქმე ცუდად წაუვიდა და სოფელში დაბრუნდა.

ვარლამი ორ წელიწადს დარჩა სოფლად და ამ ხნის განმავლობაში არაფერი არ წაუკითხავს, რადგანაც წიგნებს ვერა შოულობდა. შემდეგ ის განშორდა სოფელს და ცხრა წელს ნსახურობდა. სხვადასხვა ალაგს — ფოთში, სოხუმში, ბათუმში. ამ ხნის განმავლობაში ვარლამს დღისით თითქმის სრულებით არა ჰქონია მოცალეობა და იძულებული იყო სწავლის სურვილი ღამე დაეკმაყოფილებია ხოლმე: როცა საქმე გათავდებოდა და ყველა ძილს მიეცემოდა, ვარლამი მაშინ დაიწყებდა კითხვას და ხშირად მთელი ღამეები გაუტარებია კითხვაში. 1897 წელს ვარლამი დაბრუნდა ისევ ქუთაისს და ამხანაგთან ერთათ გახსნა ღვინის საწყობი. აქ მას მეტი დრო ჰქონდა თვითგანვითარებისათვის. 1902 წელს ვარლამი ბათუმში გადასახლდა და დღესაც იქა სცხოვრობს.

ვარლამმა ლექსების წერა დაიწყო 1892 წელს. რადგანაც პირ-

ველ ხანებში ვარლამი ჩვენი ვიწრო პატრიოტული მწერლობის ზეგავლენის ქვეშ იმყოფებოდა, ამიტომ მისი ნაწერებიც ამგვარი მიმართულებისა იყო. ამ ხანას ეკუთვნის „ცხვრები და დათვი“, დანარჩენი ლექსები კი არ დაუბეჭდია. 1898 წლიდან ვარლამ რუხაძის პოეზიაში იწყება ახალი ხანა, რომელიც ახასიათებს მას, როგორც მუშა ხალხის მისწრაფებათა გამომხატველს.

როდესაც თქვენ იცნობთ ამა თუ იმ მწერლის ცხოვრებას, კიდეც რომ არ იცნობდეთ იმის ნაწერებს, შეგიძლიათ დაახლოებით გამოიცნოთ მათი საერთო ხასიათი და მიმართულება. ვარლამ რუხაძე დაიბადა ღარიბ ოჯახში, გარშემო სულ სიღარიბესა და გაჭირვებას ჰხედავდა, სცხოვრობდა ისეთ წრეში, რომელიც სხვადასხვა შევიწროებას და დაჩაგვრას იტანდა. რა შედეგი უნდა მოყოლოდა ყოველივე ამას?! ვარლამს უნდა შეეყვარებია დაჩაგრულნი და ღარიბნი, ზურგი ექცია იმ ცხოვრებისათვის, რომელშიაც უსამართლობის მეტი არაფერია, და მომავალზე დაემყარებია თავისი იმედები. და მართლაც ყოველივე ამას ჩვენ ვხედავთ ვარლამ რუხაძის პოეზიაში.

ვარლამი უმთავრესად ლირიკოსია,—ის გამოხატავს იმ გრძნობებს, იმ ფიქრს, რომლებსაც მასში იწვევს ცხოვრება. პოეტი უკვირდება თანამედროვე წყობილებას და შიგ ძალმომრეობის, მონობის, ჩაგვრის, გარყვნილებისა და სიღატაკის მეტს ვერაფერს ჰხედავს. ყოველივე ეს ხდება იმისათვის, რომ ერთი მუჭა მუქთახორები ფუფუნებაში ატარებენ თავის ცხოვრებას. მუქთახორების განცხრომას მსხვერპლად ეწირება უმრავლესობის კეთილდღეობა და სიცოცხლეც კი. გარშემო ტანჯულთა ოხვრა-კვნესა ისმის და ხარხარი ბედნიერთა. ყოველივე ეს პოეტს გულს უმღვრევს, მაგრამ სასოწარკვეთილებას კი ვერ აყენებს. პოეტს ღრმადა სწამს, რომ ყველაფერი წარმავალია, მხოლოდ ჭეშმარიტება საბოლოოდ იმარჯვებს და რჩება. ჭეშმარიტება კი, პოეტის შეხედულებით, იმაში მდგომარეობს, რომ ყალბი ცხოვრება ტანჯვისა, სიღატაკისა და ძალმომრეობისა მოისპობა და მის ალაგას დამყარდება საერთო ბედნიერება, თანასწორობაზე და საერთო შრომაზე აგებული. რაკი პოეტს ღრმადა სწამს ჭეშმარიტების ძლევამოსილება, მის გულს სასოწარკვეთილება აღარ ეკარება. ის ჰხედავს სხვის ტანჯვას და თვითონაც იტანჯება; მას ესმის სხვისი ოხვრა-კვნესა და თვალებზე ცრემლი ერევა, მაგრამ თავის რწმენაში ის იკრებს ძალას და ამხნევებს ყველა ტანჯულსა და დაჩაგრულს: მომავალი მხოლოდ ჩვენიაო.

მომავლის მოსაახლოებლად საჭიროა მოქმედება, საჭიროა ბრძოლა, და პოეტი იწვევს ყველა ტანჯულს აქეთკენ.

ვარლამ რუხაძის პოეზიის ერთ დიდ ღირსებას ეს საღი ოპტიმიზმი შეადგენს. ცრემლები და ოხვრა მისი საქმე არ არის. ის ხედავს ცხოვრების მთელ სისაძაგლესა და ყველა უსამართლობას, მაგრამ ყოველივე ეს მას მხოლოდ უსამართლობასთან საბრძოლველად იწვევს და გულს კი ვერ უტეხს, რადგანაც პოეტმა იცის, რომ ტახტი უსამართლობისა ადრე თუ გვიან დაიმსხვრევა და მის ალაგას დამკვიდრდება ტახტი საერთო ბედნიერებისა.

ცხოვრების სისაძაგლეთა გადმოშლა, მძლავრი პროტესტი, სიმღერა ბრძოლისა და ღრმა რწმენა უკეთესი მომავლისა და ჭეშმარიტების ძლევამოსილებისა, — აი მოკლედ ვარლამ რუხაძის პოეზია.

ენა ვარლამ რუხაძის პოეზიისა მარტივია, ხალხური, გარეგანი ფორმა ლექსისა მეტად მუსიკალური.

თუ პოეტი თვითგანვითარებას დაეწაფება და ევროპის თანამედროვე ლიტერატურას გაითვალისწინებს, მაშინ ის უფრო ღრმად ჩასწვდება ცხოვრებას და მისი პოეზია უფრო ფართოდ და მძლავრად გაშლის ფრთებს.

1908

ქართული სცენა

რა უნუგეშო სურათსაც უნდა წარმოადგენდეს კაცობრიობის ისტორიის ცალკე ეპიზოდები, კაცობრიობა მაინც წინ მიდის: აწმყო წარსულსა სჯობია, მომავალი აწმყოს აჯობებს. ოდესმე ადამიანი დედამიწას სამოთხედ გადააქცევს და საზოგადოებრივ ცხოვრებას — საერთო ნეტარებად. ბედნიერი იქნებიან ისინი, ვინც ამ მომავალს მოესწრება. რომელ ქართველს არ უნდა, რომ მრავალტანჯული ქართველი ხალხიც მოესწროს ამ მომავალს! ალღო თავის დაცვისა თანდაყოლილი აქვს ყოველ ცოცხალ არსებას მატლიდან მოყოლებული ადამიანამდე. შეგნება თავის დაცვისა ძვალ-რბილში უნდა ჰქონდეს გამჯდარი ყოველ საზოგადოებას, საზოგადოების ყოველ ნაწილს. თუ საზოგადოება ამ შეგნებას მოკლებულია, მისი დღენიც დათვლილია. გადაავლეთ თვალი ჩვენს საზოგადოებას. ინტელიგენცია საერთოდ ამ შეგნებას მოკლებულია; მოკლებულია ამ შეგნებას თავადაზნაურობაც. მამულის სიყვარული და თავისი ერისათვის ზრუნვა ბრტყელ-ბრტყელი სიტყვებით კი არა მტკიცდება, არამედ საქმით. როდესაც სიტყვით მამულის ერთგულმა ჩვენმა წარჩინებულმა წოდებამ საქმით ეროვნული ადგილ-მამულის, ეროვნული ტერიტორიის დიდი ნაწილი უცხო ტომთ ჩაუყარა და ქართველ ხალხს კი დაუკარგა, ეს ყოველ ბრტყელ სიტყვაზე უფრო ხმამაღლა ჰღაღადებს. ქართველმა ერმა თუ ტერიტორია დაკარგა, დედამიწის ზურგისგან აღიგვება. თავადაზნაურობა კი სწორედ ამ გზას ადგას კარგა ხანია.

მაშ რაზედ უნდა დავამყაროთ ჩვენი იმედები? სად არის ხსნა? ჩვენი ხსნა ეგრეთ წოდებულ წვრილ ხალხშია. თუ ეს ხალხი ცოდნით აღიჭურვა, ქონებრივად მოღონიერდა და სულიერ-ზნეობრივად ამაღლდა, ქართველი ერის მომავალიც უზრუნველყოფილი იქნება.

აი ამ დიად საქმეში უნდა ჩაებას ქართული თეატრიც და ამ

მხრივ გაუწიოს ხალხს დახმარება და სამსახური. ამისათვის კი უწინარეს ყოვლისა საჭიროა თვით ხალხის ფსიქოლოგიის ცოდნა. სცენის მსახურებმა უნდა იცოდნენ მათი შეხედულება, მათი მოთხოვნილება, ვისაც ემსახურებიან.

გულს გული იცნობსო, ნათქვამია. ხალხის სულსა და გულს უფრო სწვდება ის, რაც იმის გარშემო ხდება, რასაც ის თვითონ ჰხედავს ცხოვრებაში. ხალხი უფრო ადვილად იგნებს ყოველივე მშობლიურს, ყოველივე ეროვნული მას უფრო აინტერესებს, უფრო აღელვებს, უფრო იზიდავს. სცენას, რომელიც სცდილობს ხალხს წინ წაუძღვეს, არ შეუძლია ხალხის ამგვარ სულიერ თვისებას გვერდი აუხვიოს და პასუხი არ გასცეს. წინააღმდეგ შემთხვევაში თვითონ ხალხი აუხვევს სცენას გვერდს და ზურგსაც შეაქცევს.

წარსული სეზონის განმავლობაში ქართულ წარმოდგენებს ხალხი ნაკლებად ესწრებოდა. როდესაც დადგეს „სამშობლო“, თეატრი ხალხით გაიტენა. რითი აიხსნება ეს გარემოება? მარტო ეფექტებით? სრულიადაც არა. ამ პიესაში ხალხი ჰხედავს ყოველივე თავის საკუთარს, ეროვნულს და ამიტომ უფროც ეტანება. რითი აიხსნება ის გარემოება, რომ სულ მოკლე ხანში ირეთელის პიესა „დამარცხებულნი“ რამდენჯერმე დაიდგა და ყოველთვის გატენილი იყო ხალხით, მიუხედავად იმისა, რომ პიესა ხელოვნების მხრით მეტად სუსტია? იმითი, რომ ის ხალხი, რომელიც ამ პიესას ესწრება, მასში ჰხედავს თავის საკუთარ — ქართულ ცხოვრებას.

ამიტომ საჭიროა, რომ ქართულ სცენაზე ქართულ პიესებს უფრო მეტი ალაგი ჰქონდეთ დათმობილი, ვიდრე დღემდისა ჰქონდათ. თუ კი არ არის პიესები, საიდან დავდგათო, — შეიძლება იკითხოს ვინმემ. მართალია, ჩვენი მწერლობა ღარიბია, მაგრამ მეტ თანაგრძნობასა და სიყვარულს რომ ვიჩენდეთ ამ მწერლობისადმი, საქმეც უკეთეს მდგომარეობაში იქნებოდა. მე არ განვიხილავ აქ ყველა იმ დაბრკოლებას, რომელიც წინ ეღობება ქართველ მწერალს. რანაირად შეიძლება მწერლობა აყვავდეს იქ, საცა არავითარი სიყვარული არა სჩანს ეროვნული საქმისა? აიღეთ ჩვენი მწერლის მდგომარეობა. თუ რამე დასწერა, იმის ნაწერს დაბეჭდვა არ ეღირსება; კიდეც რომ დაიბეჭდოს, ბევრი არავინ წაიკითხავს; მისი პიესა სცენას ვერ იხილავს; მწერლობით ის გროშ-კაპეიკს ვერ აიღებს. ერთის მხრით შიმშილი, მეორეს მხრით გულგრილობა საზოგადოებისა, — ამგვარ პირობებში რა ააყვავებს მწერლობას? ჩვენი სცენისათვის უპირველეს საჭიროებას შეადგენს ეროვნული მწერლობა, ეროვნული პიესები. ამისათვის კი საჭიროა, რომ ჩვენი სცენა მეტის თანაგრძნობით ეკიდებოდეს ეროვნულ პიესებს. ბევრს ჩვენში შეუძლია წერა, მაგ-

რამ არა სწერს. ბევრს კიდევ თავისი ნაწერი ვერ გამოუქვეყნებია, რადგანაც ან დაშინებულია, ან ვერსად დაუბეჭდია. თუ ჩვენს სცენაზე ქართულ პიესებს მეტი ადგილი დაეთმობა, ვიდრე დღემდე ჰქონდა დათმობილი, დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ ეს წაახალისებს ქართველ მწერლებს, ნამეტურ ახალგაზრდებს, და ქართული პიესების რიცხვიც იმატებს. რაც დავწერე, არსად დამიბეჭდეს, ერთი პიესაც არ წარმოადგინეს ჩემი და რისთვის უნდა ვწეროო, — მეუბნებოდა ამას წინათ ერთი ახალგაზრდა მწერალი. უმთავრესი ალაგი მაინც ევროპიულ პიესებს უნდა ჰქონდეს ჯერჯეროობით დათმობილი. ევროპის მწერლობაში დღეს სხვადასხვა მიმართულებაა. ქართულმა სცენამ უნდა გააცნოს თავის საზოგადოებას სხვადასხვა მიმართულების საუკეთესო ნიმუშები. იმ დროისათვის, რომელიც სახეში უნდა ჰქონდეს ჩვენს სცენას, ყოველივე რეალური უფრო ადვილად შესაგნებელია, მოსალოდნელია, ვიდრე სიმბოლისტურ-დეკადენტური. ამიტომ ევროპის რეპერტუარიდან ჩვენმა სცენამ უმთავრესად რეალური მიმართულების პიესები უნდა აირჩიოს. დროდადრო უსათუოდ ალაგი უნდა დაეთმოს ისეთ დრამატურგებს, როგორიც არიან მეტერლინკი, ანდრეევი. უამისოდ ჩვენი სცენაც დაშორდება ევროპის ხელოვნებას და ხალხის სახელოვნო შეგნებისა და გემოვნების განვითარებაც შეფერხდება.

1908

ხალხური ანდაზები და გამოცანები

ვინ შექმნა ანდაზა, ვინ მოიგონა არაკი, ვინ გამოთქვა გამოცანა?

თვითონ ხალხმა.

რატომ გვხიბლავს ანდაზა? რაში მდგომარეობს ჯადო მისი მიმზიდველობისა, მშვენიერებისა და საოცრებისა?

ანდაზის ყოველ სიტყვაში საუკუნეებია მოთავსებული. თვითეული ანდაზა ქანდაკებაა, რომელსაც მთელი ერი ქმნიდა საუკუნეთა განმავლობაში.

საუკუნეთა განმავლობაში უნდა დაგროვილიყო მთელი ერის დაკვირვება, გამოცდილება, რომ შემდეგ ზედ აღმოცენებულიყო მკვეთრი, მოსწრებული, მოსხლეტილი ანდაზა, რომელიც ერთ სიტყვაში მოათავსებდა მთელი ერის ნაფიქრალ-ნაგრძნობს.

რაში მდგომარეობს ანდაზის თვისება?

„გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის".

ის გზა, რომელიც ერს გაუვლია საუკუნეთა განმავლობაში, ანდაზამ უნდა დაიტიოს ერთ სტრიქონში.

ის, რაც ერს მოუფიქრებია საუკუნეთა განმავლობაში, ანდაზამ უნდა გამოეხატოს რამდენიმე სიტყვაში სხარტულად.

ანდაზა არ არის ნაყოფი ოცნებისა, განყენებული მსჯელობისა,— ის თვით ცხოვრების ცეცხლშია გამოკვესილი და მასში თავმოყრილია მთელი ერის სიბრძნე, დაკვირვება, გამოცდილება, რწმენა, შეხედულება, გრძნობა და ჭირვარამი.

ანდაზა ისტორიაა მთელი ერისა და საუკეთესო გასაღები მისი სულის სალაროსი.

ერის გონებამახვილობა, მისი ზნე, მისი ბუნება, ხასიათი ანდაზაში მოსჩანს, როგორც სახე — სარკეში.

ამიტომ ანდაზა მარტო ხალასი მარგალიტი კი არ არის მთელი

ერის შემოქმედებისა, არამედ იშვიათი და უტყუარი სარკე ერის ბუნების ამოსაცნობად, მისი სულის დასანახავად.

ყოველი ანდაზა უდიდესი და უმშვენიერესი ძეგლია, რომელიც დაუტოვებია მთელ ერს თავისი ისტორიის გზაზე.

და ეს ძეგლი ფოლადზე უმაგრესია, რადგანაც მას ვერაფერი ავნებს, ვერ მოსპობს და ვერ წაშლის.

ანდაზა უდიდესი საგანძურია ეროვნული შემოქმედებისა, რადგანაც ყოველ ანდაზაში მთელი ერი ლაპარაკობს, მთელი ერი აცხადებს თავის თავს.

ანდაზებს ისეთივე მნიშვნელობა აქვს, როგორც უდიდეს ეროვნულ ნაწარმოებს.

რუსთაველი ძვირფასია ჩვენთვის, როგორც უმაღლესი მწვერვალი ერისა.

ანდაზები ფასდაუდებელი ჩვენთვის, როგორც ერის სიმტკიცე და საფუძველი, ანდაზებში მთელი ერია მოთავსებული, მთელი მისი ისტორიული ცხოვრება, მისი ფიქრი და თავგადასავალი საუკუნეთა გზაზე.

რომ მოისპოს ყოველგვარი ნიშანი ერის არსებობისა და მარტო ანდაზები დარჩენ, ესენი საუცხოოდ გვეტყვიან, თუ როგორი იყო მათი შემქმნელი ერი და მისი სულიერი ავლადიდება.

ანდაზებში მთელი ერია აღდგენილი და წარმოდგენილი, ანდაზებში მთელი ერი სცოცხლობს.

ანდაზები საუკეთესო კავშირია ერის წარსულსა, აწმყოსა და მომავალს შორის.

ანდაზებში ჩვენ ვხედავთ ძველისძველ წინაპრებს და ვებაასებით მათ; ანდაზებში ჩვენა ვსჭვრეტთ მომავალ თაობათ და ვემუსაიფებით მათ.

ანდაზების სიღრმიდან შემოგვყურებენ წარსული თაობანი და გვიზიარებენ თავის გამოცდილებას, თავის დაკვირვებას.

ანდაზების სიღრმიდან ჩვენ გავცქერით მომავალ თაობათ და ვუზიიარებთ მათ ჩვენს ფიქრსა და დაკვირვებას.

ანდაზებში მთელი ერი სცოცხლობს და აზროვნებს; წარსული, აწმყო და მომავალი — ხელიხელ ჩაკიდებული არიან და ერთად ჰმოქმედებენ ანდაზებში, ამიტომაც ანდაზებსა აქვთ უდიდესი აღმზრდელობითი მნიშვნელობა.

ანდაზები საუკეთესო მაჩვენებელია ერის ცხოვრებისა და საუკეთესო საზომი ერის კულტურული სიმაღლისა. ამიტომაც ანდაზებს უდიდესი მნიშვნელობა აქვთ ცხოვრების შესწავლისა და და-

ფასებისათვის. თუ თქვენ იცნობთ ანდაზებს, თქვენ უკვე იცით, როგორია თვითონ ერი.

ჩვენი ანდაზები ჩვენი ეროვნული სიამაყეა. მათში ჩამოყალიბებულია ჩვენი ერის სიბრძნე და გამოცდილება.

ჩვენი ანდაზები უდიდესი ეროვნული საგანძურია, რომელიც ახასიათებს ქართველი ერის ნიჭს, დაკვირვებას, გონებამახვილობას და დიდ ისტორიულსა და კულტურულ წარსულს.

მხოლოდ კულტურის საღალ საფეხურზე მდგარ ერს შეუძლია ასეთი ანდაზების ჩამოსხმა და გამოკვეთა და ყოველი ადამიანი, რომელიც ასეთ მარგალიტებსა ჰკრებს, რომ ერთად მოუყაროს თავი, დიდ ეროვნულ საქმეს ემსახურება.

ჩვენს ერში, ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში გაბნეულია მრავალი ანდაზა, როგორც ზღვის ფსკერში მარგალიტი, და მათი პოვნა და შეგროვება მეტად საჭიროა.

სოსიკო მერკვილაძეს დიდი საქმე უკისრია და მრავალი ანდაზა ამოუკრებია ზეპირსიტყვაობის საუნჯიდან. მართალია, ჩვენი ანდაზები გაცილებით მეტია, მაგრამ ერთი ადამიანი ვერ შესძლებს მათ შეკრებას. სოსიკო მერკვილაძის მაგალითს სხვები წაჰბაძავენ და ამრიგად შეიკვრება მთელი ჩვენი ანდაზების საუცხოო თაიგულები.

გამოცანებში გამოკვეთილია ხალხის სიმკვირცხლე, გონებამახვილობა და დაკვირვება.

მოზარდი თაობის გონებრივი ვარჯიშობისათვის გამოცანები საუცხოო მასალას წარმოადგენენ და სოსიკო მერკვილაძეს ამ მხრივაც დიდი შრომა გაუწევია. იმის კრებულში მრავალია ისეთი გამოცანა, რომელსაც მკითხველი არსად შეხვდებოდა. სოსიკო მერკვილაძის შრომა შეადგენს ნაწილს იმ ძვირფასი საუნჯისას, რომელსაც ხალხური შემოქმედება ეწოდება და სასურველია, რომ ის გავრცელდეს მკითხველთა წრეებში.

1910

მზის მგოსანი

თანამედროვე კულტურული ცხოვრების ერთ დიდ ნაკადს ის მოვლენა შეადგენს, რომ ადამიანი ბუნებას დაშორდა, მოსწყდა.

ვიდრე ადამიანი შეერთებული იყო ბუნებასთან, როგორც მისი კანონიერი შვილი, ის მთლიანი პიროვნება იყო. მთლიანი პიროვნება კი თვით უბედურებაშიაც ბედნიერია, რადგანაც ის ქედს არავის და არაფრის წინაშე არ იხრის.

ვიდრე ადამიანი მჭიდრო კავშირით იყო გადაბმული ბუნებასთან, მარტოობას, ობლობას ვერა ჰგრძნობდა და ამიტომ სულით ძლიერი იყო. ყოყმანი, უიმედობა, სასოწარკვეთილება მისთვის არ არსებობდა.

როდესაც ადამიანი ბუნებას დაშორდა, მთლიანობა მისი არსებისა დაირღვა, ის დაუძლურდა და გადიქცა მონად საკუთარის გრძნობებისა ან სხვისი ბრძანებისა.

ბუნებისაგან განდგომილმა ადამიანმა პირველად იგრძნო მარტოობა, ობლობა და მისი სული დაძაბუნდა, დაუძლურდა; მისს გულში სევდამ, იქვმა, ყოყმანმა დაისადგურა.

ბუნებასთან დაკავშირებული ადამიანი მტკიცეა, ვით კლდე; შეუპოვარი, გამბედავი, ბატონი თვისი სიტყვისა.

ბუნებას მოწყვეტილი ადამიანი კი უძლურია, გაუბედავი, სიტყვისა და ფიცის გამტეხი.

ჩვენს განათლებულ დროში ძლიერნი ამა ქვეყნისანი თავის სიტყვას ძვირად ასრულებენ.

უძველეს დროში კი, როცა ადამიანი ბუნებასთან მჭიდროდ იყო დაკავშირებული, სიტყვის გატეხა უდიდესი სირცხვილი იყო.

რასაც ძველად სიცრუეს უწოდებდნენ და ერიდებოდნენ, დღეს ის პოლიტიკად მონათლეს და თავი მოაქვთ.

უწინდელს დროში პირობის სიგელზე მხოლოდ ჯვარს დას-

ვამდნენ ან სხვა რაიმე ნიშანს, და არასოდეს უარს არ იტყოდნენ. დღევანდელი ადამიანი კი საკუთარ ხელმოწერასაც უარჰყოფს.

ბუნებას მოწყვეტილმა ადამიანმა მთლიანობა დაჰკარგა და გაირყვნა.

ბუნების ღვიძლი შვილის წარმომადგენელი ლიტერატურაში ორესტია.

ბუნებას დაშორებული და დაობლებული ადამიანის წარმომადგენელი კი ჰამლეტი.

შეადარეთ ორესტი და ჰამლეტი ერთმანეთს და დაინახავთ, რა დიდი მნიშვნელობა აქვს ადამიანისათვის ბუნებასთან მჭიდრო კავშირს.

ორესტისათვის სევდა, ჭმუნვა, იჭვი, ყოყმანი არ არსებობს.

რატომ?

იმიტომ, რომ ის მთლიანი პიროვნებაა, სულით მტკიცეა. თუ კი რასმე გადასწყვეტს, თუ კი რასმე ამოიღებს გულიდან, კიდეც შეასრულებს მას.

ჰამლეტის გულს კი მუდამ სევდა და ჭმუნვა სწოვს, ამის ყოველ ნაბიჯს, ყოველ გარდაწყვეტილებას ყოყმანი, იჭვი, გაუბედაობა ღრღნის.

ორესტი საქმის, მოქმედების ადამიანია, რადგანაც ის ბუნების შვილია და ბუნება კი, მუდამ მოძრავი, მუდამ მომქმედი, ყველას ამოძრავებს და ამოქმედებს.

ჰამლეტი კი, როგორც ბუნებას სრულებით დაშორებული, ფიქრის ადამიანია, — საქმე მას არ ეხერხება.

ბუნებასთან კავშირი ადამიანს სიმტკიცეს აძლევს, სულს უძლიერებს, აბედნიერებს და მომქმედ არსებად ჰქმნის.

ბუნებასთან კავშირი ზნეობრივად აფაქიზებს ადამიანს, რადგანაც ადამიანი ჰგრძნობს, რომ ის იმგვარივე შვილია ბუნებისა, როგორც ხე, მთის ჩანჩქერი და სხვ.

ბუნებასთან კავშირი სულიერად ამაღლებს ადამიანს, რადგანაც თვით ბუნება მდიდარი, დიადი, მრავალ საიდუმლოებათა მატარებელი და მიუწვდომელია.

ბუნებასთან კავშირში ადამიანი თვით უკვდავებას ეზიარება, რადგანც ბუნება უკვდავია; და ამით ადამიანი ჰპოვებს უმწვერვალეს ნეტარებასა და ბედნიერებას.

ბუნებასთან კავშირი ამშვენიერებს ადამიანს, ზეკაცად ჰხდის მას, რადგანაც თვით ბუნება უმშვენიერესია.

ჩვენს სიტყვაკაზმულ მწერლობაში ბუნებას დიდი ალაგი უკავია. გასაკვირალი აქ არაფერია. საქართველოს საუცხოო, მომხიბლავი

და წარმტაცი ბუნება, ყველაზე უფრო პოეტს ჰხიბლავს და ათრობს.

მაგრამ ბუნების ნამდვილი მგოსანი აბაშელია.

ჩვენი მწერლები საქართველოს ბუნებას გვისურათებენ, მას შესტრფიან.

აბაშელმა კი ყოველგვარი საზღვარი გადალახა. მან მთელი სამყარო, მთელი კოსმოსი გაახვია თავის მომხიბლავ პოეზიაში, შეიყვარა ის მთელის თავისის არსებით, მოსწყდა დედამიწას, გადიქცა ბუნების მჯნურად, ცის სივრცეში დანავარდობს და მზის სხივებისაგან საოცნებო სამოსელს უქსოვს თავის შეუდარებელ სატრფოს.

მაშინ, როდესაც სხვები ბუნების სხვადასხვა სურათებს აგვიწერენ, აბაშელმა დაგვანახა ცოცხალი, მოძრავი, მომქმედი, უკვდავი, წარმტაცი ბუნება; მან გაგვაცნო მზის სიცილი, მზის სიზმარი, ცის ზღაპარი, მსოფლიოს მუსიკა.

აბაშელი, როგორც მგოსანი ბუნებისა, მეტად თავისებური პოეტია. ის არავის არა ჰგავს, არავის არ გვაგონებს; ის არავის არა ჰბაძავს და ვერც ვერავინ წაბაძავს მას. მას წინამორბედი არა ჰყოლია. ის თვითონა ჰქმნის. მისმა პოეზიამ ერთბაშად ამოჰხეთქა ჩვენს მწერლობაში.

თავისთავად იბადება შემდეგი საკითხი: რად იზიდავს აბაშელს ცა, რად ეტრფის ის სამყაროს? „სულის ლტოლვა რად ესწრაფვის მაღლა ცისაკენ"?

> მიწის შვილი ცისკენ ვლიდეს
> საიდუმლოს სახილველად, —

წერს აბაშელი ერთ ლექსში. მას ცის საიდუმლოს ხილვა უნდა, ცის საიდუმლოს ამოკითხვა სწყურია.

განა დედამიწაზე კი ცოტა საიდუმლოა, რომ ცაში არ დაეწყო ძებნა?

დედამიწასაც ბევრი აქვს საიდუმლო, მაგრამ აბაშელს ეს საიმისოდ არ აინტერესებს.

რატომ? რისთვის?

იმიტომ, რომ აბაშელი მარადისობას, უკვდავებას ეძებს და ეტრფის; ის არის პოეტი სამარადისოსი, უკვდავისა. დედამიწაზე კი ყოველივე დროებითი და წარმავალია, ყოველივე მოკვდავია.

> მარადისობის ვიგრძენ ძალა და უკვდავება, —

გვიცხადებს პოეტი ერთ ლექსში.

რადგანაც ყველაზე უფრო უკვდავი, ყველაზე უფრო სამარადისო,

ყველაზე დიდებული და მშვენიერი ბუნებაში მზე არის, აბაშელის განსაკუთრებით სატრფიალოსაც მზე წარმოადგენს:

> მზეს არ ახსოვს შობის წამი, მზეს სიკვდილი არა სჯერა,
> მან სიცოცხლე უკვდავების სიმთა ეღერით ააძგერა;
> დროს წაართვა ძლევის კვერთხი და დათრგუნა მით სიკვდილი... .

სწორედ დიდი ნიჭია საჭირო, რომ ასე საუცხოოდ გამოჰხატო მარადისობა მზისა, რომელიც დროს ართმევს ძლევის კვერთხს.

აბაშელი მომხიბლავ ფორმაში გამოსახავს ხოლმე ისეთ მცნებას, რომელიც პირველის აწონ-დაწონვით პოეზიას სრულებით არ შეეფერება. აიღეთ თუნდაც ეს მაგალითი — მარადისობა მზისა. თითქოს საპოეზიო აქ არაფერია. მიუხედავად ამისა რა საუცხოო პოეზიაა:

> მზეს არ ახსოვს შობის წამი, მზეს სიკვდილი არა სჯერა!

აბაშელი ისე შეჰხარის მზეს, როგორც შეყვარებული თავის სატრფოს.

აბაშელი შეყვარებულია, ბესი საყვარელი, მისი სატრფო თეთრად მოციანარე მზეა, რომელმაც „დროს წაართვა ძლევის კვერთხი და დათრგუნა მით სიკვდილი“.

აბაშელი შესტრფის მზის სიცილს, მას ცის მკერდზე მუდამ მზის ხილვა უნდა. ის სულის ლტოლვით დაეძებს თავის მშობელ მზეს:

> მზევ, სხივმნათო, შენსკენ მოვეჩქარები...
>
> შენს სადიდებლად ვაქებ დილას სულით შვებული!..

აბაშელი წარმართია, რომელიც თავის გრძნობას მზისადმი ლოცვაში კი არ გამოხატავს, არამედ ნაზ, ტკბილ აღფრთოვანებულ ჰიმნში. მთელი პოეზია აბაშელისა გაპიროვნებაა ბუნებისა. იშვიათია პოეზიაში ბუნების მოვლენათა ისეთი აღწერა, როგორსაც აბაშელის პოეზიაში ჰნახავთ. ძნელი, შეუძლებელი ამ მხრივ მისთვის არ არსებობს.

გადაიკითხეთ მისი „დილა“, „მყუდროება“, „ღამე“, „თეთრი სხივი“, — გადიკითხეთ რამდენჯერმე და მაშინ დარწმუნდებით, თუ რა არის პოეზიით დატკბობა.

სფერო აბაშელის პოეზიისა უსაზღვრო და დაუსრულებელი სივრცეა ცისა. უკვდავი, სამარადისო, დიადი, — აი რას ეტრფის, აი რას ელტვის აბაშელი. ის სოფლის დრტვინვას განშორებულია.

მაგრამ ის ადამიანია და ამიტომ „მიწის სევდა“ დროდადრო მა-

საც იზიდავს თავისაკენ. აბაშელი აღფრთოვანებული მგოსანია მთვარის ჯადოთი სავსე სხივისა და ბზის აღმგზნები, თეთრი სიცილისა, მაგრამ კვნესა ტანჯულთა მასაც უკარგავს მოსვენებას და გულს სევდით უვსებს. მაშინ მისი პოეზია არის შურისძიებით, მხილებითა და გესლით აღსავსე. ის ცის სივრცეს ამ დროს თავს ანებებს და ისევ დედამიწას უბრუნდება:

მაგრამ ბოლოს ცის სივრცეში ვერ გავუძელ მარტოობას,
სულს მოსწყინდა ცაში ფრენა, ისევ ავყევ მიწის გრძნობას,
მომაგონდა ცრემლის გუბე, მომაგონდა მონის ხუნდი
და ცხოვრებით გულნატკენი ისევ მიწას დავუბრუნდი.

პოეტს აღარ შეუძლია სიმღერა, რადგანაც ირგვლივ სჩქეფს სისხლნარევი ცრემლთა ხაკადული. მას სურს შვების ცრემლად დაეფრქვიოს მიძინებულ მაშვრალთ კერას.

მაგრამ იქაც, სადაც აბაშელი სოციალურ კითხვებს გაკვრით ეხება, ის მუდამ თავისებურია. სოციალური კითხვების გადაწყვეტა პოეტს იმდენად აინტერესებს, რამდენადაც ეს ხელს შეუწყობს ცისა და დედამიწის შერიგებას, რათა „მიწის შვილი ცისკენ ვლიდეს საიდუმლოს სახილველად“.

წყარო უკვდავებისა, წყარო მშვენიერებისა, წყარო ნეტარებისა და ბედნიერებისა ცა არის. მოაწყეთ ცხოვრება ისე, რომ ამ წყაროთი ყველა იკლავდეს წყურვილს, — აი აბაშელის სოციალური მოძღვრება.

საყურადღებოა აბაშელის სტილი, მისი ენა, რომელიც ნამდვილი მუსიკაა. აიღეთ, მაგალითად, ლექსი „განთიადის მოლოდინში“:

ნისლის ნაკვთი ნარნარ ნიავს
ჩამქრალ ჩრდილად ჩაკვდომოდა.

ჩვენს ცხოვრებას ძლიერმა ქარიშხალმა გადაუარა თავს; მიუხედავად ამისა ჩვენი დღევანდელი პოეზია შაბლონს ვერ გასცილდა.

ზამთარი დაგვიდგა, ირგვლივ ტანჯულთა კვნესა ისმის. გამხნევდით, გულს ნუ გავიტეხთ, ზამთარს ისევ გაზაფხული მოჰყვებაო, — აი რა გაისმის სხვადასხვა კილოზე.

აბაშელის პოეზია სასიამოვნო და საიმედო გამონაკლისს შეადგენს.

პოეტმა მეტად მოხდენილად, მეტად კარგად და ლამაზად დაიწყო და თუ ამგვარადვე განაგრძო, ფრიად საპატიო ალაგს დაიჭერს ჩვენს მწერლობაში.

1913

ალ. მირიანაშვილი

ოგავ-არაკნი

შეიძლება ადამიანი დიდი ხელოვანი იყოს, მაგრამ ბავშვებისათვის ხეირიანი ვერა დაწეროს-რა..

საბავშვო მწერალი კარგად უნდა იცნობდეს ბავშვის სულს, იმის მისწრაფებას, იმის გემოვნებას, რომ ერთის მხრივ, ისეთი რამ მიაწოდოს, რისი გაგებაც ბავშვს არ გაუძნელდება, მეორეს მხრივ ისეთი, რისი წაკითხვაც ბავშვს არ დაეზარება.

ხშირად ნახავთ კარგ საბავშვო მოთხრობას, კარგის შინაარსით. მისცემთ ბავშვს და რამოდენიმე სტრიქონის წაკითხვის შემდეგვე ატყობთ, რომ ბავშვი უგულოდ, უხალისოდ ჰკითხულობს.

ყოველივე, რაც ბავშვებისათვის არის დაწერილი, ისე უნდა იწერებოდეს, რომ ბავშვი წაახალისოს, კითხვა შეაყვაროს.

საბავშვო მწერალი უნდა იყოს ამავე დროს ჭკუის მასწავლებელი და აღმზრდელი: მან გონება უნდა გაუხსნას ბავშვს, კარგისა და ავის გარჩევა შეასწავლოს, გაუძლიეროს მისწრაფება კარგისაკენ და ავი შეაძულოს, — ერთის სიტყვით, საბავშვო მწერალი გონებრივად და ზნეობრივად უნდა წრთვნიდეს ბავშვს, გონებას უნდა უვითარებდეს და ზნეობას უსპეტაკებდეს. პირველი შეხედვით ეს არც იმდენად ძნელი საქმეა. ყოველმა ჩვენგანმა ბავშვზე მეტი იცის, მეტი გამოცდილება აქვს, მაშასადამე ყველას შეუძლია ბავშვის გონების განვითარება და რიგიანად დარიგება.

საბავშვო მწერლობისათვის კი სწორედ აქ არის ბეწვის ხიდი გადებული და მასზედ გადასვლა მეტად ძნელია.

მოთხრობა იქნება თუ ლექსი, არასოდეს არ უნდა წარმოადგენდეს დარიგებას. ზნეობრივი აზრი შიგ უნდა იყოს ჩაქსოვილი, ის ბუნებრივად, ძალდაუტანებლად უნდა გამომდინარეობდეს შინაარსიდან, — აი მხოლოდ მაშინა აქვს მას აღმზრდელობითი მნიშვნელობა.

საბავშვო მწერალმა უნდა განუვითაროს ბავშვს გრძნობა და შეგნება მშვენიერებისა, უნდა შეაყვაროს ბავშვს მშვენიერება ანუ, როგორც ამ შემთხვევაში ამბობენ, ესთეტიურად უნდა აღზარდოს ბავშვი. „გველსა ხვრელით გამოიყვანს ენა ტკბილად მოუბარი“, — აი მთელი მნიშვნელობა ხელოვნებისა; ხელოვნება ანუ მშვენიერება ბავშვში ავითარებს ყოველგვარ კეთილშობილურ გრძნობას, ჰბადებს მაღალ მისწრაფებას, ალმობიერებს, ათვინიერებს ბავშვს, ასპეტაკებს იმის გულს და ავითარებს გონებას.

საბავშვო მწერალმა უნდა შეაყვაროს ბავშვს ბუნება. ბუნება დაუშრეტელი წყაროა მშვენიერებისა, ის თვით არის მშვენიერება და ამიტომ ბავშვისათვის მეტად დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს.

საბავშვო მწერალმა უნდა შეასწავლოს და შეაყვაროს ბავშვს სამშობლო ენა. ეს უკანასკნელი პირობა შესაძლებელია არსად არ იყოს იმდენად დიდმნიშვნელოვანი, რანდენადაც ჩვენში.

ჩვენი ბავშვებისათვის ქართული ენის შესასწავლად უმთავრესი წყარო საყმაწვილო ლიტერატურაა. საბავშვო წიგნების გამოცემას ჩვენში დღემდე არავინ აქცევს ჯეროვან ყურადღებას. ამგვარი წიგნები ძალიან ცოტა მოგვეპოვება. წიგნით დასაჩუქრება რომ გინდოდეთ ბავშვისა, ქართულს ენაზე რიგიანად გამოცემულ საბავშვო წიგნს ვერა ნახავთ, — მხოლოდ წიგნაკებია.

საბავშვო წიგნისათვის გარეგნობასაც ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. როგორ შეაყვარებს ბავშვს ხელოვნებას ან კითხვას ისეთი წიგნი, რომელიც ვერც ყდით მიიზიდავს ბავშვს, ვერც ქაღალდით, ვერც შრიფტით, ვერც სურათებით? წიგნი თვითონ, თავისთავად, შინაარსს გარდა, უნდა იყოს იმდენად კოხტა და ლამაზი, რომ მისი ხელში აღება ბავშვს ეხალისებოდეს. ბავშვი უმალ გარეგნობას აქცევს ყურადღებას და თუ გარეგნობამ ვერ დაკმაყოფილა, შინაარსსაც აღარ უკვირდება და უგულოდ ეკიდება.

რა ბავშვი გინდათ, — წიგნის გარეგნობას ყოველი ჩვენგანისთვისაც დიდი მნიშვნელობა აქვს. ხილზეც იტყვიან ხოლმე: იმისთანა ლამაზია, ძალათი შეგაჭმევს თავსო. აი სწორედ იმისთანა ლამაზი უნდა იყოს საბავშვო წიგნი, რომ ბავშვს ძალათი წააკითხოს თავი.

აბა სად არის ჩვენში ამისთანა საბავშვო წიგნი?

დიდი მადლობის ღირსია „ნაკადულის“ რედაქცია, რომ ალ. შირიანაშვილის იგავ-არაკნი უძღვნა თავის პატარა მკითხველებს საჩუქრად. პატარა საყვედურის ღირსია, რომ ამისთანა მშვენიერი წიგნი მშვენიერსავე ყდაში არ არის.

წიგნის ზომა და შრიფტი კარგია, სურათები სამაგალითო, ხოლო საბავშვო წიგნი და ისიც საჩუქარი უსათუოდ ყდიანი უნდა იყოს.

როდესაც გადიკითხავთ იგავ-არაკებს, გაგაოცებთ შინაარსის სიმდიდრე.

ფანტაზია ა. მირიანაშვილისა დაუშრეტელია. ავტორმა ერთხელ შემომჩივლა: სიზმრებს ხშირად ვხედავ და ძილში მგლები და დათვები მოსვენებას არ მაძლევენო. მაშინ არ ვიცოდი, თუ ის იყო ავტორი იგავ-არაკებისა. ახლა კი მესმის, რატომ არ აძლევენ გარეული ცხოველები მოსვენებას ალ. მირიანაშვილს: სამაგიეროს უხდიან, რადგანაც ფხიზლად თვითონ აღარ აძლევს მოსვენებას მათ და ყოველი მათგანი გამოუყენებია თავისი საუცხოო იგავ-არაკებისათვის.

შინაარსის მხრივ წიგნი ძალიან საყურადღებოა და არა თუ პატარა, დიდიც გულდასმით გადაიკითხავს მას. ზოგი იგავ-არაკის მიზანია ბავშვის გონებრივად განვითარება; სხვები აჩვევენ ბავშვს ავისა და კარგის გარჩევას და მას ზნეობრივად წვრთნიან. არავითარი დარიგება ან ზნეობრივი ქადაგება იგავ-არაკებში არ არის. ზნეობრივი დასკვნა ბუნებრივად გამომდინარეობს შინაარსის აღწერილობიდან.

იგავ-არაკები არა თუ შინაარსით, აღწერილობითაც საუცხოოდ შეეფერება ბავშვის ბუნებასა და მოთხოვნილებას.

პირველის წაკითხვით ზოგიერთი მათგანი იმდენად უმნიშვნელო გეჩვენებათ, რომ იფიქრებთ, რა დასაბეჭდავი იყოო. მაგრამ როდესაც ჩაუკვირდებით, დარწმუნდებით, რომ პატარა დიდის სიამოვნებით წაიკითხავს მას. ბავშვს, რომელიც ჯერ კითხვაში საკმაოდ არ გავარჯიშებულა, გრძელი არაკის წაკითხვა ეზარება, რადგანაც შინაარსს ვერ ითვისებს. მოკლეს კი ის ხალისით კითხულობს, რადგან იმისი გონება და მეხსიერება მოკლე არაკის შინაარსს უფრო სძლევს.

იგავ-არაკები საუცხოო ქართულის ენით არის დაწერილი, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს ყოველი საყმაწვილო წიგნისათვის.

მდიდარი შინაარსით, მდიდარი აზრით, მდიდარი ენით — აი ალ. მირიანაშვილის იგავ-არაკნი.

ჩვენი ბავშვები მადლიერი იქნებიან დღეიდან მათთვის საყვარელი ავტორისა, რომელმაც ასეთი წიგნი უძღვნა მათ საჩუქრად.

1913

პატარა წერილი

მოექეცით მაღალი მთის მწვერვალის თავზე, დაივიწყეთ ადამიანთა ცხოვრება, შურით, მტრობით, გესლით სავსე; თვალი გადაავლეთ ქვეყანასა და ბუნებას.

თუ გრძნობა მშვენიერებისა სრულებით არ წაუშლია თქვენში ყოველდღიურ შხამს, პოეტთან ერთად წამოიძახებთ:

ამაზე ტურფა და კარგი
მე სხვა აღარა მგონია!

ქვეყანა დიდია და ლამაზი, ბუნება მრავალფეროვანი და ტურფა, სამყარო დაუსრულებელი და დიადი.

ჩვენი ცხოვრება ხანმოკლეა, ვითა სიზმარი; მიუხედავად ამისა ის მშვენიერია; ჩვენი სიცოცხლე ელვაა, ელვასავით მალე ჰქრება; მაგრამ ის ელვასავით ლამაზია.

თანამედროვე ადამიანი დასნეულდა, მოიწამლა, სიცოცხლე საშინელ მაჯლაჯუნად გადაქცევია; სილამაზე ცხოვრებისა სრულებით დაუმახინჯებია, დადის დაღვრემილი; კი არ სუნთქავს, ხვნეშის; აღარ იღიმება, — პირქუშია.

ბერძნებს, რომაელებს, ფრანგებს (რევოლუციის ხანაში) იმდენად უყვარდათ სიცოცხლე, რომ სიკვდილის დროსაც კი იღიმებოდნენ და ოხუნჯობდნენ.

ჩვენ კი სიცოცხლეშიც ვეღარ ვიღიმებით და ვეღარ ვოხუნჯობთ; ჩვენი სული და გული მოშხამულია და ყველგან შხამს ვავრცელებთ.

სიბრაზემ, სიძულვილმა და ბოროტებამ სრულებით განდევნა ჩვენი გულიდან სიყვარული; სხვისი შეურაცხყოფა, სხვისი დამცირება, გალანძღვა —აი ჩვენი ხელობა.

ცხოვრება ბრძოლაა. სპარტანელები ბრძოლის წინ გარეგნობას ილამაზებდნენ, თმას ივარცხნიდნენ კოხტად.

ჩვენ კი ლანძღვა და გინება ბრძოლად გამოვიტანეთ და ჩვეხი სიგლახე გმირობა გვგონია.

ასეთ პირობებში უდიდესი მნიშვნელობა აქვს ხელოვნებას — ის ჰფანტავს სევდის ბურუსს, ადამიანის დამწუხრებულს გულს მალამოდ ეევლინება და სულს ახალისებს; უიმედობასა და სასოწარკვეთილებას სპობს და იმედს, აღფრთოვანებას, გატაცებას, სიყვარულს, რწმენას გზას უკაფავს.

ერთიმეორის ლანძღვა-გინების პუბლიცისტიკამ ჩვენში ხელოვნება შთანთქა, ხალხს კი ხელოვნება, მშვენიერება მოსწყურდა.

არა გჯერათ?

აბა გაითვალისწინეთ „სინათლის“ წარმოდგენები.

მოხდა ის, რაც არასოდეს მომხდარა ქართულ სცენაზე: ერთი და იგივე პიესა თოთხმეტჯერ დადგეს და კიდევ ამდენჯერ რომ დადგან, მაინც გატენილი იქნება ხალხით.

რითი აიხსნება ასეთი დაუჯერებელი ამბავი?

მარტო პიესის ღირსებით?

სრულიადაც არა.

ხალხს მოსწყურდა ეროვნულ ფორმებში ჩამოსხმული მშვენიერება და ხარბად დაეწაფა „სინათლეს“. ამ წყურვილს დაკმაყოფილება უნდა. დღევანდელი ჩვენი ჟურნალ-გაზეთობა კი მას ვერ აკმაყოფილებს. საჭიროა ხელოვნებას თავისი საპატიო ალაგი ჰქონდეს დათმობილი, და ეს კი დღეს არ არის.

პუბლიცისტიკა საჭიროა, ფრიად საჭირო.

არა ნაკლებ საჭიროა ხელოვნებაც.

ამისათვის კი აუცილებელია ორგანო, რომელიც მარტო ხელოვნებას ემსახურებოდეს.

თუ „თეატრი და ცხოვრება“ ამ გზას დაადგება, მე პირველი ვუსურვებ მას გამარჯვებასა და დღეგრძელობას.

1914

ქართველი ქალის დანიშნულება

თანამედროვე წყობილებაში საზოგადოებას ოჯახი შეადგენს. თუ ოჯახი ზნეობრივ სახეს მოკლებულია, თვით საზოგადოება საშიშ მდგომარეობას განიცდის, რაში უნდა იხატებოდეს ოჯახის ზნეობრივი სახე?

ამისათვის საჭიროა უმალ გავიგოთ, რას წარმოადგენს თვით დღევანდელი ოჯახი.

დღევანდელი ოჯახია კავშირი ორ სქესს შორის. ამ კავშირის მიზანია საერთო შვილების აღზრდა.

ოჯახი მხოლოდ მაშინ იქნება ზნეობრივ საფუძველზე დამყარებული, როცა ეს კავშირი ზნეობრივია და როცა ოჯახი თავის მოვალეობას პირნათლად ასრულებს.

საოჯახო კავშირი დღევანდელ ცხოვრებაში ქორწინების სახით სწარმოებს: ეს კავშირი რომ ზნეობრივი იყოს, საჭიროა, რომ ის აგებული იყოს სიყვარულზე. თუ ჩავუკვირდებით დღევანდელ ცხოვრებას, დავინახავთ, რომ ქორწინებას უმეტეს შემთხვევაში სიყვარული კი არ უდევს საჩრდილად, არამედ ანგარიში.

დღეს კერძო საკუთრების ხანაა. უმთავრესი კერძო საკუთრება ფულია, მას ეძებს ყველა. დღეს ფულმა ყოველივე დაიპყრო და დაიმორჩილა: მწერლობა, ხელოვნება, მეცნიერება, სარწმუნოება. ქორწინებასაც ფული დაეპატრონა. დღეს ფულით თხოვდებიან, ფულისათვის ირთავენ ცოლს.

ამ გარემოებამ წარმოათქმევინა ჩვენს აკაკის შემდეგი სიტყვები:

ცოლს რომ ირთავთ, რას დაეძებთ:
მეგობარს და შვილის მშობელს?
თუ ფულსა და პროტექციას,
სინიდისის დამამხობელს?

ღირსება ქალისა დღეს ფულით იზომება. ამგვარ პირობებში ქორწინება უზნეოა, რადგანაც ის აშენებულია ანგარებაზე.

არის მეორე მხარეც: ყოველი კავშირი მაშინ არის ზნეობრივი. როცა მოკავშირენი ერთნაირ პირობებში იმყოფებიან, ერთნაირი უფლებით არიან აღჭურვილნი.

დღეს მამაკაცს ბევრგვარი უფლება აქვს. დედაკაცი კი ყველა ამას მოკლებულია. დედაკაცთან შედარებით მამაკაცს ფართო ასპარეზი აქვს ცხოვრებაში; დედაკაცის ასპარეზი ვიწროა, იმის ერთადერთ მთავარ სარბიელს ჯერ კიდევ ოჯახი შეადგენს; ოჯახს გარეშე დარჩენა მისთვის დიდი უბედურებაა. ამ პირობებში მყოფი ქალი ძალაუნებურად ცდილობს გათხოვდეს და ამგვარი მდგომარეობა აიძულებს მას, უმეტეს შემთხვევაში სიყვარულით კი არ გათხოვდეს, არამედ ანგარიშით.

ჩვენ შეგვეძლო დიდხანს შევჩერებულიყავით ყველა ამ მხარეზე, რომლებიც დღევანდელს ქორწინებას ზნეობრივ სახეს უკარგავს, მაგრამ ნათქვამიდან ცხადია შემდეგი:

სანამ ქალი უფლებრივად არ გაუსწორდება მამაკაცს, სანამ საზოგადოებრივი ცხოვრება აგებული იქნება კერძო საკუთრების პრინციპზე, მანამდე შეუძლებელია ქორწინებამ სრული ზნეობრივი სახე მოიპოვოს.

მივმართოთ ახლა ოჯახის მოვალეობას. გრიბოედოვის ფამუსოვმაც კარგად იცოდა, რომ შვილების საყოლოდ დიდი ჭკუა არ არის საჭირო. თავი და თავი შვილების აღზრდაა.

შვილების აღზრდაში ერთნაირად მოვალენი არიან ქმარიც და ცოლიც, მაგრამ რადგანაც დღევანდელ პირობებში მამაკაცი უმთავრესად ოჯახის გარეშე ტრიალებს ოჯახისავე შესანახად, დედაკაცი კი შიგ ოჯახშია, ამიტომ შვილების აღზრდის საქმესთან უფრო ქალია ახლოს, ვიდრე მამაკაცი. საზოგადო მოსაზრებებიდან გადავიდეთ ჩვენს ცხოვრებაზე და ჩავუკვირდეთ ქართულ ოჯახს, ქართველ დედას.

რომ მივმართოთ ჩვენს საუკეთესო პოეტებს, დავრწმუნდებით, რომ ძველ დედებს ყველა თაყვანისცემით და აღტაცება-მოწიწებით იხსენიებს:

ჰოი, დედანო, მარად ნეტარნო,
კურთხევა თქვენდა, ტკბილ სახსოვარნო!
რა იქნებოდა, რომ ჩვენთა დედათ
სულიცა თქვენი გაგოჰყოლოდათ!

ვინღა ჰყავს გულის შემატკივარი
მამულს ასული აწღა თქვენგვარი, —

ჰგოდებს ნიკო ბარათაშვილი.

ქართლ ის დედაო, ძუძუ ქართველისა
უწინ მამულსა უზრდიდა შვილსა, —

უგალობს ილია და ამასვე გვეუბნება აკაკი:

ჰეი, ჰეი, ვეღარ ვხედავთ
დღეს ძველებურს ქართველ დედებს.
მათ მაგიერ მომავალზე
აღარავინ გვაიმედებს.

ძველი დედების ხსენებას აკაკი ქება-დიდებას უძღვნის:

დიდება იმათ დედობას!
დიდება იმათ სახელსა!
იმათ სხივებზე დღეს ჩვენში
ქალი თვალს ვეღარ ახელსა!

როდესაც იგივე პოეტები უწინდელს დედას დღევანდელს ადარებენ, გული სევდით ეესებათ:

ჯანი გავარდეს აწ შვილსაც, მამულს,
ოღონდ ვაამოთ ჩვენს საკუთარ გულს,
რის ქართველობა, რა ქართველობა!
ვითომ რას გვავნებს უცხო ტომობა? —

სევდით სავსე კილოთი მოსძახის ნიკო ბარათაშვილი.

მომწონს კალინა, მალინა,
მძულს ვარდები და იაო.
სამშობლო რასა მიქვია,
მეწყერსაც წაუღიაო, —

აი როგორ ახასიათებს დიდებული აკაკი თანამედროვე ქალს.

რაში გამოიხატება, ამ პოეტების აზრით, ქართველი დედის მოვალეობა? შვილების აღზრდაში ეროვნულ ნიადაგზე.

ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოობადი:
ჩვენ უნდა მივსცეთ მომავალი ხალხს.
აქ არის, დედავ, შენი მაღალი
დანიშნულება და საღმრთო ვალი, —

ეუბნება ილია თანამედროვე დედას.

აკაკის ქართველი დედა ამბობს:

მამულისთვის მიშობია,
მისი ჭირის სანაცვალოთ.

ძველი ქართველი დედა ამ მოვალეობას პირნათლად ასრულებდა, თანამედროვე კი არა.

შესაძლებელია, ძველ ქართველ დედას ბევრი ნაკლი ახლდა, მაგრამ მას ჰქონდა ერთი უტყუარი და დიდი ღირსება: ესმოდა თავისი მოვალეობა მამულის წინაშე. ის ოჯახში იყო კარჩაკეტილი, კე-

რიასთან ატარებდა თავის სიცოცხლეს, ხოლო შვილს მამულისათვის ზრდიდა.

თანამედროვე ქართველმა ქალმა ბევრში უკან ჩამოიტოვა ძველი ქართველი დედა, მაგრამ ერთში კი ჩამორჩა: ის გადაგვარდა, მას აღარ ესმის თავისი მოვალეობა სამშობლოს წინაშე. ყოველდღიურობამ, პირადმა ცხოვრებამ შთანთქა ის და დაუკარგა იდეალი. სიმები, რომლებითაც ძველი დედის გული შეერთებული იყო თავის ხალხთან, დღევანდელ დედას თითქმის სრულებით დაუწყდა და მშობელი ერის კვნესა და ვარამი იმის გულს აღარა სწვდება. გადაგვარების სენი განსაკუთრებით ინტელიგენციას და მაღალი წრის ქალებს მოედო.

რაში ეტყობა დღევანდელ ინტელიგენტ ქალს ქართველობა?

ერთი უმთავრესი პირობა ქართველობისა —ქართული ენაც კი აღარ შერჩენია.

აი როგორ ახასიათებს ამ წრის ქალებს ჩვენი აკაკი:

> დღეს ერთი ქალი გამაცნეს
> სახელოვანი, ქებული:
> დედ-მამა ყავდა ქართველი,
> ქართლშია დაბადებული;
> მაგრამ ისეა ნასწავლი
> და ისე განათლებული,
> რომ დედაენაც არ იცის,
> სძულს კიდეც დავიწყებული!

რამ გამოიწვია, ჩვენი პოეტების აზრით, თანამედროვე ქართველი ქალის ასეთი გადაგვარება?

> კირთების ქვეშე დაჩარგულ ბედმა
> სრულად მოგიკლა სიცოცხლის ძალა, —

ეუბნება ილია ქართველ დედას. ამგვარი ახსნა არ არის მთლად ჭეშმარიტი. ტარიელსა და ნესტანს ჭირმა და დაჩაგრულმა ბედმა კი არ შეაძულა ერთმანეთი, არამედ უფრო გაუძლიერა სიყვარული. ქართველი ქალის გულში რომ იყოს ცეცხლი, სამშობლოს სიყვარულით ანთებული, დაჩაგრული ბედი ამ ცეცხლს უფრო გააძლიერებდა. განა პოლონეთის ქალს კი არ არგუნა ისტორიამ კირთების ქვეშე დაჩაგრული ბედი? მაშ რატომ იგივე არ დაემართა პოლონელ დედას, რაც ქართველს? რატომ არის მაშ, რომ პოლონელი დედა ყველგან პოლონელია და ქართველი დედა კი თავის პატარა სამშობლოშიც ქართველი აღარ არის?

იმიტომ, რომ კირთების ქვეშე დაჩაგრულ ბედს წინ დაუხვდა პოლონელი ქალის მამულის სიყვარულით აღგზნებული გული და

შავმა ბედმა ეს გული ვერ გაანელა, ვერ შეანგრია მისი კედლები. კირთების ქვეშე დაჩაგრულ ბედს კი საქართველოში დაუხვდა ქართველი ქალის გაციებული გული, რომელშიაც მამულის სიყვარულით ერთ დროს დანთებული ცეცხლისაგან დღეს ფერფლი და ნაცარიც კი აღარ დარჩენილა.

აბა თვალი გადაავლეთ ჩვენს წარჩინებულ წოდებას. ჩვენი ხალხის სისხლით მორწყულ მიწას რაღაც გიჟურის გატაცებით დღეს მამები გადამთიელებს ურიგებენ, აქაოდა ორ გროშს მეტს გვაძლევენო.

ფუი ამისთანა გროშებსაც და ამისთანა ვაჭრობასაც!

მათი ცოლები და ქალიშვილები კი ქართულ ენას ყოველ დღე ასამარებენ ოჯახში და ოჯახს გარეთ.

და ეს არის ასრულება ზნეობრივი მოვალეობისა მამულის წინაშე?!

ასეთი გადაგვარებული ოჯახები იძლევიან გადაგვარებულ შვილებს და უზნეობას უზნეობა ემატება.

კმარა, ბატონებო, ასე ცხოვრება აღარ შეიძლება, სირცხვილია!

მე თქვენ მოგმართავთ, ქართველო დედებო, პოეტის სიტყვებით:

ჩვენ უნდა ჩვენი ეშვათ მყოობადი,
ჩვენ უნდა მივსცეთ მომავალი ხალხს.

ის თქვენ გეუბნებათ:

აქ არის, დედავ, შენი შაღალი
დანიშნულება და საღმრთო ვალი.

გადალახეთ ოცნებით მრავალი საუკუნენი და დაინახავთ, რომ თქვენი მშობელი ერი განსაცდელში იყო, წყვდიადსა და ბნელეთში იმყოფებოდა.

ამ დროს მოევლინა მას ნინო და გამოიყვანა ის ახალი ცხოვრების გზაზე.

თქვენი მშობელი ერი დღესაც განსაცდელშია. მისი არსებობა ყოფნა-არყოფნის სასწორზეა და, რომელი დასძლევს, არ ვიცი-ნუთუ აღარ მოევლინება მას ახალი ნინო, რომლის მამულის სიყვარულით აღგზნებული გული გაალხობს ჩვენს გაყინულ გულს, ააგებს შიგ მამულისადმი ღრმად მომქმედი სიყვარულის წმინდა საკურთხეველს და გამოიყვანს ქართველ ერს აღორძინების გზაზე?

ახალი თანამედროვე ნინო უნდა გაჩნდეს თქვენს შორის. მე მწამს, რომ ის მოგვევლინება.

1914

კონსტანტინე დიმიტრის ძე ყიფიანი

შესავალი. ყიფიანების გვარი. გიორგი გოგიაძე და ბაგრატ მეფე. კოტეს პაპა — ქოჩო ყიფიანი, დიმიტრი ყიფიანი და მისი მეუღლე ნინო. კოტეს დაბადება. კოტეს ძმა ნიკო.

ქრისტიანულს მოძღვრებაში ყველაზე უფრო ღრმა, მომხიბლავი და წარმტაცია აზრი, იდეა ღვთის ტანჯვისა კაცობრიობის სახსნელად. განა ღმერთს არ შეეძლო მარტო თვისის ნებით ეხსნა კაცობრიობა, მაგრამ მან აირჩია თავისი თავისავე მსხვერპლად შეწირვა ბედნიერების საკურთხეველზე.

კაცობრიობისათვის ტანჯული ღმერთი — აი უდიდესი სურათი, რომელიც კი შეუქმნია ადამიანის სიბრძნესა და წარმოდგენას.

არც ერთი დიდი საქმე უმსხვერპლოდ არ კეთდება — აი რას გვეუბნება ეს სურათი.

ვისაც თვისი ხალხის ხსნა უნდა, მან მსხვერპლად უნდა შესწიროს თავი — აი რას გვიქადაგებს ეს სურათი.

ეს ღრმა აზრი იმდენად ნათელი არსად არის, როგორც ჩვენში: მშობელი ერის სამსახური, საზოგადო მოღვაწეობა ჩვენში დიდი მსხვერპლია.

სახელი და დიდება გარდუვალი და სამარადისო იმ პირებს, რომლებიც ამ მსხვერპლს არ ერიდებიან და ჩვენი სამშობლოს შავი ბედის უღელში შებმულნი, ერთგულად ეწევიან მას ბრწყინვალე მომავლისაკენ.

ასეთი პირების ცხოვრებისა და თავგადასავლის ცოდნა, გარდა იმისა, რომ მოვალეობაა ყოველი ქართველისა, დიდი გამამხნევებელია და თან ჭკუის მასწავლებელიც.

ერთ ამგვარ მოღვაწეთაგანს წარმოადგენს კოტე ყიფიანი.

ხარს ეგეკარ ნაიალაღარს,
რქით მიწასა ვჩხვერ, ვბუბუნებ:

ღმერთო, სამშობლო მიცოცხლე, —
მძინარეც ამას ვდუდუნებ.

ეს სიტყვები პოეტისა ზედგამოჭრილია კოტე ყიფიანზე.

კოტე ყიფიანი როცა ცხოვრების ასპარეზზე გამოვიდა, წინ ორი გზა დახვდა: ერთი საპირადო — ვარდებით, პატივით, დიდი ხარისხით, წარჩინებით და სრული მატერიალური კმაყოფილებით მოფენილი; მეორე კი საზოგადო — ეკლებით, აუტანელის შრომითა და ყოველგვარის შევიწროებით უხვად მორთული.

კოტე ყიფიანი ისეთ მდგომარეობაში იყო, მის პირად ბედნიერებას ისე უწყობდა ყოველივე ხელს — ნიჭი, განათლება, მეტად გავლენიანი მამა, — რომ სხვა იმის ალაგს უსათუოდ აირჩევდა პირველ გზას.

მაგრამ კოტეს ბუნება სხვა იყო. რას მიქვია პირადი ბედნიერება, როცა სამშობლოს აღდგენა ესაჭიროებაო, უთხრა მას კეთილშობილმა გულმა, და კოტეც დაადგა მეორე გზას, რომლისათვისაც აღარ გადუხვევია. ის ემსახურებოდა და ემსახურება ქართველ ერს ახალგაზრდობიდან მოყოლებული დღემდე, როგორც მსახიობი კი არა მარტო, არამედ როგორც მწერალიც. მისი მოღვაწეობა მწერლობის ასპარეზზე ორგვარია: მხატვრული და სამეცნიერო.

უტყუარი ისტორიული საბუთები ყიფიანთა გვარის შესახებ არ მოგვეპოება. ამიტომ უნდა დავკმაყოფილდეთ გადმოცემით.

უძველეს დროს ყიფიანები ყოფილან სვანეთში. ბაგრატ მეფის დროს სვანეთის სოფელ წვირმისში სცხოვრობდა მორკინალი — მეომარი გიორგი გოგიაძე, რომელსაც ჰყავდა ათასი კაცი მორკინალი (რაინდი).

ბაგრატ მეფეს ხონთქარმა მეტისმეტად გაუჭირა საქმე. ოსმალეთის ჯარი გადმოსხა შავი ზღვის ნაპირს და დღედღეზე უნდა შემოსეოდა იმერეთს. ბაგრატ მეფემ მაშინვე აფრინა შიკრიკი გიორგი გოგიაძესთან სვანეთში: აბა, ჩემო გიორგი, როგორც იმედი მაქვს შენი, ახლავე შეიარაღდი შენის ათასის კაცით და ცხენისწყალს გადმოღმა მომეშველეო. გიორგიმ მოისმინა მეფის ბრძანება და შიკრიკი უკანვე გამოისტუმრა: მოახსენე იმერეთის მეფესა და ჩემს მბრძანებელს, რომ დაუყოვნებლივ გიახლებიო.

გიორგი გაუდგა გზას თავისი მეომრებით და დაბინავდა სოფელს მურს ცხენისწყლის მარცხენა ნაპირას. აქედან გაუგზავნა ქუთაისში ბაგრატ მეფეს შიკრიკი და აცნობა: გიახელი, მეფეო.

მეფემ მოუსმინა შიკრიკს და ბრძანა: რას ვაქნევ და რაში მინდა შენი ბატონის მურში დაბანაკება, მე ის აქ მჭირდებაო.

შიკრიკმა მოკრძალებით მოახსენა მეფეს: ის სტუმარია, მეფეო, შენ მასპინძელი. როგორც მასპინძელი, იქ უნდა შეეგებო სტუმარსო. კარგიო, — ბრძანა მეფემ: — წადი და მოახსენე შენს ბატონს, მოვდივარ-თქო.

შიკრიკი გაბრუნდა.

მეფე თავისის ამალით გაემგზავრა ჭურს გოგიაძის სანახავად

მორიგეებმა მოახსენეს გიორგის: მეფე მობრძანდებაო. გიორგი მაშინვე გამოვიდა თავისი ფანჩატურიდან და შეეგება მეფეს.

— ოჰ, ჩემო გიორგი გოგიაძე, რა ყიფიანი[1] რამა ხარ! — მიაძახა მეფემ და გადაეხვია გიორგის.

მას აქეთ დაერქვა გიორგი გოგიაძეს ყიფიანი: გოგიაძე — ყიფიანი. შემდეგ და შემდეგ გოგიაძე დაიკარგა და დარჩა ყიფიანი. გოგიაძის შთამომავლობა გამრავლდა და ზოგი ლეჩხუმს გადასახლდა, ზოგი რაჭას, ზოგიც შორაპნის მაზრაში.

კოტეს პაპა — ქოჩო ყიფიანი და მისი ბიძაშვილი მამისთვალი გადმოსულან სვანეთიდან ქართლს და დამდგარან დიდ ივანე აბაშიძესთან მოურავად.

ქოჩო დასახლებულა ქვიშხეთს, მამისთვალი ბეკამს, რომელსაც დღესაც ყიფიანთ უბანს ეძახიან.

ქვიშხეთი იყო ნაწილი სააბაშიოსი. მთელი სააბაშიო იწყებოდა ხაშურის ჭალიდან და გადადიოდა იმერეთს აბაშამდე.

ამოდენა ადგილ-მამული ეკუთვნოდა დიდ ივანე აბაშიძეს. პატარა ივანეს, ლევან აბაშიძეს და სხვ. —სულ იყოფოდა ექვს ნაწილად.

დიდმა ივანე აბაშიძემ რუსეთის მთავრობას უღალატა და გადიხვეწა ოსმალეთს. ამის გამო მისი უძრავი მამული მთავრობამ წაართვა მემკვიდრეებს და სახაზინოდ ჩარიცხა. დღესაც ეს ნაწილი ხაზინას ეკუთვნის.

ქოჩო ყიფიანმა შეირთო ქართლში ფურცელაძის ქალი და ეყოლა ოთხი ქალი, ოთხიც ვაჟი: ქაიხოსრო, გიორგი, იოსები და დიმიტრი, რომელსაც ნაბოლავარს ეძახდნენ.

ქოჩო გარდაიცვალა სოფელ მერეთს და იქვეა დასაფლავებული ეკლესიის კარებთან.

კოტეს მამის — დიმიტრის სახელი ვის არ გაუგონია საქართველოში!

დიმიტრი ყიფიანი საქართველოს მშვენება, სიამაყე და სიწმინ-

---

[1] ყიფი — ამაყი.

დეა. მან თავისი თავი მსხვერპლად შესწირა თავის ერს. ქართველმა ერმა დიმიტრი ყიფიანში იცნო თავისი თავი, ხალამღლა გამოაცხადა თვისი მეობა და არასოდეს აღარ დაივიწყებს მას. დადგება ისეთი დრო, როცა ქართველი ერი დიმიტრი ყიფიანს წმინდანად გამოაცხადებს.

დიმიტრი ყიფიანი დაიბადა 14 აპრილს 1814 წ., ცოლი შეირთო 1845 წ. 22 იანვარს. კოტეს დედა ნინო, იაგორ ჭილაშვილის ასული, დაიბადა 1827 წ. 12 მაისს. იაგორ ანუ გიორგი ჭილაშვილი მსახურებდა საქართველოს უმაღლეს მმართველობაში (Верховное Грузинское Правление), შემდეგ სამუდამოდ დაბინავდა დუშეთში, სადაც მას დიდი მამულები ჰქონდა. ნინო და მისი და ლიზა სწავლობდნენ პეტერბურგში წმინდა ეკატერინეს სასწავლებელში, სადაც მათ სწავლა დაამთავრეს 1844 წელს.

კოტე ყიფიანი დაიბადა 1849 წ. მარტის სამს.

ვორონცოვის დროს თბილისში, სხვათა შორის, იტალიური ოპერაც იყო. ვორონცოვის სურვილი იყო, რომ მაღალი საზოგადოება წარმოდგენებს დასწრებოდა. რადგანაც დიმიტრი ყიფიანს იმ დროს დიდი თანამდებობა ეჭირა (Директор Походной Канцелярии), თავისი მეუღლით არც ერთ წარმოდგენას არ აკლდებოდა.

ნინო დღე-დღეზე მორჩენას ელოდა, როდესაც წარმოდგენა გაიმართა და, რადგანაც ვორონცოვი იქ იქნებოდა და მასთან თბილისის მთელი მაღალი საზოგადოება, დიმიტრი და მისი მეუღლეც წავიდნენ.

შუა წარმოდგენა იყო, რომ ნინოს ლოჟაში მუცელი ასტკივდა და მაშინვე გამოეშურა სახლისაკენ. არ გასულა დიდი ხანი, რომ კოტე დაიბადა. ამგვარად კოტე ყიფიანი თითქმის თეატრში დაბადებულია.

ბედის მწერალს მისთვის თავიდანვე დაუწერია: შენ თეატრში დაიბადები, თეატრი იქნება შენთვის ყოველივე, თეატრს შეალევ შენს ჯანღონეს და მასვე შეაბერდებიო.

კოტე მეორე შვილია. უფროსი იყო ნიკო. დიმიტრისა და ნინოს სულ ექვსი შვილი ჰყავდათ: ხუთი ვაჟი და ერთი ქალი. სამი ვაჟი ბავშვობაშივე დაიხოცა, დარჩნენ ნიკო, კოტე და ელენე.

ნიკომ სწავლა ჯერ თბილისში მიიღო, შემდეგ პეტერბურგში. უკანასკნელი ჩვიდმეტი წელიწადი ის ცხოვრობდა ბრიუსელში და დანიშნული იყო ენების პროფესორად. ნიკო აქ ატარებდა ჟან-მარტენის გვარს. გარდაიცვალა ბრიუსელში და იქვეა დასაფლავებული. მისი დიდი სურათი ჰკიდია ბრიუსელის კონფერანს-ზალაში.

მხოლოდ მისი გარდაცვალების შემდეგ გაიგეს ბრიუსელში, რომ პროფესორი ჟან-მარტენი იყო ნიკო ყიფიანი.

საზღვარგარეთ ცნობილი ქიმიკოსი ბარბალე ყიფიანი ნიკოს ქალია.

ოჯახური აღზრდა და კოტეს მასწავლებლები. მხატვრობის ნიჭი. კოტე მიდის პეტერბურგს და შედის სამხატვრო აკადემიაში. მოსკოვში გადმოხვლა და საგრონომიო-სატყეო აკადემიაში შესვლა. სამშობლოში დაბრუნება. სამსახურში შესვლა. პირველი ნაბიჯი სალიტერატურო ასპარეზზე. პირველი გამოსვლა სცენაზე.

დიმიტრის შვილებმა საკმაოდ საფუძვლიანი სწავლა ჯერ ოჯახშივე მიიღეს. ოჯახური სწავლის ერთი თვისება იმ დროს ის იყო, რომ ბავშვებს არაფერს აზეპირებინებდნენ: ტვინი მოექანცებათო. ამის გამო ზეპირად რისიმე დასწავლა დიდობაშიც მეტად უძნელდებოდა კოტეს, რადგანაც პატარაობიდანვე არ იყო მიჩვეული. შვილების აღზრდასა და განათლებას დიმიტრი ძალიან დიდ ყურადღებას აქცევდა და არათუ იმ დროს, ჩვენს დროშიაც ძალიან ძვირად ნახავთ ისეთ ოჯახს, სადაც ბავშვების აღზრდა-განათლება ისე იყოს მოწყობილი, როგორც ეს დიმიტრის ოჯახში იყო.

არავითარ ხარჯსა და დაბრკოლებას დიმიტრი არ ერიდებოდა, ოღონდ კი შვილებისათვის საუკეთესო განათლება მოეპოვებია. კოტეს მასწავლებლები იყვნენ თბილისის საუკეთესო პედაგოგები.

ბავშვები სწავლობდნენ შინ, სადაც მასწავლებლებად მოწვეული იყვნენ ბესარიონ ღოღობერიძე, ნიკოლოზ ღოღობერიძე, პირველი გიმნაზიის ინსპექტორი მონასტირსკი. დიმიტრის ოჯახში ხცხოვრობდნენ ფრანგები შარლე და ლეონტინა დიუშენი; ესენი ასწავლიდნენ ბავშვებს ფრანგულ ენას: შარლე — ვაჟებს, დიუშენის ქალი კი — დიმიტრის ქალიშვილს ელენეს.

ლეონტინა დიუშენი მისთხოვდა შემდეგ კოტე კოლუბანსკის და ამგვარად სამუდამოდ საქართველოში დარჩა.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ქართული ენის მასწავლებელი დიმიტრის ოჯახში არ ყოფილა.

დიმიტრი მოსამსახურისა ოა საზოგადო საქმეებში იყო გართული — ოჯახისათვის დრო აღარ რჩებოდა. ნინო რუსეთში იყო გაზრდილი, ამიტომ ქართული ნაკლებად იცოდა. ის მუდამ უმაღლეს საზოგადოებაში ტრიალებდა და ამგვარად ბავშვების მასწავლებელი ქართული ენისა იყო შვიდი მოსამსახურე, — დიმიტრის ყმები. თავისუფალ დროს სწავლის გათავების შემდეგ ბავშვები მოსამსახურეებში ტრიალებდნენ, და ალბათ ამის ბრალია, რომ კოტეს გლეხობა მუდამ უყვარდა. საზოგადოდ იმ დროს ქართული ენის ცოდნასა და ქართულად ლაპარაკს ჩვენი მაღალი საზოგადოება დიდ

ყურადღებას არ აქცევდა. ქართული ენა დაბალ ენად ითვლებოდა და ამ ენის ხმარებას მაღალ წრეში ერიდებოდნენ.

სამწუხაროდ დღესაც არა გვაქვს შესისხლხორცებული ის აზრი, რომ ჩვენი ენა უნდა გავამეფოთ ჩვენს ოჯახებში და ჩვენს დაწესებულებებში.

ენა ერის არსებობის ერთი მთავარი ძარღვია და როცა ამ არსებობას ათასი ყვავ-ყორანი დასჩხავის თავს, მაშინ სამშობლო ენის გამეფება ოჯახში და ოჯახს გარეთ გასაკიცხი უკიდურესობა კი არ არის, არამედ აუცილებელი საჭიროება; ენა სულია ერისა და სამშობლო ენაზე ლაპარაკი იგივე ვარჯიშობაა, გაწვრთნაა ეროვნული სულისა.

ქართული ენა კოტემ ისწავლა პეტერბურგში თექვსმეტი წლისამ. მისი ქართული ენის მასწავლებელი იყო მისივე ძმა ნიკო. ნიკოს პატარაობიდანვე ეტყობოდა დიდი ნიჭი ენების შესწავლისა; მუსიკაც ძალიან უყვარდა.

პატარა კოტე ნიჭიერი ბავშვი იყო და სწავლაც უყვარდა, მხოლოდ ნამეტანი ცელქობა უშლიდა ხელს. განსაკუთრებით შეუყვარდა მხატვრობა. როგორც კი დაინახა დიმიტრიმ, კოტეს მხატვრობის ნიჭი ეტყობაო, მაშინვე მოიწვია მასწავლებელი ბაბაევი, გამოჩენილი აკადემიკოსისა და მხატვრის ბრიულოვის მოწაფე. ამიტომ კოტეს ხუმრობით უწოდებდნენ მხატვრობაში ბრიულოვის შვილიშვილს.

ხატვაში იმდენად დახელოვნდა კოტე, რომ მას მიანდვეს ზღვის მედუზების დახატვა აკვარელით. ნახატი სამაგალითო გამოვიდა, ყველამ მოიწონა და პირველ გიმნაზიაში გამოჰკიდეს.

ბაბაევის სიკვდილის შემდეგ კოტეს მასწავლებლად მიიწვიეს მეფის მოადგილის მხატვარი ფილიპოვი. ფილიპოვმა დაჰხატა დიდი მთავრის ნადირობა ამალით ყარაიაში. კოტემ აკვარელით გადიღო პირი ამ სურათისა. კოტეს ნახატი კარგი აღმოჩნდა.

ამგვარი სწავლა ოჯახში გაგრძელდა 1864 წლამდე.

ამ ხანებში გაათავა პეტერბურგის უნივერსიტეტი დიმიტრის ძმისწულმა, მწერლის ლევან ყიფიანის მამამ, დავით ქაიხოსროს ძე ყიფიანმა, მან გახსნა საუკეთესო პანსიონი თბილისში და ორ წელიწადს აქ იყვნენ მიბარებული კოტე და ნიკო.

პანსიონში მოწვეული იყვნენ საუკეთესო პედაგოგები და ორი ბავშვი დიმიტრის უჯდებოდა წელიწადში 4000 მანეთი.

აქედან კოტეს უნდოდა გიმნაზიაში გადასვლა, მაგრამ მეოთხე კლასში ეგზამენი ვერ დაიჭირა.

ამ ხანებში ახალგაზრდა კოტე უკვე ცნობილი მხატვარი იყო

დიმიტრიმ იფიქრა: რა საჭიროა მაინცდამაინც, რომ ჩემს შვილს გიმნაზია გავათავებიო, დე თავის ბუნებრივ ნიჭს გაჰყვესო.

ამ მიზნით დიმიტრიმ წაიყვანა კოტე პეტერბურგს 1866 წელს და მიაბარა სამხატვრო აკადემიაში.

კოტემ აკადემიაში დაჰყო ნახევარ წელიწადს და დიდის ხალისითა და გატაცებით სწავლობდა მხატვრობას.

შესაძლებელია, ის ახლა იქნებოდა გამოჩენილი მხატვარი, მაგრამ ბედმა სხვანაირად გადასწყვიტა. კოტეს ამხანაგ ნაუმოვისაგან გადმოედო თვალის საშინელი სენი — ტრახომა; სენისაგან, როგორც იქნა, განიკურნა, მაგრამ გამოჩენილმა თვალის ექიმმა ფრეგელიუსმა გადაჭრით გამოუცხადა: თუ მხატვრობისათვის თავი არ დაგინებებია, უსათუოდ დაბრმავდებიო.

მეტი რაღა გზა იყო! კოტემ დაანება თავი სამხატვრო აკადემიას და თვალცრემლიანი და გულდამწვარი გამოეთხოვა თავის საყვარელ საგანს. მაგრამ გარემოებამ დაამტკიცა, რომ მასში დამალული იყო და ნელა-ნელა იფურჩქნებოდა უფრო ძლიერი ნიჭი ადამიანის სულის ხატვისა სცენაზე.

კოტე ისევ გიმნაზიის კურსს დაუბრუნდა და გადასწყვიტა გიმნაზიის გათავება. იმ დროს პეტერბურგში განთქმული იყო პედაგოგი ალექსანდრე პუტიატა. კოტე და ნიკო ამასთან დაბინავდნენ. ნიკო უკვე სტუდენტი იყო, კოტე კი გიმნაზიაში სიმწიფის მოწმობაზე ეგზამენის დასაჭერად ემზადებოდა.

პუტიატასთან კოტე დარჩა ერთ წელიწადს. აქედან გადავიდა მოსკოვს, დაიჭირა გიმნაზიის სრული კურსის ეგზამენი და შევიდა პეტროვსკის სააგრონომიო-სატყეო აკადემიაში.

აკადემიაში კოტე ოთხ წელიწადს სწავლობდა. მთელი კურსი აკადემიისა გაიარა და ის იყო საბოლოო ეგზამენები უნდა ჩაებარებინა, რომ მამისაგან ტელეგრამა მოუვიდა: შენი ჩამოსვლა აუცილებელიაო. დიმიტრი თურმე ავად გამხდარიყო, საქმე ბევრი ჰქონდა და კოტეს ჩამოსვლა საჭირო იყო, რომ საქმეებს გასძღოლოდა.

ამგვარად 1870 წელს კოტემ მოსკოვიდან გამოსწია სამშობლოსაკენ იმ მიზნით, რომ ისევ მალე დაბრუნებულიყო და სახელმწიფო ეგზამენები ჩაებარებია, მაგრამ სახლში ათასი საქმე დაუხვდა და იძულებული გახდა დარჩენილიყო.

გორის მაზრის სააბაშიოს ყველა მონაწილეებმა ამ დროს კოტეს შიმართეს თხოვნით და სთხოვეს თავისი მამულების უფროსი გამგებლობა. კოტემ თანხმობა გამოაცხადა, ჩაიბარა ტაშისკარი, ქვიშხეთი, ციხის ძირი, მონასტერი, ბეღლეთი, სათივე, დამჩხერვა-

ლი და სხვ. აწარმოებდა სხვა თავის საქმეებთან ერთად ამ მამულების საქმესაც და ყოველ წელიწადს თვითეულ მონაწილეს ცალკე უსწორდებოდა.

ამ ხანებში კოტე ძალაუნებურად სამსახურში შევიდა, მაგრამ ამ მამულების გამგებლობისათვის მაინც არ დაუნებებია თავი.

როგორ შევიდა კოტე სამსახურში?

მეფის მოადგილის საბჭოს ერთი წევრი იყო ნეჟინსკი, რომელმაც წარადგინა პროექტი აქციზის შემოღებისა კავკასიაში არაყსა და თუთუნზე.

პროექტი მთავრობამ მოიწონა და 1873 წელს დაამტკიცა კიდეც.

ნეჟინსკი გახარებული იყო, რომ იმისმა პროექტმა გაიმარჯვა და სადარბაზოდ ეწვია დიმიტრის.

— აბა, ბატონო დიმიტრი, მომილოცეთ, რომ ჩემმა წინადადებამ გაიმარჯვა და ყმაწვილი კაცები მიშოვნეთ ახლა სამსახურისათვის, — მიმართა მან რუსულად დიმიტრის და ამავე დროს კოტეს გადაჰხედა: — ყმაწვილო კაცო, არ გინდა ჩემთან სამსახური?

— უარი არ უთხრა! — ქართულად წაულაპარაკა დიმიტრიმ კოტეს.

კოტეს სრულებითაც არ უნდოდა სამსახურში შესვლა. მაგრამ რადგანაც ასეთი იყო მამის სურვილი, დასთანხმდა.

კოტე დანიშნეს ქუთაისში მესამე ნაწილის სააქციზო ზედამხედველის უმცროს თანაშემწედ. სამსახურში კოტე დიდხანს არა ყოფილა. როდესაც ნეჟინსკი გარდაიცვალა, იმის თანამდებობა ჩაბარეს ვინმე ფესუნის, რომელიც გვარტომობით ბერძენი იყო. კოტეს თავის ახალ უფროსთან უსიამოვნება მოუვიდა და სამსახურს თავი დაანება. სულ დაჰყო სამსახურში ცამეტ თვეს.

ამ დროს გამოვიდა კოტე სალიტერატურო ასპარეზზე. ქანანაშვილის რედაქტორობით გამოდიოდა „მოამბე“ და კოტემ აქ დასტამბა თავისი პირველი წერილი: „მოგზაურობა სვანეთში“.

1875 წელს მეფის მოადგილემ დიდმა მთავარმა მიიწვია კოტე ბორჯომის მამულების უფროსი გამგებლის თანაშემწედ. კოტე მაშინ ერთადერთი ქართველი იყო უმაღლესი სამეურნეო სწავლით აღჭურვილი. კოტემ მიიღო ახალი თანამდებობა და თავისი შრომითა და საქმის ცოდნით მალე დაიმსახურა დიდი მთავრის პატივისცემა.

დიდი მთავარი და მისი მეუღლე ხშირად მიიწვევდნენ ხოლმე მას თავისთან და დიდხანს მსჯელობდნენ მამულის საქმეების გაუმჯობესების შესახებ.

ამ დროს კოტე უკვე ცნობილი მსახიობი იყო და დიდი მთავარი

ზშირად ეტყოდა ხოლმე თავის მეუღლეს, როცა კოტე მათთან იყო: ყიფიანი განათლებით აგრონომია, მოწოდებით კი მსახიობია.

ამ ხანებში დიმიტრი ყიფიანი ედავებოდა ხაზინას ბორჯომის ხეობის ერთ მეათედს. დიმიტრიმ ეს საქმე შემდეგში კიდეც მოიგო. ამის გამო დიდი მთავრის მთელი მაჟულის უფროსმა გამგემ კოტეს გამოუცხადა: მამათქვენი ჩვენ ადგილებს გვედავება და გვართმევს და ამიტომ ჩვენ ერთად ვერ ვივარგებთო.

კოტემაც თავი დაუკრა და დაანება თავი სამსახურს.

დიმიტრიმ რომ გაიგო მიზეზი სამსახურიდან კოტეს დათხოვისა, გაიცინა და უთხრა:

— მამების ცოდვებისათვის შვილები აგებენ პასუხს!

ამგვარად დაიწყო და დამთავრდა კოტეს მოღვაწეობა სამსახურის ასპარეზზე.

როგორ და როდის დაიწყო მისი მოღვაწეობა იმ ასპარეზზე, რომელზედაც მან თავი ისახელა და თავისი ერიც ასახელა? კოტე პირველად სცენაზედ გამოვიდა ჩვიდმეტი წლისა. ეს იყო 1868 წელს. მაგრამ სანამ განვიხილავდეთ კოტეს მოღვაწეობას სასცენო ასპარეზზე, მეტი არ იქნება მოკლედ თვალი გადავავლოთ ქართული თეატრის ისტორიას.

ქართული თეატრის დასაწყისი. ვორონცოვი და გიორგი ერისთავი. კოტეს პირველი თამაშობა. ახალი ჯგუფი წარმოდგენის გასამართავად. კოტე და ელენე. კოტე და ხუნდუკიანცი. მუდმივი დახის დაარსება. კოტეს გამოსვლა რუხულ სცენაზე. კოტეს რუსეთში იწვევენ.

თუმცა მეთვრამეტე საუკუნის გასულს საქართველო მეტად კრიტიკულ მდგომარეობაში იყო, მაგრამ მოწინავე საზოგადოებაში სწორედ ამ დროს ჩაისახა სურვილი თეატრის შექმნისა. ამ დროს იწყებენ თარგმანს უცხო დრამატურგებისას. ეჭვს გარეშეა, ქართველი საზოგადოება ემზადებოდა საკუთარი თეატრის დასაარსებლად, მაგრამ ჩვენი ისტორიის ჩარხი სხვანაირად დატრიალდა და ქართველ ხალხს თეატრისათვის აღარა სცხელოდა. დიდ იმედებს მოჰყვა დიდი უიმედობა, ამბოხება, შეთქმულება, სასოწარკვეთილება და ბოლოს გარეგნული სიმშვიდე და სულიერი მღელვარება.

1845 წელს საქართველოში მეფის მოადგილედ დაინიშნა ვორონცოვი. მან იფიქრა: თუ ქართველ მოწინავე საზოგადოებას გასართობი არ გავუჩინე, წარსულისაკენ ცქერას თავს არ დაანებებსო. ამასთან ის განათლებული, ჭკვიანი და ლმობიერი ადამიანი იყო, ქართველების წარმატება უნდოდა და მოინდომა ქართული თეატრის დაარსება.

ამ დროს გიორგი ერისთავს უკვე ჰქონდა რამდენიმე კომედია. ეს კომედიები ხელნაწერად ვრცელდებოდა საზოგადოებაში.

ვორონცოვმა გაიგო ეს, დაიბარა გიორგი ერისთავი და მიანდო მას ქართული წარმოდგენების მართვა. გიორგის თავისი დიდიხნის საწადელი აუსრულდა, ენერგიულად მოჰკიდა საქმეს ხელი, მოამზადა მოთამაშენი და პირველი ქართული წარმოდგენა გაპმართა 1850 წელს 2 იანვარს. ითამაშეს გიორგი ერისთავის კომედია „გაყრა". ქართული საზოგადოება დიდის აღტაცებით მიეგება პირველ წარმოდგენას. ვორონცოვმა დიდი მზრუნველობა გაუწია თეატრს და მისი განკარგულებით ქართულ თეატრს ყოველწლიურად დახმარება ეძლეოდა ხაზინიდან. ვორონცოვი გადაიყვანეს და 1855 წელს ქართულ თეატრსაც მოესპო ხაზინიდან დახმარება. ამის შემდეგ ივანე კერესელიძემ შეადგინა ამხანაგობა, რომელიც ხანდახან გამართავდა ხოლმე წარმოდგენას. მაგრამ მალე ლეკებთან ომი გამწვავდა, შემდეგ ბატონყმობის გადავარდნის მოლოდინმა საზოგადოება დააშორა თეატრს და ამგვარად ქართული წარმოდგენების მართვა სრულებით შესწყდა.

1868 წელს ზაფხულის მიწურულში ხელახლა იმართება ქართული წარმოდგენა საქველმოქმედო მიზნით. თამაშობენ საფრანგეთის დრამატურგის კომედიას „ცოლის შერთვევინება", დიმიტრი ყიფიანის თარგმანს.

კოტე ყიფიანი ამ წარმოდგენაში პირველად გამოვიდა სცენაზე. ის მაშინ იყო 17 წლისა. პიესაში არის ქალი დორიმენას როლი და პაჟისა. ქალის გამოსვლა სცენაზე იმ დროს ისეთ თავისმოჭრად ითვლებოდა, რომ დედამიწის გადატრიალება უფრო ადვილი იყო, ვიდრე მსახიობი ქალის შოვნა. დორიმენას როლში გამოიყვანეს ვასილ გიორგის ძე მაჩაბელი, რომელსაც ჩააცვეს გრძელკუდიანი კაბა. შლეიფი მიბლანდული იყო და ზოგან ქინძისთავებით მიბნეული კაბაზე. პაჟის როლი მისცეს კოტეს. მას შლეიფი უნდა ჰკავებოდა ხელში.

„რომ დავინახე უშველებელი დარბაზი თეატრისა და აუარებელი ხალხი, მე ჯერ გავშტერდი, დავაღე პირი და გავშეშდი ერთს ალაგას", — მოგვითხრობს კოტე ყიფიანი („ჩემი არტისტობის თავგადასავალი", — „ფასკუნჯი"). მაჩაბელი, რომელსაც თურმე მშვენიერი კოპწია ქალისაგან ვერ გაარჩევდით, წინ მიიწევდა, კოტე კი ერთ ალაგას იდგა და, როცა მაჩაბელმა ღონიერად გაიწია, შლეიფი კოტეს ხელში შერჩა. ასტყდა დამსწრე საზოგადოებაში საშინელი სიცილი და ტაშის ცემა. კოტეს შერცხვა და გავარდა კულისებში.

— ყოჩაღ, კოსტიუკ, ჩინებულად შეასრულე შენი როლი. — ამასხარავებდა ამის შემდეგ კოტეს მამა.

1871 წლებიდან თბილისში არსდება წრე დიმიტრი ყიფიანისა და იოსებ მამაცაშვილის ხელმძღვანელობითა და მეთაურობით. წრის ბიზანი იყო წარმოდგენების მართვით ფული ეგროვებია და დახმარება აღმოეჩინა ღარიბი და ნიჭიერი სტუდენტებისათვის. სცენისმოყვარეთა რეჟისორად იყო ხოლმე ხან დიმიტრი ყიფიანი, ხან ანტონ ფურცელაძე, ხან ვახტანგ თულაშვილი, რომელიც ამავე დროს წრის ბაზინადარიც იყო.

პირველ ხანებში წარმოდგენის მოწყობის საქმეს ის აძნელებდა, რომ ქართველი ქალები სცენაზე სათამაშოდ არ გამოდიოდნენ.

ამისთანა გაჭირვების დროს ქართულ სცენას დაეხმარნენ სომხები და ქალების როლს ასრულებდნენ სათინიკა ჩიმიშკიანცი და ნატალია ნაზარიანცი.

შემდეგ და შემდეგ ქართველი ქალებიც ნელა-ნელა შეეჩვევნენ თამაშს და წრე საკმაოდ გაიზარდა. წრეს შეადგენდნენ დიმიტრი ყიფიანი, ანტონ ფურცელაძე, ვახტანგ თულაშვილი, ლადო აბაშიძე, კოტე მაისურაძე, ნიკო ავალიშვილი, პეტრე უმიკაშვილი, ალექსანდრე ინაშვილი, კნ. ნინო ორბელიანისა, მაშო ხერხეულიძისა, ელენე ანტონოვსკისა, იოსებ მამაცაშვილის ქალები, ოლიკო გურამიშვილისა და ბევრი სხვანი.

ყველა წარმოდგენაში დიდ მონაწილეობას იღებდნენ კოტე, მისი ძმა ნიკოლოზი და ელენე. ელენე თამაშობდა ყოველგვარ როლს, უფრო კი ანჩხლ ქალებს და გრან-დამებს. 1877 წელს ელენე გაჰყვა ცოლად ანტონ ლორთქიფანიძეს და გადასახლდა ქუთაისს.

ელენე დიდი ენერგიის ქალი იყო. ყველა საზოგადო საქმეში იღებდა მონაწილეობას, სწერდა და სთარგმნიდა. ელენეს, კატო ნიკოლაძისა და კატო ჭყონიას თაოსნობით ქუთათურმა ქალებმა დააარსეს ყოველთვიური ჟურნალი „ქართული ბიბლიოთეკა“, რომელშიც ელენე დიდ მონაწილეობას ღებულობდა.

ყველაზე თვალსაჩინო ალაგი აქ დასახელებულ ჯგუფში, როგორც მსახიობს, კოტეს ეჭირა.

ამპლუა რა იყო, მისთვის არ არსებობდა. ნიჭის მრავალგვაროობა, რის შესახებაც ქვევით უფრო ვრცლად გვექნება ლაპარაკი, კოტეს თავიდანვე დაეტყო. ის ერთნაირის ხელოვნებით თამაშობდა როგორც მოხუცს, ისე ახალგაზრდას, როგორც ტრაღიკულ, ისე კომიკურ პირს.

ამ ხანებში კოტეს უთამაშნია, სხვათა შორის, „დამნაშავის ოჯახი“ — დამნაშავის როლი, „შემოსავლიან ადგილში“ — იურო-

ვის როლი, „ვენეციელ ვაჭარში“ შეილოკის როლი, „გაყრაში“ ანდუყაფარის როლი და სხვ. წარმოდგენები და კოტეს მოხდენილი თამაში დიდ საზოგადოებას უყრიდა თავს. ქართველი საზოგადოებისმოწინავე ნაწილი არც ერთ წარმოდგენას არ აკლდებოდა. ყოველი წარმოდგენა ნამდვილი დღესასწაული იყო ჩვენს ცხოვრებაში.

რეპეტიციები იმართებოდა ხან დიმიტრი ყიფიანის ოჯახში, ხან იოსებ მამაცაშვილთან, ანდრია ხერხეულიძისას, პეტრე უმიკაშვილთან, ანტონ ფურცელაძესთან და სხვ.

1871 წელს გურამიშვილის ოჯახში წრე ამზადებდა სუნდუკიანცის „პეპოს“. კოტე მაშინ ჯერ კიდევ სრულებით უცნობი იყო და მას აკისრეს სუფლიორობა. პეპოს თამაშობდა ჩიმიშკიანცი, გიქოს— ალექსანდრე ინაშვილი, შუშანას — ნატალია ნაზარიანცი, კეკეს — სათინიკა ჩიმიშკიანცი, რეპეტიციას ხელმძღვანელობდა სუნდუკიანცი. ინაშვილმა ისეთი ხმით დაიწყო გიქოს როლის ასრულება, თითქოს მოხუცს კი არა, ყარამანს თამაშობსო. ბევრი უსწორა სუნდუკიანცმა, მაგრამ ინაშვილმა ვერა მოუხერხა რა ხმას. ეძებეს სცენისმოყვარეთა შორის გიქოს როლის შემსრულებელი, მაგრამ ძებნამ უქმად ჩაიარა.

— კაცო, მოდი აქა და მე გასწავლი, თუ როგორ უნდა სთქვა შენი სათქმელი, — მიმართა კოტემ ინაშვილს, ჩაიხრინწიანა ხმა და ისე მიჰბაძა მოხუც გიქოს, რომ სუნდუკიანცი აღტაცებაში მოვიდა, მივარდა კოტეს, აკოცა შუბლში და წამოიძახა: აი, ჩემი გიქოო.

კოტე გამოვიდა გიქოს როლში და საერთო ტაში და აღტაცება გამოიწვია.

ამგვარად კოტეს თავიდანვე დაეტყო თავისი ნიჭის ერთი ნიშნობლივი თვისება — მოხუცის როლის იშვიათი შესრულება.

როგორც უკვე მოვიხსენიე, იმ ჯგუფის მიზანი, რომელიც სამოცდაათიანი წლებიდან ქართული წარმოდგენების საქმეს განაგებდა, ფულის შეძენა იყო ღარიბ მოსწავლეთა დასახმარებლად.

ამ ჯგუფის შემწეობით რუსეთსა და საზღვარგარეთ აღიზარდა ორმოცამდე ახალგაზრდა. „ამოდენა ყმაწვილ-კაცებში მხოლოდ ერთმა დაგვიბრუნა ჩვენ იმაზე დახარჯული ფული და სხვამ ყურიც არ გვათხოვა, არც არა გვიპასუხეს რა, როცა ფულის დაბრუნებაზე გავახსენებდით, — მოგვითხრობს კოტე ყიფიანი თავის მოგონებაში: — ბევრი ლანძღვა-გინებაც გვაკადრეს, რომ, იმათის აზრით, ფულებს იმდენს არ ვუგზავნიდით, რამდენსაც გვთხოვდნენ ხოლმე. ამ გარემოებამ იქამდის მიგვაღწია, რომ თითქმის ყველას აგვიცრუვდა გული და ჩვენი წრეც დაიშალა“. წარმოდგენები ამის შემდეგ იმართებოდა იშვიათად ხან კლუბებში, ხან კერძო ოჯახში. ამ წარმო-

დგენების გამართვაში დიდ მონაწილეობას იღებდა ბ. როინაშვილი.

ქართული საზოგადოება იმდენად ეომწიფდა, იმდენად შეეჩვია თეატრს, რომ საკუთარი მუდმივი დასის დაარსება მტკიცე ნიადაგზე აუცილებელი შეიქნა. ეს საქმე ითავეს დიმიტრი ყიფიანმა, გიორგი თუმანიშვილმა, დავით ერისთავმა, ნიკო ავალიშვილმა, იოსებ ბაქრაძემ, აკაკი წერეთელმა, ალექსანდრე სარაჯიშვილმა, ილია ჭავჭავაძემ და ნიკო ნიკოლაძემ.

ნიკო ნიკოლაძეს მიანდვეს დრამატიული საზოგადოების წესდების შედგენა. ნიკოლაძემ წესდება შეადგინა, შეიმუშავეს ეს წესდება დიმიტრი ყიფიანმა და ილია ჭავჭავაძემ. შეაგროვეს ზოვი ხელის მოწერით, ზოგი წარმოდგენებით საჭირო თანხა და ამგვარად დაარსდა დრამატიული საზოგადოება თავისი გამგეობითა და მუდმივის დასით.

მუდმივმა დასმა პირველი წარმოდგენა გამართა 1879 წელს 5 ენკენისთვეს. წარმოადგინეს კნ. ბარბარე ჯორჯაძის კომედია — „რას ვეძებდი და რა ვიპოვე“.

ამ მუდმივ დასში მიიწვიეს კოტე ყიფიანი.

„ჩვენს თეატრს ერთბაშად გამოუჩნდა ოთხი ფრიად ნიჭიერი და სასარგებლო მოთამაშე: მ. საფაროვი, ნ. გაბუნია, ვ. აბაშიძე და კოტე ყიფიანი, — ვკითხულობთ „ქართულ თეატრში“ (1889 წ. გვ. 18).—როგორც ყოველს მაგარს შენობას ეჭირვება ხოლმე ოთხი დედაბოძი, ოთხი კედელი, ისე ჩვენს თეატრსაც გაუჩნდა ოთხი დედაბოძი, ოთხი საიმედო საძირკველი, რომლებზედაც დიდი და ტურფა შენობის აგება შეიძლებოდა“.

ამ საძირკველზე მართლაც ტურფა შენობა აშენდა. ქართული თეატრი გაიზარდა, გამრავლდა. ქართული წარმოდგენები მოედო საქართველოს ქალაქებს, დაბებსა და სოფლებს. ქართველმა არტისტებმა შეიტანეს სინათლე საქართველოს ყოველ კუთხეში.

ეს მძიმე, დიდი ეროვნული საქმე თავის მხცოვან ამხანაგებთან ერთად იშვიათის ენერგიით, მხნეობით, დაუღალავის შრომითა და თავდავიწყებით შეასრულა კოტე ყიფიანმა. აი ამისთანა ადამიანზე არის ზედგამოჭრილი პოეტის სიტყვები:

ნეტავი ბევრი გაზარდოს
შენისთანები დედამ.

ქართველი მსახიობი სრულებით განსხვავებულ პირობებში მუშაობს. აიღეთ ევროპის მსახიობი და ევროპის სცენა. გამოჩენილი მსახიობები ხშირად ერთს ან ორს ტიპს ასრულებენ. მათ შესწავლილი აქვთ ერთი ან ორი ტიპი და მთელი თავისი სიცოცხლე ამ

ტიპებსა თამაშობენ. ჩვენმა მსახიობმა კი მარტო ერთი სეზონის განმავლობაში უნდა შექმნას სულ უკანასკნელი ოცი ტიპი მაინც.

აიღეთ ახლა ევროპის სცენა. მთელ სეზონს ერთიანად ორი პიესა ჰყოფნის. ჩვენს სცენაზე კი ერთი და იგივე პიესა რომ ზედიზედ გაიმეოროთ რამდენჯერმე, ხალხი აღარ მოგეკარებათ.

მიუხედავად ასეთის პირობებისა ჩვენი მსახიობები მაინც პირნათლად ასრულებენ თავის მოვალეობას და სხვებს არ ჩამოუვარდებიან.

რატომ?

იმიტომ რომ ქართველ ადამიანს ღმერთმა ნიჭი უხვად მისცა და, როცა ის არ ზარმაცობს, სასწაულსა ჰქმნის.

როცა ყოველივე ამას შეუწონებთ ქართველი მსახიობის უზრუნველყოფას, არ შეიძლება არა თქვათ: დიდი გამბედავია ჩვენი კაცი, როცა ის მსახიობის გზას ირჩევსო.

დღევანდელი დღე ქონებრივის მხრით ქართველი მსახიობისათვის ოქროს ხანაა იმ დროსთან შედარებით, როდესაც კოტე ყიფიანი სასცენო ასპარეზზე მტკიცე და გაბედულის ნაბიჯით გამოვიდა. მეორეს მხრით, როგორც უკვე მოვიხსენიე თავში, კოტესათვის ყველა გზა ღია იყო კეთილი და ბედნიერი ცხოვრებისაკენ; მაგრამ კოტე ვერაფერმა ვერ სძლია და მან თავიდანვე გადაწყვიტა თავისი ნიჭი, ახალგაზრდობა, ჯან-ღონე, სწავლა, ცოდნა — ყოველივე მსხვერპლად მოეტანა საყვარელი სამშობლოს წინაშე.

— აჰა, მიიღე ჩემგან ყოველივე, რაც კი მე გამაჩნია, სამაგიერო მე არაფერი მინდა! — უთხრა კოტემ თავის ქვეყანასა და ხალხს და შეუდგა სხვებთან ერთად ქვეყნის აღორძინების საქმეს.

მას შემთხვევა ჰქონდა, როგორც მსახიობს, სახელიც დიდი შეეძინა და სახრავიც, მაგრამ არ მოინდომა.

რატომ? სახელსა და ქონებაზე ერთად ვინ გიჟი იტყვის უარს! ამისთანა გიჟი სწორედ კოტე იყო:

მას სამშობლო და მშობლიური სცენა თავის თავზე უფრო უყვარდა.

აი ამისი დამამტკიცებელი საბუთიც:

დიმიტრის. ოჯახში ხშირად დაიარებოდა ალექსანდრე ივანეს ძე პალმი, რომელსაც კოტეს თამაში ძალიან მოსწონდა. იმის შვილს სერგეი პალმს თბილისში ჰყავდა რუსული დასი, რომელშიაც ერთ საუკეთესო მსახიობად ითვლებოდა გორევის ქალი. ამ დასთან ერთად კოტემ ითამაშა რუსულ სცენაზე ოსტროვსკის „შემოსავლიან ადგილში“ — ღენერალ ვიშნევსკის როლი.

გორევას საშინლად მოეწონა კოტე, მიიხმო თავისთან და დაუწყო რჩევა:

— ქართულმა სცენამ რა უნდა მოგცეს? ენა მშვენივრად იცი, გარეგნობა კარგი გაქვს, ნიჭი დიდი. წამოდი ჩემთან პეტერბურგს, მოსკოვს, სახელიც დიდი გექნება და შემოსავალიც.

ამგვარსავე რჩევას აძლევდა კოტეს ალექსანდრე პალმი, რომელიც ცალკე დიმიტრის ემუდარებოდა: შენი შვილი გაგვატანეო.

კოტეს უნდოდა გაეგო: ნეტავი რას მეტყვის მამაჩემი, ამათი რჩევა რომ შევატყობინოო, და ერთ დღეს გორევის ქალის ნალაპარაკევი გადასცა მამას.

— როგორი მსახიობი ხარ? — ჰკითხა დიმიტრიმ წყრომის კილოთი, თუმცა თვითონაც კარგად იცოდა, როგორი მსახიობი იყო კოტე.

— პირველხარისხოვანი, ასე ამბობენ. — მიუგო კოტემ.

— შენ აქ პირველი ხარ, იქ კი მეორეხარისხოვანი იქნები. — მიუგო დიმიტრიმ. მას ეგონა, რომ კოტეს გადაწყვეტილი ჰქონდა რუსულ სცენაზე გადასვლა და ამით უნდოდა კოტესათვის თავისი განზრახვა შეეცვლევინებინა.

მაგრამ კოტეს ერთხელაც არ გაუვლია გულში სამშობლო სცენის მიტოვება.

„იმაზე ბევრი არა მიფიქრია რა და გორევის ქალსაც და პალმსაც ცივი უარი შევუთვალე და ვირჩიე სამშობლო სცენაზე დარჩენა, რომელიც სულით და ხორცით დიდად შემიყვარდა, — მოგვითხრობს კოტე. — ვარჩიე, ვემსახურო ჩემს სამშობლოს, ჩემს ქართველ საზოგადოებას და არა სხვას ვისმე, რომლისთვისაც მე უცხო ვიყავი; ისევ ჩემიანებში მერჩივნა ჭირი, ვიდრე ლხინი უცხოთა შორის და დავრჩი აქ“.

კოტე და ამპლუა. კოტეს რეპერტუარი. კოტეს საყვარელი ტიპები. ძველი რეცენზიები კოტეს შესახებ. წერილი „ივერიიდან“. კოტე, როგორც მსახიობი. კოტეს მიერ შექმნილი ტიპები. კოტეს დამოკიდებულება ამხანაგებთან. კოტე და თეატრი. მეფე ლირი. კოტე კერძო ცხოვრებაში. კოტე როგორც მოქალაქე.

როგორც უკვე მოვიხსენიეთ, საზოგადოების ყურადღება კოტე ყიფიანმა სამუდამო დასის დაარსებამდე ჯერ კიდევ ბევრით ადრე მიიპყრო, როცა ის კლუბებსა და კერძო ოჯახებში თამაშობდა. კოტე საუკეთესო სცენისმოყვარედ ითვლებოდა. სამუდამო დასში მან თავიდანვე საპატიო ალაგი დაიკავა. ვისაც ჩემი სიყმაწვილე არ უნახავს, ღმერთმა ჩემი სიბერე იმას ნუ ანახოსო, ამბობს ქართული ანდაზა. თავის სიცოცხლე კოტემ შეუწყვეტელ შრომაში გაატარა

და, მიუხედავად ამისა, ახლაც გვიტაცებს, გვაღელვებს, გულს ხან ტკბილად გვიტოკებს, ხან სევდის მორევში გვაგდებს მისი თამაში.

კოტეს ახლანდელი თამაში ჩვენ ვერ გვეტყვის იმას, თუ რა იყო კოტე მაშინ, როცა იმის ახალგაზრდა გულს დროისა და ჯაფის დაღი არ აჩნდა ჯერ.

მაგრამ ცარიელ ქებაში რომ არავინ ჩამოგვართვას, ჯერ სხვას დავუგდოთ ყური.

„კოტე ყიფიანი დრამატული არტისტია, — ვკითხულობთ „ქართულ თეატრში". — ეგრეთწოდებულ დრამატულ რეზონიერის ამპლუაზე დღემდე ბადალი არა ჰყავს; არა ჰყავს აგრეთვე ბადალი მოხუცებულ, ბებრების კომიკურს როლებში, რომლებსაც დიდის ხელოვნებით ასრულებს ხოლმე. ამ მხრივ კოტე ყიფიანის ნიჭი სწორედ შესანიშნავია. ძნელად გამოვა არტისტი, რომ ერთის და იმავე ხელოვნებით და ბუნებრივის სიმართლით ითამაშოს დრამატული და კომიკური როლები, ბებრები და ახალგაზრდები. ამ შემთხვევაში კოტე ყიფიანი სრულებით არაჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენს ჩვენს სცენაზე მაინც".

დიმიტრი ყიფიანის შეხედულებით ნიჭიერი მსახიობისათვის ამპლუა არ უნდა არსებობდეს. ამავე აზრს უნერგავდა ის კოტეს და ურჩევდა: ყველაფერი ითამაშე, ყოველგვარ როლში გამოდიო.

უამპლუოდ თამაში, — აი უმაღლესი ხელოვნება ბევრის აზრით.

შეიძლება დავეთანხმოთ ან არ დავეთანხმოთ ამგვარ მოძღვრებას, ხოლო ეს კი ცხადია, რომ კოტემ ამგვარი შეხედულება უნაკლულოდ დაამტკიცა სცენაზე და დაგვარწმუნა, რომ მას ერთნაირის ხელოვნებით შეუძლია წარმოდგენა სრულებით სხვადასხვა წლოვანების, გონების, ხასიათის, ტემპერამენტის, წრის, წოდების ტიპებისა.

რა არის საერთო, მაგალითად, ჟან ბოდრსა და სოსიას შორის? ან და რევაზ ფანტიაშვილსა და სვიმონ ლეონიძის შორის? ერთსაც და მეორესაც კოტე ყიფიანი იშვიათის ხელოვნებით ასრულებს.

გადაავლეთ კოტე ყიფიანის რეპერტუარს თვალი: მეფე ლირი, ვენეციელი ვაჭარი, რევაზ თავქარიანი, ჟან ბოდრი, სვიმონ ლეონიძე, გიქო, ზამბახოვი, გოროდნიჩი, ოსიპი, სიზოვი, ანდუყაფარ, გვრიტიშვილი, ელიზბარ ერისთავი და მრავალი სხვა. ამ უბრალო ჩამოთვლიდანაც ნათლად დაინახავს მკითხველი, თუ რამდენად მრავალმხრივია კოტეს ნიჭი.

მიუხედავად იმისა, რომ ერთგვარის სინამდვილით ჰქმნის კოტე სხვადასხვა ტიპის სურათს, მას მაინც განსაკუთრებით მოსწონდა დ-

მოსწონს ისეთი როლები, საცა საჭიროა დახატვა ადამიანის სულის-კვეთებისა, ფსიქოლოგიისა და შესაფერი მიმიკისა.

აქვე საჭიროა აღვნიშნოთ, რომ კოტე სახის გამომეტყველებას, მიმიკას სარკის შემწეობით სწავლობდა.

ამგვარად კოტეს უფრო მოსწონს ტრაღიკული როლები. მისი საყვარელი ტიპებია მეფე ლირი, რიშელიე, კორადო, შეილოხა, სვიმონ ლეონიძე.

თვალი რომ გადააავლოთ იმ დროის რეცენზიებს, როცა ჩვენში სამუდამო დასი შესდგა, კოტე ყიფიანის შესახებ დაუსრულებელი ქების მეტს ვერას წაიკითხავთ. აქა-იქ ხანდახან უსაყვედურებენ, როლი არ იცოდაო. უნდა გამოვტყდეთ, ეს საყვედური ზოგჯერ მართალია. საზოგადოდ ქართველმა მსახიობებმა თავისი როლები ხეირიანად არ იციან ხოლმე.

ბევრი ამ მოვლენას სიზარმაცითა ხსნის. ჩემის შეხედულებით ქართველ მსახიობს სწორედ რომ ზარმაცს ვერ ვუწოდებთ. თვეში რამდენიმე ახალი პიესის გაზეპირება ხუმრობა საქმე არ არის.

კოტე ყიფიანი ნამეტანი შრომისმოყვარეა. ყოველი როლი ხელახლად უნდა გადასწეროს თავიდან ბოლომდე, თუნდა ათჯერაც რომ ჰქონდეს ნათამაშევი, როცა კოტეს ასწავლიდნენ, სისტემა სწავლისა იმ დროს სხვანაირი იყო: მისი მასწავლებლები დაზეპირების წინააღმდეგნი იყვნენ. კოტე პატარაობიდანვე არ მიაჩვეიეს ზეპირად რისამე დასწავლას და დღემდე მას ეს ნაკლი შერჩა: რისიმე დაზეპირება მეტისმეტად ეძნელება.

აბა ყური დავუგდოთ რეცენზიებს.

1879 წელს ბათუმში უთამაშნიათ „ძალად ექიმი“[1], და, აი, რას ვკითხულობთ კოტეს შესახებ: „თათუას როლს ასრულებდა კოტე ყიფიანი და უნდა ვსთქვათ, რომ ფრიად ნიჭიერი მოთამაშე ყოფილა. ეტყობოდა, რომ თამაშის დროს ის სხვას არაფერს ფიქრობდა, გარდა იმისა, რომ საზოგადოებისათვის ნამდვილი მევაქსე გამოეხატა“.

„შემოსავლიან ადგილში“ კოტეს უთამაშნია იუსოვის როლი და ამის გამო რეცენზენტი სწერს: „კ. ყიფიანს ნიჭი, მიხვრა-მოხვრა, ენა, სცენის ცოდნა და სხვა ყველაფერი სრულ ნებას აძლევს, რომ იუსოვისთანა ძველი ჩინოვნიკის როლი კარგად ითამაშოს“.

კოტე ყიფიანი გამოვიდა სუნდუკიანცის „პეპოში“ გიქოს როლში. ამის შესახებ რეცენზიაში ვკითხულობთ: „დამჯდარ, აუჩქა-

---

[1] მოლიერის კომედია, ქართულად გადმოკეთებულია გ. ერისთავის მიერ. იხ. რეცენზია—„დროება“, № 149, 1879 წ., 19 ივლისი, „ქართული ტრუპა ბათუმში“. — ვ. ნ.

რებელ მოხუცის გიქუას როლს კოტე ყიფიანი ისე ტიპიურად თამაშობდა, რომ თქვენი თავი თეატრში კი არ გეგონათ, არამედ გეგონებოდათ, რომ ნამდვილი ხორცშესხმული მოხუცი სდგას თქვენ თვალწინ".

ნუ დაგავიწყდებათ, რომ კოტე ამ დროს ფრიად ახალგაზრდა იყო.

1882 წელს კოტე ყიფიანშა თავის საბენეფისოდ დასდგა ჯიაკომეტის დრამა „კაცის მკვლელი" და თვითონ თამაშობდა კორადოს.

აი რას სწერს ამის შესახებ რეცენზენტი: „ოთხშაბათს, 3 ნოემბერს, ჩვენი ნიჭიერის და სცენის ერთი განმანათლებელის ბენეფისი იყო... ბ-მა კ. ყიფიანმა, ჩვენი სცენის დამამშვენებელმა თაიგულმა, აშკარად თვალწინ გადაგვიშალა, თუ როგორ ჰკვდებიან მოწამლულები და თუმცა რამოდენიმე წუთს იგრიხებოდა, იკლაკნებოდა და იქიმებოდა, ჩვენი საზოგადოება, დაჩვეული განუწყვეტელს ხარხარს, იმან ერთბაშად შეიპყრო, შებოჭა, სული გააკმენდინა და აშკარად აგრძნობინა, თუ რა რიგ წვალებაში უნდა იყოს საწამლავ-მიღებული კაცი. ამ ჩვენი თეატრის მნათობმა დაგვანახვა, რომ საზოგადოების სიცილი ამგვარ შემთხვევაში საზოგადოების მოუმზადებლობაზე კი არ ყოფილა დამოკიდებული, როგორც საზოგადოდ ჰფიქრობენ, არამედ აქტიორზედ და იმის თამაშობაზედ. დღითიდღე ნიჭიერი მოთამაშე გვიჩვენებს თავის ღირსებას და ნიჭს, რომელიც თანდათან იშლება. იფურჩქნება და საზოგადოებაც აფასებს ღირსეულად ამ მოთამაშეს. იმან მიიღო რამოდენიმე საჩუქარი და ღირსეულად დაიმსახურა საზოგადოების განუწყვეტლივი ტაშისცემა და „ბრავოს" ძახილი".

რომელი რეცენზიაც უნდა აიღოთ მაშინდელი დროისა, კოტეს შესახებ ყველგან ქებაა. შვენება და თაიგული ქართული სცენისა,— აი როგორ იხსენიებენ კოტეს, სხვათა შორის, 1888 წლის „ივერიაში" იანვრის ერთ ნომერში.

ერთადერთი საყვედური, რაც ხანდახან ზოგიერთ რეცენზიაში გაისმის — როლის უცოდინარობაა.

საყურადღებოა ერთი ფელეტონი „ივერიაში" 1886 წლის ნოემბერში. ფელეტონი ეხება ქართულ თეატრს. მოვიყვანთ ამ ფელეტონიდან ზოგიერთ ადგილებს.

„ბ-ნი ყიფიანი საკმაოდ ღონიერი ნიჭია და ნიჭს გარდა დახელოვნებული არტისტიც არის. ნიჭი და ხელოვნება განუყრელი დამმანი არიან და აუცილებელი საჭიროებაც არის კარგის არტისტისათვის. ბ. ყიფიანს ეტყობა, რომ ორივე სიკეთე სჭირს და ამიტომაც ძნელად შეხვდება კაცი, რომ მან თავისი სათამაშო ოდესმე გაა-

ფუჭოს, რაც უნდა არ უხდებოდეს ან არ შეესაბამებოდეს იგი სათამაშო ბ. ყიფიანის ნიჭსა და მიდრეკილებასა. ხოლო საცა-კი ბ. ყიფიანი შეხვდება ხოლმე თავის ნიჭისა და მიდრეკილების სათამაშოსა, მაშინ იგი სრულიად დაატყვევებს მაყურებელთა ყურადღებას და ამ დატყვევების სამაგიეროს იმითი გადაგვიხდის ხოლმე, რომ ჭეშმარიტის გრძნობის სიმებს ააჟღერებს ადამიანის გულში და ესთეტიურს სიამოვნებას აგრძნობინებს. ამ ორ სიკეთეს, ერთად ბედნიერად შეერთებულს, უნდა მიეწეროს ის მუდმივი ღირსება ბ. ყიფიანის თამაშობისა, რომ თავიდან ბოლომდინ მწყობრად, დალაგებულად, თანაბრად გაჰყავს თავისი სათამაშო მაყურებელთა წინაშე. ნიჭი ხელოვნებას ეკითხება თავის საქმეზეარს და ხელოვნება ნიჭსა სთხოვს სითბოს და ბრწყინვალებას. ერთი მეორესა ჰშველის იმდენად, რამდენადაც საჭიროა. არც ერთი ნამეტანობს და კლებულობს, არც მეორე — ორივე ერთმანერთს ემორჩილებიან ერთისა და იმავე ზემოქმედების მოსახდენად. სამართალი ითხოვს, ვსთქვათ, რომ ძალიან იშვიათად შეგვხვედრია ბ. ყიფიანის ეგ ერთიანი, მრთელი ზემოქმედება არ მოეხდინოს მსმენელებზე თავისდა სასახელოდ და ჩვენდა სასიამოვნოდ"... ხანდახან როლი არ იცის ხოლმეო, დაასკვნის ავტორი.

კილო წერილისა ილიას მოგვაგონებს.

ერთ რეცენზიაში „ბიძიასთან გამოხუმრების" შესახებ კოტე ყიფიანის შესახებ, სხვათა შორის, ვკითხულობთ: „კ. ყიფიანს სათეატრო მუზა დედინაცვალისავით არ მოპყრობია და როგორც დრამატული, ისე კომიკური ნიჭი უხვად კალთით ზედ დაუბერტყია".

1888 წელს კოტეს უთამაშნია რიშელიე და ამის შესახებ აკაკი სხვათა შორის სწერს: „უნდა გამოვსტყდე, რომ ბევრი კარგი პირველი ხარისხის მოთამაშე მინახავს ამ როლში და არც ერთზე ნაკლები შთაბეჭდილება არ მოუხდენია ჩემზე კ. ყიფიანს". კოტეს რუსულად უთამაშნია ფორკატის თეატრში, სადაც ის მთელი ერთი სეზონი თამაშობდა და აკაკის რეცენზიაც სწორედ კოტეს რუსულად თამაშს შეეხება.

დასასრულ არ შემიძლია არ მოვიყვანო ერთი წერილი („ივერიიდან" 1887 წელი, 19 დეკემბერი, № 267). ამ წერილიდან ნათლად სჩანს, თუ რას წარმოადგენდა კოტე ყიფიანი ქართული სცენისათვის და როგორ უყურებს მას ჩვენი საზოგადოება.

მამის ვერაგულად მოკვლამ იმდენად იმოქმედა კოტეზე, რომ გადასწყვიტა სცენისათვის დროებით თავი დაენებებია. აი ამ გარემოებას ეხება ხსენებული წერილი.

„ბოლო დრომდის მარტო ხმა დადიოდა ტფილისის საზოგადოე-

ბაში, რომ დიდის ნიჭით მომადლებული არტისტი ქართულ დასისა, ბ-ნი კოტე ყიფიანი, აღარ მიიღებს მონაწილეობას წრევანდელ წარმოდგენებში, რადგან ყველასათვის ცნობილ მწუხარებისა გამო ერიდება ემსახუროს თეატრსო.

დღეს უკვე დაბეჯითებით ამბობენ, ვითომც ეს ხმა მართალი იყოს და ბ. კოტე ყიფიანს გარდაწყვეტილ უარი ეთქვას დრამატულ საზოგადოებისათვის.

ჩვენ გვესმის მწუხარება საყვარელის არტისტისა და მთელმა საზოგადოებამაც დაამტკიცა თავისი განუსაზღვრელი ტკივილი გულისა ხსენებულ უბედურებისა გამო. მაგრამ ამ შემთხვევაში, თუ ეს ხმა მართალია, ჩვენის აზრით, ბ. კოტე ყიფიანს სრული სიმართლე არ მიუძღვის თავის გარდაწყვეტილებაში. უნდა მოვაგონოთ საყვარელს არტისტს ზნეობრივი სურათი იმის მამისა, რომელიც მტკიცედ ადგა მაღალს მცნებას, რომ ყოველი ადამიანი მოვალეა თავის კერძო მწუხარება თუ სიხარული, თავის კარგი და ავი მსხვერპლად შესწიროს საზოგადო საქმესა და იმის წარმატებას, როდესაც ამას მოითხოვს გარემოებაო.

დღეს ჩვენი თეატრის ბედიღბალი სრულიად დამოკიდებულია არტისტების ნიჭიერებაზედ. ჩვენი გულგრილი საზოგადოება თანდათან რწმუნდება, რომ თეატრი იმისათვის ერთი უკეთესთაგანი სკოლაა გრძნობათა გასუფთავებისათვის. ეს რწმენა დაბადა საზოგადოებაში ჩვენთა არტისტთა დიდმა ნიჭიერებამ. ამ მოღვაწეთა შორის თითქმის უპირველესი ადგილი უჭირავს თვით ბ. კოტე ყიფიანს. იმისი არ ყოფნა მოთამაშეთა შორის დიდი ნაკლია ჩვენის თეატრისათვის და ამიტომ იმედი გვაქვს, რომ მოიგონებს ბ. კოტე ყიფიანი თავის დაუვიწყარ მამის ანდერძს, კერძო მწუხარებისა გამო არ უღალატებს საზოგადო საქმეს, რომელიც ისე მჭიდროდ ჰქონდა გულზე მოკიდებული იმის ძვირფასს მშობელსა, და დაუყოვნებლივ შეუდგება თავის არტისტულ მოღვაწეობასა.

ამგვარი სურვილი არა მარტო ჩვენგან არის გამოცხადებული. ჩვენ ამის გამო რამდენისამე კაცისაგან წერილი მივიღეთ და პირადადაც უთქვამთ, რომ დიდად პატივსაცემია მგლოვიარობა იმისთანა მამისა, როგორიც დიმიტრი ყიფიანი იყო, მაგრამ ეს გულითადი მწუხარება შვილისა უნდა დასდუმდეს იქაო, საცა საზოგადო საქმე მეშველს თხოულობსო, და ბ. კოტე ყიფიანი რომ ქართული თეატრის სულის ჩამდგმელია — ამას ეჭვი არ უნდა".

რითი დაიმსახურა კოტე ყიფიანმა ასეთი სახელი და პატივისცემა?

თვისის ნიჭით, შრომით, მოვალეობის სინდისიერად შესრულებითა და თეატრის უსაზღვრო სიყვარულით.

მსახიობის თამაშის შესახებ დღესაც ორგვარი შეხედულება არსებობს.

პირველი ამტკიცებს: მსახიობმა გარეგნულად უნდა დაგვიხატოს ესა თუ ის ტიპი, ამ ტიპის სულისკვეთების განცდა კი მისთვის საჭირო არ არისო.

მეორე ამბობს: მსახიობმა მარტო გარეგნულად კი არ უნდა დაგვიხატოს ტიპი, მან სცენაზე უნდა დაივიწყოს თავის თავი, გარდიქმნეს ტიპად და განიცადოს მისი სულისკვეთება, ზრახვანი და მისწრაფებაო.

ეს ორგვარი თვისება კოტე ყიფიანში ჰარმონიულად არის შეწყობილი და შეთანხმებული.

სცენაზედ თავის დაჭერა, მიხვრა-მოხვრა, ხმა, მანერები — ყოველივე ეს უნაკლულო აქვს. დიდკაცის როლში კოტე შეუდარებელია. ერთხელ კოტე თამაშობდა ჟან ბოდრის. სცენაზე საფაროვის ქალიც იყო. კოტეს ჰქონია პატარა უსიტყვო სცენა და თვისის თავდაჭერით და სახის გამომეტყველებით ისეთი შთაბეჭდილება მოუხდენია საფაროვის ქალზე, რომ ის აღტაცებული კოტეს შეაჩერდა და თვისი სათქმელი სულ გადაავიწყდა.

სცენაზე კოტე სინამდვილეს იეიწყებს, მისთვის აღარავინ არსებობს, ის თვითონაც აღარ არსებობს, როგორც კოტე, არამედ გადაიქცევა იმ ტიპად, რომელსაც თამაშობს, შეისხამს იმის სისხლსა და ხორცს, აიძგერებს მკერდში იმის გულს, განიცდის იმის სულისკვეთებას, ნებას, მისწრაფებას და ამით ჰქმნის საოცარ ილუზიას. გასაოცარი რეალიზმი — აი კოტეს ნიჭის თვისება. ყოველივე ამისათვის საჭიროა შრომა. შრომის ენერგია კოტე ყიფიანში ჭარბად იყო და არის დაგროვილი. ის მარტო ტიპს კი არ სწავლობდა, სწავლობდა ყოველ პიესას, რომელშიაც უნდა გამოსულიყო და სცდილობდა იმის გამორკვევას, თუ რა უნდა ეთქვა ან რისი დასურათება უნდოდა ავტორს. ამგვარი შრომის წყალობით კოტემ შექმნა ჩვენს სცენაზე ას-ოც ტიპზედ მეტი. ენა ადვილად იტყვის, თორემ ამდენი ტიპის შექმნა ერთი კაცის ძალღონეს ფრიად აღემატება.

აი ის პიესებიც, რომლებშიაც კოტე გამოსულა: „ადვოკატები“, „ავადმყოფი ხალხი“, „ავი სენი“, „აირია მონასტერი“, „ანუკა ბატონიშვილი“, „არსენა“, „არც აქეთ, არც იქით“, „აღლუმი“, „აღსდგა მკვდრეთით“, „აყალმაყალი ცოლ-ქმარს შუა“, „ბაიყუში“, „ბედნიერი დღე“, „ბიძიასთან გამოხუმრება“, „ბორკილი“, „ბოშა ქალი ზანდა“, „ბრაზიანი ამერიკელი“, „ბუტიაობა“, „გაყრა“, „გაძარცუ-

ლი ფოსტა“, „გემრიელი ლუკმა“, „გზა-დაბნეული ცხოვარხი“, „გლახაკნი სულით“, „გლახა ჭრიაშვილი“, „გულმა იგრძნო“, „დავა“, „დავიდარაბა“, „დათვი“, „დამნაშავის ოჯახი“, „დატრიალდა ჯარა“, „დაქცეული ოჯახი“, „და-ძმა“, „დედა-შვილი“, „განდეგილი“, „ექიმი აშირბაჯიანი“, „ვაი ჭკუისაგან“, „ვენეციელი ვაჭარი“, „თაგვის ბრალია“, „თამარ ბატონიშვილი“, „თილისმით მოარშიყე“, „როგორც ჰქუხს, ისე არა წვიმს“, „კარდინალი რიშელიე“, „კატა — აწონა“, „კაცობრიობის კეთილმყოფელნი“, „კეთილი და უმანკო ანგელოზი“, „კიდევ ერთი მსხვერპლი“, „კინტო“, „კოვერლეის სიკვდილი“, „კონსტანტინე ბატონიშვილი“, „კრიჟანგი“, „კუდურ ხანუმ“, „მარგარიტა გოტიე“, „მასკარადი“, „მგლები და ცხვრები“, „მეფე ლირი“, „მეჯლისი იტალიელებით“, „მზის დაბნელება“, „მიროვოი სუდიასთან“, „მისანი“, „მონასტრის ზღუდეთა შორის“. „მსხვერპლი“, „ნაპერწკალი“, „ნება მიბოძეთ“, „ორი გმირი“, „ორი ობოლი“, „ორ ცეცხლ შუა“, „ოტელო“, „ოჯახის ასული“, „პარიჟელი ბიჭი“, „პარიკმახერთან“, „პატარა კახი“, „პატიოსნება“, „პეპო“, „ჟან ბოდრი“, „ჟორჟ დანდენი“, „რას ვეძებდი და რა ვიპოვე“, „რაც არ მერგება — არ შემერგება“, „რაც გინახავს — ვეღარ ჰნახავ“, „რევიზორი“, „სამეგრელოს მთავარი ლევან“, „სამზადისი“, „იაკობელები“, „სამშობლო“, „სამშობლოს სადიდებლად“, „სამხედრო ბანაკში“, „საძაგელი“, „სიყვარული ახალგაზრდა ქალისა“, „სკაპენის ცუღლუტობა“, „სოფელი“, „სურათები“, „გლახის ნამბობიდან“, „სურამის ციხე“, „სუსტი მხარე“, „ტივით მოგზაურობა“, „უნდა გავიყარნეთ“, „ურიელ აკოსტა“, „ქალაქში“, „ქმარი ხუთის ცოლისა“, „ქოროღლი“, „ქოხში“, „ღალატი“, „ყაჩაღები“, „ყვარყვარე ათაბაგი“, „ყომარბაზი“, „შემოსავლიანი ადგილი“, „შეშლილია“, „შეშლილის წერილები“, „ციმბირელი“, „ციხის საიდუმლო“, „ცოლი დროებით“, „ცოლის შერთვევინება“, „ცხოვრების გარედ“, „ცხოვრების გმირი“, „ძუნწი“, „ხათაბალა“, „ხანუმა“, „ხალხის მტერი“, „ჯერ დაიხოცნენ, მერე დაქორწილდნენ“, „ჰამლეტი“.

მარტო სახელების ჩამოთვლით დაიღლება ადამიანი!

როდესაც თვალს გადაავლებთ ამდენ პიესებსა და ტიპებს, მაშინ ცხადი იქნება თვით ურწმუნო თომასათვისაც კი, რომ კოტე ყიფიანი და მასთან ერთად მისი დამსახურებული ამხანაგები აუტანელ შრომას ეწეოდნენ ჩვენი ერის საკეთილდღეოდ.

როცა ასეთს მუშაკებს უმზერთ, გულს სევდა შორდება, სახეზე მხიარულების ღიმილი იხატება. შორს უიმედობავ, მომავალი ჩვენია! — მზადა ხართ წამოიძახოთ. თავის საქმეს კოტე მუდამ ისე უყურებდა, როგორც წმინდა მოვალეობას.

სცენა კოტეს თავიდანვე იმდენად უყვარდა და უყვარს, რომ დღესაც არც ერთ ქართულ წარმოდგენას არ გამოსტოვებს და თუნდა ოცჯერაც ენახოს, მაინც დაესწრება.

ამხანაგებთან — ქალებთან და კაცებთან — ყველასთან კარგი განწყობილება ჰქონია და აქვს. ამიტომ კოტეს ყველა დიდის პატივისცემით ეპყრობოდა და ეპყრობა.

კოტე ამაყი და თავისი თავის პატივისმცემელი ადამიანია. ის უბრალოდ არავის მიაყენებს შეურაცხყოფას და არც სხვისაგან მოითმენს შეურაცხყოფას. ხოლო როდესაც საქმე წარმოდგენას, თეატრს შეეხება, მაშინ კოტე ყველაფერს აიტანს და მოითმენს. აი ამისი ერთი მაგალითი.

ერთხელ გურამიშვილისას რეპეტიცია იყო სუნდუკიანცის კომედიისა „ხათაბალა". სუნდუკიანცი რეპეტიციებს მუდამ ესწრებოდა. კოტე თამაშობდა გერასიმ იაკულიჩს. ერთი დიდი მონოლოგი სუნდუკიანცმა თორმეტჯერ ათქმევინა კოტეს. კოტე გრძნობდა, რომ ძალიან კარგად ამბობდა, დაიქანცა, მაგრამ მაინც იმეორებდა.

— აბა, კოტე, ერთი კიდევ! — აღარ ეშვება სუნდუკიანცი.

— აღარ შემიძლია.

— არ შემიძლია რა პასუხია, ხვალ წარმოდგენაა!

— სთქვი, ბიჭო! — წამოიძახა ვიღაცამ.

კოტე გაბრაზდა, ესროლა თავისი როლი და გავარდა გარეთ.

უკან დაედევნენ ლადო აბაშიძე, ინაშვილი და კ. ხერხეულიძე.

შეიქმნა ერთი ხვეწნა — წამოდი, სუნდუკიანცს ნუ აწყენინებო. კოტე არ ჩერდებოდა. წამოეწია ინაშვილი და კარგად გამოლანძღა. სხვა მსხიობი ამის შემდეგ ახლოს აღარ წაეკარებოდა ამგვარ პირებს, მაგრამ კოტე სულ სხვანაირად მოიქცა. დაეწია ქუჩაში თვისი და ელენე და დაუწყო ხვეწნა: წამოდი, უშენობა როგორ იქნებაო.

კოტემ დაივიწყა შეურაცხყოფა, დაბრუნდა მაშინვე და შეუდგა რეპეტიციის გაგრძელებას.

თეატრისათვის კოტე ყველაფერს აიტანდა, რადგანაც თეატრი მას მიაჩნია უდიდეს სკოლად ქართველი საზოგადოებისათვის. კოტემ მთელი თავისი არსებით შეიყვარა თეატრი და ის ხანა, როდესაც ახალგაზრდობის ჯანღონით, მხნეობით და გატაცებით სჭედავდნენ ჩვენი სცენის ბუდიღბალს ვასო აბაშიძე, კოტე ყიფიანი, მარიამ საფაროვი-აბაშიძისა, ნატო გაბუნია-ცაგარლისა, ლადო მესხიშვილი და კოტე მესხი, ჩვენი თეატრის ოქროს ხანად უნდა ჩაითვალოს.

კოტეს ერთ დიდ ღირსებას ის შეადგენს, რომ თვისი ბენეფისების დროს შემოსავალს არ აქცევდა ყურადღებას და არ ეძებდა ისეთ პიესებს, რომლებიც მეტ შემოსავალს მისცემდნენ.

კოტე ბენეფისის დროს ისეთს პიესას ირჩევდა, რომ მაყურებლისათვის თავისი ნიჭის სიძლიერე ცხოველად დაენახვებია და რაც შეიძლება მეტი ესთეტიური სიამოვნება ეგრძნობინებია.

როდესაც საზოგადოება უფრო ვოდევილებსა და კოშედიებს ეტანებოდა, კოტე სცდილობდა საზოგადოებისათვის ესთეტიური გემოვნება განევითარებია და აცნობდა მას კლასიკურ პიესებს. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ზოგჯერ იმის ბენეფისებს ხალხი იმდენი არ ესწრებოდა, რამდენისაც ის ღირსი იყო.

მატერიალურად კოტე აგებდა, სამაგიეროდ ის იგებდა ზნეობრივად, რადგანაც კლასიკურ პიესებს ჩვენს სცენაზე გზას უკაფავდა და საზოგადოების ესთეტიურ გრძნობას ავითარებდა.

კოტე კერძო ცხოვრებაში სულ უბრალო კაცია, მხიარული, ხელგაშლილი, თავმდაბალი, კარგი ბოლაპარაკე. ის ყველგან და ყველასთან ერთნაირია; თუ კი რამ შეუძლია, არავისთვის არაფერს დაიშურებს. როგორც მემამულესა და მებატონეს, გლეხებთან მუდამ კარგი განწყობილება ჰქონდა და აქვს. გლეხები მას „ჩვენს კოტეს“ ეძახიან. თვისის რწმენით კოტე მუდამ დემოკრატი იყო და ამგვარივე დარჩა ბოლომდის, რის გამო ჯერ აკადემიაში ყოფნის დროს იგემა დევნა, შემდეგ 1884 წელს სოფრომ მგალობლიშვილთან ერთად იჯდა გორის ციხეში.

ოცდათოთხმეტის წლისა იყო კოტე ყიფიანი, როდესაც მან ცოლი შეირთო. კოტეს მეუღლე ნინო ტატიშვილის ასული ჩვენს საზოგადოებაში ცნობილია, როგორც საზოგადო მოღვაწე და მწერალი. ნინოს ბევრი სამსახური გაუწევია ჩვენი თეატრისათვისაც, განსაკუთრებით პროვინციებში. ზაფხულობით ის მოუყრიდა ხოლმე თავს სცენისმოყვარეებს და მართავდა წარმოდგენებს ქვიშხეთში, ხაშურში და სურამში.

სხვადასხვა საზოგადო საქმეში ხშირად მიუღია და დღესაც იღებს მონაწილეობას.

თვითონ კოტე ყიფიანი თავისი ბეუღლის აზრს დიდად აფასებდა და აფასებს.

კოტეს მოღვაწეობა სამწერლო ასპარეზზე. მისი ნაწერები და ხამეცნიერო შრომანი. ამხანაგების აზრი კოტეს შესახებ.

ამ რამდენიმე ხნის წინეთ ერთი ადგილობრივი გაზეთი სწერდა: კოტე ყიფიანის იუბილე ორგვარია: საარტისტო და სალიტერატუროო. ეს სრული ჭეშმარიტებაა. კოტეს სამსახური და ღვაწლი სამწერლო ასპარეზზე საკმაოდ თვალსაჩინოა. აგერ ორმოცდასამი წე-

ლიწადია, რაც კოტე ამ გზაზე გამოვიდა და ჯერაც კალამი ხელიდან არ გაუგდია.

პირველი მისი წერილი ქართულ ენაზე დაიბეჭდა 1877 წელს ამ სათაურით: „მგზავრის წერილები სვანეთზე". კოტეს რუსულადაც აქვს ნაწერები, ქართულადაც. რუსულად მას უწერია როგორც „Московския Ведомости"-ში, ისე ადგილობრივ ჟურნალ-გაზეთებში. პირველი მისი წერილი საქონლისა და ცხვრის თურქულის შესახებ დაბეჭდილია 1870 წელს „მოსკოვის უწყებებში".

სულ რუსულ ენაზე აქვს 63 სტატია და შრომა. სტატიები მრავალგვარი შინაარსისაა, რაც აშკარად ამტკიცებს ავტორის ცოდნასა და მრავალმხრივ განვითარებას: ზოგი პუბლიცისტურია, ზოგი სამეცნიერო. ზოგი ბელეტრისტული. რუსულ ენაზე კოტეს დაუწერია რამდენიმე პიესა: ზოგი დრამა, ზოგი კომედია.

ამ რამდენიმე წლის წინეთ გამოვიდა კოტეს მიერ შედგენილი რუსულ-ქართული საასტრონომიო, საზოოლოგიო და სამინერალოგიო ლექსიკონი.

სამეცნიერო დარგში ყველაზე დიდ შრომად უნდა ჩაითვალოს:

1. რუსულ-ქართულ-ლათინური საბოტანიკო ლექსიკონი და 2. რუსულ-ქართული აკადემიური ლექსიკონი.

ორივე ეს წიგნი მეტად დიდი შრომაა და ჯერ გამოუცემელია.

რუსულ-ქართულ აკადემიურ ლექსიკონში ორასი ათასამდე ქართული სიტყვა აქვს ავტორს ახსნილი და განმარტებული. მარტო ეს ერთი დიდი და მეტად მნიშვნელოვანი შრომა საკმარისია, რომ ავტორმა საპატიო ალაგი დაიკავოს ჩვენს მწერლობაში.

ლექსიკონების შედგენის განზრახვა კოტეს ჯერ კიდევ სამოცდაათიან წლებში დაებადა.

როდესაც კოტე ბორჯომში მსახურობდა ბორჯომის მამულების გამგის თანაშემწედ, ბორჯომში ჩამოსულა თბილისის გუბერნიის სახელმწიფო მამულების გამგე გენერალი მურავიოვი და მოუნდომებია მინერალური წყლების მახლობლად ტყის დათვალიერება.

მას გაჰყოლიან კოტე, ბორჯომის მამულების გამგე და ადგილობრივი პოლიციის ბოქაული — ქართველი. დაღლილებს შეუსვენიათ დიდი მურყანის ქვეშ.

— Какое это дерево? — ეკითხება მურავიოვი ბოქაულს.

— Муркновое дерево, Ваше Превосходительство! — უპასუხა ბოქაულმა.

კოტე გადაბრუნდა და დაიწყო ხარხარი, რადგანაც მურყანი, რუსულად არის ოლხა (Ольха). მურავიოვი დაეკითხა კოტეს, რაზედ აგიტყდა სიცილიო. კოტემაც აუხსნა, რაშიც იყო საქმე. აი ამ გარემოებამ დაუბადა კოტეს განზრახვა რუსულ-ქართული ბოტანიკური ლექსიკონის შედგენისა. საცა კი ბოტანიკური შინაარსის სიტყვას შეხვდებოდა, იწერდა უბის წიგნში ქართულად და რუსულად. ცამეტი წლის განმავლობაში აგროვა კოტემ ამგვარად მასალა და შეადგინა საკმაოდ მოზრდილი რუსულ-ქართულ-ლათინური საბოტანიკო ლექსიკონი, სადაც 2300-ზე მეტი ქართული სახელებია მცენარეებისა.

ამგვარმა შრომამ კოტე იმდენად გაიტაცა, რომ მან განიზრახა აკადემიური ლექსიკონის შედგენა პავლენკოვის ენციკლოპედიური ლექსიკონის მსგავსად.

კოტემ დაიწყო ბიბლიიდან; ჰკითხულობდა მას და სწერდა ცალ-ცალკე ქაღალდზე ყოველ რუსულ უცნობ სიტყვას. შემდეგ ეძებდა ყოველი რუსული სიტყვის შესაფერ ქართულ სიტყვას. ამგვარი შრომისათვის დიდი სიმტკიცე, მოთმინება და საქმის უზომო სიყვარულია საჭირო. ცალცალკე ამოწერილ სიტყვებს კოტე ანაწილებდა ანბანზე და ყოველ ასოზე დაგროვილ სიტყვებს ინახავდა ცალკე კონვერტებში. შემდეგ ყოველ თვითეულ კონვერტში დაგროვილ სიტყვებს ჩამოსწერდა ხელთნაწერში იმრიგად, როგორც ეს მიღებულია საზოგადოდ ლექსიკონებში. ამგვარი მუშაობის დროს აღმოჩნდა, რომ მრავალია ისეთი ქართული სიტყვა, რომლის გამოსახატავად რუსული სიტყვა არ არსებობს.

აკადემიურ ლექსიკონზე კოტე უკვე თხუთმეტი წელიწადი მუშაობს.

ორივე ეს ლექსიკონი დიდი განძია და თუ აქამდე ვერ დაიბეჭდა, იმიტომ რომ დიდი ხარჯი სჭირდება.

კოტეს ქართული ნაწერები მრავალგვარი შინაარსისა: მას ქართულ ჟურნალ-გაზეთებში უწერია პუბლიცისტური წერილები, მოთხრობები, კრიტიკული წერილები, ვოდევილები, კომედიები და დრამები.

აი სია მისი ნაშრომებისა ქართულ ენაზედ:

1. მგზავრის წერილები სვანეთზე („ივერია", 1877 წ.).
2. თამასუქი, მოთხრობა („ივერია").
3. რაფიელ ერისთავის ბოტანიკური ლექსიკონის გარჩევა („ივერია").
4. კაცობრიობის ზნეობრივ-გონებრივი განათლება.
5. ქართული ათასი მონოგრამმი.

6. თეატრის მნიშვნელობა („ივერია“).
7. საწურთვნელი გასართობი. სათამაშო ბავშვთათვის.
8. თვითმართველობა.
9. სიბრძნე სიცრუის წიგნიდან („ნიშადური“).
10. დიმიტრი ყიფიანის მკვლელობა („პატარა გაზ.“).
11. ვინ მოიგო? („ისარი“).
12. ჩემი არტისტობის თავგადასავალი („ფასკუნჯი“).
13. დანგრეული ყორე, ესკიზი („საქართველო“).
14. ბოსელში, ესკიზი („თემი“).
15. ხიფათი, ესკიზი („თემი“).
16. გატყდა კვერცხი, ლეგენდა („თემი“).
17. ავი ქალი, ლეგენდა („თემი“).
18. რისთვის, რათა? („ჩანგი“).
19. მეფე ლირი ქართულ სცენაზე („თემი“).
20. წერილი რედაქციას („თემი“).
21. ცოტა რამ დიმიტრი ყიფიანის ცხოვრებიდან („თემი“).
22. ქართული დრამატიული ხელოვნების შესწავლა („სახალხო გაზ.“).
23. ცოტა რამ ჩვენი წარსულიდან. თორმეტი ფელეტონი („ქართლი“).
24. „ზემო ქართლიდან“. კორესპონდენციები კოტე სანინელის ხელმოწერით.

კოტეს დრამატიული ნაწერები — თარგმანი და ორიგინალური — შემდეგია:

1. ტორკვემადა, თარგმ.
2. მეირიმა ანუ ბოსნელები, თარგმ.
3. მერკადე, თარგმ.
4. ნაპერწკალი, კომედია.
5. ვახუშტი სპასალარი, ისტორიული დრამა.
6. ორი მამა, ისტორიული დრამა.
7. ბედი ქართლისა, ისტორიული დრამა.
8. ცოტნე დადიანი, კომედია.
9. კუზიანი, დრამა.
10. თავხედი, ვოდევილი.
11. დატრიალდა ჯარა. ვოდევილი.
12. ეკა გურიელი, ისტორიული დრამა.
13. უსისხლოდ, ისტორიული დრამა.

როგორც ქართულად, ისე რუსულადაც ბევრი აქვს კოტეს ნაწერი, რაც საცენზურო პირობებისა გამო ვერ დაიბეჭდა.

კოტეს დრამატიული ნაწერები უმთავრესად ისტორიულის შინაარსისაა.

მართალია, ამ დრამებში ხშირად არ არის ის, რასაც დრამის კვანძს ეძახიან, ვერა ვხედავთ მოქმედების თანდათანობით განვითარებასა და გაძლიერებას; ზოგან მომქმედი პირები მეტად მრავალია, მაგრამ ზოგი მათგანი სასცენო ღირსებით საკმაოდ დაჯილდოვებულია და ამიტომ წარმოდგენაც საჭიროა.

ავიღოთ, მაგალითად, „ბედი ქართლისა". ეს პიესა დიდის ინტერესით იკითხება და სცენაზედაც დიდ შთაბეჭდილებას მოახდენს მაყურებელზე. აქ ავტორს საუცხოოდ აქვს დასურათებული საქართველოს არსებობის უკანასკნელი დღეები, ინტრიგები გიორგის სასახლეში და სხვა მიმდინარეობა წარჩინებულ პირთა შორის საქართველოს მომავალი ბედ-იღბლის შესახებ. გარდა იმისა, რომ მდაბიო ხალხს ეს პიესა მიიზიდავდა, ჩვენს უახლოეს წარსულსაც გააცნობდა.

ბუნებით კოტე დიდი ოპტიმისტია. გულით მხიარული, გულუხვი, ამიტომ საამხანაგოდ იგი შეუდარებელია; ის მზად არის, რითაც კი შეუძლია, ყველას დაეხმაროს. ამ თვისებებისა გამო ამხანაგები მას მუდამ პატივსა სცემდნენ და აფასებდნენ.

როგორი აზრისა არიან კოტეს შესახებ მისი ამხანაგები?

დავუგდოთ ჯერ ყური ვალ. გუნიას, რომელიც ქართული თეატრის ერთი დედაბოძთაგანია: „ჯერ კიდევ სამუდამო დასის ხსენებაც არ იყო, როცა კ. ყიფიანი ხან კლუბების და ხან კერძო ოჯახების სცენაზე თამაშობდა მაშინდელ სცენისმოყვარულებთან. იმ ხანებშივე დაეტყო კ. ყიფიანს სასცენო ნიჭი დრამატიულ როლებში და მაშინ საუკეთესო სცენისმოყვარედ ითვლებოდა. დაარსდა თუ არა სამუდამო სცენა, ყიფიანს მაშინათვე შესაფერი ადგილი მისცეს და დროგამოშვებით დღემდე ემსახურება ქართულ სცენას. კ. ყიფიანი დრამატიული არტისტია, ეგრეთწოდებული დრამატიულ რეზონიორის ამპლუაზე დღემდე ბადალი არა ჰყავს; არა ჰყავს აგრეთვე ბადალი მოხუცებული, ბებრების კომიკურს როლებში, რომლებსაც დიდის ხელოვნებით ასრულებს ხოლმე. ამ მხრით კოტე ყიფიანის ნიჭი სწორეთ შესანიშნავია. ძნელად გამოვა არტისტი, რომ ერთის და იმავე ხელოვნებით და ბუნებრივის სიმართლით ითამაშოს დრამატიული და კომიკური როლები, ბებრები და ახალგაზრდები. ამ შემთხვევაში კოტე ყიფიანი სრულებით არაჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენს ჩვენს სცენაზე მაინც".

თავის წერილს ვ. გუნია ასე აბოლოვებს: „კ. ყიფიანი ამჟამად ერთი საუკეთესო არტისტია ჩვენში და კიდევ ბევრი ხანი გაივლის,

სანამ ყიფიანს სცენაზე მემკვიდრე გამოუჩნდებოდეს; მისგან შექმნილი ხასიათები და ტიპები დიდხანს დარჩება ქართველ საზოგადოების ხსოვნაში და ბევრი ახალგაზრდა მოთამაშენი მიჰბაძავენ მას“.

დავუგდოთ ახლა ყური ჩვენი სცენის დამამშვენებელს მარიამ საფაროვ-აბაშიძისას: „მე ყოველთვის სიმწარით მომისმენია ხოლმე კოტე ყიფიანის შესახებ ზოგიერთი ახლანდელების აზრი, რომ კოტე მაინცდამაინც დიდი არტისტი არ არისო. ჩემი აზრით კი, თუ არ მართლა დიდი ნიჭის პატრონი, ვერ შეასრულებდა ისე სამაგალითოდ დრამატიული რეზონიორის როლებს, როგორც ასრულებდა კოტე, მაგალითად, „ჟან-ბოდრში“, „ორ ცეცხლშუა“, „შეილოკში“ და სხვადასხვა. ამ პირებს ამგვარი შეცდომა იმითი მოსდით, რომ არ უნახავთ კოტე, როცა ის პირველ თხუთმეტ წელიწადს თამაშობდა მუდმივი სცენის დაარსების შემდეგ. მე ჩემს სიცოცხლეში სცენაზე ისე არ დამიკარვავს თავი, რომ ჩემი როლი დამვიწყებოდეს, მაგრამ იყო ჩემს სიცოცხლეში ასეთი მაგალითი. კოტე თამაშობდა ჟან-ბოდრს, მე იმის ქალს. ერთ მოქმედებაში კოტე შემოდის სცენაზე, მეც იქვე იმის ქალის როლს ვთამაშობ. ისე გამიტაცა კოტეს თამაშობამ, თუმცა უსიტყვომ, რომ კინაღამ დამავიწყდა ჩემი სცენაზედ ყოფნა და ასე შევსძახე: კოტე, რა მშვენივრად თამაშობ-მეთქი. ისეთი მედიდური მიმოხვრა ჰქონდა, ქუდი იმნაირად დასდო მაგიდაზედ და ისე შემომხედა, რომ ბევრი მრავალმეტყველება ვერ იტყოდა იმას, რაც იმან ამ ერთის მოძრაობით გამოჰხატა.

რაც შეეხება სიყვარულს და მოვალეობას სცენისადმი, მე მეორე არტისტი არ მეგულება მაგრე გამსჭვალული და მუყაითი თავის მოვალეობისა თეატრისადმი. რა გინდ დიდ მეჯლისში ჰყოფილიყო კოტე, წარმოუდგენელი იყო, რომ დანიშნულ დროს არ გაჩენილიყო თეატრში ყოველთვის ფხიზელი, ზრდილი, მეტად თავაზიანი ყველასთან. მე არ მახსოვს, რომ მაგის მხრით რამე შეფერხება მისცემოდეს წარმოდგენის გამართვას. რაც შეეხება ნივთიერ ჯილდოს, კოტე ყოველთვის იყო უანგარო: რასაც მისცემდნენ, იმას აიღებდა.

ამხანაგებთან კოტე იყო მეტად ზრდილი, თავდაჭერილი, რაც ჰმოწმობდა მის საუცხოო აღზრდასა და ოჯახიშვილობას. მთელი მისი დედ-მამის ოჯახი ფეხზედ ადგა და თავდავიწყებით ემსახურებოდა თეატრს. სამ-ოთხ ოჯახთა შორის პირველი ადგილი ეჭირათ ნეტარხსენებულ დიმიტრი ყიფიანის და აგრეთვე პატივცემულ გიორგი თუმანიშვილის ოჯახს. მაშინდელს ჩვენს ნივთიერად გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩვენთვის ეს დიდ შემწეობას შეადგენდა; ამ პატივცემულ ოჯახების კარი ყოველთვის ღია იყო ჩვენთვის; ჩვენ აქ ვიყრიდით თავს, ვაწყობდით სათეატრო საქმეს და თანაც ვნადიმობ-

დით. ამ დროს ხშირი იყო ისეთი შემთხვევა, როცა მსახიობი ქალი ან კაცი გვაკლდა. ამ შემთხვევაშიც ისევ დიმიტრი ყიფიანის ოჯახი იყო ჩვენი გაჭირვების ტალკვესი. ეს გვიხსნიდა გაჭირვებიდან; ხან კოტეს ვათამაშებდით, ხან იმის ძმას, ხან დას — ელენეს. მაშინდელს დროში ეს არა თუ დიდი დახმარება, დიდი მსხვერპლიც იყო, რადგანაც ძვირი იყო ისეთი ოჯახი, რომელსაც არა თუ ქალი, მამაკაცი გამოეშვა სცენაზე სათამაშოდ. კოტეს ღირსებად კიდევ უნდა ჩაითვალოს ის, რომ მას ძალიან ხშირად მიუღია მონაწილეობა უსასყიდლოდ სხვადასხვა წარმოდგენაში ამხანაგის ან კერძო პირის სასარგებლოდ. საზოგადოდ უნდა აღვნიშნო, რომ კოტეს თეატრი ძალიან ცოტას აძლევდა და ის მეტი წილი თავისი ხარჯით ემსახურებოდა სცენას".

ამგვარია მოკლედ ცხოვრება ამ ადამიანისა, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე ქართულ თეატრს შესწირა. კოტე ყიფიანის სახელი განუყრელია ჩვენი სცენის ოქროს ხანასთან და სანამ ქართველი ერი ცოცხალი იქნება, კოტეს სახელიც უკვდავი იქნება.

1914

ჩვენი მოღვაწე ქალები—ნინო ბეჟანის ასული ყიფიანისა[1]

ტაში მსახიობის გულს ყოველთვის ახარებს და ახალისებს, მაგრამ ზოგი დიდ ყურადღებას აქცევს ტაშს, ზოგი ნაკლებს. კოტე ყიფიანი უმთავრეს ყურადღებას იმას აქცევდა, რომ სულიერი მხარე ამა თუ იმ ტიპისა რაც შეიძლებოდა მეტის სინამდვილით გადაეშალა მაყურებლისათვის.

— ყოველგვარის ღონისძიებით აპლოდისმენტების გამოწვევას არა ვცდილობდი, საზოგადოების აზრს მუდამ დიდად ვაფასებდი, ხოლო ჩემი საუკეთესო მსაჯული ჩემი მეუღლე ნინო ბეჟანის ასული იყო! ყოველი წარმოდგენის შემდეგ მე მას დავეკითხებოდი: აბა მითხარი, როგორ ვითამაშე-მეთქი. თუ ნინო მეტყოდა: კარგადო, მე კმაყოფილი ვიყავი; თუ მეტყოდა: ცუდადო, ბევრსაც რომ ვექე, მე მაინც აღარ ვიყავი ჩემი თამაშის კმაყოფილი. — აი კოტეს სიტყვები.

პატარა ნინო ქვიშხეთში ხშირადა სცხოვრობდა ხოლმე თავის დეიდასთან. ქვიშხეთში მას წერა-კითხვას ასწავლიდა კოტეს და ელენე. კოტეს ნინო აი ამ მხრიდან იცნობდა. ბავშვებმა ხშირად იციან ხოლმე ქორწილობიას თამაში. ნინოსაც უთამაშნია ტოლ-ამხანაგებში, რვა-ცხრა წლისა როცა იყო. კოტე მაშინ ახალგაზრდა იყო და ალბათ მისი გარეგნობისა და ბავშვების ქორწილობიას ბრალი უნდა იყოს, რომ ცხრა წლის ნინოს უნატრია: ნეტავი კოტე ჩემი ქმარი იყოსო. არ გასულა ამის შემდეგ სულ შვიდი-რვა წელიწადი, რომ ნინოს ბავშვობის ნატვრა აუსრულდა. ნინოს ძმა ნიკო ტატიშვილი ბორ-

---

[1] კოტე ყიფიანის ბიოგრაფიის შედგენის დროს შემთხვევა მქონდა, უფრო დაახლოებით გამეცნო მისი მეუღლის — ნინოს — მოღვაწეობა. აზრადა მქონდა ყველა ჩვენი მოღვაწე ქალების ღვაწლის ანუსხვა, მაგრამ ჯერჯერობით ვერ შევსძელი და მომავალში იმედი მაქვს, ჩემი განზრახვა განვახორციელო. ჩვენს ქალებში საკმაო რიცხვია ისეთი მოღვაწეებისა, რომლებითაც ჩვენ თავი უნდა მოგვწონდეს და მათი ღვაწლის გათვალისწინება ყოველი ქართველის მოვალეობაა. —ი. ბ.

ჯომში მასწავლებლად იყო და ზაფხულობით მინერალური წყლების კანტორასაც განაგებდა. კოტე და ნიკო ერთმანეთს ძალიან კარგად იცნობდნენ. ნინო სწავლობდა გორში ანასტასიას პროგიმნაზიაში. მას ზრდიდა ნიკო. 1884 წელს ნინომ გაათავა ოთხი კლასი და საზაფხულოდ ბორჯომში ეწვია ძმას. ამ დროს ის თექვსმეტი წლისა არც კი იყო.

ნინო ლოგინში ნებივრობდა, როცა ნიკოს კოტე ესტუმრა ბორჯომში.

— კარი მიხურე, ნიკო, კარი! — მიაძახა ნინომ კოტეს. არ უნდოდა, რომ ლოგინში მწოლიარე დაენახა კოტეს.

— არაფერია, შენც ერთი! უცხო ხომ არ არის, ჩვენი კოტეა! — მიუგო ნიკომ და მიეგება კოტეს.

კოტემ პირველად მოჰკრა თვალი ნინოს და მოეწონა.

როდესაც კოტემ ნინო ჩაცმული ნახა, იმის გულში სიყვარულის ნაპერწკალი გაჩნდა.

— ვინ არის ეს ქალი? — ეკითხება კოტე ნიკოს.

— როგორ, ხომ არ მოგწონს?

— ძალიან! აი ამისთანა ქალს შევირთავდი.

ნიკომ გააცნო კოტეს თავისი და.

კოტე ხედავდა, რომ იმის გულში რაღაც ხდებოდა, მაგრამ შედგა და თავს დაეკითხა: მე ოცდა თოთხმეტის წლის ჭკუადამჯდარი კაცი ვარ, ეს კი ჯერ თითქმის ბავშვია და მაგის გონებრივი განვითარება მე როგორ დამაკმაყოფილებსო.

მაშ რა იყო საჭირო?

ან ყურადღება არ უნდა მიექცია სრულებით, ან უნდა დარწმუნებულიყო, რამდენად იყო გონებაგახსნილი ეს ახალგაზრდა ქალი.

პირველი კოტემ ვეღარ მოახერხა, თავისი გული ვეღარ სძლია.

ამიტომ მან დაიწყო ნინოს გამოცდა, მაგრამ ისე კი, რომ ნინოს ეჭვი არ აეღო. გაეცნო ნინოს, კარგად დაუმეგობრდნენ ერთმანეთს; კოტე ჩამოუგდებდა ხოლმე ნინოს ლაპარაკს სხვადასხვა კითხვებით, ხან წერილებს აწერინებდა. ნინო ყოველივეს გულუბრყვილოდ ასრულებდა, ის კი არ იცოდა, რომ ეს იყო ერთგვარი გამოცდა.

ეჭვს გარეშეა, ნინომ ჩინებულად დაიჭირა გამოცდა; ან იქნება არაჩვეულებრივი ეგზამენატორი ადვილ კითხვებს აძლევდა: ღმერთი არ გამიწყრეს და არ ჩავჭრაო. ასეა თუ ისე, გაბრუნდა თუ არა კოტე ქვიშხეთში, მაშინვე აფრინა წერილი ნიკოსთან. ამ წერილში სხვათა შორის სწერდა: ამ ხნის კაცი ვარ, ბევრი ქალი მომწონებია, მაგრამ იმდენად კი არა, რომ შერთვა გადამეწყვიტოს. ნინო ძალიან შემიყ-

ვარდა, გადავსწყვიტე, შევირთო, და ამიტომ მაგისი აზრი როგორმე გამიგეო.

ნიკომ უპასუხა: მე ძალიან კმაყოფილი და მოხარული ვარ, ნინოს მე ვერავითარ ძალას ვერ დავატან და მაგის აზრს კი მალე გაგაგებინებო.

ნიკომ მიუგზავნა ნინოს მასწავლებელი ქალი რუნგე, რომელიც მოელაპარაკა ნინოს და ყველაფერი გააგებინა.

ნინომ შორს დაიკავა: რა დროს ჩემი გათხოვებაა, ჯერ თბილისში უნდა დავამთავრო საშუალო სასწავლებელი, შემდეგ რუსეთში უნდა წავიდე უმაღლესი სწავლის მისაღებადო.

კოტემ შეატყობინა ნინოს, თუკი სხვა არაფერი გაქვს საწინააღმდეგო, მე მოვიცდი, ვიდრე კურსს დაასრულებდეო.

ამაზედ შეთანხმდნენ კოტე და ნინო. ნინოს უნდა დაემთავრებინა სწავლა თბილისში და შემდეგ დაეწერათ ჯვარი.

ამგვარი გარდაწყვეტილების შემდეგ კოტემ გამოართვა ნინოს სურათი და მამას შეატყობინა, დავინიშნეო.

— ვინ დანიშნე, კოსტიუკ!

კოტემ აუხსნა, ამოიღო უბიდან ნინოს სურათი და აჩვენა მამას.

დიმიტრიმ ახედ-დახედა სურათს და წარმოსთქვა:

—Отлично, отлично!

— ერთი მაჩვენეთ ის შავტუხა გოგო, როგორ გაკეთდა ამდენად, რომ კოტეს მოეწონა! — წამოიძახა ელენემ.

აქ დედამ გამოსთქვა სურვილი თავისი სასძლოს მალე ნახვისა და კოტემ და ნინომ თავისი გადაწყვეტილება მალე შესცვალეს: ჯვარი დაიწერეს.

ეს ამბავი რომ გორში გაიგეს ნინოს მასწავლებლებმა, საშინლად ეწყინათ, რადგანაც ნინო საუკეთესო მოსწავლედ ითვლებოდა.

შემოდგა თუ არა ნინომ დიმიტრის ოჯახში ფეხი, მაშინვე შეუდგა სწავლასა და თვითგანვითარებას. დიმიტრი მას ასწავლიდა ფრანგულს, ელენე — მუსიკას.

ნინო თანდათან განვითარდა და „ბოლოს კოტეს აღარ ვარცხვენ-დიო“, იხუმრა ამას წინათ.

როგორი განწყობილება დამყარდა რძალსა და მამამთილს შორის?

ისეთი, რომელზედ უკეთესიც წარმოუდგენელია. ნინოს სურათს დიმიტრი უბით ატარებდა და პირველ ხანებში ასე აცნობდა თავის ნათესავებს. სადაც უნდა ყოფილიყო, ნინოსათვის უნდა გაეზიარებინა თვისი ფიქრი, თვისი გრძნობანი, თვისი სულისკვეთება. „ჩემო საყვარელო შვილო ნინუკა“, „ჩემო სასიქადულო შვილუკა ნინუკა“,

„ჩემო სიხარულო ნინუკა",—აი როგორის გრძნობით სავსე ალერსით არის აჭრელებული დიმიტრის წერილები ნინოსადმი. როცა ამ წერილებსა ჰკითხულობთ, შეუძლებელია სიამოვნების ცრემლები არ მოგადგეთ თვალზე.

მრავალი წერილიდან მე მოვიყვან მხოლოდ რამდენიმეს. დიმიტრი შეტად დიდი პიროვნებაა ჩვენთვის და იმის ყოველ სიტყვას დიდი ფასი და მნიშვნელობა აქვს. ჩვენი საზოგადოება ნაკლებად იცნობს დიმიტრი ყიფიანს კერძო ცხოვრებაში და აი ეს წერილები ახასიათებენ მას ამ მხრივ. მეც ეს რამდენიმე წერილი უფრო იმიტომ მომყავს, რომ მკითხველმა მცირეოდენი წარმოდგენა მაინც იქონიოს, თუ როგორი იყო დიმიტრი კერძო ცხოვრებაში და თავისიანებში.

ჩემო კარგო და მშვენიერო
Ну-ка! — ნინუკა!

დიდი სიამოვნებით წავიკითხე შენი ამ თვის 22-ის (წერილი) და აი, გწერ პასუხს. რათ დამიგვიანე პასუხი აქამდინო, ამას კი ნუ მკითხავ, თორემ უნდა გითხრა, რომ თუმცა 22-ს იყო დაწერილი, მაგრამ ხაშურს 24-ს გაგიგზავნიათ და იქიდამ წუხელის მოგვივიდა.

შენი სახლისკაცებისათვის, როგორც იმათი ამბავი გესმოდა, სასჯელი ძალიან შეუმსუბუქებიათ; ალბათ არა ჰქონდათ დიდი დანაშაული. შენი ფრანცუზულის ამბავი შენვე უნდა შემატყობინო ხოლმე, თუ რომ „დუშკა პაპაშასთან" წერა არ დაგზარდა. როგორც რას მომწერ, ისე მივიღებ, არც თავის ქებად ჩამოგართმევ რასმე და არც საკიცხავად, რადგან ვიცი, რომ რასაც ჩემი საყვარელი შვილუკა ნინუკა თავის პაპაშას მომწერს, ნათელს მართალს მომწერს, n'est ce pas, ma chere belle fille?

ადვილად წარმოვიდგენ შენს კრუხებს როგორ დასტრიალებ და ლოვოს გამოგზავნილს ქათმებს როგორ ადევნებ თვალსა, კარგად დამ-კავალერობენ და კავალერ-დამობენ, თუ არა. ფრინველების ამბავს კარგს იწერები და ოთხფეხისას კი არაფერს. ამაების წვრილფეხობის იმედი დიახა მაქვს; მაგრამ საქმე ის არის, რომ თვითონ შენი წვრილფეხობაც დამახვედრო როდისმე. — ამ ხელათ რომ წითელი ღვინო მოგვივიდა, ძალიან მოგვწონს; მაგრამ თითქო წითელი ღვინის გამოგზავნას არ აპირებდნენ. ლევან მომიკითხე.

ბევრს გაკოცებ. შენი პაპაშა.

ჩემო საყვარელო და ძვირფასო
შვილო ნინუკა!

ჰე! აგალაპარაკე თუ არა! აქამდისინ შენს პაპაშას ორიოდ სამს სტრიქონს სწერდი ხოლმე. იმასაც რა ნაილაჯობით: ხან თავისებუ-

რად ავათ არისო, — ვითამდა კარგათ ყოფნა არა სჯობდეს ავადმყოფობასა; ხან ჯერ ისევა სძინავს და მოწერა როგორ შეუძლიაო. ახლა კი ლაზათიანათ გაჭრელებული წიგნი მომივიდა შენი, და რასაკვირველია, რომ ძაან მიამა. მაგრამ ერთს ადგილასა სწერ, თუ ნინუკა გიყვართ, პატარა ადრე დაიწყეთ ხოლმე წერაო. მერე ვინ გითხრა, რომ მე ნინუკა მიყვარს. სულაც არა. აქაოდა პაპაშა და ლილა აქ არ არიანო, მუზიკისათვისაც დაგინებებია თავი, ფრანცუზულისათვის. Mais ce n'est pas bien, ma chére belle fille, savezvous. Vous pouvez lire et écrire: douc vous pourez cotinuez vous même. მაგრამ მაინც ბევრს გაკოცებ, ჩემო ნინუკა, ძალიან ბევრსა, რომ გათქმევინო: ეჰ, კარგია ახლა პაპაშაო. — მაშ მძახლისაგან მძახლის იმედი უნდა ვიქონიო, რაღა! დიაღ კარგი და პატიოსანი. მოვიკითხავ პატივისცემით ორივე დებსა.

შენი პაპაშა.

ჩემო გულით საყვარელო კეკლუცო
შვილო (belle fille) ნინა!

ოთხი ორს ოთახში მოთავსდებით თუ არა, მაინც, როდესაც ქალაქს ჩამოსვლა მომიხდება, როგორ იქნება, რომ ჩემ შვილებთან არ ჩამოვხდე. მართალია, მზახლების ერთ ოთახში მარტო ყოფნა არ ივარგებს, მაგრამ განა არ შეიძლება ისე მოვეწყოთ, რომ დედა და შვილი ერთს ოთახში იყვნენ და მამა და შვილი მეორეში. აქ მეუღლეთ განშორება მოდისო, შეიძლება სთქვას ვინმემ; მაგრამ ორი-სამი დღით რა დაუშავდებათ? უფრო გაქანებით არ შეუტევენ ერთმანეთსა. კი! შენ-ტე!

ლოკასთან[1] მოწერილი შენი სიტყვები გადავსწერე ჩემს წიგნში და ისე ვუგზავნი. ასე ჩემო კარგო და ტკბილო ნინო.

ორთავე მოგეხვევით, დაგკოცნით და მამა-შვილურის გრძნობით დაგლოცავთ.

თქვენი папаша.

ჩემო საიმედო შვილო ნინუკა!

ჩვენს ახლანდელს მიწერმოწერაში სხვათა ადამიანის გულის თვისებათა შორის ორი თვისება გამოიხატა შესანიშნავი: 1. როდესაც გული სავსეა გრძნობით რომლითამე, სიტყვა აღარ ეხერხება ამ გრძნობის გამოსათქმელი, თუ რომ ტკბილია თვითონ ეს გრძნობა.

2. როდესაც აღელვებულია რისგანმე, მაშინ თავის თავად იბა-

---

[1] ლოკას დიმიტრი უძახდა თავის ქალს ელენეს.

ღება ისეთი მრავალსიტყოვნება, რომ საიდამ ახერხებს ამდენსაო, იტყვის მსმენელი.

ამათში პირველი იყო მიზეზი, რომელმაც გამოითხოვა მეორე და ამითი სხვა მოვლინება დამტკიცდა, რომელიც ცხადად გვამხილებს, რომ შეთანხმებულნი და შეთვისებულნი ყოფილან ის გულიც, რომელსაც სიტყვა შემოაკლდა, შემოაკლდა გრძნობით სავსებისაგან და ისიც, რომელმაც მრავალი აფრქვია აღელვებისაგან. ერთი ერიდებოდა, მეტი არა მომივიდეს რაო, მეორე ჯავრობდა ამ მორიდებასა. შენ როგორ იტყვი. ამით გავათავოთ.

დედა და ქმარი ბორჯომს წასვლას გირჩევენ, შენი სენისაგან ეგების განიკურნოო. და შენ კი ყოყმანობ, აქაოდა წიწილები მოუვლელად დამრჩებიანო. ქალო! შენ ოღონდ შენი საკუთარი, ესე იგი, როსტუკასეული წიწილები, გვაჩვენე და ქათმის წიწილები თუნდა სულაც ნუ გამოგვჩეკიან.

გადაგეხვევით ორთავე ცოლქმარსა (чистейший грузинизм — ჯერ ქალი და მერე კაცი), ძალიან დაგკოცნით და დაგლოცავთ.

შენი პაპაშა.

ახლაც იტყვი, ცოტა მომწერაო?

მე შემეძლო კიდევ ამომეწერა სხვა წერილებიც. რადგან ნინოსა და დიმიტრის ვრცელი მიწერ-მოწერა ჰქონიათ ერთმანეთთან, მაგრამ ისეც ცხადია ამ წერილებიდან, თუ როგორი განწყობილება ყოფილა მამამთილსა და რძალს შორის.

დიმიტრის ყოველ სიტყვაში ჩასკვნილია ღრმა სიყვარული და პატივისცემა ნინოსადმი. ამგვარი ადამიანის სიყვარულსა და პატივისცემას აქვს თავისთავად გარეშე ყოვლისა დიდი მნიშვნელობა და ფასი, რადგანაც დიმიტრი უბრალოდ, დაუმსახურებლად არავის შეიყვარებდა და არავისა სცემდა პატივს, რძალი კი არა, ვინც უნდა ყოფილიყო.

დიმიტრი რომ არა სცდებოდა, ეს მისმა რძალმა მთელი თავის ცხოვრებით დაამტკიცა.

დიმიტრი ნინოს მასწავლებელი იყო. დიმიტრისაგან ისწავლა ნინომ სამშობლოს სიყვარული და მას დღეს აქეთ თავის ძალღონეს და ენერგიას ეს ქალი საზოგადო საქმის სამსახურში ჰხარჯავს.

კოტე და ნინო სხვადასხვა გზით ემსახურებიან მიზანს — სამშობლო ქვეყნის აყვავებას.

საზოგადო საქმეებს გარდა ნინო მწერლობაშიც იღებს დიდს მონაწილეობას.

1895 წლიდან მას აქვს დაწერილი რამდენიმე სურათი — ზოგი

ორიგინალური, ზოგიც ნათარგმნი რუსულიდან და ფრანგულიდან. აქვს დაწერილი სხვადასხვა საკითხებზე პუბლიცისტური შინაარსის წერილები. გადმოთარგმნა რომანი „სპარტაკი“, პიესა „სპარტაკი“, ფრანკოს მოთხრობა „ნაძირალნი“, პიესები: „ავი სენი“, „ახირებულია“, „დონ პიეტრო დე კარუზო“, „წერილი“ და სხვ.

მთარგმნელისათვის დიდად საჭიროა იცოდეს, თუ რა უნდა მიაწოდოს, რითი უნდა დაინტერესოს მკითხველი. ნინოს რომ ეს კარგად ჰქონდა გათვალისწინებული, სხვათა შორის, „სპარტაკის“ გამოცემით დაამტკიცა. ამ წიგნმა დიდი აღტაცება გამოიწვია მუშათა შორის და მათს გათვითცნობიერებას დიდი სამსახური გაუწია.

აი როგორის წერილით მომართეს ნინოს მუშებმა ამ წიგნის გადათარგმნისა და გამოცემის გამო:

ქ-ნო ნინო ყიფიანისა!

თქვენ მიერ ნათარგმნი ისტორიული რომანის „სპარტაკის“ წაკითხვამ დიდათ აღტაცებაში მოგვიყვანა. თუმცა დიდათ ვცდილობდით ჩვენი გულჩვილობა დაგვეფარა, მაგრამ ამაოდ, წმინდა გრძნობამ თავისი გაიტანა და ბევრი ცრემლი გადმოგვცვივდა ჩვენდა უნებურად თვალთაგან. რადგანაც უკანასკნელს გულის სიღრმემდის ჩაგვწვდა აღტაცებით გრძნობანი სპარტაკის მოქმედებით გამოწვეულნი და იქ მოეცხო წყლულს მალამოდ.

ნუთუ ჯიოვანიოლის ნაკურთხი კალამი ისე ხელოვნურად აგვიწერდა ორი ათასის წლის წინეთ მომხდარს ამბავს, რომ დღესაც ასე განსაცვიფრებელს და საგულისხმიერო გაკვეთილს წარმოგვიდგენდა? თავისუფლად შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ დღესაც ზედ გამოჭრილს გაკვეთილს შეადგენს სპარტაკის სიყვარული ჩაგრულ ძმებისათვის... ჩვენს თავს მოვალეთ ვრაცხთ, რომ საზოგადოთ ყოველს ჭეშმარიტს მოღვაწეს ღირსეული მადლობა გამოეცხადოს. ამისათვის მოგმართავს თქვენ ქართველნი მუშა-მკითხველნი, ვინც კი წავიკითხეთ დიდის მადლობით მაგ თქვენის დიადის შრომისათვის, რადგანაც არ დაზოგეთ არც ნივთიერი და არც გონებრივი ქონება ამ ძვირფასი განძისათვის. რომელიც გაჰხადეთ ყოველი ქართველი მკითხველისათვის ხელმისაწვდომი, თქვენის ნიჭით, დაუზარელის შრომით და მშვენიერი მშობლიურის ენით. ამისათვის ვურჩევთ ყველა ქართველ მკითხველს, რომ უეჭველად წაიკითხოს, რადგანაც მასში ნახავს ბევრს საგულისხმიერო ამბავს, რომელიც გამოჭრილია ზღვანდელ ჩვენს ცხოვრებისათვის, რომ დღესაც იგივე მონობაა, დღესაც ერთი ბატონია, მეორე კი მონაა, დღესაც ერთი მეორის შრომის ნაყოფზედ ბატონობს და სხვა... მხოლოდ რასაკვირველია იმ განსხვავებით,

რომ დღეს სხვა ფორმებშია გახვეული. იმედია, რომ ყველა ჩვენი მკითხველი ღირსეულად დააფასებს თქვენს შრომას და ვისურვებთ, რომ თქვენებრ სხვანიც აღმოჩენილიყვნენ და თქვენის მიბაძვით სამსახური გაეწიოთ ერისათვის.

დავსთვებით თქვენი პატივისმცემელნი რკინის გზის სახელოსნოს ხელოსნები ვანო ჭავჭავაძე და სხვანი.

მუშებისაგან ამგვარი შინაარსის წერილის მიღება და ასეთი მადლობის დამსახურება დიდი განძია საზოგადო მოღვაწისა და მწერლისათვის.

ზაფხულობით ნინო აგროვებდა ქვიშხეთში სცენისმოყვარეებს, რეპეტიციებს მართავდა თავის სახლში, მოამზადებდა პიესებს და შემდეგ მართავდა წარმოდგენებს ქვიშხეთში, ხაშურში, სურამში, ბორჯომში. შემდეგ და შემდეგ საზაფხულო წარმოდგენებისათვის ჩვენს მსახიობებსაც მიიწვევდა ხოლმე.

წმინდა შემოსავლიდან ნინო დახმარებას უწევდა ღარიბ მოწაფეებს, სტუდენტებს, სოფლის მასწავლებლებს და წერა-კითხვის საზოგადოებას.

ამგვარად მიმდინარეობდა აღნიშნულ ალაგებში ზაფხულობით წარმოდგენების მართვის საქმე ნინოს მეთაურობით, სანამ სურამში არ დაარსდა ამ რამდენისამე წლის წინათ დრამატიული საზოგადოება.

თბილისშიაც ნინოს ბევრჯერ გაუმართავს წარმოდგენები მსახიობების სასარგებლოდ.

თავადაზნაურობას ხშირად გამოუღია ფული ჩვენი თეატრისათვის. ამ საქმეში ნინოსაც წილი მიუძღვის, რადგანაც მისის თხოვნით ბევრჯერ მიუცია გუბერნიის მარშალს თეატრისათვის ათას მანეთობით.

დიდი დახმარება გაუწევია ქ-ნ ნინოს წერა-კითხვის საზოგადოებისათვის. მან დააარსა ფულების შესაკრებად ყულაბები და ამ საქმის მოსაწესრიგებლად დიდი შრომა და ენერგია დაუხარჯავს. ჩვენს არისტოკრატ ქალებს დაურიგა ყულაბა, მიმართა ყველას ცალკე მოწოდებით და „მატიცის“ ნომრებით. უხსნიდა ყველას ამ საქმის დიდ მნიშვნელობას და ამგვარის მეცადინეობით ჩვენი ქალების საზოგადო საქმისადმი გულგრილობის მაგარი კედელი შეანგრია. პირველ ხანებში რამდენიმე ასი თუმანი შეგროვდა ამ ყულაბების შემწეობით, მაგრამ შემდეგ და შემდეგ საქმე თანდათან შეფერხდა და ბოლოს სრულებით ჩაიფუშა.

ნინომ შესწირა წერა-კითხვის საზოგადოებას 800 ცალი „სპარ-

ტაკი“ ნახევარ ფასში და აგრეთვე 600 კვადრ. საჟენი სააგარაკო ადგილი.

დიდი შრომა დასჭირდა ნინოს სხვა ჩვენ მოღვაწე ქალთა წრის დასაარსებლად როგორც თბილისში, ისე სხვა ქალაქებშიც.

რაფიელის, აკაკის, ეკ. გაბაშვილის, საფაროვი-აბაშიძის იუბილეზე ქალების წარმომადგენლად იყო ხოლმე ნინო და ყოველთვის გრძნობით და შინაარსით სავსე სიტყვა წარმოუთქვამს.

ნინოს უნდა ვუმადლოდეთ. რომ განსვენებულმა არჩილ ჯორჯაძემ დასწერა დიმიტრი ყიფიანის საუცხოო ბიოგრაფია, რომელიც სამწუხაროდ დღესაც არ არის ცალკე წიგნად გამოსული.

ყოველგვარი მასალა ნინომ დაუმზადა არჩილს, თორემ ვინ იცის, როდის ვეღირსებოდით ამ დიდებული ქართველის ბიოგრაფიას.

1915

თეატრი

არ განგიცდია, მკითხველო, ერთგვარი უსიამოვნო გრძნობა: ზაფხულის გახურებულ დღეში ცა ნელ-ნელა მოიბურება ტყვიისფერი მძიმე ღრუბლებით, მზე დაიმალება, სიო არ იძვრის, ჰაერში სიცხეა გამდგარი. ასე გგონიათ, თითქოს ბორკილებით იყოთ შებოჭვილი და დედამიწაზე მიმაგრებული მთელი სიმძიმე ამ ღრუბლებისა კი თქვენ გაწვებოდეთ; სუნთქვა გიძნელდებათ, გინდათ სადმე გაიქცეთ, მთლათ მოსწყდეთ დედამიწას, ასცილდეთ ღრუბლებს და თავისუფლად გაინავარდოთ ცის სივრცეში. მწარე სინამდვილე კი ჩაგჩიჩინებთ, რომ თქვენ არარანი ხართ, მონა მიწისა, მიწაზე დაღოღიალობთ და მიწამ უნდა შეგჭამოთ — ვერც ცოცხალი მოსცილდებით მას, ვერც მკვდარი.

ამგვარი უმწეო მდგომარეობიდან გამოსასვლელად ბუნებამ ადამიანს საუცხოო კარი დაუტოვა; ეს კარი რომ არა, მართლაც ჩვენი არსებობა ხშირად აუტანელი იქნებოდა და ცხოვრება—საშინელება.

ეს კარია — ოცნება.

ყოველივე ამაოა და წარმავალი: ახალგაზრდობა, სილამაზე, სახელი, სიმდიდრე — ყოველივე კვდება, ჰქრება, ისპობა, იკარგება, მხოლოდ ოცნებაა უკვდავი, უჭკნობი, მარად მშვენიერი.

ოცნება ცხოვრების სამკაულია. ოცნება რომ არ იყოს, ცხოვრება უმეტეს შემთხვევაში საშინელი სატანჯველი იქნებოდა. ოცნება ადამიანს ამაღლებს, სულს უტკბობს, გრძნობას უფაქიზებს.

ოცნებამ მისცა ადამიანს სარწმუნოება, ხელოვნება. ოცნებამ ასწავლა მას სიმღერა, ცეკვა, სიყვარული.

ოცნება შემოჭრილია ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში, ვერ ნახავთ ადამიანს, რომ უოცნებოდ ცხოვრობდეს.

ჭირისუფალი, რომელიც თავის მკვდარს დასტირის, ოცნებობს: მას სჯერა, ან უნდა დაიჯეროს, რომ სიკვდილს იქით რაღაც არსებობს.

ხელოვანი, რომელიც ჰქმნის, მუდამ ოცნებობს; მსახიობი, რომე-

ლიც თამაშობს სცენაზე, ოცნებობს: მომღერალი, მემუსიკე, ბოცეკ-ვავე, დედა, რომელიც შვილს უალერსებს, ვაჟი, რომელიც თავის სა-ტრფოს წერილს სწერს, — სულ ყველა ოცნებობენ.

მეკურტნე მუშა, რომელიც დღიურ მონაგარს ითვლის და ოფლს იწმენდს შუბლზე, განა ის კი არ ოცნებობს?

ჩასუქებული ვაჭარი, რომელიც თავის სიმდიდრეს ითვლის, განა არ ოცნებობს?

ოცნების დიდი ტაძარი — თეატრია.

ხელოვნების ტაძარიო, გამისწორებს მკითხველი.

— ხელოვნებაში იმდენად არის ჩაქსოვილი ოცნება, რომ გამო-ყოფა შეუძლებელია. თვით ის სინამდვილე, რომელიც ხელოვნება-შია, ოცნების ქურაშია გატარებული და ფერწაცხებული.

და ამიტომ თეატრი იმდენადვე არის ოცნების ტაძარი, რამდე-ნადაც ხელოვნებისა.

რა მნიშვნელობა აქვს თეატრს?

ის, რა მნიშვნელობაც აქვს ოცნებას, ხელოვნებას.

თეატრი აფაქიზებს ჩვენს გრძნობას, ამაღლებს ჩვენს სულს, ალამაზებს იმ ყოველდღიურ ცხოვრებას, რომელსაც ჩვენ უპყრი-ვართ ბრჭყალებში, როგორც მიმინოს გნოლია — პოეტის თქმისა არ იყოს, — და სასიცოცხლო სამოქმედო ძალას გვმატებს.

საჭიროა, რომ ადამიანს სიცოცხლე უყვარდეს, მაგრამ სიკვდი-ლის კი არ ეშინოდეს; საჭიროა, რომ ადამიანი ღირსეულად ატარებ-დეს ადამიანის სახელს.

ამგვარ მიზანს სხვათა შორის თეატრი ახორციელებს.

უბრალო გასართობიც რომ იყოს თეატრი, ყოველ შემთხვევაში ის გონივრული გასართობია, ადამიანის გულსა და გონებას წრთვნის, მაშასადამე ამ თვალსაზრისითაც ის არის ფრიად საჭირო კულტურუ-ლი დაწესებულება. დღეს კულტურულ ერად არასგზით ჩაითვლება ის ერი, რომელიც ეროვნულ თეატრს მოკლებულია.

ეროვნული თეატრი მარტო შენობა კი არ არის, ეროვნული თე-ატრია მსახიობი, დრამატურგი, რეპერტუარი და — ბოლოს — შე-ნობა.

ცალიერი შენობა ეროვნულ თეატრს ვერ შექმნის, ხოლო თუ მსახიობია და დრამატურგი, — ეროვნული თეატრიც არის.

რასაკვირველია, შენობას დიდი მნიშვნელობა აქვს. შენობის უქონლობა აფერხებს ეროვნული თეატრის საქმესა და განვითარე-ბას. მაგრამ მსახიობსა და დრამატურგს მეტი მნიშვნელობა აქვს.

ქართული თეატრის დაწვა დიდი უბედურება კი არ იყო, დიდი დანაკლისი იყო. ჩვენ მართლა და მართლა არც იმდენად ღარიბნი

ვართ, რომ სამას-ოთხასი ათასი მანეთის დაკარგვა ეროვნულ უბედურებად დავსახოთ. ხოლო ჩვენ რომ ვერ შეექმენით დღემდე სულ უბრალო პირობები ჩვენი დრამატურგებისა და მსახიობების ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის, ეს კი უბედურებაა.

გედევანიშვილის „სინათლე" მგონი თექვსმეტჯერ მაინც დაიდგა ერთი სეზონის განმავლობაში. საარაკო ბედია ქართველი დრამატურგისათვის.

მერე რამდენი მიიღო ასეთი ბედის მწერალმა?

შიუკაშვილს საკმაოდ დიდი ნიჭი აქვს დრამატურგისა, უმეტესი დრო სპეციალურ შრომას უნდა მოანდომოს სასწავლებელში და შემდეგ დაღლილი და მოქანცული უნდა შეუდგეს თვისი სულიერი წყურვილის დაკმაყოფილებას.

რამიშვილი თვალსაჩინო ნიჭია. მთელი დღე და ზოგჯერ ღამეც ავადმყოფებს უნდა მოანდომოს და დაღლილი და დაქანცული უნდა მიუჯდეს საწერ მაგიდას.

გარწმუნებთ, არც შიუკაშვილს, არც რამიშვილს არ მიუღიათ თავის პიესებში იმდენი, რომ ქაღალდის ფასად ჰღირდეს.

განათლებული ახალგაზრდობა მსახიობობას გაურბის.

რატომ?

იმიტომ რომ ეს ოხერი კუჭი ყველასა აქვს.

მე კარგად ვიცნობ ერთ განათლებულ ახალგაზრდას, რომელსაც საკმაო ნიჭი აქვს რეჟისორობისა, დიდი სურვილი და საკმაო მომზადება.

მერე?

— რა ვქნა, ქართული სცენა ვერ მარჩენს და იძულებული ვარ, სხვა საქმეს მოვკიდო ხელიო.

მტყუანია? შემცდარი?

როგორ შეიძლება მისი გამტყუნება? ის ხომ ფუფუნებას არა თხოულობს, განცხრომას ხომ არ ეძებს, — ის ითხოვს მინიმუმს, ურომლისოდაც შეგნებულ ადამიანს ცხოვრება არ შეუძლია და ჩვენი სცენა ამ მინიმუმსაც ვერ აძლევს მას.

ქართულ თეატრს სათავეში უდგას გამგეობა.

დადგება არჩევნების დრო და ძველ გამგეობას დამნაშავის სკამზე ვსვამთ, ასე იყო და ასე არის, — ერთი და იგივე უცვლელად მეორდება.

მე თვითონ ვიყავი ერთ დროს გამგეობის წევრად, თოთხმეტი საათი დღეში სპეციალურ სამუშაოს ვუნდებოდი და შემდეგ მივდიოდი სხდომაზე.

რა უნდა გამეკეთებია? დაღლილ და მოქანცულ ადამიანს გახა ნაყოფიერი შრომა მოეთხოვება.

უსასყიდლოდ შრომა მხოლოდ მდიდარს შეუძლია, ჩვენში კი მდიდარი ძალიან ცოტაა.

მაშ რა უნდა ვქნათ?

უწინარეს ყოვლისა, უსასყიდლო შრომა უნდა მოისპოს.

ჩვენში მსახიობიც, დრამატურგიც, დრამატიული გამგეობის წევრიც. ყველანი უსასყიდლოდ შრომობენ, ასეთ პირობებში დღევანდელ დღეს ნაყოფიერი შრომა შეუძლებელია.

აბა მიეცით გედევანიშვილს, შიუკაშვილს, რამიშვილს ყოველ პიესაში საკმაო ჯილდო, არა ნაკლებ ათი თუმნისა თითო მოქმედებაში, — მაშინ ისინი სავალდებულო სამუშაოს შეამცირებენ და მეტ დროს წერას მოანდომებენ; მაშინ გარწმუნებთ, მათი შრომა უფრო ნაყოფიერიც იქნება, უფრო ღირსებიანიც; დაუნიშნეთ გამგეობის ზოგიერთ წევრს მაინც ჯამაგირი, — მაშინ გამგეობის შრომაც უფრო ნაყოფიერი იქნება; გაიღეთ რეჟისორებისა და მსახიობთათვის საკმაო თანხა, — ნიჭიერი რეჟისორებიც მუდმივად გვეყოლება, განათლებული მსახიობებიც.

ამ მხარეს ჩვენი თეატრისას გაცილებით მეტი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე შენობას.

ჩვენ კი ამ მხარეს ნაკლებ ყურადღებას ვაქცევთ და, თეატრი რომ დაიწვა, ლამის შავები ჩავიცვით.

სადა გვაქვს საამისო ფული, მეტყვიან.

როცა არა გვაქვს, საყვედურებსაც თავი უნდა დავანებოთ.

თუ გვექნება, მაშინ ეს ფული მარტო შენობას კი არ უნდა მოვანდომოთ, არამედ უნდა შევქმნათ ერთგვარი ფონდი ჩვენი დრამატურგების, მსახიობების და საზოგადოდ სცენის მსახურთა ცოტაოდენი რიგიანი უზრუნველყოფისათვის.

1916

ჩვენი ვალიკო

ჯერ კიდევ მოსწავლე ვიყავი, როდესაც სუმბათაშვილთან (იუ-ჟინთან) მომიხდა მისვლა მოსკოვში.

ყოველ ოთახში, ყოველ ნაბიჯზე სიმდიდრე, ფუფუნება! ადამიანს ჰქონია გემოვნება და ჰქონია საშუალებაც, რომ ეს გემოვნება დაეკმაყოფილებია. სადაც კი მიიხედავთ, კომფორტი.

ადამიანს ჰქონია წყურვილი მშვენიერებისა და ჰქონია მასთან საახსარიც, რომ ეს წყურვილი სრულად, უნაკლოდ მოეკლა, სადაც კი მიიხედავთ, ძვირფასი ქანდაკება, ძვირფასი სურათები, ძვირფასი და ლამაზი მოწყობილობა.

ბუნებას მოუცია ნიჭი, დაჯექი და იმუშავე, — ყოველივე ხელს გიწყობს მუშაობისათვის.

სუმბათაშვილიც მუშაობდა. და მუშაობს მხნედ, ნაყოფიერად. ის ნიჭიერი მსახიობია, ნიჭიერი მწერალი.

განვლო დრომ. თან წარიტაცა ჩემი სიყმაწვილეც.

დღეს მე წილად მხვდა ჩვენს საკუთარ სუმბათაშვილთან, ჩვენს გუნიასთან, ჩვენს ვალიკოსთან სიარული. სიმდიდრეს, ფუფუნებას აქ შორიახლოსაც კი არ გაუვლია.

ადამიანს ჰქონია და აქვს გემოვნება, მაგრამ არა აქვს საშუალება, რომ ეს გემოვნება დაეკმაყოფილებია.

ადამიანს ჰქონია და აქვს ძლიერი წყურვილი მშვენიერებისა, მაგრამ არასოდეს ჰქონია სახსარი, რომ ეს წყურვილი ცოტათი მაინც დაეკმაყოფილებია.

ბუნებამ მისცა ვალიკოს ნიჭი, მაგრამ პატარა, დაჩაგრულმა, ხელფეხშებორკილმა სამშობლომ მას ვერაფერი მისცა.

საჭირო იყო აუცილებელი მსხვერპლი.

ვალიკომაც შესძლო ამ მსხვერპლის გამოღება და მთელი თვისი ნიჭი, თვისი დაუშრეტელი ენერგია სამშობლოს ანაცვალა.

აბრამმა შესძლო და თვისი ერთაღერთი შვილი ღვთისათვის სამსხვერპლოდ გაიმეტა.

ვალიკომ შესძლო და თვისი ცოლი, თვისი შვილები, რომლებსაც-
დღეს ყველაფერი აკლიათ, თვისი საკუთარი თავი მსხვერპლად შეს-
წირა სამშობლოს სახელსა და დიდებას.

შესძლო იმიტომ, რომ დიდ ნიჭთან ერთად ის არის დიდი გმირი
და აქვს დიდი გული შეუპოვარი მოქალაქისა. დიდი მსხვერპლის
გამოღებას რომ შეეშინებია ვალიკო და მორიდებოდა, განშორებოდა.
სამშობლო კერას, თვისის ნიჭით, თვისის ენერგიით გაიკაფავდა გზას.
და სხვაგან სხვასავით მოიპოვებდა იმ პირობებს, იმ კომფორტს, რო-.
მელიც ფრიად საჭიროა ნაყოფიერი მუშაობისათვის.

კერძოდ მისთვის, მისი ნიჭისათვისაც გაცლა იყო საჭირო; ხო-.
ლო მისი სამშობლოსათვის კი — დარჩენა.

ვალიკოც დარჩა.

და თუმცა სამშობლომ მას ვერ მისცა ვერაფერი, ვალიკოს ნიჭი.
მაინც გაიშალა და იმისმა შრომამ დიდი ნაყოფიც გამოიღო.

დინჯი, დაკვირვებული, ნიჭიერი მსახიობი, მსახიობი-ინტელი-.
გენტი — აი ვალიკო სცენაზედ.

მსახიობი-ადამიანი, რომელშიაც შური და მტრობა არ არის, —.
აი ვალიკო.

ბევრჯერ მომხდარა: ნიჭიერ მსახიობს არ უყვარს ნიჭიერი ამ-.
ხანაგი, ზურგს უკან ჰკიცხავს, ამცირებს მას.

ვალიკო კერძო ლაპარაკში მხოლოდ თავის თავს ამცირებს, სხვე-
ბის ღირსებას კი არ მალავს. პირიქით, ის აღტაცებული მოგიყვებათ:
აი ამას ეტყობა ნიჭი, აი ეს გაგრძნობინებთ ნამდვილ განცდას, მე
არაფერი ვარ მათთან შედარებითო.

ვალიკო-დრამატურგი — ეს ხომ ბურჯია ჩვენი თეატრისა, და-
უშრეტელი წყარო ჩვენი რეპერტუარისა. აქ ვალიკოს ტოლი არა
ჰყავს: მისი შრომა ამ მხრივ გასაოცარია და დაუფასებელი.

ვალიკომ მიიღო თეატრი მეტად ღარიბი რეპერტუარით და თვი-
სი დაუშრეტელი ენერგიით, შრომითა და თეატრის უზომო სიყვარუ-
ლით შექმნა რეპერტუარი. ვალიკომ შეაყვარა მდაბიო ხალხს სცენა,
და მისი პიესები დღესაც ამშვენებენ ჩვენს სცენას და ჯერ კიდევ
დიდხანს მიიზიდავენ მდაბიო ხალხს.

ვალიკომ ნიადაგი გაუმაგრა ოპერას ჩვენს სცენაზე და აქაც დი-
დი ნიჭი და შრომის უნარი გამოიჩინა. თუმცა თითონ მოკლებული
იყო სპეციალურ მუსიკალურ განათლებას, მაგრამ მცოდნე პირნი.
პირდაპირ განცვიფრებული არიან „სევილიელი დალაქის“ თარგმა-
ნით.

ღირსეული მოქალაქე, მებრძოლი დემოკრატი, პირდაპირი,

მოურიდებელი, პირში მთქმელი, დაუძინებელი მტერი ყოველგვარი სხვასთან სხვისი, ჩემთან ჩემობისა, — აი ვალიკო.

ავადმყოფი, სარეცელზე მიკრული ის მაინც მოქმედებაზე, ბრძოლაზე ოცნებობს.

საკუთარ თავზე, თავის ავადმყოფობაზე ვალიკო სულ ცოტას ლაპარაკობს; ის იმდენად გატაცებულია ბრძოლის, მოქმედების წყურვილით, რომ საკუთარი თავი ხშირად ავიწყდება.

საყვარელია, სათაყვანებელი ასეთი პიროვნება.

თავისი დიადი ნიჭი, დიდი ენერგია მან სრულად მოანდომა საქვეყნო საქმეს, — თავისათვის, პირადი კეთილდღეობისთვის არაფერი გაიმეტა.

მადლიერმა სამშობლომ დიდი ხანია შეიყვარა ვალიკო. მომავალი კიდევ უფრო გაზრდის ამ სიყვარულს.

ვალიკომ სრულად მოიხადა თავისი ვალი საზოგადოების წინაშე.

მე მრწამს, რომ ჩვენი საზოგადოება და დაწესებულებანიც სრულად მოიხდიან თავის ვალს ამ იშვიათი ადამიანის წინაშე.

1916

ს. ფაშალიშვილი

მაგრამ მე ხვედრსა ჩემსა ვერ ვპოვებ,
და მით კაეშანს ვერღა ვიშორებ.
ნ. ბარათაშვილი

არის პოეტი, რომლის სახეც თქვენთვის პირველი ლექსიდანვე ნათელია. ის მალე ჰპოვებს თავის ხვედრს, მალე იკაფავს გზას და ამაშია მისი ბედი და უბედობაც; თუ ის დიდი ნიჭია, მალე ხდება ხალხის, საზოგადოების რჩეულად; თუ მისი ნიჭი ზერელეა, პირველი გამოშუქების შემდეგ თანდათან ილევა და ბოლოს სრულებით იძირება არარაობის, დავიწყების უფსკრულში.

არის პოეტი, რომლის სახეც დიდხანს რჩება გამოურკვეველი, ის დიდხანს არის დუღილში, გარკვეული პოეტის ჩამოყალიბების პროცესი მასში დიდხანს გრძელდება. შეიძლება ასეთი ხანგრძლივი დუღილი მისთვის უფსკრულად გადაიქცეს და შიგ ჩაღუპოს, ხოლო თუ გამარჯვებული გამოვიდა, უსათუოდ ღრმა და მრავალფეროვანი იქნება.

უკანასკნელთ რიცხვს ეკუთვნის პოეტი ფაშალიშვილი.

აიღეთ გრიშაშვილი. მან მალე ჰპოვა თვისი ხვედრი, მალე გაიკაფა გზა და მისი პოეზია თქვენთვის დღესავით ნათელია. გვარიც რომ არ წაიკითხოთ, ისეც იცნობთ იმის ლექსს. მასა აქვს არჩეული ვიწრო ფარგალი, ამ ფარგალში ის ძლიერია. როგორც კი გადასცილდება ამ ფარგალს, ის ნაძალადევია, ულამაზო.

იგივე არ ითქმის ფაშალიშვილზე.

ფაშალიშვილს ერთი, ორი და რამოდენიმე ლექსით ვერ იცნობთ, რადგანაც მისი მუზა მრავალფეროვანია. ფაშალიშვილი ჯერ თვითონ ვერ იცნობს თავის თავს, ის გარკვეული, ჩამოყალიბებული პოეტი არ არის.

ვაჟას ენით რომა ვსთქვათ, ფაშალიშვილი „ფიქრისას აგებს

ყორესა". მისი ბუნება ფიქრთა და გრძნობათა თაიგულია და იმისდა მიხედვით, თუ როდის რა სპარბობს, პოეტი ხან მოღიმარია და ბრწყინვალე, ხან მოწყენილი და ცრემლთა მფრქვეველი.

სიცოცხლის საიდუმლოება, სულის უკვდავება — აი ერთ-ერთი მთავარი საკითხი, რომელიც ამართულა პოეტის წინაშე და რომლის გადაჭრას მოუთმენლად ჰლამობს პოეტის სული.

სად მოვსულვართ, სად მივდივართ,
რა დავტოვეთ, წინ რა გვხვდება? —
და ეს ცივი გამოცანა
ჩემში ხშირად მეორდება.
ვერ ავხსენი დღეგანდლამდე
და კვლავ გამოცანად მრჩება.

ნორჩი პოეტი სდგას უდიდესი საიდუმლოების წინაშე, მისი მოუსვენარი სული ცდილობს ამ საიდუმლოების დახშული კარის შეღებას, რათა ახსნას აუხსნელი, იხილოს უხილავი.

ძიების, ბრძოლის დროს პოეტს ხშირად ეპვი ეპარება, გაშლილი ფრთები ეკვეცება და სასოწარკვეთილება იპყრობს, ის იტანჯება... იტანჯება.

მაგრამ არა მსურს, ცხოვრების ტლანქს ბედს
ქედმოხრილი ვუთხრა სიტყვა მონისა!

დეე, ამგვარი ძიება ტანჯვა იყოს, — ის მაინც ამ გზას ირჩევს და ამგვარად სავსებით ღებულობს ცხოვრებას და ტანჯვას ერთად, რადგანაც:

...ყოფნა უტანჯველად ხომ იგივე სიკვდილია.

აქ ფაშალიშვილი ჩვენს ახალგაზრდა პოეტებში ყველაზე უფროა ვაჟას მიმდევარი, ვაჟას მოწაფე.

ჩემს წარმოდგენაში ვაჟა მეტად დიდი, მეტად თავისებური პოეტია. გზაში რომ შეხვდებოდით ვაჟას, თუ არ იცნობდით, ყურადღებას არ მიაქცევდით: სრულებით უბრალო, ჩვეულებრივი ადამიანი, უბრალო ჩოხაში გახვეული!

როდესაც გაიცნობდით, დარწმუნდებოდით, რომ ჩვეულებრივ გარეგნობაში დიდი და უქრობელი სულიერი ლამპარი ენთო.

სწორედ ამგვარივეა ვაჟას პოეზიაც.

პირველს შეხვედრაზე შეიძლება არც კი მოახდინოს თქვენზე შთაბეჭდილება, მაგრამ როდესაც კარგად გაიცნობთ, დიდ ფიქრსა და დიდ გრძნობას უეჭველად ნახავთ შიგ.

გონებას ფიქრი სტანჯავდეს,
გულს ცეცხლი სწვავდეს ძლიერი! —

აი ვაჟა!

და განა ყველა ჩვენი პოეტები არ არიან ასეთები?

არა — ზოგს ფიქრი ახასიათებს, ზოგს ცეცხლი.

ილია, მაგალითად, ფიქრია, აკაკი — ცეცხლი.

ვაჟაში ორივე ჰარმონიულად არის შეერთებული.

ვაჟასა აქვს ერთი შესანიშნავი ლექსი: „ჩემი ვედრება“, სადაც პოეტი ღმერთს შესთხოვს:

ნუ დამასვენებ ნურას დროს,
მამყოფე შეძრწუნებული,
მხოლოდ მაშინ ვარ ბედნიერ,
როცა ვარ შეწუხებული!

ტანჯვაში ბედნიერების ძიება — აი თვისება ქართველი ადამიანისა, ქართული სულისა.

ამ სულის ერთი საუკეთესო გამომხატველი ვაჟაა და მის გზას მისდევს ფაშალიშვილიც, როდესაც ამბობს:

მაგრამ ყოფნა უტანჯველად ხომ იგივე სიკვდილია?

ფაშალიშვილის ფიქრსა და გრძნობას განუყრელად თან დასდევს ერთგვარი სევდა, ერთგვარი ნაღველი და მთელი პოეზია ახალგაზრდა ხელოვანისა სევდიან სიმებზე არის აწყობილი:

ნაღველო, ჩემო ნაღველო, სახეე სიცოცხლის გმობისა,
ამხანაგი ხარ მუდმივი ჩემი ფიქრის და გრძნობისა.
შენ შემხვდი ყრმობის რიყრაჟზე და ამყე თანამგზავრადა,
ცრემლსა და ეკლის სიობლეს ფეხქვეშ მიფენდი სტავრადა!

ჩვენი სამშობლო მზის ქვეყანაა, წარმტაცი ბუნების ქვეყანა. აქ მზის სიცოცხლე და ბუნების სილამაზე ადამიანს ათრობს. მაშასადამე, ცრემლებს, მწუხარებას ალაგი არ უნდა ჰქონდეს, აქ შეუწყვეტელი მხიარული სიმღერა უნდა გაისმოდეს.

ნაცვლად ამისა ჩვენს პოეზიას განსაკუთრებით სჩვევია ცრემლები.

ჩვენი პოეზია მშვენიერი ტარიელია, რომელსაც ცრემლი სდის შეუშრობელი.

ამის უმთავრესი მიზეზი ჩვენი ისტორიული ხვედრია.

მონის უღელქვეშ ძნელია სიცილი.

ფაშალიშვილის სევდის ერთი მიზეზიც სწორედ აქ არის:

ერის კვნესა იქცა ჩემის სულის ჟირად.

ფაშალიშვილი ნორჩი მგოსანია. ყოველ მის მისწრაფებას, ყოველ მის ნაბიჯს სიჭაბუკის ეჭვები თან დასდევდნენ:

ვაჰ, თუ ბუნება მოსტყუვდეს ჩემში
და გადმოცემა ვერ შეეძლო მისი.

ფაშალიშვილის სევდის მეორე მიზეზი აქ უნდა ვეძიოთ. ეს მიზეზი დროებითია, წარმავალი.

ფაშალიშვილის შემოქმედებაში არის ფილოსოფიური მიდრეკილება; მის ყურადღებას განსაკუთრებით იპყრობს სამყაროს დასაბამი და დასასრული, არსებობის საიდუმლოება, სიცოცხლის მიზანი:

და ვერავინ ვერ გაიგებს
საწუთროს და ყოფნის მიზნებს.

ფაშალიშვილს წინდაწინვე შეხამავს ის ფიქრი, რომ ვერც ის გაიგებს საწუთროს, ყოფნის მიზნებს, და იქ არის მესამე მიზეზი ფაშალიშვილის სევდისა.

პოეტის სევდას ყველგან თან დასდევს იმედის სხივი:

ხან მხიარულის ოცნებით დავმღერ, ხან ნაღვლიანადა,
მაგრამ ორსავ დროს ნახნავში იმედსა ვთესავ ყანადა.

ერთ თავის ლექსში ფაშალიშვილი თვითონ ახასიათებს თავის შემოქმედებას:

რწმენა, იმედი, ტრფობა და გლოვა
ჩემსა გრძნობაში გამოიქარგა.

საკმაო ტემპერამენტი, მოუსვენარი ფიქრი, ძიების წყურვილი, მდიდარი გრძნობა — ყველა თან ახლავს ახალგაზრდა მგოსანს, რომლის მომავალიც წინ არის:

სულ წინ ვისწრაფვი მარადის,
რამდენად შემწევს ძალია.

ახალგაზრდა მგოსანს ძალა შესწევს, მაგრამ იმის სევდაში დაკვირვებული ადამიანი ბევრგან ამოიკითხავს დაუწერელ სიტყვებს:

ფრთებს მიკვეცს, ალბაფრენასა
ცხოვრება ყოველდღიური.

ფაშალიშვილი ჯერ მეტად ნორჩი მგოსანია, ის არ არის ჩამოყალიბებული, ჯერ ისევ დუღილშია. და აი ამ ხანაში მას სჭირდება ძლიერი დახმარება საზოგადოებისაგან, რომ ის საკმაო მომზადებით წეიარაღდეს და შემდეგ ერთიანთასად დაუბრუნოს საზოგადოებას ჩისგან მიძღვნილი.

ფაშალიშვილი უტყუარი ნიჭია და თუ ის საფერისად ვერ გაიშალა, საზოგადოების ბრალი იქნება.

„მიეცით ნიჭსა გზა ფართო!"

1917

სიტყვაკაზმული მწერლობა 1919 წელს

წელს გამოქვეყნდა ვასილ ბარნოვის დიდი რომანი ისტორიული შინაარსისა — „ტრფობა წამებული“.

ბარნოვი დიდი მხატვარია და მეტად ნაყოფიერი, მ·ერამ თავისებური.

და ეს თავისებურებაა მიზეზი, რომ მას ხალხი არ იცნობს იმდენად, რამდენადაც მწერალი ამისი ღირსია.

ბარნოვი მეტად შინაარსიახი, ლამაზი წიგნია, მაგრამ ძველი წიგნი. ძველ წიგნს კი — ისიც ჩვენს დროში — მეტად მცირერიცხოვანი მკითხველი ჰყავს.

ბარნოვს იზიდავს საქართველოს სიძველე, მისი წარსული ცხოვრება; მისი შემოქმედება განსაკუთრებით წარსულში ეძიებს მასალას და არა აწმყოში.

მას უყვარს წყნარი, ჩუმი, მოსვენებული სახე წარსულისა და არა აღელვებული, აბობოქრებული, მოუსვენარი თანამედროვეობა.

მას უფრო ეხერხება მკვდრების აღდგენა და ამეტყველება, ვიდრე თანამედროვე ცხოვრების დუღილში ძებნა შესაფერი გმირებისა.

დღეს კი ჩვენი ფიქრი და გრძნობა, მთელი ჩვენი არსება აწმყოთია შეპყრობილი, წარსული ჩვენ დროებით დავივიწყეთ; ჯერ ჩვენ მხოლოდ დღევანდელი დღე გვაღელვებს, გვაფიქრებს, გვიზიდავს, გვიმონებს. დამშვიდდება ცხოვრება, გადაიწმინდება დიდი ხნით ჩვენი ცა და მაშინ ინტერესი წარსულისა უფრო გაიღვიძებს.

მაშინ უფრო გაიცნობს მკითხველი საზოგადოება ბარნოვს, რომელიც ღირსია ცნობისა და აღიარებისა.

შიო არაგვისპირელმა დაარღვია თავისი დიდიხნის სიჩუმე და „ცისარტყელაში“ დაიბეჭდა ნაწილი მისი დიდი ძოთხრობისა.

ჩვენს მწერლობაში შიოს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს, მისი ყოველი ნაწარმოები სავსეა მხატვრული სახეებით, სულიერი მოძრაობის ანალიზით და ავტორის ტანჯვით.

შიო დედაბრიშვილი მართლა რომ ტანჯული ხელოვანია, ტანჯული ნიჭი.

ბუნებას მისთვის მიუცია უხვი და ნაზი გრძნობა, სპეტაკი გული; ცხოვრების სიდუხჭირე, ადამიანის სიბეჩავე, არარაობა, ფუქსავატობა და უზნეობა ღრმა სევდით ავსებს იმის გულს და ამიტომ ყოველი ნაწარმოები არაგვისპირელისა ატარებს ბეჭედს ხელოვნის ტანჯვისა და მწუხარებისას, ხელოვნის წმინდა ცრემლებისას.

არაგვისპირელი არ ჰქმნის მარტო გონებით, არამედ გულითაც. ამიტომ შიოს ნაწარმოები ბევრჯერ ტეხდეხციურია; ის არის ხშირად სასტიკი, მკაცრი მამხილებელი და მქადაგებელი ზნეობრივი განწმენდისა. უმთავრესი საგანი არაგვისპირელის შემოქმედებისა არის ადამიანის სული და განცდანი.

შიო არაგვისპირელი იღებს ჩვეულებრივ ადამიანებს, აყენებს მათ სრულებით ჩვეულებრივ პირობებში და გვაძლევს საშუალებას ჩავიხედოთ ადამიანის სულის ყველა კუნჭულში.

არაგვისპირელმა შემოიტანა ჩვენს მწერლობაში ფსიქოლოგიური მიმართულების ძლიერი ნაკადი და მას დღეს აქეთ მისი მიზანი იყო და არის ადამიანის ზნეობრივად ამაღლება და ცხოვრების გარდაქმნა, ახალი ცხოვრების დამყარება.

და დღეს, როდესაც ამ გარდაქმნას ყველგან საფუძველი ეყრება, შიოს დადუმებული კალმის ამეტყველება ფრიად სასიხარულო მოვლენად უნდა ჩაითვალოს.

მოთხრობა ჯერ დამთავრებული არ არის, ის დამთავრდება „ცისარტყელას“ შემდეგ ნომრებში, მაგრამ დასაწყისი უკვე გვიმტკიცებს, რომ ეს მოთხრობა არაგვისპირელის ნიჭის ყველა ღირსებას ატარებს.

გასულ წელს გამოვიდა თურდოსპირელის „გაწყვეტილი ზღაპარი“.

ჭეშმარიტი ნიჭის უტყუარი თვისება გულწრფელობაა.

როდესაც მწერალი ფერუმარილით გვევლინება და ცდილობს თავი იმად მოგვაჩვენოს, როგორც არ არის ნამდვილად, ეს უნიჭობის მომასწავებელია, ზოგჯერ უჭკუობისაც.

როდესაც მწერალი ცდილობს კვნესა საკუთარი გულისა მთელი ჯოჯოხეთის ტანჯვად წარმოგვიდგინოს, ეს მეტად ყალბი ხელოვნებაა.

თურდოსპირელი ყველა ამ ნაკლს, რაც ხშირად თან დასდევს ახალგაზრდა ნიჭს, სრულებით მოკლებულია.

გულწრფელობა, სისადავე, მარტივობა თურდოსპირელის

ნიჭის თვისებაა. მისი ნოველები გრძნობით სავსე თაიგულებს წარმოადგენს.

ავტორს აქვს თავისებური სტილი, თავისებური ხასიათი წერისა და იმის პროზაში ბევრგან საუცხოო პოეზიაა.

წარსულ წელს გამოვიდა თაგუნას პირველი წიგნი.

ჩვენს მწერლობაში თაგუნა უკვე საკმაოდ ცნობილი სახელია.

როდესაც ტარიელი და ავთანდილი ფრიდონთან წავიდნენ, ფრიდონის მეჯოგეებს შეხვდნენ, ტარიელი ავთანდილს ეუბნება: ფრიდონს გავლაღობნეთ, მისი ჯოგი მოვიტაცოთო, და თან დასძენს:

ამოა კარგი ლაღობა,
ლაღსა შე-ვე-იქმს ლაღებად.

ეს ადგილი იმიტომ ამოვწერე, რომ აქ არის ამავე დროს თაგუნას უმთავრესი ნიჭის უმთავრესი თვისება:

კარგი ლაღობა.

დაცინვა შეიძლება იყოს მეტად გესლიანი, ბოროტი, მიწასთან გამასწორებელი, ბრაზიანი, ღვარძლიანი.

შეიძლება იყოს მხიარული, კეთილი, ზოგჯერ საკმაოდ მწარე, მაგრამ ყოველთვის უბოროტო, უწყინარი.

იუმორისტულ მწერლობაში ორივე ამ დარგსა აქვს ადგილი და ესა თუ ის მიდრეკილება მხოლოდ თვისებაა ნიჭისა და ინდივიდუალობისა.

პირადად მე მეორეგვარ იუმორს უფრო მაღლა ვაყენებ, რადგანაც მასში მეტია მიუდგომლობა, მხატვრული ზომიერება, სამართლიანობა, გულწრფელობა, სიყვარული — და, მაშასადამე, ხელოვნებაც.

თაგუნას იუმორი სწორედ ამგვარი თვისებისაა. მასშია მხიარული სიცილი, ოხუნჯობა, გულკეთილი დაცინვა, მწარე სინამდვილე — ბრაზი და ღვარძლი კი არსად არის.

პირველი ტომი თაგუნას ნაწარმოებებისა საკმაოდ მდიდარია შინაარსით, აქ მკითხველის წინაშე აღმართულია ჩვენი ცხოვრების სარკე და შიგ დაინახავთ მრავალ სასაცილო, სამწუხარო და დამაფიქრებელ სახეებს, მდგომარეობას, შეხედულებას და მოვლენას.

წარსული წელი განსაკუთრებით მდიდარი იყო პოეზიით. გამოვიდა მრავალი პატარ-პატარა ჟურნალი: „თოლაბულისის სარტყელი“, „ხელოვნება“, „სმარაგდი“, „ კრონოსის სარკე“, „მეოცნებე ნიამორები“ და სხვა. აქ ნახავთ უკვე ცნობილ პოეტებს და სრულებით უცნობებსაც, მაგრამ ყველას აერთებს საერთო მიმართულება — ეგრეთ წოდებული სიმბოლისტური.

სიტყვაკაზმულ მწერლობაში ყოველგვარ მიმართულებასა აქვს

თავისი ადგილი. არ შეიძლება უარყოფა ამა თუ იმ მწერლისა მხოლოდ იმიტომ, რომ ის რეალისტია, სიმბოლისტია, ფუტურისტია და სხვა. თუ პოეტის შემოქმედებაში პოეზია არ არის, ესა თუ ის მიმართულება მას ვერ იხსნის.

და თუ არის პოეზია, ამით მას უკვე აქვს კარი გახსნილი ხელოვნების სამეფოში, რადგან ესა თუ ის მიმართულება, სკოლა წარმავალია, ჭეშმარიტი ხელოვნება კი უკვდავია.

პირადად მე სიმბოლიზმს არ ვიზიარებ, მაგრამ პოეზიის სამფლობელოში მას აქვს თავისი ადგილი.

სიმბოლისტები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ ლექსში მუსიკას, რიტმსა და რითმას.

ეს ღირსებაა.

მაგრამ ჭეშმარიტი პოეზია მარტო ამითაც არ განისაზღვრება: მასში აზრი უნდა იყვეს და, თუ მაინც და მაინც აზრი არ იქნება, დიდ სისულელეს მაინც არ უნდა ჰქონდეს ადგილი.

ახალგაზრდა სიმბოლისტების პოეზიაში კი აქვს ამას ადგილი, როცა ისინი რითმების ძებნაში ყველაფერს ივიწყებენ. რითმა მაშინ არის მომხიბლავი, როცა ის ბუნებრივია, ბუნებრივი კი მარტო მაშინ არის, როცა აზრს მოსდევს თავისუფლად და ადვილად.

„კრონოსის“ № 2-ში არის სონეტი ტ. წალენჯიხელისა, სადაც ვკითხულობთ:

ჩემი სონეტი ოქროს ტყეში ზეიმს
აპირებს.
მარსის წიაღში შემიყვარდა მე გაქანება,
ლოთი ჰამლეტი გადამიშლის მარცხენა პირებს.

ერთი მიბრძანეთ, რა აზრი აქვს მთელ უკანასკნელ სტრიქონს? და ეს ჩაიდინა ავტორმა რითმის გულისათვის.

აი უკეთესი ნიმუშები:

„მეოცნებე ნიამორების“ პირველ ნომერში არის ლექსი შალვა კარმელისა „ღამის ფრაგმენტი“, სადაც სწერია:

რა მიკლავს სევდას — ყრუ სიგიჟე თუ ალკოგოლი?
მახინჯ მოწყენით დადიოდა ქვეყნად გოგოლი!

აბა ამაზეა ნათქვამი, სად ერეკლე, სად თეკლეო.

რა შუაშია აქ გოგოლი? იმ შუაშია, რომ „ალკოგოლის“ რითმად მოეწონა ავტორს და სისულელე გამოვა თუ არა, რას დაგიდევთ, ოღონდ ლამაზი რითმა გამოვიდეს.

აიღეთ „ხელოვნება“ №2.

აქ არის რაჟდენ გვეტაძის „სინანული“. ლექსი იწყება ასე:

გამაცნეს. ხელი მას ჰქონდა, ვით ღადარი.
და შემდეგ ვერ ვნახე, ვერ შევხვდით
ერთმანეთს.
მარტოა თუ სხვასთან, არ ვიცი, სად არი.
ქუჩაში მათხოვარს ვაჩუქებ ერთ მანეთს.

რა შუაშია აქ მათხოვარი და მანეთიანის ჩუქება! უკანასკნელი სტრიქონი სრულიად არ ეგუება ლექსს; მაგრამ „მათხოვარი“ და „ერთი მანეთი“ პოეტს დასჭირდა ლამაზი რითმისათვის.

თუ ამას სჩადის რაჟდენ გვეტაძე, რომელსაც უცილოდ ეტყობა პოეტის ნიჭი, რაღა უნდა მოვთხოვოთ სხვებს.

გასულ წელს გამოვიდა ობოლი მუშის პოემა „წამების ჯვარზე“. ეს ახალგაზრდა მგოსანი ხალხის წრიდან არის გამოსული და მთელი თავისი მისწრაფებით ხალხს ეკუთვნის.

მის ნიჭს გასულ წელში წინმსვლელობა დაეტყო და ამის მაჩვენებელია მისი ახალი პოემა. პოეზიის მუსიკის, რიტმისა და რითმის მხრივ აქ მგოსანს საკმაო ნაბიჯი გადაუდგამს წინ წინანდელ ნაწარმოებებთან შედარებით.

ერთი ნაკლი უნდა მოიშოროს: ერთობ უყვარს — აბ, ობ, ეჰ. პოეზიაში გრძნობისა და მწარე განცდის გამოსახატავად ეს სიტყვები სრულებით უძლურნი არიან და წრფელი გრძნობის მაგიერ მხოლოდ ცრუ გრძნობიერებას ააშკარავებენ. სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებში დაიბეჭდა ლექსები ჩვენი ცნობილი პოეტებისა, მაგრამ შესამჩნევი ხაყოფიერება არავის გამოუჩენია, გარდა ვარლამ რუხაძისა, გაფრინდაშვილისა და გალაქტიონ ტაბიძისა.

რუხაძემ გამოსცა თავისი ლექსების მესამე წიგნი — „ცხოვრების ყვავილები“.

ეს მგოსანი ჩვენში უკვე საკმაოდ ცნობილი და სახელმოხვეჭილია. მისი მიმართულება ყველამ იცის და მესამე წიგნშიაც თქვენს წინაშე არის ამართული სახალხო იდეალების მომღერალი პოეტი.

ვ. რუხაძის პოეზიის ღირსება იმაში მდგომარეობს, რომ სინამდვილეს მასში ვერ ჩაუკლავს მეოცნებე, მაძიებელი სული, პოეტი ორივე ფეხებით, მთელი თავისი შემოქმედებით მიწაზე დგას, მაგრამ აშავე დროს ის მარტო მიწით არ კმაყოფილდება, მისი მუზა ხანდახან ცისკენაც გაინავარდებს ხოლმე.

ხალხს არ უყვარს ქაჯური ლაპარაკი, მას მოსწონს ნათელი აზრი, ნათელი ენა.

რუხაძის პოეზია იმითია სახალხო, რომ აქ აზრი მგოსნისა ცხადია, მისი ენა — სადა, მარტივი, უბრალო.

„ცხოვრების ყვავილები“ მდიდარია გრძნობით, აზრით, პოეტური სურათებითა და განცდით.

მუსიკა, რიტმი და რითმა აქ იმდენად გამშვენიერებულია, რომ ზოგიერთი ნაწარმოები ამ მხრივ უნაკლოა, როგორც, მაგალითად, „მზეთამზე“.

ვ. გაფრინდაშვილის „დაისები“ რუხაძის „ცხოვრების ყვავილების“ სრული წინააღმდეგობაა.

გაფრინდაშვილი სიმბოლიზმის ერთი საუკეთესო წარმომადგენელია.

მასში განსაკუთრებით არის თავმოყრილი როგორც ნაკლი, ისე ღირსება ამ მიმართულების მგოსნებისა.

მათ არ უყვართ სინამდვილე, სიცხადე; ისინი ეტრფიან მოჩვენებას, ლანდს, უცნობს, გაუგებარს.

აქედან წარმოსდგება უარყოფა ნათელი, მარტივი აზრისა და ბუნდოვნად, გაუგებრად წერა.

თუ შენი აზრი ყველას ესმის, აქ არ არის პოეზია; თუ ძალიან ცოტას გაეგება, — აი ჭეშმარიტი პოეზია! — ასეთია სიმბოლისტების შეხედულება ჩვენში.

ბუნდოვნად წერა განსაკუთრებით ეხერხება ვალ. გაფრინდაშვილს.

ასეთ გამოუცნობ, ბუნდოვან ლექსებს „დაისებში“ პატარა ადგილი უჭირავთ; უმეტესი მათგანი მისაწვდომია და ააშკარავებს პოეტის დიდ ფანტაზიას; მაგრამ ამ ფანტაზიას ავადმყოფის დაღი აზის: პოეტს განსაკუთრებით იზიდავს ლანდები, ორეულები, დამხრჩვალები, თავის მკვლელები, შეშლილები და სხვ.

ჩემი ოცნება თვითონ ვიცი — უცნაურია, —

წერს პოეტი ერთ თავის ლექსში.

მე კი მგონია, რომ ეს უცნაურობა სისაღის მატარებელი კი არ არის, არამედ სნეულების.

საღი უცნაურობა ჩემთვის მისაღებია, სნეული, კი არა.

პოეტი სრულებით უარყოფს სინამდვილეს, მას სძულს ეს სინამდვილე და სიძულვილი იმდენად ძლიერია, რომ ქალში მას განსაკუთრებით მოსწონს ჩასმული, ხელოვნური თვალი.

ო, რა უცხოა შენი თვალი, მხიბლავი ყალბად,
ნეტავი იმას, ვინც ამ თვალზე ნაზად გაკოცებს!
თვალის მაგივრად შენ ძვირფას ქვას
მუდამ ატარებ,
რომ მე ყოველთვის ვაოცნებო ხელოვნურ თვალზე.

ამიტომაც პოეტი ეტრფის ყველასა და ყოველივეს, რაც სინამდვილეს აასხვაფერებს: ქარს, ლოთს, მთვარეულს, აშორდიასაც კი!

ასხვანაირებ სინამდვილეს, როგორც მგოსანი! —

უგალობს ის აშორდიას.

სინამდვილის განსხვანაირება მეტად მიმზიდველი შემოქმედებაა, მაგრამ ამ განსხვანაირებას ერთადერთი მიზანი უნდა ჰქონდეს: სინამდვილის გამშვენიერება, უკეთესი სინამდვილის შექმნა თუნდაც მარტო ოცნებაში.

ვალერიან გაფრინდაშვილი ჩვენი სინამდვილის ალაგას უკეთესს კი არა, საშინელ სინამდვილეს გვაძლევს თავის შემოქმედებით წარმოდგენაში: ორეულებს, მთვარეულებს, დამხრჩვალთა და თავის მკვლელთა აჩრდილებს.

ეს არ არის ლამაზად განსხვანაირება სინამდვილისა, არამედ მახინჯად განსხვანაირება.

ვალ. გაფრინდაშვილს კი შეუძლია ლამაზად განსხვანაირება სინამდვილისა და თავისი მძლავრი ნიჭი და ფანტაზია აქეთკენ უნდა გადმოჰხაროს.

რომ ამას თვითონ პოეტიცა გრძნობს, ეს აშკარაა ლექსში — „იავნანა სამგლოვიარო“.

„დაისებში“ მდიდარი შემოქმედებაა, მდიდარი ენა, მომხიბლავი მუსიკა და საუცხოო რიტმი.

„დაისები“ ნაყოფია დიდი პოეტური ნიჭისა, ხოლო ამ ნიჭს გაჯანსაღება ესაჭიროება.

პირველი წიგნის გამოცემის შემდეგ გალაქტიონ ტაბიძე დიდხანს სდუმდა. ეს გარემოება განსაკუთრებით იყო საწყენი ჩემთვის, რადგანაც პირველ ტომში უტკბარი ნიჭი სჩანდა და, ამავე დროს, ბარათაშვილის მონათესავე სული.

მეორე წიგნში გალაქტიონი იმდენად გაიზარდა, რომ ასეთი დიდი ნაბიჯი ჩვენს მწერლობაში მეტად იშვიათი მოვლენაა.

ჩვენში უფრო ხშირად მწერალი დიდ იმედებს იძლევა დასაწყისში, შემდეგ კი ეს იმედი აღარ მართლდება. მწერალს ან აღარ ეტყობა ზრდა, ან კუს ნაბიჯით მიდის წინ.

ამის მიზეზი ქართველი მწერლის ნიჭის თვისებაში არ იყო, არამედ ჩვენი საზოგადოებრივი და ეროვნული ცხოვრების პირობებში.

მომავალი მწერლები ამ მხრივ გაცილებით უფრო ბედნიერნი იქნებიან.

გალაქტიონ ტაბიძის შემოქმედება ცხოვრებამ ვერ ჩაკლა, მიუხედავად იმისა, რომ ის თავიდანვე ცუდ პირობებში იმყოფებოდა და დღესაც იმყოფება.

მიუხედავად მრავალი დაბრკოლებისა, ის საგრძნობლად გაიზარდა და მისი მეორე წიგნი ჩვენი ახალი პოეზიის ერთი საუკეთესო თვალია.

გრძნობათა სიმდიდრე, სიღრმე და სიწრფელე, განცდათა სიუხვე და სილამაზე, ფორმის მრავალფერობა და სისრულე, მუსიკისა და რიტმის სინაზე და კეთილშობილება, მოცეკვავე, მომღერალი რითმების ნაირნაირობა და სილამაზე ერთმანეთს ეჯიბრებიან და ასეთი ყოველმხრივი სიმდიდრე ხელოვნებისა პირველად მკითხველს ათრობს, აბრუებს, როგორც ცხოველი მზე გასწორებულ თვალს.

პირველად როცა კითხულობთ გალაქტიონის მეორე წიგნს, ის თავისი მდიდარი და მრავალფეროვანი შემოქმედების გამო გაურკვეველ შთაბეჭდილებას სტოვებს.

როდესაც რამდენჯერმე წაიკითხავთ, მხოლოდ მაშინ შესძლებთ იმის ჩაწვდომას, გაცნობას, დაფასებას და მისი პოეზიით დატკბობას.

გალაქტიონის ახალი წიგნი სარკეა პოეტის სულისა. აქ მან ჩაგვახედა იშვიათი ლირიზმით გაჟღენთილ პოეზიაში.

ამდენად ნაზი, სათუთი, ფაქიზი, წმინდა და მომხიბლავი გრძნობა, ხან ჩუმი და წყნარი, ხან კი უსაზღვრო, უძირო სევდით დათალხული, გრძნობა, რომელიც სულისა და გულის სიღრმეში გწვდებათ და მთელს არსებას იპყრობს, იმონებს, ბარათაშვილის შემდეგ პირველად არის ჩვენს პოეზიაში.

გალაქტიონ ტაბიძემ გადაგვიშალა დიდი ესთეტიკური ნიჭი, რომელიც ყველაფერს ზომავს, წონის და აფასებს ესთეტურის თვალსაზრისით.

გალაქტიონი რითმის, სიტყვათა მუსიკისა და კეთილხმოვნების ბატონია.

გალაქტიონის მეორე წიგნში ვერ ნახავთ ვერც ერთ ნაძალადევ რითმას. რითმები და ასონანსები აქ ერთიმეორეს ეჯიბრებიან და რითმათა გადაჯგუფებაში მას ტოლი არა ჰყავს.

აიღეთ მისი ლექსები: „ლურჯა ცხენები“, „Voilos“, „ატმის ყვავილები“. აქ რითმები მარტო ბოლოში კი არ არიან, არამედ შიგ სტრიქონების შუაგულში:

> რტოებში ავობს ბებერი ქარი,
> ყვავილთა ჯარი ფიფქით ბანაობს.
> ტყდება, ნანაობს ეთერი ჩქარი.
> ნანაობს ქარი და მიქანაობს.

ჩაუკვირდით მარტო ამ ერთ ტაეპს „ატმის ყვავილიდან“ და დარწმუნდებით, როგორი ხელოვნებითა აქვს ავტორს აწყობილი რითმი შიგ შუაგულ სტრიქონებში.

ასეთი რითმებით მოქარგული ლექსები ჩვენს ახალ პოეზიაში მხოლოდ გალაქტიონსა აქვს.

გალაქტიონის სული მეტად ნაზია, გრძნობით აღვსილი. ამიტომ ის ვერ ასცდა გავლენას და იმის მეორე ტომს საკმაოდ აჩნევია ქვალი სიმბოლიზმისა.

თუ გაფრინდაშვილის პოეზიას ახასიათებს ერთგვარი მისტიური შიში, აქა-იქ ამასვე ვხედავთ ან ვგრძნობთ გალაქტიონის შემოქმედებაში.

სიმბოლისტებს სჩვევიათ ბუნდოვნად, გაუგებრად წერა.

გალაქტიონის მეორე წიგნშიც არის რამდენიმე ლექსი, რომლის აზრი მეტად ბუნდოვანია.

ყოველივე ეს არის შედეგი მიბაძვისა და არ წარმოადგენს გალაქტიონის ნიჭის თვისებას. ამიტომ რაც ადრე მიატოვებს პოეტი ამ დროებითს ნახტომს განზე და მიენდობა მხოლოდ თავის ნაზ და ლამაზ, ტკბილი სევდით დათენთილ ოცნებიფრენას, მით უფრო ნაყოფიერი და უფრო სხივოსანი იქნება მისი შემოქმედება.

საზოგადო მიმოხილვაში უალაგოა ვრცლად დახასიათება გალაქტიონის პოეზიისა. იმის სევდას, ისე როგორც ბარათაშვილის გულის კვნესას, ხშირად საპირადო სარჩული აქვს.

გალაქტიონი გრძნობს თავის ნიჭს და სულიერ ძალას, იმას საკმაოდ განვითარებული თავმოყვარეობა აქვს და ამავე დროს მეტად ნაზი გრძნობა. სინამდვილე ჯერ არ აძლევს მას, რაც საჭიროა, რომ მისმა ნიჭმა დაუბრკოლებლად გაშალოს ფრთები.

აი აქ არის ახსნა იმისა, თუ რად იმეორებს პოეტი:

რადგან არ მაქვს სამშობლო, რადგან არ მყავს არავინ.

გალაქტიონ ტაბიძე დიდი ნიჭია და მას დიდი ყურადღება უნდა, სხვანაირი მოპყრობა.

ეს ყურადღება და მოპყრობა მან დაიმსახურა.

გასულ წელს გამოვიდა ს. გლახაშვილის პირველი ტომი. აქ თავმოყრილია ლექსები, მოთხრობები და პიესები. ლექსები არაფრად ვარგა. მოთხრობებს და პიესებს ეტყობა დაკვირვება და პოეტური ტემპერამენტი.

საერთოდ, დრამატიული ხელოვნება გასულ წელს მეტად მიმქრალი აღმოჩნდა, უმთავრესად იმიტომ, რომ სეზონი არა გვქონდა.

უნდა მართალი ვთქვათ: საქართველოში რომ ქართულ· დრამას· თავშესაფარი არა ჰქონდეს, სირცხვილია.

დრამატიულ მწერლობას სცენა ასაზრდოებს და ახალისებს.

თეატრმა საზოგადოების გათვითცნობიერებაში მეტად დიდი საქმე გააკეთა და ქართულ ხელოვნებაში ის საპატიო ადგილს დიჰერს.

გასულ წელს მეტად ცოცხალი კომედიით მოგვევლინა ჩვენი ნიჭიერი დრამატურგი ტრიფონ რამიშვილი. ეს ჩუმი, უჩინარი და წყნარი მუშაკი დიდი მცოდნეა ჩვენი ცხოვრებისა და ამიტომ მისი· ყოველი ნაწარმოები მხატვრული შინაარსით არის მდიდარი.

„სტუმარ-მასპინძელიც“ ღირსეულ ალაგს დაიჭერს ჩვენს· სცენაზე.

შალვა შარვაშიძის „ავგაროზს“ ვუცადეთ, ვუცადეთ, მავრამ· ბებერი წელიწადი მოკვდა და მისი ჯავრი მიწაში ჩაიტანა: ვერ ეღირსა „ავგაროზის“ ხილვას. იქნება ახალი წელი უფრო ბედნიერი· გამოდგეს და მოვახერხოთ მაშინ ამ პიესის განხილვა.

1920

დავით კლდიაშვილის შემოქმედება

სულმნათი შოთას სიტყვები: „ჩვენ კაცთა მოგვცა ქვეყანა, გვაქვს უთვალავი ფერითა“, ყველაზე უფრო თამამად ჩვენ შეგვიძლია გავიმეოროთ.

ჩვენი სამშობლო მართლაც უთვალავია ფერით, სხვადასხვაობით, რაც საუცხოოდ შეეხება სხვადასხვაობას თვითონ ჩვენს ხალხში. სვანი, რაჭველი, გურული, მეგრელი, იმერელი, ქართლელი, კახელი — ყველა ხომ ერთია, მაგრამ, ამავე დროს, ყველა მათგანსა აქვს ისეთი რამ ხასიათში, რაც მეორეს არ მოეპოვება. იმერეთი ოხუნჯობის, მოსწრებული სიტყვის, სიცილის, ლაღობის ქვეყანაა. იმერეთის მხატვარიც სწორედ ამგვარის ნიჭით უნდა იყოს დაჯილდოებული. ოხუნჯობა, სიცილი, იუმორი მისი ნიჭის თვისებას უნდა შეადგენდეს.

ასეთია დავით კლდიაშვილი, დავით კლდიაშვილის ხსენებაზე ყველა ჩვენგანს აგონდება ის სასაცილო ამბები, რომელთა გარშემოც ტრიალებს შინაარსი მისი საუკეთესო მოთხრობებისა. თავისი ნიჭის ამ თვისებით ის უახლოვდება ილიას და აკაკის, მაგრამ მაშინ. როდესაც ილიასი და აკაკის იუმორი ხშირად გესლიანია, შეუბრალებელი, კლდიაშვილის იუმორი ნაზია, იმერული. აიღეთ „კაცია ადამიანი“: აქ თქვენ ნახავთ ნამდვილ ოხუნჯობას; მაგალითად ის ადგილები, როდესაც ლუარსაბი და დარეჯანი ბუზებს სთვლიან ჭერზე, ან ბოზბაშსა და არტალაზე კამათობენ; მაგრამ საერთოდ „კაცია ადამიანი“ სატირაა. იგივე ითქმის აკაკის სატირულ ლექსებზედაც, სადაც ავტორი ხშირად მეტად გესლიანია, შხამიანი.

იუმორი სატირის ნაწილია, მაგრამ საერთოდ სატირა დაცინვაა, საცინლად აგდება, მაშასადამე პიროვნების გაკიცხვა, დამცირება, თუმცა ღირსეული გაკიცხვა-დამცირება.

დაცინვას, პიროვნების გაკიცხვასა და დამცირებას თქვენ ვერ ნახავთ კლდიაშვილის მოთხრობებში. კლდიაშვილი კი არ დასცინის

თავის გმირებს, პირიქით — ეცოდება, ებრალება ისიხი. ეცოდება იმიტომ, რომ თვით ცხოვრება აყენებს მათ სასაცილო მდგომარეობაში.

რაში გამოიხატება ეს მდგომარეობა და მისი სასაცილო მხარე?

კლდიაშვილი გაქუცული, გახრეკილი აზნაურიშვილების, შემოდგომის აზნაურიშვილების მემატიანეა.

ცხოვრებამ მათი აზნაურობა გააუქმა, მოსპო და გაუთანასწორა ისინი გლეხობას. რას ხედავს სონია, როდესაც თავის ქმარს ოტია ქამუშაძეს უყურებს ყანაში მომუშავეს?

„როდესაც იგი თავისი თვალით ჰხედავდა, ამ წამში, ამ ხანად მისი ქმარი, სახელად ოტია, გვარად ქამუშაძე, წოდებით აზნაური— იყო ნამდვილი გლეხი, მუშა გლეხი, ყოველის მხრით ისეთივე გლეხი, როგორიც აი გადაღმა ყანაში რომ მუშაობდა მათი მეზობელი, პეტრია დინარაძე, სრული მსგავსი მისი, გარდა იმისა, რომ აზნაურიშვილად იწოდებოდა, აზნაურობისათვის სასაცილო ხასიათი ეძლეოდა და თითქმის უფრო ამცირებდა ოტიას ამ გარემოებაში...

გულმოკლული, დაღონებული, გარეტიანებული, დაბრუნდა სონია სახლში და თვალწინ მოუშორებლად უდგა მისი ქმარი — გლეხი, ყაზახის სახით. გარეგნობით, შეხედულებით, საქციელით, მოქმედებით და შეძლებითაც“...

აი საშინელი ტრაღიზმი იმერეთის აზნაურობისა წარსული საუკუნის დამლევს და ამ საუკუნის დასაწყისში.

ცხოვრებამ ისინი მდგომარეობით გააგლეხკაცა. გლეხობისაგან ისინი არაფრით აღარ განირჩევიან.

ამას კიდეც გრძნობენ და კიდეც ჰხედავენ ეს ქამუშაძეები და სამანიშვილები.

მაგრამ წოდება შერჩენიათ და ამას ებღაუჭებიან, ამაში ხედავენ ხსნას და სხვა გამოსავალი ვერ უპოვნიათ.

ზოგმა გლეხმა მათ წინ გაუსწრო, ისინი უკან მოიტოვა.

ბესარიონ ქამუშაძე ცდილობს დაამციროს სამადაძე და უყვირის მას: ყაზახო, მაგრამ სამადაძე თავშეკავებულად უპასუხებს:

„— ყაზახი ვარ! მარა შენისთანა შემოდგომის აზნაურიშვილს კიდე ვჯობივარ!“

შემოდგომის აზნაურობა თვითონაც ჰხედავს ამას და ამაშია მისი მდგომარეობის მთელი საშინელება.

აზნაური ქამუშაძე სწორედ იმ მოსაზრებით ანათვლინებს შვილს სამადაძეს, რომ მდიდარი გლეხია და თავისი ღონიერი ლუკმიდან შეწევნას არ მოაკლებს ნათლულსო.

აზნაურ ქამუშაძისათვის ეს ერთგვარი დამცირებაა, თავმოყვარეობის შელახვა, მაგრამ რა ქნას, როდესაც ცხოვრება ანადგურებს ძველ წყობილებას, მასთან ერთად წოდებად დაყოფასაც და აყალიბებს ახალს — მოქალაქეობაც.

ასეთია ბედი აზნაურებისა, რომელთა ერთი წარმომადგენელიც ქამუშაძეა.

თავისი მდგომარეობით ისინი უკვე გაგლეხკაცებული არიან და აზნაურობა მათ ცხოვრებას მხოლოდ სასაცილო ხასიათს აძლევს. ისინი ყველაფერში უნდა გაუთანასწორდნენ გლეხობას, იმიტომ რომ გლეხი სამადაძე ყველა ქამუშაძეს იყიდის, მაგრამ აზნაურული კუდაბზიკობა თან დასდევს ჯერ იმათ. პლატონ სამანიშვილი სხვაგან მიდის და ისეთი ცხენი ინათხოვრა, რომელზე შეჯდომაც შეუძლებელია.

„— ამაზე შეჯდომა რავა შეგიძლია? — უთხრა მელანომ.

— აბა, ფეხით ვის მივადგე, შე ქალო?!

— კი, მარა სულ არ მოგჯება ამ საცოდავს ზურგი?

— ფეხ-ფეხა მივყვები, ბატონო, ფეხ-ფეხა მივყვები!... სირცხვილისათვის მიმყავს, თვარა რა!“..

და სწორედ უკასასკნელი სიტყვები პლატონისა არის დამახასიათებელი.

ოტია ქამუშაძე მაშვალს ეხვეწება:

„— რომ გული მოვუკლა იმ ოხრიშვილსაც და ზოგიერთ სხვებსაც... თქვენთვის ეგ არაფერი იქნება, ჩემთვის კი ძვირად რადმე ეღირება, იყოს ისე თქმულებად, ცარიელ სიტყვად, რომ ვითომც ბეგლარს დისთვის ხუთასი მანეთი მიეცეს მზითვად, ცარიელი სიტყვა ქვეყნის გასაგონად, თორემ ფულის თხოვნას როგორ გავუბედავ! ისიც კმარა ჩემს თავზე, ქვეყნის გასაგონად ითქვას მხოლოდ!“

აზნაურობა უკვე დაკარგეს ცხოვრებაში და ზოგი უთანასწორდება გლეხობას. ნამდვილად კი თავი მაინც აზნაურად უნდათ მოაჩვენონ ქვეყანას და აქედან დგება მათი ყალბი და სასაცილო მდგომარეობა.

სოლომან მორბელაძე მდგომარეობით უკვე გაგლეხებულია, მაგრამ გლეხურ შრომას გაურბის, მთელი კვირეები ჯორზეა გადამჯდარი და სამაშვლოდ დაწანწალებს. ის მდგომარეობა, რომელშიაც ის ვარდება მაჭანკლობის წყალობით, როცა არც ერთი მხარე აღარა ჰყავს მადლიერი და არც ქალის პატრონი აძლევს არაფერს, არც სიძის მამა, და ექვსი მანეთითა და ხარის ტყავით უნდა დაკმაყოფილდეს, რასაკვირველია, მეტად სასაცილოა.

თქვენ წარმოიდგინეთ ერთ წამს სოლომან მორბელაძე, რომელიც გულმოსული მიარბენინებს ხარის ტყავით დატვირთულ ჯორს სახლისაკენ და თან ფიქრობს: რა ვქნა, ხვალ ჩემი მოვალე პლატონი რომ მომადგება კარზეო; მოვატყუე, მომატყუეს და ერთი მოტყუებული ხვალ ან ზეგ კარზე მომადგება კიდევო.

დამეთანხმებით, რომ ეს სურათი მეტად სასაცილოა, თუმცა თვითონ სოლომანი ჩვეულებრივი ადამიანია, თუ გნებავთ, რიგიანიც, მაგრამ თვითონ ცხოვრება აყენებს მას ასეთ სასაცილო მდგომარეობაში.

აიღეთ პლატონ სამანიშვილი. რიგიანი, დარბაისელი, ზრდილობიანი ადამიანია, მაგრამ მთელი მისი თავგადასავალი სადედინაცვლოს ძებნის დროს და საშინელი გაცრუება იმედისა სასაცილო ამბავია.

პლატონს უნდა თავისი აზხაურული უპირატესობა შეინარჩუნოს ცხოვრებაში. წინ ეღობება საშინელი აჩრდილი მამულის გაყოფისა. ის ებრძვის ამ აჩრდილს და სასაცილო მდგომარეობაში ამოჰყოფს თავს.

კლდიაშვილის სიცილი მხიარული, გულიანი სიცილია, მაგრამ მასში მაინც ურევია სევდის ხმები. სიცილი ზოგჯერ ცრემლზე მწარეაო, ამბობს აკაკი.

სრული ჭეშმარიტებაა. კლდიაშვილის სიცილი არ არის ქეიფიანი სიცილი: მისი სიცილი მადლიანია, მაგრამ ამავე დროს ფიქრიანიც და ეს ფიქრი ხშირად სევდისაკენ მიდის.

და აქედან წარმოსდგება კლდიაშვილის ნიჭის მეორე თვისებაც ნაზი სევდა.

სევდას ჩვენს სიტყვაკაზმულ მწერლობაში თავისი ისტორია აქვს და ამ სევდას სხვადასხვა დროს სხვადასხვა სარჩული ჰქონდა.

ნ. ბარათაშვილი უფრო მსოფლიო სევდის მატარებელია. მისი სევდა უფრო ფილოსოფიური შინაარსის არის.

ამაოება და სიფუჭე ჩვენი ცხოვრებისა, მიუწვდომლობა მარადისობისა — აი მიზეზი ბარათაშვილის სევდისა.

ამავე დროს, ეროვნული ჰანგები უსათუოდ ურევია ბარათაშვილის სევდაში.

როდესაც ის იგონებს ძველ დედებს და სევდიანი ამბობს:

> რა იქნებოდა, რომ ჩვენთა დედათ
> სულიცა თქვნი გამოჰყოლოდათ!..
> ჯანი გავარდეს აწ შვილსაც, მამულს,
> ოღონდ ვაამოთ ჩვენს საკუთარ გულს.

რის ქართველობა, რა ქართველობა?
ვითომ რას გვაუნებს უცხო ტომობა! —

ამ სიტყვებში უსათუოდ არის ეროვნული სევდის ამონაკვნესი. ის, რაც ბარათაშვილის სევდაში მხოლოდ გაკვრით არის, თითქოს შემთხვევითია, შემდეგ და შემდეგ მეტად განვითარდა, გაღრმავდა და გაიზარდა.

ორბელიანების სევდა არის ღრმა ეროვნული, მაგრამ შიგ წოდებრივი ჰანგები ურევია. ილიასა და აკაკის სევდა წმინდა ეროვნულია, სამშობლოს თავისუფლების დაკარგვით გამოწვეული. ეროვნულ სევდას აქ უკვე ერთვის საზოგადოებრივი ჰანგები.

ვაჟას სევდაში ჩვენ ვხედავთ როგორც ფილოსოფიურს, ისე საზოგადოებრივ მოტივებს.

ერთია, თუნდა ჩვენ ვიყვნეთ
და თუნდა მინდვრის თაგვები, —

ჰგოდებს პოეტი.

და როდესაც ის ითვალისწინებს სამშობლოს მდგომარეობას, გულნატკენი დასძენს:

მივემწყვდით ორ წყალ შუაში,
აღარსად ჩვენთვის ნავია.

საზოგადოებრივ ცხოვრებას რომ უკვირდება პოეტი, ჰხედავს რომ

მგლები, აფთარი გამრავლდნენ,
ჰხარობს იმათი გვარია.
საწყალი საწყლადვე რჩება... და სხვ.

ამგვარად, ვაჟას სევდა უფრო რთულია. არაგვისპირელის სევდაში ორი მხარეა — ფილოსოფიური და საზოგადოებრივი. ადამიანი მთელი თავისი მისწრაფებით არარაობაა; ცხოვრება უზნეობითა და უსამართლობითაა სავსე: აი არაგვისპირელის შეხედულება. აქედან ეძლევა სათავე იმის სევდას.

ნინოშვილისა და კლდიაშვილის სევდა მხოლოდ საზოგადოებრივია.

ადამიანი უბედურია, იმიტომ რომ ცხოვრება არ არის რიგიანად მოწყობილი. საზოგადოებრივ წყობილებას გარდაქმნა ესაჭიროება, — აი დედააზრი ნინოშვილისა და კლდიაშვილის მოთხრობებისა.

„— საშველი თუ მაინც მოგვეცემა როდისმე, რომ კაცური ცხოვრება გვეღირსოს! — ამბობს სოლომონ მორბელაძე და ეს, ამავე დროს, კლდიაშვილის ამონაკვნესიც არის.

კლდიაშვილი გადაგვიშლის სურათს, სადაც უმთავრესი ფერი გაჭირვებაა.

„— ღმერთო, რა დაგიშავეთ ამისთანა?“ — იძახის ეფროსინე „ქამუშაძის გაჭირვებაში“ და ეს არის ამოკვნესა მრავალი მისი მსგავსისა.

ასეთი ამოკვნესა სევდის ჩრდილში ახვევს კლდიაშვილის შემოქმედებას. გაიხსენეთ ვიქტორის სიტყვები „ირინეს ბედნიერებაში“: „ძმაო, ჯერეთ კიდევ ბნეცობაში გვიდგია ფეხი“.

და ასეთი მხეცობის, შეუგნებლობის, ცრუმორწმუნეობის საუცხოო ნიმუში მრავლად არის გაბნეული კლდიაშვილის მოთხრობებში.

ყოველივე ეს სევდის ხმებს ურევს ავტორის სიცილში.

ავტორი გვაძლევს საუცხოო სურათებს სხვადასხვა პირებისას, რომლებიც თავისთავად ყურიგონი, სასაცილონი არ არიან, მაგრამ ცხოვრება აყენებს მათ მეტად სასაცილო მდგომარეობაში, ცხოვრება სასტიკად ანადგურებს მათ და ავტორს ებრალება, ეცოდება თავისი გმირები.

სიბრალული, შეცოდება კი სათავეა ერთგვარი ნაზი სევდისა, რაც ასე ახასიათებს კლდიაშვილის შემოქმედებას.

რას ვხედავთ იმის მოთხრობებში?

ერთის მხრით შეუბრალებლობას, სიბნელეს, ცრუმორწმუნეობას; მეორეს მხრით გაჭირვებას და ამავე დროს კუდაბზიკობას, რომელსაც ჩაბღაუჭებია აზნაურობა და არ უნდა ხელიდან გაუშვას.

ყველა ეს ერთად ასაზრდოებს კლდიაშვილის სევდას.

ერთ თავის ლექსში ვაჟა, სხვათა შორის, ამბობს: კლდეზე ვარ დაფუძნებული.

კლდიაშვილიც სწორედ კლდეზეა დაფუძნებული და ეს კლდეა სინამდვილე. კლდიაშვილი მთელი თავისი ნიჭით არის დაბჯენილი ნამდვილ ცხოვრებაზე და აქ არის მისი ძალა.

რეალიზმი — აი რა ახასიათებს ავტორს.

დავით კლდიაშვილი სინამდვილეში ყოველგვარ წვრილმანს აქცევს ყურადღებას, მაგრამ ხშირად ეს წვრილმანი მეტად დამახასიათებელია.

აიღეთ „სამანიშვილის დედინაცვალში“ სულ უბრალო წვრილმანი, როდესაც პლატონი ცხენს კაზმავს, რომ გზას გაუდგეს.

„— აი, ამოგივარდა პატრონი! — მიაძახა პლატონმა, მოსართავს

რომ ხელი მოჰკიდა. — მეიტა, მელანო, ჩხინკი იქნება რამე... ენა არ ქონებია აბზინდს! მეიტა მალე, თუ ქალი ხარ!"

ანდა პლატონი და არისტო რომ ბრეგაძეებს ეწვივნენ და ვახშმისათვის ქათმის ჭერა რომ შეექნათ მასპინძლისას. „ეზოდან მოისმა რაღაც ხმაური... აგერ გაირბინა ქათამმაც, მას უკან მისდევდა ძაღლი დასაჭერად, აგერ კაცის ფეხის ხმაც მოისმა, რომ მირბოდა".

ყოველივე ეს ხომ წვრილმანია — ეს უენო აბზინდიც, გაქცეული ქათამიც, რომელსაც უკან დასდევნებიან, — მაგრამ წვრილმანებში მთელი იმერეთია.

და დავით კლდიაშვილიც იმერეთის მხატვარია.

იმერეთის ცხოვრებისა და იმერელი აზნაურის სულის ზედმიწევნით ცოდნა ავტორის განსაკუთრებული თვისებაა. ყოველი მისი მოთხრობა იმერეთის რომელიმე კუნჭულია.

სისწორით, სინამდვილით გადმოცემა ცხოვრებისა კლდიაშვილს განსაკუთრებით ეხერხება.

მისი აღწერა ქალების მუსაიფისა ეკლესიაზე, ლხინისა, მთვრალი სუფრისა და სხვ. უნაკლოა.

ყველა ეს — პლატონი, ოტია, დარისპანი, არისტო, კირილე, სოლომანი, ეკვირინე, ბეკინა და სხვ. ხომ ჩვენი ნაცნობები არიან, რომლებსაც ჩვენ ვხედავთ და ვხვდებით იმერეთის ყოველდღიურ ცხოვრებაში.

როგორცა ვთქვით, კლდიაშვილი იმერეთის აზნაურობის, მისი ცხოვრებისა და სულისკვეთების მხატვარია და ამ მხრივ მის მოთხრობებს დიდი სოციალური მნიშვნელობა აქვთ. დავით კლდიაშვილი სწორედ იმ ხანებში გამოვიდა სამწერლო ასპარეზზედ, როდესაც ჩვენს ცხოვრებაში წარმოიშვა მესამე დასი და დაიწყო მოქმედება.

თუ მესამე დასის მწერლები პუბლიცისტიკაში არკვევდნენ ჩვენი ცხოვრების გზას და მომავალ სახეს, კლდიაშვილი კაზმული სიტყვით ჰხატავდა თვითონ ცხოვრებას და მისი მხატვრობა იყო საუკეთესო დადასტურება მესამე დასის პუბლიცისტიკისა.

დავით კლდიაშვილს არა ერთხელ უთქვამს ჩემთვის შემდეგ: მე ცხოვრებას ვხატავდი და მაშინ სრულებით არ მქონდა წარმოდგენილი, თუ რა დასკვნა გამომდინარეობდა ჩემი მოთხრობებიდანო.

და მართლაც რა დასკვნა გამომდინარეობდა?

დავით კლდიაშვილმა ფარდა ასადა იმერეთის აზნაურობის ცხოვრებას და დაგვანახვა, რომ სინამდვილემ ბაწარი მოაბა აზნაურობას და გლეხობისაკენ მიათრევს. აზნაურობა იბრძვის, ეწინააღმდეგება, მაგრამ ამაოდ.

„— რა აქვთ კიდევ საიმედო?“ — ეკითხება სონია ქამუშაძე გაჭირვებაში თავის თავს მეზობელი აზნაურების შესახებ და პასუხი ერთადერთია: საიმედო აღარაფერია.

აზნაურობა გლეხობას გაუთანაბწორდა ცხოვრებით, მუშაობით, შეძლებით, კანონში კი მაინც აზნაურად იწოდებოდა და აზნაურობისათვის სასაცილო ხასიათი ეძლეოდა ყველას.

მაშ რას მოითხოვს ცხოვრება კლდიაშვილის შემოქმედებაში? წოდებათა გაუქმებას.

ცხოვრებამ სრულებით გაამართლა დავით კლდიაშვილი.

ასეა ყოველთვის გაჭართლებული ის, ვინც ცხოვრების სინამდვილეს ჰხედავს და გრძნობს მთელი თავისი არსებით.

მაგრამ ცხოვრებას ორი მხარე აქვს: მოძრავი და უძრავი. ორივე ახასიათებს მას, მაგრამ ერთნაირად კი არა; უძრავი მხარე უფრო წარსულისაკენ იყურება, წარსულის ისტორიაა, მოძრავი კი მომავლისაკენ; უძრავს გზა განვლილი აქვს, ის დამთავრებულია, დასრულებული, მოძრავს კი გზა გასავლელი აქვს, ის დაუმთავრებელია, ჯერ კიდევ დაუსრულებელი.

სწორედ ამიტომ მოძრავი ცხოვრების ამოცნობა და დახატვა მეტად ძნელია. ამისათვის განსაკუთრებული ნიჭია საჭირო.

კლდიაშვილი ასეთი განსაკუთრებული ნიჭით არის დაჯილდოებული. მას იზიდავს ცხოვრების მოძრავი მხარე, ახლის მატარებელი მოვლენანი და პირები.

ბეკინა სამანიშვილი, ჯიმშერ სალობერიძე ძველი ცხოვრების პირები არიან. ამათი სრული დახასიათება არ ეხალისება ავტორს. მას უფრო იზიდავს ისეთი პირები, რომელთა ცხოვრებაში და სულში ცვლილება, მოძრაობა სწარმოებს. ასეთებია პლატონ სამანიშვილი, ოტია ქამუშაძე და სხვ.

დავით კლდიაშვილი მარტო ბელეტრისტი არ არის, — მას აქვს დრამატიული ნაწერებიც.

ეს ნაწერები მაჩვენებელი არიან ავტორის ნიჭის სუსტი და ძლიერი მხარეებისა.

სინამდვილის გრძნობა, ყნოსვა, ხილვა, სმენა მასში ფანტაზიას სჭარბობს. ამიტომ კლდიაშვილის პიესები ძლიერნი არიან იმდენად, რამდენადაც მათში სინამდვილე იხატება.

იმერეთის ცხოვრება, ჩვეულება, იმერეთის ტიპები, იძერული აზნაურობა — აი მთავარი კლდიაშვილის პიესებში. მათში ცხოვრება ცოცხლად არის გადმოღებული, ხოლო ძლიერი, ღრმა შემოქმედება აქ არ არის.

კლდიაშვილის პიესები იგივე მოთხრობებია, სადაც ზოგან ფსიქოლოგიური განცდა სჭარბობს, ზოგან კი ცხოვრების დასურათება.

„ირინეს ბედნიერებაში“ უმთავრესი პირია აბესალო სალამთაძე, რომელიც ტარიელ მკლავაძის შორეული მონათესავეა.

ამ პიესაში ავტორი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს აბესალოს სულიერ ვითარებას.

„დარისპანის გასაჭირში“ იგივე იმერული ცხოვრებაა მისი ზნე-ჩვეულებით. არც დარისპანი, არც აბესალო ფოტოგრაფია არ არის, მაგრამ არც ტიპებია. როდესაც თქვენ შეადარებთ აბესალო სალამთაძეს და ტარიელ მკლავაძეს, მეორე პირველთან შედარებით გოლიათია, იმიტომ რომ ტარიელი ტიპია, ის ფოკუსია თავისი წრისა და წოდებისა.

ცხადია, კლდიაშვილი სინამდვილეს უფრო ენდობა, ვიდრე საკუთარ ფანტაზიას, იმიტომ რომ სინამდვილის მხატვრული განვრეტა, განცდა მასში გაცილებით უფრო ძლიერია, ვიდრე ფანტაზია. საერთო დასკვნა ასეთია:

კლდიაშვილი იმერეთია მისი ნაზი, ლამაზი ფერადებით სავსე და ცოცხალი, მხატვრული ბუნებით.

კლდიაშვილი იმერული ნიჭია, ოხუნჯი, ხალისიანი, სიტყვამოსწრებული, ლაღი.

კლდიაშვილის ლაღობას თანა სდევს ნაზი სევდა, რადგანაც სევდის აღმძვრელია მისგან გადაშლილი სურათები.

კლდიაშვილს უყვარს ცხოვრების სინამდვილე და ის, როგორც ხელოვანი, იმერეთის ცხოვრებაში შინაურია.

იმერეთის ცხოვრების მხატვარი — აი კლდიაშვილი.

მთელი მისი ნიჭის სიძლიერე ამ ცხოვრების აღწერაშია.

იმერეთის აზნაურების ცხოვრებას კლდიაშვილი ზედმიწევნით იცნობს. ეს ცხოვრება არავის ისე რეალურად არ გადმოულია, როგორც კლდიაშვილს.

კლდიაშვილი გადაგვიშლის თვალწინ სასაცილო და თან სევდისმომგვრელ ამბებს და გვიხატავს საუცხოო სურათებს იმერეთის აზნაურების ყოველდღიური ცხოვრებისა, მდგომარეობისა და სულისკვეთებისას.

კლდიაშვილი დიდი, ძლიერი რეალისტია, ცხოვრების სინამდვილეს ის ჰხედავს, გრძნობს, ყნოსავს, იმორჩილებს. მისი შემოქმედება ამ დარგში სრულებით თავისუფალია, ბუნებრივი: გადაჭარბებული, გადამეტებული მას არაფერი აქვს.

იმერელი აზნაური გარდამავალ ხანაში — ანუ შემოდგომის აზ-

ნაური, მისი ცხოვრება, მისი სულისკვეთება — აი საგანი კლდიაშვილის შემოქმედებისა.

აქ ის მეტად თავისებურია, მეტად ძლიერი.

ყოველი მისი სიტყვა ცოცხალი სინამდვილეა და მის მოთხრობებს ჩვენ გადავყევართ შიგ ცხოვრების შუაგულში; ვხედავთ აქ პლატონს, ოტიას, სოლომანს, კირილეს, არისტოს, ეკვირინეს, ბეკინას, გვესმის მათი სიცილი, მათი მუსაიფი, ჩვენ თვალწინ მიმდინარეობს მათი ცხოვრება.

ეს არის დიდი ღირსება ავტორისა, ის მარტო სურათებს, სახეს კი არ იძლევა — ის გვაძლევს თვითონ ცხოვრებას. სინამდვილე იმის შემოქმედებაში ცოცხლობს, მოძრაობს.

აი ამაში მდგომარეობს დავით კლდიაშვილის ნაწერების დიდი ისტორიული მნიშვნელობა.

1920

გ. ჟუჩიშვილის პოეზია

ხალხის ბედი ხალხისავე ხელშია.

ხალხს შეუძლია როგორც ხსნა თავისი თავისა, აგრეთვე დაღუპვაც.

ეს ჭეშმარიტი აზრი საკმაოდ იყო მომწიფებული ჩვენს მწერლობაში უკვე მესამოცე წლებიდან.

საუკეთესო წარმომადგენლები მაშინდელი მოღვაწეობისა მთელ თავის იმედებს ხალხზე ამყარებდნენ.

მაგრამ ხალხი ყოველგვარ პირობებში არ არის გამომჭედი თავის ბედისა...

საჭიროა შეგნება, შეკავშირება.

ამ თვისებით აღჭურვილი ხალხი წარმოადგენს დემოკრატიას.

დემოკრატიის მომზადება ჩვენში იწყებოდა ოთხმოცდაათი წლებიდან.

დემოკრატიული აზროვნება, დემოკრატიული საფუარი იყო მანამდეც ჩვენს ხალხში, მაგრამ საჭირო იყო ხალხის დარაზმვა, შეკავშირება ახალი აზრების შესაგნებლად. აი ამან გამოიწვია ოთხმოცდაათიანი წლების შემდეგ სასტიკი ბრძოლა მამებსა და შვილებს შორის.

შვილებმა მესამე დასის მეთაურობით გაიმარჯვეს...

ისტორია ჩვენი დემოკრატიისა იწყება მესამე დასის ისტორიიდან.

შემდეგ დაიწყო დაუღალავი და მედგარი მუშაობა ჩვენი მუშათა ხალხის გაცნობიერებისა და ამ მუშაობაში თავისი წვლილი შეიტანა ჩვენმა პოეზიამაც.

ბატონყმობის გადავარდნას თან მოჰყვა ძლიერი ხალხოსნური

ტალღა ჩვენს პოეზიაში, მაგრამ ეს ტალღა იყო გარედან შემოჭრილი, ის დაიბადა დიდკაცურ წრეში.

ხალხთან ის ახლო არ იყო, ამიტომ ვერც ახდენდა შესაფერ გავლენას.

წარსული საუკუნის ბოლოში დემოკრატიამ თვითონ წარმოშვა თავისი პოეტები, რომლებმაც ხელი შეუწყეს თავისი პოეზიით დემოკრატიის ზრდასა და დავაჟკაცებას.

დემოკრატიის აუცილებელი გზა არის ბრძოლა ბატონობისათვის.

ეს ხანა ჩვენი დემოკრატიის ცხოვრებაში ჯერაც არ დამთავრებულა.

ამიტომ დემოკრატიის პოეტებმა შეიტანეს ჩვენს პოეზიაში ბრძოლის სიმღერა. ასეთია ევდოშვილი და ვარლამ რუხაძე.

მშრომელი ხალხის სამსახური და რევოლუციის ღმერთის თაყვანისცემა — აი რა ახასიათებს ამ ორ პოეტს.

ესენი გამოვიდნენ ხალხის წრიდან და ხალხის იდეალი დაისახეს თავის მიზნად.

ამ მიზნის განხორციელება მოითხოვდა ბრძოლას მედგარს, სასტიკს და ამიტომაც რევოლუციის ცეცხლი დაანთეს ჩვენს ახალს პოეზიაში და მისი შუქით შეიჭრნენ მშრომელთა უბნებში.

ამ ორი პოეტის გზას გაჰყვა შემდეგ ბევრი ახალგაზრდა მგოსანი.

მათ რიცხვს ეკუთვნის ქ უ ჩ ი შ ვ ი ლ ი ც.

ეს პოეტი მშრომელი ხალხის პირმშო შვილია მთელი თავისი ცხოვრებით, მოქმედებით, მისწრაფებით, სიხარულით თუ სევდით, სიყვარულით თუ სიძულვილით, ერთი სიტყვით მთელი თავისი აზრით, გრძნობით, მსოფლმხედველობით ეკუთვნის მშრომელ ხალხს.

მისი პოეზიაც სიმღერაა მშრომელი ხალხის ბედისა და უბედობისა და გაცხოველებულია ბრძოლის ჰანგებით, ბრძოლის ცეცხლით.

რისთვის იბრძვის მშრომელი ხალხი? ამქვეყნიური ცხოვრების მოსაწყობად.

ამიტომ მას უყვარს სინამდვილე, სიცხადე.

მწერლობაში ამას შეეფერება რეალური მიმართულება, ბუნებრივობა, მარტივი, უბრალო და სადა ენა.

სწორედ ასეთია ქუჩიშვილი.

საიდუმლო, გაუგებარი, მისტიური მას არა სწამს.

ხილული ცხოვრების სინამდვილე — აი რა იზიდავს მას.

ბუნების სიმშვენიერე — აი რა ჰხიბლავს მას.
სილამაზეს ის არ ეძებს თვალდახუჭული.
ის უმზერს სილამაზეს — ეს არის მთელი ბუნება.
და ის ცდილობს ამ ბუნების სიდიადის გაშლას, რომ თვითონაც დასტკბეს და სხვაც დაატკბოს:

ცისკრის თრთოლა,
მზის კაშკაში,
სიოს ქროლა
ჭალა-მთაში, —
აი ჩემი აღტაცება!
ტყის ფოთლებო,
ტაში, ტაში!

ამ სტრიქონებში მღერის ბუნების მგოსანი, რომელიც ტყის ფოთლებს ეთამაშება და ბუნების ყოველ მოვლენაში უდიდეს მშვენიერებას ჰხედავს:

აი, დაჰბერა ნიავმა,
ტყემ ნაზად დაიშრიალა,
დაირაკრაკა ტოროლამ,
ბულბულმაც შეიფრთხიალა,
ამღერდა ცა და ხმელეთი,
აყღერდა ჩანგი წკრიალა!
ღმერთო, რა სანახავია
რა ძვირი გასაგონია! —
ძმობამა, ჩემზე მდიდარი
მე სხვა არავინ მგონია!

ქუჩიშვილი არა თუ მგოსანია ბუნებისა, ის ბუნების მიჯნურია. ბუნების სილამაზეს ის ვაჟა-ფშაველასავით გრძნობს, ჰხედავს. იხიბლება, თვრება ამ სილამაზით და მღერის გულმხიარული, შეყვარებული:

მყის გული ამიმღერდება
ბუნების დანახვაზედა!

ჩვენ აქ აშკარად ვხედავთ, თუ რა დიდი გავლენა აქვს ბუნებას ადამიანის ხასიათზე, იმის სულიერ განწყობილებაზე.

ვინც ბუნებასთან დაახლოებულია, არ შეუძლია ბუნება არ შეიყვაროს. ვისაც ბუნება უყვარს, ის ბედნიერია. ვაჟა-ფშაველა უდიდესი მგოსანია მთებისა. ჩვენი ქვეყნის მთებმა ვაჟაში ჰპოვეს უბადლო მხატვარი, რომელმაც მთებს სული ჩაუდგა, ფიქრით დაამძიმა და აამეტყველა.

ქუჩიშვილი თავის ლექსში — „მთებს“ ვაჟას მოგვაგონებს.

მთებო, რა საყვარლები ხართ
ტყე-ღელე-ჭალა-სერითა,
აყვაყებული ქედებით,
მდინარეების ჩქერითა,
ცის ელვა-ჭექა-ქუხილით
და ქარიშხალის მღერითა, —
ისე არ მოვკვდე, არ გაეძღე
თქვენი სიტურფის მზერითა.

როდესაც გაზაფხულის რიჟრაჟზე ამომავალი მზე სხივებსა ჰკრავს ცის გუმბათს, იშვიათი სურათი იხატება.

წამოშლილი ჩიტები მხიარული ჟღურტულითა და ჭიკჭიკით ეგებებიან ცის მეფეს, ბუნება აფერადდება, აწითლდება სიყვარულით და ახმაურდება სხვადასხვა სიმღერით ბუნების სილამაზესთან ერთად. თქვენ აქ შეჰყურებთ მზის თაყვანისცემას.

ამ საერთო ფერხულშია ქუჩიშვილიც:

მზე ამოდის! მზე ამოდის!
ფრინველებმა დაჰკრეს ტაში!
მსურს მეც გზაში მივეგებო,
მეჯინიბევ, ჩქარა რაში!

როგორც ის მერცხალი, რომელიც მხიარული ჟღურტულით ეგებება მზის ამოსვლას, ქუჩიშვილიც ბუნების თაყვანისმცემელია. როდესაც ის მოსწყდება დედამიწას და ოცნების რაშზე გადამჯდარი თავის ალმაფრენას გაჰყვება, მეტად მოხდენილია:

გასწი! გასწი, ჩემო ლურჯა,
გასწი, თუ გიყვარღ!
ნიავ-ქართან მანავარდე,
მეყო, რაც ვიდარდე!

და განა რა ადარდებს მგოსანს?
ბევრი რამ.

მარტო ვარ, მარტო.
ვის განვუმარტო
სიკვდილ-სიცოცხლის
შავი ფიქრები.

სიკვდილ-სიცოცხლის საკითხს ბევრი პოეტი ჩაუფიქრებია. ამგვარი ფიქრი იწვევს ქუჩიშვილში ერთგვარ სევდას, მაგრამ ეს სევდა იმის პოეზიაში შემთხვევითია და წარმავალი.

ქუჩიშვილი ბრძოლის პოეტია. სიკვდილი მას აფიქრებს, მაგრამ ბრძოლის ცეცხლი მასში გაცილებით უფრო ძლიერია, ვიდრე სიკ-

ვდილის შიში და ამიტომაც ამ სევდასაც მის პოეზიაში უმნიშვნელო ადგილი უჭირავს.

მართალია, მას აფიქრებს ზოგჯერ ჩვენი არსებობის წარმავლობა:

სიზმარს მგონებს ჩვენი აქ ყოფნა,
სიზმარივითაც მიქრიან დღენი,
ეჰ, რა ფუჭია კაცთა ცხოვრება,
რა ხანმოკლეა სიცოცხლე ჩვენი.

ან კიდევ:

ჩვენ მგზავრნი ვართ წუთისოფლის,
მიეალთ ლანდებივით;
სიზმარივით ვიბადებით,
ვქრებით სიზმარივით...

მაგრამ სიკვდილის სევდას ის ბრძოლის ყიყინაში ახრჩობს და თავისუფლებისათვის ბრძოლაში ხედავს ცხოვრების მიზანს.

მეორე მიზეზი პოეტის სევდისა არის ქვეყნის ცრემლები. ქვეყანაზე უსამართლობა სუფევს, ტანჯულთა ცრემლი იღვრება, და ეს სევდით ავსებს პოეტის გულს.

მაგრამ მან იცის, რომ მშრომელი ხალხის ბრძოლა და გამარჯვება შეაშრობს ამ ცრემლებს და წუთიერი დასევდიანების შემდეგ ის ისევ იმედიანად მოუწოდებს ყველას ბრძოლისაკენ და მებრძოლთა წმინდა სახელებს უმღერის გმირულ სიმღერას.

პოეტის სევდაში დიდი ალაგი უკავია მშრომელი ხალხის მდგომარეობას:

ყველა მოვარის ლანდებს ვგევართ,
შეგვხმობია ყველას ყბები.

შრომის ჰანგში მას ხშირად ესმის ბედის სამდურავი და ჩივილი:

და ამ ჰანგში, შრომის ჰანგში,
ცხოვრებაზე მოსთქვამს ყველა.

მაგრამ პოეტმა იცის, რომ

შრომის წმინდა სამეფოში
შრომის დროშით შევალთ ყველა!—

და ამიტომ ამაყი და გამხნევებული მედგრად მოუწოდებს შრომის შვილებს:

ერთად, ძმებო, ძმებო, ერთად!
ჩაქუჩით და თოფით ხელში!

სირცხვილი მას, ვინც გაებას
მაცდურების გაბმულ ქსელში!

პოეტის სევდას ასაზრდოებს სამშობლოს ბედი.

მისი სული არის — საქართველოთი მოწყენილი, მოულხინარი... ერის ცრემლით დამძიმებული.

მაგრამ პოეტმა კარგად იცის, რომ მისი საყვარელი სამშობლოს ხსნა მხოლოდ ბრძოლაშია და ყველას მოუწოდებს ბრძოლისაკენ:

წავიდეთ, ძმებო, წავიდეთ,
ჩავებათ ცხარე ბრძოლაში.
ვაშა, ვინც ჩვენთან იქნება
თოფ-ზარბაზნების სროლაში!

პოეტის ლექსებში გატარებულია საღი გრძნობა მამულის სიყვარულისა და თქვენ აქ ვერ ნახავთ ვერავითარ გადაჭარბებას. მას უყვარს თავისი სამშობლო, როგორც ხალხის შვილს, და მოუწოდებს ყველას მის დასაცავად.

ქუჩიშვილს განსაკუთრებით მოსწონს თავისი სამშობლოს ბუნება:

ვინც მისწვდება ჩემი მთების
მწვერვალებს და ღრუბლებს,
ისიც მგოსნად გადიქცევა,
ღმერთთან ისაუბრებს.

სამშობლო პოეტს ესახება, როგორც ზღვაში ობლად მავალი ხომალდი და ფიქრი პოეტისა თან დასდევს მას.

ამ ფიქრში ხშირად იპვია, ზოგჯერ იმედი, ზოგჯერ კი სევდა და უნუგეშობა.

ქუჩიშვილი უხვად არის დაჯილდოვებული გრძნობით, ტემპერამენტით, სამხატვრო გემოვნებით და ამიტომ მისი ასპარეზი ფართოა.

მაგრამ მისი ჩანგის სიმები განსაკუთრებით მუშა ხალხის ბედის სამღერლად არიან განწყობილნი; პოეტს განსხვავებულად უყვარს მუშა ხალხი; მას მუშა ხალხთან აქვს სულიერი ნათესაობა, ის მუშა ხალხის მგოსანია.

მუშათა უბანი, სარდაფები და ქოხები, მათი მუშაობა, ტანჯვა, გაჭირვება, იმედი, ბრძოლა და გამარჯვება — აი რა იზიდავს ქუჩიშვილს.

რისთვის არის მუშა ხალხი უმთავრესი საგანი პოეტის შემოქმედებისა?

იმისთვის, რომ ქუჩიშვილი მუშა მგოსანია და მთელი თავისი შეგნებით, მისწრაფებით ის შეკავშირებულია მუშა ხალხთან: გრძნობით, ფიქრით და ოცნებით მუშა ხალხის გულსა და გონებასთან არის გადაჯაჭვული.

ქუჩიშვილს გათვალისწინებული აქვს, რომ ცხოვრება უკუღმართობით, უსამართლობით, ბოროტებით არის სავსე.

ცხოვრების გასაწმენდად, ბოროტების მოსასპობად ბრძოლაა საჭირო.

საუკეთესო მებრძოლებს პოეტი ხედავს მუშა ხალხში.

ერთ თავის ლექსში („შავი სამეფო") აგვიწერს კიდეც მუშა ხალხის განსაკუთრებულ დანიშნულებას:

მხოლოდ მუშები, გულმამაცი
ქარხნის მუშები
დიდი ხანია, რაც საომრად
ემზადებოდნენ,
იქ, იმ ჯურღმულში ერთდებოდნენ,
ირაზმებოდნენ
და ამბოხების ნანატრ ძახილს
ელოდებოდნენ.

გაისმა ნანატრი ძახილიც, დადგა ჟამი ბრძოლისა. უნდა უყურეთ, როგორი შეგნებითა და თავგანწირვით იბრძვიან თავისუფლების გულისათვის ეს გოლიათები:

მკერდგაღეღილნი აწვებოდნენ
მტარვალთა ჯარებს,
კოერიან ხელით წინ მიჰქონდათ
წითელი დროშა
და ვეფხვებივით ასკდებოდნენ
ციხეთა კარებს.

რევოლუციის მოწინავე ჯარს, რომლის მოწოდებაც არის ძველი ქვეყნის დანგრევა, პოეტი ჰხედავს მუშათა კლასში.

ამიტომ უმღერის ის მუშებს. დაჩაგრულთა ხსნა, ძველი წყობილების დანგრევა, სამშობლოს განთავისუფლება, — ყოველივე ეს მხოლოდ მუშა ხალხს შეუძლია, პოეტის რწმენით.

ამიტომ უყვარს მას მუშები. ქუჩიშვილი რევოლუციის მგოსანია და ვის უნდა უმღეროს მან, თუ არა რევოლუციის მედროშეებს!

ქუჩიშვილის პოეზიის ერო განსაკუთრებულ თვისებას ის შეადგენს, რომ ეროვნული და კლასობრივი იქ გადაჯაჭვული, შედუღებულია, ერთი უმეოროდ პოეტს ვერ წარმოუდგენია. მუშა ხალ-

ხი მის წარმოდგენაში მარტო კლასი კი არ არის, არამედ მთელი ერის მისწრაფებათა გამომხატველი და მატარებელი.

თავისი ბრძოლით ის მარტო თავის თავს კი არ ანთავისუფლებს, არამედ მთელ ერს. მუშათა კლასის გზა და მთელი ერის გზა ერთი და იგივეა.

საუცხოოა პოეტის „ახალი ნანა“:

აჯანყებულ ქუჩებიდან
ისმის ყიჟინაო,
ისმის ხალხის მოწოდება:
წავიდეთ წინაო.

ინგრევა და ილეწება
ძველი ქვეყანაო;
ია-ნანა, ვარდო-ნანა,
ია-ნანინაო.

ბრძოლის ცეცხლი ჩვენს ახალ პოეზიაში ევდოშვილმა და ვარლამ რუხაძემ დაანთეს; პოეზიაში მათ ააფრიალეს წითელი დროშა.

ამ ცეცხლის გარშემო ფერხული გამართეს მშრომელი ხალხის წრიდან გამოსულმა პოეტებმა და ერთი ამათგანია ქუჩიშვილი.

ზოგჯერ სევდიანი, ზოგჯერ აცრემლებული, ბევრჯერ იმედიანი, ის მიუძღვის მშრომელ ხალხს წინ თავისი ლამაზი, მოხდენილი სიტყვით და შეურყეველად სწამს, რომ ცხოვრება წინ მიდის სულ უკეთესი და უკეთესი მომავლისაკენ.

იმის პოეზიაში თქვენ ნახავთ ცრემლებს, სევდას, სასოწარკვეთილებასაც, მაგრამ რწმენის ჩირაღდანი მის ხელში არც ერთხელ არ ჩამქრალა და არც ჩაქრება.

ოცნების რაშით მიისწრაფის წინ მშვენიერებისაკენ, უკვდავებისაკენ — მზისაკენ.

ქუჩიშვილის შემოქმედებაში ცეცხლია ჭეშმარიტი ხელოვნებისა. გრძნობით სავსეა მისი პოეზია, სიყვარულით გამთბარი.

ძალდატანება მას არსად არ ეტყობა, ბუნებრივია, როგორც მთის ანკარა ნაკადული და მეტად გულწრფელი. მაგრამ მისი გონების ფრთები მეტად სუსტია მისი აღმაფრენისათვის და ამიტომ ქუჩიშვილის პოეზიას სიღრმე და სიგანე აკლია.

თანამედროვე ცხოვრება მეტად რთულია და თანამედროვე პოეზიაშიც გულის ცეცხლი გახვეული უნდა იყოს გონების შუქში, რომ ის კიდეც სწვავდეს და შორსაც ანათებდეს.

ქუჩიშვილის პოეზია მდიდარია მუსიკალობით, სიმღერა ჩაქსო-

ვილია ქუჩიშვილის ლექსში და ამიტომაც არის ის ხმატკბილი მოალერსე.

თავისი შემოქმედების მნიშვნელობას თვითონ პოეტი ახასიათებს ერთ თავის ლექსში:

მე ზარი ვარ მოგუგუნე,
მოწოდების ზარი,
ჩემს რეკაზე ირაზმება
შრომის შვილთა ჯარი.
მე ზარი ვარ მოწკრიალე,
სასოების ზარი!
ხან მწუხარი, ხან მქუხარი,
ხან კი ხმანარნარი!

წმინდა, ჭეშმარიტი ხელოვნება ქუჩიშვილმა შეუხმატკბილა მშრომელი ხალხის ბედ-იღბალს; სამშობლოს მომავალი მან გადააწნა მუშათა კლასის მერმისს, ეროვნული და კლასობრივი ერთმანეთს დაუკავშირა პოეზიაში.

ქუჩიშვილის შემოქმედებაში კლასობრივ ჰანგებთან ერთად გაისმის ეროვნული ჰანგები და, ამავე დროს, მუსიკის ხმატკბილობა არა თუ არ ირღვევა, უფრო საგრძნობი და ძლიერია.

ამაშია განსაკუთრებული თვისება ქუჩიშვილისა.

პოეტსა სწამს სამშობლოც, სოციალიზმიც, ეროვნულიც და ინტერნაციონალურიც და ეს რწმენა ლამაზად არის აკინძული იმის პოეზიაში.

ბუნებრივი ნიჭი ქუჩიშვილისა საკმაოდ ძლიერი და თავისებურია, მაგრამ ამ ნიჭის დახვეწა, გაზრდა და გაღრმავება ვერ შესძლო პოეტმა.

მისი შემოქმედება შეჩერდა ერთ წერტილზე და აღარც ფორმას, აღარც შინაარსს წინმსვლელობა არ ეტყობა.

მაგონდება გრიშაშვილის სიტყვები ერთ ლექსში: „სად ვყოფილვარ, რა მინახავს?“ — იგივე სიტყვები შეუძლია გაიმეოროს ქუჩიშვილმაც.

მარტო ნიჭმა რა ჰქნას, თუ მას არ ექნება ხელის შემწყობი პირობები, როგორ გაიზარდოს და გაივსოს.

მაგრამ ეროვნული აღორძინება უსათუოდ გამოიწვევს ჩვენი პოეზიის მძლავრ ამეტყველებას და შექმნის ისეთ პირობებს, როდესაც ყოველ ნიჭს საშუალება მიეცემა მთელი თავისი ძალღონე და შესაძლებლობა ბოლომდე ამოსწუროს.

ი. გრიშაშვილის „საიათნოვა“

ყარაჩოღელი და კინტო ერთი და იგივე ჰგონიათ!!.

ჩვენი წარსულის უცოდინარობით მოსდით.

ყარაჩოღელი უპირველესად თბილელი მოქალაქეა. შეიძლება ის ქართველი იყოს, შეიძლება სომეხი — სულ ერთია, ის შვილია საქართველოსი, საქართველო მისი სამშობლოა.

და მას უყვარს ეს სამშობლო, ის არ გასცვლის მას სხვა ქვეყნის სამოთხეზე. არ უღალატებს, არ გაჰყიდის მას.

ამ მხრივ ყარაჩოღელების სულისკვეთების, მათი გრძნობის გამომხატველია მგოსანი საიათნოვა, რომელიც მღეროდა: „ჩემი სამშობლო თბილისია, საქართველოს გული“.

ყარაჩოღელთა ერთი ნაწილი სომხობა იყო, მაგრამ სამშობლოს სიყვარულში ეს ნაწილი შედუღებული იყო ქართველობასთან.

ქართველ და სომეხ ყარაჩოღელს — ორთავეს ერთი სამშობლო ჰქონდათ. ორივენი ერთი ცხოვრებით სცხოვრობდნენ, ორივეს საერთო ჰქონდათ ჭირი და ლხინი. კეთილდღეობა ჩვენი ქვეყნისა მოითხოვს, რომ როგორც ძველად ყარაჩოღელებს, ისე დღესაც საერთო გვქონდეს — ლხინიც, ჭირიც:

ნუ დააგდებ ძველსა გზასა,
ნურცა ძველსა მეგობარსა.

ძველი, ყარაჩოღლური ძმობა და ერთობა ჩვენს შორის სიყვარულისა და თანხმობის განუწყვეტელ ჯაჭვად უნდა გადაიქცეს.

ძმობისა და ერთობის სიმები საქართველოს სხვადასხვა ერთა შორის ჯერ, სამწუხაროდ, არ არის მტკიცე. მაგრამ საერთო მუშაობით, შეერთებული ძალღონით უნდა. განვამტკიცოთ.

ამიტომ სასარგებლოა იმ დროში ჩახედვა, როდესაც ეს სიმები მტკიცედ იყო გაბმული და მათზე დამღერებით საიათნოვა ატკბობდა ძველ თბილისს, ძველ თბილელს, ძველ ყარაჩოღელს — სომეხსაც,

ქართველსაც, თათარსაც. ეს დრო, მისი მარტივი ცხოვრება, მისი ბავშვური გულუბრყვილობა, მისი სადაობა და სილამაზე ეშხიანად და ბაკმიანად გადაგვიშალა თვალწინ თვითონ ბაკმიანმა გრიშაშვილმა.

გრიშაშვილის „საიათნოვა" სწორედ დროის შესაფერისია.

რომაული ანდაზაა: წიგნებს თავისი ბედი უწერიათო.

საიათნოვასაც თავისი ბედი ეწერა.

ჩვენ გაგვეგონა საიათნოვა, ვიცოდით, რომ ის ერეკლეს დროს რაღაცას სწერდა, უკრავდა, თუ მღეროდა, მაგრამ მას არ ვიცნობდით.

გრიშაშვილის ნიჭი და მაღლიანი კალამი იყო საჭირო, რომ საიათნოვა მკვდრეთით ამდგარიყო ჩვენი საზოგადოებისათვის.

ესეც საიათნოვას ბედი, რომ ის ხელში ჩაუვარდა მზის სხივებში მოტივტივე სიტყვათა ჰარამხანის მბრძანებელს.

საიათნოვა გაუგებარია, თუ ძველი თბილისი არ გაიგეთ. ძველი თბილისი გაუგებარია, თუ ძველი ყარაჩოღელი არ გაიცანით.

გრიშაშვილიც გვიხატავს ყველა ამათ საუცხოო სურათს: „ძველს პოეტებში მეც მყავს ჩემი გულის მურაზი".

ერთი მათგანი უეჭველად საიათნოვაა.

გრიშაშვილს აქვს საერთო როგორც საიათნოვასთან, ისე ყარაჩოღელთან. გრიშაშვილის ნიჭში არის ბევრი რამ ყარაჩოღული: ყველგან და ყველაფერში საკუთარი მეობა, სულისა და გულის იშვიათი სიმდიდრე, გონებამახვილობა, თავისებური ფხიანობა, საკუთარი გზის საკუთარი შრომით გაკაფვა და სხვა... აბა რამდენი ერთი უნდა ჩამოვთვალო!

საიათნოვასთან კი გრიშაშვილს აერთებს მოტივები, ჰანგები, რითმი. სიყვარულის ენა, სამიჯნურო გალობა, მგოსნობა.

საიათნოვა პოეტიც იყო, მგოსანიც — ესე იგი მომღერალი.

გრაშიშვილიც პოეტი და მგოსანია.

მართალია, ის არ მღერის, მაგრამ სამაგიეროდ მისი ლექსის სიტყვები სულ მღერიან და ცეკვავენ.

ბუნებრივი პოეტიც ამით განირჩევა ნაცოდვილარისაგან: მისი ლექსის კითხვამ უსათუოდ უნდა აგამღეროს და სხეული აგითამაშოს. საიათნოვას სიყვარული მსხვერპლიანი, ზვარაკიანი სიყვარულია. ამგვარივეა გრიშაშვილის სიყვარულიც. უმთავრესი მოტივი საიათნოვას პოეზიისა სიყვარულია. გრიშაშვილის ცელქი, ცქრიალა, მოსხლეტილი, ხან მხიარული, ხან სევდიანი, მაგრამ მუდამ მოცეკვავე და მომღერალი სიტყვაც ხომ უფრო სიყვარულს ევლება გარშემო.

საიათნოვა რაც იყო, თავისით იყო, — თავისი ნიჭით, თავისი ენერგიით გაიკაფა მან გზა და გახდა სასახლის დიდი მგოსანი.

ამ მხრივ გრიშაშვილი საიათნოვას გამეორებაა. ამანაც დიდი და თავისებური ნიჭით გაიკაფა გზა და შეიჭრა ძლიერ და მეტად ლამაზ ნაკადულად ჩვენს პოეზიაში.

ამიტომ უყვარს გრიშაშვილს საიათნოვა და მასთან ერთად ძველი თბილისი და ყარაჩოღელები.

უსიყვარულოდ არ შეიძლება ისეთი სურათების დახატვა, როგორსაც გვაძლევს გრიშაშვილი თავის „საიათნოვაში“.

ძველი თბილისი, მისი ცხოვრება, მისი ზნე-ჩვეულება, მისი დროსტარება, საქმიანობა ცოცხლდებიან.

და როდესაც საიათნოვას ჰკითხულობთ, გგონიათ, რომ ყოველივე ამას ჰხედავთ ცოცხლად, ნამდვილად, საკუთარი თვალით.

ამ ძველ ცხოვრებაში სადაობასა და სიმარტივესთან ერთად დიდი სილამაზეც არის და ეს სილამაზე თავის გამომხატველს ჰპოვებს საიათნოვაში.

დიდი პოეტი ის არის, ვინც თავის დროს საუკეთესოდ გამოჰხატავს. საიათნოვას პოეზია ღარიბია მოტივებით, როგორც მაშინდელი ცხოვრება, მაგრამ ის მდიდარია ფერადებით; ის მარტივია, მაგრამ მეტად ლამაზი.

საიათნოვა სარკეა თავისი დროისა და ამიტომ ის დიდი პოეტია.

ლიტერატურული შენიშვნები.

დღევანდელ დღეს ახასიათებს საერთოდ ადამიანის დაწვრილმანება, დაქვეითება.

ეს გამოწვეულია საშინელი სიძვირით.

მთელი ყურადღება ადამიანისა კუჭს დაემორჩილა. ვერ შოულობ იმდენს, რომ კუჭი ოდნავ მაინც დაიკმაყოფილო და ასეთ გარემოებაში ვიღას სცალია სულისათვის?

მიუხედავად ამისა, ხელოვნების დარგშიაც სწარმოებს ჩვენში დიდი მუშაობა.

ქართული ოპერა, ქართული დრამა, ქართული მხატვრობა ბრძოლით იკაფავს გზას წინ.

სიტყვაკაზმული მწერლობაც ვითარდება; სწარმოებს გადასინჯვა ძველი გზებისა, ძიება ახლისა, ბრძოლა.

ყოველივე ეს უტყუარი ნიშანია ერთგვარი ძვრებისა.

რაც უნდა გაურბოდეს მწერლობა ცხოვრების სინამდვილეს, ამ სინამდვილეს მაინც ვერსად დაემალება, — ისე როგორც ადამიანი ვერსად გაექცევა თავის ჩრდილს.

სინამდვილე თავის დაღს აჩენს მწერლობას.

სინამდვილე ერთფეროვანია და სადა არ არის, — რთულია, მასში გადახლართულია ადამიანთა, კლასთა და წოდებათა ინტერესები, წინააღმდეგობანი.

აი ყოველივე ამის სარკეს, აჩრდილს, ხმაურს ან ანარეკლს ჩვენ ვხედავთ სიტყვაკაზმულ მწერლობაშიაც.

ყოველ მწერალს თავისი სული შეაქვს შემოქმედებაში, სული კი შეგნებულად ან შეუგნებლად ატარებს კლასის ან წოდების სახეს.

ამიტომ სიტყვაკაზმულ მწერლობაში უსათუოდ არის კლასობრივი. წოდებრივი სული, მაგრამ ყოველგვარი მიმართულების სი-

ტყვაკაზმულ მწერლობას ახასიათებს საერთოდ მშვენიერება. მშვენიერება კი ყველა კლასისათვის მისაღებია.

შეიძლება არ ვიზიარებდე ამა თუ იმ პოეტის მსოფლმხედველობას. მაგრამ იმის პოეზიის მშვენიერებას, მისი შემოქმედების ხელოვნებას თაყვანსა ვსცემდე.

ყოველ კლასსა და წოდებასა ჰყავს მწერალი, რომელიც განსაკუთრებით მისთვის არის ძვირფასი.

ასეთი იყო მუშათა კლასისათვის ნოე ჩხიკვაძე, რომლის კალამიც უდროოდ გადატყდა გასულ წელს.

ამ უბრალო ადამიანში, რომელიც ზოგჯერ მშიერი იყო, ზოგჯერ ქუჩაში ათენებდა, ნამდვილი ცეცხლი იყო ჭეშმარიტი პოეტისა.

პოეტის ლექსთა პირველ კრებულს აქვს ორი წარწერა: „ცისა და მიწის“, „სიცოცხლეა — სიყვარული!“ აი ამ ორ აზრში მთელი შინაარსია ჩხიკვაძის პოეზიისა და მასთან გარკვეული მსოფლმხედველობა.

პოეტის გული დედამიწის მწუხარებით არის დაღარული, მაგრამ ის მაინც ცისაკენ იყურება და იქითკენ უხმობს ყველას!

ვაი მას, ვისაც ცის გალობა არა ესმენია .

რა თქმა უნდა, პოეტის ცა არ არის მორწმუნე ადამიანის ცა, არ არის ამაღლებული ცხოვრება, სულიერი ნეტარებით სავსე.

გარეშე სიყვარულისა პოეტს არა სწამს სიცოცხლე. მთელი მისი პოეზია გაცხოველებულია ადამიანის სიყვარულით:

— მერე რა ჰქვია ესრედ ტანჯვით ჩემში შობილსა?
— ადამიანი!
— ამინ! — შევსძახე უკვდავებს სულსა სათვისოდ
და შემოყვარდა საუკუნოდ, სამარადისოდ!

პოეტის სიყვარული არ არის უძრავი, უმოქმედო. მისი სიყვარული მოძრავია, მას სწყურია ადამიანის ბედნიერება.

მაგრამ იბადება შემდეგი საკითხი: რა არის ბედნიერება, რაში გამოიხატება ის?

ცისა და დედამიწის დაკავშირებაში, — უპასუხებს პოეტი:

დაკავშირება თუ რომ შესძლო მიწის და ცისა,
ზეცის საუნჯე, საიდუმლო მიწას აჩვენა, —
იგი დარჩება საუკუნოდ გამარჯვებული.

როგორც კი ამ დასკვნამდე მივა პოეტი, თავს წამოჰყოფს მეორე საკითხი: რითი, რა გზით, რა საშუალებით შეიძლება ცისა და

დედამიწის დაკავშირება? უანგარო სიყვარულითა და თავისუფლებით, — უპასუხებს პოეტი.

ცხოვრებაში უნდა გამეფდეს უანგარო სიყვარული და თავისუფლება. მხოლოდ ამის შემდეგ გახდება შესაძლებელი ცისა და მიწის დაკავშირება.

მრწამს ერთი რამე: უანგარო თავისუფლება....
და სიყვარული, სიცოცხლისა სასუფეველი.

პოეტის ძიება აქ არ ჩერდება, რა გზით შეიძლება თავისუფლებისა და სიყვარულის გამეფება ცხოვრებაში? ეკითხება თავის თავს. არსებობს მხოლოდ ერთი გზა — ეს არის გზა ბრძოლისა:

ბრძოლა ყოფნის ქარია, რღვევის ქარიშხალია!

მიზანი გარკვეულია, გზაც გამონახული. მაგრამ საქმე იმაშია, ვინღაა ეს მებრძოლი?

მებრძოლები არიან მხოლოდ დაჩაგრულები, შრომის შვილები. მუშათა კლასი, რადგანაც ბრძოლის ცეცხლი მხოლოდ ოფლისა და ცრემლის შეერთებით ჩნდება.

ვინაც კვნესის, იმან იცის ყოფის ვალი!
აწმყოსაგან მსხვერპლსა ითხოვს მომავალი;
და როდესაც სამსხვერპლოზე იგი დნება,
როცა ოფლსა ცხარე ცრემლი ეთვისება,
ის ნაღველი ბრძოლის ცეცხლად უნდა იქცეს,
ძველი ყოფნა ჩაიტანოს და დაიქცეს!...

ამიტომაა, რომ პოეტს განსაკუთრებით უყვარს მუშათა კლასი:

გაუმარჯოს მაშ შრომის შვილს,
გაუმარჯოს ჩაგრულთ კერას!

პოეტი ჩაგრულთა მგოსანია. მაგრამ მისი ჩანგის ამ თვისებით არ აიხსნება მისი სიყვარული მუშათა კლასისადმი. მუშათა ხალხში ის ხედავს მებრძოლს, რომლის მოწოდებაც არის ცხოვრების გარდაქმნა, სიყვარულისა და თავისუფლების მოპოება და ამით ცისა და დედამიწის დაკავშირება.

ჩხიკვაძის პოეზია სავსეა ბრძოლის ცეცხლით. ანთებული ჩიტრაღდნებით მიუძღვის ის მუშა ხალხს წინ და სევდით სავსე კილო ჰექა-ქუხილად იცვლება.

დაჰკარ, დაჰკარ მტრისა გულს აღსასრულის ლახვარი,
რომ ბედისგან დაჩაგრულს შეშრეს ცრემლისა ღვარი!
დაჰკარ, დაჰკარ ბოროტ სულს, ცოდვით ვალაღებულსა,

სანამ ძმობა-სიყვარულს ვპოვებთ გამარჯვებულსა!
დაჰკარ. დაჰკარ! დაეცეს სიმართლისა მტარვალი!
შემდეგ ძირს საზარელი სისხლი, ომი და ხმალი!
დაჰკარ. დაჰკარ! დალეწე ტანჯვის ციხე-ბორკილი,
მკვდრეთით აღსდგეს მწუხარე მონა, წელში მოხრილი!
დაჰკარ, დაჰკარ სიკვდილსა, რომ სიცოცხლე იწამოს,
სიყვარულის ნათელი მოეფინოს მიდამოს!
რომ დამყარდეს სიმართლე, შრომის შვება-უფლება.
დაჰკარ, დაჰკარ! ნეტარი ვპოვოთ თავისუფლება!

მარტო ბრძოლის მგოსანი არ არის ჩხიკვაძე. ის ამავე დროს სევდის მგოსანიც არის, ნაღველი და ბრძოლის ცეცხლი ერთად არის შეზავებული იმის პოეზიაში:

მე მიცნობდა მხოლოდ ერთი: ჭმუნვა და დარდი,
ჭმუნვა იყო ჩემი მოძმე, ია და ვარდი.

მისი კვნესა გულისა, სულიერი ტანჯვა თავისი სიყრმითა და წარმტაცი სინაზით ბევრგან გვაგონებს ბარათაშვილის მარტოობასა და სულის ობლობას.

უკანასკნელ ლექსებში პირდაპირ გასაოცარია პოეტის წინათგრძნობა სიკვდილისა: ის დარწმუნებულია, რომ მისი ბოლო ახლოს არის, სიკვდილს ნათლად ხედავს და ხელითაც ეხება:

მე სიკვდილს ველი. ჩემს გარშემო ჟამი ბნელდება.
საფლავის კართან ჩრდილთა ღმერთის ვუცდი ბრძანებას.

ნოე ჩხიკვაძის სევდას ერთი რამ ახასიათებს: პოეტი მეტისმეტად გულწრფელი და ბუნებრივია.

მისი სევდა, ამავე დროს, არ არის შედეგი უიმედობისა, სასოწარკვეთილებისა და გულგატეხილობისა. რწმენა და იმედი წინ მიუძღვის მას. ის დარწმუნებულია, რომ ცხოვრება წინ მიდის, სიმართლე და სამართლიანობა გაიმარჯვებს:

ბოროტებისა ბოლო მაინც აღსასრულია.

ასეთის რწმენით განმტკიცებული მოუწოდებს შრომის შვილებს იმედიანის ყიჟინით:

შორს მონის ხუნდი! გაბედულად ასწიე ქედი
და გამოსჭედე, დაჩაგრულო, შენ შენი ბედი!

ასეთია საერთოდ მუშათა კლასის ყოველი მგოსანი, იმიტომ რომ თვითონ მუშა ხალხია ამგვარი.

ნოე ჩხიკვაძის პოეზია გამოხატვაა მუშათა კლასის სულისა.

პოეტის სიმღერაში არის სევდის კილო, მაგრამ აქ არ არის სასოწარკვეთილება განწირულისა.

ასეთია ბუნება თვით მუშათა კლასისა: მან იცის სევდა, მაგრამ ფარ-ხმალის დაყრა კი არასოდეს; სევდაში ის მხოლოდ სულს იკაქებს და ახალ ძალას, ხალისს ჰპოვებს ახალი ბრძოლისათვის.

ნოე ჩხიკვაძის სევდის სათავე არის პირადი ცხოვრება:

დუხჭირ ბედმა სიჭაბუკე არ გამივარდა.

პირად სევდას აღრმავებს და აძლიერებს საზოგადოებრივი, ცხოვრების სიმახინჯითა და უსამართლობით გამოწვეული.

რადგანაც ცხოვრების უსამართლობის ბრჭყალებში მუშა ხალხი იტანჯება, ამიტომაც პოეტის სევდა კლასობრივია იმდენად, რამდენადაც ის მუშა ხალხის ბედს დასტრიალებს თავს და იმის განთავისუფლებას უგალობს.

სევდა სჩვევია ყოველ კლასს — პროლეტარიატსაც, ბურჟუაზიასაც. პოეტის სევდის გულში ჩახედვა ჩვენ ამავე დროს გვიჩვენებს, თუ ვინ ზის ამ გულში. ნოე ჩხიკვაძის გულში მუშათა კლასია და პოეტიც მუდამ დარჩება ამ კლასის საყვარელ მგოსნად. დაჩაგრულთა ტკბილ მომღერალს, ამაყს, გატაცებულს, გაუტეხელს, ადამიანის სიყვარულით აღსავსეს, საუკეთესო იდეალებისათვის მებრძოლს არ დასცალდა ამოეწურა თავისი უნაზესი გრძნობებით სავსე გული.

დიდება იმას, ვინც დაიწვა ნათლის ძიებით! —

ნათელს ეძებდა პოეტი, ნათლისაკენ უხმობდა ყველას — ქება და დიდება მას.

სიტყვაკაზმული მწერლობა ხელოვნების ნაწილია და ხელოვნების დანაკლისი ამავე დროს დანაკლისია მწერლობისაც.

ჩვენმა ხელოვნებამ გასული წლის ბოლოს დაჰკარგა დიდი განძი — მსახიობი ლადო მესხიშვილი.

მსახიობი სასცენო ხელოვნების მსახურია, მაგრამ დიდი კავშირი აქვს სწორედ სიტყვაკაზმულ მწერლობასთან, რადგანაც მწერლობის აზრსა და იდეალებს ხორცს ასხამს, სულს უდგამს და ანსასიერებს, თვალსაჩინოდ ხდის მაყურებლისათვის; ამ მხრივ ლადო მესხიშვილი დიდი ჯადოსანი იყო და ღირსეული ქურუმი სასცენო ხელოვნებისა.

დიდი მსახიობისათვის ყველაფერი უხვად ჰქონდა მას მომადლებული ბუნებისაგან: იშვიათი გარეგნობა, მოქნილი სახე, მატყვევებელი თვალები და მეტად მუსიკალური ხმა, რაც ბოლო ხანებში

ყელის ავადმყოფობამ დაჩრდილა, და დიდი ნიჭი პირველხარისხოვანი მსახიობისა.

ყოველივე ეს მსახიობმა მოიტანა ჩვენი თეატრის სამსხვერპლოზე. დასწვა სრულიად და თვითონაც დაიწვა, დაიფერფლა. არავის არ ეხერხებოდა მაყურებლის სულსა და გულში ისე ღრმად, ძძლავრად ჩაწვდომა, როგორც ლადო მესხიშვილს და არავის არ აუტოკეცია ჩვენი ახალგაზრდობის გული და ოცნება, არავის არ მიუცია მისთვის ისეთი სანეტარო განცდა, როგორც ამ მსახიობს.

ნამდვილი ჯადოსანი იყო, რომელიც სულიერი ნეტარების წყაროს აპკურებდა ყველას.

ამავე დროს ის იყო ღირსეული მოქალაქე და ჭეშმარიტი დემოკრატი.

ხელოვნების დროშა თუ მაღლა ეჭირა, არა ნაკლების გატაცებით ემსახურებოდა საჭიროების დროს რევოლუციის დროშას...

1905 წელში ქუთაისის სცენა მან გადააქცია სარევოლუციო ტრიბუნად და მისმა სარევოლუციო პიესებმა მთელი ქარიშხალი დაატრიალეს მაშინდელ ახალგაზრდობასა და დემოკრატიაში.

მისი გზა ეკლითა და ვარდებით იყო მოფენილი. ეკალს ვარდი სჭარბობდა და ეს თაყვანისცემა მან ღირსეულად დაიმსახურა.

გასულ წელს გამოვიდა ლექსთა კრებული გ. ქუჩიშვილისა, „ბალდახინი“ კოლაუ ნადირაძისა, „დაბინდული ქარვები“ რაჟდენ გვეტაძისა, „მინანქრები“ შალვა ამირეჯიბისა, რაუდ გოგოხიას „ზამთრის ჩუქურთმა“, ერთაწმინდელის ლექსები.

ერთი წლისათვის ეს საკმაოდ მოზრდილი ტვირთია და ჩვენი პოეზია ნაყოფიერი გამოდგა.

გ. ქუჩიშვილი უკვე სახეგარკვეული მგოსანია და თავისი ნიჭის თვისებით უახლოვდება ნოე ჩხიკვაძეს.

ქუჩიშვილი პირადი განცდის პოეტია და მისი შემოქმედება ერძნობაზე არის აგებული. ეს ღირსებაა, მაგრამ ცალმხრივი.

ერთ ლექსში („ჩემი ვედრება“) ვაჟა-ფშაველას შემდეგი საგულისხმო სტრიქონები აქვს:

გულს დარდი გამიდიადე
იმ სანეტარო საგანზე;
დაწერე ფიქრი ღრმა, მწვავე
ჩემი გონების საბანზე,
გონებას ფიქრი სტანჯავდეს,
გულს ცეცხლი სწვავდეს ძლიერი.
მშიოდ-მწყუროდეს კეთილი,
ვერ გავძღე, მოვკვდე მშიერი.

აქ მოკლედ და მკაფიოდ მთელი დახასიათებაა ნამდვილი პოეზიისა: გულს ძლიერი ცეცხლი უნდა სწვავდეს, გონებას ღრმა და მწვავე ფიქრი უნდა სტანჯავდეს, — მაშინ არის სრული პოეზია.

ქუჩიშვილის პოეზიაში პოეტური ცეცხლი საკმაოდ ძლიერია. მწვავე ფიქრიც არის შიგ, მაგრამ ამ ფიქრს სიღრმე და სიძლიერე აკლია.

ეს ნაკლია, დიდი ნაკლი, მაგრამ ქუჩიშვილის ბრალი არ არის.

ქუჩიშვილი მუშათა კლასის მგოსანია, ნიჭით, გრძნობით, პოეტური ბასიათით დაჯილდოვებული, ბრძოლის საყვირი, ჭექა-ქუხილით წინ მიუძღვის მშრომელ ხალხს, მაგრამ მისი სიმღერა მეტად მარტივია, თუმცა გრძნობებით სავსე.

პოეტს მარტო გრძნობათა ძაფები კი არ უნდა ეპყრას ხელთ, არამედ გონების ლამპარი.

დღეს განსაკუთრებით სავალდებულოა ეს მუშათა კლასის პოეტისათვის. მუშა ხალხი თანდათან იპყრობს პოლიტიკურ ასპარეზს და აქ მარტო ბრძოლა აღარა კმარა, საჭიროა წინდახედულ, გონივრულ ბრძოლასთან ერთად შემოქმედება. მეტად დიდი, ძნელი და საპასუხო შემოქმედება.

ამ საქმეში მარტო გრძნობა, ათასი ნაზი და წარმტაცი იყოს ის. შორს ვერ წაგვიყვანს. საჭიროა გონების სისრულე და აზრის სიღრმე.

მუშათა კლასი მარტო ფიზიკური ძალა არ არის, ის უნდა იყოს ამავე დროს დიდი ზნეობრივი და გონებრივი ძალა.

უაზისოდ მისი გამარჯვება უნაყოფო იქნება და შეიძლება სასტიკი დამარცხებითაც დამთავრდეს ბევრჯერ.

ქუჩიშვილი უმთავრესად ლირიკოსია. მისი პოეზია გრძნობათა კრიალოსანია. სევდის ხმები ხშირად გაისმის პოეტის სიმღერაში. მაგრამ მისი სევდა მუშური სევდაა. ბრძოლის ცეცხლითა და იმედით სავსე.

ქუჩიშვილში საკმაოდ განვითარებულია ბუნების გრძნობა. პოეტი ბუნების შვილია და მან იცის ბუნების სილამაზის გამოცნობა და ბუნების სიმშვენიერით დათრობა.

ნიჭის ამ თვისებით პოეტი უახლოვდება ვარლამ რუხაძეს და ბუნების დიდ მესაიდუმლეს ვაჟა-ფშაველას.

ფიქრი და სიყვარული პოეტისა შრომის შვილებისაკენ არის.

ქუჩიშვილის ლექსი მდიდარია თავისებური მუსიკით; იმას მღერა უფრო შეეფერება, ვიდრე კითხვა.

მე ზარი ვარ მოგუგუნე,
მოწოდების ზარი,

და ჩემს რეკას ყველგან ისმენს
შრომის შვილთა ჯარი, —

ასე ახასიათებს თავის პოეზიას თვით პოეტი.

შრომის შვილთა ჯარის სმენას მართლაც დაატკბობს მისი ახალი კრებული.

კოლაუ ნადირაძე და რაჟდენ გვეტაძე ერთი მიმართულების, ერთი სკოლის პოეტები არიან; ამიტომ მათ ბევრი რამ აქვთ ერთმანეთში საერთო: ერთგვარი ხასიათი წერისა, რიტმი, რითმა, შეხედულება და ხშირად შინაარსიც.

სიცხადის ნაცვლად — ბუნდოვანობა; სინამდვილის ალაგას — ქიმერები; სილამაზის ალაგას — სიმახინჯე; ჯანსაღობის ნაცვლად — სნეულება; სიცოცხლის სიყვარულის ნაცვლად — სიცოცხლის სიძულვილი და უარყოფა; საღი ადამიანების ნაცვლად — შეშლილები, თავის მკვლელები.

ამგვარია ესთეტიკა სიმბოლისტებისა, ასეთია კოლაუ ნადირაძეც.

მატყუარაა სამყაროს სახე, — აცხადებს პოეტი ერთ ლექსში.

ამიტომ უნდა უარვყოთ სამყარო მთელი მისი სინამდვილით და ვეძიოთ მხოლოდ ფარული, იდუმალი; ასე მსჯელობს პოეტი:

იწამე ყოფნა ჩვენი ლანდური.

სიცოცხლე უნიჭო პიესაა, —სწერს ის ერთგან, — მაგრამ ისეა მოწყობილი, რომ არსაიდან გამოსავალი გზა არ არის:

არ არის სხვა გზა, არ არის არსად;
ეს მასკარადი მოეწყო ისთე!
დაფერფლე სული და ეცვი ჯვარსა,
ვით ავაზაკი და როგორც ქრისტე.

ამ უილაჯო სასოწარკვეთილების რკალიდან ადამიანი რომ შეშლილებსა და თავის მკვლელებს შესტრფოდეს, ბუნებრივია.

პოეტი ძლიერია, როდესაც თავის ჩვეულებას ჰღალატობს და გულიდან ამოხეთქილ ნაკადულს წრფელი გრძნობისას ბუნებრივ გამოსავალს აძლევს.

მაგინ სულიერი განწყობილებაც პოეტისა სხვანაირია: თუ სხვა დროს მას სიცოცხლე სძაგს, მზად არის თავის თავს სილა გაარტყას და ღმერთს ევედრება:

ო. ღმერთო ჩემო, დაასრულე ჩემი წამება.
და დაჩქარე ეს დღეები და ეს წამები! —

ასეთ იშვიათ წუთებში პოეტი დამშვიდებულია და სულით ბედნიერი.

მე ვგრძნობ სიცოცხლეს, სისუფთავეს მივარდნილ ქვაშიც.
ღმერთო ძლიერო, მე შენთან ვარ, მე ყველა მიყვარს!

როდესაც პოეტი ბუნებრივ სახეს უბრუნდება, მაშინ ის გვაძლევს წრფელსა და ძლიერ განცდას, რაც მხოლოდ ჭეშმარიტი პოეტის თვისებაა.

ლექსი ცოცხალი არსებაა: ისახება, იბადება, იზრდება, ცოცხლობს და კვდება, თუ ჩვეულებრივია, ხოლო უკვდავია, როგორც გენიოსი, თუ არაჩვეულებრივია.

ლექსს სხეულიც აქვს, ტანისამოსიც. მისი სხეული — აზრია; მისი ტანისამოსი — გარეგანი მოკაზმულობა, ფორმა.

შიშველი ლექსი მკვდარია; უსახელო ლექსიც ცარიელი ტანისამოსია.

ცხადია, ლექსს უნდა ჰქონდეს როგორც სხეული, ისე სამოსიც; ორივე აუცილებელია და სავალდებულო ლექსისათვის.

შემცდარია, ვინც მარტო სხეულს აქცევს მთავარ ყურადღებას; შემცდარია არა ნაკლებად ისიც, ვინც მარტო ტანისამოსს აქცევს მთელ თავის ყურადღებას.

ლექსში ზოგი მარტო აზრს აფასებს, — შეცდომაა: ძონძებსა და ჯღანებში გამოწყობილ ლექსს ვერავითარი აზრი ვერ გაამართლებს.

ზოგი მხოლოდ ტანისამოსს სინჯავს, — ესეც შემცდარია: ვერავითარი ლამაზი სამკაული უაზრობას ვერ გაამართლებს.

ახლო წარსულში ჩვენს პოეზიას ჰქონდა დიდი ნაკლი: გარეგნობას, ტანისამოსს ნაკლებ ყურადღებას აქცევდა.

ახალგაზრდა პოეტებმა მიაქციეს ამ გარემოებას დიდი ყურადღება და ლექსის გალამაზებას შეუდგნენ. ამ გზაზე დიდი ნაყოფი მოგვცეს გრიშაშვილმა, აბაშელმა, სხვებმაც.

მაგრამ ყველაზე უფრო მტკიცედ, მხნედ და გარკვეულად დადგნენ ამ გზაზე სიმბოლისტები.

მათი ძიება ლექსის ფორმის სფეროში, თავისებური ელფერის შეტანა რიტმში, მეტრში, რითმაში, სიტყვების დახვეწა და სხვ. ზოგჯერ ახირებულია თავისი უჩვეულობით, მაგრამ საჭირო და აუცილებელი.

ასეთ ძიებას ყოველთვის თან ახლავს შეცდომები, გადაჭარბებაც, მაგრამ ყოველივე ეს ბუნებრივია.

ასეთი გზა აუცილებელია, მაგრამ თავდაჭერილობა და ზომიერება არის საჭირო. სიმბოლისტებს სწორედ ეს აკლიათ და ხშირად მეორე უკიდურესობაში ვარდებიან: ივიწყებენ ლექსის სხეულს და

მთელ თავის ყურადღებას სამკაულს აქცევენ, კარგი რითმისათვის მზად არიან აზრი გასწირონ.

ეს ნაკლი თან დასდევს ყოველ მათგანს; თან დასდევს კოლაუ ნადირაძესაც.

აიღეთ შემდეგი ტაეპი:

ჩვენი თვალები იმ ბეჭედში შეხვდნენ მგზავრებად.
ო, სინამდვილევ სანატრელი სპარსულ ნოხების!
მრავალი მთვარე ამაყობდა აქ ღვდელმთავრებად,
თითქოს შეშურდათ მათ წარსული დიადოხების.

სამკაული კარგია, მაგრამ სხეული არ არის, — ლამაზი უაზროობაა. ვეჭვობ, რომ აქედან მკითხველმა რამე გაიგოს.

ალაგ-ალაგ ლექსის მუსიკა მოშლილია, რიტმი დარღვეული. ბაღებში — ოთახებში, ჭალებს — მწვერვალებს და სხვა ამგვარი რითმები მიუღებელია.

მიუხედავად ამისა, ნადირაძის პოეზიის სამკაული, ფორმა საკმაოდ დამუშავებულია, დახვეწილი და მოხდენილი.

რაჟდენ გვეტაძე გამოვიდა „დაბინდული ქარვებით“.

პოეტი სიმბოლისტთა ძმობას ეკუთვნის, მაგრამ ამ მიმართულების ბევრ თვისებას მოკლებულია.

სიმბოლისტები საერთოდ უარყოფენ ძველსა და ახალ პოეზიას, შოთას, ბესიკსა და საკუთარ თავს გარდა არავინა სწამთ.

ბოლო დროს ცდილობენ ძველ პოეზიასთან შერიგებას. მაგალითად, გაფრინდაშვილი ღირსეულად აფასებს გურამიშვილს.

შემდეგში რას იზამს რაჟდენ გვეტაძე, არ ვიცი, ხოლო თავის პირველ კრებულში ის ძველ პოეზიასაც ენათესავება, ახალსაც, სიმბოლისტებსაც.

მისი „სულამიტ“, „უსათაურო“ ატარებს ნიშანს გრიშაშვილის გავლენისას.

ალაგ-ალაგ ბუნდოვნად წერა, რითმის გულისათვის აზრის განწირვა გვეტაძესაც სჩვევია. მაგრამ საერთოდ მისი დედააზრი ნათელია. მისი წერის ხასიათი რეალიზმზეა დამყარებული.

ზოგან მისი რეალიზმი გადაჭარბებულიც არის, როგორც, მაგალითად. „ჯარისკაცი და მოსამსახურე გოგო“.

პოეტს უყვარს სინამდვილე, სიცხადე, ბუნება და თავისი განცდისათვის ეძებს ახალ სამკაულებს. ამიტომ რაჟდენ გვეტაძე ერთგვარი შემრიგებელია, შემაერთებელი ხიდია ძველი და ახალი პოეზიისა.

ამ მხრივ ის საინტერესოა და უხვი, თუ არ გადაუხვია.

ახლო მომავალი დაგვანახვებს, საითკენ წავა პოეტის ნიჭის განვითარება.

მისი სიმღერის საგანი მრავალფეროვანია, უმთავრესი ძარღვი კი პირადი გ ,ნცდაა.

განცდათა შუაგულში პოეტის პიროვნებაა. საკუთარი სევდის სიმღერაში ალაგ-ალაგ ნევრასტენია ხმაურობს.

ზოგიერთი მისი სურათი, როგორც „ღამე სოფელში“ ან „მარტოობა შემოდგომის წვიმიან ღამეში“ („საქართველოში“ დაიბეჭდა) საუცხოოა თავისი შესრულებით.

ალაგ-ალაგ პოეტს აქვს ნაძალადევი რითმები, როგორც „მერცხლების“ — „ვერცხლების“, მაგრამ ფორმა საერთოდ საკმაოდ დასრულებულია და შინაარსიც — ზოგიერთი ახირებულობისა და გადაჭარბებული ნატურალიზმის გარდა — მისაღები.

შალვა ამირეჯიბს სიმბოლისტები თავისი წრის პოეტად სთვლიან. „მინანქრებში“ ძალიან ცოტაა ამის დამამტკიცებელი საბუთი.

ზოგიერთი ლექსი, როგორც თუნდაც „მასკარადი“, თავისი ფორმით მოგვაგონებს სიმბოლისტურს, ხოლო საერთოდ „სხვაგან ჰქრის მისი გონება“.

რაჟდენ გვეტაძეს ერთ თავის ლექსში აქვს შემდეგი სტრიქონი:

მგზავრის სამოსზე წელს მიმშვენებს ძველი ქამარი.

ეს სიტყვები უფრო ამირეჯიბს შეეფერება.

იმის ლექსებში ძველი პოეზიის სურნელებას ჰყნოსავს მკითხველი.

მაჭარი ენის შეხებისთანავე გატკბობთ. სულ სხვაა ძველისძველი ღვინო: უნდა რამდენჯერმე გასინჯოთ, კარგად დაწუწნოთ, ძარღვებში გაგიჯდეთ, მხოლოდ მაშინ დააფასებთ და იგრძნობთ სიამეს.

სწორედ ასეთია „მინანქრები“. პირველი გადაკითხვით არ ახდენს შთაბეჭდილებას: აქ არ არის მყვირალა სიტყვები, გაბერილი გრძნობა, აზრის წვალება. ყალბი ხმაურობა და მოჩვენებანი შთაბეჭდილების შესაქმნელად.

სიდარბაისლე, თავდაჭერილობა, ზრდილობა თან ახლავს შალვა ამირეჯიბის პოეზიას.

ის პატარა ზომისაა, მაგრამ რაც არის, ეულია, ხალასი, წმინდა.

მთელ პოეზიას წარსულის ნაზი აჩრდილი დასტრიალებს. პოეტს განსაკუთრებით უყვარს წარსული. ამ სიყვარულში ძველი, გარდა-

სული წოდების სულია. ამას იმიტომ კი არ ვამბობ, რომ ვუკიჟინო პოეტს. — მე მხოლოდ ახსნა მინდა მისი შემოქმედების ზოგიერთი თვისებისა.

> როგორც ყოველთვის, ეხლაც ისე ვიმოკლებ დღესა!
> ვიგონებ წარსულ ცხოვრებასა — განვლილს ოცნებით. —

წარსულის მოგონება ტკბილი სევდის ზეწარშია გახვეული. ალბათ იმიტომ, რომ ჩვენი წარსულის ბევრი მხარე სევდათა ამშლელია, თორემ ამირეჯიბი სევდის მგოსანი არ არის, არც ცხოვრებისა და მისი სინამდვილის უარმყოფელი:

> რა რიგ მახარებს მე ეს ქვეყანა,
> ცა, მზის ამოსვლა, მის დასავალი.

პოეტი მართლაც სიხარულის მომღერალია.

ხასიათი მისი წერისა, სტილი, რიტმი, მუსიკა, მეტრი უფრო ძველი მწერლობისაა.

ამ მხრივ ყველაზე მეტი გავლენა ბარათაშვილისაა; ზოგიერთ ძველ სიტყვასა და გამოთქმას ბარათაშვილისას ხმარობს. ალაგ-ალაგ პოეტს ემჩნევა ლექსის ძვირობა, მაგრამ საერთოდ აზრი და ფორმა საკმაოდ შეხამებული და შეწყობილია.

მეტად ნაყოფიერი იყო გასულ წელს ობოლი მუშა.

ქართველ პოეტს ერთი ნაკლი აქვს: მას ზრდა არ ეტყობა.

თითქოს მისი ოცნება პირველი გაფურჩქვნისთანავე გამოაცლის ნიჭს მთელ შემოქმედებას და ამიტომ პოეტის პირველი ნაბიჯები უფრო შუქიანია, ვიდრე შემდეგი.

იშვიათ გამონაკლისს წარმოადგენს ობოლი მუშა. დიდი ხანი არ არის, რაც ის სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა, პირველი მისი კრებული ჩემი წინასიტყვაობით დაიბეჭდა; მას შემდეგ ეს ახალგაზრდა მგოსანი თანდათან იზრდება და სრულდება. მისი სული მუდამ ძიებაშია და ამ გზაზე მისი გრძნობა თანდათან ღრმავდება, აზრი ვითარდება და მაღლდება. ობოლი მუშა უხვად არის დაჯილდოვებული პოეტური ცეცხლით. მოუსვენარი სული, მეტად ნაზი გრძნობა და მაღალი აზრი — აი ობოლი მუშა. თუ პირველი ნაბიჯები პოეტისა ერთფეროვანი იყო და მხატვრულ სახეებსა და განცდას გალექსილი მსჯელობა სჭარბობდა, დღეს მისი შემოქმედება მდიდარია, მრავალფეროვანი შინაარსით და საკმაოდ გაშალაშინებული ფორმით... როგორც შინაარსით, ისე ფორმით პოეტმა მოკლე დროში დიდი ნაბიჯი გადადგა წინ, რაც შედეგია მარტო ნიჭის კი არა, არამედ შრო-

მის. პოეტში დიდი შესაძლებლობაა, მისი შემოქმედება ახლა იწყებს ფრთების გაშლას, ახლა ემზადება სრული ფრენისათვის, —

ლამაზ ოცნების ყვავილებით შემოქარგული.

თავისი მსოფლმხედველობით პოეტი მუშათა კლასს ეკუთვნის, მუშების მგოსანია: მისი ფიქრი და გრძნობა ძუშა ხალხის ბედის მაძიებელია, ამ ბედისათვის მებრძოლი, მაგრამ მისი ოცნება არ არის მოქცეული მარტო დღიური საკითხების ფარგლებში. პირიქით, მას უფრო მსოფლიო საკითხები იზიდავს:

მარადისობის სხივთა ელვით გავიმსჭვალები.

მისი „ორი სარკე“ თავისი რაობით ფილოსოფიურია და მდიდარია შინაარსით.

არის ძიება უფსკრულთა შორის
წმინდა მიზნისკენ მიმავალ გზების, —

და პოეტი შეპყრობილია ამ ძიებით. ძიების გზაზე ბევრი ამოუცნობი საკითხი შეხვდა პოეტს და ეს იწვევს იმის ნათესაობას დანიის პრინცთან:

გაორებულ სულის კვნესით რისთვის ვმღელვარებ?

სულის გაორებას თან სდევს სევდა, რაც საკმაოდ ახასიათებს პოეტის შემოქმედებას. მისი გული ტანჯვის ქსელშია გახვეული და აქედან იწყება მეტად ნაზ და სათუთ გრძნობათა მშვენიერი ნაკადული.

მისი სევდის ბარათი საუცხოოდ არის გადაშლილი „სამ ლექსში“, მაგრამ ისეთი გულწრფელი, ღრმა და უნაზესი სევდით სავსე განცდა, როგორსაც პოეტი იძლევა „უპასუხო ალერსში“, იშვიათია; ლუკმა-ლუკმად დაჭრილი გული ცრემლშია ამოვლებული და საოუთი გრძნობის ძაფზე ასხმული. არც ერთი ყალბი სიტყვა, არც ერთი ყალბი ამონაკვნესი. უდიდესი მიღწევაა გამოუთქმელი სევდის ჩამოსხმა უბრალო, ჩვეულებრივ სიტყვებში. აქ მთელი ცხოვრებაა, მთელი ტრაღედია ადამიანისა.

ობოლი მუშის სევდა მუშური გულის კვნესაა; რაც უფრო ღრმა არის ის, მით უფრო ძლიერია რწმენა და იმედი ძლევისა და გამარჯვებისა.

სევდის ფურცელი მას კი არ უხშობს ოცნების კარს, პირიქით, უფრო ულებს და იმედგაცხოველებული და სახეგაბრწყინებული მიისწრაფვის წინ.

პოეტის ლექსი საკმაოდ მუსიკალურია და შინაარსი და გარეგნობა შეთანხმებული მიდიან სრული გამარჯვებისაკენ.

გასულ წელს ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში იბეჭდებოდა ხარიტონ ვარდოშვილის ლექსები.

პოეტი ახალგაზრდაა და ამიტომ მისი სული, მისი აზროვნება ქაოსიდან ახლა იბადება და ცდილობს გარკვევას.

იქვიანი, მოუსვენარი ფიქრი და მტანჯველი სევდა — აი მთელი შინაარსი ვარდოშვილის პოეზიისა:

არც სიხარული, არც ვარდებია
ჩემს ბაღში ეხლა ლამაზ ფერებით.

პოეტი ებრძვის საკუთარ ბედს, მაგრამ გამარჯვება არა სწამს, სიმტკიცე და იმედი დაჰღუპვია:

გადამემტერა ქარიშხალები,
ფიქრებმა შავათ იწყეს შეფერვა.

ბრძოლას ერთგვარი აზრიც ეკარგება, რადგან პოეტი წინდაწინვეა დარწმუნებული, რომ

დახშული არის ბედის კარები
და საველე გზებზე ღმუის გრიგალი.

შინაგანი ხმა ეუბნება პოეტს:

შენ ღამეები მოგიპარავენ
და გაწამებენ კუდიანები.

ხანდახან მგოსნის სევდიან გულში იმედის სხივი ჩაესვენება და პოეტს სული გაუბრწყინდება:

ელვიან ცეცხლის ხარ მადევარი.

ასეთ წუთებში პოეტი შორს მიჰყავს ოცნებას, სტოვებს ძველ გზას, ჯოჯოხეთის შავი სანთლებით მოფენილს, და ეძებს ახალს, სპეტაკს, ბრწყინვალეს:

აინთე გრძნეულ იდუმალებით
და დაიცალე მზიურ ჰანგებად.

მაგრამ წუთიერი გატაცება და იმედის გაელვარება გაივლის და პოეტის სულსა და გულს ისევ სევდა დაეპატრონება.

სევდის, უიმედობისა და იქვიანობის ნიადაგზე იშლება ერთგვარი შიში:

მაგრამ შემოვა იქვთა გროვა ჩემს სულში ბნელი
და გამოუცნობ შავი შიშის ბინდით დამბურავს.

პირადი სევდის თვალსაზრისით უცქერის პოეტი საზოგადო ცხოვრებას.

ქვეყანა ცოდვით არის შემოქარგული, ძმობა და სიყვარული არ არსებობს, საწუთრო დაწყევლილია და ცხოვრება არ ღირს არაფრად, — აი პოეტის შეხედულება.

მკითხველი ადვილად მიხვდება, რომ ვარდოშვილს ბევრი რამ აქვს საერთო სიმბოლისტებთან: საერთო მოტივები, საერთო კილო, საერთო სულიერი განწყობილება და საერთო ფორმა.

მაგრამ ეს მსგავსება არის მხოლოდ დროებითი ნაყოფი სიმბოლისტების ძლიერი გავლენისა. ამ გავლენიდან ფორმა სიმბოლისტებისა სამუდამოდ შერჩება ვარდოშვილის პოეზიას, შინაარსი კი არა. იმიტომ რომ სიმბოლისტების სევდასა და გამოუცნობ შიშში სოციალური მოვლენა, მთელი კლასი იხატება, ვარდოშვილის სევდასა და გამოუცნობ შიშში კი მხოლოდ და მხოლოდ ყრმობის დუღილის ჩვეულებრივი, ბუნებრივი და წარმავალი სულისკვეთებაა. ამას ცხადად ამტკიცებს ის წინააღმდეგობა, რომლითაც მდიდარია ვარდოშვილის პოეზია. ასეთი წინააღმდეგობანი ყრმობის სულიერი ძიების დამახასიათებელია.

ერთ წამს პოეტი სასოწარკვეთილებით არის შეპყრობილი:

> სახრჩობელები შენთვის მზად არი
> და გელოდება კორიანტელი.

მეორე წამს გრძნობს, რომ ელვაზე ჩამონათალ ცეცხლს ატარებს გულში და იმედით სავსე ჰგალობს:

> ელვიან ცეცხლის ხარ მადევარი,
> გიყვარს ვულკანის დიდი ანთება.

და ღრუბლებისაკენ მიისწრაფვის, რომ იქ დააბინაოს თავისი ოცნება:

> ჩემი ოცნება დავაბინავე
> მაღალ ღრუბლებში, ვით ღმერთის ნება.

ასეთ წინააღმდეგობას სულიერი განწყობილებისას პატარა მანძილზე საზოგადოებრივი სარჩულით ვერ ახსნით, მას აქვს—თუ გნებავთ — ფიზიოლოგიური სარჩული: ყრმის სხეული სრულდება, მწიფდება, გულში უცნობი გრძნობანი იშლებიან, ფიქრი თავს აიწყვეტს და გაურკვეველ ძიებაშია.

ასეთი ყრმობის ხანაში მყოფი სული პოეტისა არ კმაყოფილდება ძველი შინაარსითა და ფორმით, ის ახალს, უცნობს ეძებს და ამ გზაზე ხვდება სიმბოლისტურ პოეზიას.

გავლენა და ერთგვარი გაბრუება, დამორჩილება აუცილებელია.

ხარიტონ ვარდოშვილს ცხოველი ნიჭი აქვს, ტემპერამენტი, მდიდარი გრძნობა, აღმაფრენა, ხოლო ეს ნიჭი ჯერ დუღილშია და გარკვეული სახე ვერ მიუღია. მას ჯერ დიდი შრომა სჭირდება.

ქართულ ნიჭს ხშირად აქვს ერთი ნაკლი: „მე ვარ და ჩემი ნაბადი“...

რაკი ახალგაზრდას ნიჭი აღმოაჩნდებოდა, ყოველივეზე გული უცრუვდებოდა, ნიჭიც მეყოფაო. წამოახტებოდა ცარიელ ნიჭს და იმდენს ახრიგინებდა, რომ სულ მოკლე დროში გააძვალტყავებდა.

თავადიშვილს სწავლა რად უნდაო, — ჰფიქრობდა ძველად თავადიშვილი, — ყმა და შამფულიც ეყოფაო.

პოეტს სწავლა რად უნდა, ნიჭით გზას გაიკვლევსო, — ჰფიქრობს ჩვენში ზოგიერთი ნიჭით აღბეჭდილი ახალგაზრდა.

მარტო ნიჭი, რაც უნდა ძლიერი იყოს, დაბმული ლომია.

ყოველი პოეტისათვის წასაბაძი მაგალითი უნდა იყოს დიდი გოეთე: დიდ ნიჭთან ერთად მას ჰქონდა დიდი ცოდნა, დიდის შრომით შეძენილი. თავისი ცოდნის წყალობით მეცნიერებაშიაც კი დასტოვა კვალი.

„ფაუსტი“ იმდენად ძლიერია შინაარსით და ღრმა და მდიდარია აზრით, რომ ვერავითარი ნიჭი ვერ შესძლებდა იმის დაწერას, თუ არ იქნებოდა შეიარაღებული დიდი ცოდნითა და განვითარებით.

მუხამბაზური ხანა, როდესაც პოეტისათვის მარტო გრძნობა იყო საჭირო, სამუდამოდ წავიდა და აღარ დაბრუნდება. დღეს პოეტისათვის საჭიროა დიდი ცოდნა, ყოველმხრივი განვითარება.

ეს კარგად უნდა ახსოვდეთ ახალგაზრდა მგოსნებს.

დინჯი, აზრიანი მგოსანია იასამანი, მაგრამ ძუნწია. გასულ წელს ის შედარებით უხვი იყო და მისი ლექსები უმთავრესად „ცისარტყელაში“ იბეჭდებოდა.

წარსულის სიდარბაისლე და თავდაჭერილობა, აღმოსავლეთის მხურვალე ლოცვა და ჩუმი, აზრიანი სევდა შეერთებულია იასამნის პოეზიაში; მხატვრული ზომიერება, აუჩქარებლობა თან ახლავს მგოსანს. მას გრძნობათა სადავე ხელში უჭირავს და ყოველგვარ მოვლენაში აზრს ეძებს.

მგოსნის შემოქმედება მდიდარია შინაარსით და განყენებული აზრისა და ბუნების დასურათება მას ერთნაირი სილამაზით ეხერხება.

პოეტის შემოქმედება სევდის ნაზ ბურუსშია გახვეული. მისი სევდის სარჩული არც პირადულია, არც საზოგადოებრივი, არამედ

უფრო ფილოსოფიური, აზროვნების ამ თვისებით პოეტს აქვს მსგავსება ბარათაშვილთან, ამ მსოფლიო სევდის მგოსანთან.

ბარათაშვილის გულისთქმა ზეცას იქით „ეძიებს სადგურს, ზენაარსთ სამყოფს“, მას სწყურია მისწვდეს მთელი სამყაროს საიდუმლოებას. მაგრამ ფიქრი უძლურია, სიძნელე დაუძლეველი, ბჭენი მსოფლიო საიდუმლოებისა მაგრად ჩაკეტილი ადამიანის გონებისათვის.

აქედან იშლება ბარათაშვილის სევდა მიუწვდომლისა და აუხსნელის გამო.

სწორედ ამ გარდუვალ ბჭეთა გაღებას ცდილობს იასამნის მაძიებელი სულიც, მაგრამ

ამ ქვეყნის ტანჯვათ მე ვერ მივსცემ ანგარიშს ბეჯითს,
იდუმალია, მოკლებული კაცთა ცნობისა.

ამიტომ არის მშვიდი სევდით შეფერილი მგოსნის პოეზია.

ლექსი იასამნისა კარგად არის დამუშავებული და მუსიკა საუცხოოდ შეეფერება შინაარსს.

ამეტყველდა გასულ წელს აბაშელიც, ეს მზის მგოსანი.

როდესაც აბაშელს ერთხელ ეს სახელი ვუწოდე, ზოგმა არ მიიღო: პოეტი, რომლის სიმღერაშიც სევდის ჰანგები ისმის, მზის მგოსნად არ ჩაითვლებაო.

სევდის გარეშე მყოფ მგოსანს ვუწოდებდი უფრო მზიურ მგოსანს. აბაშელმა მოგვცა საუცხოო, მეტად პოეტური სახე მზისა, უკვდავი, ყოვლად ძლიერი მზისა.

პოეტს უყვარს უძილო ღამე, სევდის წვეულება, მაგრამ ამავე დროს მზის თაყვანისმცემელია, მზის შუქთა აღტაცებული მომლოდინე, მზის ამოსვლას ისე შეჰხარის, როგორც ტოროლა, ვარდის კოკორი ან ცვარი.

ბუნების მოვლენათა ამეტყველება და გადმოცემა შესაფერისი ფერადებით ყველაზე ძლიერად აბაშელს ეხერხება.

აბაშელის შემოქმედებაში ორი ხანაა: პირველ ხანაში ის საზოგადოებრივი სევდით დანისლული და დიადი ბუნების ტრფობით ამღერებული მგოსანია, მეორეში კი — საკუთარი სულის მხატვარი.

უკანასკნელ დროს მისი შემოქმედება უფრო ამ სულიერი განცდის ხვეულებში ტრიალებს.

„ღამის სარკეში“ და „ღამის მხატვარში“ ძველი აბაშელია. აქ ის იძლევა დიდებულ სურათს ბინდისა და შეღამებისა, როდესაც

საღამოს ჩრდილში დაისვენებს დღის მოჩვენება.
ხენი ცისაკენ ამართავენ ტოტებს შუდარით;

ღამისა, როდესაც

ჩამქრალ მნათობის გაბრწყინდება ცაში ხსენება
იისფერ ნისლში გათეთრდება კოშკი ღრუბლისა,

განთიადისა, როდესაც

ბროლის ქალაქს უცებ ცეცხლი წაეკიდება,

და გათენებისა, როდესაც

დაინგრევა წითელი წვიმით თეთრი მშვენება.

სულიერი განცდა პოეტისა სევდის ნაზ ფერებშია დაფერილი:

ცრემლმა დაპტვირთა ჩემი სიტყვები
დაუსრულებელ სიმწუხარეში.
და დამრჩა მხოლოდ ძვირფასი ქვები
მოგონებათა უცხო მხარეში.

გრძნობათა სინაზე, ღრმა სულიერი განცდა საუცხოოდ არის შეთავსებული „ტაძარში", რომელიც შეუდარებელი სურათია თანამედროვე ინტელიგენტის გაორებული სულისა:

არა მწამს ღმერთი და მის სახლში რად მეტირება?

აბაშელი ჭკვიანი, აზრიანი და გრძნობით მდიდარი პოეტია. მას ადვილად ეხერხება ჩვენი გულის უნაზეს გრძნობათა ტკბილად, სათუთად შეხება და სანეტარო განცდის სხივებში დამშვიდება ჩვენი სევდისაგან დაფორაჯებული სულისა.

მუსიკა მისი ლექსისა ტკბილი და ალერსიანია, ფორმა დამთავრებული.

გასულ წელს ვარლამ რუხაძეს იმედის საყვირი ეპყრა ხელთ.

მისი პოეზია მუდამ ბრძოლისა და იმედის საყვირი იყო.

პოეტის შემოქმედება მეტად საღი და მტკიცეა. ამ მხრივ ის უტყუარი გამომხატველია მუშათა კლასის სულისკვეთებისა. ვარლამ რუხაძე ერთგვარი ფოკუსია, სადაც თავი მოუყრია მუშურ აზროვნებას, ფიქრს, გრძნობას, სევდას, იმედს და სიმტკიცეს.

პოეტის ფიქრი მუშათა კლასის ფიქრია, მისი კვნესა გულისა — მუშათა კლასის სევდაა, მისი გულის წყრომა — მუშათა კლასის კულის წყრომაა; მისი ცეცხლი და იმედი — მუშათა კლასის ცეცხლი და იმედია.

სევდის ალები მგოსანს სჩვევია, მაგრამ სევდა მას ვერ ერევა, ის თვითონ სძლევს სევდას და ასეთი ბრძოლის შემდეგ —

მეც ახალ ძალით, ახალ რწმენით შევიმოსები.

პოეტი სიცოცხლის მოტრფიალეა:

ჭაღარა მავიწყდება, გრძნობა სჩქეფს ნაკადებად.
და ვიძახი: სიცოცხლე რა კარგია! რა კარგი!

იჭვიანობა, შავი ფიქრები მგოსანსაც სჩვევია, მაგრამ სასოწარკვეთილება, შიში, უიმედობის უღლის ქვეშ ქედის მოხრა და დაძაბუნება რა არის, არ იცის:

მაგრამ გული კვლავ მღერის, სევდა არ ეკარება.

რატომ არ ეკარება? იმიტომ რომ პოეტის ბუნება მთლიანია და რწმენით გაკაჟებული, როგორც ბუნება თვითონ მუშა ხალხისა.

პოეტის სიმღერაში ძველებური ბრძოლის კიჟინა ისმის:

მომეცით ცეცხლი! მომეცით, ცეცხლი!
მინდა დავბუგო ქვეყანა ძველი,
გავაცამტვერო ოქრო და ვერცხლი,
რომ არ ხარობდეს იუდა ველი!

მგოსანმა იცის, რომ რევოლუციის ქარიშხალს ბევრი გაჭირვება მოაქვს თვით მუშათა კლასისათვის. ფიქრი, ტანჯვა, შევიწროება, შიმშილი, სიცივე უფრო მატულობს მოკლების ნაცვლად, მაგრამ ეს მოვლენა მას არ აშინებს: მას სწამს, რომ ყოველივე ეს გაივლის და რევოლუციის ნანგრევებიდან მუშათა ხალხისათვის აღმოცენდება ახალი ცხოვრება:

სადაც სევდა არ სტირის, არც კვნესს ფიქრი ჩაგრული,
სიყვარულზე მღერიან შვების ფარშევანგები!

გასულ წელს გამოვიდა მგოსნის ზღაპრები, რომელიც პირდაპირ განძია ჩვენს სახალხო და ყრმათათვის საკითხავ მწერლობაში. მსუბუქი, ცელქი, მხიარული ენა, მოცეკვავე სიტყვები, მუსიკა და აზრი საუცხოოდ არიან ერთად შეწყობილი.

თავის ზღაპრებში პოეტი მაგონებს ჩვენს აკაკის.

რა კარგი იქნებოდა, რომ ამ წლიდან ვარლამ რუხაძე უფრო ნაყოფიერი იყოს!

დიდ რევოლუციას თან მოსდევს დიდი ნგრევა; დიდ ნგრევას თან ახლავს დიდი გაჭირვება.

ჩვენი მუშათა კლასის მდგომარეობა აუტანელია. გოლიათი სულგრძელობა და მოთმინება ჰქონია მას.

რომ არ მოითმინოს, რა უნდა ჰქნასო, იტყვის მკითხველი.

თუ ვერაფერს იზამს და ვერას გახდება, გულს ხომ მოიფხანს, აბობოქრებულ სულს ხომ დაიოკებს, დალეწავს ყველაფერს და მეორე აღარაფერს დაეძებს.

არა გვაქვს შეშა, არა გვაქვს პური,
ვყრივართ უმწეოდ ბედის ამარა...

როდემდე ვზიდოთ სიცოცხლე კრული?!
როდის შეგვშრება ცრემლთა კამარა?! —

ასეთი გოდება დღითი დღე მატულობს მუშათა კლასში და სწორედ ასეთ დროს საჭიროა, რომ მუშათა კლასს ყოველდღე სწვდებოდეს ვარლამის გამამხნევებელი, იმედითა და ცეცხლით სავსე სიმღერა.

გასულ წელს დაიბეჭდა სხვადასხვა ახალგაზრდა მგოსნის ლექსები. ზოგიერთი რიგიანი იყო, მაგრამ:

მას მელექსე არა ჰქვია,
რომელმა სთქვას ერთი, ორი.

მოვუცადოთ, — დრო წაშლის უვარგისს და იგივე დრო გამოაჩენს ჭეშმარიტ ნიჭს.

გამოვიდა რამდენიმე ნომერი „ბარიკადისა“, რომელიც ცდილობს ახალი გზების გაყვანას ჩვენს პოეზიაში.

მეტად დიდი, პასუხსაგები და საპატიო საქმეა. ვინც ასეთ საშუშაოს ჰკიდებს ხელს, ის ნაცარქექიას კორიანტელს არ უნდა იმეორებდეს. სერიოზულ საქმეს სიდინჯე შეშვენის, ყვირილი, ჰაი-ჰუი, ხუმრობა და ბაქიბუქი კი არა.

ეს სხვათა შორის, ახლა თვით საგანზე გადავიდეთ.

ახალი გზის გამკაფველნი პოეზიაში არიან ჩვენში ცნობილი სიმბოლისტები.

ჰყავთ მათ ნიჭიერი წარმომადგენლები.

ერთია ნიჭი, მეორე — სკოლა, მიმართულება. ჩვენში ხშირად ამ ორ სრულებით სხვადასხვა მოვლენას ერთმანეთში ურევენ. თუ მოსწონთ მიმართულება, ყველა ნიჭიერი ჰგონიათ; თუ მიმართულებას არ იზიარებენ, ნიჭსაც უარყოფენ.

ნიჭიერი და უნიჭო წარმომადგენელი ყოველგვარ მიმართულებასა ჰყავს. ერთია აგრეთვე ნიჭი, მეორე საქმეა — მისი მიღება სრულად.

პოეზიაში უნდა ვარჩევდეთ შინაარსსა და ფორმას.

ყოველი მიმართულების პოეზიაში საზოგადოებრივი სული ლაპარაკობს.

ვისი სულია სიმბოლისტების პოეზიაში, რომელი საზოგადოებრივი კლასის სულიერი განწყობილებაა შიგ გახვეული?

ჩვენში სიმბოლიზმი გადმონერგილია ევროპიდან, უფრო საფრანგეთიდან.

დასავლეთში სიმბოლიზმმა ფრთები გაშალა რევოლუციის ხანაში. ბურჟუაზიის ბატონობის დროს, რევოლუციის ქარიშხალში უმთავრეს მოქმედ კლასად გამოვიდა პროლეტარიატი.

ბურჟუაზიას დაეკარგა რწმენა საკუთარი ტახტის სიმტკიცისა. შრომისა და კაპიტალის სრული წინააღმდეგობა, სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლის აუცილებლობა, პროლეტარიატის ზრდა და გაძლიერება, კაპიტალიზმის აუცილებელი დამარცხება, — აი როგორი სურათი გადაიშალა ბურჟუაზიის წინ.

სულიერი სიმტკიცე ბურჟუაზიისა დაირღვა, შავი აჩრდილები გაჩნდხენ, ის შიშმა შეიპყრო.

ამას წინათ ბურჟუაზიის წარმომადგენელმა ლოიდ ჯორჯმა ერთ თავის საჯარო სიტყვაში ნათლად გამოააშკარავა ეს შიში: შავი აჩრდილი იზრდება ჩვენი ქვეყნის ცაზედო.

აქედან უკვე იბადება იქვიანობა, ტანჯვა, სასოწარკვეთილება, პესიმიზმი, სარწმუნოებრივი გრძნობის გაძლიერება, სრული უნუგეშობა, სულიერად გაორება, ლანდებით, ქიმერებით, ოცნებით, ცრუმორწმუნეობითა და სხვა საშუალებით აზროვნების გაბრუება სინამდვილის დასავიწყებლად.

თავისთავად ცხადია, ასეთი სულიერი განწყობილება მთელი კლასისა ბუნებრივია, როდესაც ამ კლასმა სულიერი სიმშვიდე და მყუდროება დაჰკარგა და პროლეტარიატის ძლევამოსილება საშინელი სინამდვილის აუცილებლობას უხატავს წინ.

ეს კლასობრივი სულიერი ვითარება გადადის პოეზიაშიც.

რა უნდა შეიტანოს შიგ აუცილებლად?

ყველა თავისი თვისება.

მივმართოთ ახლა ჩვენს პოეზიას:

> იტანჯვი მალვით და გაშინებს შენც დაღამება:
> კანკალებ ჩუმად, როს გაიარს ლანდი სიკვდილის...
> როდესაც დაღლილს აღარსად მაქვს გზა წასასვლელი,
> და ვეღარ შევძლებ გამოუცნობ შიშის ატანას,
> გავრბივარ შენგან... მეჩვენები ჯალათი, მკვლელი,
> და თრთოლვით ველი, რომ ბეჭებში დამარტყამ დანას.
> მაშინ ეს ქუჩაც ფეხს აიდგამს, გამოიქცევა,
> შავი სახლები დასაჭერად მიწვდიან ხელებს;
> ამ მოჩვენებად ეს ქალაქი გადაიქცევა,
> გამომაკიდებს მთვარეულებს და თავის მკვლელებს.

ვისი სულიერი განწყობილებაა აქ?

დამარცხებული და საშინელი სინამდვილის წინაშე მდგომი ბურჟუაზიისა.

ამ სტრიქონებში მეტად სამაგალითო და მეტად მხატვრული სურათია გამოუვალი შიშით და სასოწარკვეთილებით შეპყრობილი კლასობრივი სულისა.

განა სევდა, სასოწარკვეთილება და მწუხარება პროლეტარიატმა არ იცის?

იცის, როგორ არ იცის. გადაშალეთ რუხაძე, ქუჩიშვილი, აბაშელი, ობოლი მუშა, ევდოშვილი, ჩხიკვაძე და თქვენ აქ ნახავთ მუშათა ხალხის გულის კვნესას, სევდასა და მწუხარებას.

მაგრამ განსხვავება დიდია, პრინციპიალური:

ბურჟუაზიის სევდიდან არავითარი გამოსავალი არ არის, — უნდა ჯვარს ეცვა და დაიღუპო აუცილებლად.

პროლეტარიატის სევდიდან კი არის გამოსავალი: რწმენა გამარჯვებისა და თავგანწირული ბრძოლა სრულ გამარჯვებამდე...

ბურჟუაზიას ეს რწმენა არა აქვს და ამიტომ მუდამ შავი აჩრდილები ელანდება.

პროლეტარიატს ეს რწმენა აძლევს ძალ-ღონეს და სევდა უფრო აძლიერებს მასში ბრძოლის ცეცხლს.

ვინაც კვნესის, იმან იცის ყოფის ვალი!
აწმყოსაგან მსხვერპლსა ითხოვს მომავალი;
და როდესაც სამსხვერპლოზე იგი დნება,
როცა ოფლსა ცხარე ცრემლი ეთვისება,
ის ნაღველი ბრძოლის ცეცხლად უნდა იქცეს,
ძველი ყოფა ჩაიტანოს და დაიქცეს! —

გვიგალობს ნოე ჩხიკვაძე. ეს არის მუშათა კლასის შეხედულება.

ვარლამ რუხაძეს აქვს ერთი პატარა ლექსი „ვულკანის მოლოდინში“:

მიწა გუგუნებს, მიწა ზანზარებს,
ხომ ხედავი, აგერ მის ღრმა ნაბზარებს?
ალბათ ვულკანიც ამოხეთქს მალე
და ნანგრევებში ჩაფლავს ამ ზარებს!
ბევრს ეშინია: თრთის და კანკალებს...
მე ეს მოვლენა ისე მახარებს,
მე ისე მიყვარს განმწმენდი ცეცხლი,
რომ ჩემი სული ცეკვავს, ხარხარებს!

აი სულიერი განწყობილება მუშათა კლასისა.

აქედან ჩემი ერთადერთი დასკვნა ასეთია:

სიმბოლისტების პოეზია თავისი შინაარსით გამოხატავს ბურჟუაზიის სულისკვეთებას და რეაქციონურია, ქართველი მუშათა კლასი მას ვერ მიიღებს და არც მიიღებს.

„ბარიკადის“ პირველი ნომრის მეთაურში ვკითხულობთ:

„პროლეტარიატმა გამოიხმო საქართველო ახალი ცხოვრებისათვის და ის მისცემს მის ცხოვრებას ახალ რიტმს“.

ეს სრული ჭეშმარიტებაა.

ქვევით გაზეთი განაგრძობს:

„ამ ახალ ცხოვრების ბარიკადებზე ვიბრძვით ჩვენ“.

აი ეს სრული გაუგებრობაა.

სიმბოლისტების პოეზიის სულიერი განწყობილება არ არის პროლეტარიატის სულიერი განწყობილება, მაშასადამე, პროლეტარიატის ახალი ცხოვრება ვერ გახდება სიმბოლისტების ახალ ცხოვრებად. ამიტომ ვერც იბრძოლებენ ისინი ერთსა და იმავე ბარიკადებზე.

რა თქმა უნდა, სიმბოლისტებს გულწრფელად ჰგონიათ, რომ ეს ასე იქნება. ჩემთვის კი საბუთია არა ის, თუ მათ რა ჰგონიათ, არამედ ის, რაც მათ პოეზიაშია.

მეცხრამეტე საუკუნის ქართულ პოეზიას მათ ქვა და გუნდა მიაყარეს, პოლიტიკას ემსახურებოდაო.

ისინი უარჰყოფენ პოლიტიკას პოეზიაში, წმინდა პოეზიას ემსახურებიან. ძალიან კარგი საქმეა, მაგრამ ჩვენს სინამდვილეში განუხორციელებელი. სანამ საზოგადოება კლასებად არის დაყოფილი, პოლიტიკაც იქნება. მაშასადამე, ვერც პოეზია ასცდება ამ პოლიტიკის გავლენას.

მაგრამ არის პოლიტიკა პროლეტარიატისა, არის პოლიტიკა ბურჟუაზიისა.

თქვენ გგონიათ, ჩვენი სიმბოლისტები ასცდნენ პოლიტიკას?

სრულებით ვერა.

მათ მხოლოდ უნდოდათ პოლიტიკა თავიდან მოეშორებიათ, მაგრამ როგორც კი ცხოვრების სინამდვილეს შეეჯახნენ, ამ სინამდვილემ მათ მოახვია პოლიტიკა.

მიუხედავად ამისა, სიმბოლისტებმა მაინც შეიტანეს ახალი ჩვენს პოეზიაში—ეს არის ლექსის სილამაზე. მისი ფორმა, ამ მხრივ ჩვენმა პოეზიამ ძალიან დიდი ნაბიჯი გადადგა წინ და სიმბოლისტებს დიდი ღვაწლი მიუძღვით ამ გზაზე.

ლექსის გარეგნობისათვის ისინი მუშაობენ მეტს, ვიდრე წინათ მუშაობდნენ. მათ მიერ შემუშავებულ ფორმას ლექსისას ზოგიერთი შესწორებით ჩვენი პოეზია ვერ ასცდება.

ჩვენი დღევანდელი პოეზია ამას მოწმობს, მათ მიგვითითეს ლექსის ბევრ ისეთ მხარეზე, რასაც ჩვენი პოეზია ან ვერ ამჩნევდა, ან ყურადღებას არ აქცევდა, ანდა არ იცოდა.

სიმბოლისტებს აქვთ ერთი დიდი ღირსება: მათ შეჰქმნეს პოეზიის ორდენი, პოეტების ძმობა.

ისინი ერთი აზრით არიან გამსჭვალულნი, ერთი მეორე უყვართ, პატივსა სცემენ და ერთმანეთი ზეპირად იციან, ერთიმეორისათვის ცოცხალი წიგნები არიან და ერთმანეთს სიყვარულითა და დაჟინებით ავრცელებენ.

სხვამ ვინ მოახერხა ეს ჩვენში?

ვინ იფიქრა ან იზრუნა ამაზე?

ეს კი აუცილებელია, მისაბაძია.

ამით გავათავოთ პოეზიის განხილვა და მივმართოთ ბელეტრისტიკას.

გასულ წელს ისიც შინაარსიანი იყო.

ბელეტრისტიკის ცას ჯერ ისევ ძველი მნათობნი ამშვენებენ. დიდი ხნის სიჩუმის შემდეგ ხმა ამოიღეს არაგვისპირელმა, კლდიაშვილმა.

არაგვისპირელის „გაბზარული გული“ თავისებური აზრიანი და შინაარსიანი ნაწარმოებია. აუცილებელია, რომ ის ცალკე წიგნად გამოვიდეს, რაც შეიძლება მალე. ორი მთავარი გმირია: მახარე და ეთერი. მათი სულიერი ტრაღედია ორ ნაწილად იყოფა, ერთია ეთერის გათხოვებამდე, მეორე—ეთერის გათხოვების შემდეგ. პირველში მეტი ძლიერება, მეტი მოქმედებაა, ვიდრე მეორეში. არაკის ხასიათიც არ არის ყველგან დაცული: ზოგან შინაარსი არაკისა არის, სხვა ალაგას კი სინამდვილის დამასურათებელი მოთხრობისა; ეთერის სურათშიაც არის ყალბი ხაზები.

მაგრამ ყოველივე ეს მცირეოდენი ნაკლია.

„ოთარაანთ ქვრივის“ შემდეგ „გაბზარული გული“ საუკეთესო ნაწარმოებად მიმაჩნია ენის მხრივ.

შიო არაგვისპირელის ენა აქ საუცხოო ქართულია.

დავით კლდიაშვილის „ბაკულას ღორები“ დაიბეჭდა „ცისარტყელას“ № 8-ში. ეს მოთხრობა საუცხოო და მეტად ლამაზი სურათია იმერეთის ყოფა-ცხოვრებისა.

დავითი იმერეთის ცხოვრების საუკეთესო, შეუდარებელი მხატვარია, იმის მოთხრობებში იმერეთის სინამდვილეა მისი ყოველი დამახასიათებელი თვისებით.

დავით კლდიაშვილის თვალს არ გამოეპარება უბრალო წვრილმანიც კი, რაც ამ ცხოვრებას რაიმე მხრით ახასიათებს.

მისი ნიჭის ღირსებას ის შეადგენს, რომ არ ეძებს უჩვეულოს, შეუძლებელს ან მეტად რთულსა და დახლართულ კვალს მოთხრობისას. აიღებს სრულებით ჩვეულებრივ შემთხვევას და მოგვცემს დასრულებულ სურათს მთელი ცხოვრებისას.

გასაოცარია, რა ადვილად და თავისუფლად ემორჩილება ბელეტრისტს სიტყვა იმერეთის დასახატავად.

ჩვეულებრივი შემთხვევა, უბრალო ამბავი, უბრალო სიტყვები,—მთელი მოთხრობა კი მეტად ლამაზი.

რაშია საიდუმლოება, რომ კლდიაშვილი ამ უბრალო მასალით იძლევა სრულ ნაწარმოებს? იმერეთის ცხოვრების ზედმიწევნით ცოდნასა და პოეტურ ზომიერებაში.

ბელეტრისტს შემოქმედის თვალი აქვს, მეტად მჭრელი და განვითარებული.

საკუთარი ფანტაზია დავითისა არ არის დიდი, წაართვით მას სინამდვილე და ის ვერ მოგცემთ თავის სინამდვილეს.

ხოლო სინამდვილეში ის ერთის თვალის გადავლებით დაინახავს ყოველ ხაზს და გაიმეორებს სიტყვის შემწეობით ზედმიწევნითა და უნაკლულოდ. კი არ ხედავს სინამდვილეს მარტო, გრძნობს, ყნოსავს ამ სინამდვილეს და ამიტომ მისი სურათიც დასრულებულია.

ამ შემთხვევაშიც კლდიაშვილს აღებული აქვს უბრალო შემთხვევა: მეზობლის ღორების გადასვლა ვეზობლისავე ბოსტანში.

მაგრამ ამ შემთხვევის ნიადაგზე ბელეტრისტი ხატავს საუცხოო სურათს იმერეთის ყოფა-ცხოვრებისას.

ვასილ ბარნოვი რწმენისა და ოცნების მწერალია. არსებული სინამდვილე, ყოფა ნივთიერი, სხეულიანი მას არ იზიდავს. იმის ფიქრს უფრო უსხეულო სხეულთა, უნივთო ნივთთა არსებობა ასაზრდოებს.

ბელეტრისტს სწამს, რომ არსებობს ასეთი სინამდვილე, ხოლო ყველას არა აქვს თვალი იმის არსთა სანახავად და ყური იმის უცხო ხმათა სმენად.

ასეთი ბუნების მწერალს უფრო წარსული იზიდავს. ერთი იმიტომ, რომ იქ მეტია რწმენაც, ოცნებაც, მეორე იმიტომ, რომ წარსული კიდეც არსებობს და არც არსებობს, ის უსხეულოა და შენახული ჩვენს წარმოდგენაში, ჩვენს მეხსიერებაში.

ბარნოვს უყვარს ამ წარსულიდან, „შავეთიდან“ ძველი სახეების გამოძახება.

იმის თვალწინ „კაშკაშდებიან ძველი სახეები, იძვრიან, ცოცხლდებიან; მეორდებიან უწინდელი ამბები“.

ძველი ცხოვრება, ძველი ამბები—აი სად არის ბარნოვის გონება, ხოლო ხანდახან თუ ის აწმყოსაც მოჰკიდებს ხელს, მხოლოდ იმიტომ, რომ არაჩვეულებრივი, არაბუნებრივი, უსხეულო არსებობის დამახასიათებელი რამ გვაჩვენოს.

„ცისარტყელაში“ დაიბეჭდა მისი „განასკვილი სიმი“ და „ყვავილი მიმომავალი“. ორივეში ბარნოვის ნიჭის ძირითადი თვისებაა.

პირველში თითქოს აწმყოც არის, მაგრამ მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ეს აუცილებელია ძველი თბილისის მოქალაქის, ძველი ცხოვრების აღსადგენად.

ბარნოვს უყვარს ძველი მოქალაქე მისი მარტივი ცხოვრებით! ეს ცხოვრება გარდვიდა, აღარ არსებობს და ბარნოვის შემოქმედებაში ერთგვარი სევდაა ამის გამო.

„მივდიოდით პირმხიარულნი, მწვანილ-ბოლოკი, მოთალი, თევზხიზილალა; ტკბილი ღუღუნი, თარზე ღიღინი. მარჯვე დიასახლისი მოსიყვარულე. სხვებიც შეგვესწრებოდნენ ხანდახან. სამხარი ვახშად გადაგვექცეოდა, ჩუმი შექცევა — ახმაურებულ მხიარულებად, მეტადრე თუ აშუღ მიქელა შემოგვესწრებოდა. რა თქმები, რა ხმები! საარშიყო ლექსები, ძველებური ამბები“.

ბარნოვი საუცხოო მხატვარია წარსულისა, წარსულის სიყვარულითა და სევდით სავსე. წარსულის სახეებს ყველაზე უკეთ ბარნოვი ხედავს ჩვენს მწერლობაში, ყველაზე უკეთ უგდებს ყურს და გადმოგვცემს მათს ნაამბობს, სევდიან მოთხრობასა და სიმღერას.

„ყვავილი მიმომავალი“ აგებულია უჩვეულო სინამდვილის არსებობაზე და ბევრად უფრო მკრთალია, ვიდრე „განასკვილი სიმი“. შეიძლება იმიტომ მეჩვენება ასე, რომ ჩემს საკუთარ ბუნებას არ ეგუება დედააზრი ამ მოთხრობისა.

აქ გამოყვანილია ახალგაზრდა ქალი ნანო, რომელიც „სხვა რამეზედ ფიქრობს შორეულზედ, სულ ოცნებობს, ზღაპრულ არეში ცხოვრობს, თითქოს ვერ ესმის, რა ხდება მის გარშემო, ან რას ამბობენ“.

ნანო მართლაც არაჩვეულებრივია, ამქვეყნიური არ არის, მაგრამ საკითხავია, საღია ფიზიკურად, სხეულით, თუ არა? ავტორს ის მიაჩნია სრულებით ჯანსაღ ადამიანად.

მე კი არ მიმაჩნია, იმის ოცნებას სარჩულად უდევს ერთგვარი სნეულება—ეპილეფსია, ავი ზნე,

ყური დავუგდოთ თვითონ ნანოს: „მხოლოდ ხანდისხან დამავიწყდება, რასა ვმუშაობ და ხელში შემიჩერდება საკეთებელი, შემიგვიანდება; ხან სხვაგან მივდივარ, სხვა გზაზე კი შევუხვევ“.

ასე გეგონებათ, ნერვების სნეულებათა სახელმძღვანელოდან არის ეს სიტყვები ამოწერილი, ეს არის ზედმიწევნით სწორი და ცნობილი ნიშნები ჯერ კიდევ ზაუმთავრებელი ავი ზნისა.

ცხადია, ნერვიული სისტემა ნანოსი სნეულია; ასეთი ნიადა-

გ: და ქალის მეტად ნაზი ბუნება ერთად იძლევიან ავადმყოფ ოცნებას.

ავადმყოფობას მე არ ვხედავ იმაში, რომ ნანოს სწამს უსხეულო სხეულთა ზექვეყნიური არსებობა—ეს რწმენის საქმეა, მაგრამ ნანოს განა სწამს მარტო?

არა.

— „უცნაურ სახეებს ვეალერსები ტურფა წალკოტში", — გვიცხადებს ნანო. ის ხედავს მას, რაც სხვებისათვის უხილავია, უსმენს; შეჰხარის, ეალერსება.

ნანოს ეჩვენება, ელანდება და ეს არის ავადმყოფობა, ჰალუცინაცია.

ავტორს უნდოდა დაემტკიცებია, რომ მძიმე წარმავალ სინამდვილეს გარდა არსებობს უხილავი, მარადიული სინამდვილე.

ამის დასამტკიცებლად მან დაგვიხატა ქალი, რომელიც ხედავს ამ მარადიულ სინამდვილეს. ნანოს სახით ავტორს უნდოდა დაემტკიცებია, რომ ზოგიერთ რჩეულს შეუძლია მარადიული ცხოვრების ცხადად ხილვა.

ამის მაგიერად ავტორმა დაამტკიცა, რომ ზექვეყნიურ არსთა ხილვა და მოსმენა თვისებაა მხოლოდ ნერვებით დასნეულებული ადამიანისა.

ეს კი მეცნიერებაში დიდი ხანია დამტკიცებულია.

ავტორში ერთმანეთს დაეჯახა რწმენა და სამხატვრო ნიჭი. სამხატვრო ნიჭმა გაიმარჯვა, რაც იმას ამტკიცებს, რომ ვასილ ბარნოვი დიდი ბელეტრისტია.

დიდი სამხატვრო ნიჭია აგრეთვე ნიკო ლორთქიფანიძეში. მოხდენილი, დაკვირვებული და აზრიანი მხატვარია.

მრავალსიტყვაობა მას არ უყვარს, არც ერთი ზედმეტი სიტყვა. არც ერთი ზედმეტი ხაზი. შემოქმედება მას ეადვილება. ერთის შემოხაზვით იძლევა დამთავრებულ სახეს.

არც ერთი ყალბი მოხაზულობა, არც ერთი ყალბი ადგილი: წმინდა და თავისებური ხელოვნება. თავისებური, დროის შესაფერი სასიათი წერისა.

„ეეფდა ძაღლი, ყიოდა მამალი; სახურავიდან ამოდიოდა კვამლი, და იყო პატარა ოჯახი. ოჯახი იგი ეკუთვნოდა სილიბისტრო ქაშაძეს".

ან კიდევ:

„ჯამებით ხარშო..

მერიქიფეები.. დოქები.. კათხები..

ხუნი და ოხშივარი მოხარშულისა და შემწვარისა;

ჯერ კიდევ ჩუმი სმა;
გამალებული ჭამა;
წვენში დასველებული თითები;
გაქონილი ულვაშები;
მათხოვრების ურიგო სიტყვები, ჩხუბი ულუფაზე და იულონის მკაცრი ბრძანება ფარეშებისადმი:

— თქვენ თვითონ დაურიგეთ და ყველა გაყარეთ ეზოდან!...

ნახევრად ტიტველა ბავშვების სირბილი, მათი ჟივილ-ყივილი და საჭმლით გამოტენილი ლოყები.

ძაღლების ლაქუცი, კუდის ქნევა, საჭმლის მოტაცება და გალა-ხულების წკავწკავი"...

საუცხოო სურათია, რომლისთვისაც სხვას დასჭირდება რამდენი-მე გვერდი.

ლორთქიფანიძის „ჟამთა სიავეს" ჭეშმარიტი ხელოვნების ბეჭე-დი აზის და ფეოდალური წარსული ყველა მისი ღირსება-ნაკლით მეტად მკაფიოდ და ლაჟვარდად არის ზარმარილოდან გამოკვე-თილი.

ჟურნალ-გაზეთებში დაიბეჭდა რამდენიმე მოთხრობა რემონი-ძისა. იმის ნიჭს უფრო აღწერა ეხერხება, ამიტომ ის სინამდვილის მხატვარია და მასალას თავისი შემოქმედებისათვის იღებს ცხოვრე-ბიდან.

ბელეტრისტის მოთხრობებს დამუშავება და ბუნებრივი განვი-თარება აკლია.

ავტორი მასალას ხშირად შესაფერისად იღებს ცხოვრებიდან, მაგრამ შემთხვევათა მსვლელობასა და განვითარებას არ აძლევს თავისუფალ გზას, თვითონ ჩაერევა ხოლმე შიგ.

სულიერ განცდათა გადაშლა, ფსიქოლოგიური ანალიზი ავ-ტორს არ ეხერხება, მისი რკალია—ამბავი, მოთხრობა, დასურათება ნახულისა და გაგონილის.

ეი ამ გზას უნდა დაადგეს რემონიძე.

მჭედლიშვილი პოეტიც არის, ბელეტრისტიც. მისი ლექსი მოხ-დენილია, შინაარსიანიც, მაგრამ თავისებურობა, პოეტის „მე" გა-სულ წელს არა სჩანდა იმის პოეზიაში. სამაგიეროდ ეს თავისებუ-რება სჩანდა „მეოცნებე გოგიში". ამ მოთხრობაში თქვენ ნახავთ ისეთ ხასიათს წერისას, ისეთ სტილს, სითბოს, სიყვარულს, სევდას და ოცნებას ერთად შეზავებულს, რაც მჭედლიშვილის შემოქმედე-ბას ახასიათებს.

ალაგ-ალაგ მჭედლიშვილს აქვს კნუტ ჰამსუნის თვისება წერისა,

ბელეტრისტი მჭედლიშვილი ნიჭიერი მწერალია, ოცნება და სინამდვილე საუცხოოდ არის შედუღებული მის შემოქმედებაში. და თუ თავისი ნიჭის ეს თვისება მწერალმა დააფასა და განავითარა, კარგ ნაყოფს გამოიღებს.

ლეო ქიაჩელის „ესკალადი“ ლამაზი ნაპერწკალია ცხოველი ნიჭისა.

პუბლიცისტისა და ბელეტრისტის მიზანი ხშირად ერთი და იგივეა. ისინი ერთსა და იმავე საკითხს, მოვლენას აშუქებენ, ხოლო სხვადასხვა საშუალებით: პუბლიცისტი — მსჯელობით, ლოღიკით, ბელეტრისტი — მხატვრული სახეებით.

თუ ბელეტრისტი მხატვრულ სახეებსა და მსჯელობას ერთმანეთში ურევს, ასეთი მწერალი სუსტი ხელოვანია: როცა მხატვრული საღებავი შემოაკლდება, ენას წააგრძელებს.

ლეო ქიაჩელი საუცხოოდ იცილებს ამ ნაკლს თავიდან. ის ბევრჯერ პუბლიცისტია, მაგრამ მხატვრული ფერებით მდიდარია და მშრალი მსჯელობის მოშველიება არ სჭირია.

კაცობრიობის ბრძოლა იდეალისათვის—აი დედააზრი ლეო ქიაჩელის „ესკალადისა“.

ამ დედააზრზე მან ააშენა ლამაზი, კეკლუცი მოთხრობა.

რა კარგი იქნებოდა, ლეო ქიაჩელი ასეთი ძუნწი არ იყოს!

პუბლიცისტი და მხატვარი ერთიმეორეს ეჯიბრებიან მალაქიაშვილში.

ასეთია მისი „ბედნიერი კაცი“.

ეს მოთხრობა საყურადღებოა იმ მხრივ, რომ აქ ინტელიგენტი და გლეხია დაპირისპირებული.

ერთის მხრივ — რყევა, ყოყმანი; მეორეს მხრივ—სიმტკიცე.

ერთის მხრივ—იქვები, უიმედობა; მეორეს მხრივ—რწმენა და იმედი.

ერთის მხრივ — დაუსრულებელი მსჯელობა; მეორეს მხრივ—საქმიანობა.

ერთის მხრივ — გაუბედაობა, მეორეს მხრივ — სრული მთლიანობა.

აი დაახლოებით გაბო და პაპუნა.

გაბოში ჰამლეტის ჭია ზის და იმის სულსა ღრღნის; პაპუნაში კი დონ-კიხოტის კეთილშობილი რწმენაა, რა უბედურებაც კი უნდა დატრიალდეს იმის თავზე, მაინც სწამს და უყვარს ცხოვრება.

პაპუნა საყურადღებო ტიპია, რომელსაც იძლევა ჩვენი დღევან-

დელი ცხოვრება, პაპუნასთანა კაცები დიდ როლს თამაშობენ ჩვენს ცხოვრებაში. ავტორი სრულებით მართალია, პაპუნები მუდამ წინ იხეჯებიან, გაბედულად მიდიან და იხსნეს დღემდე ჩვენი ქვეყნის მდგომარეობა.

ერთშია ავტორი შემცდარი:

პაპუნას მსჯელობა მეტის მეტად ინტელიგენტურია, რაც მხატვრული სახის მთლიანობას არღვევს.

განსაკუთრებული ადგილი უჭირავთ სიტყვაკაზმულს მწერლობაში თურდოსპირელსა და არჩილ რუხაძეს.

წერის ხასიათითა და შემოქმედების თვისებით ამ ორ მწერალს ბევრი რამა აქვთ ერთმანეთთან საერთო.

თურდოსპირელი ბუნებისა და ცხოვრების მგოსანია, ზოგჯერ კი სევდით დანისლული.

მასში გრძნობა ლაპარაკობს და შთაბეჭდილებანი ფიქრთა ნაკადულად გადმოსჩქეფს.

მისი „ამირანის ცეცხლი“ გამთბარია ადამიანისა და მამულის წმინდა, საღი სიყვარულით. ნაკლად უნდა ჩაითვალოს, რომ შიგ მსჯელობას დიდი ადგილი უჭირავს.

არჩილ რუხაძე პირადი შთაბეჭდილების მხატვარია. ის უფრო პოეტია, ვიდრე ბელეტრისტი. და მის პატარა მოთხრობებში ნაზი, ტკბილი ლირიკაა საამო, სანეტარო ოცნებით შეზავებული, ხან კი წუნარ სევდაში გახვეული ფიქრის ნაპერწკლები და გულის ამონაკვნესი—აი არჩილ რუხაძე. ის არ არის პირდაპირი მხატვარი ბუნებისა ან ცხოვრებისა.

ის არის მხატვარი მხოლოდ იმ შთაბეჭდილებისა, რასაც მის არსებაში იწვევს ცხოვრების ესა თუ ის მოვლენა.

სტილი არჩილ რუხაძეს თავისებური აქვს და ხასიათი მისი წერისა დღევანდელი ცხოვრების სწრაფ მიმდინარეობაზეა ზედ გამოჭრილი.

დიდი რომანების დრო წავიდა. თანამედროვე ადამიანს აღარ სცალია მათ წასაკითხავად. ის ითხოვს დროის დიდ ეკონომიას ყოველი მწერლისაგან... წერის სისხარტე, აზრისა და გრძნობის სისრულე.

დაიბეჭდა ცალკე წიგნად ორი მოზრდილი მოთხრობა ტ. ართმელაძისა: „მარკოზა“ და „შუამავალი ალათი“.

პირველში დასურათებულია ის საშინელი ქსელი მექრთამეობისა, რომელშიაც ებმებოდა ჯარში გასაწვევი ყოველი ახალგაზრდა.

სოფელი მექრთამეების ხელშია. სხვადასხვა მუქთახორა წურბელასავით ჩაფრენია ხალხის სხეულს და სისხლსა სწოვს. ბოროტება დღესასწაულობს და საშველი არსად არის.

სოფლისავე შვილი მარკოზა აიმაღლებს ხმას და ებრძვის ხალხის მტრებს, მაგრამ მტერი ჯერ ძლიერია და მარკოზა დამარცხდება.

ხალხი თანდათან ერკვევა და არჩევს, ვინაა მოყვარე, თუმცა ჯერ არ შესწევს საკმაო ერთსულოვნება და გამბედაობა ბოროტების დასამხობად.

„შუამავალი აღათი“ ჩვეულებრივი ამბავია ჩვეულებრივი ცხოვრებისა. დამახასიათებელი, განსაკუთრებული რაიმე მხრივ აქ არაფერია.

აღათი ცხოვრობს შუამავლობით.

მისი ერთადერთი ქალი დედის უნებურად გაჰყვება აღათის ნამოჯამაგირალს. შერიგდებიან. ოჯახი ბედნიერია, მაგრამ აღათის სიძე ჯარში გაჰყავთ და იქ ბრძოლის ველზე დაეცემა განგმირული. ამის გამო მთელი ოჯახი დაიღუპება: ზოგი კვდება, ზოგი შეიშლება.

ორივე მოთხრობა უფრო მასალას წარმოადგენს, ვიდრე დამუშავებულ ნაწარმოებს. მომქმედი პირი აუარებელია; მოქმედების განვითარება ხშირად ნაძალადევი; მწუხარების გამო იმავე წამს უეცარი გაგიჟება მხატვრული საშუალება არ არის. ყოველივე ეს ნაკლია და მოთხრობებს სამხატვრო ღირსებებს უკარგავს.

ბელეტრისტს დაკვირვების ნიჭი აქვს და ამ ნაკლის აცილებას შემდეგში შესძლებს.

რევოლუცია ყველგან იძლევა დიდძალ მასალას ყოველგვარი შემოქმედებისათვის. ასეა ჩვენშიც, მაგრამ ჯერ ისევ რევოლუციის მიმდინარეობაში ვიმყოფებით და მოვლენათა დასაფასებლად და გასარკვევად ცოტა მოშორებით დგომაა საჭირო.

ასეთ პირობებშია უფრო განვლილი 1905 წლის რევოლუცია. რომლის მასალის დამუშავებას უკვე შეუდგნენ ჩვენი ბელეტრისტები.

გამოვიდა ორი დიდი მოთხრობა: ეუჟისპირელისა—„ტყის ძმები“ და ზოტიკესი—„ახალი ტალღები“.

ორივეს შინაარსი — პირველი რევოლუციაა.

ბელეტრისტებს უნდათ მოთხრობის სახით დაგვიხატონ მხატვრულად ის, რასაც სინამდვილეში ჰქონდა ალაგი. ამგვარად შინაარსია ისტორიული სინამდვილე, ფორმა კი ბელეტრისტული.

ეს არის ისტორია, ბელეტრისტულ კალაპოტში გამოყვანილი.

შეიძლება თუ არა მოთხრობის ან რომანის ჩარჩოებში ისტორიის მოთავსება?

შეუძლებელი აქ არაფერია, ნიჭის საქმეა.

რომელიმე ისტორიული მოვლენა თუ შეიძლება გახდეს პოეზიის საგნად, რატომ არ შეიძლება, ბელეტრისტმა მიმართოს ისტორიას თავისი შემოქმედებისათვის. ხოლო ამ შემოქმედებას აქვს ერთგვარი საზღვარი: ისტორიული სინამდვილე უნდა იყოს დაცული.

როდესაც მხატვარი იღებს ისტორიიდან ერთ რომელიმე შემთხვევას მხოლოდ სახელოვნო მიზნით, ეს სულ სხვა საქმეა: მას შეუძლია ეს შემთხვევა ისე გარდაქმნას ოცნების გრდემლზე, როგორც ენებება.

სულ სხვაა, როდესაც ბელეტრისტი მთელ ისტორიას მოჰკიდებს ხელს. მით უმეტეს ახლობელ ისტორიას, რომლის მთავარი გმირები დღესაც ცოცხლობენ და მოქმედებას განაგრძობენ.

აქ ბელეტრისტი ვერ მისცემს დიდ თავისუფლებას ოცნების გრდემლს, რადგანაც თავი და თავი მაინც ისტორიაა, მისი გარდაქმნა და დამახინჯება ერთი და იგივეა.

ეუქისპირელის მიზანია გურიის რევოლუციის დასურათება. ავტორს აქვს ბელეტრისტის ნიჭი, შემოქმედება, ფანტაზია, და სწორედ ამ ფანტაზიას აძლევს მეტად დიდ თავისუფლებას.

ამის გამო იმის ისტორია გურიის მოძრაობისა სინამდვილეს არ შეეფერება, წვრილმანებს მე არ ვედავები. ბელეტრისტი იმის ბელეტრისტია, რომ წვრილმანები გადააკეთოს, გამოაკლოს, მიუმატოს მხატვრობისათვის, მაგრამ უმთავრესი დამახასიათებელი მხარეები ისტორიისა უნდა მკაფიოდ, უცვლელად წარმოუდგინოს მკითხველს.

ეს ნაკლი აქვს ეუქისპირელის მოთხრობას.

ზოტიკეს მიზანია 1905 წლის მოძრაობის ჩასახვა და განვითარება. ისტორიიდან ის იღებს მხოლოდ შინაარსსა და ხალხს, გმირებს კი არა.

მის მოთხრობაში თქვენ ვერ ნახავთ ისტორიულ გმირებს; არც შეადგენდა ეს ავტორის მიზანს. მას უნდოდა ხალხური მოძრაობის დახატვა რომანის სახით და ამ მიზანს აღწევს.

განვლილი მოძრაობის დაახლოებით სწორი სურათია „ახალი ტალღები". ამ თხზულების შესახებ ორი სხვადასხვა აზრი გამოითქვა: ერთი ბევრ ღირსებას ხედავს შიგ, მეორე კი სრულებით უარჰყოფს, მიწასთან ასწორებს. ბ. პაპავას კრიტიკა ამ ნაწარმოებისა მეტად უსაფუძვლოა და სტოვებს შთაბეჭდილებას იმ მოსამართლი-

სას, რომელსაც წინდაწინვე გადაწყვეტილი აქვს ბრალდებულის გამტყუნება და დასჯა.

ბელეტრისტს ცალკე თავების სახელებსაც კი უწუნებს. რა შუაშია აქ სახელი? განა არ შეიძლება, სახელი შეუფერებელი, უხეირო იყოს, შინაარსი კი კარგი? ვისაც საზარელი ჰქვია, გლახა ან საძაგლიშვილი, ყველა წყალში გადასაყრელი ყოფილა!

აიღეთ შემდეგი: „ახალ ტალღებში“ ერთი ვაჭარი მეორეს ეუბნება, ესა და ეს ნოქარი უშველებელი კეტით შემომივარდა და თვალებს მიბრიალებდა, გეგონებოდა ჩამყლაპავსო.

ბ. პაპავა დასძენს: ზოტიკეს ცუდი წარმოდგენა ჰქონია მოწინავე მუშებზეო, და სხვა.

ზოტიკეს კი არა ჰქონია ცუდი წარმოდგენა, ვაჭარსა ჰქონია და ავტორმაც სწორედ ეს დაასაბუთა. როგორ შეიძლება ყოველი მოქმედი პირის აზრი და შეხედულება თვით ავტორს მიაწეროთ! დღეს ჩვენს ცხოვრებაში ბევრია ისეთი, რომელსაც პროლეტარიატს უშველებელი ყამი ურჩევნია. ვინც ასეთ პირებს დახატავს, გამოდის, მუშა ხალხს ამცირებს.

ბ. პაპავა ავტორს უკიჟინებს: რა საჭიროა პროგრამა მინიმუმის მოყვანა, როდესაც ღღეს ეს ყველა ქუჩის კუთხეშია გაკრულიო.

ვერც ერთი მწერალი, რომელიც კი მოინდომებს 905 წლის მოძრაობის დახატვას, ამ პროგრამას ვერ ასცდება, ათასი გაკრულიც რომ იყოს დღეს ის ქუჩებზე.

რატომ ვერ ასცდება?

იმიტომ, რომ მოძრაობა ამ პროგრამით მიდიოდა და იმ მკითხველმა, რომლის წინაშეც 905 წელს არ გაუელია, უნდა იცოდეს, როგორი მოთხოვნილებანი იყო მაშინ წამოყენებული.

რა თქმა უნდა, სინამდვილე მასალაა მწერლისათვის და მასალას გარდაქმნა უნდა საკუთარ სულსა და გულში, მაგრამ ეს არ ითქმის ყოველ სინამდვილეზე.

რა მიზანი ჰქონდა ზოტიკეს? რომანის დაწერა?

არა.

მისი მიზანი იყო მოძრაობის დასურათება რომანის სახით. რომანი მისთვის მხოლოდ საშუალებაა, მეტი არაფერი. ის ვალდებული იყო მოძრაობის სინამდვილე უცვლელად, პროტოკოლურად გადმოეცა და ასეც მოიქცა.

ავტორს ტიპები არა ჰყავს. განა ყველგან და ყოველთვის არის ტიპი საჭირო?

მას უნდოდა ხალხური, მუშური მოძრაობის დახატვა და მიზანს მიაღწია.

„ახალი ტალღები“ სტოვებენ მთლიან და გარკვეულ შთაბეჭდილებას. რა თქმა უნდა, აქ არც ღრმა ფსიქოლოგიური ანალიზია, ბევრგან გაჟიანურებულია, ალაგ-ალაგ ენასაც უნდა შესწორება, მაგრამ საერთოდ წიგნს აქვს ბევრი ღირსება.

ენის მხრივაც ნაწარმოები მისაღებია. ამხელა მოთხრობაში რომ თითო-ოროლა ცუდი გამოთქმა ნახოთ, რა საკვირველია! არც ერთი ჩვენგანი არ სწერს უნაკლო ქართულით. არ ვიცით ჯერ გადაჭრით და საბოლოოდ, რომელია სწორი, უნაკლო ქართული.

ჩვენი ქვეყნის მომავალი მუშა ხალხის შეგნებასა და გათვითცნობიერებაზეა დამყარებული. მუშა ხალხს უნდა მივაწოდოთ ყოველი დარგიდან საკითხავი წიგნები, რომ მას სულიერი მოთხოვნილება გაეზარდოს და დაეწაფოს ცოდნას, ხელოვნებას.

„ახალი ტალღები“ სწორედ სახალხო წიგნია, წერა-კითხვის მცოდნე მუშებისათვის საჭირო და სასარგებლო.

წერა-კითხვის საზოგადოება მადლობის ღირსია, რომ ასეთ წიგნებს აწვდის ხალხს.

გასულ წელს ამ საზოგადოებამ მეტად დიდი საქმე გააკეთა, სიტყვაკაზმული მწერლობა გაამდიდრა: გამოსცა „ვეფხისტყაოსანი“, არაგვისპირელი, გიორგი წერეთელი, ნინოშვილი, ლალიონი, კლდიაშვილი, ბარნოვი, მელანია და სხვა.

ახლა მუშაობაა საჭირო სათეატრო ხელოვნების ასაყვავებლად.

დაიბეჭდა ერთაწმინდელის დრამა „სადარაჯოზე“, ტრიფონ რამიშვილის „სტუმარ-მასპინძლობა“ და „ფრთამოტეხილი ყორანი“, გერგესელის „გზაჯვარედინზე“, იოსებ იმედაშვილისა და შალვა გომართელის პატარა პიესები.

ერთაწმინდელი უფრო ნიჭიერია პოეზიაში. გასულ წელს გამოვიდა მისი ლექსთა კრებული, რომლის გამო თავის დროზე გამოითქვა კიდეც ჩემი აზრი. პოეზიაში მას აქვს საკმაო გრძნობა, გატაცება, ცეცხლი. იმის პოეტურ ტემპერამენტს სამწუხაროდ მისი შემოქმედება ვერა სწვდება.

პოეტს უყვარს ჯამბაზობა რითმებში და ეს კი მეტად სახიფათოა.

ასეთი თვისება წერისა უფრო ხშირად სილამაზის მაგიერ იძლევა უაზრო რახარუხს სიტყვებისას და ყალბ ეფექტს.

ეს ნაკლი აქვს ერთაწმინდელს პოეზიაში, იგივეა იმის დრამაში.

„სადარაჯოზე“ სავსეა ასეთი ყალბი ადგილებით და ამის გამო სუსტია.

ერთი ღირსება აქვს ავტორს: დიდი ენერგიის პატრონია და იმის დრამაშიაც მოქმედება საკმაოდ არის განვითარებული.

გერგესელი ჯერ ახალგაზრდა მწერალია, იმის პიესაში არის კვანძი, დასაწყისი მოქმედებისა, სულიერი დრამისა, მაგრამ ზრდა, განვითარება კი არ არის. აქ ლაპარაკი უფრო მეტია, ვიდრე მოქმედება. სულიერი მოძრაობა და მისი გარეგანი სახე — მოქმედება დრამაში თანდათან უნდა იზრდებოდეს და ვითარდებოდეს ისე, რომ ბოლო სრულებით ბუნებრივი და აუცილებელი იყოს.

იოსებ იმედაშვილისა და შალვა გომართელის პიესებში არის ცხოვრება, დაკვირვება, მაგრამ არ არის შემოქმედება.

ტრიფონ რამიშვილი ნიჭიერი დრამატურგია. იმის პიესებს ყოველთვის აქვს კვანძი და ავტორს ეხერხება სულიერი მოძრაობისა და მოქმედების განვითარება.

„სტუმარ-მასპინძლობა“ ცოცხლად არის დაწერილი და დასცინის ჩვენებურ ჩვეულებას ახირებული და დაუსრულებელი, უვადო სტუმრობისას.

ჩვენი მოქალაქე თავის ოჯახშიაც არ არის თავისუფალი და ბებიამისის ნათლულის მამიდაშვილსაც არ ეხამუშება მისი შეწუხება გაუთავებელი წვეულობით.

აი ეს დედააზრია გატარებული „სტუმარ-მასპინძლობაში“.

„ეხ, ყველაფერს გავუძლებდი, ამ ოხერ სტუმრებს რომ არ ამოვეჭამე“, — ჩივის ერთი გმირი კომედიისა.

ტიპები ცხოვრების სინამდვილეს შეეფერებიან, გარდა არიმანისა, რომლის პიროვნება საიდუმლოებით არის მოცული.

შინაარსი უფრო საეოდევილოა.

სარევოლუციო ხანა არის ბრძოლა ძველსა და ახალს შორის. ძველი შეხედულება და მისი წარმომადგენლები ერთბაშად არ ისპობიან და დიდხანს ებრძვიან ახალს.

ეს ბრძოლა ხშირად საშინელ სახეს ღებულობს.

ესაა შინაარსი „ფრთამოტეხილი ყორნისა“.

იასე ბროგიშვილი წარმომადგენელია ძველი ცხოვრებისა.

ჯამლეთ ინგერაძე კი შეგნებული მუშაა, რომელიც თავგამოდებული იბრძვის სოფლის ასაყვავებლად. იასე ბროგიშვილი დაუგებს მას მახეს და დაჰლუპავს.

პიესა შინაარსიანია და შთაბეჭდილებას ახდენს.

ტრიფონ რამიშვილს უყვარს ბევრი მომქმედი პირი, რაც თანამედროვე პიესაში არ არის სასურველი.

მაგრამ მისი მთავარი ნაკლი ის არის, რომ საზოგადოება გაყოფილი ჰყავს ორ ნაწილად: ერთია თავიდან ფეხებამდე ბოროტებით აღსავსე, მეორე — უაღრესად კეთილი და პატიოსანი.

ეს მეტისმეტი გამარტივებაა ცხოვრებისა და სინამდვილეს არ შეეფერება.

1920

ნოე ჩხიკვაძე

უსიერ მთებს შუა გაწოლილ საუცხოო ჭალას ანკარა მდინარე ჩაუდიოდა. მგზავრის თვალს იტაცებდა სილამაზე ბუნებისა, მაგრამ განსაკუთრებით წარმტაცი იყო ის ღამით.

მზე რომ მთებს ამოეფარებოდა და შავი ზეწარი გადაეფარებოდა ჭალას, ამოგორდებოდა ღამის მნათობი, ნაზი სხივებით დაცრეცდა შავ ზეწარს და ანკარა მდინარეში ეალერსებოდა თავის სიბადრეს, — ტრფობით დამთვრალი ბულბული ვეღარ შეიკავებდა თავს. დაჰხუჭავდა თვალებს და მორთავდა ცისა და ქვეყნის გალობას. გალობდა თავდავიწყებით; გალობდა მთელი თავისი არსებით და არემარე სულგანაბული უსმენდა მგოსანს.

ირემი თავისი ნუკრით მედიდურად გამოვიდოდა, გაიხედავდა აქეთ-იქით, გაწვებოდა მდინარის პირას, ამაყად ააღებდა თავს და მიეცემოდა ოცნებას.

გალობით დამთვრალი ბულბული ერთხელ ეკალს წამოეგო გულით. გაჩერდა დაკოდილი გული, შეწყდა სამუდამოდ გალობა.

ანკარა მდინარე ძველებურად მოდუდუნებდა. მთვარეც ისევ ეალერსებოდა შიგ თავის თავს. მაგრამ ჭალის ცხოვრება ძველს აღარა ჰგავდა, ჭალას აკლდა რაღაც.

მიდიოდა ამაყი ირემი, გაწვებოდა მდინარის პირას და დიდხანს იყო გალურსული, შემდეგ მოუსვენრობა დაეტყობოდა, წამოდგებოდა, იხედებოდა აქეთ-იქით და მიიმალებოდა ტყეში.

— დედილო, წინათ დიდხანს ვრჩებოდით ჭალაში, ახლა რად ვბრუნდებით მალე? — ჰკითხა ერთხელ ნუკრმა.

— იმიტომ, რომ წინათ ჭალა ტკბილი იყო, დღეს კი აღარა.

— რატომ იყო წინათ ჭალა ტკბილი?

— იმიტომ, რომ მას თავისი ბულბული ჰყავდა.

— ახლა რა იქნა ბულბული?

— შეშურდა მტერს და მოსტაცა ჭალას.

ჩვენი ქვეყნის ჭალასაც ამშვენებდა მგოსანი, ბედმა ის ხელიდან უდროოდ გამოგვაცალა.

ეს მგოსანია ნოე ჩხიკვაძე.

როდესაც ნოე სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა, მალე მიიპყრო ბევრის ყურადღება, — ჩემიც: წრფელი გრძნობა, მუსიკალური ენა, ლამაზი რითმა თავიდანვე ააშკარავებდნენ მასში დიდ ნიჭს.

და როდესაც მე ის პირველად გავიცანი, ვიხილე სრულებით ჩვეულებრივი ადამიანი, რომელიც არაფრით არ განირჩეოდა სხვებისაგან: ჩვეულებრივი ტანი, ჩვეულებრივი სახე, უბრალო ჩაცმულობა, მოუხეშავი მიხვრა-მოხვრა... მხოლოდ თვალებში იხატებოდა მისი თავისებურება. მოუსვენარი; მუდამ მოძრავი, ცეცხლითა და გრძნობით სავსე თვალები ამბობდნენ, რომ მათი პატრონი ძლიერი ნების, კეთილშობილი გულისა და დაუკმაყოფილებელი ძიების ადამიანი იყო. მართლაც ასეთი ადამიანი იყო ნოე ჩხიკვაძე.

თავმდაბალი, უბრალო და ამავე დროს მედიდური, ამაყი, გაუტეხელი; ღარიბი, მაგრამ ამავე დროს მდიდარი ნიჭით, ბუნებით— ლმობიერი, მაგრამ ამავე დროს შეურიგებელი; რბილი, მაგრამ ამავე დროს მტკიცე; გულკეთილი, მაგრამ ამავე დროს მუდამ ცისაკენ მზირალი — აი ნოე ჩხიკვაძე.

თავისუფლება და სიყვარული — აი რას აფასებდა მგოსანი:

> მრწამს ერთი რამე: უანგარო თავისუფლება.
>
> . . . . . .
>
> და სიყვარული, — სიცოცხლისა სასუფეველი.

თავისუფლება საჭიროა, რომ ადამიანი ამაღლდეს; სიყვარული კიდევ იმიტომ არის საჭირო, რომ ადამიანთა შორის ბედნიერება გამეფდეს.

პოეტს მთელი თავისი არსებით უყვარს ადამიანი:

> — მერე რა ჰქვია ესრეთ ტანჯვით ჩემში შობილსა?
> — ადამიანი!
> — ამინ!—შევსძახე უკვდავების სულსა სათვისოდ
> და შემიყვარდა საუკუნოდ, სამარადისოდ!

ადამიანის ბედნიერება იმაში მდგომარეობს, რომ ცა და დედამიწა ერთმანეთს დაუკავშირდეს, — ასეთია პოეტის რწმენა:

> დაკავშირება თუ რომ შესძლო მიწის და ცისა,
> ზეცის საუნჯე, საიდუმლო... მიწას აჩვენა, —
> იგი დარჩება საუკუნოდ გამარჯვებული.

ადამიანი, რომელიც მუდამ ოცნებობდა კაცობრიობის ბედნი-

ერებაზე, ადამიანი, რომელიც მუდამ ზეცისაკენ უთითებდა ყველას, — აი ჩხიკვაძე.

ადამიანი, რომელიც ორივე ფეხით მიწაზე იდგა და მუდამ კი მზეზე ოცნებობდა — აი ჩხიკვაძე.

ვაი მას, ვისაც ცის გალობა არა ჰსმენია,
ვაი მას, ვისაც მზის ოცნება არა ვლენია.

ამავე დროს ის არ იყო უნიადაგო ოცნების ადამიანი, — იმის ოცნებას საფუძვლად ედო ცხოვრების ღრმა ცოდნა და დაკვირვება.

მან იცოდა, რომ ბრწყინვალე გამარჯვება ადამიანისა მხოლოდ ბრძოლით შეიძლებოდა და ამიტომ მის სიმღერაში ოცნების გვერდით არის ბრძოლის ყიჟინაც:

დაპკარ, დაპკარ, ნეტარი ვპოვოთ თავისუფლება.

—

ჩვენ ახალ ქვეყნისა წითელი ჯარი ვართ;
ბრძოლაში ვეძიებთ ჩვენ ჩვენსა უფლებას.

პოეტმა იცის, რომ „შიმშილ-ტანჯვაში იბადება აზრი ძმობისა“ და ამავე დროს აზრიც ბრძოლისა.

პოეტს, როგორც კეთილშობილი გულის პატრონს, ყველა დაჩაგრული უყვარს. მაგრამ დაჩაგრულებში — შრომის შვილებში —ის ხედავს საუკეთესო მებრძოლებს თავისუფლებისა და სიყვარულის გასამეფებლად და ეს აორკეცებს მის სიყვარულს შრომის შვილებისადმი.

ჩხიკვაძე რევოლუციის მგოსანია:

გაიღვიძე, ბორკილებში მძინარევ!
აბობოქრდი, ცხოვრებისა მდინარევ!

ლირიკული ლექსები ჩხიკვაძისა სავსეა ნაზი, სათუთი სევდით:

ვმღერი მარტო... კვნესის ჩანგი,
დნება ცრემლი ამ არეში,
და ეს ცრემლი, სევდის ჰანგი
თან ჩამყვება სამარეში.

მისი ნაზი, წარმტაცი სევდა ხშირად გვაგონებს ბარათაშვილის სულის ობლობას:

და მხოლოდ შეგვრჩა განწირული ჰმუნვა სულისა.

ჩხიკვაძეში დიდი პოეტური სული იყო, დიდი შესაძლებლობა. მისი სტრიქონი თავისებური, მძლავრი, ფაფარაყრილი იყო. დიდი

ოცნებითა და გატაცებით გამოვიდა ის ცხოვრების გზაზე, მღეროდა, რომ ეხილა „სრულ ქმნა ყოფნისა“, მაგრამ ცხოვრებამ იმის ახალგაზრდულ გატაცებას ფრთები შეაკვეცა:

> ლუხჯირმა ბედმა სიკაბუკე არ გამივარდა.

პოეტი ასე ახასიათებს თავის თავს:

> მე მიცნობდა მხოლოდ ერთი: ჭმუნვა და დარდი,
> ჭმუნვა იყო ჩემი მოძმე, ია და ვარდი.
> და მიყვარდა მხოლოდ წინსვლა, ბრძოლა, ნავარდი.

„გედის ყივილი“ და „№-ს“ საუკეთესო ნიმუშებია უნაზესი და ღრმა სევდით სავსე ლირიკისა.

დაჩაგრულთა ტკბილ მომღერალს, ამაყს, გაუტეხელს, ადამიანისადმი სიყვარულით აღსავსეს, მებრძოლს საუკეთესო იდეალებისათვის არ დასცალდა ამოეწურა თავისი გრძნობით სავსე გული და მეც გავათავებ მისივე სიტყვებით:

> დიდება ომას, ვინც დაიწვა ნათლის ძიებით.

1922

სახალხო დრამატიული დასის რეპერტუარი

დღევანდელს თეატრსა და ტაძარს შორის თითქოს არაფერია საერთო; ნამდვილად კი ორივეს ერთნაირი დასაწყისი აქვთ. ორივეს სათავე არის სარწმუნოება.

თეატრი წარმოიშვა წარმართობის დროს; იქ ადიდებდნენ ერთ-ერთ ღმერთს.

ტაძარი წარმოიშვა შემდეგ და აქაც თაყვანსა სცემენ და ადიდებენ ღმერთს.

როდესაც გავეცნობით ძველი ელინური თეატრის არქიტექტურას, დავრწმუნდებით, რომ დღევანდელი ტაძარი მისი პატარა კოპიოა.

მთელს ბუნებაში გამეფებულია სასიცოცხლო ძალა. სიკვდილი შეუბრალებლად და შეუჩერებლად ანადგურებს ყველაფერს, რასაც კი მისი ცელი მიეკარება. მაგრამ ძალა სიცოცხლისა სჩქეფს ყველგან და ერთი დაღუპულის ალაგას აჩენს ათასს.

მას თან დასდევს ახალგაზრდობა, გატაცება, მხიარულება და ღვინო, როგორც აღმძვრელი, გამომწვევი მხიარულებისა.

ყოველივე ეს ძველი ელინის შემოქმედებამ ერთად შეაერთა და დაუქვემდებარა ღმერთს დიონისოს.

და აი თეატრი თავდაპირველად იყო საზეიმო წირვა დიონისეს სადიდებლად. ამგვარად ის აღმოცენდა სარწმუნოების ნიადაგზე და მალე გადაიქცა დიდ ეროვნულ და სახელმწიფოებრივ მოვლენად.

ძველი საბერძნეთის საზოგადოებრივ ცხოვრებაში კულტურა წარმოუდგენელია უთეატროდ. თეატრი მაშინ არა თუ უმწვერვალესად იყო განვითარებული, ერს და ერის მთავრობას კარგად ჰქონდათ გათვალისწინებული თეატრის უდიდესი საზოგადოებრივი და ეროვნული მნიშვნელობა და თეატრი იყო მთავრობის უდიდესი საზრუნავი.

თეატრი იყო უდიდესი სკოლა მოქალაქეთა აღსაზრდელად; ეს სკოლა იყო უაღრესად დემოკრატიული. ამ სკოლაში უნდა მიეღო აღზრდა და მომზადება ყოველ მოქალაქეს. ზოგიერთი თეატრი იტევდა

ორმოცი ათასამდე მაყურებელს. შესვლა თავდაპირველად უფასო იყო. შემდეგ დაწესდა მცირეოდენი ფასი თეატრის შესანახად, სამაგიეროდ ყოველ მსურველს შესასვლელ ფასს ხაზინა აძლევდა.

რას ემსახურებოდა მაშინ თეატრი?

საზოგადოების განვითარებას.

ამ მიზანს ახორციელებდნენ ტრაღედიები, რომლებშიაც ზნეობრივი და საზოგადოებრივი აზრები იყო გატარებული.

მაგრამ საჭირო იყო ერის აღზრდასა და განვითარებასთან ერთად ერის ნერვიული ძალ-ღონის აღდგენა და გაზრდა სანახაობით, მხიარულებით.

ამ მიზანს ახორციელებდნენ სხვათა შორის კომედიები და მიმები.

როდესაც შეადარებთ ევროპის თანამედროვე თეატრს თავის უძველეს ელინურ წინაპარს, რა დიდი განსხვავებაა!

ელინური თეატრი იყო ეროვნული დაწესებულება. ის აძლევდა გონებრივსა და ზნეობრივ საზრდოს მთელ ერს და რადგანაც ყველგან ერის უმრავლესობას მშრომელი ნაწილი შეადგენს, ამიტომ ელინური თეატრი ემსახურებოდა მშრომელ ხალხს და წარმოადგენდა უდიდეს სკოლას მშრომელი ხალხისათვის.

ბურჟუაზიულმა წყობილებამ დღევანდელ თეატრს დააჩნია ერთი დიდი შავი ლაქა — ფული.

რაც შეიძლება ბევრი ფულის აღება, — აი ერთი მიზანთაგანი დღევანდელი თეატრისა. ამიტომ ის იძულებულია ემსახუროს მათ, ვის ხელშიცაა ეს ფული.

თეატრი არის დიდი ეროვნული საქმე. მას აქვს ფართო საზოგადოებრივი მნიშვნელობა: კერძო პირის ხელში ან კერძო საზოგადოების, ამხანაგობის ხელში ის ძალაუნებურად გადაიქცევა ფულის მომგებ დაწესებულებად. ამიტომ ის უნდა იყოს მთავრობის ხელში და უზრუნველყოფილი მთავრობისაგან. ეს ძალიან კარგად ჰქონდათ შეგნებული ძველ ელინებს.

ევროპის თეატრი ასცდა ამ გზას და ამიტომ, რა თქმა უნდა, მიუხედავად თავისი დიდი ღირსებისა, მას არა აქვს ის მნიშვნელობა საზოგადოებისა და მთელი ერისათვის, რაცა ჰქონდა თეატრს ძველ საბერძნეთში.

თეატრი უსათუოდ უნდა დაუბრუნდეს ხალხს. მისი მიზანი უნდა იყოს მშრომელი ხალხის აღზრდა, გაწვრთნა, სულიერად გაჯანსაღება, გადახალისება და მისი სამოქმედო ენერგიის გაზრდა.

თეატრი უნდა აშუქებდეს ყველა იმ საკითხს, რასაც კავშირი აქვს მშრომელი ხალხის წარსულთან, აწმყოსა და მომავალთან.

თეატრი უნდა არკვევდეს მხატვრულ სურათებში ყველა იმ საზოგადოებრივ და ზნეობრივ საკითხებს, რომლებსაც აქვთ მნიშვნელობა მშრომელი ხალხის აღზრდა-განვითარების საქმეში.

მშრომელი ხალხი ყოველ დღე ხარჯავს თავის სამუშაო ძალღონეს, რაც მას მარტო ფიზიკურად კი არა, სულიერადაც ჰქანცავს. სულს დასვენება, გადახალისება ესაჭიროება ახალი შრომისათვის, დახარჯულ ჯან-ღონეს კიდევ — ანაზღაურება.

ეს კი უნდა მისცეს მას თეატრმა.

რითი, რა საშუალებით?

სანახაობითა და ესთეტიური მხიარულებით. დღიური შრომისაგან მოქანცული ადამიანი უნდა გამოვიდეს თეატრიდან მარტო გონებრივი საზრდოთი დატვირთული კი არა, არამედ დასვენებული, ხალისიანი და სამუშაო ძალღონით შევსებული. ამისათვის კი საჭიროა საღი, მხიარული სიცილი, ხალისიანი, მხიარული განწყობილება სულისა..

წარმოიდგინეთ მშრომელი ადამიანი, ზნეობრივ-საზოგადოებრივი აზრებით დატვირთული, მაგრამ მოშვებული, მოდუნებული, უხალისო, უენერგიო. ასეთი ადამიანი, მიუხედავად თავისი სულიერი ღირსებისა, ხშირად უსარგებლო წევრია საზოგადოებისა და ერისათვის.

მეორეს მხრივ ენერგიით სავსე, მაგრამ ზნეობრივ-სოციალური აზროვნებით ღარიბი მშრომელი ადამიანიც დიდ ნაყოფს ვერ მისცემს საზოგადოებასა და ერს.

ერთი მიზანიცა და მეორეც შეერთებული უნდა იყოს სახალხო თეატრში, — მხოლოდ მაშინ მისცემს ის საზოგადოებას მთლიან მშრომელ წევრს.

სწორედ ასეთი მიზანი ჰქონდა დასახული ქართულ სახალხო დრამატიულ დასს და, მიუხედავად მრავალი დაბრკოლებისა, ის პირნათლად და თავგანწირვით ემსახურებოდა ამ დიდ ეროვნულ მიზანს. თეატრის გახალხოსნება, მშრომელი ხალხის დაახლოება თეატრთან და მისი ესთეტიური აღზრდა — აი რისთვის იბრძოდა სახალხო დრამატიული დასი იმ ოცდაათი წლის განმავლობაში.

ეს არის მეტად დიდმნიშვნელოვანი საზოგადოებრივი მოღვაწეობა.

უნდა მივიღოთ მხედველობაში, რომ სახალხო დრამატიული დასი მოღვაწეობდა თვითმპყრობელობის დროს. მის კისერზე არა ერთხელ გადუვლია შავრაზმულ რეაქციას, რომელიც წინ ეღობებოდა და ყოველგვარი საშუალებით აღრჩობდა ხალხის შეგნებას, გათვითცნობიერებას და განვითარებას.

სახალხო დასი კი ამ დროს მშრომელი ხალხის აღზრდას, განვითარებას და შეგნებულად დარაზმვას ემსახურებოდა.

ამიტომ მისი მოღვაწეობა არის არა მარტო საზოგადოებრივი, ერამედ სარევოლუციო.

თუ ქართველი მშრომელი ხალხი სარევოლუციო ბრძოლაში მუდამ პირველ რიგებში იდგა, მტკიცედ და გაბედულად მიდიოდა წინ და რევოლუციას შეგნებულად შეეგება, ეს არ ყოფილა შედეგი მარტო პარტიული მოღვაწეობისა, — ამ დიად საქმეში მიუძღვის თავისი წვლილი სახალხო დრამატიულ დასსაც, რომელიც ოცდაათი წლის განმავლობაში ემსახურებოდა მშრომელი ხალხის შეგნებას.

თეატრი თავის მიზანს ანხორციელებს რეპერტუარის საშუალებით.

როგორი იყო სახალხო დრამატიული დასის რეპერტუარი ამ ოცდაათი წლის განმავლობაში?

ეს რეპერტუარი სრულებით შეეფერებოდა იმ მიზანს, რომელსაც უნდა ემსახურებოდეს სახალხო თეატრი.

თეატრი თავისი მიზნით საერთაშორისო მოვლენაა, მაგრამ მისი გზა არის ერთადერთი — ეროვნული.

მიუხედავად იმისა, რომ სოფოკლე დღესაც ყველას ატკბობს, ის, უწინარეს ყოვლისა, არის უაღრესად ელინი და ელინური ნიადაგის გარეშე ის გაუგებარია და შეუძლებელი.

სახალხო თეატრმა უნდა მისცეს ხალხს ყოველი აზრი და განცდა იმ გაგებით, გამოსახვითა და სურათებით, რაც უფრო ახლოს არის ხალხთან. ხალხთან კი უფრო ახლოს არის ყოველივე ეროვნული.

მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ სახალხო თეატრი მარტო ეროვნული შემოქმედების ჩარჩოებში ჩაიკეტოს: ეროვნულიდან ის თანდათანობით უნდა გადადიოდეს საერთაშორისოზე.

სწორედ ამგვარად მოღვაწეობდა ქართული სახალხო დრამატიული დასი. იმის რეპერტუარში უმთავრესი ადგილი აქვს დათმობილი ეროვნულ შემოქმედებას. აქ სრულად არის მოცემული ჩვენი ძველი და ახალი დრამატურგები.

რაც უნდა სუსტი იყოს ეროვნული შემოქმედება, ის არის გამომხატველი ერის ესთეტიური ენერგიისა. თქმულა ჩვენში და ახლაც ამბობენ ხოლმე ჩვენი თანამედროვე მწერლობის ამა თუ იმ დარგის სისუსტეზედ. რა თქმა უნდა, ევროპის რომელიმე ერის მწერლობას ჩვენი დღევანდელი მწერლობა ვერ დაედარება. მაგრამ ჩვენი მწერლობა და შემოქმედება არის ის, რისი მოცემაც კი შეუძლია ჩვენს ერს დღევანდელს პირობებში.

ერისთავი, ცაგარელი, კლდიაშვილი, რამიშვილი, გედევანიშვილი, შიუკაშვილი, დადიანი, ეკალაძე, ირეთელი, გერგესელი, ნაკაშიძე და სხვ. უსათუოდ გამოხატავენ ქართული ესთეტიური ენერგიის შესაძლებლობას, გამოსახავენ ქართულ სინამდვილეს, ქართულ სულს. ქართველ ხალხთან ესენი ახლოს არიან და, რა თქმა უნდა, ქართულ სახალხო თეატრში ესენი პირველ რიგში უნდა იყვნენ.

სახალხო დრამატიული დასი სწორედ ასეც მოქმედებდა და ეროვნულ თეატრს მან მტკიცე საძირკველი ჩაუყარა მშრომელი ხალხის გულში. ბევრ ჩვენგანს შექსპირზე გაუთენებია ღამეები. რა თქმა უნდა, ერისთავი ამისთანასათვის ანბანია და საჭირო აღარ არის, მაგრამ ხალხს ჯერ ეს ანბანი ესაჭიროება, უამისოდ ის შექსპირს ვერ გაიგებს, ვერ ჩასწვდება.

გიორგი ერისთავი არის საძირკველი ქართული თეატრისა. იმის პიესებში არ არის არც აზრის სიღრმე, არც ხასიათთა სირთულე, არც დიდი ფსიქოლოგიური ანალიზი. მიუხედავად ყოველივე ამისა მათ აქვთ ერთი დიდი ღირსება: ისინი იძლევიან ქართული ცხოვრების უტყუარ სურათებს. ქართველმა მშრომელმა ხალხმა კი ცოცხალი სურათებით უნდა გაიცნოს როგორც ჩვენი წარსული, ისე აწმყო. რომ უკეთ გაითვალისწინოს ჩვენი მომავალი.

გიორგი ერისთავის კომედიები საყურადღებონი არიან საზოგადოებრივის თვალსაზრისითაც: მიუხედავად იმისა, რომ იმ დროს ჯერ კიდევ ბატონყმობა იყო, წარჩინებული წოდების დაშლის ნიშნები უკვე იყო ჩვენს ცხოვრებაში და „გაყრისა“ და „დავის“ ავტორს ეს არ გამოეპარა.

სუნდუკიანცი ხიდია ქართველ და სომეხ მშრომელთა შორის. ჩვენი მშრომელი ხალხისათვის ის მუდამ ძვირფასი იქნება, როგორც სოლიდარობის მასწავლებელი და იმის „პეპოს“ ჯერ კიდევ დიდხანს ექნება ჩვენი ხალხისათვის აღმზრდელობითი მნიშვნელობა.

ა. ცაგარელი გაგრძელებაა გ. ერისთავისა. მისი პიესები სურათებია ქართული ცხოვრებიდან ამოღებული.

ერთგვარი დეკადანსი წარჩინებული წოდების ცხოვრებაში მას უფრო მკაფიოდ აქვს ასახული და კომიკურ მდგომარეობათა შექმნით მას ეხერხება გამოწვევა იმ მხიარული, გულიანი სიცილისა, რაც მშრომელი ხალხისათვის აუცილებელ საჭიროებას შეადგენს ნერვული ენერგიის აღსადგენად.

იმერეთის ყოფა-ცხოვრების საუკეთესო მემატიანე კლდიაშვილია.

კლდიაშვილი იმერეთის გოგოლია. მის შემოქმედებას დიდი

საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვს განსაკუთრებით ჩვენი მშრომელი ხალხისათვის.

კლდიაშვილს აქვს გასაოცარი მხატვრული განსჭვრეტა-შეგრძნობა მომავალისა. მისი შემოქმედება ყავარჯენია მშრომელი ხალხისათვის, მისი სრული გამარჯვების მხატვრული წინასწარმეტყველება.

კლდიაშვილსა აქვს განსაკუთრებული იუმორი და ყოველივე ეს დიდი ღირსებით ამკობს მის პიესებს.

კლდიაშვილი და ნინოშვილი ერთმანეთის დამატებაა.

კლდიაშვილს ეხერხება ცოცხალი სურათების ზედმიწევნით გადმოცემა. მის ნიჭს დიდი დაკვირვება ახასიათებს.

ნინოშვილს ეხერხება სინტეზი, განზოგადება. ნინოშვილი ახალი ცხოვრების წინამორბედია, რევოლუციის მეგაირალტრედაშლა წოდებრივი ურთიერთობისა და ახალი ფორმები საზოგადოებრივი ცხოვრებისა, — აი რას გვიჩვენებს მისი შემოქმედება.

სასცენოდ გადაკეთება მისი მოთხრობებისა უსათუოდ შეადგენს ირეთელის ღირსებას და „ქრისტინე“ და „სოფლის გმირები“ დიდხანს იქნებიან სახალხო სცენაზე.

რამიშვილი მეტად ნაყოფიერი და დაკვირვებული დრამატურგია. რეალიზმი, ცხოვრების სინამდვილის გამოსახვა მისი თვისებაა.

ის მეტად ჩუმი, წყნარი, თავდაბალი მუშაკია, რომელიც უკვირდება, კვალდაკვალ მისდევს ცხოვრებას და რასაც ახალს დაინახავს, მხატვრულ სურათებში აყალიბებს.

ცხოვრების ცოდნის გარდა იმის პიესებს აქვთ ზნეობრივ-აღმზრდელობითი მნიშვნელობა.

დამაფიქრებელ სურათებთან ერთად მას ადვილად ეხერხება სასაცილო მდგომარეობათა აკინძვაც, რაც ფრიად საჭიროა განსაკუთრებით სახალხო სცენისათვის.

გადამეტებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ რამიშვილი ჩვენი სახალხო სცენის ბურჯია და მის პიესებს: „მეზობლები“, „დედინაცვალი“, „სტუმარ-მასპინძლობა“, „სალომეს ოჯახი“, „ჭკუამხიარული“ და „შეშლილები“ — მუდამ დიდის ყურადღებით ეპყრობა ჩვენი მშრომელი ხალხი.

ჩვენს მშრომელ ხალხს დიდი მონაწილეობა მიუძღვის სარევოლუციო მოძრაობასა და ბრძოლაში.

ამ ბრძოლის სურათების გადატანა სცენაზე მეტად საჭირო იყო მშრომელი ხალხისათვის. ეს დიდი საქმე იკისრეს ირეთელმა და ს. გედევანიშვილმა.

პირველი გვიხატავს პარტიულ ბრძოლას, მაგრამ მას აკლია სიღრმე ფსიქოლოგიური ანალიზისა და ზნეობრივი ენერგიის სიძლიერე.

ეს ნაკლი შეეხებულია გედევანიშვილის „მსხვერპლსა“ და „გამცემში“. ზნეობრივი სიძლიერე მშრომელი ხალხისა აქ მეტად დიდ შთაბეჭდილებას ახდენს და ხალხისათვის ამ პიესებს დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვთ.

ია ეკალაძე საკმაოდ ცნობილი და დამსახურებული მწერალია. მას ახასიათებს მხატვრული ზომიერება, ტემპერამენტი და რეალიზმის თვისება.

ამავე თვისებებით დაჯილდოვებულია მისი პიესა „ჯვარი № 21“. მშრომელი ხალხის იდეურად აღზრდის საქმეში ია ეკალაძის ამ პიესას დიდი მნიშვნელობა აქვს.

შიუკაშვილი ერთბაშად, მოულოდნელად გამოცხადდა ჩვენს სცენაზე და ერთის დაკვრით მოიხვეჭა სახელი ნიჭიერი დრამატურგისა.

ცხოვრებისა და ადამიანის სულში ღრმად ჩახედვა — აი რა ახასიათებს შიუკაშვილის შემოქმედებას.

საჭირბოროტო საკითხების გაშუქება, თავისებური შეხედულება, მოუსვენარი სული, შეუჩერებელი ძიება შიუკაშვილის პიესების თვისებას შეადგენს და საერთოდ მას დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს მშრომელი ხალხისათვის.

შალვა დადიანის სასცენო მოღვაწეობა უმთავრესად სახალხოა.

არც ერთი კუთხე არ მოიპოვება ჩვენი სამშობლოსი ისეთი, რომელიც შალვა დადიანს არ მოევლოს და სახალხო წარმოდგენები არ გაემართოს.

შალვა დადიანის ლიტერატურული მოღვაწეობაც უმთავრესად სახალხოა იმ მნიშვნელობით, რომ იმის პიესებს მიზნად უფრო მშრომელი ხალხი ჰყავს დასახული.

ზოგჯერ შეხვდებით შიგ გადაჭარბებულს ტენდენციას, მაგრამ საერთოდ ცხოვრების სინამდვილის ხატვა, კეთილშობილი მისწრაფება, ცხოვრების მოვლენათა შეფასება ზნეობრივის თვალთახედვით და ბუნებრივი იუმორი მისი პიესების ღირსებას შეადგენენ და მშრომელი ხალხის რეპერტუარში დიდხანს ეკავებათ საპატიო ალაგი.

გერგესელი სულ ახალგაზრდა მწერალია. მისი ნიჭი მრავალფეროვანია, მაგრამ მისი მიდრეკილება უფრო დრამატიული ხელოვნებისაკენ არის.

ცოტა ხანია, რაც სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა, მაგრამ მის

პიესებს უტყუარი დაღი აზის ნიჭიერი და დაკვირვებული მწერლისა.

გერგესელი სულიერ განწყობილებათა ბსტატვარია.

მას განსაკუთრებით იზიდავს ადამიანის სულის მოძრაობა სხვადასხვა მდგომარეობაში.

ამ მხრივ მისი უკანასკნელი პიესა „დამზრალი წალკოტი" განსაკუთრებით საყურადღებოა.

ავტორი აქ ჩეხოვს გვაგონებს თავისებური სულიერი განწყობილებებით.

ავტორი ღრმად ჩასწვდა ადამიანის სულს და დაგვანახა რთული სულიერი დრამა მთელი რიგი პერსონაჟებისა.

ავტორი იმდენად გატაცებულია სულის მოძრაობით, რომ მოქმედებას ნაკლებ ყურადღებას აქცევს.

მოქმედების განვითარებაში ავტორი ძუნწია.

რთული მოძრაობა სულისა იშლება მოდუნებულ და სუსტი მოქმედების არეში.

მშრომელ ხალხს კი მოქმედება უყვარს, მოქმედებას ეძებს ის, მოქმედება მისთვის აუცილებელია როგორც ცხოვრებაში, ისე სცენაზე.

ამ ნაკლს გერგესელი ადვილად დააღწევს თავს და ჩვენს რეპერტუარს დიდ ნაბიჯს გადაადგმევინებს წინ.

ნინო ნაკაშიძის პიესები კვნესაა კეთილშობილი გულისა, ცხოვრების სიდუხჭირით და უსამართლობით გამოწვეული. მშრომელი ხალხისათვის ბევრი დამაფიქრებელი სურათია შიგ და საგულისხმო აზრი.

რაც შეეხება უცხო დრამატურგებს, მათ უნდა მივუდგეთ ისეთივე საზომით, როგორც ეროვნულს. ყოველივე, რაც ხელს შეუწყობს მშრომელი ხალხის განვითარებას, ესთეტიურ აღზრდას და დახარჯული ენერგიის აღდგენას, საჭიროა და სასარგებლო.

სახალხო დრამატიული დასი ამ ოცდაათი წლის განმავლობაში აწვდიდა მშრომელ ხალხს მოლიერს, შილერს, ჰაუპტმანს, გორკის, ანდრეევს, გოგოლს, ოსტროვსკის, სერვანტესს, იბსენს და სხვ.

ყველა ეს ისეთი სახელებია, რომლებიც შეადგენენ ყოველი სცენის სიამაყესა და მშვენებას. შილერის „ყაჩაღები", მოლიერის „ტარტიუფი", იბსენის „შტოკმანი" და „საზოგადოების დედაბოძნი", გოგოლის „რევიზორი" სწორედ მშრომელი ხალხისათვის არიან უაღრესად აღმზრდელობითი მნიშვნელობისანი. მშრომელ ხალხს ანვითარებს მათი შემოქმედება, თვალებს უხელს, აწვდის საზოგადოებრივ იდეებს, უსახავს მაღალ იდეალებს და ასწავლის ბრძოლას ამ იდეალებისათვის.

რა თქმა უნდა, შეიძლებოდა უფრო ვრცლად წარმოდგენა უცხოეთის დრამატურგებისა, მაგრამ იმ პირობებში, როგორშიაც მიმდინარეობდა ქართული სახალხო დრამატიული დასის მძიმე მოღვაწეობა, მეტის გაკეთება ყოვლად შეუძლებელი იყო.

დრამატიული დასი მოკლებული იყო ტექნიკურ და ქონებრივ საშუალებას. თამაშობდნენ უმეტესად სცენისმოყვარენი, რომლებიც თავისი კერძო საქმეებითა და სამუშაოთი იყვნენ დატვირთულნი.

დრამატიულ დასს წინ ეღობებოდა მრავალი დაბრკოლება; მიუხედავად ამისა ის გატაცებით, თავგანწირულად ემსახურებოდა თავის წმინდა საქმეს და სწამდა, რომ მომავალი მისი იყო.

დიდ ღირსებას ქართული სახალხო დრამატიული დასისას ისიც შეადგენს, რომ მან ეროვნულ შემოქმედებას გაუხსნა ფართო ასპარეზი და არა ერთი და ორი ნიჭი აღმოაჩინა, გაუკაფა გზა და გაფურჩქნა.

თავისი რეპერტუარით სახალხო დრამატიულმა დასმა მარტო მშრომელი, მდაბიო ხალხის განვითარებასა და ესთეტიურად აღზრდას კი არ შეუწყო ხელი, არამედ ქართული დრამატიული ხელოვნების განვითარებასაც და მანვე მისცა ერთგვარი მიმართულება ქართულ დრამატიულ ხელოვნებას.

1923

იშვიათი დღესასწაული

თუ ხელოვნება წყაროა უზენაესი ნეტარებისა, არსად ეს წყარო ისე ანკარა, ისე ტკბილი არ არის, როგორც ხელოვნების უდიდეს ტაძარში — თეატრში.

თუ ხელოვნება სიმღერაა ადამიანის უნაზეს გრძნობათა სიმებზე ახმატკბილებული, არსად ეს სიმღერა ისე წარმტაცი და დამატყვევებელი არ არის, როგორც ხელოვნების უდიდეს საგალობელში — თეატრში.

თუ ხელოვნება ლოცვაა ადამიანის მაძიებელი ბუნებისაგან გამოუცნობისადმი მოვლინებული, არსად ეს ლოცვა ისე დატვირთული არ არის საიდუმლოებითა და სიწმინდით, როგორც ხელოვნების სამლოცველოში — თეატრში.

თუ ხელოვნება ჩირაღდანია ადამიანისათვის გზის გასანათებლად, არსად ეს ჩირაღდანი ისე სხივმოსილი არ არის, როგორც თეატრში.

სათეატრო ხელოვნება არა თუ აუცილებელია ყოველი ერისათვის, ის არის საზომი ეროვნული კულტურისა.

თეატრის საკურთხეველში თავს იყრის სხვადასხვა მიმართულება და ყოველი მათგანი გამომსახველია ერის კულტურის ამა თუ იმ თვისებისა.

ერთ დიდ ნაკლს ფეოდალურ-ბურჟუაზიული თეატრისას ის შეადგენდა, რომ მდაბიო ხალხი მისთვის არ არსებობდა: თეატრი მდაბიო ხალხს ნაკლებად ემსახურებოდა.

სასცენო ხელოვნება წარმოიშვა მდაბიო ხალხის გულში. ეს იყო ლოცვა მდაბიო ხალხის გულიდან აღმოხეთქილი მარადიული ახალგაზრდობის, მარადიული სიხარულის, მარადიული მხიარულების, შეუჩერებელი გატაცების — დიონისოს სადიდებლად.

შემდეგ თეატრმა განზე დატოვა მდაბიო ხალხი, ბევრგან დაივიწყა ის.

არ დაივიწყა ის მხოლოდ სახალხო სახლის ქართულმა დრამატიულმა დასმა.

მან დაუახლოვა თეატრი ხალხს, სცენა გადაიტანა მდაბიო ხალხში, მიზნად დაისახა ხალხის აღზრდა, ხალხის მომზადება და ხალხის განთავისუფლება ხელოვნების საშუალებით.

ვაშა სახალხო სცენის ქართველ მოღვაწეებს!

მიუხედავად მრავალგვარი დაბრკოლებისა, მტრული განწყობილებისა, გულგრილობისა და დაცინვისა ისინი ოცდაათი წლის განმავლობაში ეწეოდნენ მძიმე უღელს მშრომელი, მდაბიო ხალხის აღზრდისას და არარაობიდან ჰქმნიდნენ უდიდეს, საშვილიშვილო საქმეს.

ჩვენი უღრმესი პატივისცემა გატაცებულ, თავდავიწყებულ მუშაკებს სახალხო სცენისას!

თვითმპყრობელობის რეჟიმი სულთამხუთავი იყო როგორც ერისათვის, ისე მისი მშრომელი ნაწილისათვის. ზოგს წილად ხვდა იარაღით ბრძოლა. ჩვენმა სახალხო სცენის რაინდებმა კი გააჩაღეს ბრძოლა მხატვრული სიტყვით და განსახიერებით, მთელი ოცდაათი წლის განმავლობაში ისინი შეუდრეკელი რწმენით ჰკვერავდნენ უდიდეს ეროვნულ, მოქალაქეობრივსა და სარევოლუციო საქმეს.

ჩვენი გულწრფელი სიყვარული სახალხო სცენის რაინდებს!

ოცდაათი წლის განმავლობაში ხელოვნების ჩირაღდნებით ჰფანტავდნენ ისინი შეგნების, გათვითცნობიერების სპეტაკ სხივებს მდაბიო ხალხში და დახავსებული წყობილება ქართველი მშრომელი ხალხის შეგნებაში რევოლუციაზე ადრე დაანგრიეს, რევოლუციაზე ადრე ჩამოაყალიბეს ტიპი ქართული შეგნებული მოქალაქისა.

ჩვენი თაყვანისცემა მშრომელი ხალხის სადარაჯოზე მტკიცედ მდგომ გოლიათებს ქართული სახალხო სცენისას!

ვინ შექმნა ჩვენი სახალხო თეატრი?

ქართველი მშრომელი ხალხის საუკეთესო შვილებმა.

ვინ იყვნენ სახალხო თეატრის პირველი მსახიობები?

ჩვენი მშრომელი ხალხის შვილები.

ვინ ანგრევდა ყოველგვარ დაბრკოლებას სახალხო თეატრის გზაზე?

მშრომელი ხალხის შვილები.

სახალხო თეატრი იშვა მუშების უბანში და ოცდაათი წლის განმავლობაში ის მიუძღვის წინ მშრომელ ხალხს სრული გამარჯვებისაკენ.

დიდება ქართველ მუშებს!

1923

„ანთებული ხეივანი“

და გზა მოენახე, სადაც სევდის
წყალი მდინარებს.
ს. აბაშელი.

აგერ ათი წელი შესრულდება, რაც აბაშელის „მზის სიცილი“ გამოვიდა.

აბაშელის პოეზია აქ მეტად თავისებურია. არის სამოქალაქო მოტივი, პირადი განცდა, სევდაც, მაგრამ უმთავრესია აღფრთოვანება კოსმიური მოვლენებით და ამ მოვლენათა გამოსახვა მეტად ლამაზ პოეტურ ფორმებში.

აბაშელი აქ ნამდვილი კერპთაყვანისმცემელია ბუნებისა, სადაც უმთავრესი ღმერთი მზე არის. მისი პირველი სტიქიონი ნამდვილი ლოცვაა მზეზე:

მზევ მშვენიერო, მნათობთ მეფევ
ცხოველმყოფელო,
სიცოცხლის წყაროვ, საკურთხეველის
ცეცხლო დიადო,
ლაჟვარდ სივრცეში ოქროს სიმთა
ამთრთოლებელო,
სხივოსან ზღვაო, ქვეყნის დილავ,
ცის განთიადო!

ეს თემა აბაშელმა თუ სრულად არ ამოსწურა, ყოველ შემთხვევაში მან მოგვცა, რისი მოცემაც კი შეეძლო.

ვიწრო გზით სიარული პოეტისათვის დიდი საფრთხეა: ბოლოს და ბოლოს გამეორებას მიმართავს და მოსაწყენი გახდება.

ამიტომ აუცილებელია გზის გაფართოება: ან ახალი გზა, ან ხიკვდილი — ასეთია ხვედრი ყოველი პოეტისა, რაც უნდა დიდი იყოს ის.

აბაშელმა შესძლო ამ საფრთხის დაძლევა. ამას ადასტურებს მისი „ანთებული ხეივანი“.

> აქ დავისვენებ, შორს მიმავალი,
> რომ შემდგომ მეტის გახალისებით
> ვიმღერო, ზეცამ რაც დამავალა,
> და გავანათო ახალი გზები.

და მართლაც დასვენების შემდეგ პოეტმა მოგვცა მეორე ტომი, სადაც სხვა განცდაა, სხვა თემა, სხვა სულისკვეთება, ვიდრე პირველ წიგნში.

> მე მიეყვებოდი სულის ჟრუანტელს
> და ვატირებდი გულის თქმას მართალს.

ამ სტრიქონებში არის ერთგვარი დახასიათება მეორე ტომისა.

თუმცა სევდის ჰანგები პირველ წიგნშიც საკმაოდ არის, მაგრამ ეს სევდაც ღიმილიანია და პოეტის აღტაცებული გული ნაზი სიმებით გადმოგვცემს სამყაროს სიდიადეს და ჰარმონიას. მეორე წიგნი უმთავრესად სულის ჟრუანტელია და აკვნესებული გულის თქმა.

ნანდახან პოეტის აღმაფრენა ისევ განვლილ ოცნებებს უბრუნდება და ყურს ატკბობს მშვენიერი ჰიმნი მზის თაყვანისმცემლისა:

> და მზის სიცილის დაღლილმა შუქმა
> ამ წიგნშიც მკრთალად შემოანათა.

ეს შემონათება საკმაოდ ატყვია „დილის ლოცვას“, „ცისარტყელას“, „წირვას“, „მზის ამოსვლას“, „ჩემს გზას“. ეს უკანასკნელი ლექსი ამ მხრივ მეტად საყურადღებოა და თან მეტად ლამაზი. იშვიანი იმედი, სევდა და აღტაცება, მუსიკა გლოვისა და სამსიარულო ერთიმეორესა სცვლიან.

აქ ორი აბაშელია: აბაშელი — მზის თაყვანისმცემელი და აბაშელი — სევდითა და იშვით შეპყრობილი. ეს ორი აბაშელი ერთმანეთს ებრძვის და ერთხელ კიდევ იმარჯვებს პირველი.

> და ჩემ წინ დროშად აღიმართა
> მზის ძოწეული, —
> ათას ფერებით მოღაღადე
> ცეცხლის მარაო,
> და მე ვლოცულობ: სხივდაშრეტილ
> დღეთა მპარავო!
> შენ დამხსენ წყვდიადს და ამინთე
> სული სნეული.

მთელი პოეზია მეორე წიგნისა ამ სტრიქონებამდე თითქმის ერთგვარი შესავალია: სნეული სული აინთო ახალი ცეცხლით და უწინარეს ყოვლისა მას სწყურია განკურნება. ამ მიზნით ის მიმართავს ჯერ ცეცხლის მახვილს, შემდეგ ცისფერ ყვავილებს. პირველი რევოლუციაა, მეორე — სიყვარული:

და ჩემს გრძნობაში სევდის ალი
რომ კვლავ არ იშვას,
მე გზა მივეცი დაგუბებულს
სულის ქარიშხალს
და ხელთ ავიღე საბრძოლველად
ცეცხლის მახვილი.

რა თქმა უნდა, აბაშელი უნაზეს გრძნობათა და უწმინდეს განცდათა მგოსანია და არა ბრძოლისა, მაგრამ მიუხედავად ამისა, მთელი რევოლუცია და მისი ჩასახვა, დასაწყისი ქარიშხალისა — იშვიათის ხელოვნებითა აქვს ასახული.

წითელი ფრინველები — რიტორაჟია რევოლუციის.

წითელმა ფერიამ ცეკვით მოიარა
ზღვები და ხმელეთი.
წითელი ფრინველები
დაჰფრინავენ ჰაერში,
ანთებული ბულბული
სცვივა ალის ფრთებიდან.
ერთნაირი სიმღერა
ისმის სხვადასხვა ერში.
აგუგუნდა ქვეყანა
ცეცხლის მფრქვეველ მთებითა!

ცეცხლის მახვილში მოცემულია უტყუარი სახე რევოლუციისა:

ქუჩა გაგიჟდა და განგაშებს
ათას ხმიანი.
წითელ ფრინველებს ათამაშებს
ხალხთა მდინარე.
რეკა მოისმის და მეზარე
არ სჩანს ვინ არი,
რისხვის მახვილი დათარეშობს
ხალისიანი.
ძალა უცნობი, მიუწვდომი
და უჩინარი
ახალ ქვეყნის ეტლს მიაჭროლებს
ცეცხლის ფრთიანი.

პოეტი აქ ამყღავნებს ერთგვარ სარწმუნოებრივ შეხედულებას რევოლუციის წარმომშობ ძალაზე:

> რღვევა-შენების ქარიშხალით
> ცის შემკირველი,
> ყოველთა დროთა წინამძღოლი,
> მუდამ წარსული, მუდამ აწმყო
> და მომავალი, —
> სამყაროს წიგნში იწყებს ბრძოლის
> ახალ რვეულსა.

ფსიქოლოგია რევოლუციისა პოეტს საუცხოოდ ესმის:

> და მას წყევას უთვლიან ხშირი
> განმეორებით,
> მაგრამ რღვევის სტიქიონს
> წყევა არ ეყურება.

თუ რამდენად ზედმიწევნით ჩასწვდა მგოსანი რევოლუციის ფსიქოლოგიას, ამას ამტკიცებს ლექსი — „მებრძოლს". მეტად ნაზი და სათუთი გრძნობის პოეტი აქ შეუბრალებელია და დაუნდობელი. ყოველგვარი დაზოგვა მტრისა უარყოფილია და ყოველ კითხვის გადამჭრელად მხოლოდ ხმალია აღიარებული. პოეტის სული აქ შორდება რღვევის სტიქიონს და მიმართავს მისთვის უჩვეულო სფეროს — ცისფერი ყვავილების ბაღს, ბაღს სიყვარულისას. ამ ბაღში პოეტი მეტად ლამაზი, ტკბილი, ნაზი, წმინდა და მომხიბლავია, ხან ბავშვივით გახალისებული, აღფრთოვანებული, გატაცებული, ხან ტკბილი სევდით, ხან მწარე უიმედობით აღსავსე. სიყვარულის განთიადი, შუადღე და საღამო, სიყვარულის გაღვივება, გაფურჩქვნა და დაჭკნობა იშვიათის სიცხადითა და სულის დამატკბობელი მუსიკითა აქვს გადმოცემული.

„ცისფერ ყვავილებში" შეყვარებული სულის ყოველგვარი რხევაა აღბეჭდილი. ალაგ-ალაგ — თუნდაც მე-50 გვ. — პოეტი მოგვაგონებს გრიშაშვილს, მაგრამ ეს მსგავსებაა მხოლოდ თემაში, გაშუქება და განცდა სრულებით სხვადასხვა გვარია.

აბაშელის გალობა სიყვარულისა — ეს არის ლოცვა შეყვარებული სულისა.

გრიშაშვილს კი უფრო ეხერხება ბორგვა შეყვარებული სულისა და ყივილი შეყვარებული ხორცისა.

გრიშაშვილის სიყვარული უფრო ხორციელია, აბაშელისა — უფრო ზეციური.

შიშველი სხეული მეტად მომხიბლავია გრიშაშვილის პოეზიაში. აბაშელი კი წმინდა ბერივით გაურბის შიშველ სხეულს:

გშვენოდა ტანის სიშიშვლე,
ვით უცოდველსა ევასა
და გარს მეხვია სირცხვილი,
ვით სამოსშემოხეულსა.
სანამ შორს იყავ, — გეძახდი,
მხიბლავდა შენი სახელი,
ახლა შენთან მყოფს, დარცხვენილს,
რად მტანჯავს ჩუმი ნაღველი?
ნეტავ თვალს რისთვის ვარიდებ
აქამდის ნანატრ სხეულსა?!

სიყვარულმა არ იცის სირცხვილი — აქ უფრო ბუნებრივია გრიშაშვილი; მაგრამ მაინც სიყვარულს ორი სახე აქვს; გრიშაშვილს უფრო იზიდავს ერთი, აბაშელს — მეორე.

აბაშელის სიყვარული ვნებას გაურბის, ის უფრო წმინდა ოცნებაა, ლოცვაა:

შენი სურვილი ჩემს ოცნებას
ეურჩებოდა,
და ჩემი გრძნობა უკუქცეულ
ლოცვად რჩებოდა.

განიკურნა ცისფერი ყვავილების წალკოტში პოეტის სნეული სული?

არა მგონია.

აქ სხვა ცეცხლი დაენთო
და ფიქრებიც სხვა იშვა;
სიყვარული — ელვაა
სცოცხლობს წუთით, დროებით. —

აი რა დასკვნა გამოიტანა პოეტმა ცისფერი ყვავილების ბაღიდან. მარტოდ მარტო დარჩენილი მგოსანი ისევ თავის სევდას უბრუნდება, მაგრამ ახლა ეს სევდა დამძიმებულია ცხოვრების ტვირთით, განვლილი გზით და გამოცდილებით. თუ უწინ პოეტი მიეცემოდა სევდას —

ეგ იყო სევდა სხვანაირი,
სევდა მზიანი,
იმედგახსნილი და თვით ცრემლში
ხალისიანი.

ახლა კი პოეტის სევდა უფრო ღრმა და ძლიერია:

სული შემექნა უიმედო
და ნაღვლიანი.

და აი, ამ ნაღველსა და უიმედობას პოეტი მიჰყავს უკანასკ-ნელ კარებთან, იმ კარებთან, რომლის შეღებასაც ამაოდ ცდილობ-და ბარათაშვილი.

როგორც ბარათაშვილს, აბაშელსაც სწყურია ცის სასწაულის აშოცნობა:

მაგრამ მოსწყურდა სულს უჩვეული
ცის სასწაული.

ცის სასწაულს იყო მოწყურებული ბარათაშვილიც.

მე შენსა მვვრეტელს მავიწყდების
საწუთროება,
გულისთქმა ჩემი შენს იქითა ეძიებს
სადგურს, —

მიმართავდა ბარათაშვილი ცას.

სულს ესიზმრება უფსკრულს იქით
სხივთა მკრთომელი.
ღრუს იქით მყოფი, არც მტირალი
და არც მცინარი,
მარადისობის უდაბნოში
ცეცხლად მდინარი,
იგი უცნობი, უხილავი,
მიუწვდომელი, —

მაგრამ ყოველივე ამას შავი კარი ჰფარავს და აბაშელის ტან-ჯული სული ამაოდ ეჯახება ამ კარებს. აბაშელის პოეზია ლოცვაა და რაც უნდა იყოს მისი ლოცვის საგანი — მზე, წითელი ქაოსი თუ სიყვარული, — სულერთია: იმის ლოცვაში სარწმუნოებრივი შეგნება და წყურვილი ისახება; რევოლუციის ქარცეცხლში მას ესახება პირველყოფილი შემოქმედი ძალა. ფილოსოფიურ ძიებას სევდიანი სულისას ის მიჰყავს უცნობთან, უხილავთან, მიუწვდო-მელთან.

მისწვდება მგოსანი მიუწვდომელს?
შესაძლებელია ამის პასუხი მოგვცეს მესამე წიგნმა.

მესმის ქუხილი, უკვე დროც არი
გაიხსნას კარი უფსკრულისაკენ.
აენთოს ხაზი გასაოცარი
და გაბზარული გამოჩნდეს სარკე.

„ანთებული ხეივანი“ სარკეა აბაშელის ანთებული, მოუსვენა-რი და მუდამ მაძიებელი სულისა. ამ სარკეში ყოველი ჩვენგანი

დაინახავს ნაწილს საკუთარი სულისას, საკუთარ ძიებას, საკუთარ ტანჯვას, იმედს, იჭვებს, უიმედობას.

თუ „მზის სიცილში“ ფორმა არ იყო დამთავრებული, მეორე ტომში ამ მხრივ დიდი მიღწევაა, დიდი გამარჯვებაა. აბაშელის პოეზია მდიდარია მუსიკით და მისი მუსიკა ჰარმონიულად არის შეკავშირებული შინაარსთან. მეორე ტომი აფერადებულია ახალი რითმებით. ყოველი რითმა პოეტისა ქალწულს სინაზეს და უმანკოებას ატარებს.

„მზის სიცილის“ წინასიტყვაობას მე ასე ვათავებდი:

„პოეტმა მეტად მოხდენილად, მეტად კარგად და ლამაზად დაიწყო და თუ ამგვარადვე განაგრძო, ფრიად საპატიო ალაგს დაიჭერს ჩვენს მწერლობაში“.

სიამოვნებით უნდა აღვნიშნო, რომ აბაშელმა უკვე დაიკავა საპატიო ალაგი ჩვენს ახალ პოეზიაში.

1923

ტკბილი ყმა.

უსიერი მთების უძირო ტბაში ტყის დედოფალი ცხოვრობდა — ტანაყრილი, ნატიფი, თვალგიშერა.

ის იყო ჯადოსმპყრობელი: ვინც მოეწონებოდა, მოჰხიბლავდა, ძონად გაიხდიდა, დაატყვევებდა და შემდეგ გულს ამოაცლიდა. მისი სრა-სასახლე მოჭედილი იყო ადამიანთა გულებით.

ერთხელ ტბის პირას ნებივრობდა დედოფალი და თავისი ჯადოთი ცდილობდა მზის დატყვევებას.

შველივით გამოხტა თმახუჭუჭა ყმა, დასტაცა ხელი ჯადოს და სწრაფად გამოტრიალდა. ძმვენიერი დედოფალი გომბეშოდ გადაიქცა და დიდ ლოდს ამოეფარა.

დადის მას აქეთ თმახუჭუჭა ყმა და თავისი ჯადოთი ყველასა ჰხიბლავს, ატყვევებს, იმონებს.

ვინ არის ეს ყმა?

ჩვენი ვანო სარაჯიშვილი...

რა არის ეს ჯადო?

მისი მომხიბლავი ხმა.

ჩვენ ვამაყობთ ვანო სარაჯიშვილით მარტო იმიტომ კი არა, რომ ის ხმაჯადოსანია, —

იმიტომ კიდევ, რომ ის ჩვენია, ჩვენი სისხლი და ხორცი, რომ: ამასში ქართველი ერის მზიური სისხლი სჩქეფს.

ვანო სარაჯიშვილი ქართული მელოდიის ავთანდილია:

მიიმღერის ხმასა ტკბილსა.

იშვიათი სიტკბო ხმისა, იშვიათი მოქნილობა, იშვიათი სირბილე, სინაზე და მეტისმეტად მგრძნობიარება:

მისსა ხმასა თანა ხმაცა
ბულბულისა ჰგვანდის ბუსა.

თილისმიანი ხმა, რომელსაც შეუძლია დასევდიანებული სულის გადახალისება და გულის ჭმუნვათა შეცვლა ყვავილებით, —თილისმიანი ხმა, რომელსაც შეუძლია მოღერებული მახვილის ჩაბრუნება და გაბოროტებული გულის დარბილება, დამშვიდება და მოთვინიერება, — აი ვანო სარაჯიშვილი.

მისი ხმა ზღვის აბობოქრებულ ტალღებს მიაყუჩებს, ქარიშხალს დააწყნარებს და მინდვრის აბიბინებულ მოლს აზვირთებულ ზღვის ტალღებად გადააქციეს; დედამიწას დაგავიწყებინებს მისი ყოველდღიური საზრუნავით და ცისაკენ გაგაქანებს, მეორე წამს ცხოვრების სიღრმეში ჩაგახედებს და საკაცობრიო სიტკბოებით შეგბოჭავს; უდარდელ ადამიანს ფიქრთა ზღვაში ჩასძირავს და დარდით შეპყრობილს იმედის სხივებით მოუქარგავს სულს; მისი მომხიბლავი ხმა ცხოვრებას ჭუჭყს აცლის და ყოველივე სპეტაკს, კეთილშობილს აღვივებს.

—რა ლამაზი, რა მშვენიერია სიცოცხლე! —ჰკანკალებენ თქვენი გულის სიმები, როდესაც ვანო სარაჯიშვილს უსმენთ; გიყვართ ყოველივე, ურიგდებით თვით მოსისხლე მტერსაც კი და ამავე დროს აღარც სიკვდილის გეშინიათ.

უნაზეს გრძნობათა გაღვიძება, უწმინდეს ზრახვათა წამოშლა, უკეთილშობილეს მისწრაფებათა აგიზგიზება და უსაზღვრო ოცნების აღძვრა, —რა ადვილად ეხერხება ყოველივე ვანო სარაჯიშვილს!

> რა ესმოდის მღერა ყმისა,
> სმენად მხეცნი მოვიდიან;
> მისვე ყმისა სიტკბოსაგან
> წყლით ქვანიცა გამოსხდიან;

და ამ თხუთმეტი წლის მანძილზე ადამიანები მოდიან, რომ მოისმინონ, განიკურნონ, დასტკბნენ და გაჰკვირდნენ.

ვანო სარაჯიშვილიც თავისი ჯადოსნური ხმით ყველასა ჰხიბლავს, ყველას იმონებს, ყველას ატყვევებს ამ თხუთმეტი წლის გზაზე.

რაკი ერთხელ მოჰკრავთ ყურსა, გინდათ სულ გესმოდეთ, სულ, სულ ეს ტკბილი, ეს მთელი სხეულის მომშლელი, მთელი სულის გარდამქმნელი, ფიქრთა ამშლელი და გრძნობათა დამშაქვრელი ხმა.

ვანო სარაჯიშვილის ხმა უწმინდესი ლოცვაა საკურთხეველზე საკაცობრიო მშვენიერებისადმი.

ვანო სარაჯიშვილის ხმა მომხიბლავი ზღაპარია, ქართველი

ერის სადიდებლად, ქართველი ერის სანუგეშებლად და ასამაღლებლად მოვლენილი.

ვანო სარაჯიშვილის ხმა ქართველი ერის ბუნებაა —სინაზით დაფერილი, სევდით დატვირთული, იმედით გასპეტაკებული და რწმენით გაქანებული.

ვანო სარაჯიშვილმა მშობელი ერის ბედს შეურია თვისი ბედი და თხუთმეტი წლის განმავლობაში საარაკო ხმებით ჰფანტავს იმის უბედობას და ნეტარების სხივებით უქსოვს საბედნიერო გვირგვინს. ვაშა ჩვენს ვანოს!

1923

ქართული ჟურნალი

ისეთი ჟურნალის გამოცემა, რომელიც თავის თავს გაამართლებს, ყოველთვის ძნელი იყო.

ჟურნალში თავმოყრილია სხვადასხვა განყოფილება; მკითხველი საზოგადოება კი ჭრელია. ამიტომ ჟურნალმა უნდა დაჰფაროს ეს სიჭრელე, მისცეს ყოველ მკითხველს ის, რაც მისთვის საყურადღებოა; ამავე დროს ყოველი განყოფილება ჟურნალისა უნდა იყოს სრული და ერთიმეორესთან ჰარმონიულად შეთვისებული. ყოველივე ეს ითხოვს დიდ ცოდნას, დიდ ერუდიციას, დიდ შრომას, დიდ განვითარებას და დიდ ესთეტიურ ყნოსვას.

ამიტომაც სათაურით ჟურნალი ბევრი ყოფილა და არის სხვაგან, ნამდვილი ჟურნალი კი ცოტა იყო და არის.

ნამდვილი ჟურნალისათვის ჩვენში არასოდეს არა ყოფილა საკმაოდ ხელის შემწყობი პირობანი.

ვერც ერთი ის ჟურნალი, რომელიც ჩვენში გამოდიოდა, საფუძვლიან კრიტიკას ვერ გაუმკლავდება. ზოგიერთი აუცილებელი განყოფილება ან სულ არა ყოფილა ჟურნალში, ან სრულებით მილეული სახე ჰქონია, ზოგიერთი განყოფილება კი შემთხვევითი ხასიათის იყო.

ჟურნალში ერთი მთავარი ადგილი უჭირავს უცხოეთის ლიტერატურას. მან უნდა გაუშუქოს მკითხველს თანამედროვე უცხოეთი, ახალი მიმდინარეობა იმის აზროვნებასა და ხელოვნებაში, მკვეთრი ნიმუშები მისი წარსულიდან.

ჩვენს ძველ ჟურნალებში ეს დიდი განყოფილება მუდამ უფერული იყო. ვისაც რა მოეწონებოდა, იმას სთარგმნიდა და ჟურნალის რედაქციას გარკვეული გეგმა არა ჰქონდა, ან ჰქონდა, მაგრამ ვერ ახერხებდა განხორციელებას.

თუ გავითვალისწინებთ მრავალ დაბრკოლებას —მატერიალურს, ფსიქოლოგიურს და სხვ., უნდა გულახდილად ვთქვათ, რომ ჟურნალ „კავკასიონის“ გამოცემა დიდი გმირობაა, დიდი კულტურული საქმე.

ასეთი ჟურნალი დღევანდელ პირობებში დიდი მიღწევაა, მეტად სანუგეშო მოვლენა და დიდი ეროვნული საგანძური.

ეს ჟურნალი ნაყოფია მარტო დიდი შრომისა და ცოდნის კი არა, — დიდი მხატვრული გემოვნებისა, დიდი მსხვერპლისა და დიდი სიყვარულისა.

პატივცემულ რედაქტორს დღემდე ვიცნობდით, როგორც ფრიად ნიჭიერ მკვლევარს, რომელიც ფარდასა ჰხდის ჩვენი წარსული კულტურის საიდუმლოებას და შუქსა ჰფენს ისეთს კუნჭულებს, რომლებიც მტკიცედ იყვნენ ჩვენს თვალწინ გადარაზულნი.

მაგრამ მასში ყოფილა იშვიათი ნიჭი ნამდვილი ჟურნალის იშვიათი რედაქტორისა.

ჟურნალი იზიდავს მკითხველს ჯერ თავისი გარეგნობით, ზომით, ფორმატით, ქაღალდით, შრიფტით და საერთოდ მთელი გარეგანი სილამაზით. ამ სილამაზეში არ არის შეტანილი არც ერთი ხაზი, შეუფერებელი სიდინჯისა და საფუძვლიანობისათვის. აქ არის სილამაზე, შეერთებული სისადავესთან, სიდინჯესთან და სიდარბაისლესთან.

სილამაზე მშვიდი, დამჯდარი, გამობრძმედილი ქანდაკებისა.

ჟურნალი არის წმინდა სამეცნიერო და სალიტერატურო. აქ არა აქვს ადგილი არავითარ ვიწრო ჯგუფურ მიმდინარეობას, ერთი სიტყვით, ყოველივე იმას, რაც ქართველ მწერლებს თავს კი არ მოუყრიდა, არამედ ერთმანეთს დააშორებდა.

ჟურნალი მიზნად ისახავს ერთად შეჰკრიბოს ქართველი მწერლები და გააშუქოს ქართული კულტურის ყოველი დარგი.

„სთათბირობ ძნელთა თათბირთა“ —

მაგრამ სიძნელიდან ღირსეულად გამოდის რედაქტორი. ჟურნალი განიყოფება რამდენიმე ნაწილად და თვითეული მათგანი იძლევა მდიდარ და საუცხოოდ შერჩეულ მასალას.

რომელი დარგიც უნდა აიღოთ, ყველა დადაღულია დიდი მოფიქრებით, გაზომილი მიზნით, შრომით, სიყვარულით და ნიჭით.

ქართულ ლიტერატურას ფარდა ეხდება კოტე მაყაშვილის ლექსით. აქ შეჭრილია ლექსთწყობის ახალი ნაკადულები: თავისებური რიტმი და მეტრი (პენტამეტრი) ისეთს მუსიკალურ ხმაურს იძლევიან, თითქოს ფაფარაყრილი მერანი მიჰქრისო.

მთელი ლექსიდან სიახლე, იმედიანობა და გაუტეხელობა მოჰყივის.

გრიშაშვილის ლექსში „ტფილისის მიწა“ გარეგანი სილამაზე აზრის სიმშვენიერეს ეჯიბრება და ტკბილი, მათრობელი მელოდია სმენას ჰხიბლავს.

გრიშაშვილი თბილისის რაინდია, თბილისზე შეყვარებული. პოეტს ჰხიბლავს, აღელვებს და სტანჯავს თბილისი.

შენი ვარ, შენთვის მოვკვდები
შენზედვე მგლოვიარეო! —

ჟკაკის სიტყვებში იხატება თბილისზე შეყვარებული გრიშაშვილი.

კეთილშობილი და საღი გრძნობის მოუწყინარი სურნელება მოჰქრის მთელი ლექსიდან, სურნელება, რომელიც გულის სიმებს ტკბილად არხევს და ეს რხევა მთელ სხეულში ვრცელდება.

შანშიაშვილის პოეზიას თან დასდევს სითამამე, სიდარბაისლე, ხიდინჯე, ხშირად ტალკვესიანობა და სიხალისე.

მისი „დალი“ საუცხოო აფერადებაა პოეზიის შემოქმედებისა ხალხურ თქმულებებში. მდიდარი აზრი, მითოლოგიური კოლორიტი, ხალისიანი და ლაღი ტონი, — ყოველივე ეს ხომ ჩვენი სამშობლოს ბუნების ფერადები და ხაზებია.

„დალი“ მთელი ჩვენი მითოლოგიაა და გონებას ჰხიბლავს აქ ბევრი ახალი სიტყვა, ახალი სახელი, სმენას კი — ანკარა ბგერათა ჭხრიალი, იუმორით აცინცხალებული.

„უბედური რუსის“ მხოლოდ ნაწილია დაბეჭდილი, ამიტომ უმჯობესია მოვუცადოთ დანარჩენს. მაგრამ დასაწყისივე ამტკიცებს, რომ ის იქნება ერთი საუკეთესო რომანი ჩვენს მწერლობაში.

ერთხელ ილია ზურაბიშვილი წერდა შალვა დადიანზე: მისი ნიჭი უფრო რომანშია ძლიერი, ვიდრე სცენაზე და სასცენო ხელოვნებაშიო.

მართლაც „უბედურ რუსში“ მძლავრი ნიჭი სჩქეფს. მოკლე, მკაფიო და მკვეთრი დახასიათება, დახვეწილი, დაწმენდილი, ნამდვილი ლიტერატურული ენა კლასიკურ სილამაზეს აძლევს რომანის დასაწყისს.

რა თქმა უნდა, რომანი არ წარმოადგენს მეცნიერულ გამოკვლევას, მაგრამ ამ შემთხვევაში — მგონია რუსეთის თავადის მოწვევა თამარის საქმროდ მეტად იოლად არის ახსნილი.

იმერეთის წვრილფეხა აზნაურობის ყოფა-ცხოვრებას დავით კლდიაშვილისთანა მხატვარი არა ჰყოლია და აღარც ეყოლება. დავით კლდიაშვილი გრძნეული ნიჭია, რომელსაც გასაოცარი სიადვილით ეხერხება ხასიათისა და ცხოვრების მთავარი ძარღვის აღმოჩენა. იმის ყოველ სტრიქონში მოძრაობაა, დუღილი და ამ მოძრაობის გამოაშკარავება კლდიაშვილის განსაკუთრებული თვისებაა.

მისი „კიმოთუ მეშველიძე“ პატარა ნაგლეჯია ცხოვრების სურათისა. ჩვენ ველით მისგან მთელ სურათებს მორიგ ნომრებში.

დავით კლდიაშვილს დიდძალი მასალა აქვს დაგროვილი, დიდი

დაკვირვება, და ის უნდა იყოს უზრუნველყოფილი, რომ დაჯდეს და ეს მასალა დაამუშაოს.

ლეო ქიაჩელი გამოცდილი ბელეტრისტია. მას აქვს თავისი სიუჟეტები, სტილი და მეტრი. დახვეწილი ენა, მოკლედ თქმა, სულიერ განცდათა სისწორით ასახვა, ხან ნაზი სევდა, ხან კი იუმორი და ირონია აფერადებენ ომის პატარა მოთხრობებს.

სიცოცხლე, სიხალისე და იუმორი ბრწყინავენ „კრიმანჭულშიაც", სადაც ტრაღიკული და სასაცილო საუცხოოდ არიან ერთმანეთში შეხამებული.

აბაშელის ლექსში „უძილო ღამე" ტკბილად მოდუდუნე რომანტიზმია და ნაზი, დარბაისლური ფილოსოფიური სევდა, ცხოვრების წარმავლობითა და ამაოებით გამოწვეული. აქ ისმის ბარათაშვილისა და ვაჟას მოტივი.

ლექსი დაწერილია პოეტისავე „შორეული ნაპირის" რიტმითა და მეტრით და დადაღულია მწარე განცდით.

რითმა მუსიკალურია, მდიდარი, ორიგინალური და ბევრგან — ახალი.

კონსტანტინე ჭიჭინაძემ ბევრი საფეხური გაიარა და ნიჭთან ერთად დაუღალავი შრომით დიდი მიღწევა მოგვცა.

ამას ადასტურებს მისი „რიონის აპოლოგია".

თემა, რომელიც პოეტს აუღია, მეტად ძნელია: რიონი, მისი ფაფარაყრილი დაქანება და მდებარეობა სათავედან მოყოლებული ზღვამდე მეტად დიდი სურათია და ძნელად დასაგეშელი. დახატული სურათი დიდებულ შთაბეჭდილებას სტოვებს და „რიონის აპოლოგიაში" პოეტი სრულებით გამარჯვებულია. მე პირადად მეუცხოვება ცოტაოდნად უცხო სიტყვათა სიჭარბე.

„ყრმაო პოეტო, ულვთო იყო შენი სიკვდილი. ვინ უწყს რამდენი საუნჯენი დავკარგეთ ჩვენა!" — ეს სიტყვები ილიასი სანდრო ცირეკიძესაც შეეფერება და ნიკოლოზ ბარათაშვილი არ მეტყვის სამდურავს ასეთი განაწილებისათვის: სანდრო ცირეკიძე უდროოდ გაგვშორდა და თან წარიტანა დიდი შესაძლებლობა, დიდი იმედები.

„პირიმზეს" წინ უძღვის ალი არსენიშვილის წერილი. არსენიშვილს აქვს საკუთარი სტილი და ხასიათი წერისა, ხშირად მისი მოზღვავებული ფიქრი და გრძნობა სიტყვებში აღარ ეტევა და მაშინ მისი აზრი ბუნდოვანია.

სანდრო ცირეკიძეს მოხდენილი ხაზებით ჰხატავს არსენიშვილი, მისი შედარებანი და პროფილი უდროოდ დაკარგული ნიჭისა საუცხოოა.

თვითონ „პირიმზე" სუსტი ნაწარმოებია. არის აქ ჩახაზვა ორი-

გინალური შემოქმედებისა, თავისებური ცდა, სიახლე ცხოვრების ზოგი კითხვების გაშუქებაში, მაგრამ საერთოდ აკლია სიმძლავრე და ის ზვიადობა, რომელზედაც ლაპარაკობს ალი არსენიშვილი.

ვალერიან გაფრინდაშვილის „ოთახი — ბალდახინი“ მეტად ორიგინალურია და აელვარებული ლამაზი და ახალი ასონანსებითა და კონსონანსებით.

ხოლო მთელ კონცეფციას ლექსისას, აზრის მთელ მიმდინარეობას არ ეგულება შაჰის სრულიად მოულოდნელი შემოჭრა:

მე დავიჩოქე წვერშეღებილ შაჰის წინაშე.

თანამედროვე პოეზიაში არის მიმდინარეობა ჩვეულებრივი ლოგიკის გადალახვისაკენ, მაგრამ პირადად მე მგონია, ასეთი მიმდინარეობა ყალბი და დღენაკლულია.

ნიკო ლორთქიფანიძის „ხელოვანთა ყავახანა“ ბანს აძლევს გრიშაშვილის „ტფილისის მიწას“.

„ტფილისის მიწა“:

არ არის ქვეყნად ტფილისის გარდა
სხვა უფრო მძაფრი და ნაზი მხარე.

„ხელოვანთა ყავახანა“:

„ტფილისი, აი სად უნდა გადადნეს და გადადუღდეს ქართული სულიც და ქართული გონებაც“.

„ხელოვანთა ყავახანა“ დაუმთავრებელია და მისი დაფასება ნაადრევია, ხოლო აქ იგივე უნდა ვთქვათ, რაც „უბედურ რუსზე“: უდავო ნიჭი მეტყველებს.

ნიკო ლორთქიფანიძემ უკვე გაავლო თავისი ხაზი ჩვენს მწერლობაში და მას ახასიათებს როგორც სიუჟეტის ორიგინალობა და თავისებური დამუშავება, ისე სტილი და საკუთარი ხასიათი წერისა. მოკლედ თქმა, მკვეთრი დახასიათება რამდენიმე მოხაზვით, გამოკვეთილი და ნათელი სიტყვა, ღრმა დაკვირვება და წმინდა ლიტერატურული ენა — აი ნიკო ლორთქიფანიძე.

მე მინდა მას გავუმეორო მისივე სიტყვები თბილისზედ: ასეთი მწერლის სულიც და გონებაც აუცილებლად უნდა გადადუღდეს ტფილისში, ამას მოითხოვს ინტერესი ჩვენი მწერლობისა, — მარტო მწერლობაც არა...

შალვა კარმელის „მკვლელობა სონეტში“ მთვარის შუქშია დაფერილი, მაგრამ ეს შუქი გაფრინდაშვილს ეკუთვნის.

ვახტანგ კოტეტიშვილის წერილში „ალექსანდრე ყაზბეგი“ დიდი ცოდნაა, დიდი შრომა, დიდი სიყვარული და დიდი მიღწევა ყაზბეგის ამოცნობაში.

ვახტანგ კოტეტიშვილი მარტო ნიჭიერი მხატვარი კი არ არის

ყაზბეგის სურათისა, მისი გატაცებული და მოსიყვარულე დამცველია. ინტერესი ყაზბეგისადმი განსაკუთრებით იზრდება ამ ბოლო ხანებში და აქ უსათუოდ არის დიდი ღვაწლი ვახტანგ კოტეტიშვილისა, რომელსაც ერთი მაგარი მოქნევა კიდევ სჭირია ყაზბეგის შუბლის სრული გადაწმენდისათვის.

უცხოეთის ლიტერატურა იწყება ჟურნალში შარლ ბოდლერით, რომლის „ჰიმნი მშვენიერებას" თარგმანი ვალერიან გაფრინდაშვილს ეკუთვნის.

ბოდლერი უდიდესი პოეტია, ქართველი მკითხველი მას ნაკლებად იცნობს. ამიტომ კარგი იყო, რომ როგორც მას, ისე ვერჰარნს, ანატოლ ფრანსს წინ უძღოდეს იმგვარივე შინაარსის წერილები, როგორც ომარ ხაიამის რუბაიებს.

ვალერიან გაფრინდაშვილი იშვიათი მთარგმნელია; მას ადვილად ეხერხება ორიგინალის ღირსების უნაკლოდ გადმოცემა და დაცვა როგორც სინამდვილისა, ისე სურნელებისა, ტონისა და სილამაზისა.

ამ შემთხვევაში „ჰიმნი მშვენიერებას" თარგმანი საუცხოო და უნაკლოა.

ემილ ვერჰარნი წარმოდგენილია „ქარის ქებით", რომლის თარგმანიც კონსტანტინე ჭიჭინაძეს ეკუთვნის.

ჭიჭინაძე სტიქიონს ეთამაშება. თუ საუცხოოა ასახვა სტიქიონისა „ბრიონის აპოლოგიაში", არა ნაკლებ ლამაზად გადმოგვცა მან ვერჰარნის ქარის სტიქია.

არც ერთ სიტყვაში არ მოსჩანს ნიშანი ნაძალადევობისა. სინამდვილით გადმოცემა, დახვეწილი, დაწმენდილი და მუსიკალური რითმა — აი ღირსება თარგმანისა.

შემდეგ ჟურნალში მისდევს პოლ კლოდელის „წმინდა საკითხავი" — თარგმანი AS-ისა. თარგმანი ჯარგია, ენა — საუცხოო, არ ვიცნობ ორიგინალს და ამიტომ არ ვიცი, არის იქ თუ არა რითმა. ხოლო ლექსის ტონს ურითმობა სრულებით არ ეგუება. იქ, სადაც არის ლოცვა, იდუმალ გრძნობებში სულის დაწმენდა და დარბილება, რითმა აუცილებელი აკომპანიმენტია, რადგანაც ის აძლიერებს, აცხოველებს შესაფერ განცდას.

ანატოლ ფრანსის „პროკურატორი ურიასტანისა" წმინდა ლიტერატურული ენით არის თარგმნილი. მოთხრობა წარმოადგენს უნაკლო პორტრეტს რომაელი წარჩინებულისას; ეს წარჩინებულია პინციუს პილატუსი ანუ პილატე. შ. შ.-ს სახით ანატოლ ფრანსს ღირსეული მთარგმნელი აღმოსჩენია.

შემდეგ იწყებიან საფრანგეთის ლიტერატურის ახალი მიმდინარეობის წარმომადგენლები: ჟიულ რომენი, გილიომ აპოლლინერი,

ჟან კოკტო, ბლეზ სანდრარ. თარგმანებს წინ უძღვის მოკლე დახასიათება ავტორებისა. ქართველი მკითხველი ნაკლებად იცნობს თანამედროვე ძიებას ევროპის ხელოვნებაში, დღემდე მას სიმბოლიზმი და ფუტურიზმი ერთიმეორისაგან ვერ გაურჩევია და ამ ძიების წარმომადგენელთა გადმოთარგმნა უფრო ვრცელი დახასიათებით ფრიად საჭიროა და სასარგებლო. თარგმანი და განმარტებანი ეკუთვნის Petronius-ს, რომელსაც საუცხოოდ შეუსრულებია დასახული მიზანი.

ბლეზ სანდრარის „კოშკი" ისე საუცხოოდ არის ნათარგმნი, რომ მკითხველს მარტო ამ ერთი ლექსით შეუძლია იქონიოს წარმოდგენა ფუტურიზმზე.

ექსპრესიონიზმი დღეს ლიტერატურული მოდაა, გერმანიიდან მოვარდნილი და საუცხოოდ ახასიათებს დღევანდელი ადამიანის სულის სიმტკიცეს, ფოლადის ნებას, სიდიადეს და გაუტეხელობას. აქ არის ფსიქოლოგია არა ლაჩრისა, მხდალისა, გატეხილისა და ძაბუნისა, ჯაბანისა, არამედ რვალივით მაგარი ადამიანისა, რომელსაც ყოველგვარ განსაცდელში თან დასდევს სიმაგრე, იმედი საკუთარი თავისა და შეუჩერებელი გაქანება, ყოველგვარ დაბრკოლებათა გადამთელავი.

მსოფლიო კლასიკოსების უქონლობა არა თუ დიდი ნაკლია, დიდი სირცხვილია, უნდა ვთქვათ აშკარად და გამოტეხილად.

ერთ ასეთ ნაწარმოებს წარმოადგენს გოეთეს „ფაუსტი", რომლის თარგმანიც უკისრია იბერიელს. დიდი შრომა, დიდი ენერგია დაუხარჯავს პატივცემულ მთარგმნელს და ღირსეულად დაუძლევია ეს მეტად ძნელი, მძიმე და რთული საქმე. თუ იბერიელმა ბოლომდე ასე მიიტანა თავისი ტვირთი და დიდი მოვალეობა, უდიდეს სამსახურს გაუწევს ქართულ კულტურას და გაამდიდრებს ჩვენს მწერლობას ერთი უდიდესი საგანძურით.

ედგარ პომ მთელი თავისი მწველი აზრები, სულის კვნესა, სევდა მარადი „ყორანში" ჩააქსოვა; აქ ყოველი სიტყვა, ყოველი სტრიქონი სისხლით არის დაწერილი. ამ სისხლში სულია პოეტისა.

„სხვისი სისხლის ამოცნობა ძნელი არის", — ამბობს ზარატუსტრა, მაგრამ პოეტმა კონსტანტინე ჭიჭინაძემ მოგვცა ისეთი საუცხოო თარგმანი, რომ მკითხველს აღარ გაუჭირდება ედგარ პოს სისხლის ამოცნობა და სულის წაკითხვა. იშვიათია ასეთი ხელოვნებით, მშვენიერებითა და ოსტატობით შესრულებული თარგმანი. კონსტანტინე ჭიჭინაძე ამ თარგმანში ბრწყინვალედ გამარჯვებულია და ზვიადად გამართული. საუცხოო მელოდიას ჰქმნიან მისი შინაგანი და გატყორცნილი რითმები.

იგავი „სიჩუმე“ დამახასიათებელია ედგარ პოს შემოქმედებისათვის და ირაკლი ტატიშვილის თარგმანი უნაკლოდ არის შესრულებული.

ომარ ხაიამის რუბაიებს წინ უძღვის რედაქტორის წერილი, რომელიც ნათელსა ჰფენს ქართველი მკითხველისათვის თითქმის სრულებით უცნობ მგოსანს საშუალო საუკუნეების სპარსეთისას. მიუხედავად ასეთი სიძველისა, რუბაიები თანამედროვეობის შთაბეჭდილებას ახდენენ. თარგმანი ეკუთვნის იუსტინე აბულაძეს და, თქმა არ უნდა, ზედმიწევნით გამოჰხატავს დედანს.

სასურველია, რომ პოეტურ თარგმანში, რომელსაც გვპირდება რედაქტორი, დაცული იყოს ხაიამის მეტრი, სტილი, რიტმი და რითმის საერთო ხასიათი.

ოვანეს თუმანიანი უყვარს ქართველ საზოგადოებას, რადგანაც ის იყო კეთილშობილი პიროვნება, უყვარდა საქართველო და თავის თავსა სთვლიდა საქართველოს ერთგულ მოქალაქედ.

მისი შესანიშნავი ლექსი „ერთი წვეთი თაფლი“ გადათარგმნილია გრიშაშვილისაგან, რომლის სახელიც თავისთავად ლაპარაკობს თარგმნის ღირსებაზე.

თურქული ხალხური პოეზიის ნიმუში მკრთალია. „რაებადინ ბეჯლადის“ პოეტურ ღირსებებზე ვერას ვიტყვი, რადგანაც პროზით არის თარგმნილი.

მთიელთა პოეზიას არ ვიცნობთ და რედაქცია ძალიან კარგს იზამს, თუ ჩვენი ახლო მეზობლების სულში ღრმად ჩაგვახედებს.

ლეკური ხალხური ლექსის თარგმანი გრიშაშვილის მიერ შესრულებულია უნაკლოდ.

კოტე მარჯანიშვილის წერილი ქართულ თეატრზე მეტად საყურადღებოა.

პატივცემულ ავტორს ვერ დავეთანხმებით ჩვენი თეატრის წარსულის დაფასებაში. რა ვუყოთ, რომ ჩვენი დრამატურგების პიესები ევროპელი მწერლებისას მიემსგავსებიან! ასეთი მსგავსება აუცილებელია. სამაგიეროდ მათ შეიტანეს ქართული სული, ქართული ტემპერამენტი, იუმორი, გადაშალეს ქართული ყოფა-ცხოვრება. აი ეს მხარე ავტორს უყურადღებოდ აქვს მიტოვებული და მთავარ ყურადღებას პიესის არქიტექტონიკას ანიჭებს, თორემ როგორ ვერ დაინახავდა, რომ ერისთავიც, ცაგარელიც სამშობლო ნიადაგზე არიან დაყრდნობილი?

ჩვენს დრამატიულ ხელოვნებას და მწერლობას განახლება ესაჭიროება; აუცილებელია ახალი ძიება, ახალი გზები, — ეს დებულებანი ავტორისა უდავოა.

ვან-დიკი იძლევა მოქანდაკე იაკობ ნიკოლაძის შემოქმედების დახასიათებას და იმის პორტრეტს.

ქართულ სინამდვილეში ნიკოლაძე დიდი ხელოვანია და ღირსეული მოქალაქე.

პროფ. დიმიტრი არაყიშვილის „ქართული ხალხური მუსიკა" არკვევს ქართული მუსიკის ბუნებას, ხასიათს, ევოლუციას, თავისებურებას და იმ თვისებებს, რომლითაც ის განირჩევა სხვა ერთა მუსიკისაგან.

არაყიშვილი დიდად მცოდნეა, განვითარებული და განათლებული მუსიკოსია და ყოველი მისი გამოკვლევა ჩვენთვის მეტად მნიშვნელოვანია.

ქართული მუსიკა უსათუოდ არის ჩვენი დიდი გამარჯვება და ჩვენი სიამაყე, რომელსაც ჩვენ თამამად მივიტანთ განათლებული ერების საერთო კულტურის სამსჯავროს წინაშე.

ფილოსოფია წარმოდგენილია პლატონით, რომლის „კრიტონშიაც" დახატულია სოკრატის ზვიადი და ბრწყინვალე პორტრეტი. „კრიტონს" აქვს უაღრესი მნიშვნელობა ყოველი დროისათვის; ასეთი ნაწარმოები მარადიულია, დაუბერებელი და მისი საუცხოო თარგმანი ეკუთვნის სიმონ ყაუხჩიშვილს.

ირაკლი ტატიშვილის „საკია-მუნი" დიდი ცოდნითა და ერუდიციით არის დაწერილი და იძლევა სწორ სახეს ამ იშვიათი ფილოსოფიისა და სარწმუნოების დამაარსებლისა და მისი მოძღვრებისას. ხოლო მარადისობის დახშული კარი საკია-მუნის არ გაუხსნია და ვერც გახსნიდა, რადგანაც საერთოდ მისი გახსნა შეუძლებელია.

მეტად საინტერესოა პროფ. გრიგოლ წერეთლის „ალკეო და საპფო". ალკეოს მკითხველი არ იცნობს, საპფოს — კი, მაგრამ ამ გენიალურ პოეტ ქალსაც ვიცნობდით უფრო სახელით, ვიდრე მისი შემოქმედებით. აღნიშნული წერილი ფარდასა ჰხდის და სრულიად ახასიათებს ამ ორ უბადლო ლირიკოსს ძველი საბერძნეთისას. ალკეოს ბედი ცოტათი წააგავს ჩვენი პოეტის ჩახრუხაძის ბედს, რადგანაც ორივე გარდაიხვეწა სამშობლოდან; მაგრამ მიზეზი ამ გარდახვეწისა სხვადასხვა იყო და სხვადასხვა იყო მათი მდგომარეობაც სამშობლოს გარეთ. წერილს დართული აქვს საუცხოო თარგმანი პოეტ ჭიჭინაძის მიერ და მკითხველი სრულად ეცნობა ამ ორ სახელოვან პოეტს ძველი კულტურისას.

აკადემიკოს ნიკო მარის წერილი წარმოადგენს ერთ უძველეს ქართულ ტექსტს და იმის განმარტებას.

ტექსტში გატარებულია მისტიური ქება და განდიდება ქართული

ენისა. ტექსტი ამტკიცებს: როდესაც ქრისტე მეორედ მოვა, უკანასკნელი განსჯა ყველასი ქართულ ენაზე შესრულდებაო.

ეს ტექსტი საინტერესოა აი რა მხრით: ცხადია, იმ ხანებში, ე. ი. შეათე საუკუნის მიწურულში, ქართველი ერი თანდათან წელში იმართებოდა, მაგრდებოდა, ძლიერდებოდა, მის წინ განვითარების დიდი პერსპექტივები იშლებოდა. სწორედ ამისი ამოძახილია ტექსტშიც.

სამეცნიერო ნაწილს ჟურნალისას ამშვენებს პავლე ინგოროყვას „ჩახრუხაის-ძე", რომელიც წარმოადგენს მაღალი ღირსების დიდ მეცნიერულ შრომას.

პატივცემული ავტორი ნამდვილი კოპერნიკია ჩვენი წარსულისა და ისეთს ბნელეთში შეიტანა სინათლე, სადაც ჩვენ იმედიც კი არა გვქონდა რისიმე დანახვისა.

ჩახრუხაისძე მეტად დიდი სახელია ჩვენს მწერლობაში და ამავე დროს არაფერი ვიცოდით ამ მგოსანზე. დღეს პავლე ინგოროყვა ნათელსა ჰფენს ამ პიროვნებას და გასაოცარი სისწორით და დაწვრილებით აგვიწერს იმის ცხოვრებასა და მოღვაწეობას. ჩვენი წარსულის შესწავლისათვის ამ გამოკვლევას მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს და მისი წაკითხვა სავალდებულოა ყოველი შეგნებული ქართველისათვის.

ის გზა და მეთოდი კვლევისა, რომელიც ასე მომარჯვებული აქვს პავლე ინგოროყვას, მეტად ნაყოფიერი გამოდგა და უკვე დიდი მიღწევა მოგვცა სულ მოკლე ხნის განმავლობაში.

საინტერესოა იაკობ ნიკოლაძის წერილი როდენზე, რომელმაც მარმარილოს სული ჩაუდგა და აამეტყველა ისე, როგორც არ აუმეტყველებია არავის თანამედროვე ხანაში.

ალექსანდრე ყაზბეგის წერილების გამოქვეყნებას მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს, რათა ბოლო მოეღოს იმ მითქმა-მოთქმას და ჭორებს, რომლებიც შავი ყორნებივით გარს ახვევია ამ დიდი ბელეტრისტის სახელს.

ჟურნალი თავდება თვიური მიმოხილვითა და ბიბლიოგრაფიული განყოფილებით. ჟურნალში იმდენი მასალაა, რომ მისი ერცელი განხილვა ერთ ჟურნალს დაიჭერდა. მასალა მეტად მიზნიანად არის შერჩეული, ფრიად საყურადღებოა, დიდი ღირსებისა და მნიშვნელობისაა და პატივცემულმა რედაქტორმა სრულიად დაიმსახურა შოთას სიტყვები:

„შაბაშ სიტყვა, შაბაშ კაცი, შაბაშ საქმე მისგან ქმნილი!"

1924

განვლილი სეზონი ქართული აკადემიური თეატრისა

განვითარების როგორ საფეხურზედაც უნდა იდგეს ერი, თეატრალობა იმის თვისებას და მოთხოვნილებას შეადგენს.

როდესაც ველურ მდგომარეობაში მყოფი ადამიანი სახეს ისახიჩრებს, ცხვირის ნესტოში ფრინველის ფრთებს იყრის, ამაში უსათუოდ არის დიდი ნაწილი თეატრალობისა.

ყოველი ადამიანი ცხოვრებაში მსახიობია:

ის ცდილობს ყველას ან ვისმე აჩვენოს, წარუდგინოს თავი ისეთად, როგორიც მას სურს იყოს.

ვინც პირველად ტანისამოსი მოიგონა, ის იყო უდიდესი მსახიობი.

ქართველ ერში განსაკუთრებული თეატრალობაა და ქართველი ადამიანი — უწინარეს ყოვლისა მსახიობია.

ჩვენს სუფრაზე, ლხინში, ჭირში, ომში თეატრალობას ძალიან დიდი ადგილი უკავია.

აიღეთ ყოველდღიური ცხოვრება ქართველი ადამიანისა, მისი მუსაიფი, მიხვრა-მოხვრა — ყველაფერში დაინახავთ ნაწილს მსახიობობისას.

ამიტომაც სასცენო ხელოვნება ჩვენში ძალიან ადრე უნდა განვითარებულიყო, მაგრამ ჩვენი ქვეყანა მზიური ქვეყანაა და მისი ბუნება — ყოველ ნაბიჯზე წარმოდგენაა თავისი საუცხოო ფერებით და გასაოცარის ნაირნაირობით.

ამიტომაც სანახაობამ, თამაშმა გადიზიდა ქართველი ერი და სხვა მრავალ მიზეზთან ერთად ალბათ ამითაც აიხსნება, რომ ნამდვილ სასცენო ხელოვნებას ჩვენში არა აქვს გრძელი ისტორია.

ჩვენში გავრცელებულია აზრი, თითქოს ქართული თეატრის საძირკველი პირველად ვორონცოვს ჩაეყაროს.

ასეთი შეხედულება გაუგებრობის ნაყოფია.

ვორონცოვმა ისარგებლა მხოლოდ იმით, რაც უკვე არსებობდა და ქართული თეატრი მან გამოიყენა პოლიტიკური მიზნისათვის.

ვორონცოვი, უწინარეს ყოვლისა, იყო რუსის მოხელე და თვითმპყრობელობის განმამტკიცებელი საქართველოში.

რუსიფიკაცია და მშვიდობიანობა — აი რა იყო მისი მიზანი.

ერთი მშვიდობიანობას ამყარებს ცეცხლით და მახვილით; მეორე უფრო შორს იყურება და იარაღად ჰხმარობს კულტურულ საშუალებას.

ქართველი თავადაზნაურობა ოცნებობდა წარსულის დაბრუნებაზე, მასში იყო მეამბოხის სული. საჭირო იყო ამ სულის გადახალისება, გადაგვარება. ამისათვის ვორონცოვს უნდა გამოეყვანა გარეთ თავადაზნაურობა, გაერთო, მიეცა მისთვის სხვა საზრდო.

ერთ-ერთ ასეთ საშუალებას ის ხედავდა თეატრში და ამიტომ ჩასჭიდა გიორგი ერისთავს ხელი.

მე ამით არ მინდა ვორონცოვის ხსოვნას საყვედური მივუზღო: ადამიანს, ვინც უნდა იყოს ის, თავისი ნაღვაწი არ უნდა დაეკარგოს და არც ჩვენა ვართ უმადურნი.

რა მიზანიც უნდა ჰქონოდა ვორონცოვს, ჩვენს სასცენო ხელოვნებას მან უსათუოდ მოუტანა სარგებლობა, ხოლო უნდა გვახსოვდეს, რომ ვორონცოვის განზრახვა სულ სხვა იყო, და არ უნდა გავიმეოროთ აკაკის შეცდომა, რომელიც ვორონცოვში ქართველი ერის დიდ მოამაგესა ჰხედავდა.

ქართული სასცენო ხელოვნება თავიდანვე დაადგა ჩვენი ყოფაცხოვრების ასახვის გზას.

მხოლოდ მარჯანიშვილის ნიჭს შეუძლია გააცოცხლოს და გააბრწყინოს გიორგი ერისთავი და ანტონოვი, თორემ დღეს ისინი აღარაფერს წარმოადგენენ.

მაგრამ ისტორიულად ორივემ ძლიერ დიდი როლი ითამაშა და დიდი სამსახური გაუწია ჩვენს სასცენო ხელოვნებას.

გიორგი ერისთავმა თავის პიესებში აშკარად დაჰგმო ძველი თავადაზნაურული ცხოვრება მისი ჩვეულებით, აზროვნებით, შეხედულებით. უპირატესობა მისცა ახალთაობას, რომელიც ევროპული კულტურის გადმონერგვას სცდილობდა და მიუთითა ქართველ საზოგადოებას ახალი, ევროპული, განათლებული ცხოვრებისაკენ.

მაშინდელი დროისათვის ეს იყო მარტო ახალი სიტყვა კი არა, არამედ გაბედული სიტყვაც.

ჩვენმა სასცენო ხელოვნებამ — როგორც მწერლობამ. ისე თეატრმა რამდენიმე ეტაპი განვლო თავისი გაძვითარებისა და ყველ-

განმაოცებს სიმტკიცე, გაუტეხლობა და საქმის სიყვარული ქართველი მსახიობისა.

ქართველ მსახიობს საერთოდ ისეთს მძიმე პირობებში უხდებოდა მუშაობა, რომ საჭირო იყო დიდი გმირობა, დიდი მსხვერპლი, რომ ეს დაბრკოლებანი გადაელახა.

ქართველმა მსახიობმა დიდი გმირობაც გამოიჩინა, დიდი მსხვერპლიც გაიღო და მით ოქროს ასოებით ჩასწერა თავისი თავი საერთოდ ხელოვნების ისტორიაში.

მე ვერ ვიტყვი, ჩვენი თეატრი წინ უსწრებდა ცხოვრებას-მეთქი. ის მისდევდა ცხოვრებას და შეძლებისდაგვარად აშუქებდა ამა თუ იმ დროულ პრობლემას, ამა თუ იმ საჭირბოროტო კითხვას.

ასე იყო რევოლუციამდე.

რევოლუციამ ერთბაშად გაავლო ღრმა ნაპრალი თეატრსა და ცხოვრებას შუა. თეატრი დარჩა ნაპრალის იქითა ნაპირზე, ცხოვრება კი გაექანა წინ ცეცხლისა და ოცნების ტალღებზე.

ამგვარივე ტალღები იყო საჭირო თეატრისათვის, მაგრამ მან ეს ვერ შესძლო, ვერ შესძლო, რადგანაც ეს მეტად ძნელი საქმეა.

თეატრისათვის საჭიროა მაყურებელი, მსახიობი და ავტორი.

ახალ ცხოვრებას უნდა ახალი მაყურებელი, ახალი მსახიობი და ახალი ავტორი. ახალი მაყურებელი მალე ჩნდება რევოლუციის ხანაში, მაგრამ ძნელია ახალი მსახიობის შექმნა; გაცილებით უფრო ძნელია, და ხშირად შეუძლებელიც, ახალი ავტორის წარმოშობა.

ამით აიხსნება, რომ ისეთი რეჟისორი, როგორიც მეიერხოლდია, იძულებულია ოსტროვსკი დადგას ხოლმე.

ასეთს პირობებში კრიზისი ჩვენი თეატრისა აუცილებელი იყო და ეს კრიზისი იმდენად მწვავე იყო, რომ ჩვენი თეატრის ბედი იმის მოყვარულს მეტად აფიქრებდა.

საჭირო იყო დიდი ნიჭის, დიდი ნებისყოფის, დიდი გამოცდილების, დიდი სკოლის ადამიანი, რომ ჩვენს თეატრს ეს კრიზისი გადაეტანა.

ასეთი პიროვნება არის კოტე მარჯანიშვილი.

ქართული აზრი კოტე მარჯანიშვილს მედგრად დაეჯახა და გამოიღო ხმა როგორც ქებისა და აღტაცებისა, აგრეთვე უარყოფისა და დაწუნებისა.

ასეთია თვისება ყოველი დიდი ნიჭისა და დიდი ნოვატორისა: მისი მოვლენა მოწინააღმდეგე აზრთა ჭიდილით ხასიათდება.

კოტე მარჯანიშვილი რომ დიდი ნიჭი და დიდი ხელოვანია,

ამას ვერავინ უარჰყოფს. ზოგი მხოლოდ უწუნებს: ეროვნული სახე დაუკარგა ქართულ თეატრსო.

რა თქმა უნდა, უცოდინარობის ნაყოფია ასეთი მსჯელობა.

კოტე მარჯანიშვილმა ისეთი მტკიცე და მაგარი საფუძველი ჩაუყარა ქართულ თეატრს, რომ იმის ეროვნულ ამაყ სახელს ვერაფერი ვეღარ წაშლის.

კოტე მარჯანიშვილმა ქართული თეატრი ევროპული თეატრის სიმაღლემდე აიყვანა; მან შექმნა ახალი მაყურებელი, ახალი მსახიობი და ახალი ავტორი.

ჩვენს რეჟისორებს ძალიან დიდი ღვაწლი მიუძღვით, მაგრამ ახალი ისტორია ჩვენი თეატრისა იწყება კოტე მარჯანიშვილიდან.

ეს განსაკუთრებით ნათელჰყო განვლილმა სათეატრო სეზონმა.

ყოველი დადგმა — „ინტერესთა თამაშს“ აიღებთ, „გმირს“, ერისთავის „გაყრას“, „ადამიანი მასსას“ თუ „მალშტრემს“ — სრული გამარჯვება იყო ქართველი მსახიობისა, ქართული ხელოვნებისა და კოტე მარჯანიშვილისა.

მე ვიცი: უცხოელები, რომლებმაც ერთი სიტყვა ქართული არ იციან, ესწრებოდნენ ქართულ წარმოდგენებს და ბოლომდე უყურებდნენ.

ომმა და დიდმა რევოლუციამ გამოიწვიეს ყველა „ღირებულებათა გადაფასება“ ყველგან. შინაგანი რევოლუცია მოხდა ყველგან, იქაც, სადაც ის პოლიტიკურად არ მომხდარა. განა საფრანგეთში საზოგადოებრივი აზროვნება, ესთეტიური შეხედულება და მოთხოვნილება იგივე და იმგვარია, რაც ომამდე იყო?

რა თქმა უნდა, არა.

ყოველ დარგში, ხელოვნებაშიც, აუცილებელი გახდა ახალი გზების გამონახვა. მაგრამ ერთბაშად არაფერი არ გამოინახება, — ამისათვის საჭიროა ხანგრძლივი შრომა და ძებნა.

აი ამ გზას ადგა მარჯანიშვილი განვლილი სეზონის მიმდინარეობაში. ეს იყო გზა ძიების. ხელოვანი ეძებდა ახალ ფორმას, ახალ სიტყვას, ახალ ავტორს.

სწერდნენ: დადგა ერისთავის „გაყრა“, ანტონოვის „მზის დაბნელება“, ძველისძველი „ცხვრის წყარო“, რა არის აქ ახალიო.

ამაზეა ნათქვამი: Смотрит в книгу и видит фигу.

ყველა ძველი პიესების წარმოდგენაში არის ახალი დადგმა. ახალი თამაში, ერთის სიტყვით ახალია ფორმა, რომელშიც ჩამოასხა მარჯანიშვილმა ძველი შინაარსი. ახალი შინაარსიცა გნებავთ?

განა თვითონ მარჯანიშვილს კი არ უნდა, მაგრამ ის დრამატურგი არ არის.

ერთ-ერთ საჯარო კრებაზე მან განაცხადა: ჩვენ ვქმნით ფორმას, შინაარსის მოცემა კი თქვენი საქმეა, მწერლებისო.

განვლილი სათეატრო სეზონი დაიწყო ერისთავის „გაყრით“.

როდესაც გამოცხადდა, სეზონი ამა და ამ პიესით გაიხსნებაო, უმრავლესობა უკმაყოფილო დარჩა.

მართლა და ჩვენს დროში განა შეიძლება „გაყრამ“ მიიზიდოს მაყურებელი?

მე თვითონ წავედი თეატრში მხოლოდ იმისათვის, რომ შემესრულებია ჩემი მოვალეობა, როგორც მოქალაქეს და როგორც შვილს ქართველი ერისას.

მაგრამ ნამდვილი სასწაული მოხდა. კოტე მარჯანიშვილმა „გაყრა“ ჩასვა ისეთს ჩარჩოებში, რომ მაყურებელი დაატკბო, მოჰხიბლა, დაათრო და დაატყვევა.

შემდეგ მოჰყვა „ინტერესთა თამაში“, „გმირი“, „ადამიანი მასსა“, „გააზნაურებული მდაბიო“, კლდიაშვილის პიესები და ბოლოს შალვა შარაშიძის მიერ სასცენოდ გადაკეთებული „სამანიშვილის დედინაცვალი“.

ყოველი პიესის დადგმა რომ ცალკე განვიხილოთ, შორს წაგვიყვანდა.

ვიტყვი მხოლოდ, რომ ყოველი დადგმა დიდი მიღწევა იყო და დიდი გამარჯვება.

თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ხელოვნების არც ერთ დარგს არ მოუცია ისეთი გამარჯვება, როგორიც მოგვცა გასული სეზონის განმავლობაში ქართულმა აკადემიურმა თეატრმა (და ქართულმა მუსიკამ — „დაისი“).

კოტე მარჯანიშვილს გასული სეზონის განმავლობაში მხარს უმშვენებდნენ ახმეტელი, ქორელი, კონ. ანდრონი[1].

მაგრამ მთავარი ხაზი კოტე მარჯანიშვილისა არის და ამიტომ მიხდება ლაპარაკი მხოლოდ მარჯანიშვილზე.

როგორც აღვნიშნე, მარჯანიშვილი ძიების ადამიანია. ის უკან კი არ იხედება, წინ მიისწრაფვის, ახალს ეძებს. ამ ძიებაში მას საკუთარი გეზი აქვს აღებული.

შეიძლება ბევრ რამეში მას არ დაეთანხმოს საზოგადოების ერთი ნაწილი, მაგრამ ცხადზედ უცხადესია შემდეგი: მარჯანიშვილის ნიჭმა და შემოქმედებამ ახალი ენერგია ჩაჰბერა ქართულ თეატრს, გადაშალა მის წინაშე ახალი პერსპექტივები და ააყვავა ჩვენს გულში იმედები.

---

[1] კონსტანტინე (კოწო) ანდრონიკაშვილი. ვ. ნ.

ძვირად ახსოვს ქართულ სცენას ის წესრიგი და დისციპლინა, რომელიც არსებობდა გასული სეზონის განმავლობაში.

მარჯანიშვილმა მოსპო მოკარნახე: ის აღარავის ესმის.

მან მოსთხოვა ქართველ მსახიობს ცოდნა, მუშაობა, შრომა, საქმის უსაზღვრო სიყვარული და გაწვრთნა-განვითარება, დახელოვნება.

და მართლაც გასული სეზონის განმავლობაში ჩვენს წინაშე იყვნენ ახალი მსახიობები: მარჯანიშვილმა შეჰქმნა სრულებით ახალი ტიპი ქართველი მსახიობისა.

დღემდის ჩვენ გვყავდა ქართული ყოფა-ცხოვრების მსახიობი და თითო-ოროლა ბუმბერაზი. აქამდე ჩვენი თეატრი იყო უფრო პიროვნული: თამაშობდა მხოლოდ ვასო ან ლადო; დანარჩენები თუ არ აფუჭებდნენ საერთო შთაბეჭდილებას, კმაყოფილი ვიყავით.

გასულმა სათეატრო სეზონმა მოგვცა თეატრი ანსამბლისა და ევროპული განვითარების მსახიობებისა და ევროპული ტემპის თამაშისა.

გასულ სეზონში ჩვენ ვიხილეთ ქართველი მსახიობი სერიოზული, მომზადებული, გაწვრთნილი, მრავალმხრივი, მხატვრულად განვითარებული.

მსახიობი მარტო ესთეტიკური გემოვნებით კი არა, ცოდნით, განვითარებით, მომზადებით, ერუდიციით უმაღლეს საფეხურზე უნდა იდგეს საზოგადოებაში.

საზოგადოებას ის კი არ უნდა ართობდეს მხოლოდ, არამედ აფიქრებდეს, აკვირვებდეს, აოცებდეს, ასწავლიდეს და თავისი თავისადმი პატივისცემას აღუძრავდეს.

განვლილმა სეზონმა დაგვანახვა, რომ ქართველმა მსახიობმა გაითვალისწინა თავისი მოვალეობა და მოწოდება და ის მიისწრაფის უკვე სერიოზული გამარჯვებისაკენ.

უწინ თუ ჩვენს სცენაზე მხოლოდ რამდენიმე მირონცხებული თამაშობდა, სხვები კი გზადაბნეულებივით დადიოდნენ სცენაზე და მოკარნახის ნათქვამს იმეორებდნენ, განვლილი სეზონის განმავლობაში მსახიობები წარმოადგენდნენ ერთ მთლიან კორპორაციას და მთლიანად ჰქმნიდნენ საერთო საქმეს.

მათი მიხვრა-მოხვრა, თავის დაჭერა, მიმიკა, დიქცია, პლასტიკა საგრძნობლად დამაჯერებელი იყო.

განვლილი სეზონის განმავლობაში დაარსდა მსახიობთა ძმობა „დურუჯი".

რაც უფრო მეტი იქნება ასეთი ძმობა ხელოვნების ყოველ დარგში, მით უფრო აყვავდება ხელოვნება.

ჩვენმა პოეზიამ იცის ასეთი ძმობა „ცისფერი ყანწები“.

ჩვენი პოეზიის ასპარეზზე ასეთი ძმობა პირველია საერთო ძალღონით, მჭიდრო შეკავშირებით, ერთმანეთის უზომო პატივისცემით, პოეზიის სიყვარულით და გატაცებით. ამ ძმობამ დიდი საქმე გააკეთა, საგრძნობლად წასწია წინ ჩვენი პოეტიკა და პოეზია და ამით სრულიად გაამართლა თავისი არსებობა და ბრძოლა.

„დურუჯის“ დაარსებამ დიდი აურზაური გამოიწვია ჩვენს საზოგადოებასა და მწერლობაში და უმრავლესობამ მერე დააფასა, რომ ასეთი ძმობა სასცენო ხელოვნებაში მეტად საჭირო და სასურველია.

„დურუჯი“ უსათუოდ გაიმარჯვებს, თუ მისი წევრები მიჰბაძავენ უფროსი ძმის — „ყანწელების“ მაგალითს და შეკრული ნებით, შეკრული ენერგიით, ერთმანეთის სრული პატივისცემითა და საქმის უზომო სიყვარულით მედგრად, გაბედულად და შეუპოვრად გაემართებიან წინ, ახალი საკურთხევლის მოსაპოვებლად.

1924

მიხეილ ჯავახიშვილი-ადამაშვილი

ქართული ანდაზა არის: წყალნი წავლენ და წამოვლენ, ქვიშანი დარჩებიანო.

ეს ანდაზა შეიძლება უცვლელად შევუფარდოთ ხელოვნებას.

სხვა და სხვა ეპოქას სხვა და სხვა ესთეტიური გემოვნება შეაქვს ხელოვნებაში და აქედან ჩნდება მიმართულება, მოდა, რომანტიზმი, რეალიზმი, სიმბოლიზმი, ფუტურიზმი და სხვა.

ყოველივე ეს წარმავალია და ჰქრება. უკვდავია მხოლოდ ჭეშმარიტი ხელოვნება, რომელიც სამუდამოდ რჩება, ვითარცა ქვიშა წარმავალი წყლისა.

ჭეშმარიტი ხელოვნება არის მხოლოდ იქ, სადაც შეერთებულია ფანტაზია, თავისებური სტილი, მანერა წერისა, სიმკვეთრე გამოსახვისა, სიცხოველე ამა თუ იმ პრობლემის გაშუქებაში და სხვა.

ყოველივე ეს ერთად აღებული წარმოადგენს იმას, რასაც ჩვენ მხატვრულ ნიჭს ვუწოდებთ.

მ. ჯავახიშვილ-ადამაშვილის პირველი ტომი დადაღულია შემოქმედის უტყუარი ნიჭით.

ბელეტრისტი გამოვიდა სამწერლო ასპარეზზე ოცი წლის წინათ. დაწვა ერთ ღამეს უბრალო ადამიანად და ადგა მეორე დღეს უკვე სახელმოხვეჭილ მწერლად: მისი შემოქმედების პირველმა ყვავილებმა საერთო ყურადღება დაიმსახურეს. მაგრამ მ. ადამაშვილი მეტეორივით მოეკლინა ჩვენი ხელოვნების ცას; ელვით გაისრიალა და მიიმალა.

მთელი თხუთმეტი წლის განმავლობაში ბელეტრისტი სდუმდა და დღეს ისევ ამეტყველდა, ისევ გააშუქა ჩვენი ხელოვნების ცა „კვაჭი კვაჭანტირაძით“ და სხვ.

კვაჭი კვაჭანტირაძე ჰღირს იმად, რომ ბელეტრისტის ხანგრძლივი დუმილი გაამართლოს და გამოისყიდოს.

ეს ტიპი საკმაო მომწიფებული იყო ჩვენს ცხოვრებაში და ეძებდა თავის მხატვარს, სანამდის არ ნახა მ. ადამაშვილში.

პირველი ტომის მოთხრობები ყველა წარსულს ეკუთვნის, გარდა „ტყის კაცისა“, და როდესაც შეადარებთ ერთმანეთს, უსათუოდ ნახავთ დიდ განსხვავებას: სტილი დაიხვეწა, მანერა წერისა უფრო გამოიკვეთა, ასახვა უფრო გაცხოველდა და გასპეტაკდა, შეიჭრა შიგ ბუნება და სხვა; სიუჟეტებში კი არის განუწყვეტელი ჯაჭვი, მსგავსება: ღრმად ჩახედვა საბრალო და უბედური ადამიანის გულში.

სიუჟეტების არჩევაში მ. ადამაშვილი თავისებურ ორიგინალურია: ის აქცევს განსაკუთრებულ ყურადღებას ცხოვრების იმ მხარეს, რაც ჩვენს მწერლობაში გაუშუქებელი იყო.

მ. ადამაშვილის ორიგინალობას ჯერ სათაური ამჟღავნებს: „ჩანჩურა“, „უპატრონო“, „კურკას ქორწილი“, „ტყის კაცი“.

ვინ არის ჩანჩურა?

საიდან არის მოსული?

არავინ იცის, მას არც სახელი აქვს, არც გვარი. ახ კი რა საშიროა, ვის რათ უნდა? ვის აინტერესებს საცოდავი, ბეჩავი, საბრალო, უბედური ადამიანი — არშინნახევარი სიგრძით და ფუთ-ნახევარი წონით!

ადამიანია ის თუ პირუტყვი? ძნელი გამოსარკვევია, რადგანაც თავისი მდგომარეობით და იმ ხალხის თვალშიაც, ვიხც მას გარს ახვევია, ის უფრო პირუტყვია.

ჰთელი მისი მე, მისი ავლადიდება, მისი გარეგნობა გამოიხატება ერთ სიტყვაში — ჩანჩურა.

უკეთესი, უფრო მკვეთრი, უფრო მოსწრებული, მოსხლეტილი დახასიათება პიროვნებისა შეუძლებელია. ერთი სიტყვა — ჩანჩურა. და თქვენ უკვე იცით, ვისთანა გაქვთ საქმე.

მოთხრობის სიუჟეტი მარტივია, უბრალო, მაგრამ ამ სიმარტივეში არის სიღრმე, უბრალოებაში — დიდი აზრი.

დამოკიდებულება ბრბოსი ჩანჩურასადმი იშვიათის მიღწევით აქვს ავტორს ასახული და იმისი ძლიერება მოსჩანს უსახო ბრბოს ფსიქოლოგიის საუცხოო და იშვიათ გაშუქებაში.

ბრბოს სწყურია სანახაობა და სანახაობით დამთვრალი ის შეუბრალებელია, სასტიკი, ულმობელი, მკაცრი, გულცივი, გულქვა.

და როდესაც გაათავებთ მოთხრობის წაკითხვას, ერთგვარი სირცხვილი შეგიპყრობთ, სირცხვილი იმის გამო, რომ ამ ბრბოსთან ერთად ატარებთ თქვენც ადამიანის სახელს.

ამავე დროს გაიმსჭვალებით ჩანჩურასადმი სიბრალულითა და

თანაგრძნობით, რადგანაც ჰხედავთ, რომ ამ უსახო პიროვნებაში მაინც ადამიანის ნასახია დამალული.

თქვენში თანდათან იზრდება ზიზღი ისეთი ცხოვრებისადმი, სადაც ერთის მხრით უსახო ჩანჩურა იტანჯება, მეორეს მხრით ბრბო ერთობა იმისი ტანჯვით, დაგებადებათ წყურვილი ახალი, განწმენდილი და ამაღლებული ცხოვრებისა.

„უპატრონო“ ჩანჩურას მიემსგავსება. აქაც საბრალო, უმნიშვნელო, უბედური ადამიანია, რომელიც გასართობი ნივთია მეორისათვის, და როდესაც მეორე იჯერებს გულს და მოიხალისებს, უპატრონოს ისე გადააგდებს, თითქოს უბრალო ნივთი იყოს და არა ადამიანი.

უპატრონოს სულისკვეთება გასაოცარის სიცხადით არის გადაშლილი და ბევრი ადგილი ერუანტელის მომგვრელია თავისი სიძლიერით.

უპატრონოც, პავლეც ბეჩავი, საბრალო ადამიანები არიან, ისინი ჩანჩურას ენათესავებიან, თუმცა უკანასკნელზე ბევრად მაღლა დგანან.

ჩვენ ვიხედებით მათს გულში, ვეცნობით მათს უბრალო, უფერულ, მარტივ ცხოვრებას, ვიმსჭვალებით მათდამი თანაგრძნობით და ამავე დროს განვიცდით ერთგვარ სირცხვილს, რომ მათი ბატონი ჩვენთან ერთად ადამიანის სახელს ატარებს.

კვლავ თანდათან გვებადება ზიზღი იმ ცხოვრებისადმი, სადაც ერთის მხრით უპატრონონი არიან, მეორის მხრით — ბატონები, და იზრდება მისწრაფება ამაღლებული და განწმენდილი ცხოვრებისაკენ, სადაც უპატრონოც, პავლეც ბედნიერები იქნებიან.

„თავდავიწყება“ წარმოადგენს საუცხოო სურათს ჭეშმარიტი სიყვარულისას.

სურათი მარტივია, უბრალო, მაგრამ მეტად ლამაზი და მოხდენილი თავისი ბუნებრივობით. წმინდა, გატაცებული, ამოხეთქილი სიყვარული დაეჯახება ცხოვრების სინამდვილეს თავისი უხეში წყობილებით, ყალბი შეხედულებით.

სიყვარული მარცხდება და უხეში სინამდვილე იმარჯვებს: სიყვარულს ურემზე დასვამს და გადააგდებს, როგორც ნაგავს.

„ეკა სამუდამოდ დამეკარგა. არც მიძებნია, ცოლ-შვილი მყავს. მაგრამ... ვინ იცის ვინ იყო ჩემი ნამდვილი საბედო?

ვინ იცის? ვინ მეტყვის? ვინ გამოიცნობს?“

აი უკანასკნელი მწარე სიტყვები შეყვარებულისა.

ჩვენ ვიცნობთ, ვიცნობთ ამ ცხოვრებას.

ეს ის ცხოვრებაა, სადაც ბრბო გულგრილად ფეხქვეშ სთელავს ჩანჩურას, ბატონი უპატრონოში უბრალო სათამაშო ნივთსა ჰხედავს, და სიყვარულს ურმით ისტუმრებენ. თქვენი გული ისევ ივსება ზიზღით ასეთი სინამდვილისადმი და მიისწრაფით განწმენდილი, ამაღლებული სინამდვილისაკენ.

ვინ არის „მეჩექმე გაბო“?

ჩანჩურას, პავლეს ახლობელი, — პატარა, უმნიშვნელო, ბეჩავი ადამიანი, რომლის მთელი მოთხოვნილება, მთელი ადამიანური ცხოვრება საროსკიპოში დროს გატარებით ამოიწურება.

და როდესაც საროსკიპოს კარი მისთვის დაიხურება, რადგანაც მან მთელი საცხოვრებელი საროსკიპოში შეჭამა და მათხოვრის მდგომარეობამდე მივიდა, ის მაინც ბინდიდან შუაღამემდე საროსკიპოსთან არის ატუზული და ფანჯრებიდან ზალაში იცქირება. „ზალაში შესვლას ნატრობს, მაგრამ შესვლას ვერ ჰბედავს, რადგან შესაფერი ტანისამოსი არა აქვს“.

შეხედეთ ამ უბედურ, უმნიშვნელო ადამიანს, — რა განსხვავება არის იმასა და ჩანჩურას შორის? არავითარი.

ჩანჩურა თითქმის პირუტყვად დაბადებულა და ცხოვრობს, როგორც პირუტყვი. მეჩექმე გაბო კი თავისი ცხოვრებით პირუტყვულ მდგომარეობამდე მისულა და ბედნიერია, სხვაგვარი ცხოვრება მას ვერ წარმოუდგენია.

მაგრამ როდესაც ჩაიხედავთ ამ დაცემული პიროვნების გულის სიღრმეში, დარწმუნდებით, რომ ისიც ადამიანია.

თქვენში ისევ იზრდება ზიზღი იმ ცხოვრებისადმი, სადაც მეჩექმე გაბო, მისი ძმობილი ჭიაყელა პირუტყვებს დამსგავსებიან და გწყურიათ განწმენდილი, ამაღლებული, ადამიანური ცხოვრება.

„კურკას ქორწილი“! თვალის მომჭრელი ფერადებია, ალაგ — სასაცილო, ალაგ — ცრემლების მომგვრელი.

იშვიათი სილამაზის თვალია, ნიჭიერი ხელოვანის მიერ ცხოვრების ბნელი კუნჭულებიდან ამოკვეთილი.

რამდენი სინამდვილე, რამდენი სიმართლე, რამდენი უბრალოება და მხატვრული ზომიერებაა!

უშნო, მახინჯი, ფეხგაჩაჩხული კურკა, რომელსაც ყველა დასცინის, აჯავრებს და ქუჩის მასხარადა ჰხდის; საცოდავი, ბეჩავი ადამიანი, რომლის მთელი აზროვნება და მისწრაფება თხილის ნაჭუჭში დაეტევა.

ეს კურკა ხომ ჩანჩურას ახლობელია, მისი სისხლი და ხორცია!

ჩანჩურას ყველა დასცინის, თავში ურტყამს, მაგრამ ის ყველას

უთმენს, ყოველივეს იტანს და ჩუმად ურიგდება თავის ხვედრს, თითქოს ყოველივე ეს ისეც უნდა იყოს.

აიღეთ უპატრონო, — ჩუმად იტანს ის ყოველგვარ დამცირებას და უსიტყვოდ ემორჩილება თავის მწარე ხვედრს.

ბატონი აუპატიურებს მას, უპატრონო ნებდება ჩუმად და ბედს არ ეწინააღმდეგება; ათხოვებენ, ჩუმად მიჰყვება; მონაა, მორჩილი თავისი ხვედრის, თითქოს აუცილებელი იყოს ყოველივე ის, რაც მას უნდა გადაჰხდეს.

იგივეა კურკაც. პატარა კაცუნაა, ბეჩავი, უნებო, ყოვლად გლახა, საცოდავი, ადამიანებში გამოსხლეტილი, მაგრამ მის გულში ბოროტება არ არის და ამით ის ბევრ ადამიანზე მაღლა სდგას.

როგორც ჩანჩურა, კურკაც ბრბოს გასართობი საგანია და ლაჩრის თვინიერებით იტანს ყოველივეს.

მაგრამ აბა შეხედეთ ამ დიდთავა და მახინჯ კურკას, როდესაც ის ახალ ტანისამოსში არის გამოწყობილი და ცოლის შერთვას განიზრახავს: როგორ მედიდურად სდგას ტროტუარზე და ამაყად მისჩერებია გამვლელ-გამომვლელს!

— ვა, ერთი ამას დახე, და! — ეკვირს ყველას.

ხოლო „კურკა გუნებაში იღიმებოდა. მაგრამ ამ სიამოვნებას არავის აჩვენებდა და ისე გულგრილად ეჭირა თავი, თითქო ასეთი ძვირფასი და ახალი ტანისამოსი იმისათვის პირველი არ ყოფილიყო“.

აი შეხვდება კურკა მაშოს. ერთი შეხედეთ, როგორ გამოიცვლება, როგორ თავაზიანია ეს ბეჩავი. ყოვლად განუვითარებელი ადამიანი, რომელიც თვიური შვიდი მანეთის გულისათვის თვრამეტი საათი დღეში ჯღანებს აკერებს.

მაშო აწვდის დასაკერებლად ჩუსტს და ეკითხება, რა ეღირებაო.

— თქვენთვის არაფერი არ ეღირება... ისე დავაკერებ... თავაზიანად უპასუხებს კურკა.

საუცხოოა ის ადგილი, სადაც შეყვარებული კურკა არა თუ თვითონ გამოიცვლება, მთელი ბუნებაც იცვლება მის თვალში: მზე უფრო ანათებს, ჰაერი უფრო გასუფთავდა, მტკვარი უფრო ადუდუნდა, ყველაფერი გამხიარულდა, არემარეც განაზდა, გაფაქიზდა.

ეს ბეჩავი ადამიანი სულ სხვა თვალით უყურებს ქვეყანას, ცხოვრებას: მღერის, სიამოვნების ცრემლებსა ჰღვრის და ლაპარაკს უმატებს.

ყოველივე ეს მეტად ბუნებრივად და ლამაზად არის შემოხაზული ავტორის კალმით.

როდესაც პირველად გაეცნობით კურკას, გეგონებათ, რომ მას

არა აქვს არავითარი შეგნება და რაიმე განცდა. ღრშა და ძლიერი მისთვის მიუწვდომელია.

მაგრამ გულის სიღრმეში ის თურმე იტანჯება.

რა არის ამ ტანჯვის მიზეზი?

შეგნება უპატრონობისა, ობლობისა.

— „მე უპატრონო კაცი ვარ. დღემდის ობოლი ვიყავი... ვინც არა მგონია, მე მიბრიყვებდა... ვინც არა მგონია, მე მცემდა, მაწვალებდა, მტანჯავდა“.

აი ნეტარების ჟამს გულის სიღრმიდან ამოხეთქილი წრფელი სიტყვები.

მაგრამ ახლა კურკა ბედნიერია.

რატომ?

იმიტომ რომ ის მარტო აღარ არის, ობოლი აღარ არის.

„— ძმებოჯან! ჩემო ძმებო... ჩემო ამხანაგებო! დღეის იქით მე უპატრონო აღარა ვარ... მე... მეც პატრონი გამიჩნდა, ჩემი მაშო აბიდას აღარავის მოაცემინებს!“ — გრძნობით წარმოსთქვამს კურკა და თავისი ბედნიერებით უნდა სხვებიც შესძრას, აატოკოს, ააღელვოს.

მისი გული სავსეა ნეტარებით და ყველასადმი სიყვარულით.

კურკას წინაშე აღიმართება საშინელი სინამდვილე: ის რწმუნდება, რომ მაშო ნამდვილად მისი კი არ არის, არამედ სხვისია, მაგრამ კურკა იმდენად უბედურია თავის ობლობასა და უპატრონობაში, რომ ყველაფერს ურიგდება, ყველაფერს იტანს, ოღონდ მაშო მასთან იყოს, ხანდახან მაინც იმის ოთახში სუნთქავდეს.

საუცხოოა სცენა, მაშო მიდის, კურკა კი ორივე ხელებით ფეხებზე შემოეხვევა და არ უშვებს.

ერთი მიბრძანეთ, რათ უნდა კურკას ქალი, რომელიც ეუბნება, არ მიყვარხარ, შენთან ცხოვრება არ შემიძლიაო?

წასვლა უნდა?

გზა მშვიდობისა!

მაგრამ კურკას არ უნდა, არ შეუძლია ძველებურად, უპატრონოდ გრძნობდეს თავს. ეს ობლობა. უპატრონობა მისთვის უკვე საშინელებაა და გამწარებული, დაჩოქილი ეხვევა მაშოს ფეხებზე და ცდილობს არ გაუშვას, ეხვეწება, შესთხოვს, ემუდარება:

„— სად მიხვალ, მაშოჯან... შენი ჭირიმე, მაშო-ჯა-აან... ნუ მანებებ თავსა-ა-ა“...

თქვენს არსებაში მარტო სიბრალული კი არ იღვიძებს ამ უბედური ადამიანისადმი, არამედ ერთგვარი თანაგრძნობა და პატივის ცემა.

და თქვენ ისევ გეზიზღებათ, შეგძულდებათ ის ცხოვრება, სა-

დაც ერთის მხრით კურკაა, მეორე მხრით — დარჩო და მაშო, და გული მიისწრაფის უკეთესი, ამაღლებული და განწმენდილი ცხოვრებისაკენ.

პირველ მოთხრობაში, მკითხველის ყურადღებას იპყრობს სხვათა შორის ბრბოს ფსიქოლოგიის სწორი დახასიათება.

ბრბოს ფსიქოლოგია რთულია და მრავალი ხვეული აქვს.

ამ ფსიქოლოგიის ერთი მხარე ჩვენ ვიხილეთ „ჩანჩურაში“.

აქ აღებულია ბრბო მაშინ, როდესაც ის ერთობა, მხიარულობს, დროს ატარებს, ერთის სიტყვით — კარგ გუნებაზეა.

„ხალხის სამართალსა“ და „ეშმაკის ქვაში“ იგივე ფსიქოლოგია არის ბრბოსი.

განსაკუთრებით მკაფიოდ და ძლიერი სიცხადით არის გაშუქებული ბრბოს ფსიქოლოგია „ეშმაკის ქვაში“, როდესაც ბრბო გაცეცხლებულია და ამის გამო სასტიკი, ულმობელი.

თუ რამდენად გადამდებია ბრბოს განწყობილება, ეს საუცხოოდ არის გაშუქებული ამ მოთხრობაში.

ადამიანი განკერძოებულად, თავისთავად, და იგივე ადამიანი ბრბოში სხვადასხვა არის. — სხვადასხვაა ამიტომ მისი განწყობილება და მოქმედებაც.

ეს არის მთავარი დებულება.

ახალგაზრდა სოფიო სოფლის თვალია. ის ექიმიც არის. მოსამართლეც. ჭირისუფალიც, დამრიგებელიც, მანუგეშებელიც.

„— წავალ ჩვენ ანგელოზთან, ისევ ის თუ მიშველის. თორემ სხვა არავინ“.

„— ჩვენი ანგელოზი ცოცხალი იყოს, თორემ სხვა არაფერი გვიშავს-რა“.

„— ღმერთმა დიდხანს გვიცოცხლოს ჩვენი ანგელოზი, ის რომ არ ყოფილიყო, ვინ იცის, რა დღე დაგვადგებოდა“.

აი სოფლის აზრი სოფიოს ხასიათსა, მოქმედებასა და ყოფაქცევაზე.

კაცის მკვლელები დაიჭირეს სოფელში.

ხალხი ასამართლებს მათ. ხალხი თუ სასტიკია, შეუბრალებელი, ზოგჯერ ის მეტად ლმობიერია და გულკეთილი.

და თანდათანობით შეცვლა ლმობიერებისა სისასტიკით ავტორს ბუნებრივად აქვს აღბეჭდილი, ხოლო სურათი ხალხის გულში შურისძიების გრძნობის მოზღვავებისა და აფეთქებისა იშვიათი ძლიერებით არის აწერილი.

ხალხი გადაუწყვეტს ჩაქვავებას ერთ დამნაშავეს, და აი აქ ვხე-

დავთ საუცხოო მაგალითს, თუ როგორ იმორჩილებს ბრბოს ფსიქოლოგია კერძო პიროვნებას და როგორ ითქვიფება ხალხის აღშფოთებულ გრძნობათა ტალღებში კერძო ნება, ადამიანური გრძნობა, პიროვნება და გონება.

სოფიო — ეს სოფლის ანგელოზი — მოიჩქარის იმისათვის, რომ ჩასაქვავებელი როგორმე იხსნას. და ხალხის აღშფოთება, გაბრაზება და გამხეცება იმდენად გადაედება მას, რომ ქვას დაავლებს ხელს და თვითონაც მონაწილეობას იღებს ავაზაკის ჩაქოლვაში.

უკანასკნელი მოთხრობა „ტყის კაცი“ თავისი სიუჟეტით განირჩევა დანარჩენი მოთხრობებისაგან. აქ მოთხრობილია ერთი ოჯახის თავგადასავალი და ავტორი იძლევა მეტად ლამაზ სურათს ტყისას სხვადასხვა დროს: ტყე ზაფხულში, შემოდგომაზე, ზამთარში და გაზაფხულზე. თქვენ ჰხედავთ ტყის ფერებს, გესმით ტყის მუსიკა, ჰყნოსავთ ტყის სურნელებას და ტკბებით საერთოდ ტყის დიადი ბუნებით.

ავტორის დამახასიათებელი თვისებაა ბუნებრივობა და მხატვრული თავდაჭერილობა, ზომიერება.

გადაჭარბებული, გადამეტებული, გადახრილი — რაიმე მოსაზრებით ან მიზნით — ავტორს არა აქვს არც ერთი სიტყვა.

ის მძლავრია პატარა, უბრალო, უმნიშვნელო და საშუალო პირთა ფსიქოლოგიური ანალიზისა და ბრბოს დახასიათებაში.

სინამდვილე და მიუდგომლობა, — აი ხასიათი მისი წერისა.

თავისი სიდინჯით, მიუკერძოებლობით და სრული ობიექტივობით ავტორი ეკუთვნის ფლობერის სკოლას.

თქვენს წინაშე არის ცხოვრების სურათები, სინამდვილე, სიმართლე, ხოლო ვერც ერთ სიტყვაში, ვერც ერთ სტრიქონში თვითონ ავტორს ვერ დაინახავთ.

ასეთი სიმშვიდე და სიდინჯე მეტ შნოს აძლევს მის ნაწარმოებს.

ავტორის თვისებაა მოკლედ თქმა და ამავე დროს სრულად ამოწურვა სიუჟეტისა.

მის კალამს უხდება იუმორი, რაც მეტ სიხალისეს და მიმზიდველობას აძლევს ყოველ მოთხრობას.

ავტორი განზე დგას და ისეთივე მიუდგომელი მაყურებელია, როგორც თვით მკითხველი, — არც ერთი ყალბი სიტყვა.

ამავე დროს დიდ სამხატვრო ღირსებაში ჩაქსოვილია დიდი ზნეობრივი მნიშვნელობა მ. ადამაშვილის შემოქმედებისა.

1924

ნიკო გოცირიძე

(მისი იუბილეს გამო)

კარგა ხანია მას აქეთ.

აზიანის კომედიას თამაშობდნენ. ჩვენი დიდი ვასო იღებდა მონაწილეობას. პირველ მოქმედებაში ვასო თავის ხასიათსა და ხალისზე არ იყო, — ეტყობოდა უღონოდ უნდა ყოფილიყო.

მეორე მოქმედება გათავდა, მაგრამ ვერ იქნა და ვეღარ ვეღირსეთ ფარდის ახდას: მეტად გრძელი ანტრაქტი იყო.

როგორც იქნა დაიწყეს მესამე მოქმედება და ვასო ვეღარ ვიცანით: თუ პირველ მოქმედებაში მას უღონობა ემჩნეოდა და ჩვეულებრივი სისპეტაკე, სიმახვილე და სიცოცხლე აკლდა, ახლა ჩვენ წინ იდგა ჩვენი ნამდვილი ვასო და თავისი მოელვარე ნიჭით გაგვიტაცა, დაგვავიწყებია საკუთარი ჭირვარამი, ყოველდღიურობა და დაუსრულებელი მხიარულებისა და სიხალისის ქსელში გაგვახვია.

გათავდა მეორე მოქმედება. ანტრაქტია. ხალხი ბუზივით ირევა.

— გეფიცები, ვასო არ არის, გოცირიძე ყოფილა!

— ერთი შენც, რას მელაპარაკები? აბაშიძეს ვეღარ ვიცნობ?

— პირველ მოქმედებაში ვასო იყო. მეორეში კი გოცირიძე, რადგანაც ვასო თურმე ავად გახდა.

— კარგი ერთი, არავინ გაგიგონოს!

არის ასეთი კამათი ერთ ალაგას.

— კაცო, გოცირიძე ყოფილა, ჩვენ კი აბაშიძე არ გვეგონა?!

— რის გოცირიძე, რას ლაპარაკობ? ვასოს ვეღარ ვიცნობ განა?

— მეც კი ეგრე მეგონა. მაგრამ ვასო ავად გამხდარა და გოცირიძე გამოუყვანიათ.

— ვასო იყო, ნამდვილი ვასო, აბა რაებს ლაპარაკობთ?

— აგერა სოსო, კულისებში იყო და იმას ყველაფერი ეცოდინება.

სოსოს გარშემო ხალხი შეჯგუფდა.

— გაგვაგებინე, სოსო, რაშია საქმე?

— მართლა გოცირიძე იყო, თუ ვასო?

— ვასო მართლა ავად გახდა?

— რა ნიძლევი, რო ვასო იყო?

— რა ნიძლევი, რო გოცირიძე იყო?

ცხარობდნენ ახალგაზრდები.

— პირველ მოქმედებაში ვერ ატყობდით განა, რომ ვასო ავად იყო? — დაიწყო სოსომ: — ანტრაქტი იმიტომ გააგრძელეს იმდენად, რომ ვასო ავად შეიქნა, წარმოდგენა უნდა გადადებულიყო: მაგრამ როგორც იქნა, გოცირიძე გამონახეს, ჩააცვეს, გაუკეთეს გრიმი, გამოუშვეს და როგორი ბიჭი? ბევრმა ახლაც არ იცის, თუ მეორე მოქმედებაშიაც ვასო არ თამაშობდა.

— მერე არც მომზადება უნდოდა, არც რეპეტიცია?

— ეგ როლი რამდენჯერმე უთამაშნია სახალხო სახლში.

და ყოველივე ეს მართლა მოხდა, სინამდვილეა და არა ზღაპარი.

დიდი ნიჭია საჭირო, რომ ერთმა მსახიობმა ასე სრულად მოაჩვენოს მაყურებელს მეორე მსახიობი და მერე ვინ? — ვასო აბაშიძე!

ამ დიდი ნიჭის პატრონია ნიკო გოცირიძე.

ვასო აბაშიძეს ჯერჯერობით მემკვიდრე არ გამოსჩენია. და თუ ვინმეს შეუძლია ამ მემკვიდრეობაზე თავისი უფლების წამოყენება, — ისევ ნიკო გოცირიძეს.

ნიკო გოცირიძე მშრომელი ხალხის წრიდან არის გამოსული და მშრომელ ხალხთან არასოდეს შეუწყვეტია კავშირი. მას ღრმად აქვს გასული, გადგმული ფესვები მშრომელი ხალხის გულში და იქიდანა ჰკრებს ძალასა და ცეცხლს თავისი შემოქმედებისათვის.

ნიკო გოცირიძე მშრომელი ხალხის სცენის სახალხო თეატრის ერთი უდიდესი მნათობია და მთელი თავისი ნიჭი, ცეცხლი გათვითცნობიერების, აღდგენის, განთავისუფლებისა და ამაღლებისათვის შეუწირავს.

ნიკო გოცირიძე ძველი თბილისის მომხიბლავი ზღაპარია, — არასოდეს არ მოგწყინდება. ძველი თბილისის მოქალაქემ ნიკო გოცირიძეში ჰპოვა თავისი იშვიათი მხატვარი.

ჩვენ ყველას გვეგონა, რომ ნიკო გოცირიძის ნიჭი თბილისით ამოიწურებოდა, თბილისს ვერ გასცდებოდა, საქართველოს გარეთ ვეღარ გასწვდებოდა.

იმისი ნიჭი, იმისი ინტელიგენტობა, ბუნებრივი დაკვირვება, გამჭრიახობა, გონებამახვილობა და გაქანება გაცილებით დიდი გამოდგა, აკადემიურ თეატრში ნიკო გოცირიძე საგრძნობლად გაიზარდა, და-

იხვეწა და „ინტერესთა თამაშში,“ „გმირში“, „გააზნაურებულ მდაბიოში“ მან მოგვცა სრულებით ახალი მხარე და თვისებანი თავისი ნიჭისა; მსახიობის წინაშე გადაიშალა ახალი შესაძლებლობა და მან უკვე მოგვცა ბრწყინვალე მიღწევა.

თბილისის მოქალაქე აკოფიდან გააზნაურებულ მდაბიომდე მეტად დიდი მანძილია და ეს მანძილი ჯადოსნური სისწრაფით, სიმარდით და სიმკვირცხლით გადალახა ნიკო გოცირიძემ.

ნიკო გოცირიძეში ქართველი ერის ნიჭი და სიხარული სჩქეფს. მისი ლაღობა და შეუჩერებელი მისწრაფება წინ და სულ წინ.

ნიკო გოცირიძეში ქართველი ერის მტკიცე ნებაა, მისი გაუტეხელი და მაგარი კუნთები.

ნიკო გოცირიძე ახალი საქართველოა, საქართველო — მშრომელი ხალხისა.

ნიკო გოცირიძეში ქართველი ერის იუმორია, გულგაშლილი. გულმხიარული, სიკეთით სავსე და ბოროტების, ღვარძლისა და გესლისაგან გაწმენდილი.

ნიკო გოცირიძე მშვენებაა ჩვენი სცენისა, მისი კეთილშობილი რაინდი.

1924

სახალხო სცენის გოლიათი

როდესაც ვუყურებ ნიკო გოცირიძეს, მაგონდება გრიშაშვილის სიტყვები ტრიოლეტებიდან:

> ამ ქუჩაბანდში მე მინახავს ძველი ჰამქარი,
> ხელში დროშებით გადაჭდობილ-გადანამწკრიეი.
> უსტაბაშს ჰშვენის მოფარფარე მზის ყალამქარი.

სად — ლექსი და სად — ცოცხალი ადამიანი! სად — ნიკო გოცირიძე და სად — გრიშაშვილის „ტრიოლეტები“!

მაგრამ როდესაც ჩაუკვირდებით, დარწმუნდებით, რომ აქ დიდა მსგავსებაა, ერთი და იგივე სურათი, ერთი და იგივე სახე სხვადასხვა ხელოვნებაში.

გრიშაშვილის „ტრიოლეტებში“ ძველი თბილისია მოხაზული წარმტაცი, გასაოცარი სისწორით.

ნიკო გოცირიძეში განა იგივე ძველი თბილისი არ არის გასაოცარის სისწორით გამოსახული? იგივე უსტაბაში მოფარფარე მზის ყალამქარით?

როდესაც ჰკითხულობთ გრიშაშვილის „ტრიოლეტებს“, თვალთა წინაშე აღიმართება ძველი თბილისი დაბალი სახლებით, ბანებით, ძველი მოქალაქე, ყარაჩოღელი.

ნიკო გოცირიძეში სწორედ ეს ძველი თბილისი გვხიბლავს, ძველი მოქალაქე გვართობს და ყარაჩოღელი გვამხიარულებს.

თუ გრიშაშვილი სიტყვითა ჰხატავს ძველ თბილისს, ნიკო გოცირიძე აღადგენს ძველ თბილისს მიმიკით, მიხვრა-მოხვრით, გარეგნობით, ლაპარაკით, კილოთი.

ნიკო გოცირიძის თამაშში ძველი თბილისის მარტო გარეგნული ასახვა კი არ არის, მისი შინაგანი არსებაა, მისი სული, ძველი თბილისის მოქალაქის სული თავისი ყოველდღიურობით, ჭირვარამით, სიმარტივითა და სივიწროით.

ძველი თბილისის გრძნეული მოქანდაკე ვასო აბაშიძეა; რომელმაც შეუდარებელი, გაუმეორებელი სიცხადითა და სიცხოველით მოგვცა ყოველი ხაზი, ყოველი ნაკვთი თბილისის მოქალაქისა, ქართლის სიგანე, იმერეთის ფერადები და კახეთის სიდიადე.

ქართლის სიბრძნე, იმერეთის იუმორი და კახეთის სილაღე, — აი ვასო აბაშიძე.

როდესაც თქვენ შეუძღვებით ჩვენი სასცენო ხელოვნების გალერეაში ძველი თბილისის მოქალაქეს, ის რა თქმა უნდა უმალ ვასოს მოეხვევა, გადაჰკოცნის და ღიმილით შესძახებს: — ვასოჯან, ეს შენა ხარ, თუ მე ვარო.

შემდეგ უსათუოდ ნიკოს მოჰხვევს ხელს.

და მართლაც ნიკო გოცირიძე განა ორეული არ არის თბილისის მოქალაქისა?

ამ დარგში ვასო აბაშიძე უბადლოა.

ხოლო თუ ვისმე ძალუძს იყოს მისი ბადალი თბილისის მოქალაქის ასახვაში, — ისევ ნიკო გოცირიძეს.

ნიკო გოცირიძეს ვერავინ ვერაფერს დაამადლის, — ეს მშრომელი ხალხის კალოდან არის მოვარდნილი და საკუთარი ნიჭით, შრომით, სიყვარულითა და უნარიანობით შეუქმნია ყველაფერი.

მოთმინება, შრომა, სიხალისე, გაუტეხელობა, სიდინჯე და გულმხიარულობა, — აი რა აქვს მას მემკვიდრეობით წამოღებული მშრომელი ხალხის სალაროდან.

ვის შეუძლია გვადინოს მხიარულებისა და უდარდელი სიცილის ცრემლები?

ნიკო გოცირიძეს.

ვინ გვაძლევს სრულ ესთეტიურ სიამოვნებას თავისი დაკვირვებული, წინდახედული და გაზომილი თამაშით?

ნიკო გოცირიძე.

იმიტომ რომ მას აქვს თანდაყოლილი ნიჭი, ესთეტიური ზომიერება და ბუნებრივი ინტელიგენტობა, რომლითაც ის ერევა ამ ბოლო დროს ფრიად მძიმე და პასუხსაგებ როლებს.

ნიკო გოცირიძე სახალხო სცენის ტარიელია.

მშრომელი ხალხის შვილმა მშრომელი ხალხის სახლში დაანთო ლამპარი და მთელის თავისი სიყვარულითა და გატაცებით იზიდავდა მას უკეთესი მომავლისაკენ, განათლებისაკენ, განახლებისაკენ, აღდგენისა და თავისუფლებისაკენ.

და როდესაც დღიური შრომისაგან მოქანცული მუშა მიდიოდა

სახალხო სახლში, ნიკო გოცირიძე აძლევდა მას სიმხნევეს, სიხალისეს. სიმტკიცეს და იმედს.

გადახალისებული და გულგამხიარულებული მუშა უკან ბრუნდებოდა მარტო ახალი შრომისათვის კი არა, ახალი ბრძოლისათვისაც.

თუ ამ ბრძოლამ თვითმპყრობელობის ტახტი გაანადგურა, აქ უთუოდ ურევია ნიკო გოცირიძის გამამხნევებელი, იმედიანი და ძალღონის მომგვრელი კიჟინა.

ყოველი ნიჭის გაქანებას აქვს თავისი საზღვარი.

გვეგონა, რომ ნიკო გოცირიძე უკვე მისული იყო უკანასკნელ საზღვართან.

მაგრამ იმისმა გამოსვლამ რუსთაველის თეატრში ნათელჰყო, რომ მოლიერიც გულდამშვიდებით ჩააბარებს მას თავის გმირებს.

ნიკო გოცირიძემ აქ გაიძრო ქართული ყოფა-ცხოვრების ყურთმაჯებიანი კაბა და მოგვევლინა ისეთს ტანსაცმელში, რომლის ტარებასაც ნიჭიც უნდა, შნოც, ინტელიგენტობაც.

აქამდე ნიკო გოცირიძე იყო ნიჭიერი ამსახველი ქართული ყოფა-ცხოვრებისა.

დღეს ის დიდი მსახიობია. რომელსაც შესწევს ძალღონე ღრმად ჩაიხედოს ევროპის ცხოვრებაში და ხელოვნებით, მხატვრულის ზომიერებითა და სისწორით გამოსახოს მისი გმირები.

აქამდე ნიკო გოცირიძე იყო საყვარელი სტუმარი ქართულ სუფრაზე.

დღეს კი მას ევროპულ სუფრაზედაც ამაყად, ღირსეულად და მოხდენილად უჭირავს თავი.

ნიკო გოცირიძეში ძლიერია ტრადიცია ქართული თეატრისა, რომელიც ქართველი ადამიანისათვის წმინდა ადგილია.

და ამის გამო ის ღირსეული მსახიობიც არის, ღირსეული ადამიანიც.

სიყვარული და პატივისცემა ქართველი საზოგადოებისა მან სრულიად დაიმსახურა.

1924

გრიშაშვილის პროფილი

ტანმორჩილი და მკვიდრად შეკრული, სანდომიანი და მარილიანი.

მშვიდი და წყნარი, თავმდაბალი და უწყინარი.

თავდაჭერილი და თავაზიანი, დარბაისელი და ზრდილი. ენატკბილი და ენაგესლიანი.

მიხვრა-მოხვრაში უბრალო და წყნარად მოსიარულე, მუდამ თავის შიგნით მზირალი.

პირველი შეხედვით თითქოს ცივი, ანგარიშიანი. მაგრამ მუდამ შინაგანი ცეცხლით აგიზგიზებული და წმინდა სიგიჟემდე გატაცებული.

ტკბილად მოსაუბრე და ცეცხლის მფრქვეველი, ნაზი და ტლანქი.

ევროპელი და აზიელი. მუდამ კი თბილისზე შეყვარებული.

ქართული სიტყვის მხატვარი და ხუროთმოძღვარი, — აი გრიშაშვილი.

ქართულ სიტყვაში მან აღმოაჩინა ახალ-ახალი სილამაზე. გამოჰკვერა, გამოჰკვეთა და მორთო ფერად სამკაულებში.

გრიშაშვილის სიტყვა ხან სევდიანია, ხან მხიარული. ხან გულჩათხრობილი, ხან უდარდელი, ხან ტკბილი. ხან შხამიახი, ხან თვინიერი, ზოგჯერ კი გიჟი. მუდამ კი სიყვარულის ცეცხლით აგუგუნებული და სისპეტაკით თვალის მომჭრელი.

სიყვარულს სამშობლო არ გააჩნია; ის ყველგან არის, ყველასთან, — საკაცობრიო გრძნობაა.

სიყვარულის ტახტზედ დადაფნილი გრიშაშვილი კი უაღრესად ეროვნული მგოსანია:

იმის ყოველ სტრიქონში, ყოველ სიტყვაში ქართული სურნელებაა, გრიშაშვილი ქართული სიყვარულის ტარიელია.

გრიშაშვილს უყვარს ასეთი დისონანსები: უნაზეს გრძნობათა გვერდით ბებუთი და სისხლი.

იმიტომ რომ ამგვარია თვითონ თბილისი: ინით შეღებილი თითები და მანიკიური, პარიზის მოდა და ჩადრი, ოპერა და შახსეი-ვახსეი.

გრიშაშვილი ხომ თბილისის პირწავარდნილი შვილია:

> მიყვარს ტფილისი! ირაკლივით მუდამ მშფოთვარი!
> და მსურს, აქ მოვკვდე, რომ მისი მზე სწვავდეს ჩემს კუბოს!

გრიშაშვილმა იცის ევროპის ფასი, მაგრამ თავის თბილისს ის არავის დაანებებს. ევროპა მასში თბილისს ვერ ჰკლავს; თბილისიც არ ავიწყებს მას ევროპას.

ევროპა თბილისში — აი მისი სურვილი:

> მსურს ევროპა გარდაექმნა მე ტფილისის უბნებად.

ზოგჯერ გრიშაშვილი გაუგებარია: მისი ლექსის ევროპული სურნელება მიგიზიდავთ და უცებ თავს წაადგებით აზიელს ბებუთით ხელში. იმიტომ, რომ გრიშაშვილში გაორებულია პიროვნება:

> ჩემში ორი გრძნობაა, ორი ენამკვევრობა, —
> სინაზე და სიტლანქე, ტფილისი და ევროპა.

გრიშაშვილი ძველი თბილისის რომანტიკოსია, ერეკლეს თბილისისა.

შეითანბაზარი, ნარიყალა, შუშაბანდები, ვიწრო ქუჩები. ყარაჩოღელები, კინტო — აჩრდილებივით ამოდიან გრიშაშვილის სტრიქონებში; ძველი ჰამქარი გამოჩნდება ქუჩაბანდში და წინ მიუძღვის უსტაბაში მოფარფატე მზის ყალამქარით. ისმის ზურნა; დილა აარი.

გრიშაშვილს „არ ასვენებს საქართველოს დარდი და ბოღმა“ (ტ. II, გვ. 103) და ფიქრი წამოშლის ხოლმე იმის ოცნებაში წარსულის სურათებს.

მაგრამ მარტო ამის გამო არ უყვარს გრიშაშვილს ძველი თბილისი; იმის ბუნებაში არის ყარაჩოღული თავისებურება, დარდიმანდობა, ლამაზი სიტლანქე. აზიელია გრიშაშვილი გრძნობით, ბუნებით, მაგრამ მისი გონება ევროპისაკენ იხედება:

> მიყვარს ლექსის სიცხარე — თემა აღმოსავლური —
> მაგრამ მუდამ მაღელვებს მე ევროპა სწავლული.

გრიშაშვილი რითმის თავადია. მას ერთობ ეადვილება რითმებთან თამაშიც, მათი ხმალში გამოწვევაც და ყოველთვის გამარჯვებული რჩება.

რითმების წალკოტში არა ერთი და ორი საუცხოო ყვავილი დაურგავს და კიდევ ბევრს დარგავს.

რითმათა თავისებურსა და თავისუფალ ფერხულში გრიშაშვილი იშვიათია. მისი რითმა ხან ქალივით ნაზია, ხან ვაჟივით ძარღვმაგარი, ხან მშვიდი და ხალისიანი, ხან კი მქუხარე და ცეცხლის მფრქვეველი, მაგრამ მუდამ ელვის სხივებში დაფერილი და ქალწულის რძით ტანაყრილი.

გრიშაშვილი შეუდარებელი რაინდია სიყვარულისა:

ერთი უჩნდეს სამიჯნურო,
ერთსა ვისმე აშიკობდეს,
ყოვლსა მისთვის ჰხელოვნებდეს,
მას აქებდეს, მას ამკობდეს,
მისგან კიდე ნურა უნდა,
მისთვის ენამესიკობდეს.

გრიშაშვილის სტიქიონი — სიყვარულის ზღვა ხან დაწყნარებულია, ხან მღელვარე და აზვირთებული, მაგრამ ერთფეროვანი არ არის, რადგანაც მისი სიყვარულის ზღვა უძიროა და მისი ფერადები უთვალავი.

სიყვარულის ზღვამ გრიშაშვილში ჰპოვა თავისი ღირსეული მხატვარი, რომლის ყოველი ნახაზი ჩვენი გულის უნაზეს სიმებს ტკბილად არხევს და ათრთოლებს.

მე ტფილისმა შემამკო, მე ტფილისმა შემზარდა, —

გრიშაშვილი უთბილისოდ შეუძლებელია, ისე როგორც თბილისი წარმოუდგენელია ამას იქით უგრიშაშვილოდ.

გრიშაშვილი ფაფარაყრილი გატაცების, ყოვლად კეთილშობილი ახალგაზრდობის მგოსანია, გარედან მშვიდი, შიგნით კი მუდამ მოუსვენარი, გარედან წყნარი, შიგნით კი მუდამ მღელვარე.

სადაც ახალგაზრდობაა თავისი ცეცხლით, გატაცებით, სიყვარულით, სიგიჟით და წმინდა სევდით, იქ გრიშაშვილი მუდამ იქნება სანატრელი თამადა.

გრიშაშვილის პოეზია ხან შუადღის ვნებიანი სიცხეა, ხან მთვარიანი ღამის ოცნება, მუდამ კი თავისებურია, გრიშაშვილური.

1924

ორი იანვარი და ჩვენი თეატრი

რა დანიშნულება აქვს თეატრს?

არის ზოგჯერ ასეთი კითხვა კამათის დროს, გაზეთში, ჟურნალში.

ასეთი კითხვა თავისთავად შეცდომაა.

თეატრისათვის არ არსებობს ერთხელ და სამუდამოდ ჩამოყალიბებული მიზანი და დანიშნულება.

რატომ?

პირველი იმიტომ, რომ მარადიული ამ ქვეყანაზე არაფერია.

მეორე იმიტომ, რომ თეატრი არის ცოცხალი ნაწილი ცხოვრებისა და თუ ცხოვრებას უკან ჩამორჩა, უსათუოდ მოკვდება.

ცხოვრება მუდამ მოძრავია. ის წინ მიდის ზოგჯერ ნელის ნაბიჯით, ზოგჯერ გაჩქარებით. ზოგჯერ მიექანება, მიჰქრის.

მას თან მისდევს ადამიანის ფიქრი და გრძნობა. იცვლება ცხოვრება — იცვლება ადამიანიც. — ეს დღეს საანბანო ჭეშმარიტებაა.

ამიტომ ის, რაც შეეფერებოდა ძველ ელინს ან რომაელს, დღევანდელ ევროპელს აღარ დააკმაყოფილებს.

სხვადასხვა დროს სხვადასხვა არის ადამიანის შეხედულება, გემოვნება, — სხვადასხვა არის და უნდა იყოს ამიტომ თეატრიც.

ის ზოგჯერ სკოლაა, ზოგჯერ ტრიბუნა, ზოგჯერ დამრიგებელი, აღმზრდელი, ზოგჯერ მებრძოლი; ზოგჯერ კი მშვენიერი სანახაობა, ესთეტიური გასართობი.

როდესაც საზოგადოება დაყოფილია სხვადასხვა კლასებად, თეატრმა რომ ერთი სახე ატაროს, შეუძლებელია.

კლასობრივი დაყოფა, შეგნება, გემოვნება, იდეალი თეატრსაც ანაწილებს.

თეატრი ჩაისახა ჩვენში მაშინ, როდესაც ქართველი ერი დაუძლურებული იყო ეკონომიურად, სოციალურად და პოლიტიკურად ხომ — მკვდარი.

აუცილებელი იყო ერის აღდგენა, გამოცოცხლება.

ეს როლი იკისრა ჩვენმა ნორჩმა თეატრმა.

რა იყო მიზეზი ერის დაქვეითებისა, დასნეულებისა?

მიზეზი გარეშე, მიზეზი შინაგანი.

თავდაპირველად აუცილებელი იყო შინაგანი მიზეზის მოშორება, შინაგანი გაჯანსაღება ქართველი ერისა.

ამისათვის კი საჭირო იყო გაშუქება, გამომზეურება ყველა იმ ნაკლისა, რაც ერის სხეულს სწამლავდა.

ჩვენმა თეატრმა ეს საქმე იკისრა.

ქართველ ადამიანს ერთი დიდი ღირსება აქვს: მას შეუძლია საკუთარ თავს განზე გაუდგეს, შორიდან შემოჰხედოს და მისი ნაკლი დამცინავი სიცილის ანკესზე წამოაგოს.

ეს ღირსება თან დაჰყვა ჩვენს თეატრს: იმან საჯაროდ სცენაზე გამოიტანა ჩვენი ეროვნული ნაკლი და დამცინავი სიცილი დააყარა მას.

მას აქეთ მოვდივართ და დავცინით ჩვენს საკუთარ თავს, დავცინით და ვიცინით.

დავცინით ერთადერთი მიზნით — რომ გავსწორდეთ, ავმაღლდეთ.

სიცილი კი თავდებია ამაღლებისა.

ამ სიცილში ზოგჯერ ცრემლებია, მწარე სევდა. ზოგჯერ — მადიანი ხითხითი, უდარდელობა. ხოლო ის ყოველთვის კეთილშობილია, იმედიანი.

ორ იანვარს დღესასწაულია ქართული თეატრის, ამ საუკეთესო ტაძრის ჩვენი ერის გაწმენდისა და ამაღლებისათვის.

ორ იანვარს ჩვენ უნდა გავიხედოთ უკან და მადლიერებით მოვიგონოთ ყველა ის ხუროთმოძღვარი, რომელთაც ააგეს ეს ტაძარი. — ყველა ის ქურუმნი. რომელნიც ამ ტაძარში „აღავლენდნენ ლოცვასა წმინდას“ ჩვენი ერის საკეთილდღეოდ.

შეგნებული ერისათვის წარსული. აწმყო და მომავალი ერთი მთლიანი და განუყოფელი მოვლენაა.

ჩვენ ისე უნდა ვცხოვრობდეთ წარსულში, როგორც აწმყოში და წარსულიც ჩვენს მეხსიერებაში უნდა სცოცხლობდეს.

ამაშია სიყვარული და პატივისცემა ერის წარსულისა.

ვისაც ეს არ გააჩნია, მას მომავალიც არა აქვს.

როდესაც ჩვენ აღვადგენთ მეხსიერებაში ჩვენი თეატრის წარსულს, ჩვენს წინაშე აღიმართებიან ერისთავი და ანტონოვი. უფრო ახლოს კი ცაგარელი.

ეს სამი პიროვნება — ჩვენთვის საკმაოდ დიდი — ბურჯია ჩვენი თეატრისა.

მათ დაანახვეს ქართველ საზოგადოებას მისი სახე — სახე მრუდე, ზღმურდლიანი; საზოგადოებამ დაინახა საკუთარი თავი, წასკდა სიცილი; ეს სიცილი იყო თავდები მისი გამოსწორებისა და ამაღლებისა.

ძირს ძველი დრომოჭმული ცხოვრება, წინ— განახლებისაკენ!— აი რა გაისმოდა ამ სამების საყვირიდან.

ნაკლი ჩვენი საზოგადოებისა, შეუგნებლობა, წოდებრივი ყოყოჩობა, ცრუმორწმუნეობა მათმა ნიჭმა გამოამზეურა მოურიდებლად. პიროვნება დაჩაგრული წოდებისა, გლეხობისა ამათ აიყვანეს ღირსეულ და საპატიო სიმაღლეზე და ამით ერის აღდგენას, გაჯანსაღებასა და გაერთიანებას საძირკველი ჩაუყარეს.

განსაკუთრებულის სიცხოველით უნდა ვგრძნობდეთ გლუხარიჩის, ზურაბის და ასიკოს ღვაწლს დღევანდელ დღეს და მათდამი განსაკუთრებული პატივისცემით ივსებოდეს ჩვენი გული.

1924

ოვანეს თუმანიანი

ი. გრიშაშვილის თარგმანი.

რუსთველის პროსპექტზე რომ გაივლიდით, ხანდახან შეხვდებოდით ერთ მოხუცს, რომელიც უნებლიეთ იპყრობდა თქვენს ყურადღებას.

შეუძლებელი იყო, გვერდზე ჩაგევლოთ და მისთვის არ შეგეხედათ: მთელი მისი გარეგნობა. ფაქიზად აყრილი ტანი, საბის გამომეტყველება მეტად მიმზიდველი იყო თავისი კეთილშობილებით.

დარბაისელი, ზრდილი, სპეტაკი, ყველასადმი სიყვარულითა და კეთილშობილებით სავსე, — აი რას წაიკითხავდით იმის თვალებში. აი რას ჰმოწმობდა ყოველი ნაკვთი მისი სახისა.

დღეს რუსთველის პროსპექტი დაობლებულია, მას აღარ ამშვენებს კეთილი და კეთილშობილი, დიდებული მოხუცი და ჩვენ ყველა ვგრძნობთ ამ ობლობას, ამ დიდ დანაკლისს.

ვინ იყო ეს მოხუცი?

ოვანეს თუმანიანი.

პოეტი იყო თავისი მშობელი ერის ჭირისუფალი, მისი გულის მესაიდუმლე, იმის ზრახვათა მომღერალი, იმისი სევდის დამაამებელი და, ამავე დროს, ის იყო არა ნაკლებ საყვარელი ჩვენთვის. რადგანაც თვითონ მან საქართველო შეიყვარა, როგორც თავისი მეორე სამშობლო. საქართველოს მზე, სილამაზე და გრძნობათა სიჭარბე ჩაქსოვილია იმის პოეზიაში:

> დავრჩეთ, ქეთევნო,
> ძმად და მეგობრად,
> შეექმნათ ოჯახი ამხანაგური! —

ეს იყო ოვანეს თუმანიანის ოცნება. ქართველები და სომხები, საქართველო და სომხეთი მისთვის ორივე ძვირფასი იყო, მას უნდოდა ამ ორ ერთა შორის ძმური ოჯახის შექმნა და ამისათვის იყო თავ-

გამოდებული, გულწრფელი მქადაგებელი ძმობისა, ერთობისა და ეროვნული სოლიდარობისა.

ჩემი სიმდიდრე
სიკეთეა და სიყვარული,
პოეზიისთვის შევიყვარე
ყველა ქვეყნები, —

ეს სიტყვები სარკე არის ოვანეს თუმანიანის ბუნებისა და ამავე დროს გასაღები მთელი მისი შემოქმედებისა.

პოეტი შვილი იყო ხალხისა, მშრომელი ხალხის გულიდან გამოსული და მას არა თუ არ გაუწყვეტია კავშირი ხალხთან, არამედ მისი შემოქმედება, მთელი მისი აღმაფრენა მშრომელი ხალხის ბედიღბალს ევლებოდა თავს:

მე მდიდარი ვარ, ხალხს შევწირე ლხენა და გლოვა.

სიყვარულითა და სიკეთით აღსავსე ადამიანისათვის დაუშრეტელი წყარო შემოქმედებისა და, ამავე დროს, ყველაზე უფრო მიმზიდველი არის ტანჯული ხალხის ბედი.

ოვანეს თუმანიანის ძლიერებასაც სწორედ ის შეადგენს, რომ პოეტი მუდამ ტანჯულ ხალხთან არის. მუდამ მშრომელი ხალხის საგალობელს აწყობს და თვით შემოქმედებაც იმისი მჭიდროდ არის დაკავშირებული მშრომელი ხალხის შემოქმედებასთან.

ოვანეს თუმანიანი განთიადის მახარობელია, მშრომელი ხალხის ბრწყინვალე დილის ტარიელი, მთელი თავისი არსებით ის შესტრფის და უგალობს ამ ბრწყინვალე დილას, რადგანაც აღფრთოვანებული მქადაგებელია მშრომელი ხალხის გათავისუფლებისა.

ოვანეს თუმანიანის პოეზია დალამბულია ნაზი, ტკბილი, ცრემლებში დაფერილი სევდით, მაგრამ შიგ გადაშლილია საუცხოო თაიგული იმედისა და ბრწყინვალე განთიადისა.

პოეტი ორივე ფეხით მიწაზე არის დაბჯენილი და მიწა ჰკვებავს მას თავისი სავსე ძუძუებით.

ქალაქი მისი რთული და ფეხაჩქარებული ცხოვრებით, მისი შეუსვენებელი, დაუცხრომელი მოძრაობით ოვანეს თუმანიანს ნაკლებად იზიდავს.

სოფელი, სოფლის ბუნება, სოფლის ცხოვრება, სოფლის მუშა — აი პოეტის ბედისწერა. და ამ დარგში ოვანეს თუმანიანი მართლაც ლამაზია, მომხიბლავი, თვალის მომჭრელი, ბუნებრივი და ძლიერი.

ოვანეს თუმანიანი უდიდესი ესთეტია: სილამაზე უწინარეს

ყოვლისა. პატარა ლექსს აიღებთ, ლეგენდას, პოემას თუ მოთხრობას, — სილამაზე გატკბობთ და გხიბლავთ.

ოვანეს თუმანიანი დიდი რეალისტია: სინამდვილე უწინარეს ყოვლისა. მისი უმთავრესი თემები ცხოვრების სინამდვილიდან არის ამოღებული. სოფლის გლეხი და იმის კისერზე წურბელა მევახშე, სიღატაკე და სიმდიდრე, გაყვლეფილი და მყვლეფელი. ძალმომრეობა და უსამართლობა — აი ფერადები მისი მხატვრობისა.

საუცხოოა ოვანეს თუმანიანის მოთხრობები, რომლებიც წარმოადგენს სარკეს ნამდვილი ცხოვრებისას. მხატვრული ზომიერება, სიცხოველე და სიცხადე, საუცხოო სურათები და სპეტაკი, კეთილშობილი მისწრაფება პოეტისა — ყველა ეს ერთად სტოვებს ძლიერ უშუალო შთაბეჭდილებას.

ოვანეს თუმანიანის შემოქმედების გვირგვინს წარმოადგენს პოემა „ანუშ". აქ მოცემულია იშვიათ ფერებში და საუცხოოდ შესრულებული სოფლის მთელი ცხოვრება და ბუნება, მისი ლხინი, ჭირვარამი, ადათი, ზნე და ჩვეულება.

„ანუშ" წარმოადგენს იშვიათ სიმფონიას, რომელიც თავისი სილამაზით სულსა ჰხიბლავს და გულს ატკბობს.

პოეტი გრიშაშვილი ოვანეს თუმანიანის პირწავარდნილი ორეულია. მისი თარგმანი თარგმანი კი არ არის, იგივე ორიგინალია, როდესაც თქვენ ჰკითხულობთ გრიშაშვილის თარგმანს, თქვენ წინაშეა მხოლოდ ოვანეს თუმანიანი ქართულად მომღერალი და დარწმუნებული ხართ, რომ აქ არავითარი თარგმანი არ არის, არამედ თვითონ ოვანეს თუმანიანი სწერს ამას ქართულად.

გრიშაშვილის ლექსიკონი მეტად მდიდარია, სიტყვა მას მეტად ემორჩილება და რითმა საუცხოოდ აქვს დაგეშილი. გრიშაშვილი დიდი მგოსანია და მისი „ოვანეს თუმანიანი" — დიდი გამარჯვებაა.

1924

ტასო აბაშიძე

ქართველი ერის ისტორია მუდამ საშინელების მწვერვალებზე ტრიალებდა. ქართველ ადამიანს ჯერ ვერ გამოეტირებია ერთი უბედურება, რომ მეორისათვის უნდა მიეშვირა მკერდი. ერთადერთი, რაც ამართლებდა ასეთ პირობებში იმის არსებობას, რაც აძლევდა მას სიმტკიცეს და სიხალისეს, ეს იყო ხელოვნება.

ტანჯვა და არსებობა ხელოვნებისათვის — აი ქართველი ადამიანის ბედისწერა.

ისტორიის საშინელ ფურცლებზე ხელოვნება იყო უდიდესი ნუგეში ერისა, და ხელოვნების ტაძარი გულის დამატკბობელი თავშესაფარი იყო ყოველგვარი უბედურების დროს.

ვგონებ ხელოვნების საკურთხეველში არც ერთ ერს არ შეეძლოს ისეთი უანგარო მსხვერპლის შეწირვა, როგორიც ქართველებს. მშვენიერების ცეცხლში არავის შეუძლია ისე თავდავიწყებით წვა სრულ დაფერფლვამდე, როგორც ქართველ ადამიანს.

ხელოვნების სამსახური და ერის სამსახური ამიტომაც ჩვენში ერთი და იგივეა. ხელოვნების კოცონზე მიტანილი მსხვერპლი ერის კეთილდღეობისათვის გაღებული მსხვერპლია.

ერთი უდიდესი სამსხვერპლო ჩვენი ხელოვნებისა თეატრი არის. მას არა აქვს დიდი ისტორია, მაგრამ ის სავსეა ბრწყინვალე სახელებით, რომლებიც მთელ თავის არსებობას, შინაგან წვას, გატაცებასა და სიყვარულს ერს და ხელოვნებას აძლევდნენ, თავისათვის კი არაფერს არ იტოვებდნენ, არაფერს არ ითხოვდნენ, გარდა ტანჯვის გვირგვინისა.

ერთი ასეთი ბრწყინვალე სახელია ტასო აბაშიძე.

ამ წლის იანვარი იშვიათი დღესასწაულია ჩვენი ხელოვნებისა.

სწორედ ამ დროს ოცდა ხუთი წლის წინათ ტასო შემოცქრიალდა ჩვენს სცენაზე და თან მოიტანა სიცოცხლე, სიცილი, მხიარულება.

გაიღვიძეთ, უკუაგდეთ სევდა! ჩემთან ერთად მოახტით იმედის რაშებს და სიცილით და მხიარულებით გასწით წინ ახალი ცხოვრებისაკენ! — აი რას ეუბნებოდა ქართველ საზოგადოებას ყოველი მისი გამოსვლა იმ ოცდახუთი წლის განმავლობაში.

ქართული ბუნების სიმკვირცხლემ, სიხალისემ, ნიჭმა და ცეცხლმა ტასო აბაშიძეში ჰპოვა საუცხოო განსახიერება.

ოცდახუთი წელი გვხიბლავს ის იშვიათის თამაშით, გვაოცებს გრძნეული ნიჭით, გვაღელვებს წრფელის გრძნობით, გვაკაჟებს თავისი ტემპერამენტით, გულს გვივსებს ხალისით, თავისი ცოცხალი მხიარულებით, და რა სევდაც უნდა გვაწვეს, უკუვაგდებთ და მუდამ აღტაცებული, აღფრთოვანებული ვხვდებით მას, რადგანაც ვიცით, რომ აქვს ჯადოსნური მალამო ჩვენი სევდის გასაქარვებლად.

ჩვენ გვიყვარს, ჩვენ მოგვწონს ჩვენი მხიარული, ხალისიანი, ცელქი ტასო და სრული საბუთიცა გვაქვს ამისი:

> რადგან ავთანდილ შენია,
> სხვა რად ვინ მოგეწონებიან.

ჩვენს ხალხს რიცხვი სამი მისტიურის გრძნობითა და სიწმინდით უყვარს; როგორც თავის იმედებს და გატაცებას, ისე თავის ანგარიშს, აღრიცხვას ამ რიცხვით გამოხატავს.

ჩვენი ხელოვნებისათვის ეს რიცხვი გადაიქცა სათაყვანებელ სამებად მას შემდეგ, რაც ტასო აბაშიძე სიხარულის და კისკისის სხივებით შემოსილი შემოიჭრა ჩვენს სცენაზე.

ტასო — ეს ცელქი, ცქრიალა, სიცოცხლითა და სიხალისით სავსე ნიჭი აბაშიძეების დიდი სამბატონო ოჯახისა, — მთელი ისტორიაა ჩვენი თეატრისა 25 წლის განმავლობაში.

ქართულ სცენას ჰყავს ისეთი სამება, რომლის ბადალს ვერც ერთი სცენა ვერ წამოგვიყენებს ვგონებ.

ტასო აბაშიძე ქართველი ერის კეთილი ანგელოზია, ჭირსა და ლხინში მუდამ მასთან მყოფი, მისი გამამხნევებელი, მისი იმედი, მისი წყლულების მალამო, მისი ოცნების ამშლელი, მისი დამატკბობელი, მისი გადამხალისებელი, განუყრელი დარაჯი მისი სულის სიმშვიდისა და სიმტკიცისა, მის თვალებზე მხიარულების ცრემლებად გადამქცევი მწუხარების ცრემლების.

ტასო აბაშიძე საუცხოო ყვავილია ჩვენს სცენაზე დარგული, მუდამ გაშლილი. მუდამ მზის სხივებით აფერადებული და ახალისებული, სიხარულის ნაპერწკლებით მოთამაშე, მარად ცინცხალი და უჭკნობი.

ტასოს ცალ ხელში სიცილის დაპენტილი ქულა უპყრია, მეორეში მზის სხივთა კონა და ოცდახუთი წლის მანძილზე სიცილში ახშობს და აქარწყლებს ქართველი ერის სევდას, მზის სხივებში ანავარდებს ჩვენს იმედებს.

ტასო აბაშიძის სახელთან შეერთებულია მთელი ერის განცდანი, უნაზესი გრძნობანი, იმედით აღსავსე სიცილი და სიხალისე.

ერის სევდის უკუმყრელი, ერის გულში მზის სხივების ჩამქსოვი — აი ტასო აბაშიძე.

ოცდახუთი წლის განმავლობაში არა ყოფილა ქართველი ერის ცხოვრებაში არც ერთი დღე ნისლით დაბურული, რომ შიგ იმედის სხივებით არ შემოცქრიალებულიყოს ტასო აბაშიძე, არ ყოფილა არც ერთი დღე სიხარულისა, რომ შიგ არ ჩაქსოვილიყოს ტასო აბაშიძის მხიარული კისკისი.

ერის სიყვარული და ერის სიხარული, ქართული სცენის სიცოცხლე და მშვენება, სიამაყე და სიხალისე — აი ტასო აბაშიძე.

ოცდახუთი წლის განმავლობაში არ გაწყვეტილა მათ შორის გაბმული სიყვარულის არც ერთი ძაფი.

ქართველი საზოგადოება მოვალეა ახლა თვითონ ამოუდგეს გვერდში მის საყვარელ მსახიობს, მისი გულის ციცინათელას, მისი ჭირისა და ლხინის თანამოზიარეს და გაუფინოს სიყვარულის ყვავილები.

ტასომ დაიმსახურა პოეტის სიტყვები:

სად ხარ, იმ არეს
მოჰფენ სიამეს, —
უშენოდ მოსცდეს მხიარულება!
შენის ენითა,
ყავსე ლხენითა
ვინ არა იგრძნოს გულკეთილობა!

ჩვენ ყველა მოვალე ვართ, განსაკუთრებით ვიგრძნოთ გულკეთილობა და ამდენი სიკეთის მთესველს — ჩვენს ტასოს — სიკეთითავე მივუზღათ.

1924

ვაშა ტასოს!

„ნეტავ იმას, ვისაც ესმის ალმაფრენი მზის სიცილი!“

ჩვენი სამშობლოა საქართველო, რომელსაც ეს სიცილი ესმის, რომელიც ამ სიცილში ჰპოვებდა დაუშრეტელ ენერგიას, ნუგეშსა და სიხალისეს.

შავთა დროთა ვერ შესცვალეს მის გული ანდამატისა.

განა ცოტა შავმა დრომ გადაიარა იმის თავზე? მაგრამ მზე არის მისი რაინდი, მისი მიჯნური და მასზედ შეყვარებული.

საქართველო — მზის საყვარელი!

ამ სიყვარულს ბევრი კეთილშობილი ქართველი წარმოუშვია. ბევრსაც წარმოშობს კიდეც, ჯერ ბლომად შესწევს საამისო სინოყივრე ჩვენს სამშობლოს.

ტასო აბაშიძეც ამ სიყვარულის შვილია — მზისა და საქართველოსი.

განა იმისი სიხალისე მზის შუქის ელვარება არ არის? იმისი ცქრიალი ხომ მზის სხივების ნავარდობაა? იმისი სიცილი განა მზის სიმხურვალის ციმციმი არ არის? ტასოს სიცელქე ხომ თამაშია მზის სხივებისა ვარდის ფურცლებზე დაკიდებულ ცვარის წვეთებში?

დეე თუნდაც წარღვნა დატრიალდეს ჩვენს თავზე! — არად ჩავაგდებთ. სანამ ჩვენი ტასო ჩვენთან არის და ჩვენ მასთან. სიცილის ნავს მოგვიწნავს ჩვენი ტასო და გადავცურავთ იმის გაშმაგებულ ტალღებზე.

დეე უდიდესი უბედურება მოგვადგეს კარს! — არად ჩავაგდებთ, როდესაც ტასოა ჩვენთან. სიცილის გუნდებს მივაყრით და ისე გავისტუმრებთ.

დეე საშინელმა სევდამ დაისადგუროს ჩვენს გულში. ვერ გაგვტეხავს, ჩვენ გავტეხავთ მას, სანამ ტასო გვერდით გვეყოლება.

რა განსაცდელშიაც უნდა ჩაგვაყენოს ბედის ტრიალმა, სასო-

წარკვეთილებამდე ვერ მიგვიყვანს, სანამ ჩვენს სცენაზე ტასოს ვუმზერთ.

ტასო თვალის მატყვევებელი მარგალიტია აბაშიძიანთ სამხატვრო ოჯახისა.

შეჯიბრებაშიაც არავისთან უკან არ დავიხევთ.

ოცდახუთი წელიწადი ანათებს ჩვენს სცენას ჩვენი ციცინათელა, ჩვენი ცქრიალა, ჩვენი, ჩვენი... ეეხ, მე მინდა ისეთი სიტყვა, რომ არავის არ გაეგონოს და ყველას კი ესმოდეს.

რა უცებ გაირბინა ამ ოცდახუთმა წელმა! იმიტომ რომ ტასოს თამაშმა გაჰლია, შეამოკლა ის.

ტასოს მზერაში შემოგვადნა ოცდახუთი წელი და მაინც ვერ გავძეხით მისი მზერით.

ასეთია ძალა ჭეშმარიტი ნიჭისა, დიდი ნიჭისა.

რა არ უთამაშნია ამ ხნის განმავლობაში ჩვენს კოპწია ტასოს, ვისი სახე არ აღუდგენია ჩვენს წინ! ხუთასზე მეტი სხვადასხვა როლი! განა ეს შესაძლებელია?!!

ვასო, მაკო, ტასო! ქუდები ძირს ხელოვნების ბრწყინვალე ქურუმებისა და დიდი ქართველების წინაშე!

ჩვენი მზე ჯერ კიდევ ბრწყინავს და დიდხანს იბრწყინებს!

ჩვენი კოხტა, კოპწია, პატარა ტასო და ხუთასი როლი.

ღმერთი არ არის?

ჰაი, ჰაი, რომ არის და ყველაფერიც შეუძლია: ეს გახლავთ ჩვენი ტასოს ანკარა, დაუშრეტელი, ამოუწურავი, ყოვლის შემძლებელი ნიჭი!

დღევანდელი დღე მარტო ტასოს დღესასწაული კი არ არის — ეს ჩვენი დღესასწაულია, მთელი ქართველი ერის ზეიმი.

დღევანდელი დღე მარტო ტასოს გამარჯვება კი არ არის — ჩვენი გამარჯვებაა, მთელი ქართველი ერის ძლევამოსილებაა.

ვაშა ტასოს!

დღევანდელი დღე მარტო ტასოს სიამაყე კი არ არის — ჩვენი სიამაყეა, მთელი ქართველი ერის ეშხიანობა.

შაბაშ სიტყვა, შაბაშ კაცი,
შაბაშ საქმე, მისგან ქმნილი!

შაბაშ ტასო!

1924

ჩვენი თეატრის გარშემო

ძველი რომაული თქმულებაა: წიგნებს თავისი ბედი აქვთო. ხელოვნებასაც თავისი შინაგანი ბედი აქვს.

სიტყვა სულ ხშირად არის მარტივად, უბრალოდ გამოსახვა მრავალი საგნის და მოვლენის სხვადასხვა თვისებისა. მაგრამ ჩაკვირვებულმა გონებამ ამ საგნებსა და მათს თვისებებს უნდა მიაქციოს მთავარი ყურადღება და არა მარტო სიტყვას.

ასე გახლავთ ხელოვნებაც: ამ ერთ სიტყვაში შეჯგუფებულია არა თუ მრავალი ცნება, მრავალი დასრულებული და დამთავრებული რკალი. ხელოვნება ცხოვრების შვილია, ცხოვრება კი მუდამ მოძრავია და სხვადასხვა საფეხურზე მას სხვადასხვა მხატვრული გემოვნება და მოთხოვნილება აქვს. ხელოვნება ვითარდება ერთგვარი მხატვრული შეხედულების რკალში და როდესაც სრულებით ამოსწურავს ამ დარგში თავის თავს, მას აღარა აქვს გასაქანი; ამიტომ უნდა გაარღვიოს თავისი რკალი და მოსძებნოს ახალი გზები, ახალი ხაზები, ახალი სიტყვა, ახალი ასახვა და გამოსახვა, ერთი სიტყვით, უნდა შემოავლოს ახალი რკალი; ეს არის ევოლუცია, განვითარება, რომელსაც ვერ ასცდება ვერც ერთი დარგი ხელოვნებისა.

ჩვენი თეატრი თავიდანვე ვითარდებოდა ქართული ყოფა-ცხოვრების რკალში. ჩვენმა შემოქმედებამ ამოსწურა აქ თავისი შესაძლებლობა და მოგვცა უკვდავი სახელები, რომელთა ხსოვნაც მარად სათაყვანებელი იქნება ყოველი შეგნებული ქართველისათვის. ჩვენი ძველი თეატრი შეადგენს ჩვენს სიამაყეს, ჩვენს ეროვნულ სიწმინდეს, მაგრამ დრომ გაუსწრო მას და სასცენო ხელოვნებას ახალი რკალი, ახალი გზები ესაჭიროება.

ძველი რკალი სასცენო ხელოვნებისა გაარღვია კოტე მარჯანიშვილმა და ავლებს ახალს. ამით მან გაუწია უდიდესი სამსახური ქართულ თეატრს, ქართულ ხელოვნებას. ხელოვნება არის უდიდე-

სი ეროვნული საქმე და დიდი რეფორმატორი ამ დარგში არის ამავე დროს დიდი მოამაგე თავისი ერისა.

მარჯანიშვილს აქვს დიდი ნიჭი, ძიება, მძლავრი გაქანება, არტისტული გემოვნება, დიდი ინტუიცია, უდიდესი გამოცდილება და სამხატვრო განვითარება. მან ჩვენი სცენა სრულებით გარდაქმნა. წინათ ჩვენს სცენაზე იყო დიდი ნიჭი და სრულებით უვიცი უმრავლესობა. დღეს კოტე მარჯანიშვილმა სულ მოკლე ხანში მოგვცა მომზადებული და კულტურული მსახიობი, გაწვრთნილი თანამედროვე მიმდინარეობათა გამოსახვისათვის.

ვიმეორებ, კოტე მარჯანიშვილის დამსახურება ჩვენი ხელოვნების წინაშე მეტად დიდია და თავისი სახელი მან უკვე ჩასწერა ქართული ხელოვნების განახლების ისტორიაში.

კოტე მარჯანიშვილმა გადაშალა ახალი შესაძლებლობა, ახალი პერსპექტივები და ვინ უნდა გაეტაცა, ვინ უნდა აენთო ყოველივე ამას წმინდა სიგიჟის ცეცხლით, თუ არა ახალგაზრდობა?

ახალგაზრდა მსახიობთა საფეთქელიც სხვანაირად ამუშავდა. გული სხვა გრძნობით აძგერდა, ოცნებამ ფრთები აისხა და ბრძოლის უიჟინით გაექანა წინ. ვინ ებრძოდა განა, ვინ ეღობებოდა წინ, ვინ უშლიდა ხელს? ვკითხულობთ ჩვენ.

რა თქმა უნდა, არავინ.

მაგრამ ასეთია ბუნება ახალგაზრდული აგზნებისა და გატაცებისა; როდესაც მასში დაგროვილი ენერგია ძალად იქცევა, ის წინ მიექანება და იბრძვის, თუნდაც არავინ არ უხდებოდეს, ასეთი გაქანების დროს გაზომვა ყოვლად შეუძლებელია და თავისი მოქნეული ვერც ახალგაზრდა მსახიობებმა მოზომეს იანვრის 29-ს გამოსვლის დროს. მანიფესტი ჩვენთვის სრულებით მიუღებელია. სხვაგან. სხვა პირობებში, შესაძლებელია, არავითარ განგაშს არ გამოიწვევდა ასეთი რამ. ჩვენ ქართველები ვართ, პატარა ერი, თვითმპყრობელობის ხელში მეფის მთავრობის მიერ მრავალი დამცირების, შევიწროების, ეროვნული ღირსების შებღალვისა და შელახვის გადატანი.

ჩვენთვის თეატრი უდიდესი ეროვნული საქმე იყო, წმინდა ტაძარი, სადაც ჩვენ ვღვრიდით გულის სიღრმიდან ამონახეთქ ცრემლებს და ვზრდიდით იმედებს.

ამიტომაც ჩვენი სმენა ვერ ეგუება ვერავითარ უხეშ გამოთქმას ჩვენი თეატრისაკენ მიმართულს.

დამშვიდდება ნერვები. დაყუჩდება აღელვებული გრძნობა და ყველა დავინახავთ, რომ ახალი გაიკვლევს გზას, შემოავლებს ახალ რკალს, დაიწყებს შემოქმედებას, გაშლის ფრთებს და მაშინ ენაც

დარბილდება და სამუდამოდ დავიწყებას მიეცემა ისეთი გამოთქმა, რომელსაც ჩვენი მგრძნობიარე გული არ მიიღებს.

ჩვენი თეატრი განსაკუთრებული სიმწვავითა და გრძნობიარეობით გვიყვარს და ამიტომაც მანიფესტი უსათუოდ აგვიძრავს ეჭვებს და გამოიწვევს ჩვენს გულის წყრომას, მაგრამ ახალგაზრდობის დუღილს მოვაცილოთ ეს უსუფთაო ქაფი და მივიღებთ ძლიერ წყურვილს სამშობლო სცენის განახლებისა და აყვავებისას.

ვინ გამოვა ჩვენგანი და ვინ იტყვის, რომ ჩვენს ახალგაზრდა მსახიობებს შორის, განურჩევლად ჯგუფებისა, ბევრს არა ჰქონდეთ ძლიერი ნიჭი, ცეცხლი და მაგარი კუნთები. რაც თავდებია ჩვენი თეატრის განახლებისა და გაბრწყინებისა? მე აშკარად ვხედავ, რომ ბედი უკვე არჩევს ჩვენი სცენის ახალგაზრდათა რიგებიდან სახელებს უკვდავების დაფაზე დასაწერად.

ქართველ საზოგადოებას უყვარს თავისი თეატრი განსაკუთრებულის გრძნობით, მაგრამ მას უნდა უყვარდეს მისი მომავალიც. ეს მომავალი კი მხოლოდ ახალგაზრდა მსახიობებშია მთელი თავისი შესაძლებლობით.

1924

იონა ვაკელი

რევოლუციამ წარმოშვა ჩვენში პოეტები, რომლებსაც პროლეტარულ პოეტებს უწოდებენ და თითქოს ამით იმისი თქმა უნდათ, რომ ჩვენში რევოლუციამდე პროლეტარული პოეტები არ არსებობდნენ.

ეს სიმართლე არ არის.

პროლეტარული მგოსნის დამახასიათებელი ის არის, რომ პროლეტარულ წრეს ეკუთვნის და ამ კლასის მისწრაფებათა და განცდათა ამსახავია.

პირველი პროლეტარული მგოსანი იოსებ დავითაშვილია (1850-67 წ.). ის გამოვიდა მუშათა წრიდან და მთელი თავისი მისწრაფებით, იდეალებით და პოეტური შემოქმედებით მუშათა კლასს ეკუთვნოდა:

მუშა ვარ და კიდეც ვიცი
მუშის გულის პასუხები.

როდესაც დავითაშვილი სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა, პროლეტარიატი ჩვენში მაშინ არა ყოფილა გარკვეული სახისა და, რა თქმა უნდა, დღეს დავითაშვილი პროლეტარულ შემოქმედებას ვერ მოსწვდება, მაგრამ ყოველი ადამიანი უნდა დაფასდეს მხოლოდ ისტორიულ პირობებში.

თავისი დროის ზესაფერისად დავითაშვილს შეთვისებული ჰქონდა პროლეტარული შეხედულება ცხოვრებაზე:

მე გულსა მწვავს ეს სოფელი,
ორნაირად გაყოფილი:
ბედით ჩაგრულს უღვთოდ სჩაგრავს
თავის ბედით კმაყოფილი.

დავითაშვილის შემდეგ იწყება ჩვენს პროლეტარულ პოეზიაში ინტერვალი და პროლეტარულ ჰანგებს ისევ აწყობს თავის ჩანგზე ევდოშვილი.

ჩვენი პროლეტარიატი ვერასოდეს ვერ დაივიწყებს იმის ლექსს:

მეგობრებო, წინ, წინ გასწით!
ნუ შედრკება თქვენი გული.
დე, შუბლს ოფლის დაღი აჩნდეს
და მკერდს — სისხლის ნაკადული!

მაგრამ ევდოშვილი არ იყო წმინდა მიმართულების პროლეტარული მგოსანი.

პროლეტარულმა პოეზიამ იფეთქა ჩვენში პირველი რევოლუციის ხანაში და შემდეგ რეაქციის დროს.

აქ პირველობა ეკუთვნის ვარლამ რუხაძეს. მან გაბედულად ჩამოჰკრა პროლეტარულ გრძნობებს და პროლეტარული ბრძოლის ზარს.

ვარლამ რუხაძე გამოვიდა მშრომელი ხალხის წრიდან და მაშინდელ პირობებთან შედარებით მედგრად ააგიზგიზა პოეზიაში რევოლუციის ცეცხლი.

ვარლამ რუხაძეს მოჰყვნენ ნოე ჩხიკვაძე, ქუჩიშვილი, ობოლი მუშა, რომლებმაც პროლეტარული ბრძოლის ქურას მძლავრად შეუნთეს ცეცხლი.

ჩხიკვაძეც, ქუჩიშვილიც მშრომელი ხალხის შვილები არიან და მთელი თავისი პოეტური გზნებით პროლეტარიატს ეკუთვნიან.

დიდმა რევოლუციამ გადაშალა დიდი პერსპექტივები და შეიტანა ახალი ტალღები ჩვენს პროლეტარულ პოეზიაში, მაგრამ თუ ჩავუკვირდებით ამ ტალღებს, შიგ დავინახავთ იმავე დუღილს. იმავე მუსიკას, რაც ახასიათებს საერთოდ ჩვენს პროლეტარულ შემოქმედებას.

თქმა არ უნდა, ეს დუღილიც, ეს მუსიკაც უფრო მძლავრია, უფრო გაქანებული და მოვარდნილი, რადგანაც თვითონ რევოლუციის ბუნებაც ასეთია.

•

ახალ პროლეტარულ პოეზიაში საპატიო ადგილი უჭირავს იონა ვაკელს, რომლის „შარავანდედი“ ლამაზი და ცეცხლიანი დასაწყისია მისი ფაფარაყრილი შემოქმედებისა.

ფორმა იონა ვაკელს საკმაოდ დამორჩილებული აქვს და მისი პოეზია განირჩევა თავისი მუსიკალობითა და ჰარმონიით შინაარსისა და ფორმას შორის.

იმის პირველ ნაბიჯებს გავლენა ემჩნევა სხვა პოეტების და ხშირადა ჰბაძავს გალაქტიონ ტაბიძეს, განსაკუთრებით იმის „ლურჯა ცხენებს“.

35-ე გვერდზე „თუჯის ლანგარში“ რითმები: თარეში—სიმხურ-ვალეში — ტაბიძეს ეკუთვნის; აგრეთვე 51-ე გვერდზე „შრომის ოკეანეში“ რითმები: მხარეში,— თარეში.

38-ე გვერდზე „ჩვენი ბრძოლის ხალისში“ არის აბაშელის რითმა: გაუგონარი — დაუღონარი (აბაშელის „შორეული ნაპირი“).

64-ე გვერდზე „შეზარეში“ ქუჩიშვილის მეტრი და რიტმია.

მაგრამ ახალგაზრდა მგოსნისათვის შეუძლებელია, რომ მთელ წიგნში სხვისი რითმაც არ შეეპაროს. მგოსანმა უნდა მიაქციოს დიდი ყურადღება ენას.

სიტყვა მას საკმაოდ დამორჩილებული ჰყავს, მაგრამ ალაგ-ალაგ მაინც მოიპოვება ცუდი ქართული. რამდენიმე ალაგას არის „სისხლმა გაღება“; ვამბობთ — სისხლმა შეღება. „მათი შედარება არ გვინდა სხვაზე“ (გვ. 44) ცუდი ქართულია. „ვულკანის ლავა“ სრულებით არ არის ქართული. „სისხლი ღებს დროშებს“ საშინელი ქართულია. აგრეთვე — „ტყვია თოვდება“.

„ქალაქი უშვებს შფოთსა“ მიუღებელია პოეზიაში კი არა, პროზაშიაც.

როდესაც იონა ვაკელის პოეზია დაიხვეწება და გაიწმინდება ასეთი შეცდომებისაგან, ჩვენ ვივიღებთ საუცხოო ყვავილს, პროლეტარული პოეზიის ბაღჩაში დარგულს ჭეშმარიტი ხელოვანის ხელით.

პროლეტარული პოეტები საზოგადოდ რეალურ მოვლენათა მბატვარნი არიან. რეალიზმს ჩვენში ჰქონდა შემუშავებული საკუთარი ფორმა და სტილი. მოსალოდნელი იყო, რომ ახალგაზრდა პროლეტარული მგოსნები ძველ ფორმაში მოათავსებდნენ ახალ შინაარსს.

მაგრამ იონა ვაკელი აღარ კმაყოფილდება ძველი ფორმებით და იმის პოეზიაში შეჭრილია სიმბოლიზმი თავისი სტილით, ასონანსებით, კონსონანსებითა და ალაგ-ალაგ თავისუფალი მეტრით.

ეს გამარჯვებაა ჩვენი სიმბოლიზმის და ამავე დროს ღირსება იონა ვაკელის პოეზიისა.

ვატაცების, წმინდა სიგიჟის, ბრძოლისა და ცეცხლის პოეზია სიმბოლიზმის ფორმებში უფრო ვითარდება და შლის ფრთებს.

ეს უტყუარი ღირსებაა ქართული სიმბოლიზმისა და მისი ძმობის — ცისფერ ყანწელებისა, რომლებმაც ჩვენი პოეზია გამოიყვანეს ძველი ჩიხიდან და მისცეს მას ახალი გასაქანი, ახალი მიღწევანი. მათი გალერეა თავისმკვლელებისა, ჭლექიანებისა, შეშლილებისა, ლოთებისა და აშორდიებისა პროლეტარულ პოეზიაში სრუ-

ლებით მიუღებელია, ხოლო მათი სტილი და ფორმა უკვე გამარჯვებას დღესასწაულობს.

იონა ვაკელს აქვს მოხდენილი ასონანსები: პოეტი — სიმარტოეთი, ბივრიტი — ღვრიდი. მოდენის — მოდელი, თაღი — ზამბახი, და მრავალი სხვა; შიგადაშიგ ურევია ლამაზი კონსონანსი, როგორც: დემოსი — შემოსე. არის თავისუფალი მეტრიც და ურითმო პოეზიაც, მაგრამ თავისუფალი მეტრი და ურითმობა ერთგვარი სცილა და ხარიბდა არის პოეტისათვის.

რითმა და რიტმიული მეტრი მუსიკაა ლექსისა. ერთგვარი აკომპანიმენტი. როდესაც მომღერალი აკომპანიმენტს უარჰყოფს, მას მეტად დიდი იმედი უნდა ჰქონდეს თავისი ხმისა.

აგრეთვე როდესაც პოეტი ლექსში მუსიკას თავიდან იშორებს. მას დიდი იმედი უნდა ჰქონდეს ლექსის შინაგანი ძლიერებისა. თუ ეს არ არის. ჩვენ მივიღებთ პოეზიის მაგიერ უხეირო პროზას.

„შრომის ოკეანეში“, „საოცნებო დილაში“ და ზოგიერთ სხვა ლექსშიაც ავტორს აქვს შინაგანი რითმა. ბესიკს უყვარს შინაგანი რითმა, რაც მეტ სილამაზესა და მუსიკალობას აძლევს ლექსს. შემდეგ და შემდეგ შინაგანი რითმა გაქრა ჩვენს პოეზიაში.

მძლავრად გამოანათა შინაგანმა რითმამ გალაქტიონ ტაბიძის პოეზიაში. მისი „ატმის ყვავილები“ შესანიშნავია ამ მხრივ. შინაგანი რითმა ეადვილება იონა ვაკელს და საუცხოოა მისი ლექსები შინაგანი რითმით.

პოეტი ჰქმნის ახალ სიტყვებსაც, რაც მეტად დიდი ღირსებაა. მაგალითად, სიტყვა „სიმარტოეთი“ სხვაგან მე არ მახსოვს, არც — აქორქოლება.

საუცხოონი არიან „შრომის ოკეანეში“ და „ჩვენი მაისი“. აქ არის გატაცება, თავდავიწყება. სიხალისე, აღმაფრენა, მოზღვავებული გრძნობა და შეურყეველი რწმენა, დიდი სიწრფელე და ნამდვილი პოეტური გზნება.

ალაგ-ალაგ არის პესიმიზმი, როგორც, მაგალითად, „თავდავიწყების წუთებში“:

> და ასე ვიბრძვით ცოდვილ წუთებით,
> ტანჯული სულის აღმოხდომამდი.

პესიმიზმი უძლურთა და სნეულთა აზროვნებაა. პროლეტარულ პოეზიაში კი ძალა და ჯანსაღობა უნდა სჩქეფდეს და ცეცხლს აფრქვევდეს. ამიტომაც ყოველგვარი პესიმიზმი უნდა განიდევნოს პროლეტარული პოეზიიდან.

„საოცნებო დილა“ დიდი მიღწევაა ყოვლის მხრივ ახალგაზრდა

პოეტისათვის. აქ არის იშვიათი განცდა, სისპეტაკე, სიხალისე, იმედი, საუცხოო რითმა და დამათრობელი მელოდია.

„აკინძულ რგოლებში“ იშვიათი ასახვაა ცეცხლის გმირებისა და რევოლუციის, ხოლო ლექსის პატარა ნაკლს შეადგენს დაუსრულებელი გაოცების ო დიო! მართალია, გრძელი ლექსია, მაგრამ შიგ ჩვიდმეტჯერ არის გამეორებული ო!

პოემებში არის ცეცხლი. გატაცება, გაქანება და შესაფერი განწყობილება.

„დილის ზეიმის“ აფერადებულ ხალიჩას და ცეცხლის ალებს საუცხოოდ შეეხამება თავისუფალი მეტრი და დაუდევარი, გულმავიწყი რითმა.

რევოლუციის ქარცეცხლი და სიმკაცრე სისწორითაა აქ გამოსახული.

იონა ვაკელი სუსტია იქ, სადაც ცდილობს ქარხნისა და მანქანების გრიალის გადატანას პოეზიის სიმებზე.

აშკარაა, პოეტის გამოცდილება და დაკვირვება ჯერ ვერა სწვდება ამ დარგში იმის მიზანს.

> გიყვარს გრიგალი და ქარიშხალი.
> და მოულოდნელ გამბედაობის
> ღვთიური ნიჭით აკაშკაშება.
> ვუმღერით ურის,
> ვუმღერით ჩაქუჩს,
> ქუჩებს და ქარხნებს!

ამ სიტყვებში დახასიათებაა იონა ვაკელის მთელი შემოქმედების.

როგორც ახალგაზრდა მგოსანს, მას თან ახლავს ბევრი ნაკლი, რომლის გამოსწორება ადვილია.

ხოლო მას აქვს ტემპერამენტი, პოეტური ცეცხლი, სიხალისე, გაქანება, მხატვრული ინტუიცია, რითმის ყნოსვა.

ყოველივე ეს სრულ იმედს გვაძლევს, რომ პროლეტარულ პოეზიას ჭეშმარიტი ნიჭი ემატება.

1924

ისევ ჩვენი თეატრისათვის

ქართული ცხოვრების რა საკითხსაც უნდა შევეხოთ, წარსულ საუკუნეს ვერ ავცდებით, რადგანაც მაშინ მოხდა ძლიერი გარდატეხა როგორც ჩვენს ცხოვრებაში, ისე ჩვენს აზროვნებაში.

ქართველი ერის წინაშე წამოიჭრა ძლიერი საფრთხე რუსული თვითმპყრობელობის სახით; ერის არა თუ მომავალი, თვით არსებობაც განსაცდელში ჩავარდა და ამან იქონია ძლიერი გავლენა მთელს ჩვენს შემოქმედებაზე.

არისტოკრატიული ნაწილი ჩვენი პოეტებისა შეიპყრო წარსულზე გოდებამ. მაგრამ დაჰბერა მესამოცე წლების ლიბერალურმა მიმდინარეობამ და ჩვენს საზოგადოებაში გაისმა ძლიერი ხმა ილია ჭავჭავაძისა: უნდა აღვადგინოთ ჩვენი დაცემული ვინაობაო.

მართალია. დიდი გაუგებრობა, გაურკვევლობა და არევ-დარევა არსებობდა მთავარ საკითხში, თუ რა გზით შეიძლებოდა ჩვენი დაცემული ვინაობის აღდგენა. მაგრამ მუშაობა დიდი იყო და დიდი ნაყოფიც მოიტანა. მწერლობამ, პოეზიამ, თეატრმა — ყველამ მიზნად დაისახა ერის აღდგენა და გაჯანსაღება; საქართველო და ქართველი ერი — აი რა იყო არა თუ მთავარი, ხშირად ერთადერთი თემა. შეშინებული ბავშვი როგ დედას ეკვრის და არა სცილდება, ასე მოგვდიოდა ჩვენც.

პოეზიაში ჩამოყალიბდა ერთგვარი თემა და ფორმა, სასცენო ხელოვნებაში გამეფდა ქართული ყოფა-ცხოვრება და მთელი ჩვენი ვინაობა და მდგომარეობა მოექცა კრიტიკის სასწორზე.

ეს იყო აუცილებელი და მეტად საჭირო გზა ჩვენი შემოქმედებისა: ვისაც საკუთარი თავის მიუდგომლად გაზომვა შეუძლია, მას დიდი განახლების უნარიც შესწევს.

რაც უნდა დიდი იყოს სამშობლოს ფარგლები, ხელოვნებას მაინც უფრო ფართო და განიერი ასპარეზი ესაჭიროება.

ეროვნული შემოქმედება და ხელოვნება მაინც არას ნიშნავს.

რომ ნიადაგ საკუთარ თავზე სწერო და საკუთარ კერას უტრიალო გარშემო.

ეროვნული შემოქმედება უწინარეს ყოვლისა არის ეროვნული ტემპერამენტი. ეროვნული მაჯა.

პოეზიამ მოგვცა დიდი ცეცხლი. დიდი მიღწევა, მაგრამ ბოლოს ის მიადგა შაბლონს და ერთფეროვანი, გამოფიტული და მოსაწყენი შეიქნა.

საჭირო იყო გადახალისება, ახალი ნაკადული. ამ გზაზე გამოვიდა სხვადასხვა დროს სხვადასხვა მგოსანი და გაჩნდნენ ჩვენში პროლეტარული რევოლუციის პოეტები ვარლამ რუხაძის მეთაურობით.

ამ მიმართულებამ გამოიწვია დიდი მოძრაობა ჩვენს პოეზიასა და ცხოვრებაში. ევდოშვილმა. რუხაძემ. ქუჩიშვილმა, ნოე ჩხიკვაძემ დიდი წვლილი შეიტანეს ჩვენი პოეზიის განახლებაში, მაგრამ ახალი ღვინო მათ ჩაასხეს ძველ ტიკებში, ძველი ფორმა, ძველი სტილი, მთელი ძველი პოეტიკა უცვლელად დასტოვეს. მათ იზიდავდა სიახლე მოტივისა და არა ფორმისა.

ახალი მოტივი კი ყოველთვის ახალ ფორმას ითხოვს. თავმოჰწონე ადამიანი წვეულებაში ნათხოვარი ტანისამოსით არ წავა.

გრიშაშვილმა და აბაშელმა დაიწყეს ახალი ფორმების ძიება, მაგრამ მათი ნოვატორობა ამ დარგში იყო პიროვნული, თუმცა მეტად ნაყოფიერი.

საერთო ნებითა და ხელიხელჩაკიდებულნი გამოვიდნენ ახალ გზაზე ცისფერყანწელები და მე მახსოვს კარგად ის განგაში და აურზაური, რაც მათმა პირველმა ნაბიჯებმა გამოიწვია.

მე თვითონ ვწერდი პაროდიებს მათ წინააღმდეგ ამავე ჟურნალის ფურცლებზე.

რატომ?

იმიტომ, რომ ძლიერ გაქანებაში ისინი გადასცილდნენ ზომას და მოინდომეს ზოგიერთი ისეთი სახელების გადაქელვა, რომლებსაც ჩვენ ვერავის დავუთმობთ.

გაიარა დრომ და რასა ვხედავთ დღეს?

ცისფერყანწელებმა განდევნეს ძველი სტილი, ძველი მეტრი, რითმა და დაამყარეს ახალი პოეტიკა.

დღეს ყველა მათი შეურიგებელი მოწინააღმდეგეც კი სწერს ცისფერყანწელების პოეტიკით და ძველი პოეტებიც ნელ-ნელა ითვისებენ ცისფერყანწელების სტილს. ასონანსებს და კონსონანსებს.

უნდა აშკარად ვთქვათ, ეს არის გამარჯვება ცისფერყანწელები-

სა. ბევრ დებულებას მათი ესთეტიკისას მე არ ვიზიარებ, ამაზე ბევრჯერ გვექნება ალბათ ლაპარაკი. — მაგრამ მათი პოეტიკა დღეს ყველასათვის სავალდებულო გახდა.

სწორედ იგივე მეორდება დღეს ჩვენი სასცენო ხელოვნების დარგშიაც.

ჩვენს თეატრს დიდი და ბრწყინვალე წარსული აქვს. მან აღზარდა მთელი თაობანი. შეიტანა დიდი განძი ჩვენი კულტურის ხალაროში. მაგრამ დღეს უკვე სხვა დრო არის. უნდა ვთქვათ ხმამაღლა და გაბედულად: დღეს თემაც სხვანაირი გვინდა, თამაშიც სხვაგვარი, მსახიობიც სხვანაირი და სცენაც სხვა.

ასე ვითარდება ხელოვნება. სხვა გზა მას არა აქვს და ეს არ არის უარყოფა ან შეურაცხყოფა წარსულისა. ეს არის მხოლოდ აუცილებელი საფეხურები ხელოვნების რკალში.

ახალგაზრდა მსახიობები, რომელთა მანიფესტმაც ერთი მითქმა-მოთქმა გამოიწვია, სწორედ ამ მიზნით არიან გატაცებული. მათ სწყურიათ განახლების შეტანა სასცენო ხელოვნებაში, მათ უნდათ ამ განახლების შეტანა, მათ შესწევთ საამისო ნიჭი და სიმტკიცე.

ახალგაზრდულ გატაცებას ყოველთვის სჩვევია გადაჭარბება.

აი ასეთს გადაჭარბებას ჰქონდა ადგილი იანვრის ოცდაცხრასაც.

მანიფესტები საჭიროა. თანამედროვე მოთხოვნილებამ წარმოშვა ისინი, მაგრამ ზოგიერთი ადგილი აღნიშნული მანიფესტისა მიუღებელია.

არტისტი დიაღაც უნდა იყოს ცეცხლოვანი, რიხიანი, ფაფარაყრილ რაშზე. უნდა იყოს იმიტომ, რომ ასეთია ჩვენი დრო და ეს დრო კარგია სწორედ იმიტომ, რომ ის რიხიანია, ცეცხლოვანი და ფაფარაყრილ რაშზე გაქანებული.

ვინ იტყვის, რომ აღნიშნული ჯგუფის მანიფესტში არ იყოს ჭეშმარიტი ნიჭი, დიდი ცეცხლი. დიდი გაქანება და დიდი შესაძლებლობა?

რა თქმა უნდა, ეს არ აძლევს მათ უფლებას უკადრისად მოიხსენიონ ის, რაც შეადგენს საფუძველს ჩვენი ახლობელი კულტურისას, მაგრამ არც ვისმე ჩვენგანსა აქვს უფლება მომავალს ზურგი შეაქციოს და ყბად აიღოს ყოველივე. რაც განახლებისა და ამაღლებისაკენ მიისწრაფის.

გაღმერთება არ ვარგა არაფრის. რაც უნდა დიდებული იყოს ის. ჩვენს თეატრს ბრწყინვალე წარსული აქვს, იქითკენ ქვას არავის ვასროლინებთ.

მაგრამ ჩვენ კიდევ უკეთესი გვინდა. რადგანაც გვწამს ჩვენი მომავალი.

ვინ უნდა შექმნას ეს უკეთესი?

იმათ, ვისაც ძარღვებში სისხლი უდუღს, საფეთქელი მედგრად უცემს და გულში ცეცხლი უგიზგიზებს.

საჭიროა სიდინჯე, სიფხიზლე და საქმეში ჩახედვა.

ყოველ დარგს ჩვენი ცხოვრებისას განახლება ესაჭიროება, განახლება ესაჭიროება ხელოვნებასაც.

განახლების გზაზე შეცდომა, გადაჭარბება, წაბორძიკება, უკიდურესობა, გაუგებრობა, ზოგჯერ გადაჩეხვაც აუცილებელია. უაშისოდ მეორე ნაპირს გასვლა შეუძლებელია.

1924

„ჯაუოს ხიზნები“ და ჩვენი ცხოვრება

მისწრაფება მშვენიერებისაკენ, სილამაზისაკენ მარტო ადამიანს კი არ ახასიათებს, არამედ ყოველ ცოცხალ არსებას, მთელ ბუნებას.

ყოველი ადამიანის მისწრაფება ყალიბდება და ფრთებს ისხამს კლასობრივ პირობებში. ამიტომაც ცხოვრებაში ჩვენ გვაქვს საქმე კლასობრივ მისწრაფებასთან.

თავის მისწრაფებას მშვენიერებისაკენ ყოველი კლასი თავისებურად ხატავს, თავისებურად ანხორციელებს.

ამიტომაც არის კლასობრივი მშვენიერება.

აიღოთ, მაგალითად, ენა. ის არის საერთო ერის ყოველი კლასისათვის. გერმანიაში ბურჟუას და პროლეტარს, მემამულესა და მიწის მუშას ყველას ერთი საერთო ენა აქვთ. იგივეა საფრანგეთში, ინგლისში, იტალიაში და სხვ.

მაგრამ ამ საერთო ენის გარეგან ერთნაირ გამოხატულებაში ჩაქსოვილია სრულებით სხვადასხვა აზრი, სხვადასხვა ფიქრი, სხვადასხვა მისწრაფება, სხვადასხვა გრძნობა.

იგივეა ხელოვნებაც. ხელოვნების ზოგადი, გარეგნული ხაზები ბევრჯერ საერთოა სხვადასხვა წყობილებაში. მაგრამ ამ საერთო ხაზებში მოთავსებულია სრულებით სხვადასხვა შინაარსი.

ყოველ კლასსა აქვს საკუთარი ხელოვნება, რომელიც იმის გულის ნადებს გამოჰხატავს.

შეიძლება და ბევრჯერ საჭიროც არის, რომ ერთმა კლასმა ისარგებლოს მეორე კლასის ხელოვნების ხაზებით, ფორმით. მაგრამ ამ ფორმაში ის მოათავსებს საკუთარ შინაარსს.

დღემდე გამეფებული იყო ბურჟუაზიული და არისტოკრატიული ხელოვნება.

დღეს სცენაზე გამოდის პროლეტარიატი. ის ჰქმნის და ადრე თუ გვიან შეჰქმნის საკუთარ ხელოვნებას; მაგრამ ამ გზაზე მას შეუძლია დროებით ისარგებლოს ძველი ხელოვნების ფორმებით.

რომანი შექმნა ფეოდალურმა არისტოკრატიამ.

ის ჩაისახა და განვითარდა დიდი ფეოდალების ოჯახებში და შემდეგ გადავიდა ხელოვნებაში.

ხელოვნების ამ დარგის ფორმით ისარგებლა ბურჟუაზიამ და შექმნა საკუთარი რომანი.

პროლეტარული ხელოვნებისათვის მისაღებია თუ არა რომანი?

რა თქმა უნდა, მისაღებია, ხოლო ამ რომანში უნდა იყოს სულ სხვა შინაარსი და სხვა ფორმაც.

მაგრამ სანამ შინაარსი ახალ ფორმებში ჩამოყალიბდებოდეს, ძველი ფორმები გამოსადეგია.

მიხ. ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნები" წარმოადგენს ახლის ძიებას თუ ფორმით არა, შინაარსით მაინც.

ამ რომანში ავტორმა ფარდა აჰხადა ჩვენი ცხოვრების ერთ კუთხეს, ერთ მხარეს და სისწორით გააშუქა ის.

„ჯაყოს ხიზნები" თავისი შინაარსით თვალსაჩინო ლიტერატურული მოვლენაა.

მიხ. ჯავახიშვილი არის ანატომი, რომელიც ჰკვეთავს ქართველი ერის სხეულს, რადგანაც ეს სხეული განვითარების დუღილშია; ადამიშვილი მტკიცედ, სასტიკად, გაბედულად და შეუბრალებლად ჭრის და აცლის ამ სხეულს ყოველივეს, რაც იმის განვითარებას ხელს უშლის, წინ ეღობება.

ვინ არიან უმთავრესი გმირები რომანისა? ორი ადამიანი — ძველი თავადი თეიმურაზ ხევისთავი და მისი გლეხი ჯაყო ჯივაშვილი.

მთელი რომანის სივრცეზე არის დაპირისპირება ამ ორი ადამიანისა.

ყოველი განვითარებული ერის ინტელიგენცია არ წარმოადგენს ერთფეროვან კრებულს, ის დაყოფილია თავისი მისწრაფებისა და საზოგადოებრივი მიზნების მიხედვით. არის ინტელიგენცია თავადაზნაურული, ბურჟუაზიული, თავადაზნაურულ-ბურჟუაზიული, წვრილბურჟუაზიული, სოციალისტური, პროლეტარული.

რევოლუციამდე ჩვენი ცხოვრების ასპარეზზე გაბატონებული იყო თავადაზნაურობა. ამიტომაც პირველობა ეკუთვნოდა თავადაზნაურულ ინტელიგენციას.

რადგანაც თავადაზნაურობას ესაჭიროებოდა მსხვილი ბურჟუაზიის ჯიბე, ბურჟუაზიას კი ბატონობა უნდოდა, ამის გამო ბატონობის ნაწილს თავადაზნაურობა უთმობდა მსხვილ ბურჟუაზიას, სამაგიეროდ სარგებლობდა მისი ჯიბით, ამრიგად ორივე ფცქვნიდა მუშებსა და გლეხებს და ნადავლს ერთიმეორეს უზიარებდა.

ამის გამო თავადაზნაურული ინტელიგენცია მუდამ ორ სკამ-

ზე იჯდა: ის გამოჰხატავდა თავადების იდეალებს, მაგრამ მსხვილ ბურჟუაზიასაც ვერ ივიწყებდა: მისი თავადაზნაურული სულისკვეთება შეზავებული იყო მსხვილბურჟუაზიული ოცნებით.

სწორედ ამ ინტელიგენციის წარმომადგენელია ძველი თავადი თეიმურაზ ხევისთავი. ის არის დიდი ბატონი და დიდი მემამულე.

საზღვრები თავისი ადგილ-მამულისა, ან სად რა აქვს, თვითონაც არ იცის, მას აინტერესებს მხოლოდ შემოსავალი და ამას განაგებს მისი მოურავი. თვითონ კი მუდამ გართულია საქართველოზე ფიქრსა და ოცნებაში: ზედმიწევნით იცის საქართველოს ისტორიული საზღვრები. სამშობლოს წარსული დიდება მას მოსვენებას უკარგავს.

საზოგადო საქმეში იმდენად ჩაფლულია, რომ დღე და ღამე მოსვენება არა აქვს: კრებები, სხდომები, წერა, ლაპარაკი.

დიდი საზოგადო მოღვაწე — აი თეიმურაზ ხევისთავი.

ენის კულტურული ქავილი და ლაყბობის მუნი — აი რა ახასიათებს უწინარეს ყოვლისა თეიმურაზ ხევისთავს.

თეიმურაზი პირმშო შვილია ძველი ცხოვრების, მას საპატიო ადგილი უჭირავს საზოგადოებაში, დამსახურებული მოღვაწეა, ნიჭიერი, უანგარო, პატიოსანი, უმწიკვლო და კეთილშობილი ადამიანის სახელი აქვს მოხვეჭილი.

ის ოცნებობს მომავალზე, ძმობაზე, ერთობაზე, თავისუფლებაზე, ხოლო ყოველივე ეს იმის არსებაში გადახარშული და გათვალისწინებული კი არ არის, არამედ ლამაზი სამკაულია, რომელიც საჭიროა ყოველი გახათლებული და ბოწიხავე ინტელიგენტისათვის.

მოხდა რევოლუცია, დაინგრა ძველი ცხოვრება და თეიმურაზ ხევისთავს ნიადაგი გამოეცალა. აი აქ გამოაშკარავდა მისი სრული უბადრუკობა.

ეს ყოველმხრივ კულტურიანი და განათლებული, ცოდნით, პატიოსნებით, მრავალი სურვილებით აღჭურვილი ადამიანი ახალს ცხოვრებაში აღმოჩნდა სუსტი და უნებო კაცუნა, რომელსაც გულის მაგივრად ჩვარი ედო.

„ჭიანაჭამი, გამოხრილი, დაფუტურავებული, ძვალდაღრღნილი და ხერხემალმოშლილი, უძვალო და უკუნთო, ცივი და ლორწოიანი“, — აი რას წარმოადგენს თეიმურაზი ახალს ცხოვრებაში.

ახალი ცხოვრება ადუღებული რკინის ცეცხლმეშინავ ტალღებზე მოექანება.

ასეთი ცხოვრება სამოქმედოდ იწვევს და ფაფარაშლილ რაშს აწვდის ყველას — მტერსაც და მოყვარესაც; ბრძოლა მასთან ერ-

თად ან მის წინააღმდეგ — სხვა გზა, სხვა სურვილი, სხვაგვარი მოქმედება არ არსებობს.

თეიმურაზი კი ლოდზე შუბდაბჯენილი განზე გამდგარა და მოქმედების მაგიერ მუდამ თავის თავს ეკითხება: რა არის ჭეშმარიტება? სად არის სამართალი? რა არს ცხოვრება ესე?

როდესაც ახალგაზრდა თეიმურაზი სამოქმედო ასპარეზზე გამოვიდა, მას ცხოვრების აწყობილი და მოწყობილი მექანიზმი დახვდა.

ეს შეადგენდა მისი მდგომარეობის სიმტკიცეს და ის კი დარწმუნებული იყო, რომ თვითონ, თავისი ძალღონით და შემოქმედებით აშენებდა ცხოვრებას.

როდესაც მართლა საჭირო შეიქნა საკუთარი ძალღონით გზის გაკაფვა და ცხოვრების შენება, თეიმურაზ ხევისთავს — ამ ტიპიურ ინტელიგენტს ძველი ცხოვრებისა და ძველი წყობილების საზოგადო მოღვაწეს — არ აღმოაჩნდა არც შესაფერისი გული, არც საჭირო სიმტკიცე, ხასიათი და ნებისყოფა.

ახალმა ცხოვრებამ ნიღაბი ჩამოაძრო მას და დიდი მოღვაწის ალაგას ჩვენა ვხედავთ რბილ, ლორწოიან ჭიაყელას, რომელსაც არაფერი შეუძლია, გარდა ცარიელი ბოდვისა.

ის არის აღფურვილი ცოდნით, განათლებით, მიეცით, რა საკითხიც გნებავთ — მთელ ლექციას წაგიკითხავთ, გამოკვლევას დაგიწერთ: ახალი ცხოვრებისათვის კი ამავე დროს ის სრულებით მოუმზადებელია, სრულებით გარიყული და ზედმეტი ადამიანი.

მთელი ტრაგიზმი თეიმურაზისა იმაში მდგომარეობს, რომ ის თვითონ გრძნობს ყოველივე ამას, ჰხედავს და ამავე დროს ვერავითარი გამოსავალი ვერ მოუნახავს. მას არ შესწევს იმდენი სიმტკიცე, რომ თვითონვე მოუღოს ბოლო თავის ცხოვრებას.

მართალია, ის წყალში გადავარდება, მაგრამ სწორედ აქ მეღავნდება მთელი მისი სილაჩრე და სიბადრულე.

ის ოცნებობს, მზად არის იბრძოლოს, გზა გაიკაფოს, მაგრამ მისი მოდუნებული მკლავები, მილეული სული, გატეხილი ხერხემალი სრულებით აღარ შეეფერება დღევანდელი ცხოვრების ქარიშხალს, რომლის ტალღებშიაც თეიმურაზი მხოლოდ დამცირებას და საკუთარი პიროვნების ადამიანური ღირსებისა და თავმოყვარეობის ფეხქვეშ გათელვასა ჰკრეფავს.

ძველ ცხოვრებასთან ერთად თეიმურაზისათვის ყოველივე გათავდა. მართალია, ის ოცნებობდა ახალზე, ის თვითონა სჭრიდა იმ ხეს, რომელზედაც იჯდა, მაგრამ ეს იყო მხოლოდ მწიგნობარი ადა-

მიანის ბოდვა: ახალ ცხოვრებას თეიმურაზისათვის არაფერი არ აღმოაჩნდა.

„— შენა გაიღვიძებდე! გაიგებდე, რომა ზაკონის დრო აღარ არის! წინათ თქვენა სწერდებოდეთ ზაკონსა. ეხლა კი მორჩებოდით და ჩაძაღლდებოდით!“ — ამ სიტყვებით მიმართავს თეიმურაზს ჯაყო.

უნდა ჩაძაღლდე, სხვა გზა არ არის, — აი საშინელი სიტყვები, რომლებსაც ახალი ცხოვრება უცხადებს თეიმურაზს ჯაყოს პირით. „ჩაძაღლდითო!“

უკეთესი სიტყვის გამონახვა თეიმურაზის მდგომარეობის გამოსახატავად მართლაც შეუძლებელია.

თეიმურაზი საკუთარი თვალით რწმუნდება, აშკარად ჰხედავს, რომ მისი ცოლი ჯაყოს საყვარელია, ხასა; მიუხედავად ამისა მას არ შესწევს იმდენი სიმტკიცე ხასიათისა და თავმოყვარეობა, რომ განშორდეს იმ ოჯახს, სადაც ის სრულებით მეტია და ჯაყოს ნოქრის თანამდებობას კისრულობს პატარა დუქანში, ოღონდ კი უცქიროს იმ ქალს, რომელსაც აღარაფერი აქვს მასთან საერთო, რომელსაც თეიმურაზი ეჯავრება და ეზიზღება.

რა დარჩენია ყოველივე ამის შემდეგ თეიმურაზს?

ერთადერთი საქმე:

ძველი კიდობნიდან ამოიღოს ძველისძველი ხატი, დაასვენოს კუთხეში, დაუნთოს სანთელი, პირქვე დაემხოს მის წინაშე და მეტანიით, ცრემლითა და სასოებით ილოცოს: უფალო ძლიერო, ყოვლის შემძლევ და სათნოიანო! მოგვეც ჩვენ დავრდომილთა და უღირსთა ძეთა შენთა მოთმინება ულეველი, მშვიდობა უსაზღვრო და რწმენა უძირო სიმართლისა შენისათაო.

აქ იშვიათის მხატვრობით არის ამოწურული სულისკვეთება ჩვენი ძველი ინტელიგენციის ნაწილისა, რომელმაც სრულებით ვერ აუღო ალღო ახალ ცხოვრებას, გზა-კვალი დაჰკარგა, სიონში ეძებს ნუგეშსა და რწმენას და გაფაციცებით თვალყურს ადევნებს, კათალიკოსის წირვა არ გამომეპაროსო.

დასკვნა?

მხოლოდ ერთადერთია:

თეიმურაზ ხევისთავს არავითარი ადგილი აღარა აქვს ახალს საქართველოში.

„ოთარაანთ ქვრივში“ თავადი არჩილი ეუბნება კესოს: „ჩვენ რაცა ვართ, გაკეთებულნი ვართ, ისინი კი — შექმნილნი, ჩვენ დაბლანდულნი ვართ, ისინი კი—გვირისტით შეკერილნი, იმ გვირისტით,

რომელიც მარტო ბუნებამ იცის და ბუნება — ხომ იცი, რა ოსტატია. ისინი ჩაკირულნი არიან, ჩვენ დონდლონი, დუნენი...

„იქა ჰდუღს ძარღვებში მოარული სისხლი, იქა სცემს თვითონ სიცოცხლის ძარღვიცა".

ამის შემდეგ არჩილი მოიგონებს გიორგის და დაუმატებს: მაგისთანა პური მარტო გლეხების თორნეში ცხვება, ჩვენს თორნეში კი მხოლოდ კუტი პურია.

ასე უყურებდა ილია ჭავჭავაძე თავადურ ინტელიგენციასა და გლეხობას.

იგივე შეხედულება, იგივე განწყობილებაა „ჯაყოს ხიზნებში", ოღონ აქ ვრცლად არის გადაშლილი და გაშუქებული ცხოვრების ფურცლებზე ამ ინტელიგენციის მთელი უმწეობა, უბადრუკობა, კუტ-პურობა

ილია ჭავჭავაძის დროს ყოველივე ეს არ იყო აშკარა, რადგანაც მაშინ არსებული წყობილება ამაგრებდა ამ ინტელიგენციას, მაგრამ ილიამ თავისი დიდი ნიჭით მაინც სისწორით დააფასა და დაახასიათა ის დონდლო — რბილი, მოდუნებული, სისხლგაციებული, კუტი პური.

სწორედ ასეთია თეიმურაზ ხევისთავი, უძველესი არისტოკრატიული გვარის წარმომადგენელი და სამაგალითო ინტელიგენტი.

ადამაშვილის თეიმურაზი იგივე არჩილია ილია ჭავჭავაძისა. ხოლო თუ არჩილი არ გვეჩვენება ისე უბადრუკად, დონდლოდ, იმიტომ, რომ ის დამკვიდრებულია მეფის წყობილებაზე, თავადაზნაურობის ბატონობა იმის საფუძველს შეადგენს და ამიტომ ისიც ბატონია.

თეიმურაზს კი ეს საფუძველი გამოაცალა რევოლუციამ და ამიტომ გამოაშკარავდა მისი უბადრუკობა, სიმჩვარე.

ილია ჭავჭავაძე თავისებურ გზას ეძებდა, მას უნდოდა წოდებათა შეთანხმება, მორიგება, ჩატეხილი ხიდის გამთელება. როგორი გზით, რა საშუალებით?

— ცრემლიანი ცოდნით, — გვიპასუხებს მისი არჩილი.

ამ ცრემლიან ცოდნაში ილია ჭავჭავაძე ჰგულისხმობს თავადობის შეგნებასა და სინდისს.

ამაში ჰხედავდა პოეტი ქართველი ერის ხსნასა და მომავლის საწინდარს.

სულ სხვაგვარად სწყვეტს საკითხს მიხეილ ადამაშვილი. მისთვის რევოლუცია არის ცხოვრების კანონი და ფაქტი.

რევოლუცია ანადგურებს თეიმურაზსაც, იმის თეორიებსაც, იმის

ცრემლიან ცოდნასაც, და აი, უკვე განადგურებულ კაცს ჯაყო ეუბნება: „ახლა კი მორჩებოდით და ჩაძაღლდებოდით“.

მკვახედ, ტლანქად არის ნათქვამი, მეტად უგულოდ და მკაცრად, მაგრამ ასეთმა კაცმა სხვა ენა არ იცის: თეიმურაზისათვის ყველაფერი გათავებულია და ის კი არ უნდა მოკვდეს ისე, როგორც მისი წინაპრები კვდებოდნენ, არა — უნდა ჩაძაღლდეს.

და მართლაც მთელი მისი ცხოვრების ბოლო ხანა განა ჩაძაღლება არ არის?

რომანში ავტორი თეიმურაზ ხევისთავს უპირდაპირებს ჯაყო ჯივაშვილს.

ვინ არის ჯაყო?

უვიცი, გაუნათლებელი, ხეპრე, მოუხეშავი.

ჯაყო არის მტკიცე, ჩაკირული, მთლიანი, გაუბზარავი, ურყევი, მკლავშაგარი, ხერხემალმტკიცე, რკინის კუნთებიანი. იმის ძარღვებში დაგროვილია აუარებელი ენერგია, მას აქვს ძლიერი ნებისყოფა, უნარი და ფხა ცხოვრებისა.

საითაც უნდა გადააგდოთ ჯაყო, რა პირობებშიაც უნდა ჩააყენოთ, ის არ შედრკება, არ დაეცემა სულით, ქალაჩუნად არ გადაიქცევა და გამოსავალს მონახავს.

მისი შეხედულება მოქნილია, როდის როგორ უნდა მოიქცეს, მან იცის და არ დაიბნევა, ცხოვრების ტალღებში გზა-კვალი არ აერევა.

მისი ერთადერთი მიზანია პირადი კეთილდღეობა. ამ მიზანს ემსახურებოდა ის ძველ წყობილებაში, ამასვე ემსახურება ის დღესაც, რევოლუციის ხანაში. მაგრამ მან საუცხოოდ იცის, რომ ახალი დრო სხვაგვარ მოქმედებას მოითხოვს ადამიანისაგან და ამის გამო ის სოფელსაც ვითომ ეხმარება, რომ ხალხის ნდობით ზურგი გაიმაგროს და უკეთ მიაღწიოს თავის მიზანს.

ყოყმანი მისთვის არ არსებობს: ის მთლად მოქმედებაა და რასაც გადასწყვეტს, უსათუოდ უნდა მოიყვანოს სისრულეში.

თეიმურაზის მთელ ქონებას ის ჩაიგდებს ხელში, შემდეგ განიზრახავს თეიმურაზის ცოლის შერთვას და მტკიცედ მოჰყავს სისრულეში თავისი განზრახვა.

გაბედული, შეუპოვარი, შეუდრეკელი — აი ჯაყო. მერყეობა, ბედის წინაშე ქედის მოხრა მისთვის უცნობია. ის იბრძვის და გააქვს ლელო.

ხოლო მთელი მისი უბედურება იმაში მდგომარეობს, რომ მისი ბრძოლა, აუარებელი ენერგია ხმარდება საპირადო საქმეს და პი-

რადი კეთილდღეობის მოსაპოვებლად ის არ ერიდება არავითარ საშუალებას, არა ჰზოგავს არავის.

ჯაყო კეთილშობილებისა და პატიოსნების გარეშე სდგას. ზნეობრივი საზომი მისთვის არ არსებობს: მისთვის კარგი, მისაღები და დასაშვებია ყველაფერი, რაც კი მას პირად კეთილდღეობას შეჰმატებს.

როდესაც ჯაყოს დააყენებთ თეიმურაზის გვერდით, უპირატესობა პირველისა მეტისმეტად აშკარაა.

თეიმურაზია ლორწო, დამდგარ წყალში დამბალი მჩვარი, ჯაყო კი რკინა და ცეცხლია, მასა აქვს ბასრი კლანჭები და ფოლადის ბილები, დროის შესაფერი კუნთები.

მიუხედავად ყველა ამ ღირსებისა, ჯაყო არის უარყოფითი პიროვნება და თეიმურაზი სისწორით ახასიათებს მას:

„— ჯაყო, დაანებე თავი რევოლუციას! თქვენ ერთმანეთს არც კი იცნობთ, რევოლუცია შენთვის მღვრიე წყალია, ხელსაყრელი ნიღაბია, მეწველი ფურია. შენ კი, შენ რევოლუციის მუნი ხარ, მისი წურბელა ხარ, მისი ტკიპი, მისი ბაღლინჯო და ტილი“.

ჯაყოს იმდენად სწამს რევოლუცია, რამდენადაც ხელს უწყობს ეს რევოლუცია იმის პირად კეთილდღეობას.

რევოლუციის მღვრიე წყალში ჯაყო თევზს იჭერს დროებით და მთელი საშინელება სწორედ ამაში მდგომარეობს მათთვის, ვისაც საქმე აქვს ჯაყოსთან, ვინც მას მაგარ ბრჭყალებში ჩაუვარდება.

მტკიცე და ამავე დროს თავხედი, ბოროტი —აი ჯაყო. სახალხო, საზოგადო მისთვის არ არსებობს, მისი გონება და მისწრაფება საპირადოს ვერ გასცილებია. ამ საპირადო გზაზე ის ფეხქვეშ სთელავს ყველას და ყოველივეს. ჯაყო გრძნობს, რომ თეიმურაზი უმწეოა და კიდეც სარგებლობს ამით.

„— ეხლა მე გწერ კანონებსა შენა! ჯაყო გწერს კანონსა, ჯაყო! მაშ, მაშ! გაიგებდეს ამასაც, გაიგებდეს!“ — ამაყად ეუბნება ჯაყო თეიმურაზს.

განა მართლა ჯაყო სწერს კანონებს?

რა თქმა უნდა, არა.

ჯაყოსთანა პირები ყოველთვის ბლომად არიან, მაგრამ ხშირად არა სჩანან, ფრთებს ვერა შლიან. ხოლო რევოლუციის ქარცეცხლში, როდესაც ძველი ყოველივე ინგრევა და ახალი კი ჯერ საკმაოდ არ განმტკიცებულა, ჯაყოსთანა პირები ხშირად სარგებლობენ გარემოებით და მართლაც სწერენ თავისებურ კანონებს, ე. ი. სრულ თავისუფლებას აძლევენ თავის ძალმომრეობას, უკანონობასა და აღვირ-

ახსნილობას, ვიდრე რევოლუციის სამართალი შეამჩნევდეს მას და სტაცებდეს ხელს.

ასეთია ჯაყო. მასში არის დიდი ძალა, „ვარ უმაგრესი რვალისა“, თამამად შეუძლია გაიმეოროს ტარიელის სიტყვები, მაგრამ ეს ამოდენა ძალა ხმარდება ბოროტს და არა კეთილს. მიეცით ჯაყოს შეგნება, გააშუქეთ მისი გონება და მაშინ ჯაყო მართლაც გახდება ადამიანი.

პირველის შეხედვით გაუგებარია, როგორ გაჰყვა ასეთ ადამიანს თეიმურაზის მეუღლე მარგო?

„მაგრამ როდესაც ჩაუკვირდებით მარგოს და თეიმურაზის ბუნებას და გაითვალისწინებთ იმ პირობებს, რომელშიაც ცოლ-ქმარი მოექცა, დარწმუნდებით, რომ ავტორი მართალია.

თუ კი სასახლის ქალები და თვით დედოფალი ფეხქვეშ ეგებოდნენ ტლანქსა და უხეშ რასპუტინს, განა გასაკვირალია, რომ მარგო ჯაყოს დამორჩილებოდა?

ისეთ პირობებში ჩაუვარდა მარგო ხელთ ჯაყოს, რომ არავითარი გამოსავალი არა ჰქონდა.

ეთქვა ქმრისათვის?

რა გამოვიდოდა! მან ძალიან კარგად იცოდა, რომ თეიმურაზი სრულებით უძლური და უმწეო იყო.

თვითონ მარგოს გადაედგა რაიმე ნაბიჯი შექმნილი მდგომარეობის დასაძლევად?

არ უნდა დავივიწყოთ, რომ მარგო იმავე წრიდან არის გამოსული, საიდანაც თეიმურაზი, უნებო ქალს რევოლუციამ სულ გამოაცალა ნიადაგი და თეიმურაზსავით დააბეჩავა, უმწეოდ აქცია.

ამავე დროს მარგო ქალია, ჯერ კიდევ ახალგაზრდა და მისმა ქალურმა ბუნებამ ჯაყოსთან ერთ ღამეს განიცადა ის, რაც არ განუცდია თეიმურაზთან მთელი ათი წლის განმავლობაში.

ეს მომენტი ავტორს ზედმეტის სინამდვილითა აქვს აწერილი, ენებიანი ღმუილი სრულებით არ იყო საჭირო.

მე ვამჯობინებდი კნუტ ჰამსუნის ხერხს — ის წერტილს დასვამს იქ, სადაც ყოველი სიტყვა უკვე ტლანქია.

მაგრამ ფსიქოლოგიურად ავტორი მართალია. ამის შემდეგ მარგო მიენდო ბედს და ბედმა ის გადააქცია ჯაყოს ხასად.

ამის შემდეგ რალა უნდა ექნა? სამუდამოდ მიაფურთხა იმ ჭიას, რომელსაც თეიმურაზი წარმოადგენდა და ჯაყოს ხასობას ისევ ცოლად გაყოლა ამჯობინა.

თეიმურაზ ხევისთავი მეტად რბილი, უნებო პიროვნებაა. მაგრამ ფსიქოლოგია მისი საკმაოდ რთულია, მისი ტრაღედია საშინელი და

ჰისი ტანჯვა მეტად ძლიერი. ფსიქოლოგიის გაშუქებაში მიხ. ჯავახიშვილი დიდი ხელოვანი და იშვიათი ოსტატია. ასეთი ანალიზი ჩვენი ინტელიგენციის ერთი ნაწილის სულიერი ავადმყოფობისა ჯერ ერავის მოუცია ჩვენს სიტყვაკაზმულ მწერლობაში.

„ჯაყოს ხიზნები“ არის სატირა ჩვენი თავადაზნაურული ინტელიგენციისა, სატირა ულმობელი, სასტიკი და დაუნდობელი. მაგრამ ამავე დროს მიხ. ჯავახიშვილი მიუდგომელი და სრულიად ობიექტურია.

თავხედი, ხეპრე, მტკიცე და შეუდრეკელი, ფოლადივით მაგარი ჯაყო მეტად ცოცხლადა აქვს ავტორს დახატული.

ცოტა უფრო მკრთალია მარგოს სურათი.

ალაგ-ალაგ არის გადაჭარბებული მსჯელობა, მაგრამ საერთოდ „ჯაყოს ხიზნები“ დიდი შემატებაა ჩვენს სიტყვაკაზმულ მწერლობაში.

1925

იონა ვაკელი. ახალი პოემა „ევროპა“

ყოველ საღ ადამიანს ახასიათებს მისწრაფება, სურვილები. ადამიანი თავისი მისწრაფებით განკერძოებულად კი არა სდგას, არამედ უერთდება ამა თუ იმ ჯგუფს, კლასს, წოდებას. ამის გამო პირად მისწრაფებასა და სურვილებშიაც კი კლასის, წოდების ზრახვანი გამოსჭვივიან.

პოეზია არის ანარეკლი კლასობრივი სულისკვეთებისა, კლასობრივ ზრახვათა.

რადგანაც ცხოვრებაში გაბატონებული და ძალაუფლებით აღჭურვილი კლასი თავის მიზნებს უმორჩილებს ყველაფერს, ამიტომაც ყოველ განსაზღვრულ დროს პოეზია ემსახურება გაბატონებული კლასის მიზნებს და გამოსახავს ამ კლასის რთულ მეობას.

აიღეთ პოეზია ფეოდალური ხანისა და პოეზია ბურჟუაზიისა, — სულ სხვადასხვა არის მარტო ფორმით კი არა, შინაარსითაც.

ის აზრი, თითქოს იცვლებოდეს მხოლოდ ფორმა და არა შინაარსი, სრულებით შემცდარია: ყოველ კლასს აქვს თავისი ფორმა და თავისი შინაარსი.

აიღეთ სასიყვარულო მოტივი ფეოდალური პოეზიისა და ბურჟუაზიულისა. განა აქ ერთი და იგივე შინაარსია? რა ვუყოთ, რომ იქაც სიყვარულია და აქაც.

საქმე იმაშია, რომ სულ სხვა არის ფეოდალური პოეზიის სიყვარული, სულ სხვაა სიყვარული ბურჟუაზიული პოეზიისა.

დღეს ძალაუფლება პროლეტარიატის ხელშია. ცხოვრებაში ის გაბატონდა. ცხადია, მან უნდა დაუმორჩილოს თავის მიზნებს პოეზიაც; პოეზია უნდა შეიქნეს პროლეტარიატის ზრახვათა და მისწრაფებათა გამომსახველი. ეს უნდა მოხდეს და მოხდება კიდეც სრულიად ბუნებრივად და არა ძალდატანებით, როგორც ბევრსა ჰგონია ჩვენში.

ერთბაშად, დაკვრის წესით პროლეტარული პოეზიის შექმნა

შეუძლებელია, — ამას უნდა დრო და პროლეტარიატის გონებრივად ამაღლება და დაწინაურება.

ხელოვნების შესაქმნელად საჭიროა მძაფრი გარდატეხა მოხდეს კულტურის სფეროშიც.

დღევანდელი დრო წარმოადგენს გარდამავალ ხანას. ასეთს ხანაში დიდი მიღწევები ხელოვნების ახალ გზებზე შეუძლებელია; ასეთს ხანას ახასიათებს მხოლოდ ძიება და ამგვარი ძიება ახალი შინაარსისა და ახალი ფორმისა ჩვენში საკმაოდ მძლავრად სჩქეფს.

ძველი ფორმების უარყოფა ჩვენში ხშირად პოეზიის უარყოფას უდრის. ხშირად შეხვდებით ისეთს ფორმას, სადაც არ მოიპოვება არავითარი ნასახი მშვენიერებისა და უხეიროდ აკიბული კორესპონდენცია ახალი ძიების პოეზიად საღდება.

რუსეთში განსაკუთრებით ორიგინალურია პოეტი მაიაკოვსკი. ახალი ფორმისა და შინაარსის ძიებაში. იმის უკანასკნელ ლექსებში სრულებით უარყოფილია ძველი ფორმები, იმისი ლექსები რევოლუციისა სრული განადგურებაა ძველი ლექსთა წყობის კანონებისა; მაგრამ შიგ დაცულია ერთი რამ — მშვენიერება; იქ არის რიტმი ცეცხლისა და ქარიშხლის მელოდია, უაღრესი დინამიურობა და შინაგანი სილამაზე.

ასეთს გზას უნდა დაადგნენ ჩვენი პროლეტარული მგოსნებიც. მე არ ვიზიარებ იმ დებულებას, რომ ძველი ფორმები მაინცა და მაინც სრულებით უნდა განიდევნოს: სანამ არ არის მონახული უკეთესი, ძველი ფორმებიც გამოსადეგია; ხოლო ახლის მაძიებელს არ უნდა ავიწყდებოდეს, რომ ამ ახალში მშვენიერება და ჩვენი დროის ტემპი, დინამიურობა, გრიგალისნაირი რღვევა ჩაქსოვილი უნდა იყოს ერთმანეთში.

უკანასკნელ დროს ჩვენში ბევრჯერ შეხვდებით ისეთს ლექსებსა და პოემებს, საღაც არის ძიება ახლისა, მაგრამ არავითარი პოეზია არ არის შიგ.

იონა ვაკელის „ევროპა“ ამ მხრივ გამონაკლისს წარმოადგენს. ავტორი ეძებს ახალ ფორმას, ახალ შინაარსს. მაგრამ ამ ძიების დროს მას ხელთ უპყრია მშვენიერების ყავარჯენი და არსად არ ავიწყდება, რომ ყოველივე ახალი იმდენად არის მისაღები, რამდენადაც შიგ პოეზია არის.

იონა ვაკელი ეკუთვნის პროლეტარული პოეტების წრეს. მისი მიზანი პროლეტარიატის მიზანია, მისი მისწრაფება — პროლეტარიატის მისწრაფება.

ახალს ქვეყანაში მას უნდა შევიდეს ახალი სიტყვით, ახალი ფორმით; ის სულ ახალგაზრდა მგოსანია, რევოლუციის ტალღებში

წარმოშობილი, მაგრამ მტკიცედ, გაბედულად და იმედიანად მიდის წინ. როდესაც შეადარებთ იმის ახალ პოემასა და ძველ ნაწერებს, დარწმუნდებით, რომ იონა ვაკელი გაიზარდა, ბევრი ნაკლი, რომელიც წინათ ემჩნეოდა, მოიშორა; ლექსი უფრო გამართულია და დაწმენდილი, სიტყვა დახვეწილი და სუფთა.

ახალს პოემაში პოეტი ცდილობს მოგვცეს თანამედროვე ევროპის სურათი. თემა მეტისმეტად რთულია და ძნელი; ჯერჯერობით ისეთი ახალგაზრდა მგოსანი, როგორიც იონა ვაკელია, ასეთს თემას ვერ დაჰრევს ხელს და ვერ დასძლევს.

მგონია ვირგილიუსს ეკუთვნის შემდეგი სიტყვები: თუ ძალღონე არ გასწვდა, სურვილი მაინც საქებარიაო.

იონა ვაკელის განზრახვაც საქებარია, რადგანაც მისი პოემის ზოგიერთი ადგილი ამტკიცებს, რომ პოეტში არის შესაძლებლობა დიდი ტვირთის ზიდვისა, თუ კი ამ შესაძლებლობას ის ხელს შეუწყობს და განავითარებს.

პარიზის კომუნის დასურათება ცოტა მკრთალი გამოვიდა, ხოლო კარგია ბანკირის ცოლი, რომლის

გული სევდებით
გაბასრულია,
რომ ეს ქვეყანა
რჩება სრულიად
ბრბოს შავსისხლიანს,
ჩაეანგულ მონებს.

საუცხოოდაა დახატული ევროპის კოლონიური პოლიტიკა და ბურჟუაზიის სურათი.

ევროპის ბურჟუაზია წურბელასავით სისხლსა სწოვს ახალშენებს, მონობის მუხრუჭებს უჭერს იქაურ ერებს და ამავე დროს თანასწორობა და ხალხთა ერთობა აკერია ენაზე.

ავტორი განსაკუთრებით გამარჯვებულია იქ, სადაც დაპირისპირებულია ფუფუნებაში ჩაფლული ბურჟუაზია და მშიერი ქუჩა.

გარეგნულ უდარდელობასა და საქმიანობაში გამოსჭვივის შიში და უიმედობა, რაც ავტორს სისწორითა აქვს ასახული:

ტრიალებს ირგვლივ
საერთო შიში,
ყველა უცნაურ
დაღუპვას ელის,
გადაგვარება
მოდგმის და ჯიშის,

ყოფნა უმწეო
და საკვირველი.

—

ევროპას სტანჯავს
უიმედობა.
მას ეშინია
შურისმგებელის. —
რომელსაც მოაქვს
ცეცხლი და წვიმა,
რომელსაც მოაქვს
მეხი და ქარი.

ავტორის რწმენაა შემდეგი: ბურჟუაზიული ევროპა ჩიხში მოექცა; მისი დაღუპვა აუცილებელია და ბურჟუაზიის ალაგს დაიკავებს მშრომელი ხალხი.

ალაგ-ალაგ ავტორს შეჰპარვია მაინც ცუდი ქართული: გვ. 7— „ბედუინები სწყევლის, აგინებს"; გვ. 12 — „გმირები — ენთება"; გვ. 15 — „ესენი ადგენს ჩვენ ქვეყნის გეგმებს"; გვ. 48 — „მუშებს ნე შენს უფრო ვიცავ"; გვ. 54 — „აი მაქ გდია".

1925

ჩვენი თეატრი

უსახლკარო, უბინაო, ღარიბი, ღატაკი ქუჩა-ქუჩა დადიოდა ანთებული ჩირაღდნით ხელში.

შინ არავინ უშვებდა, ყველა სდევნიდა; მხოლოდ თითო-ოროლა გულშემატკივარი თუ გაუღებდა კარს და თავს შეაფარებინებდა.

შიმშილი, წყურვილი, სიშიშვლე, სიცივე მისთვის არაფერი იყო; გაჭირვებას გმირულად უხვდებოდა და მოთმინებით იტანდა; მისი ერთადერთი საზრუნავი იყო, ანთებული ჩირაღდანი ჩაენერგა ხალხის გულში და გაებრწყინებია მისი გონება.

ხალხის მტრები უკან დასდევდნენ და მოსვენებას არ აძლევდნენ მას, სდევნიდნენ, ცდილობდნენ იმის ხელში ანთებული ჩირაღდნის ჩაქრობას. იშვიათის სიყვარულითა და თავგანწირვით უვლიდა ის თავის ჩირაღდანს.

დადიოდა ქალაქიდან ქალაქად, სოფლიდან სოფლად, ეძებდა თანამგრძნობს, მეგობარს.

ყბად იღებდნენ მას, დასცინოდნენ, მაგრამ ვერავინ გასტეხა, ვერაფერმა სძლია.

გაიარა ათეულმა წლებმა და აბა შეხედეთ: ის ამაყადა სდგას შვილებითა და შვილიშვილებით გარშემორტყმული.

მთელ ხალხს მოუყრია იმის გარშემო თავი. მეგობართა და მოკეთეთა რიცხვი უამრავია.

ყველას ანთებული ჩირაღდანი უპყრია ხელში.

ჩირაღდნებით არის განათებული ქალაქები, დაბები, სოფლები, სინათლის შუქი ეფინება ყველგან.

— ჩირაღდანი, მოგვეცით ჩირაღდანი! — გაისმის დღეს მიყრუებულ სოფლებიდანაც კი.

ვინ არის ის გაუტეხელი და გამარჯვებული?

ქართული თეატრი. არარაობიდან იშვა. უბინაო იყო, ყოველგვარი დაბრკოლება ეღობებოდა წინ, მსახიობ ქალს ვერა შოულობდა,

რადგანაც ეს სათაკილო ხელობად ითვლებოდა; კერძო ბინაზე იმართებოდა წარმოდგენა ხშირად ურეპეტიციოდ.

მაგრამ თეატრმა სძლია ყოველგვარი დაბრკოლება, გადალახა ყოველგვარი მტერი და ანთებული ჩირაღდანი ხელიდან არ გააგდო, მისი შუქი არავის ჩააქრობინა და ხალხის გულში შეიტანა.

თეატრი ჩვენში მარტო ხელოვნება კი არ იყო, ის იყო სკოლა, ტრიბუნა, რომელიც გრძნობას აღვიძებდა, გონებას აფხიზლებდა, გულში ცეცხლს ანთებდა და მომავლის იმედებს ზრდიდა.

თვითმპყრობელობის მუხრუჭებში სულშეხუთულ ქართულ თეატრში გვესმოდა ზოგჯერ გადაკრული, ზოგჯერ ორაზროვანი, ზოგჯერ თავისუფალი სიტყვა და თავისუფლებას მოწყურებულნი ვეტანებოდით მას.

ქართული თეატრი იყო უდიდესი ტაძარი, რომელშიაც ხელოვნება ბევრჯერ სუსტი იყო, მაგრამ მუდამ ენთო ცეცხლი მშრომელი ხალხის სიყვარულისა.

და ჩვენც მივდიოდით იქ, როგორც ტაძარში, იშვიათის აღფრთოვანებით და გატაცებით ვცემდით თაყვანს იმის პირველ ქურუმებს.

დღეს, როდესაც მშრომელმა ხალხმა გაიმარჯვა და თვითმპყრობელობის ნანგრევებზე აღმართა თავისი დროშა, ეს გამარჯვება ამავე დროს ქართული თეატრის გამარჯვებაც არის: ის აღვიძებდა და უყიოდა მშრომელ ხალხს, ის ანთებდა ბრძოლის ცეცხლს და აკვანს ურწევდა თავისუფლების სიყვარულს.

დიდება და გამარჯვება ქართულ თეატრს!

1925

მუშათა კლასის მწერალი

ყოველი ჩვენგანი დღეს მოწმეა უდიდესი საზოგადოებრივი მოვლენებისა. ისტორიის პატარა მანძილსაც კი რომ გადავავლოთ თვალი, ისეთს რასმე დავინახავთ, რომ დასაჯერებლადაც კი ძნელია.

განა დიდმა დრომ განვლო მას აქეთ, როდესაც ვეებერთელა რუსეთის იმპერიას ნიკოლოზი, ერთი მუჭა თავადები და ბურჟუები განაგებდნენ, მუშათა კლასი კი დევნილი იყო, გაყვლეფილი და დამონებული?

დღეს კი ყოველივე ეს გაჰქრა, ვითა სიზმარი ღამისა. თითქოს არცკი ჰყოფილიყოს და ყოველივე ამის ნაცვლად მუშათა კლასის დიქტატურაა. სამოქალაქო ომში აშლილი გრძნობა თანდათან დაშოშმინდა, აზრმა, გონებამ მოიწმინდა, ნათლად გამოისახა ახალი ქვეყანა, ახალი ცხოვრება და დღეს ყველა ცდილობს პირი იბრუნოს აღ ახლისაკენ, ემსახუროს მუშათა კლასის ინტერესებსა და მომავალს. მაგრამ ასე არ იყო გუშინ, როდესაც ნიკოლოზის რეჟიმი პარპაშობდა: ბატონებს ემსახურებოდა ყოველივე — მწერლობაც, ხელოვნებაც. მუშათა კლასის სამსახური დღეს საპატიო ხელობაა. გუშინ კი ეს იყო აღიარებული უდიდეს ბოროტებად, მეამბოხეობად, ღალატად, რისთვისაც სდევნიდნენ და სასტიკად სჯიდნენ.

ძნელი იყო, მეტად ძნელი ეს საქმე: ის ითხოვდა უდიდეს მსხვერპლს, მაგრამ იყვნენ ისეთი ფანატიკოსები, რომლებიც არავითარ მსხვერპლს არ ერიდებოდნენ მუშათა საქმის გამარჯვების გზაზე:

გულადთ სიგიჟეს ვუმღერ დიდებას!

ამ ფანატიკოსებმა მოუპოვეს მუშათა კლასს გამარჯვება და ეაფრიალეს თვითმპყრობელობის ნანგრევებზე პროლეტარიატის წითელი დროშა.

მათ გუნდს ეკუთვნის ირეთელიც, ის იბრძოდა პროლეტარიატის წითელი დროშის ქვეშ. პროლეტარიატის საერთო მიზნის გამა-

რჯვებისათვის, იბრძოდა საქმით, იბრძოდა კალმით და დღეს, როდესაც მუშათა კლასი ჩვენში გამარჯვებულია, ეს გამარჯვება არის ამავე დროს ირეთელის გამარჯვებაც; ამ გამარჯვებისათვის ის იტანჯა, განიცადა დევნა. ციხე, ციმბირი და მუშათა კლასის ბედის გამოსაჭედ ქურაზედ თვითონაც მიიტანა ერთი ნაკვერჩხალი.

ბურჟუაზიული და არისტოკრატიული ნაწილი ჩვენი საზოგადოებისა ირეთელს ნაკლებად იცნობს ან უფრო არა სცნობს. ეს ასეც უნდა ჰყოფილიყო: ირეთელს მასთან არა აქვს საქმე, მისთვის არა სცალია, იმის ზრახვათა და მისწრაფებათა გამომსახველი არ არის, —

სხვაგან ჰქრის მისი გონება.

სამაგიეროდ დაეკითხეთ ნაძალადევს, მუშათა უბანს. იცნობენ თუ არა იქ ირეთელს და მთელი მუშები ერთხმად იგრიალებენ: ჩვენი ირეთელი, ჩვენი ირეთელიო.

რატომ?.

იმიტომ, რომ ირეთელი მუშების საყვარელი მწერალია, მუშების საბოლოო მიზნისთვის თავდადებული, მუშების მომავლის მოტრფიალე. სულ ზერელედაც რომ გადაავლოთ თვალი ირეთელის ცხოვრებასა და თავგადასავალს, დარწმუნდებით, რომ მან მთელის თავისი არსებით შეიყვარა მუშათა კლასი და იმის ბედს გადააჯაჭვა საკუთარი ბედი.

დაიბადა ირეთელი გურიის სოფელ ხიდისთავში 1876 წელს. პირველდაწყებითი სწავლა მიიღო ბასილეთის სოფლის სკოლაში. აქედან ის გადადის ოზურგეთის სასულიერო სასწავლებელში და შემდეგ თბილისის სასულიერო სემინარიაში. 1893 წელს სემინარიაში მოხდა არეულობა. ირეთელი არეულობაში ღებულობს მხურვალე მონაწილეობას და ამის გამო სემინარიიდან ითხოვენ. 1895 წელს ისევ იღებენ სემინარიაში, მაგრამ ერთი წლის შემდეგ კვლავ ითხოვენ არეულობაში მონაწილეობის მიღებისათვის. ამის შემდეგ ირეთელი უბრუნდება სოფელს და სოფლის მუშებში შეაქვს ცოდნა, შეგნება და განვითარება. 1899 წელს ირეთელი გადმოდის თბილისში და მთელი თავისი ახალგაზრდული გატაცებით ებმება მუშათა მოძრაობაში. ირეთელს უკან დასდევენ ჯაშუშები, მაგრამ ის მაინც ახერხებს გაძრომას, კვალის წაშლას და მუშაობის გაგრძელებას. 1901 წელს მას იჭერენ და ირეთელი წელიწადნახევარს ზის ციხეში. შემდეგ ანთავისუფლებენ. ირეთელს თავისუფლება მხოლოდ იმისთვის უნდა, რომ ერთხელვე არჩეული სახიფათო გზა განაგრძოს.

ირეთელს ასეთი მოღვაწეობისათვის ისევ მალე აპატიმრებენ და სამის წლით ასახლებენ აღმოსავლეთ ციმბირში. ციმბირიდან

ირეთელი ბრუნდება თბილისში 1905 წელს და მტკიცედ ჰკიდებს კალამს ხელს. ხან ჩხრეკენ იმის ბინას, ხან აპატიმრებენ, ხან იმალება, ბევრჯერ მთელი წლობით სცხოვრობს სხვისი პასპორტით. ასეთს მდგომარეობაში უსწრებს მას რუსეთის დიდი რევოლუცია, რომელიც ანიჭებს თავისუფლებას როგორც მუშათა კლასს, ისე მისი ბედის თანამოზიარე მწერალს.

რატომ სდევნიდა ნიკოლოზის მთავრობა ასე ირეთელს?

იმიტომ რომ ირეთელს თავისი სიტყვით, კალმითა და მოქმედებით შეჰქონდა შეგნება, თვითცნობიერება მუშათა კლასში.

მუშა ხალხში რაიმე შეგნებისა და გათვითცნობიერების გაღვივება შეუძლებელია ისე, თუ არ გააშუქეთ, არ აჰხადეთ ფარდა კლასთა ბრძოლას, ასეთს გათვითცნობიერებას კი მუშათა კლასი აუცილებლად მიჰყავს რევოლუციისაკენ.

ირეთელი თავისი კალმით პროლეტარულ რევოლუციას ემსახურებოდა.

ჩვენს დროშიაც კი იმართება კამათი იმის შესახებ, არის თუ არა ხელოვნება კლასობრივი თუ ზეკლასიური. განსაზღვრული დროის ხელოვნებაში სხვადასხვა კლასს აქვს საერთო რამე — ფერადები, ტონები, სტილი და სხვ., მაგრამ ხელოვნება, როგორც გამომხატველი ადამიანის ზრახვათა და მისწრაფებათა, კლასობრივი მოვლენაა. ხელოვნება ემსახურება კლასს, გამოჰხატავს ამა თუ იმ კლასის მისწრაფებას, მიზანს, იმედებს, ოცნებას, ჭმუნვას, სევდას, გატაცებას.

ირეთელმა შეიტანა მარქსისტული თვალსაზრისი ხელოვნებაში და თავის მიზნად დაისახა კლასთა ბრძოლის გაშუქება, გაღვივება და მით მშრომელი ხალხის გადაქცევა ერთ დიდ დარაზმულ და შეკავშირებულ მებრძოლ ჯარად.

ლიტერატურული მოღვაწეობა ირეთელისა მრავალმხრივია, იმის კალამს ეკუთვნის მოთხრობები, სცენები, სატირები, პიესები. მაგრამ ეს მრავალფეროვანი ლიტერატურული მოღვაწეობა აკინძულია ერთ მთავარ ძარღვზე: ეს გახლავთ კლასთა ბრძოლის გაშუქება და მშრომელი ხალხისათვის თვალის ახელა.

ასეთს მოღვაწეობას მე ვუწოდებდი სარევოლუციო სამზადისს. სხვებთან ერთად ირეთელი თავისი კალმით რევოლუციის ცეცხლს აღვივებდა. წაიკითხეთ ირეთელის მოთხრობები, სცენები, პიესები— სხვადასხვა თემა, სხვადასხვა სიუჟეტი, სხვადასხვა შინაარსი, მაგრამ ამ სხვადასხვაობაში არის ერთი რამ საერთო: მშრომელი ხალხის ინტერესის დაცვა და დაჩაგრულის სიყვარული.

თავისი მიმართულებით ირეთელი არის რეალისტი. ის იღებს

ცხოვრებას. როგორც არის ნამდვილად, ფარდასა ჰხდის მას და ააშკარავებს სოციალურ უსამართლობასა და კლასთა ბრძოლის აუცილებლობას. მისი მოთხრობების შინაარსი აღებულია უმთავრესად მშრომელი ხალხის ცხოვრებიდან. ბრძოლა, დამარცხება, ტანჯვა, წამება და კვლავ ბრძოლა — აი საერთო დედააზრი მისი მოთხრობებისა. ცხოვრების ანალიზით ირეთელი უსურათებს მუშათა კლასს, რომ გარეშე ბრძოლისა მისთვის არ არსებობს არავითარი გზა. ბრძოლის გზა ეკლებით არის მოფენილი, ტანჯვა, მსხვერპლი, დამარცხება აუცილებელია; მაგრამ ყოველივე ეს ბოლოს და ბოლოს წარმოშობს სრულ გამარჯვებას და ამ საბოლოო გამარჯვების სრული რწმენით არის ჩაკირული ირეთელის მთელი შემოქმედება.

„რაკი ერთხელ შევდგი ფეხი ამ საბედისწერო გზაზე, უკან დახევა შეუძლებელია. უნდა გავსწიო წინ! წინ! ან სიკვდილი, ან გამარჯვება!“—ასე აცხადებს ირეთელის ერთი მოთხრობის გმირი (სანდრო ქარვაძე. „საბედისწერო გზით“). ის იღუპება, მაგრამ დარწმუნებულია, რომ მომავალი მაინც მუშათა კლასს ეკუთვნის.

ირეთელის მოთხრობებში დასურათებულია მთელი რიგი მუშათა კლასის თავისუფლებისათვის მებრძოლებისა, რომლებიც გმირულად იღუპებიან დიადი საქმისათვის და ამ გმირობას ჰპოვებენ იმ შეუდრეკელ რწმენაში, რომ ჯალათებისა და მტარვალების დღე დათვლილია და მშრომელი კლასის გამარჯვება უზრუნველყოფილი. ირეთელს განსაკუთრებით უყვარს ნინოშვილი და ბევრგან ემჩნევა ამ ბელეტრისტის გავლენა. ირეთელის ალმასხან და თარხან ფიხთიხიძეები საკმაოდ ენათესავებიან ნინოშვილის დროიძეებს.

ირეთელს უფრო იცნობენ, როგორც დრამატურგს. იმის კალამს ეკუთვნის შემდეგი პიესები: „დამარცხებულნი“, „ქრისტინე“, „სოფლის გმირები“, „ნიაღვარი“, „პირველი ზარი“, „ბედნიერი დღე“. „ორშაბათი“ (ერთმოქმედებიანი ვოდევილი) და „კალმისათვის წამებული“ (ერთმოქმედებიანი კომედია).

პიესებშიაც ირეთელი ისევე რეალისტია, როგორც მოთხრობებში; საერთო დედააზრიც იგივეა, რაც მოთხრობებში: კლასთა ბრძოლის გაშუქება და მუშათა კლასის ინტერესების დაცვა.

განსაკუთრებით ცნობილია მუშათა წრეებში ის პიესები, რომლებიც ირეთელს გადმოუკეთებია ნინოშვილის მოთხრობებიდან. ნინოშვილთან აერთებს ირეთელს საერთო მიზანი, საერთო მისწრაფება, საერთო შეხედულება, ერთნაირი მსოფლმხედველობა და ამიტომაც ირეთელს განსაკუთრებით ემარჯვება პიესების შექმნა ნინოშვილის მოთხრობებიდან. ირეთელის პიესებში ჩვენი ცხოვრების სინამდვილე ხელოვნებითაა ასახული, ავტორს ახასიათებს ბუნებრივი ზომიერე-

ბა; მას არ უყვარს ყალბი ეფექტები შთაბეჭდილებისათვის; ცხოვრება გადმოტანილია სცენაზე და სცენა თვით ცხოვრებაა.

ირეთელის ნიჭს ახასიათებს სხვათა შორის სატირა და იუმორი. მისი სატირა ხშირად მწარეა, მაგრამ ამავე დროს ლაღი.

ირეთელის ენა და სტილი არის მშრომელი ხალხის ენა და სტილი. ირეთელი ღრმად ჩასწვდა მშრომელ ხალხს გულში, გაიზიარა მისი ბედი და მისი ვარამი, ამოუდგა გვერდში, არ დაერიდა არავითარ დევნასა და მსხვერპლს და ეს მძიმე, მაგრამ მეტად საპატიო და სასახელო ტვირთი მან ღირსეულად ჰზიდა ოცდახუთი წელიწადი, ისე რომ ერთხელაც არ გახრილა მისი კალამი, ერთხელაც არ გადაუხვევია. ერთხელაც არ დავიწყებია მუშათა კლასი და მისი მიზანი.

გაუმარჯოს მუშათა კლასს! ვაშა მუშათა კლასის მწერალს ირეთელს!

1925

„ჰამლეტი“ ჩვენს სცენაზე

არა მარტო როგორც ტრაგედია, არამედ როგორც ლიტერატურული ნაწარმოები „ჰამლეტი“ უდიდესი შემოქმედებაა. რა მხრივაც უნდა გაზომოთ ის, გამოიტანთ ერთსა და იმავე დასკვნას: „ჰამლეტი“ ადამიანის გონების გასაოცარი ნაყოფია. ყოველ სტრიქონში, ყოველ სიტყვაში უდიდესი ცოდნა ცხოვრებისა, ადამიანის ბუნებისა, სიბრძნე, სიმახვილე, უაღრესი სილამაზე. აქ გადალახულია ყოველგვარი სიძნელე, მიღწეულია ყოველგვარი შესაძლებლობა. ამიტომაც „ჰამლეტი“ უკვდავი საგანძურია ლიტერატურის სალაროში.

„ჰამლეტი“ მთელი ეპოქაა, მთელი კულტურა. დანიის სევდიანი პრინცის სახით აქ მოცემულია გასაოცარის ინტუიციით მთელი ევროპა რამდენიმე საუკუნის მანძილზე. შექსპირი „ჰამლეტში“ მარტო შემოქმედი კი არ არის, — ის არის წინასწარმეტყველი, რომელიც საუკუნეებს გადაჰლახავს და გვაძლევს უტყუარ სურათს დღევანდელი ევროპის ინტელიგენციისას: სიბრძნე და დიდი განვითარება — ერთის მხრივ, ნასიათის დაუძლურება და დეკადანსი — მეორეს მხრივ.

ამიტომაც „ჰამლეტის“ დადგმა — განსაკუთრებით ჩვენს დროში — მეტისმეტად ძნელ საქმეს წარმოადგენს: გადასალახავია არა ერთი და ორი, არამედ მრავალი სიძნელე.

არის კიდევ ერთი სიძნელე — თანამედროვე მაყურებელი.

ჩვენი დრო არ მიმდინარეობს მდორედ, როგორც შექსპირის დრო, როდესაც ადამიანმა არ იცოდა, როგორ მოეკლა დრო. ჩვენი დრო მიჰქრის ჰაეროპლანებით და რადიოთი; ჩვენი პლანეტა პატარა ბურთად გადიქცა, ჩვენი სიცოცხლე — ერთ წამად. თანამედროვე ადამიანი დატვირთულია ფიქრით, საქმით, საზრუნავით, მისწრაფებით. შექსპირის ტრაგედიისათვის მას აღარა სცალია. როგორ გინდათ გააჩეროთ ის თეატრში ოთხი-ხუთი საათი, როდესაც მას სრულებით არა აქვს დრო და დიდის გაჭირვებით გაიმეტებს ერთ საათს

მხოლოდ იმ პირობით, რომ ამ ერთ საათში ყოველისფერი მისცეთ, ყოველივე აჩვენოთ. მოატაროთ ამერიკა, აფრიკა, გაამხიარულოთ და დროზედ გაუშვათ შინ!

მეტად გამბედავი უნდა იყოს რეჟისორი, მეტად მტკიცედ უნდა იყოს დაყრდნობილი საკუთარ ძალღონეზე, რომ ასეთს პირობებში „ჰამლეტის“ დადგმა გადასწყვიტოს.

მარჯანიშვილმა დაიქადა: „ჰამლეტს“ დავდგამო. მაგრამ შეეძლო განა მას გაემეორებია ფრიდონის სიტყვები, „ძალი შემწევს ქადილისაო“?

გულის ძგერით მოველოდი ფარდის ახდას, რადგანაც ვშიშობდი: ჩვენი თეატრი არ დაცემულიყო.

მერე რა ვიხილე? გასაოცარი სანახაობა: ჩვენი თეატრის ამაღლება და როგორი ამაღლება! როგორიც იშვიათია ჩვენი კი არა, საზოგადოდ თეატრის ისტორიაში.

თამამად შემიძლია ვთქვა, რომ მარჯანიშვილმა გადააცილა ჩვენი თეატრი ხელოვნების უმაღლეს მწვერვალებს და ქართული სცენა გადააქცია მსოფლიო სცენად. თავისი ფორმით „ჰამლეტის“ დადგმა არის სრულებით ახალი, ახალია მიზანსცენები, ახალია ფერები, ახალია საერთოდ მთელი ფორმის გაგება და გამოსახვა, ფერებში მოცემულია მთელი შინაარსი სურათისა და აქ განცვიფრებაში მოჰყავს მაყურებელი მხატვარს.

ახალ ფორმას დადგმისას მდიდარ შინაარსს აძლევს ახალი გაგება „ჰამლეტისა“. სამი საუკუნის წარსულიდან „ჰამლეტი“ გადმოტანილია ჩვენს თანამედროვეობაში, დაახლოებულია ჩვენთან და თითქოს საკუთარ გულის თრთოლვასა და ჰმუნვას ვუმზერთ.

ამ სიახლის ავტორი არის ალ. ახმეტელი.

ამ ტრიომ — მარჯანიშვილმა, ახმეტელმა და გამრეკელმა — შეასრულეს უდიდესი ეროვნული საქმე: ქართული თეატრი აიყვანეს ხელოვნების მწვერვალებზე.

„ჰამლეტი“ ისეთი ტრაღედიაა, სადაც დიდი და პატარა როლი არ არსებობს: ყველა როლი დიდია იმ მნიშვნელობით, რომ მხოლოდ დიდი თამაში ყოველი როლისა უწყობს ხელს მთავარი ფიგურის ღირსეულად გაშლას.

ამ მხრივ თამაშს ბევრი ნაკლი აქვს: ეთნოგრაფიის შეტანა, იმერელი მესაფლავე ჩემთვის სრულებით გაუგებარი და მიუღებელია.

ყოველი პიესა უნდა ითამაშებოდეს მხოლოდ იმ ენაზე, რომელზედაც არის დაწერილი. მართლადა სადაურია, როდესაც დანიის პრინცი და მეფე-დედოფალი ქართულად ლაპარაკობენ. მაგრამ ეს

ასეთი აუცილებელი დარღვევაა ხელოვნებისა, რომელსაც არაფერი შემოევლება.

მაგრამ ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ შექსპირის გმირები იმერლებად და კახელებად გადავაქციოთ. შექსპირის დროს იმერელ მესაფლავეს დანიაში რა უნდა?

სისუსტე ყველას ეტყობოდა, ზოგს ცოტა, ზოგს კი ერთობ ბევრი.

ჰამლეტის როლის მოთამაშემ უშანგი ჩხეიძემ დაგვიმტკიცა, რომ მასში არის დიდი ნიჭი, დიდი ენერგია, დიდი სიყვარული საქმისა, დიდი შესაძლებლობა. მისი თამაში იყო მეტად მოფიქრებული და ამიტომაც შინაგანი ტანჯვა ჰამლეტისა მან კარგად გადაგვიშალა. ალაგ-ალაგ ის შეუდარებელი იყო.

მაგრამ საერთოდ მისი ჰამლეტი ავადმყოფია, ნევრასტენიკი. ასეთი სახე ჰამლეტისა შეცდომით კი არ მოუცია მსახიობს, — ასეთია მისი გაგება.

ასეთს გაგებას ბევრი იზიარებს, ბევრი გამოჩენილი მსახიობი და რეჟისორი ასე უყურებს ჰამლეტს.

ეს არის ჰამლეტის გამარტივება. შექსპირის ჰამლეტი კი გაცილებით უფრო რთული და ღრმა არის. მასში მთელი ეპოქაა, მთელი კულტურა. მის პიროვნებაში საუკუნეები ლაპარაკობენ.

ძველი კულტურა მოცემულია ორესტში, ახალი — ჰამლეტში.

ჩემთვის ჰამლეტი არც ავადმყოფია, არც ნევრასტენიკი, — მისი სკეპტიციზმი ხასიათია, მთელი გონებრივი მიმართულება, მთელი ეპოქის დამახასიათებელი თვისება.

დიდი, მეტად დიდი ინტელექტი, უაღრესი კეთილშობილება და არისტოკრატიზმი, მუდმივი ყოყმანი და სუსტი ნება, მახვილი, მკვეთრი, ბრწყინვალე მსჯელობა და უძლურება მოქმედებაში, — აი ჰამლეტი. გამოსახვა ჰამლეტში მთელი ეპოქისა უდიდეს სიძნელეს წარმოადგენს მსახიობისათვის. ეს სიძნელე ვერ გადასჭრა უშანგი ჩხეიძემ, მას მხოლოდ გვერდი აუხვია.

საუცხოო იყო მეფე — ვასაძე. ბევრს მისი გრიმი არ მოსწონს. გრიმი კი სწორედ ჩინებულია, რადგანაც ზედ აღბეჭდილია დეგენერატი მეფის მთელი ბუნება. მისი თამაში დაკვრივებულია, ფრთხილი, გაზომილი.

გოცირიძე საკმაოდ ვერ ჩასწვდა პოლონიუსის ბუნებას და ამიტომ ეს ცბიერი და მოქნილი, ხოლო ყოველთვის ჭკვიანი კაცი მსახიობის თამაშში მკრთალი გამოვიდა.

ოფელიას როლში ვერიკო ანჯაფარიძე შეუდარებელი იყო. შეშ-

ლილი ოფელიას განსახიერებაში მან მოგვცა უდიდესი მიღწევა თავისი მიმიკით, თავისი გულით, თავისი გამოთქმით და ინტონაციით.

ვერიკო დიდი, დიდი მსახიობია, დიდი ხელოვანი.

წარმოდგენის შემდეგ მარტო კმაყოფილებას კი არა გრძნობთ, არამედ სიამაყეს და გიკაჟდებათ რწმენა ჩვენი მომავლისა.

და ყოველივე ამისათვის დიდი მადლობა მსახიობებს.

1926

ალიო მაშაშვილი

წარმოიდგინეთ ქარიშხალი, აბობოქრებული, გაგიჟებული ზღვა და შიგ მენავე. გაშმაგებული ებრძვის აწყვეტილ ტალღებს, უახლოვდება ნაპირს და ცდილობს ზედ დამაგრდეს; აი ფეხი უკვე ხმელეთზე დადგა, მაგრამ შემოჰბერავს ტალღა და მოაცილებს ნაპირს, გადაისვრის შორს.

ასეთ მენავეს წარმოადგენს მაშაშვილი მისი ლექსების პირველ ტომში.

მაშაშვილი-პოეტი თანამედროვე ცხოვრების ქაფში იშვა. ამიტომ ის ატარებს როგორც დუღილს ამ ცხოვრებისას, ისე ყველა ნიშანს გარდამავალი ხანისას.

ძლიერმა ქარიშხალმა მაშაშვილი ამოისროლა ძველი ყოფის ნანგრევებიდან. ის მთელი თავისი არსებით მიისწრაფვის წინ, კომუნიზმისაკენ. მაგრამ ბურჟუაზიული აზროვნების ქსელი ფეხზე ეხვევა და არ აძლევს საშუალებას, მტკიცედ ჩასჭიდოს ორივე ხელი ახალს.

მან გასწყვიტა ყოველგვარი კავშირი წარსულთან, დაასამარა ძველი და სწყურია სულ მაღლა, მაღლა ასწიოს კომუნიზმის დროშა; ამავე დროს მას იტაცებს ილიას იდეები, აკაკის პატრიოტიზმი, ვაჟას სევდა, ტანმოგრეხილი ხმალი ჯახისა და სხვ.

პროლეტარულ პოეტს მარტო პროლეტარიატის საბოლოო მიზნის გაზიარება კი არ ახასიათებს, არამედ კოლექტიურ განცდათა გადაშლა, კოლექტიური ნებისყოფის ამოძრავება, კოლექტიური გრძნობის, მისწრაფებისა და მოქმედების დასურათება.

მაშაშვილის შემოქმედებას კი ორი სახე აქვს: ერთი კოლექტიური, მეორე — ინდივიდუალური; მისი ლირიკა უმთავრესად პირადი განცდის პრიზმაშია გატარებული.

ყოველივე ეს აიხსნება მხოლოდ იმით, რომ პოეტი პირმშო შვილია გარდამავალი ხანისა, იწვის და სდუღს ამ ხანასთან ერთად და

სხვადასხვა ლიტერატურულ მიმართულებათა ძლიერ ზეგავლენას განიცდის.

პროლეტარიატის საბოლოო მიზანი პოეტს გადააქვს თავის პოეზიაში და მთელი მისი შემოქმედება კომუნიზმის წითელი დროშით არის აელვარებული.

მაშაშვილის პოეზიაში დიდი დუღილია, დიდი ცეცხლი, გატაცება, თავდავიწყება; შიგ ჩქეფს დიდი ტემპერამენტი, დინამიურობა, მუსიკალური სილამაზე.

დიახ, ჩემს ფიქრს მოუსვენარს,
ცეცხლის ტალღა ჰქვია.
ცეცხლში ლექსს ვრთავ,
ცეცხლში — რითმას,
ცეცხლში — სილამაზეს.

თანამედროვე ცხოვრების თავისებური ტემპი, გაქანება კარგად არის ასახული მაშაშვილის პოეზიაში, აქ არის სინამდვილის დუღილი, სრბოლა, ნერვიულობა, სიმკაცრე და ჭიდილი.

მაგრამ მიზანი ჯერ კიდევ შორს არის; მანძილი ჯერ კიდევ დიდია გასავლელი.

ო, ცხოვრებაში მე რაც მინდა,
მე რასაც ვეტრფი,
ასეთი ფერი ჯერ არ არის, ჯერ არ არსებობს!

მტერი არა სცხრება; ის ახალ-ახალ იერიშებს ამზადებს.

აუცილებელია ბრძოლის ცეცხლი შეუბრალებელი, მედგარი.

მაშაშვილიც ბრძოლის პოეტია, სამოქალაქო ომის.

პროლეტარულ პოეზიაში ბრძოლის ცეცხლის სიმხურვალე არავის აუსახავს, არ განუცდია ისე მძლავრად, როგორც ეს მაშაშვილმა განიცადა და ასახა.

მებრძოლის მარჯვენა ხელი იარაღია, ის იარაღზეა შეყვარებული. ასეთია მაშაშვილიც.

აკაკიმ იწამა ხანჯალი, შეიყვარა ის და გალესა მტრის გულის გასაგმირავად.

მაშაშვილს უყვარს თოფი, ბომბა, ზარბაზანი, თოფის ტუჩი მისთვის სიყვარულის ბაგეა:

მან გაგვამხნევა და შეგვასწავლა
მთელი ამბორი თოფის ბაგეზე.

ან:

და ხარბად ვკოცნი გაცოებულ თოფის ბაგეებს.

სამოქალაქო ომს მოსდევს სისხლის ღვრა. სისხლი არის აუცილებელი, — არც მეტი, არც ნაკლები.

აკაკისა აქვს ერთ ლექსში შემდეგი სიტყვები·

არ ვნატრობ მეტს აღარას,
რომ სამშობლოს მტრის სისხლით
ვიღებავდე ჭაღარას.

საშინელი სიტყვებია, პოეზიაში დაუშვებელი; მაგრამ აქ მხოლოდ შურისძიება, უკიდურესი ბრძოლაა პატარა ერისა თავისი არსებობის დასაცავად.

მაშაშვილმა იცის შურისძიება, შურისძიება სასტიკი, ულმობელი, შეუბრალებელი:

ღამით ჩვენ გვინდა რომ ცეცხლს ვაჩენდეთ,
რომ ცეცხლს ვაჩენდეთ შურისძიებით.

მაშაშვილის სტიქია არ არის სიყვარული, ეს მან სხვას დაუთმო; მას სხვებზე უფრო ეხერხება რევოლუციის ნამდვილი სახის განცდა და დასურათება.

ღმერთების ცა დიდი ხანია დაინგრა, ყოველ შემთხვევაში მუშათა კლასისათვის აღარ არსებობს და არც უნდა არსებობდეს, მაგრამ განა ეს იმას ნიშნავს, რომ მან პოეზიისათვის უნდა იარსებოს?

არა.

ჩვენ ღმერთი იმიტომ გადმოვაგდეთ ციდან, რომ იქ გავაბატონოთ ხელოვნება და საერთოდ ყოველივე, რაც მშრომელ ხალხს ასწევს მაღლა, გაასპეტაკებს გონებით, გააფაქიზებს გულით და გააქანებს სულ მაღლა და მაღლა, უკეთესი მომავლისაკენ.

ჩვენი ოცნება, ჩვენი იმედები, ჩვენი მისწრაფება, ჩვენი გაქანება სცილდება ყოველდღიურობას და მიჰქროლავს ლამაზი მომავლისაკენ, რომელსაც ჩვენ სოციალიზმს ვუწოდებთ. სოციალიზმი მარტო იმისათვის კი არ გვინდა, რომ მუშა გაძღეს; სოციალიზმი ჩვენ გვინდა თავისუფლებისათვის, ერთობისათვის, თანასწორობისათვის, უდიდესი სამართლიანობისათვის.

სოციალიზმი მისთვის გვინდა, რომ განთავისუფლებულმა, ქონებრივად უზრუნველყოფილმა მუშათა კლასმა გონების ფრთები გაშალოს და შეჰქმნას პროლეტარული კულტურა.

ამიტომაც ცა, როგორც გაქანება წინ, როგორც წყურვილი, მისწრაფება უდიდესი და უმაღლესი კულტურის, პროლეტარული კულტურის შექმნისაკენ, პროლეტარულ პოეზიას უსათუოდ ესაჭიროება.

ეს არის ერთგვარი ზედნაშენი, რომელიც მიწის პირობებში იზრდება და ამავე დროს ამ პირობების გარდაქმნას ემსახურება.

მაშაშვილი კი ამას ხანდახან უარყოფს.

ყოველი ადამიანი, ყოველი მოღვაწე, ყოველი პოეტი უნდა დაფასდეს ისტორიულ პირობებში და შეუძლებელია, ბარათაშვილს ვუსაყვედურო, რატომ არ გაღელვებდა ჩვენი დროის კითხვებიო:

> რა იქნებოდა, ცხოვრების თვალში
> შენც ბოქულაძე რომ დაგენახა?

ბოქულაძე დაინახა გრიგოლ ორბელიანმა და ნუთუ მაშაშვილს ჰგონია, რომ ბოქულაძის ავტორი უფრო ახლო არის ხალხთან, ვიდრე ბარათაშვილი?

თუმცა პოეტი უარყოფს ცასაც, ბარათაშვილსაც, მაგრამ მალე თვითონვე ჰღალატობს თავის თავსაც და თავაშვებული ოცნება მიაქანებს ცისაკენ.

აიღეთ „წარღვნა"; თავში ჰკითხულობთ: „დაწერილია დროს და სივრცის გარეშე".

> ავალთ „ნეპტუნზე",
> ხალხის ლოდინი
> და აღტაცება...
> მისასალმებელ ხმებს
> მივანდობთ ცეცხლის არწივებს.

და სხვა და სხვა.

სივრცეში ძიებას რომ მაშაშვილი არ გაურბის და აფასებს კიდეც ასეთ ძიებას, ამას მოწმობს მისი სტრიქონები:

> მაგრამ ამავ დროს რაღაც მომელის;
> ალბათ ძიება ჩემი მტკიცეა:
> სივრცეში ძებნა მიუწვდომელის
> გენიალებმა მხოლოდ იციან.

თავისი გენიალობა კი პოეტს სწამს:

> მეც დამაცადეთ ამ ვრიგალში
> ამ ზღვაზე გასვლა
> და მაშინ ნახავთ: ვარ თუ არა ლექსში გენია!

მაშ რაღას ერჩის ბარათაშვილს? რატომ ჰგონია, რომ მისი მერანი მხოლოდ ჩალანდრის ცხენად გამოადგება? „წარღვნაში" პოეტის ოცნება მარტო პლანეტამდე ადის, მაგრამ ლექსში „ქარში" მისი ოცნება პლანეტების საზღვარსაც გადალახავს:

> ჩემი შეშლილი სახე და „ტანგო"
> ისე მაღელვებს და მასასტიკებს,
> რომ ფიქრთა კარავს მსურს დავეტაკო
> და გადავფრინდე პლანეტებს იქით!

გაიხსენეთ ამის შემდეგ ბარათაშვილის სტრიქონები, როდესაც ის მიმართავს ცას:

მე, შენსა მკვრეტელს, მაციწყდების საწუთროება,
გულისთქმა ჩემი შენს იქითა ეძიებს სადგურს.

ერთი მიბრძანეთ, რა განსხვავებაა აქ? ბარათაშვილი ცას იქით ეძიებს სადგურს, მაშაშვილი კი პლანეტებს იქით უნდა გაფრინდეს.

რა თქმა უნდა, მიზანი ორივესი სხვადასხვა არის, აზრი კი ერთი და იგივეა, მხოლოდ სხვადასხვანაირად გამოთქმული.

მარტო ბრძოლა და სამოქალაქო ომი არ არის საკმარისი პროლეტარული კულტურის შესაქმნელად — საჭიროა შრომა.

ეს კარგად იცის მაშაშვილმა, და ამიტომ ის უმღერის მედგარ, ყოვლის შემძლებელ შრომას:

სისხლის წვეთები იქცევა ოფლად...
ოფლი — შრომის რუდ და ჩანჩქერებად!

სარდაფის კვალში ყველა გადავალთ.
ბორბლების ტრიალს ვნებით გავყვებით.

პოეტი დარწმუნებულია, რომ შრომის გამეფება ცხოვრებას ააყვავებს და გარდაჰქმნის:

დინამო ცაში გააფრენს ურემს.

ის განავითარებს მარტო მატერიალურ კულტურას კი არა, არამედ ხელოვნებასაც.

და პოეზია უმხურვალესი
შეჰქმნის კვლავ მრავალ ბაირონს, შექსპირს!

პოეტის თვალში ყოველგვარ შრომას არა აქვს ისეთი ძლევამოსილება, არამედ მხოლოდ კოლექტიურ შრომას.

რადგანაც კოლექტიური შრომის კერა არის ქალაქი, ამიტომ მაშაშვილი არის ქალაქის მგოსანი:

ქალაქი ცხელი და მოტივტივე,
ქალაქი, ბუდე ცეცხლის ჩიტების,
მე შემიყვარდა, ქუჩებს მივკივი
და მგონი ღამეს შევეჯიდები.

პოეტს აქვს ორი ლექსი — „ქალაქი“ და „ქალაქი ღამით“. ორივე ლექსი ერთად ჰქმნის კარგ სურათს მოძრავი, შფოთიანი ქალაქისას, სადაც

ბატონობს შრომა, ოფლი დგება ოკეანებად
და შიგ ცხოვრება იკვერება რკალით და რკინით.

პოეტი ბრძოლის, პოეტი სამოქალაქო ომის, ძლევამოსილი კოლექტიური შრომისა, სოფელს გაურბის; მას სძულს სოფელი, სოფელი აღრჩობს მას:

დედა, ნუ მელი, ბავშვობიდან მძულდა სოფელი.
მეც სოფელს ვძულვარ... ყელზე მიჭერს რკინის მარწუხებს.

მთელი პოეზია მაშაშვილისა ავარვარებულია ბრძოლის ცეცხლით. ეს არის კლასობრივი ბრძოლა. მისი შემოქმედება იბადება ბრძოლის ქარცეცხლში, როდესაც დრო სწრაფია და ხანგრძლივი მოფიქრების საშუალებას არ გაძლევს.

ამიტომ მაშაშვილის პოეზიაში არის ნახტომები, წინააღმდეგობანი, შეუსაბამობა, მაგრამ მთელი თავისი ძალღონით ის პროლეტარიატის რიგებში იბრძვის კომუნისტური გაგებით, მას უნდა კომუნიზმის სამეფოში შესვლა საკუთარი, ქართული სახით, ქართული მეობით:

მაგრამ იცოდეთ, ამ ქართულ მიწას
სხვის ნაფიქრალში ნუღარ დავმალავთ!
საკუთარ სახეს ვინც კი დაიცავს,
ის მსოფლიოში შევა თამამად.

ლექსი „ზოგიერთ პროლეტარულ პოეტებს“ მეტად დამახასიათებელია, გაბედულია, თამამი და პირდაპირი.

პოეტისათვის ოქტომბერი სრულებით არ არის უარყოფა სამშობლოსი და მისი წარსულისა:

შევწირავ იმედს და თავდადებას
ოქტომბრის დროშას ცეცხლად ახრილსა,
კვლავ რაინდულად ამოვარდება
ტანმოგრეხილი ხმალი კახისა.

კახის ხმალში პოეტი გულისხმობს სამშობლოს წარსულ დიდებას და თავისუფლებას. ოქტომბრის დროშამ, მისი რწმენით, ეს დიდება და თავისუფლება უნდა აღადგინოს, გაზარდოს და განამტკიცოს. პოეტის კრებულის წინასიტყვაობაში სხვათა შორის ვკითხულობთ: „ქართულ მწერლობაში მას არ მოეპოვება მწერალი, ან კლასიკი, რომელსაც ან ფორმით ან განწყობილებით აგრძელებდეს ან ბაძავდეს მაშაშვილი... ამ მხრივ იგი უწინაპროა“.

ეს, რა თქმა უნდა, არ შეეფერება სინამდვილეს. მაშაშვილი მეტად ახალგაზრდაა, ის ციდან არ ჩამოვარდნილა, წინაპრებიცა ჰყავს, ფორმითაც ჰბაძავს მათ და ზოგჯერ განწყობილებითაც. თქვენ მის ლექსებში იცნობთ გალაქტიონ ტაბიძის გავლენას, პოეტის მთელი ლექსები ასონანსებით არის დაწერილი და ბევრი ასონანსი მეტად ლამაზია და ორიგინალური:

წვიმაში — წინ მაშინ

და სხვ.

ბევრგან პოეტს აშკარად ეტყობა სიმბოლისტური ყაიდა წერისა:

ცხოვრება მყარი და ნაშანკირი...
ცოდვილი მიწა იყო ორსული.

ან კიდევ:

ო, დამპალ ღამეს
მოსდის ბალღამი,
ტვინის ანთებით
საშინლად ჰკივის.
ჭლექიან თვალით
დაჰყურებს ქალაქს.

ყოველივე ეს სრულიად ბუნებრივია. თვითეული მწერალი განიცდის ამა თუ იმ გავლენას თავისი შემოქმედების პირველ ხანებში. მაშაშვილიც არ შეადგენს გამონაკლისს. სამაგიეროდ მას აქვს უტყუარი ნიჭი და თუ ეს ნიჭი განავითარა, საკუთარ ფეხზე დადგომასაც შესძლებს როგორც შინაარსში, აგრეთვე ფორმაშიაც.

პოეტს აქვს ბევრი ახალი სიტყვა და ლამაზი თქმა, ლამაზი შედარებანი, მაგრამ ალაგ-ალაგ იმის ქართულს ვერ მივიღებთ: დავღალდი, გაბურია, განსაცდელობა, ხველავს და სხვ., არ ვარგა აგრეთვე

ღმერთო, უშველე ამდენ პოეტებს...
...ავალთ ჯვარზე წამებით
და კვირა დილას ქრისტესავით ავდგები მკვდრეთით.

ყოველივე ამის მსგავსს პროლეტარულ პოეზიაში არ უნდა ჰქონდეს ადგილი.

1927

სანდრო ეული

ბურჟუაზიული მსოფლმხედველობის შუაგულში მოთავსებულია „მე“ ანუ პიროვნება, კერძო: პირადი თაოსნობა, პირადი საქმიანობა, პირადი მისწრაფება, კერძო საკუთრება, პირადი განცდა, პირადი შემოქმედება, ერთი სიტყვით, ყველგან და ყველაფერში პიროვნება არის წინ.

სულ სხვა არის, სრულიად სხვა პროლეტარული მსოფლმხედველობა; აქ შუაგულში მოთავსებულია არა „მ ე“, არამედ „ჩ ვ ე ნ“: საერთო ანუ კოლექტიური საქმიანობა, კოლექტიური ნებისყოფა, კოლექტიური საკუთრება, კოლექტიური განცდა, ერთი სიტყვით ყველგან და ყველაფერში კოლექტიურია წინ.

როგორიღა უნდა იყოს პროლეტარული პოეზია?

უწინარეს ყოვლისა, ის არ უნდა იყოს იმგვარი, როგორიც არის ბურჟუაზიული პოეზია.

ბურჟუაზიული პოეზია გვაძლევს პირად გრძნობას, პირად განცდებს, პირად ასახვას; ყოველივე მეობის სხივებით არის გაშუქებული.

წინააღმდეგ ამისა, პროლეტარულმა პოეზიამ უნდა მოგვცეს კოლექტიური გრძნობა, კოლექტიური განცდა, კ ო ლ ე ქ ტ ი უ რ ი გაგება და ა ს ა ხ ვ ა; აქ ყოველივე ჩ ვ ე ნ ო ბ ი ს შუქით უნდა იყოს განათებული.

საქმე იმაში არ არის, რომ პოეტი უგალობდეს ოქტომბერსა და წითელ დროშას.

პოეტმა უნდა გადაგვიშალოს კოლექტიური გული და მოგვასმენინოს კოლექტიური გალობა ოქტომბრისა და წითელი დროშისა.

ეს არის მთავარი.

ეს მთავარი კი ჩვენს პროლეტარულ პოეზიაში არ არის, ან მეტად მკრთალად.

პროლეტარულ პოეზიაში უნდა ჰგუგუნებდეს: ჩ ვ ე ნ.

ქართულ პროლეტარულ პოეზიაში კი ჯერ უფრო მძლავრად ისმის: მ ე.

სანდრო ეული ამ მხრივ გამონაკლისს წარმოადგენს; იმის პოეზიაში უფრო მძლავრად არის მოცემული კოლექტიური განცდა, კოლექტიური ნებისყოფა, ვიდრე პიროვნული.

1917 წლამდე ეულის პოეზიაში პროლეტარული პოეტი არა სჩანს,—აქ არის მხოლოდ მებრძოლი პოეტი. ის ჰხედავს ტანჯული ხალხის ცხოვრებას, ცრემლებს, ასეთს ცხოვრებას ვერ ურიგდება და თავის არსებაში გრძნობს მებრძოლის ძალასა და ღონეს.

1917 წლიდან კი მისი პოეზია უფრო გარკვეულ სახეს ღებულობს. აქ ჩვენს წინაშე დგას უკვე ჩამოყალიბებული პოეტი, რომელმაც იცის, თუ რისთვის და ვისთვის იბრძვის.

ამ ორ ხანას თავისი შემოქმედებისას თვითონ პოეტი ახასიათებს მოკლედ და მკაფიოდ:

შობილი ცეცხლში მოვინათლე მე ოქტომბერში.

სანდრო ეულის პოეზია გაიშალა მებრძოლი კომუნიზმის ხანაში. ამიტომ პოეტის შემოქმედებაშიაც ბრძოლასა და ცეცხლს დიდი ადგილი აქვს დათმობილი:

და მეც, ეული,
ცეცხლად ქცეული,
ცეცხლის რაშით ვარ
გატაცებული.

ბრძოლის მგოსანი ეულის პოეზიაში ბარიკადებზეა და თან იბრძვის, თან ბრძოლის ჰანგებსა თხზავს:

ბარიკადებში თხზავს სიმღერებს
ბრძოლის ჰანგებზე.

სანდრო ეულის პოეზიაში არის სევდა, მაგრამ არ არის გოდება და უიმედობა; მას ახასიათებს სრული სიმშვიდე, სიდინჯე, შეურყეველი რწმენა და ერთგვარი მზიურობა:

ბრძოლის ქარცეცხლში მზიურობა მას ანეტარებს.

მებრძოლი კომუნიზმი ცეცხლის რაშებით მოვარდნილი გრიგალი და მეხია. პოეზიაში მისი ასახვა მეტად ძნელია; ჩვენში ჯერ ეს ვერც ერთმა პოეტმა ვერ შესძლო; ვერ მოერია ამ თემასაც სანდრო ეული. ამიტომ მისი სტრიქონი:

თავისთავად ლამაზად გამოთქმულია, მაგრამ სინამდვილეს კი არ შეეფერება. ამ სიტყვებში მეტად დიდი შინაარსია, დიდი ქადილი, სანდრო ეულს კი საამისო ძალა არ შესწევს.

პოეტს უყვარს კოლექტიური შრომა, რადგანაც ასეთ შრომაში იჭედება პროლეტარული შეგნება და რწმენა.

ამიტომ ეულის პოეზიაში ბრძოლის სიძლიერეს სცვლის შრომის ჰიმნი.

და რადგანაც კოლექტიური შრომის ასპარეზი ქარხანა არის, სანდრო ეულის შემოქმედების მეორე საფეხურს ქარხნის სიმღერა ახასიათებს.

ქარხნის ჰანგები განსაკუთრებული სიყვარულით არის გამთბარი. აქ არის სევდაც, ოფლიც, მძიმე ხვედრიც, ბრძოლა, ტანჯვა და ყოველივე ამის გვერდით პროლეტარული ერთიანობა, სულის გაკაჟება, ბრძოლა და შეურყეველი რწმენა,

> რომ მსოფლიოს ბედს
> აქვე გამოვჭედო.

მანქანის ხმაურში პოეტი ისმენს თავისებურ სიმფონიას, რომლის ათვისება და შეგნება მხოლოდ იმას შეუძლია, ვინც მანქანების ხმაურს შეეთვისა და ქარხანას ეშვილა. ქარხნის ჰანგებში გამოირჩევა მჭედლის სიმღერა და ქარხნის კონცერტი, პირველი—თავისი დასრულებული, ლამაზად გამოკვეთილი სურათით, მეორე — თავისი ორიგინალობით: ქარხანა წარმოადგენს ორკესტრს, მანქანების ხმაური კი სიმფონიის შესრულებას.

ზოგიერთ პოეტს ჰგონია, თითქოს სიტყვების რახარუხით შესაძლებელი იყოს თანამედროვე ცხოვრების გამოხატვა. არის გახურებული სიტყვების კორიანტელი, შინაარსი კი — გუდაფშუტა.

სანდრო ეულს ეს ნაკლი არა აქვს; ის რევოლუციის ქარცეცხლშიაც კი ზომიერია, დინჯი, თავდაჭერილი და წრფელი.

„კომუნისტური მანიფესტის“ სიტყვებში — პროლეტარებს სამშობლო არ გააჩნდათო, ბევრმა სამშობლოს სრული უარყოფა დაინახა.

ეს არ არის მართალი.

სამშობლო ბურჟუაზიული გაგებით მიუღებელია, მაგრამ პროლეტარიატი ყველგან ჰქმნის საკუთარ სამშობლოს და მისი მიზანია, მთელი მსოფლიო გადააქციოს მხოლოდ პროლეტარიატის სამშობლოდ.

დიდი რუსეთის ტერიტორია წარმოადგენდა თავადების, ბურჟუების, ბიუროკრატების, ეპისკოპოსების სამშობლოს.

პროლეტარიატმა განდევნა ყველა ეს მუქთახორა და ახლა თვითონ აშენებს ამ ტერიტორიაზე საკუთარ სამშობლოს.

სანდრო ეულს ახასიათებს ასეთი გაგება პროლეტარული სამშობლოსი; ეს კი მეტად იშვიათი მოვლენაა პროლეტარულ პოეზიაში.

ყური დავუგდოთ თვით პოეტს:

მშობელი მხარე ჩემზე ძლიერ ვის ეყვარება?
ფარჩის კაბაში არ მოვრთავდი, ვით დედოფალსა,
არ შევფიცავდი ერთგულებას მის მთას და ბარსა,
რომ მას არ სურდეს თვის კალთებში ჩემი ტარება.
თუ ულრანი ტყე, მთები, კლდენი გადავიარე
და ოკეანე მხარულითა გადამიცურავს,
რომ მზე მენახა, თავიც ტანჯვის ლრუბლით მიბურავს,
ოღონდ იშვებდეს მზიურობით მშობელი მხარე!
და დღეის იქით ჩემი სულიც
მისთვის სულობდეს!

—

ჩემი სამშობლო მუდამ უნდა გაზაფხულობდეს
და ცისმარე დღეს მზიურ სიტყვით მას ვეუბნები:
უნდა აყვავდეს დასისხლული შენი უბნები.

აი აქ არის პროლეტარული შეთავსება სამშობლოსი და ინტერნაციონალისა.

სანდრო ეულის პოეზიის ფორმა ბევრში წააგავს ვალერიან გაფრინდაშვილის ფორმას.

უკანასკნელს უყვარს წმინდა, მარტივი ასონანსი: პროფილით — დალბობილი, ჩინგისხანები — მრისხანებით, ჩირაღი — ბაირაღები და სხვა.

პოეტის ლექსებში შეხვდებით ზოგიერთ მცნებას, რაც პროლეტარულ პოეზიაში დაუშვებელია:

გწამდეთ ღმერთად; მიზანი ჩვენი, ვისახეთ ღმერთად; ერთად მივადგეთ სამოთხის კარებს; კოშკს ვაშენებ, კოშკს ტაძრიანს; ლოცვა ჩვენი სივრცეს ბზარავს; სწორი ვარ ღმერთთან; ვიცოდეთ ყველამ: სული ორია, და სხვა.

მართალია, პოეტი ჩვეულებრივი გაგებით არ იღებს ამ სიტყვებს, მაგრამ მაინც არ უნდა ჰქონდეს ადგილი პროლეტარულ პოეზიაში არც ღმერთს, არც ტაძარს, არც ლოცვას, არც სამოთხესა და არც სულს.

1927

მაქსიმ გორკის ცხოვრება და შემოქმედება

შესავალი

ბატონყმობის გადავარდნამ რუსეთში ფართოდ გაუღო კარი ვაჭრულ-ჩარჩული კაპიტალის განვითარებას.

ვაჭრული კაპიტალი ათეული წლების განმავლობაში ნიადაგს უმზადებდა ნამდვილი კაპიტალისტური წარმოების აღორძინებას, ხოლო მას არ შეეძლო რაიმე შეგნება ან განვითარება შეეტანა სოფელში და ქალაქში.

მისი მიზანი იყო ფულის დაგროვება მევახშეობით. ფული გაბატონდა, ფულმა გაიტაცა ყველა, თვითეული ჩაიკეტა საკუთარი კეთილდღეობის ფარგლებში და „სხვისი ჭირი—ღობეს ჩხირია“.

ასეთს პირობებში შეუგნებლობა, გაუნათლებლობა, უკულტურობა, საშინელი უვიცობა და სიბნელე ძველებურად დარჩა ხალხში. სიღატაკემ კი იმატა.

სოფელში გაღატაკებული და ულუკმაპუროდ დარჩენილი ნაწილი ქალაქებს მოაწყდა სამუშაოს საშოვნელად, მაგრამ რადგანაც წარმოება არ იყო განვითარებული და მუშახელი არავის ეჭირვებოდა, დღიური სამუშაოს საძებნელად ეს ხალხი ერთი ქალაქიდან მეორეში გადადიოდა, ხან მშიერი იყო, ხან მაძღარი, ხან საქმე ჰქონდა, ხან უსაქმოდ დაყიალობდა.

ამგვარად წარმოიშვნენ ეგრეთწოდებული ბოსიაკები.

ესენი პირმშო შვილნი არიან რუსეთის ვაჭრულ ჩარჩული ყოფა-ცხოვრებისა.

მოწინავე ინტელიგენცია ჰხედავდა, რომ ასე ცხოვრება აღარ შეიძლებოდა, და თანდათან თავი იჩინა სარევოლუციო მოძრაობამ.

გაჩნდნენ თავგანწირული პირები ინტელიგენციის რიგებში, შეადგინეს ფარული საზოგადოება, მაგრამ გლეხობა უვიცი იყო და გაფიზნტული, პროლეტარიატი არ არსებობდა; ამიტომ ამ საზოგადოების სარევოლუციო მუშაობა ვიწრო ინტელიგენტურ წრეს არ გასცილებია.

როდესაც რევოლუციონერებმა ალექსანდრე მეორე სიკვდილით დასაჯეს, თვითმპყრობელობამ ისარგებლა ამ შემთხვევით და უმაგალითო რეაქციამ ქვეშ მოიტანა მთელი მოაზროვნე რუსეთი.

მოწინავე ინტელიგენცია გაანადგურეს—ზოგი დახოცეს, ზოგი კატორღაში დაგზავნეს, სხვები ციმბირში გადაასახლეს.

სამარე დამყარდა რუსეთში. ინტელიგენცია დაიქსაქსა, მოიცვა სასოწარკვეთილებამ და უიმედობამ, ცხოვრება შეიქმნა უფერული, მდარე, უიდეალო.

ამ ხანის საუკეთესო გამომხატველია მწერლობაში ანტონ ჩეხოვი.

ვინ არიან ჩეხოვის გმირები?

უნებო, უხასიათო ინტელიგენტები, რომლებიც ერთ ალაგს ტკეპნიან, ოხრავენ, ხვნეშიან, რაღაც უნდათ, სადღაც მიისწრაფვიან, მაგრამ ვერაფერი მოუხერხებიათ, გამოსავალი ვერ უნახავთ, იმედი არაფრისა აქვთ და სრულებით გამოუსადეგარნი არიან, ცხოვრებაში ზედმეტ ბარგს წარმოადგენენ.

საჭირო იყო ახალი სიტყვა, სიტყვა ცეცხლისა და იმედის მფრქვეველი.

საჭირო იყო ახალი სიტყვა, რომელიც სასოწარკვეთილებას გაჰფანტავდა და მომავლის გზას გაანათებდა.

საჭირო იყო სიტყვა ახალი, ფოლადივით მტკიცე, ბასრი და მჭრელი.

საჭირო იყო სიტყვა მამხილებელი, მეხის დამცემი.

საჭირო იყო ახალი სიტყვა, ყუმბარებით დატენილი.

და ეს ახალი სიტყვა გაისმა,—მისი მთქმელია მაქსიმ გორკი.

ვინ არის მაქსიმ გორკი?

დიდი ქარიშხლის —რევოლუციის წინამორბედი.

გორკის წინათგრძნობა რევოლუციისა გასაოცარია.

ის აღფრთოვანებით, გატაცებით, თავდავიწყებით უმღერის მომავალ ქარიშხალს, რომელიც მოუტანს ხალხს თავისუფლებას, კეთილდღეობას, ნამდვილ ადამიანურ ცხოვრებას.

ვინ არის მაქსიმ გორკი?

დიდი ოქტომბრის წინამორბედი: ის უმღერის მხოლოდ ისეთ რევოლუციას, რომელიც მშრომელ ხალხს მიანიჭებს სრულ თავისუფლებას და ბატონობას.

ვინ არის მაქსიმ გორკი?

სოციალიზმისა და პროლეტარიატის მედროშე.

მაქსიმ გორკი შვილია მშრომელი ხალხის და მთელი თავისი ნი-

ჭი მან მოახმარა მშრომელი ხალხის გამოფხიზლებას, გახთავისუფლებას და კეთილდღეობას.

მისი სიტყვა, სიტყვა მეხისნატეხი და ელვაში დაფერილი, მომხიბლავი სიმღერაა მშრომელი ხალხის სიყვარულისა.

ის ჰხიბლავს სმენას, ატკბობს გულს და მიაქანებს გონებას სულ წინ და წინ, იქ, სადაც ბატონობს კოლექტიური შრომა, კოლექტიური ნება და მისი გამომხატველი — თავისუფალი და საკუთარი ყოფაცხოვრების ბატონ-პატრონი მშრომელი ხალხი.

ვინ არის მაქსიმ გორკის მშრომელი ხალხი?

მუშა და გლეხი.

მაქსიმ გორკი მუშისა და გლეხის მგოსანია.

მისი მნიშვნელობა არ განისაზღვრება მარტო რუსეთით, არამედ მთელი მსოფლიოთი.

რუსეთის სინამდვილიდან ის მთელი მსოფლიოს მუშებსა და გლეხებს მოუხმობს: დაჰკათ, გაანადგურეთ ძველი ცხოვრება და ააგეთ ახალი, თქვენი საკუთარიო.

მაქსიმ გორკის ბიოგრაფია

ყოველი მწერლის შემოქმედება ნაყოფია აღზრდისა და იმ წრისა, რომელშიაც ეს მწერალი ტრიალებს.

ამიტომ საჭირო არის გავეცნოთ მაქსიმ გორკის თავგადასავალს.

მაქსიმ გორკი დაიბადა ნიჟნი-ნოვგოროდში 16 მარტს, 1868 წელს. მამამისი იყო ხელოსანი, დედა—ვაჭრის ქალიშვილი. ბაბუა მამის მხრით მეტად მკაცრი ხასიათისა ყოფილა და ამის გამო გორკის მამა პატარაობისას ბევრჯერ გაქცეულა სახლიდან.

ბოლოს სრულებით გაცლია მამას, ფეხით ჩასულა ტობოლსკიდან ნიჟნი-ნოვგოროდში და შეგირდად მიჰბარებია ერთ ხელოსანს; შეუსწავლია ხელობაც, წერა-კითხვაც.

ერთ ხანს ის ცხოვრობდა თავისი ხელობით, შემდეგ ასტრახანში მიუღია კარგი თანამდებობა ერთ-ერთ სავაჭრო კანტორაში.

ასტრახანში მას შეურთავს ცოლი და მალე გასჩენია ვაჟი, რომლისთვისაც დაურქმევიათ ალექსი.

აი ეს ალექსი გახლავთ მომავალი მაქსიმ გორკი, რომლის ნამდვილი სახელი და გვარი არის ალექსი პეშკოვი.

მაქსიმ გორკად მომავალი სახელოვანი მედროშე პროლეტარია-

ტისა აქ, თბილისში მოინათლა, მაგრამ ამის შესახებ შემდეგ ვილაპარაკოთ.

1873 წელს პატარა ალექსის შეხვდა ხოლერა; თვითონ კი გადიტანა, მაგრამ მისგან ეს სენი გადაედო მამამისს და ეს უკანასკნელი იმსხვერპლა კიდეც.

„ბებიაჩემისაგან გამიგონია, — ამბობს თავის ავტობიოგრაფიაში გორკი:—მამაშენი კეთილი, ჭკვიანი და მეტად მხიარული კაცი იყო“.

ამ უბედურების შემდეგ დედამ შვილი აითვალწუნა: შენა ხარ მიზეზი მამიშენის სიკვდილისაო; მალე გათხოვდა და პატარა ალექსი დარჩა ბაბუასთან დედის მხრით.

ეს ბაბუა მეტად ღვთისმოსავი ყოფილა, მკაცრი, მტარვალი და მეტად ძუნწი, თუმცა ვაჭარი იყო და შეძლებაც ჰქონდა.

პატარა ალექსის პირველი მასწავლებელი იყო მისი ბაბუა, რომელმაც ასწავლა მას ანბანი და შემდეგ მისცა ხელში ფსალმუნი.

პატარა ალექსის ჰყავდა ლოთი ბიძები, რომლებიც დათვრებოდნენ და შემდეგ დაუწყებდნენ ცემა-ტყეპას თავიანთ ცოლებს. ალექსისაც ბევრჯერ მოჰხვედრია მათი ხელი.

ერთადერთი სპეტაკი ადამიანი იყო მთელ ოჯახში ბებია, რომელსაც ალექსი ძალიან უყვარდა, ეფერებოდა და ხშირად უყვებოდა ზღაპრებს, თქმულებებს, ლეგენდებს და სხვადასხვა ამბებს.

როდესაც ალექსის შვიდი წელი შეუსრულდა, სკოლაში მიაბარეს, მაგრამ სკოლაში გამეფებული რეჟიმი ბავშვსა სძულდა, არც ამხანაგები უყვარდა.

სკოლაში მან სულ ხუთი თვე დაჰყო და ყვავილი შეხვდა. შემდეგ დედა გარდაეცვალა ჭლექით, ბაბუა გაკოტრდა და ბავშვი სკოლიდან გამოიყვანეს.

რვა წლის ალექსი ფეხსაცმლის მაღაზიაში მიაბარეს ბიჭად; აქ მან დაჰყო მხოლოდ ორი თვე: ხორცის ცხელ წვენში ხელები დაიფუფქა და გააგდეს: გასწი, დაიკარგე, შენისთანა უხეირო ბიჭი ჩვენ რად გვინდაო.

როდესაც ალექსის ხელები მოურჩა, მხატვარს მიაბარეს შეგირდად, მაგრამ ოსტატი იმდენად მკაცრი და სასტიკი გამოდგა, რომ ალექსიმ მასთან ვერ გაძლო, გაიქცა და ერთ გემზე მზარეულს მიებარა შეგირდად.

მზარეული მიხეილ სმური მეტად ღონიერი, უხეში იყო, მაგრამ კითხვა უყვარდა ძალიან.

ამ მზარეულმა მეტად დიდი გავლენა იქონია მომავალ გორკიზე.

თავისუფალ დროს მზარეული კითხვაში ატარებდა და თავის შეგირდსაც აძლევდა წიგნებს: იკითხე, ჭკუას ისწავლიო.

„წიგნი და დაბეჭდილი ქაღალდი მანამდე ჭირივით მძულდა“ — წერს თავის ავტობიოგრაფიაში მაქსიმ გორკი.

მისი მასწავლებელი მზარეული ამან ვერ შეაშინა; ჯერ სცადა, მოფერებით და ტკბილი სიტყვით შეეყვარებია ალექსისათვის წიგნის კითხვა, მაგრამ როდესაც ამან ვერ გასჭრა, მიმართა უფრო მტკიცე ზომას—მუშტს.

მუშტი კი სმურის მეტად მაგარი ჰქონდა.

ალექსიმ გადაწყვიტა თავის გულში, ჩემი გვერდები ამის მუშტს ვერ გაუძლებენო, და ნელ-ნელა შეეჩვია კითხვას.

ამგვარად ალექსის ჯიუტობა და წიგნის სიძულვილი ისევ მზარეულის მუშტმა გასტეხა და დასძლია.

„ამბავი იმისა, თუ როგორ გადაარჩინა სალდათმა პეტრე დიდი“ პირველი წიგნი იყო, რომელიც პატარა ალექსიმ წაიკითხა მზარეულთან.

წიგნი ალექსის ძალიან მოეწონა და ამის შემდეგ საშინლად შეუყვარდა კითხვა.

მზარეულს მთელი დიდი სკივრი ჰქონდა, სრულებით სხვადასხვანაირი შინაარსის წიგნებით სავსე. აქ იყო ეკარტჰაუზენი, ნეკრასოვი, ან რადკლიფი, „სოვრემენიკისა“ და „ისკრის“ ნომრები, „ქვეყანა სარწმუნოებისა“, სხვადასხვა თავგადასავლისა და ზღაპრების წიგნები.

„ჩემი ცხოვრების ამ დღიდან მე დავიწყე კითხვა ყველაფრის, რაც კი ხელში ჩამივარდებოდა; ათი წლისა ვიყავი, როდესაც დღიური დავიწყე და შიგა ვწერდი წიგნებიდან და ცხოვრებიდან მიღებულ შთაბეჭდილებებს“, — წერს გორკი თავის ავტობიოგრაფიაში.

ამის შემდეგ იწყება ალექსის რთული და მეტად ჭრელი ცხოვრება: რა არ გამოსცადა, სად და ვისთან არ იყო!

თავის მასწავლებელ სმურის დაანება თავი და ისევ მხატვარს მიებარა; შემდეგ მსახურებდა საშაქარლამოში, აცხობდა კრენდილებსა და ბულკებს.

როცა ყოველივე ეს მოსწყინდა, დადგა ღარაჯად ცარიცინის რკინის გზაზე. ამასაც მიანება თავი და, როცა ულუკმაპუროდ დარჩა, ხან შეშასა ჰხერხავდა, ხან ბარგსა ზიდავდა სადგურზე და ამით ირჩენდა თავს.

ერთხანად ვაჭრობასაც მიჰყო ხელი, ჰყიდდა ვაშლს, ქათმებს; შემდეგ თავი ამოჰყო საეკლესიო ხოროში. ბოლოს დადგა ნიჟნი-

ნოვგოროდში გადამწერლად ვექილ ლანინთან, რომელმაც მომავალ გორკიზე დიდი გავლენა იქონია. ლანინმა შენიშნა, რომ ალექსის არაჩვეულებრივი ნიჭი ჰქონდა, ამიტომ ხელი მიჰყო იმის თვითგანვითარებას, უხსნიდა, რა და რა შინაარსის წიგნები უნდა ეკითხა და თვითონ აძლევდა წიგნებს.

1888 წელს ალექსი დაუახლოვდა ყაზანში სტუდენტობას და თვითგანვითარების წრეებში იღებდა მონაწილეობას.

ამგვარად მან დაიწყო ცხოვრების ძირიდან, ჯურღმულიდან და ვექილ ლანინისა და სტუდენტების საშუალებით თანდათან გაეცნო ინტელიგენტურ წრეებს, ინტელიგენციის სულისკვეთებას.

ალექსის ბუნება დაუდგრომელი იყო, მაძიებელი; შინაგანი ძალა, წყურვილი გაცნობისა, სხვადასხვა შთაბეჭდილებისა მას არ აყენებდა ერთ ალაგს; 1890 წელს დაიბიჯგა ჯოხი, მოიგდო ზურგზე ჩანთა და გაუდგა გზას ნოვგოროდიდან ცარიცინისაკენ, შემოიარა დონის ოლქი, უკრაინა, ბესარაბია, ყირიმი, ყუბანი და ამოჰყო თავი თბილისში.

თბილისში სცხოვრობდა კალიუჟნისთან, რომელმაც გზა გაუკაფა მწერლობისაკენ და მიაგნებინა თავისი ნამდვილი მოწოდება.

თბილისიდან გადავიდა ისევ ნიჟნი-ნოვგოროდში და დაუახლოვდა მწერალ კოროლენკოს, რომელმაც გზა გაუკაფა დიდი მწერლის ასპარეზისაკენ. „პირველი ჩემი მასწავლებელი იყო სალდათი მზარეული სმური, მეორე — ვექილი ლანინი, მესამე — კალიუჟნი, კაცი „საზოგადოების გარეშე“, მეოთხე — კოროლენკო“. — ასე ათავებს გორკი თავის ავტობიოგრაფიას.

თბილისს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს გორკის ცხოვრებაში. ამიტომ უფრო ვრცლად უნდა შევეხოთ გორკის ცხოვრებას თბილისში.

მაქსიმ გორკი თბილისში

მ. გორკის სამართლიანად შეუძლია წარმოსთქვას ხოლმე:
მე თბილისმა დამბადა.
თბილისსაც შეუძლია, ამაყადა სთქვას:
მაქსიმ გორკი ჩემი შვილიაო.
რისთვის, რა საბუთით?

თბილისამდე გორკი იყო სრულიად უცნობი ახალგაზრდა ალექსი პეშკოვი.

თბილისის ცამ, კლდეებმა, თავისებურობამ, ნარიყალამ აღაფ-

რთოვანეს ახალგაზრდის ბუნება; თბილისის მზემ ცეცხლი ააგიზგიზა იმის გულში და ამ ცეცხლიდან იშვნენ პირველი მოთხრობა „მაკარ ჩუდრა“ და მაქსიმ გორკი.

ის, როგორც დიდი მწერალი, მთელი მსოფლიოს პროლეტარიატს ეკუთვნის, განსაკუთრებით კი თბილისის მუშა ხალხს, თბილისის პროლეტარიატს, რადგანაც მომავალ მწერალს პირველად თბილისმა დაურწია ხელოვანის აკვანი, თბილისმა ამოადგმევინა პირველად სამხატვრო ენა.

როდესაც თავისი მოგზაურობის დროს ალექსი ბესარაბიას ესტუმრა, ის მიიზიდა ზღვამ და დიდმა ნავსადგურმა. ზღვა თავისი სივრცით იტაცებდა იმის მეოცნებე ბუნებას და გადაჰყავდა სადღაც შორს, შორს, სადაც ცხოვრება სულ სხვანაირი იყო, ადამიანიც სხვა.

დიდ ნავსადგურში კიდევ თავს იყრიდნენ აუარებელი ბოსიაკები, რომლებსაც ალექსი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა.

ბოსიაკების ხასიათსა და ყოფა-ცხოვრებაში იყო ზოგიერთი რამ,რაც ალექსის მოსწონდა. ამიტომაც მან მიაშურა ოდესას, რომელიც იმის წყურვილს ყოველმხრივ აკმაყოფილებდა.

ოდესის ნავსადგური მართლაც სავსე იყო ბოსიაკებით. ისინი აქ ერთად მუშაობდნენ, ერთად ატარებდნენ დროს, ერთად ლაზღანდარობდნენ, ხან ჩხუბობდნენ, ხან იგინებოდნენ, ხან ლოთობდნენ, ხან მშივრები იყვნენ, ხან მაძღარნი; ხოლო თუ რასმე იშოვიდნენ, ერთმანეთს უზიარებდნენ.

აი ეს ერთობა, ეს ამხანაგობა, ერთგვარი მსგავსება კოლექტიური ცხოვრებისა ალექსის ჰხიბლავდა; სხვაგან, სხვა წრეებში, არაფერი ამის მსგავსი არ იყო.

ყველგან გამეფებული იყო ერთმანეთის გაუტანლობა, ყველმონა იყო ფულის, თვითეული საკუთარი ცხოვრებითა სცხოვრობდა, ადამიანი ადამიანისათვის მგელი იყო.

ასეთ სურათს წარმოადგენდა ვაჭრულ-თავადური წყობილება მაშინდელი რუსეთისა.

ყოველივე ეს ალექსის ეჯავრებოდა, ეზიზღებოდა.

გამონაკლისს წარმოადგენდნენ ბოსიაკები. მართალია, ისინი დაღუპული ხალხი იყვნენ, ნაძირალები, მაგრამ მათი ყოცა-ცხოვრების ზოგიერთი თვისება ალექსის იზიდავდა.

ოდესის ნავსადგურში კარგა ხანს დაჰყო. ალექსიმ, აქ ის ეზიდებოდა ბარგს, ტრიალებდა ბოსიაკებში, სჭამდა მათთან პურს და უკვირდებოდა მათს ყოფა-ცხოვრებას.

ყოველივე ამან მეტად დიდი სამსახური გაუწია გორკის, რო-

გორც ქვემოთ დავინახავთ. ბოსიაკები მან გამოიყენა სასტიკი პროტესტისათვის არსებული საზოგადოებრივ-პოლიტიკური წყობილების წინააღმდეგ.

ალექსი თავისი ბუნებით შთაბეჭდილებათა მაძიებელი იყო, როდესაც ის ამ მხრივ ამოსწურავდა ერთ ადგილს, მისი გული იქ ვეღარა სძლებდა და ეძებდა სხვა ალაგს, ახალ შთაბეჭდილებებს.

ყირიმი, კავკასია, სამხედრო გზა—აი რა ეხატებოდა ახალგაზრდა ალექსის თვალწინ.

ნავსადგურში მან გაიცნო ერთი ქართველი, რომელსაც სამშობლოში დაბრუნება უნდოდა, მაგრამ ფული არა ჰქონდა. ალექსი ჩვეული იყო უფულოდ მოგზაურობას; ისარგებლა ამ ნაცნობობით და ორივემ ერთად გამოსწია კავკასიისაკენ.

გზად გაიარეს ყირიმი, შავი ზღვის სანაპირო ქალაქები, ესტუმრნენ კავკავს და აქედან დაეშვნენ სამხედრო გზაზე.

დარიალის სიდიადემ აღტაცებაში მოიყვანა ახალგაზრდა ალექსი; ხშირად შეისვენებდა, ჩამოჯდებოდა ქვაზე ან წამოწვებოდა ბალახზე და ტკბებოდა უჩვეულო სურათებით და გასაოცარი სანახაობით.

იმის ფანტაზიაში ერთმანეთს გადაეხლართნენ თვალგადაუწვდენელი ზღვა, უსაზღვრო ველები, ცამდე აზიდული მედიდური მთები და შეჰქმნეს ის მომხიბლავი, იშვიათი სილამაზის სურათები ბუნებისა, რაც ასე უხვად არის გაბნეული დიდებული მწერლის შემოქმედებაში.

დარიალით დამთვრალმა ალექსიმ შეუმჩნევლად მოატანა მცხეთას: კიდევ პატარა მანძილი და—

„ჯერ კიდევ შორიდან, ხუთი ვერსის დაშორებით, მე დავინახე სატახტო ქალაქი კავკასიისა, ორ მთათა შუა ჩაჭედილი.

გაილია გზა. მე მახარებდა რაღაცა“,—წერს გორკი.

1891 წლის შემოდგომაზე ალექსიმ და მისმა თანამგზავრმა თავი ამოჰყვეს თბილისში.

თანამგზავრმა ის გააჩერა ვერის დალმართთან: აქ მომიცადე, მალე დავბრუნდები და წაგიყვან ჩემთანო.

ალექსიმ უცადა, მაგრამ ამაოდ: თანამგზავრი გაშპა!

ამ დროს ქუჩაში შეიქნა ჩოჩქოლი, ყვირილი, მიწევ-მოწევა, გაიმართა ჩხუბი, გაჩაღდა დაკა-დაკა და ალექსი ჩაერია შიგ გასაშველებლად.

გაჩნდნენ პოლიციელები და როგორც მოჩხუბარნი, ისე გამშველებელიც წააბრძანეს პოლიციაში.

პოლიციაში დაიწყო ჩვეულებრივი დაკითხვა და ოქმის შედგენა.

როდესაც პოლიციელმა ალექსის ახედ-დახედა, მისი გარეგნობა, ტანისამოსი როგორღაც არ მოეწონა, ჩვეულებრივ მაწანწალად მიიღო და შეეკითხა:

— ვინ გიცნობს აქ?

იღბლად ალექსის მოაგონდა, რომ მისი ნაცნობი ნაჩალოვი თბილისში მსახურობდა რკინის გზაზე და დაუსახელა.

ალექსის მაინც არ ენდვნენ და გააყოლეს პოლიციელი ნაჩალოვთან მისი ვინაობის გამოსარკვევად.

ნაჩალოვმა მართლაც იცნო ალექსი, დაადასტურა მისი ვინაობა. თორემ მას მოელოდა გადასახლება და ეტაპი, როგორც მაწანწალას.

ნაჩალოვმა ალექსი მოათავსა თავისთან და ექიმ ნიკოლოზ ხუდადოვის დახმარებით უშოვნა რკინის გზაზე კანტორის მოხელის ადგილი.

ეს ხუდადოვი რევოლუციური მიმართულების ინტელიგენტი იყო და მეფის შავრაზმელებმა ამის გამო ვერაგულად მოჰკლეს პირველი რევოლუციის დროს. ალექსიმ მალე გაიცნო თავისი ტოლები — აფანასიევი და როხლინი და 1891 წლის დეკემბერში სამივე ერთად დასახლდა კვირაცხოვლის ქუჩაზე № 3, დაბლა სართულში.

მათთან თავს იყრიდნენ მოსწავლე ახალგაზრდობა, მოწინავე მუშები, ანდრია ლეჟავა, შიო ჩიტაძე და სხვები.

იმართებოდა საღამოები. კითხულობდნენ წიგნებს, არჩევდნენ, ეამათობდნენ.

ამგვარად სამთა ბინა კვირაცხოვლის ქუჩაზე მალე გადაიქცა პატარა კომუნად, რომლის გარშემოც თავი მოიყარეს საუკეთესო ახალგაზრდობამ, მოწინავე მუშებმა.

იმ ხანებში პოლიტიკური აზროვნება და მისწრაფებანი ნელ-ნელა ვრცელდებოდნენ ინტელიგენციის ზოგიერთ ფენაში და ამიტომ კომუნაშიაც იყო ხოლმე ბაასი სოციალურსა და პოლიტიკურ თემებზე, მაგრამ მისი მთავარი საქმიანობა იყო თვითგანვითარება.

თბილისში ამ დროს დაარსებული იყო სამკითხველო ოლია კაიდანოვის თაოსნობით.

ახალგაზრდა ალექსი მუდმივი სტუმარი იყო ამ სამკითხველოსი.

სამკითხველო მდიდარი იყო შინაარსიანი წიგნებით და ალექსი გატაცებით ჰყლაპავდა წიგნებს. წიგნი მას შეუყვარდა ისე, როგორც

აღფრთოვანებულ ახალგაზრდას ქალი, და ეს სიყვარული გაუღვიძა მზარეულმა სმურიმ.

კითხვამ ძალიან განავითარა ალექსი; წანაკითხი და საკუთარის თვალით ნახული, ცხოვრების სურათები და შთაბეჭდილებანი, თავგადასავალი და გამოცდილება ყველა ერთად ჰბორგავდა იმის მოუსვენარ გონებაში და ეძებდა გამოსავალს.

როდესაც კომუნაში საღამო გაიმართებოდა და თავს მოიყრიდა ახალგაზრდობა, ალექსი გაიმართებოდა, შეარხევდა ბეჭებს და მოჰყვებოდა სხვადასხვა ამბავს.

იმის თხრობაში იყო სიცოცხლე, სილამაზე, გატაცება, სიყვარული, წყურვილი, იმედი, შეურყეველი რწმენა—ერთი სიტყვით ყოველივე ის, რამაც უკვდავების გვირგვინი დაუწნა იმის შემოქმედებას.

ახალგაზრდობა გატაცებით უსმენდა მას და მოითხოვდა მისგან სულ ახალ-ახალ ამბავს.

ალექსიც დაუზარებელი იყო, ცხოვრებიდან დაუშრეტელი მასალა ჰქონდა ამოკრეფილი და მისი ოცნება თავისუფლად შლიდა ფრთებს.

მას ამ დროს არც უფიქრია და არც უცდია თავისი ნაამბობი ჩაეწერა. ის უფრო გატაცებული იყო პოეზიით და რამდენიმე რვეული ჰქონდა საკუთარი ლექსებით სავსე.

ეს ლექსები შემდეგ არსად გამოუქვეყნებია გორკის, მაგრამ პოეზიაშიც რომ ნიჭიერი იყო, ამას ჰმოწმობენ მისი მოთხრობები. იქ ბევრგან არის ჩაქსოვილი გორკის საკუთარი ლექსები და ეს აძლევს განსაკუთრებულ სილამაზესა და მუსიკალურ სიტკბოებას იმის პატარა მოთხრობებს.

დადგა 1892 წლის ზაფხული. მოსწავლე ახალგაზრდობა დაიფანტა, ზოგმა სწავლა დაამთავრა, სხვებმა სოფლებს მიაშურეს და კომუნა კვირაცხოვლის ქუჩაზე დაცალიერდა. როხლინი გადავიდა, აფანასიევიც აპირებდა გადასვლას, ალექსისაც უნდა მოეძებნა სხვა ბინა.

თბილისში ალექსიმ გაიცნო კალიუჟნი, ყოფილი პოლიტიკური კატორღელი. პოლიტიკური მოღვაწეობისათვის კალიუჟნიმ ექვსი წელიწადი გაატარა კატორღაში და შემდეგ გადმოასახლეს თბილისში. ეს იყო 1890 წელს, ალექსის ჩამოსვლამდე ადრე ერთის წლით.

კალიუჟნი მსახურობდა სტატისტიკოსად თბილისის რკინის გზის სამმართველოში.

ალექსისა და კალიუჟნის შორის თავიდანვე კარგი განწყობილება დამყარდა.

როდესაც სამთა კომუნა დაიშალა, კალიუჟნიმ წინადადება მისცა ალექსის: ჩემთან გამოდიო.

ალექსი სიამოვნებით დასთანხმდა და დაბინავდა კალიუჟნისთან ელისაბედის ქუჩაზე № 146.

ეს ორი ადამიანი მალე ისე დაუმეგობრდა ერთმანეთს და ისე შეიყვარეს ერთიმეორე, რომ ეს სიყვარული და მეგობრობა დღემდე გრძელდება.

ახალ ბინაზე დაიწყო ალექსისათვის მშვიდი, წყნარი, მოსვენებული ცხოვრება, სამსახური მას არ ართმევდა დიდ დროს. კალიუჟნის კარგი ბიბლიოთეკა ჰქონდა და გორკი ჩაუჯდა კითხვას; ზოგჯერ კი მოუყვებოდა კალიუჟნის სხვადასხვა ამბავს და ისმენდა მის შენიშვნებს.

ალექსიმ ამ ხანებში გადასწყვიტა სისტემატიური მეცადინეობა და გიმნაზიის კურსის გავლა; თავისი განზრახვა გაუზიარა კალიუჟნის.

ამ უკანასკნელმა ძალიან შორს დაიკავა:

— დაანებე მაგას თავი, არ არის შენი საქმე.

— მაშ რა ვქნა?

— რა ჰქენი და სწერე!

— რა ვწერო?

— აი ის, რასაც მე მომითხრობ ხოლმე.

ალექსის თითქოს თვითონაც სურდა ქაღალდზე გადაეტანა ის სახეები, რომლებსაც აღმაფრენა უხატავდა იმის ოცნებას, მაგრამ როგორღაც ვერა ბედავდა.

აი ერთხელ საღამოს ის და კალიუჟნი ერთად სხედან ოთახში.

— აბა ერთი მომიყევი რამე შენებურად, — მიმართავს კალიუჟნი.

ალექსი გატაცებით მოუთხრობს მას თავის ბოიკოს და რადას.

როდესაც ის გაათავებს თავის ამბავს, კალიუჟნი სახეგაბრწყინვებული მიმართავს:

— უსათუოდ დასწერე ეს ამბავი, გესმის, უსათუოდ!

კალიუჟნის გამხნევებამ გასტეხა ალექსის გაუბედაობა, ჩაიკეტა კარი, მიუჯდა მაგიდას და დასწერა:

„მაკარ ჩუდრა“.

ეს იყო მისი პირველი მოთხრობა. სრულებით უცნობი, უსახელო მწერლისათვის ძალიან ძნელია თავისი პირველი ნაწარმოების

დაბეჭდვა. მიიტანს რომელიმე რედაქციში, თუ იქ ნაცნობი არა ჰყავს, უგულოდ მიიღებენ, ეჭვის თვალით შეჰხედავენ, ცივად გამოართმევენ ნაწერს და მიაგდებენ, არკი წაიკითხავენ და, თუ წაიკითხეს, ვინ იცის, როდის.

რედაქცია ამ შემთხვევაში არ არის გასამტყუნარი: უვარგისი მასალის, მოთხრობებისა და ლექსების კითხვით ყველას თავი აქვს ვაბეზრებული. ალექსის აქაც ბედი სწყალობდა: კალიუჟნი იცნობდა კარგად „კავკაზის“ ერთ მსხვილ თანამშრომელს ცვეტნიცკის და მას გადასცა ეს მოთხრობა. ცვეტნიცკიმ წაიკითხა, მოეწონა და 1892 წელს 12 სექტემბერს „კავკაზის“ № 242-ში დაიბეჭდა „მაკარ ჩუდრა“, რომელსაც ქვეშ ეწერა მ. გორკი.

აი ამ დღიდან ალექსი პეშკოვი გადაიქცა მაქსიმ გორკად. თბილისმა მოამწიფა მისი ნიჭი, თბილისმა აჰხადა ფარდა იმის შემოქმედებას. თბილისმა იწამა ის პირველად, თბილისმა მიიღო მისი პირველი მოთხრობა; უცნობი, უსახელო ალექსი პეშკოვი ფეხით მოადგა თბილისს და იშვა აქ მაქსიმ გორკად, რომლის სახელს დღეს მთელი მსოფლიო იმეორებს.

იმ დღიდან თბილისი და მაქსიმ გორკი განუყოფელია, განუყრელი.

მ. გორკიმ პირველი მოთხრობითვე გაითქვა სახელი; ყველა ულოცავდა; მეგობრები შეჰხაროდნენ, განსაკუთრებით კალიუჟნი, რადგანაც მან პირველმა დაინახა მომავალ მწერალში დიდი ნიჭი და პირველმა გააბედვინა მოთხრობის დაწერა.

თვითონ მ. გორკი მეტად მადლიერია კალიუჟნის, დღესაც განაგრძობს მასთან მიწერ-მოწერას და თავის წერილებში უწოდებს მას ძველ მეგობარსა და საყვარელ მასწავლებელს.

თბილისიდან მ. გორკი გადავიდა ისევ ნიჟნი-ნოვგოროდში და ადგილობრივ გაზეთში ათავსებდა თავის მოთხრობებს. აქ ის დაუახლოვდა კოროლენკოს და მისი რჩევით დაიწყო თანამშრომლობა მოსკოვის დიდ ლიბერალურ გაზეთში — „Русские Ведомости“.

მისი სახელი სწრაფად გაიზარდა და მეტად პოპულარული გახდა განსაკუთრებით ახალგაზრდობასა და მუშებში.

ასეც უნდა ყოფილიყო.

ახალგაზრდობა აღსავსეა გატაცებით, ენერგიით.

გორკის შემოქმედებაც იყო გატაცება და ძლიერი გაქანება წინ, ახალი ცხოვრებისაკენ.

მუშები მაშინ ირაზმებოდნენ და ძალღონეს იკრებდნენ სასტიკი, შეუბრალებელი და დიადი ბრძოლისათვის.

გორკის შემოქმედება ხომ ძლიერი მოწოდება იყო ბრძოლისაკენ:

მამაცთა სიგიჟეს
ვუმღერი დიდებას.

აი დადგა 1898 წელი. გორკის მოთხრობებისა უკვე მეოთხე ტომი გამოვიდა. გორკის კითხულობს და იცნობს მთელი რუსეთი.

სწორედ ამ დროს ნიჟნი-ნოვგოროდის ჟანდარმთა სამმართველოს თბილისის ჟანდარმთა სამმართველოდან მოუდის შემდეგი შინაარსის ქაღალდი: ნიჟეგოროდის მოქალაქე ალექსი პეშკოვი გაჩხრიკეთ, დააპატიმრეთ და თბილისში გადმოგზავნეთო.

7 მაისს 1898 წელს ნოვგოროდის ჟანდარმერიიდან თბილისის ჟანდარმერია ღებულობს შემდეგი შინაარსის შიფრიან ტელეგრამას: „პეშკოვი გაჩხრეკილია და დაპატიმრებული. დღეს რკინის გზით ვაგზავნი თბილისს. პოლკოვნიკი ევეეკი“.

თორმეტ მაისს გორკი ჩამოიყვანეს თბილისში და მოათავსეს მეტეხში.

ეს გახლდათ გორკის მეორედ ჩამოსვლა თბილისში.

რამ გამოიწვია გორკის დაპატიმრება?

ჩვენ უკვე მოვიხსენიეთ, რომ კვირაცხოვლის ქუჩაზე სამთა კომუნის ერთი წევრი იყო ახალგაზრდა აფანასიევი.

კომუნის დაშლის შემდეგ ის მსახურობდა მექანიკოსად თბილისში, ნეილინგერის საკერავი მანქანების მაღაზიაში.

როდესაც თბილისის პროლეტარიატში სარევოლუციო მუშაობა გაჩაღდა, აფანასიევი გატაცებით ჩაება ამ მუშაობაში.

აფანასიევი დაასმინა ერთმა მისმა თანამოსამსახურემ, გაჩხრიკეს, დააპატიმრეს, შეჰქმნეს დიდი პოლიტიკური საქმე, ვითომ აღმოაჩინეს კრამოლა და დიდი შეთქმულება, გამოარკვიეს, რომ აფანასიევი და პეშკოვი ერთად ცხოვრობდენ თბილისში და აი ეს იყო საბაბი გორკის დაპატიმრებისა.

ჟანდარმებს კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ: გორკის ვერაფერი დაუმტკიცეს; ამავე დროს, გორკის გულისათვის მთელმა მოწინავე რუსეთმა გამოიდო თავი და იძულებული გახდნენ. მალე გაენთავისუფლებიათ.

მესამედ გორკი ესტუმრა თბილისს 1901 წელს ზაფხულზე. მასთან ჩამოჰყვნენ ჩეხოვი და მხატვარი ვასნეცოვი. რომელსაც აინტერესებდა მცხეთის ტაძრის ფრესკები.

მეოთხედ ჩამოვიდა გორკი თბილისში 1903 წელს. ყოველივე ეს

ცხადად ამტკიცებს, რომ გორკის გული უნაზესი სიმებით არის შეკავშირებული თბილისთან.

გორკის ჰხიბლავდა საქართველოს ბუნება, სამხედრო გზა, მაგრამ მას უფრო იზიდავდა აქეთკენ დედაშვილური სიყვარული:

საქართველოს ძველისძველმა, მაგრამ მუდამ ახალგაზრდა დედაქალაქმა მიიღო ალექსი პეშკოვი და წარმოშვა მაქსიმ გორკი.

მაქსიმ გორკის შემოქმედება

ყოველი მწერალი თავის შემოქმედებაში გამოჰხატავს საკუთარ აზრს, საკუთარ შეხედულებას, საკუთარ მისწრაფებასა და მრწამსს.

ყოველივე ეს თანდაყოლილი აქვს მას დაბადებიდან, თუ არა?

თანდაყოლილი აზრი და მისწრაფებანი არ არსებობენ. ბავშვის ტვინი არის თეთრი ქაღალდი, რომელზედაც ცხოვრება სწერს ყოველივეს, რაც ბავშვის ტვინში შთაბეჭდილების სახით შეიჭრება. ამ შთაბეჭდილებათა შეერთება და სხვადასხვანაირი გადაჯგუფება წარმოადგენს შინაარსს ჩვენი გონებრივი ცხოვრებისას.

ნიჭი არის თვისება ტვინის და მას შეუძლია მარტო ათვისება და გარდაქმნა იმისი, რასაც გარეშე ცხოვრება უგზავნის ტვინს შთაბეჭდილებათა სახით.

ამიტომ თუ გვინდა ავხსნათ მწერლის შემოქმედება, უნდა ვიცოდეთ ის წრე, ის არე, რომელშიც იზრდება, ვითარდება და ტრიალებს მწერალი.

საზოგადოებრივი წყობილება მასალებია მწერლის შემოქმედეპისა; ყოველი საზოგადოებრივი წყობილება განსაზღვრულ ხანაში დაფუძნებულია შესაფერ ეკონომიურ საფუძველზე. ეკონომიურ საფუძველს კი წარმოების ესა თუ ის სახე შეადგენს.

როგორიც არის წარმოება, ისეთია საზოგადოებრივი წყობილებაც. მონურ წარმოებას შეეფერება ძველი, ანტიური საზოგადოებრივი წყობილება; ბატონყმურს — ფეოდალური; კაპიტალისტურს — ბურჟუაზიული; კოლექტიურს — სოციალისტური.

ამიტომ ყოველი მწერლის შემოქმედებას მჭიდრო კავშირი აქვს ეკონომიურ პირობებთან — წარმოების ხასიათთან. როდესაც საზოგადოება დაყოფილია სხვადასხვა მოპირდაპირე კლასებად და წოდებებად, ყოველ კლასს, აგრეთვე ყოველ წოდებას ჰყავს თავისი საკუთარი მწერალი.

რატომ?

მწერალი იზრდება ამა თუ იმ კლასის წრეში, მისი გონება, აზ-

როვნება, ნიჭი იშლება ყალიბდება ამ კლასის ხეგაყლენით, ამიტომაც მისი შემოქმედება ატარებს დაღს კლასობრივი ზეგავლენისას.

ნათქვამიდან ერთადერთი დასკვნაა: ყოველი მწერლის შემოქმედება, ყოველი ხელოვნება კლასობრივია.

ამ დებულების საუცხოო გაშუქებას იძლევა მაქსიმ გორკი. გორკი გამოვიდა დაბალი წრიდან, დაიბადა და აღიზარდა ღარიბ ოჯახში. თუმცა ბაბუამისი შეძლებული ვაჭარი იყო, მაგრამ მალე გაკოტრდა და გორკი მუდამ სიღარიბეში იზრდებოდა.

ის იყო ხელზე მოსამსახურე, პურის მცხობელი, შეშის მხერხავი, ბარგის გადამზიდველი, მზარეულის შეგირდი, მუშა; ტრიალებდა ბოსიაკებში, გლეხებში, მუშებში.

რა გავლენას მოახდენდა ასეთი წრე მწერლის შემოქმედებაზე? მას უნდა დაეგმო ის წყობილება, . რომელიც იძლევა ბოსიაკებს, სულსა ჰხუთავს მუშებსა და გლეხებს, და ამოდგომოდა გვერდში ამ უკანასკნელებს, გაეღო მათთვის კარი მათი საკუთარი მომავლისა და შეეყვარებია მათთვის ბრძოლა ამ მომავლის მოსაპოვებლად.

და მართლაც მთელი შემოქმედება გორკისა განა ასეთი არ არის?

ჩვენ აქ ვუმზერთ სასტიკ იერიშს საზოგადოებრივი წყობილების წინააღმდეგ. ჩვენ აქ გვხიბლავს და გვატკბობს აღფრთოვანებული სიმღერა ბრძოლისა ამ წყობილების დასამხობლად.

იბადება საკითხი და ეს საკითხი წამოიჭრება გორკის წინაშე: ვინ, ვინ უნდა დაამხოს ეს წყობილება, ვის შეუძლია ეს? პასუხი უნდა გასცეს თვითონ ცხოვრებამ. და აი გორკიც ამიტომ გადაგვიშლის თვალწინ თანამედროვე რუსეთს მთელი მისი ყოფა-ცხოვრებით. თქვენ აქ ხედავთ ვაჭრულ ურთიერთობას, მეშჩანურს, კაპიტალისტურს; აი პერსონაჟები ბოსიაკებიდან, ვაჭრებიდან, კაპიტალისტებიდან, ინტელიგენციიდან, გლეხებიდან, მუშებიდან. დაუკვირდით კარგად ყველას და მერე თქვით: ვის შეუძლია ძველი პოლიციური რუსეთის დანგრევა და ახლის აშენება? სად არის ეს ყოვლისშემძლე ახალი ძალა?

მხოლოდ მუშები და გლეხები, მხოლოდ მუშებისა და გლეხების მჭიდრო კავშირი წარმოადგენს ამ დიად ახალ ძალას! — იტყვით თქვენ გორკისთან ერთად. და ასეთი დასკვნა გამოჰყავს გორკის არა სიტყვიერი მსჯელობით, არამედ მხატვრული სახეებით. ამაში არის მისი შემოქმედების თავისებურება, ძალა და მნიშვნელობა.

მ. გორკიში პუბლიცისტი და ხელოვანი ერთიმეორეს ეჯიბრება.

ხელოვანი მასში ძლიერია, მტკიცე პუბლიცისტი კი ხშირად სუსტი, მერყეევი, მაგრამ მისი საბოლოო განცხადება: „საბჭოთა წყობილება არის ერთადერთი წყობილება, რომლის გარეშე გლეხების და მუშების კეთილდღეობა შეუძლებელია“, წარმოადგენს ლოღიკურ დასკვნას მისი შემოქმედებისას.

მ. გორკი მარტო მხატვრული სახეებით არ აშუქებდა პროლეტარიატის გზას, ის ჩაბმული იყო ყოველდღიურ პრაქტიკულ პარტიულ მუშაობაში, მუშაობდა ხშირად არალეგალურ ბოლშევიკურ პარტიაში ლენინის ხელმძღვანელობით და ამის გამო რამდენჯერმე იყო დაპატიმრებული მეფის მთავრობის მიერ. მსოფლიო ომის წინ მთელი წლები ცხოვრობდა იტალიაში კუნძულ კაპრიზე, რადგან სამშობლოში დაბრუნების უფლება არა ჰქონდა.

ყოველივე ეს საუკეთესოდ ამტკიცებს, რომ როგორც ყოველი მწერლის, ისე გორკის შემოქმედება არის ნაყოფი საზოგადოებრივი წყობილებისა.

თუ გორკიმ თავისი შემოქმედება და თავისი სახელი მჭიდროდ დაუკავშირა პროლეტარიატის ბედსა და მიზანს, თუ გორკი და პროლეტარიატი გადაჯაჭვული არიან, მიუხედავად გორკის ბევრი შეცდომისა, იმიტომ რომ ასეთი იყო დრო და საზოგადოებრივ-პოლიტიკური პირობები.

სხვა დროსა და სხვაგვარ პირობებში გორკის შემოქმედებაც სხვანაირი იქნებოდა.

გორკის ახასიათებს დაკვირვების ძლიერი ნიჭი, ყოველი საგნისა და მოვლენის მთავარი მხარეების სწრაფი ათვისება და გასაოცარი მეხსიერება. მას ფეხით შემოუვლია მთელი რუსეთი, ძალიან ბევრი რამ უნახავს და ამიტომ მისი შემოქმედება არის რუსეთის სინამდვილე, მწერლის ოცნებაში გარდაქმნილი.

მ. გორკის შემოქმედება, თემების მიხედვით, შეგვიძლია დავყოთ რამდენიმე ხანად. ყოველი ხანა შეეფერება განსაზღვრულ სახეს მისი თანამედროვე საზოგადოებრივი ურთიერთობისას.

მისი შემოქმედების პირველი ხანა არის ბოსიაკური;

მეორე ხანა — ვაჭრული;

მესამე — წმინდა კაპიტალისტური ანუ ინდუსტრიული;

მეოთხე — ინტელიგენტური;

მეხუთე — პროლეტარული ან სოციალისტური.

გადავავლოთ თვალი თვითეულ ხანას ცალ-ცალკე.

გორკის აქვს რამდენიმე ნაწარმოები, სადაც აწერილია მომავალი მწერლის ბავშვობისა და ყრმობის თავგადასავალი. ასეთია „ბავშვობა“, „მოჯამაგირეობაში“ და „ჩემი უნივერსიტეტები“.

აქ საინტერესოა ის ურთიერთობა ადამიანთა შორის, რაც პატარა გორკის თვალწინ იშლებოდა.

ბაბუა არიგებდა: ჩვენი ერთადერთი მეგობარი უფალია, ადამიანი კი ადამიანის მოსისხლე მტერიაო.

ბავშვი უკვირდებოდა ყოველივეს და ყველგან ეს მტრობა ეჩხირებოდა თვალში — შინ, გარეთაც. ლოთობა, შეუგნებლობა, ლანძღვა, გინება, ცემა, შური, მტრობა, გაუტანლობა, შეუბრალებლობა, — აი რა იყო ყველგან გამეფებული. თვითონ პატარა გორკი ერთხელ ისე გალახეს ხის ნაპობებით, რომ საავადმყოფოში წაიყვანეს და იქ ექიმმა ოცდათექვსმეტი ხიწვი ამოაცალა ზურგიდან.

„არ არის არც ერთი მამაძაღლი. რომ შეგიბრალოს“, — ეუბნება მას ერთი მომქმედი პირი.

რა ახასიათებს ადამიანს ყრმა გორკის წარმოდგენაში? სიყვარული, სიბრალული, თანაგრძნობა. ამას კი ის ვერსად ჰხედავდა. ერთი სრულებით უცხო, გარეული, ვიგინდარა იყო მეორისათვის.

ამავე დროს უფროსის წინაშე ყველა თავჩაქინდრული იყო, სამარცხვინოდ წყნარი და მოთმინებით ამტანი ყოველგვარი შეურაცყოფისა.

აიღეთ გორკის მოთხრობა „დოსტები“.

ყური დაუგდეთ დიალოგს მსასოებელსა და იცეკვეფეხოს შორის (თარგ. გიუნაშვილისა, 1902 წ.).

„— მე ხომ მეცოდება?

— ვინ? რა?

—ვინ! კაცი!

— კაცი? — გააგრძელა იცეკვეფეხომ: — აჰა, დაიჭით, უსუნეთ და გადააგდეთ! ეჰ, შე კეთილო სულო, ფრჩხილის ოდენა ჭკუა არა გაქვს! მერე რა არის შენი ადამიანი? გესმის შენ ეგა? ის აი წაგავლებს ხელს საყელოში და... რწყილივით ფრჩხილით გაგსრესავს! იმდროს შენ ის შეიცოდე. ხო! მაშინ შენ მას შენი სისულელე გამოუაშკარავე... ის შენი სიბრალულის სამაგიეროდ... შვიდგვარ ტანჯვას მოგაყენებს... შენს წელებს ყველას ხელებზე დაიხვევს... თითო გოჯს თითო საათობით დაგაძრობს ძარღვებს... ეჰ, შე... სიბრალული! შენ ღმერთს ევედრე, რომ სრულიად შეუბრალებლივ მიგბეგვონ და მორჩა! ეჰ, შენ! შე წვიმით დასასველებელო! ჰმ, სიბრალული... თფუ!“

ეს ამონაწერი დასურათებაა მხოლოდ იმისი, რასაც გორკი ცხოვრებაში ჰხედავდა.

ბავშვობიდან მომწიფებამდე ერთი და იგივე: ადამიანი ადამიანის მოსისხლე მტერი.

წამოიზარდა, დაჰგმო ასეთი ცხოვრება, ასეთი ურთიერთობა, ამგვარი ადამიანი და თავის ოცნებაში გამოჰკვეთა სრულებით სხვა სახე ადამიანისა.

როგორია ის?

ყური დავუგდოთ გორკის „ადამიანს“:

„სიტყვა „ადამიანის“ გაგონებაზე ჩემს გულში თითქოს მზე ინთება. მე ვხედავ იმის ამაყ სახეს, იმის ღრმა, მშვიდ თვალებს. სამყაროს უდაბნოში გადაკარგული მამაცურად მოძრაობს ის წინ და ზევით ცისკენ მიმავალ გზაზე, მიწისა და ცის ყველა საიდუმლოებათა მადლა, მიდის თავისი ნანატრი მიზნისაკენ უთვალავ დაბრკოლებათა შორის და ამაყად ამბობს:

— მე ვარ შექმნილი იმისათვის, რომ დავანგრიო ყოველივე ძველი, წვრილმანი და ბოროტი, და შევქმნა ახალი, გონებით გამოჭედილი თავისუფლების, სილამაზის და ადამიანისადმი პატივისცემის ურყეველ საფუძვლებზე“.

აქ მოცემულია იშვიათი სურათი ახალი ადამიანისა, რომელიც ანგრევს ყოველივე ძველს და ჰქმნის სრულებით ახალს ცხოვრებას.

აი ასეთი სურათით შეიჭრა ახალგაზრდა გორკი ცხოვრებაში და რა იხილა მან?

ამის პასუხს მოგვცემს „მკითხველი“ (თარგმ. გიუნაშვილისა): „ცხოვრებას თავს დასტრიალებს სიდამპლის სუნი; შიში, მონობა ასაზრდოებს გულთა, ზარმაცობას რბილი ბორკილებით შეუკრავს ჭკუა და ხელები. რა შეგაქვთ თქვენ ამ საძაგლობის ქაოსში? რა დაკნინებულნი ხართ ყველანი, რა საბრალონი ხართ, რა ბევრნი ხართ!“

გორკის წინ გადაიშალა საზოგადოებრივი ცხოვრება, სავსე ცოცხალი მკვდრებით.

ეს იყო თვითმპყრობელობის საშინელი რეაქცია.

სამრეწველო კაპიტალი არ იყო ჯერ განვითარებული, ამიტომ პროლეტარიატიც არა ყოფილა ბრძოლის ასპარეზზე გამოსული; უპროლეტარიატოდ კი რა რევოლუცია მოხერხდებოდა რუსეთში! რევოლუციურად განწყობილი ინტელიგენცია თავს იყრიდა „ნაროდნაია ვოლია“-ში, რომელიც მეფის ჯალათებმა გასრისეს.

დარჩენილი ინტელიგენცია იმ დასკვნამდე მივიდა, თვითმპყრობელობა უძლეველიაო, და ყველა გაინაბა, ყველა ნიშმა მოიცვა. მოიხარა ყველამ ქედი, შემოიფარგლა პირადი ინტერესებით და ამგვარად გაჩნდნენ გორკის ცოცხალი მკვდრები.

საჭირო იყო ერთი მხრივ მკაცრი, სასტიკი მხილება, მეორე მხრივ — იმედის გაღვივება და ბრძოლის ცეცხლის დანთება.

ამ დიად მიზანს ემსახურება გორკის მწერლობის ბოსიაკური ხანა.

ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ გლეხობის დიდი ნაწილი უმიწაწყლოდ დარჩა. მიწა იყო თავადების, მემამულეების ხელში და ამ მიწით ისე სარგებლობდნენ, როგორც მოეპრიანებოდათ.

სოფელში შეიჭრა ვაჭრული კაპიტალი, გაჩნდა ჩარჩი, მევახშე, კულაკი, გალატაკებულ გლეხს გამოსწოვეს უკანასკნელი სისხლი და გააგდეს შარაგზაზე.

მრეწველობა ჯერ განუვითარებელი იყო და იმანაც დაიწყო ხეტიალი ლუკმა პურის საშოვნელად ერთი ქალაქიდან მეორეში.

აი ამგვარ პირობებში წარმოიშვა ბოსიაკობა.

ერთი მხრივ მემამულეების ბატონობა და ვაჭრულ-ჩარჩული კაპიტალი, მეორე მხრივ სამრეწველო კაპიტალის განუვითარებლობა, — აი ნიადაგი ბოსიაკებისა.

გორკიმ ისარგებლა საზოგადოების მიღმა მდგარი ბოსიაკებით, რომელთა ცხოვრებასაც ძალიან კარგად იცნობდა და გამოიყენა ისინი თავისი პროტესტისა და ბრძოლის უკვდავი სიმღერისათვის. „სირცხვილი თქვენ! გაიღვიძეთ! იგემეთ სიტკბოება ბრძოლისა! ბრძოლა სრულ გამარჯვებამდე! მაშაცთა სიგიჟეს ვუმღეროთ დიდება!“

ამგვარი, ჯერ არავისაგან თქმული და არავისაგან გაგონილი, სიტყვები ყუმბარასავით გასკდნენ საზოგადოებაში და იწყო გაფურჩქვნა იმედმა.

გორკიმ მხოლოდ ამ მიზნით მიმართა ბოსიაკებს, ეს იყო ერთგვარი მხატვრული ხერხი, თორემ მწერალს აზრადაც არ მოსვლია ბოსიაკები დაესახა ახალ ადამიანებად, ან მათზე დაემყარებია ცხოვრების განახლების იმედები.

ერთია მართალი: გორკის ბოსიაკები არ არიან ისეთები, როგორიც თვით ცხოვრებაში იყვნენ. გორკიმ ისინი საკმაოდ შეალამაზა და ამიტომ მწერლის შემოქმედების ამ ხანას ატყვია რომანტიზმის ძლიერი დაღი. პროლეტარიატის მწერლისათვის კი რომანტიზმი მოლიპული გზა არის.

გორკის მოღვაწეობის პირველმა ხანამ მძლავრად შეარხია საზოგადოებრივი ცხოვრება; მან გაიმარჯვა და მოიპოვა მეტად დიდი პოპულარობა.

ამის შემდეგ მწერლის წინაშე წამოიჭრა შემდეგი საკითხი: ვის, საზოგადოების რომელ ნაწილს შეუძლია ყოველივე ძველის დანგრევა და ახლის აგება თავისუფლებისა და სიყვარულის შეურყეველ საფუძველზე?

ამ საკითხის გადაჭრა მხატვრულ ქარგაზე მეტისმეტად ძნელი იყო და ეს ძნელი საქმე იშვიათი ოსტატობით შეასრულა გორკიმ.

მაშინდელ რუსეთში საკმაოდ მძლავრი და გავლენიანი იყო ვაჭართა კლასი. შესაძლებელია, ეს კლასი იყო მოწოდებული რუსეთის ცხოვრების განსაახლებლად?

— აი ვაჭართა კლასი და მისი ყოფა-ცხოვრება! ინებეთ, დაუკვირდით! — მიმართა გორკიმ მკითხველ საზოგადოებას და გადაუშალა „თომა გორდეევი“, „სამნი“, „ქალაქი ოკუროვი“, „მათე კოჟემიაკინი“.

თქვენს წინაშე გამოჭიმული არიან რუსეთის სახელოვანი ვაჭრების წარმომადგენლები. ისინი ფუსფუსებენ, საქმეს აკეთებენ, ოცნებობენ, მაგრამ რა უძევს მათს საქმეს საბრჭულად?

მხოლოდ პირადი ბედნიერება, გამდიდრება.

აი ამ გამდიდრების გულისათვის ისინი მზად არიან ერთიმეორეს კისერი მოსტეხონ, ყელი გამოსჭრან, დაჭღუპონ და მოიშორონ გზიდან.

ვაჭარი მაიაკინი თომა გორდეევს არიგებს: „როდესაც ადამიანთან მიდიხარ, მარცხენა ხელში თაფლი გეჭიროს, მარჯვენაში დანა“.

„ვაჭარი, აი ვინა ჰქმნის ცხოვრებაში ყველაფერს!“ — ასეთია ბევრი მათგანის შეხედულება. მათ უნდათ ცხოვრებაში სრული გაბატონება, ამისათვის კი საჭიროა უფლება, და ამ უფლებას მოითხოვენ ხმამაღლა.

მერე რისთვის უნდათ ეს უფლება? ხალხის გასაბედნიერებლად? საერთო, საზოგადო კეთილდღეობისათვის?

არა, საკუთარი ჯიბის გასქელებისათვის.

თუ ამისათვის საჭირო შეიქნა სხვების დაღუპვა, უკან არ დაიხევენ.

როგორი ცხოვრება შექმნეს მათ?

ვაჭართა წვეულებაზე თომა გორდეევი, მათი სისხლი და ხორცი, მოთმინებიდან გამოვა და მიახლის ყველას:

„არამზადებო, ყაჩაღებო! თქვენ ცხოვრება კი არა, ციხე შეჭმენით. წესრიგი კი არ დაამყარეთ, ბორკილები გამოსჭედეთ ადამიანისათვის! სულის შემხუთავი სიეიწროვეა, იღუპება ადამიანი!“

აი როგორ ახასიათებს ვაჭართა წოდების საუკეთესო წარმომადგენელი მათ მიერ დამყარებულ წყობილებას და ცხოვრებას.

გორკი წინ გვიშლის საუცხოო სურათებს ვაჭართა ყველა ფენებისას. აქ არიან წარმომადგენლები მსხვილი სავაჭრო კაპიტალისა, საშუალოსი, წვრილისა.

სურათი ყველგან ერთი და იგივეა: ზრუნვა მხოლოდ საკუთარ კეთილდღეობაზე, უფერული, მოსაწყენი ცხოვრება, მოკლებული კეთილშობილებას და მაღალ მისწრაფებებს.

მეშჩანური იდეალი, — აი უმრავლესობის ოცნება.

როდესაც ეს იდეალი მიღწეულია, უმეტესი მათგან სრულ კმაყოფილებას განიცდის. საუკეთესო მათგანის ნამდვილი ტრაღედია კი სწორედ აქ იწყება. ასეთები არიან სხვათაშორის თომა გორდეევი და ილია ლუნევი („სამნი“-დან).

გორდეევს არაფერი აკლია, ყველაფერი აქვს, გარდა შინაგანი კმაყოფილებისა და ბედნიერებისა. მისი გონება ასეთს ცხოვრებას ვერ შერიგებია. მისი გული უფრო მგრძნობიარეა, ფიქრი უფრო მწველი. უკვირდება ცხოვრებაში განვლილ გზას და ჰხედავს, რომ ყოველივე ის, რაც მას შეუქმნია, ან სხვები ჰქმნიან მის გარშემო, სრული არარაობაა, წვრილმანი.

აქედან მას შემდეგი დასკვნა გამოჰყავს: უსარგებლო, ზედმეტი ადამიანი ვარ, მეტი ბარგი, და ჩემი სიცოცხლე არავისათვის არის საჭირო და გამოსადეგიო.

ლუნევმა მოსამსახურეობიდან დაიწყო, ჭკუით, შრომით, ენერგიით თანდათან გაიმართა წელში, ცხოვრება შეიძინა და შეუერთდა ვაჭართა წრეს.

მან მიაღწია მიზანს, მოაწყო წყნარი, მშვიდი, სრულებით უზრუნველი ცხოვრება. მაშ ახლა უნდა დაჯდეს და დატკბეს, იხაროს, იბედნიეროს.

სწორედ აქ იწყება მისი ტრაღედიაც. გადაჰხედავს ცხოვრებას და რწმუნდება, რომ მისი არსებობა ფუჭია. უსარგებლო.

მას უნდა გაექცეს ასეთ ცხოვრებას, იცხოვროს სულ სხვანაირად, მაგრამ სად წავიდეს, რა გზას დაადგეს, ვერ გაურკვევია.

ამგვარი ფიქრი ღრღნის მის არსებას და არ აძლევს მოსვენებას. აი ის სტუმრად არის; არიან სხვებიც — ვაჭრები, მოქალაქეები, ყველგან, ყველაფერში სიყალბე, სიფლიდე, უსინდისობა.

მოთმინების ფიალა აიკსება და ლუნევი გორდეევივით მიმართავს სტუმრებს:

„ჰხეთქავთ, სვამთ, ატყუებთ ერთმანეთს... არავინ გიყვართ... რა გინდათ! მე ვეძებდი რიგიან ცხოვრებას, სუფთას... არსად არის! ისევ მე წავხდი... კარგ ადამიანს თქვენთან არ ეცხოვრება — დალპება. კარგ ადამიანებს თქვენ საფლავის კარამდე მიიყვანთ. აი მე — ავი ვარ, ღონიერი, თქვენ შორის კი ისე ვარ, როგორც სუსტი კატა ათას ვირთხათა შორის ბნელ სარდაფში. თქვენ ყველგანა ხართ... ასამართლებთ, ბჭობთ, კანონებს ამკვიდრებთ... საძაგლები კი ხართ!"

შემდეგ დასძენს: „აი რომ შემეძლოს, სულ მთლად ყველას მოგსპობთ!"

რას გვეუბნება ყოველივე ეს? ვაჭართა წოდება რუსეთში ძალიან დიდ როლს თამაშობდა, მაგრამ მის მიერ შექმნილი ყოფაცხოვრება ნამდვილი საპყრობილე იყო, რომელშიაც საუკეთესო მათგანსაც სული ეხუთებოდა.

მან შეასრულა თავისი ისტორიული მოწოდება და ახლა გადაგვარების გზაზე იყო დაქანებული. „თომა გორდეევში" ვაჭარი შჩეროვი დაღონებული წარმოსთქვამს: „კვდება ვაჭარი".

გორდეევისა და ლუნევის ტრაღედია იმისი მაჩვენებელია, რომ ვაჭართა წოდება გამოიფიტა. აღარავითარი შემოქმედება მასში აღარ არის და ისტორიული განვითარების გზაზე მას წალეკავს სხვა, უფრო ღონიერი.

დასკვნა აშკარაა: ვაჭართა წოდებას ყოველივე ძველის მოსპობა და ახალი ცხოვრების დამყარება არ შეუძლია. ის თვითონ განწირულია და ისპობა.

კაპიტალისტური ხანა

ოთხმოციანსა და ოთხმოცდაათიან წლებში რუსეთის ცხოვრება იყო ვაჭრულ-მეშჩანური.

სოფელში გაბატონებული იყვნენ მემამულე და მევახშე. ორივე გლეხს სწოვდა სისხლს.

ქალაქი იყო ვაჭრის ხელში, ის ყველას აძრობდა ტყავს, ყოველივე ამას ზევიდან ედო პოლიციის ტორი და სათავეში წამოსკუპებული იყო თვითმპყრობელი.

ცხოვრება წარმოადგენდა ნამდვილ აშმორებულ ჭაობს, რომლის მყუდროებაც დაირღვა ოთხმოცდაათიანი წლებიდან.

რამ დაარღვია?

წამოიჭრა მსხვილი საწარმოო კაპიტალი და გაჩნდა პროლეტარიატი.

ამ გარემოებამ წარმოათქმევინა „თომა გორდეევის“ შჩუროვს: კვდება ვაჭარიო.

ვაჭარი კი არ მომკვდარა, მაგრამ ცხოვრებაში უპირატესობა მას თანდათან წაართვა მსხვილმა ბურჟუაზიამ და საზოგადოებრივი ურთიერთობაც შეიცვალა:

გაჩაღდა მსხვილი წარმოება, გამრავლდა, გათვითცნობიერდა და დაირაზმა პროლეტარიატი, გაჩნდნენ ფაბრიკები, ქარხნები, საწარმოო ცენტრები, გამოვიდა ასპარეზზე ლიბერალური ინტელიგენცია, გართულდა, გამოცოცხლდა მწერლობა, პრესა და სხვ. და სხვ.

ერთი სიტყვით ვაჭრულ-მეშჩანური ყოფა-ცხოვრება შეიცვალა კაპიტალისტურით. ახალი ნაკადის შემოჭრა რუსეთის ცხოვრებაში გორკიმ აღნიშნა ჯერ კიდევ „თომა გორდეევში“. ჩვენ აქ ვხედავთ ახალგაზრდა კაპიტალისტებს სმოლინსა და მაიაკინს, რომლებსაც ევროპა შემოუვლიათ და რუსეთის სინამდვილეში უნდათ დიდი მრეწველობის შემოტანა.

იქნება ეს მსხვილი ინდუსტრიული ბურჟუაზიაა სწორედ ის ძალა, რომლის ისტორიული მოწოდება რუსეთის ცხოვრების სრული გარდაქმნაა?

ასეთი კითხვა აღიმართა მართლაც საზოგადოების წინაშე. ამ კითხვის გადაჭრა გორკიმ იკისრა და ამ მიზნით შექმნა „არტამონოვების საქმე“ და „ბარბაროსები“.

„ბარბაროსებში“ გორკიმ მოგვცა ამერიკული ტიპის მსხვილი მწარმოებლები, რომლებიც ეტრფიან დიდ ქალაქს, ელექტრონს. მათ უნდათ დაამტვრიონ, მოსპონ ყოველივე ოკუროვის მსგავსი და შექმნან ახალი, დიდი, დიადი.

გარეგნულად მათ თითქოს მიაღწიეს მიზანს, ბევრი ტექნიკური ცვლილება და გაუმჯობესება შეიტანეს ცხოვრებაში, მაგრამ შინაარსი ამ ცხოვრებისა ისევ ძველი დარჩა; ვაჭრული ურთიერთობის ხე ინდუსტრიის რკინამ შესცვალა, ცხოვრებაში კი იგივე წვრილმანობა, სიცალიერე, უმიზნობა, ერთმანეთის გაუტანლობა, ექსპლოატაცია და შიშველი ეგოიზმი დარჩა.

„არტამონოვების საქმე“ არის მეტად გრძელი ისტორია ძველი და დიდი ვაჭრის ოჯახისა; მოქმედება გრძელდება ნახევარი საუკუნის მანძილზე და საუცხოოდ არის დასურათებული სამი თაობა ამ ოჯახისა. ოჯახი არის წარმომადგენელი მსხვილი ინდუსტრიული კაპიტალისა. ერთი თაობა ზრდის კაპიტალს და უტოვებს მეორეს,

მეორე — მესამეს, და აი მეორე თაობის ერთი წარმომადგენელი პეტრე არტამონოვი თანდათან რწმუნდება, რომ მთელი ამოდენა შრომა, საქმე ფუჭია, არარაობაა.

ასეთს განწყობილებაში მოუსწრებს მას რევოლუცია, რომელიც ყოველივეს ართმევს. პეტრე არტამონოვი ფიქრშია ჩაძირული, მისი ეზოს კაცი ტიხონი იქვე დგას და ეუბნება:

„სულელი ვარ, სიმართლე კი ყველაზე უმალ შევიგნე. აი როგორ მოტრიალდა, ვამბობდი: ყველას კატორღა-მეთქი, აი ასრულდა... ასეა, პეტრე ილიას ძევ, დიახ, ეშმაკი აშენებდა — შენ კი ეხმარებოდი. რისთვის? სცოდავდი — ანგარიში აქვს ცოდვებს!“

რასაც ტიხონი ეუბნება არტამონოვს, იმას თვითონ არტამონოვი ამბობდა ჩუმად, თავის გულში.

დასკვნა ერთადერთია: მსხვილი ბურჟუაზიის საქმიანობა ეშმაკის ნამოქმედარია, მუშა ხალხის ყვლეფაა. უკეთეს შემთხვევაში მას შეუძლია ტექნიკური გაუმჯობესების შეტანა წარმოებაში, ხოლო ცხოვრების შექმნა კი არა.

მაშ სად არის ხსნა და საშველი?

— ინტელიგენციაში! — მოესმა გორკის და აქედან იწყება მეოთხე ხანა მისი მოღვაწეობისა.

ინტელიგენტური ხანა

მსხვილი ბურჟუაზიის ზრდასთან ერთად გაიზარდა ლიბერალური ინტელიგენცია. როდესაც პროლეტარიატი გამოვიდა პოლიტიკურ ასპარეზზე და თვითმპყრობელობის საფუძველმა რყევა დაიწყო, ლიბერალურმა ინტელიგენციამ ამაყად წამოჰყო თავი და წარმოიდგინა: მე ვარ, რაც ვარ, ჩემზეა ყოველივე დამოკიდებული.

ეს იყო პირველი რევოლუციის წინა წლებში. შეუძლია თუ არა ინტელიგენციას ახალი ცხოვრების დამყარება? აი ამ კითხვის გადასაჭრელად გორკი წერს რამდენიმე ეიხზულებას, რომელთა შორისაც გასაკუთრებული მნიშვნელობა აქვს პიესას: „მოაგარაკენი“.

ეს იყო 1904 წლის 11 დეკემბერს. პეტერბურგში კომისარჟევსკაიას თეატრში პირველად მიდიოდა გორკის პიესა „მოაგარაკენი“.

მთელი თეატრი გატენილი იყო ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლებით. ჩამოეშვა თუ არა ფარდა პირველი მოქმედების შემდეგ, ასტყდა დარბაზში საშინელი სტვენა: ინტელიგენცია უსტვენდა გორკის.

რა იყო, რა მოხდა?

„მოაგარაკენი“ წარმოადგენენ სასტიკ, შეუბრალებელ კრიტიკას არისტოკრატიული, ბურჟუაზიული და დემოკრატიული ინტელიგენციისას. ერთი ნაწილი ინტელიგენციისა თბილ ადგილებზეა მოკალათებული, გამაძღარია და მეტს არაფერს დაეძებს; მეორე ნაწილი თითქოს რაღაცას აკეთებს, დაფუსფუსებს, მაგრამ ისე, სხვების დასანახავად: შემომხედეთ, რა ბიჭი ვარო; მესამე ნაწილი არაფერს აკეთებს, მხოლოდ ლაპარაკობს და ლაპარაკობს.

მთელ ინტელიგენციას პიესაში ახასიათებს ლექსში ერთი მოქმედი პირი:

პატარა, მოსაწყენი ადამიანები
დადიან ჩემი მამულის მიწაზე,
დადიან და დაღვრემილი დაეძებენ ადგილს,
სადაც შეეძლებათ ცხოვრებას დაემალონ.

ყველას უნდა იაფი ბედნიერება,
მაძღრობა, სიხალვათე და სიჩუმე.
დადიან და ყველა ჩივის, კვნესის, —
უფერული მხდალები და ცრუები.

პატარა ნაქურდალი აზრები...
ლამაზი, ახალოდის სიტყვები...
დაღოღავენ ნელა ცხოვრების ნაპირზე
ჩრდილივით დაბერული კაცუნები.

გორკი ზურგს შეაქცევს ლიბერალურ-ბურჟუაზიულსა და არისტოკრატიულ ინტელიგენციას. ის მიმართავს იმ ინტელიგენციას, რომელიც დაბალი ხალხის წრიდან გამოვიდა. რას უნდა აკეთებდეს ეს ინტელიგენცია? წინ უნდა მიუძღოდეს მშრომელ ხალხს და გზას უჩვენებდეს უკეთესი მომავლისაკენ, ამის ნაცვლად კი ის მოსწყვეტია თავის მშრომელ ხალხს და ნელა დაღოღავს ცხოვრების ნაპირზე.

ასეთი ინტელიგენცია ახალ ცხოვრებას ვერ დაამყარებს.

მაშ სად არის ხსნა? — ეკითხება გორკი თავის თავს.

— ჩვენში! — ესმის ძლიერი გუგუნი პროლეტარიატის რიგებიდან.

აქედან იწყება შემდეგი და უკანასკნელი ხანა გორკის შემოქმედებისა.

პროლეტარული ხანა

ოთხმოცდაათიანი წლებიდან რუსეთში იწყება ზრდა საწარმოო კაპიტალისა და ამას მოჰყვა პროლეტარიატის ზრდა. გაჩაღდა პარ-

ტიული მუშაობა, პროლეტარიატი დაირაზმა სოციალ-დემოკრა-ტიული პარტიის რიგებში და დაიწყო ნელ-ნელა პოლიტიკური ბრძოლის იერიშები — ჯერ ნელი და სუსტი, მერე თანდათან ძლიერი და მედგარი.

გორკი შედის სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში, უკვირდება მუშების ერთობას, მოძრაობას, განწყობილებას და სწერს პიესას „მტრები", რომანს — „დედა", მოთხრობებს — „ზაფხული" და „ალსარება".

გორკის წინანდელ ნაწერებში შეხვდებით პროლეტარიატის წარმომადგენლებს, მაგრამ მათ ახასიათებთ გაუბედაობა და მორჩილება.

ეს აიხსნება პროლეტარიატის შეუგნებლობით, როდესაც მას თავისი კლასობრივი გზა და მოწოდება ჯერ არა ჰქონდა გათვალისწინებული და გაპონებისა და ზუბატოვებისა სჯეროდა.

გაიზარდა პროლეტარიატი, გაიზარდა და ჩამოყალიბდა მისი შეგნება და ყოველივე ამან ჰპოვა საუცხოო მხატვრული განსახიერება გორკის იმ ნაწერებში, რომლებიც პროლეტარულ ხანას ეკუთვნიან.

ჯერ კიდევ პიესაში „Мещане" გორკის გამოყვანილი ჰყავს მუშა ნილი, რომელიც ჰხედავს, რომ ცხოვრება არ არის მოწყობილი, ქურდები და ღორები მბრძანებლობენ და სხვ. ცხოვრებას გარდაქმნა უნდა და ეს მეტად ძნელი საქმეა, კარგად იცის ნილმა, მაგრამ არაფერია, ჩვენი გაიტანსო, ამბობს ის.

როგორ გაიტანს, რანაირად, მას არა აქვს კარგად და ნათლად წარმოდგენილი.

„მტრების" გმირებს კი ყოველივე ეს კარგად აქვთ გამორკვეული. აქ უკვე დაპირისპირებულია ორი ძალა: ბურჟუაზია და პროლეტარიატი. თუ ბურჟუაზიული ყოფა-ცხოვრების აღწერაში ყველგან ვხედავთ პირად საქმიანობას, პირად „მე"-ს, ყველაფერში მხოლოდ პიროვნულს, — პროლეტარიატის დასურათებაში ყოველივე ეს ჰქრება და ჩვენს წინაშე პიროვნულის, ინდივიდუალურის ნაცვლად წამოჭრილია საზოგადო, კოლექტიური.

გორკის შემოქმედების მეორე და მესამე ხანაში, სადაც ვაჭრული და ინდუსტრიული ურთიერთობაა განსახიერებული, თვითეულ მოქმედ პირს ამოძრავებს პირადი ინტერესი; ამის გარეშე მისთვის არაფერი არსებობს. „ქალაქ ოკუროვში" ერთი ეუბნება მეორეს: წყალდიდობა მოგველის, მდინარეებს ნაპირები გადმოუხეთქიაო, მეორე გულდამშვიდებით უპასუხებს: მე მაღლობზე ვდგევარ. წყალი ჩემამდე ვერ მოატანსო. სხვები რომ დაბლა დგანან და შესაძ-

ლებელია, წყალმა წალეკოს და გაანადგუროს ისინი, ეს ფეხებზე ჰკიდია მას.

სულ სხვა სურათია „მტრებში". აქ მთავარი მამოძრავებელი ძალა არის საზოგადო, საერთო. ყოველივე პირადი, კერძო, თვით სიცოცხლეც კი საზოგადო კეთილდღეობას ეწირება მსხვერპლად.

გორკის შემოქმედების ვაჭრულ-კაპიტალისტურ ხანაში ფულია ყველას ოცნება. თვითეული მიისწრაფვის გამდიდრებისაკენ. ოცნებობს გამდიდრებაზე და ამ მიზნის მისაღწევად არაფერს ერიდება.

აი მიზანი უკვე მიღწეულია, მაგრამ სწორედ ამ დროს სინიდისი ამხილებს: არა ვრცხვენია? განა ღირდა ამისათვის ცხოვრება და ამდენი სისაძაგლის ჩადენაო.

აქედან იბადება გულგატეხილობა, სასოწარკვეთილება და შინაგანი ტრაღედია.

გორკის მოღვაწეობის სოციალისტურ ხანაში კი ვერაფერს ამის მსგავსს ვერა ნახავთ: საერთო საქმის სიყვარულს, იმედსა და გამარჯვების სრულ რწმენას ერთად შეუდუღებია ყველა — ეს „ყველა" ისე მოქმედებს, როგორც ერთი ადამიანი.

ვინ არიან მაიაკინი, გორდეევი, ლუნევი, არტამონოვი?

წარმომადგენლები კლასისა, რომელიც უკვე დაღუპვისაკენ მიექანება.

სოციალისტური შემოქმედების ხანაში კი თქვენს წინაშე ამართულია ახალი კლასი, რომელიც რკინის ნებით, გაკაჟებული გულითა და მტკიცე გადაწყვეტილებით მიისწრაფის წინ, ახალი ცხოვრებისაკენ.

აიღეთ ასეთი მაგალითი. აუცილებელია კაპიტალისტი სკრობოტოვის თავიდან მოცილება და მუშები მას ჰკლავენ. მთავრობამ რომ ამის გამო მუშების ორგანიზაცია გაანადგუროს და საუკეთესო მუშები დაღუპოს, ამით საერთო პროლეტარული საქმე ძალიან დაზიანდება. ახალგაზრდა მუშა რიაბცოვი გამოვა და მკვლელობას თავის თავზე იღებს: მე ერთი ვარ, ისევ მე დავიღუპოო.

განა ამის მსგავსი რამ შესაძლებელია მაიაკინებისა და არტამონოვების სამფლობელოში? ის ახალი, ამაყი და შეუპოვარი ადამიანი, რომელიც ყოველგვარ დაბრკოლებას ანადგურებს, რათა ააგოს ახალი ცხოვრება თავისუფლების, სიყვარულისა და სოლიდარობის საფუძვლებზე, გორკიმ პროლეტარიატის რიგებში აღმოაჩინა.

სოციალისტური ხანის ნაწერებში გორკის გამოყვანილი ჰყავს ზოგან ისეთი მუშები, რომლებიც გარდამავალ ტიპს წარმოადგენენ. მათში შემოჭრილია ახალი აზროვნება, ახალი შეხედულებანი, ახალი

გაგება და შეფასება მოვლენათა; მაგრამ ყოველივე ამასთან ერთად დარჩენილია ზოგი რამ ძველიც, ზოგიერთს კარგად ვერ გაურკვევია კავშირი ეკონომიურსა და პოლიტიკურ ბრძოლას შორის. რომანში „დედა“ ჩვენს წინაშე უკვე უფრო მოწინავე მუშები არიან. მათ ძალიან კარგად იციან, რომ პოლიტიკა და ეკონომიკა მჭიდროდ არიან ერთმანეთთან დაკავშირებული და პოლიტიკის გარეშე ეკონომიური მიზნების განხორციელება შეუძლებელია. აი მუშები ნახოდკა, რიბინი, ვლასოვი, რომლებიც ფარული ორგანიზაციის წევრები არიან და პოლიტიკური ბრძოლისათვის ემზადებიან. „დედა“ საუცხოო დასურათებაა პროლეტარიატის დიდი ოჯახისა და მისი ზრახვებისა, მისი ყოფა-ცხოვრებისა.

„დედა“ არის ერთგვარი დაპირისპირება „ქალაქ ოკუროვისა“. იქ — ბურჟუაზია და მისი ყოფა-ცხოვრება, აქ — პროლეტარიატი და მისი ყოფა-ცხოვრება. იქ — ცხოვრება ფუჭი, უშინაარსო, უფერული.

რატომ?

იმიტომ რომ ადამიანი ადამიანისათვის მგელია და ყველა თავის საკუთარ თავზე ჰფიქრობს.

აქ კი ცხოვრება წარმტაცი, მდიდარი შინაარსით, გატაცებით, მისწრაფებით.

რატომ?

იმიტომ რომ მუშები საერთო ნებით მიისწრაფვიან ახალი ცხოვრებისაკენ და მათ არ აშინებთ არავითარი დაბრკოლება, არავითარი საფრთხე, არავითარი მსხვერპლი. „ზაფხულში“ მაქსიმ გორკის დასურათებული აქვს ახალი სოფელი, რომელიც ძველს აღარა ჰგავს. წინანდელ სოფელში სუფევდა უგუნურება, შეუგნებლობა. დაბეჩავება, მორჩილება, ლოთობა, ჩხუბი, გაუტანლობა.

სულ სხვა არის ახალი სოფელი: ხალხი შეგნებულია, გათვითცნობიერებული.

აიღეთ გლეხი ეგორ დოსეკინი. ძველ სოფელთან მას ყოველგვარი კავშირი აქვს გაწყვეტილი და თავისი განწყობილებით, ზრახვებით, მისწრაფებით მოწინავე მუშებს უახლოვდება.

დოსეკინი ერთგვარი კავშირია მოწინავე გლეხებსა და მუშებს შორის.

საუცხოო სურათია მოცემული სოფლის მდიდრებისა, რომლებსაც სოფლის გამოფხიზლება მოსვენებას უკარგავს.

სოფელი ერთფეროვანი და ერთაზროვანი აღარ არის, სოფელი ირღვევა, იშლება: მდიდრები ცალკე ჯგუფდებიან, ღარიბები ცალ-

კე. ღარიბს მიწა უნდა, მაგრამ ის უკვე გრძნობს, რომ „უბუნტოდ“ ამ მიწას ვერ მიიღებს.

როდესაც წაიკითხავთ მოთხრობას, თქვენთვის აშკარა ხდება შემდეგი:

სოფელი მზად არის ამ „ბუნტისათვის“, ე. ი. პოლიტიკური ბრძოლისათვის, მაგრამ მას უნდა მეთაური. სოფელში დაგროვილია ცეცხლი, აპაფეთქებელი მასალა. მაგრამ დამოუკიდებლად არაფერი შეუძლიათ. საჭიროა მეთაური, რომელიც ამ მასალას შესაფერისად გამოიყენებს.

ვის შეუძლია ასეთი მეთაურობა? ამის პასუხს გვაძლევს „აღსარება“.

გლეხი მათე პატარაობიდან აღიზარდა სოფელში, ისწავლა წერა-კითხვა, კითხულობდა საეკლესიო წიგნებს. გაიმსჭვალა ძლიერი რწმენით და ამავე დროს ხედავდა, რომ ცხოვრებაში ყველა ბოროტია, ერთიმეორის მტერი, არ არის სიყვარული, დანდობა, გატანა.

ცოდვა და ბოროტება — აი რა არის გამეფებული ყველგან. მათე ახალგაზრდა დაქვრივდა და მწუხარებაში მყოფი გაუდგა გზას, რომ სადმე ენახა უკეთესი ცხოვრება, გაეგო აზრი ადამიანის არსებობისა. მიადგა მღვდელს, ანგარების მეტი ვერა ნახა რა.

მივიდა ბლაღოჩინთან; პოლიციით დაემუქრა: შენს თავს დავაჭერინებო. შეხვდება მეძავ ქალს და ისევ იმის გულში ჰპოვებს ადამიანურ თანაგრძნობას.

შედის მონასტერში, რომ აქ იხილოს ცხოვრება სხვანაირი, ახალი. მონასტრის ყოფა-ცხოვრება გორკის მეტად ვრცლადა აქვს აწერილი.

რას ჰხედავს მათე? მონასტერში იგივეა, რაც მონასტრის გარეთ: ლოთობა, გარყვნილება, გაუტანლობა, გინება, ფლიდობა, ფულის გაღმერთება. მონასტერი ვაჭრობს, გლეხებს ტყავს აძრობს. აქაც ყველაფერი ფულზეა აგებული.

დაანებებს მონასტერს თავს და ბევრი მოგზაურობის შემდეგ მიადგება ერთ ქარხანას. ეცნობა აქ მუშების საერთო ცხოვრებას, მათი ბავშვების აღზრდას და გული სიხარულით ევსება. აქ არის თანხმობა, თანაგრძნობა, სიყვარული, ერთობა.

საერთო საქმის დასაცავად ყველა ისე გამოდის, როგორც ერთი კაცი. ლაპარაკობს ყველა თავისას, სახეც სხვანაირი აქვთ, კამათობენ, ბევრჯერ იგინებიან კიდეც, მაგრამ „რწმენა ყველას ერთი აქვს, განზრახვაც ერთი, აუჩქარებლად, თანხმობით და გულმოდგინედ აშენებენ ისინი რაღაცას“.

აღტაცებული მათე აცხადებს: „მოვა დრო, ხალხის მთელი ნება ისევ თავს მოიყრის ერთ წერტილში“.

მაშინ დამყარდება ქვეყანაზე ახალი ცხოვრება.

მათემ იწამა ეს და ჰპოვა სრული შინაგანი ბედნიერება.

რისი თქმა უნდოდა ამ მოთხრობაში გორკის?

ახალი ცხოვრების შექმნა არის მოწოდება და საქმე მხოლოდ პროლეტარიატისა.

ვინ არის მათე?

რუსეთის გლეხობა.

გლეხობამ უნდა იწამოს პროლეტარიატის ძალა და მიზანი და მივიდეს მასთან, აი დედა აზრი „აღსარებისა“. გორკიმ თავის შემოქმედებაში ერთმანეთს დაუპირისპირა ორი ქვეყანა: ბურჟუაზიული და სოციალისტური.

ამისათვის მან მხატვრულ სახეებში გადაგვიშალა წინ მთელი თანამედროვე რუსეთის ყოფა-ცხოვრება. ის შეეხო ყველა წრეს, ყველა წოდებას, ყველა კლასს, გააშიშვლა ვაჭრულ-კაპიტალისტური ურთიერთობა და გამოააშკარავა მხატვრულ სახეებში მისი ბოროტება და სისაძაგლე. გაუტანლობა, მტრობა, სიძულვილი, გაყვლეფა, ექსპლოატაცია, უმრავლესობის უბედურებით მოპოვებული კმაყოფილება პატარა უმცირესობისა, — აი ბურჟუაზიული ყოფა-ცხოვრება.

სოციალისტურ წყობილებაში ყოველივე ეს გამქრალა — იქ გამეფებულა საერთო, კოლექტიური შრომა. თანხმობა, სოლიდარობა, ერთობა. სიყვარული და საერთო ნება ჰქმნიან ისეთს ცხოვრებას, რომელიც სავსეა თავისუფლებით, სილამაზითა და კეთილშობილებით.

ბურჟუაზიულ წყობილებაში ადამიანი უბედურია, სიბოროტით, მტრობით, სიძულვილით სავსე, მონა გროშისა. სოციალისტური წყობილება კი ჰქმნის ახალს, თავისუფალ ადამიანს, რომელიც ამაყად მიდის წინ საერთო ბედნიერებისაკენ.

ვინ შექმნის ასეთს ახალ ცხოვრებას?

პროლეტარიატი, რომელსაც გვერდში უნდა ამოუდგეს მთელი გლეხობა.

გორკის მოთხრობები და რომანები გვიმტკიცებენ, რომ მუშებში შეგნება თავისთავად კი არ მოდის, არამედ საჭირო არის ხელმძღვანელი, მეთაური, გზის მაჩვენებელი.

ვის შეუძლია მუშებისა და გლეხების მეთაურად ყოფნა?

ამის პასუხს გვაძლევს მ. გორკის პოლიტიკური მოღვაწეობა.

მ. გორკი მარტო კალმით კი არ იბრძოდა, როგორც ხელოვანი, ბურჟუაზიული წყობილების დასამხობად და სოციალიზმის დასამყარებლად, ის სიტყვითაც და საქმითაც იყო დაუძინებელი მტერი თვითმპყრობელობისა და მტკიცე დარაჯი პროლეტარიატის კეთილდღეობისა.

მ. გორკიმ ერთის დაკვრით მოიპოვა დიდი სახელი და დიდი გავლენა.

მას შეეძლო დამჯდარიყო და ფუფუნებაში ეცხოვრა. მაგრამ ასეთი არ არის ეს მოუსვენარი ადამიანი, რომლის გულშიაც პროლეტარული რისხვა ბობოქრობს და პროლეტარული ცეცხლი გიზგიზებს.

ის არა ერთხელ ჩავარდნილა ჟანდარმების ხელში, არა ერთხელ მჯდარა ციხეში, მაგრამ იქიდან განთავისუფლებული უფრო მედგრად დასჯახებია თვითმპყრობელობის სიმაგრეებს. ეწეოდა ფარულ მუშაობას, წერდა პროკლამაციებს და საზღვარგარეთ გამოდიოდა საჯარო მოხსენებებით თვითმპყრობელობის წინააღმდეგ.

ბევრჯერ იჯდა ციხეში დიდი ხნით და 1906 წლიდან 1914 წლამდე იძულებულია საზღვარგარეთ იცხოვროს, რადგანაც რუსეთში დაბრუნება აკრძალული აქვს.

საზღვარგარეთ ის აარსებს (იტალიაში, კაპრის კუნძულზე) სკოლას რუსეთის ემიგრანტი მუშებისაგან მცოდნე პროპაგანდისტების მოსამზადებლად და თვითონვე უკითხავს მათ ლექციებს.

ჯერ კიდევ 1901 წელს გორკი შედის ს.-დ. პარტიაში და 1907 წელს პარტიულ ყრილობაზე მიდის ლონდონში დელეგატად. როდესაც პარტია ორად გაიყო, მ. გორკი ბოლშევიკებთან გადავიდა და მუშაობდა ლენინის ხელმძღვანელობით.

ყოველივე ეს ნათლად ამტკიცებს, თუ ვის მხარეზე იყო და არის გორკი, ვის ანდობს ის რევოლუციისა და მშრომელი ხალხის ბედს. ტაქტიკურ საკითხებში გორკი ხშირად იყო მერყევი. ეს მერყეობა ემჩნეოდა წინათაც, როდესაც პირველი რევოლუციის დამარცხების შემდეგ ბოგდანოვისაკენ გადაიხარა.

მერყეობა გამოიჩინა მან ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების დროსაც, მაგრამ ყოველივე ეს შეეხებოდა მხოლოდ და მხოლოდ ტაქტიკურ საკითხებს.

აი ერთი ადგილი გორკის წერილიდან, რომელიც „Накануне"-ში დასტამბა: „ხმებს ავრცელებენ, თითქოს მე შემეცვალოს ჩემი დამოკიდებულება საბჭოთა ხელისუფლებასთან. საჭიროდ მიმაჩნია

განვაცხადო შემდეგი: საბჭოთა ხელისუფლება ჩემთვის წარმოადგენს ერთადერთ ძალას, რომელსაც შეუძლია დასძლიოს რუსის ხალხის ინერცია და აღძრას მისი ენერგია ცხოვრების უფრო სამართლიანი და უფრო გონიერი ფორმების შესაქმნელად".

ამ ამონაწერს განმარტება აღარ ესაჭიროება.

გორკი მთელი თავისი დიდი შემოქმედებითი ნიჭით ანგრევს ძველს, ბურჟუაზიულ ყოფა-ცხოვრებასა და ურთიერთობას და მიისწრაფვის ახლისაკენ. საბჭოთა წყობილებასა და ხელისუფლებაში ის ჰხედავს ერთადერთ ძალას, რომელსაც შეუძლია მისი ოცნება სინამდვილედ აქციოს.

ლენინი და გორკი

ლენინი და გორკი ბოლომდე გულითადი მეგობრები იყვნენ. ლენინი არა თუ პატივსა სცემდა დიდ მწერალს, მას უყვარდა გორკი. ასეთი გრძნობებით იყო გამსჭვალული გორკიც ლენინისადმი, რომელშიაც ის ჰხედავდა უდიდეს ადამიანს, უდიდეს რევოლუციონერსა და მსოფლიო პროლეტარიატის უდიდეს ბელადს.

ოქტომბრის რევოლუციი გორკის შეხედულებით მარტო რუსეთის ფარგლებით კი არ განისაზღვრება, იმას აქვს უდიდესი და უაღრესი მნიშვნელობა მთელი მსოფლიო პროლეტარიატისათვის.

საზღვარგარეთ ცხოვრების დროს ლენინი ხშირად ეწვეოდა ხოლმე გორკის და გეგმებს აწყობდნენ გაზეთის და საერთოდ პოლიტიკური მუშაობის შესახებ.

გორკის აზრსა და შეხედულებას განსაკუთრებით ხელოვნების საკითხებში ლენინი დიდად აფასებდა და წერილში ხშირად სწერდა: შემატყობინეთ, რა აზრისა ხართ, ან მოკლედ მაცნობეთ, ამას ნუ დაბეჭდავთ და სხვ.

თუ გორკის ნაწერებში რამე არ მოეწონებოდა ლენინს, დაუფარავად მიუთითებდა თავის წერილებში და გააშიშვლებდა იმის შეცდომებსა და ყალბ, არაპროლეტარულ გადახრებს.

ამგვარად ლენინი მარტო მეგობარი კი არ იყო გორკისა, არამედ მასწავლებელიც.

ლენინი სთვლიდა გორკის დიდ ავტორიტეტად, რომელსაც მოჰქონდა პროლეტარიატისათვის აუარებელი სარგებლობა.

„თავისი დიადი მხატვრული ნაწარმოებებით ამხანაგმა გორკიმ მეტად მჭიდროდ დაუკავშირა თავისი თავი რუსეთისა და მთელი

მსოფლიოს მუშათა მოძრაობას“, — წერდა ლენინი ჯერ კიდევ 1909 წელს.

ლენინის წერილები გორკისადმი წარმოადგენს მთელ წიგნს, რომლიდანაც საინმუშოდ მოვიყვან რაშდენიმეს.

ა. მ. გორკის

2. 11. 08.

ძვირფასო ა. მ.!

გწერთ ორ საქმეზე.

ჯერ-1, სემაშკოს საქმეზე. თუ მას პირადად არ იცნობთ, არ ღირს ჩაერიოთ ქვემომოყვანილი გარემოების გამო. თუ იცნობთ, ღირს.

ლ. მარტოვმა ბერნის ს.-დ. გაზეთში მოათავსა „განცხადება“, სადაც ამბობს, რომ სემაშკო შტუტჰარტის კონგრესზე იყო არა როგორც დელეგატი, არამედ მხოლოდ როგორც ჟურნალისტი. ერთ სიტყვასაც არ ამბობს, რომ იგი ს.-დ. პარტიას ეკუთვნის. ეს არის მენშევიკის საზიზღარი გამოხდომა ბოლშევიკის წინააღმდეგ, რომელიც საპყრობილეში მოხვდა. მე, როგორც რსდმ პარტიის წარმომადგენელმა საერთაშორისო ბიუროში, უკვე გავგზავნე ჩემი ოფიციალური განცხადები. თუ სემაშკოს პირადად იცნობთ ან ნიჟნში იცნობდით, აუცილებლად მისწერეთ ამავე გაზეთს, რომ აღშფოთებული ხართ მარტოვის განცხადებით, რომ თქვენ პირადად იცნობთ სემაშკოს, როგორც ს.-დ-ს, რომ თქვენ დარწმუნებული ხართ, რომ მას კავშირი არა აქვს იმ საქმეებთან, რომლებსაც აზვიადებს საერთაშორისო პოლიცია. ქვემოთ მომყავს გაზეთის მისამართი და სრული ტექსტი მარტოვის განცხადებისა, რომელსაც მ. თ. გითარგმნით. რედაქციას თქვენ თვითონვე მისწერეთ რუსულად, ხოლო მ. თ.-ს სთხოვეთ დაურთოს გერმანული თარგმანი.

მეორე საქმე. ჩვენ ახლა აქ თავი მოვიყარეთ სამივემ, რომლებიც რუსეთიდან ვართ გამოგზავნილი „პროლეტარის“ დასაარსებლად (ბოგდანოვმა, მე და ერთმა „პრაქტიკოსმა“). ყველაფერი მოგვარებულია, ამ დღეებში გამოვუშვებთ ანონსს. თანამშრომლად გაყენებთ თქვენ. მოგვწერეთ ორიოდე სიტყვა, შეგიძლიათ თუ არა მოგვცეთ რამე პირველი ნომრებისათვის (იქნება ეს ისეთივე რამ, როგორც **შენიშვნები მეშჩანობის შესახებ, „ნოვაია ჟიზნში“** რომ იყო მოთავსებული, თუ ნაწყვეტები მოთხრობიდან, რომელსაც წერთ, და სხვ.).

მაგრად გართმევეთ ხელს. დიდი მოკითხვა მ. თ.-ს!

თქვენი ვ. ულიანოვი

ა. მ. გორკის

16. IV. 08.

ძვირფასო ალ. მ.!

დღეს მივიღე თქვენი წერილი და ვიჩქარი გიპასუხოთ. ჩემი წამოსვლა უსარგებლო და საზიანოა: იმ ადამიანებთან, რომლებმაც რელიგიასთან მეცნიერული სოციალიზმის შეერთების ქადაგება დაიწყეს, ლაპარაკი მე არ შემიძლია და არც ვილაპარაკებ. რეულების დრომ განვლო. დავა არ შეიძლება, ნერვების ამაოდ მოშლა სისულელეა. პარტიული (ფრაქციული) საქმეებისაგან უნდა გავაცალკევოთ ფილოსოფია: ამას გვავალებს ბც-ის გადაწყვეტილებაც.

მე უკვე გავგზავნე დასაბეჭდად ომის უაღრესად ფორმალური გამოცხადება. დიპლომატიას აქ უკვე არა აქვს ადგილი, — მე, რა თქმა უნდა, დიპლომატიაზე ელაპარაკობ არა ცუდი, არამედ კარგი აზრით.

თქვენი მხრივ, ძვირფასო ა. მ. (თუ თქვენც არ განიმსჭვალეთ ღმერთის რწმენით), „კარგი“ დიპლომატია ის იქნება, თუ ჩვენს საერთო (ე. ი. ჩემი ჩათვლითაც) საქმეებს განაცალკევებთ ფილოსოფიისაგან.

ფილოსოფიის გარდა სხვა საქმეებზე საუბარი ახლა არ გამოდგება: არაბუნებრივი გამოვა. თუმცა, ეს სხვა საქმეები, არა ფილოსოფიური საქმეები; არამედ, მაგალითად, „პროლეტარი“, თუ მართლა მოითხოვს საუბარს სწორედ ახლა, სწორედ თქვენთან, მე შემეძლო ჩამოვსულიყავი (არ ვიცი, ვიშოვნი ფულს თუ არა: სწორედ ახლა გაჭირვება გვაქვს), მაგრამ ვიმეორებ: მხოლოდ იმ პირობით, რომ ფილოსოფიასა და რელიგიაზე მე არ ვლაპარაკობ.

თქვენთან კი აუცილებლად ვაპირებ სასაუბროდ ჩამოსვლას, როცა მუშაობას დავამთავრებ და თავისუფალი ვიქნები.

მაგრად გართმევთ ხელს.

თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

მ. თ.-ს დიდი მოკითხვა: ის, იმედია, ღვთის მომხრე არ არის, ჰა?

ა. მ. გორკის

25. VII. 1913.

ძვირფასო ა. მ.! სულ მინდოდა მომეწერა თქვენთვის, მაგრამ გადავდებდი ხოლმე ცოლის ოპერაციის გამო. გუშინწინ, როგორც

იქნა, ოპერაცია გაუკეთეს, და ახლა უკვე მომჯობინება ეტყობა. ოპერაცია საკმაოდ ძნელი აღმოჩნდა. ძალიან მოხარული ვარ, რომ მოხერხდა ოპერაციის გაკეთება კოხერთან.

ახლა საქმეზე. თქვენ იწერებოდით, რომ აგვისტოში ბერლინში იქნებით. როდის აგვისტოში? დამდეგს თუ დამლევს? ჩვენ აქედან წასვლას ვაპირებთ 4 აგვისტოს. ბილეთები გვაქვს ციურიხზე — მიუნხენზე — ვენაზე და ყველა ამ ქალაქში გავჩერდებით. (შესაძლებელია 4-ში ექიმმა კიდევ არ გაგვიშვას, — მაშინ კიდევ გადავდებთ.).

ხომ არ შეიძლება ერთმანეთს შევხვდეთ სადმე? თქვენ ხომ ალბათ გზა ბერნზე ან ციურიხზე გაქვთ ან მიუნხენზე?

ძალიან საჭიროა შევხვდეთ ერთმანეთს. „პრავდის“ დახურვა საშინლად ძნელ მდგომარეობას ქმნის. იქნებ რამეს მოვიფიქრებდით. შემდეგ ბერლიხში თქვენ შეძლებდით ძალიან ბევრი რამ გაგეკეთებინათ ჩვენთვის, ე. ი. „პრავდისათვის“.

ამიტომ ძალიან გთხოვთ ახლავე მომწეროთ თუნდაც ორი სიტყვა იმაზე, შესაძლებელია თუ არა ჩვენი შეხვედრა აქ ან აღნიშნულ ქალაქებში აგვისტოს დამდეგს? თუ არ არის შესაძლებელი, მაშინ ვე უფრო დაწვრილებით მოგწერთ ყველა საქმეზე, კერძოდ სკოლის შესახებ (ორგანიზატორის ჩავარდნამ საშინლად დაგვაბრკოლა; ვეძებთ სხვას).

მაგრად გართმევთ ხელს და გისურვებთ ყოველივე კეთილს, ყველაზე მეტად კი ჯანმრთელობას მგზავრობისათვის. მაშ მიპასუხეთ ახლავე!

თქვენი ლ ე ნ ი ნ ი.

მოყვანილი წერილები ნათლად ამტკიცებენ, თუ როგორ უყვარდა ლენინს გორკი, როგორ სცემდა მას პატივს, რამდენად აფასებდა მის აზრს და როგორ უზიარებდა მას თავის შეხედულებებს.

ლენინი დიდი პიროვნება იყო, დიდი ბუნების ადამიანი და გორკის წონა კარგად იცოდა.

ერთი იყო უდიდესი მოაზროვნე და წინამძღოლი მსოფლიო პროლეტარიატისა;

მეორე — უდიდესი ხელოვანი.

სხვადასხვა გზითა და სხვადასხვა საშუალებით ორივე მიდიოდა ერთი და იმავე მიზნისაკენ — სოციალიზმისაკენ.

დღეს, როდესაც დედამიწის მეექვსედზე პროლეტარიატი ამკვიდრებს თავის გამარჯვებას, მ. გორკი კიდევ უფრო საყვარელია, როგორც წინამორბედი და მომღერალი ამ გამარჯვებისა.

მამაცთა სიგიჟეს
ვუმღერით დიდებას!

ერთი ამგვარი მამაცთაგანია მაქსიმ გორკი.
მან დაიმსახურა სიმღერა დიდებისა!

1928

როდიონ ჟორჟია

წარმოიდგინეთ ძველი ფეოდალური ცხოვრება. აუარებელი ყმა და მოსამსახურე. სრული უზრუნველყოფა, დიდი შემოსავალი. ყოველივე თითქოს თავისით მოდის, ფიქრი, ზრუნვა საჭირო არ არის. თუ რასმე მოინატრებს დიდი ბატონი, მყისვე გაჩნდება — ჰეტი რა საქმე აქვთ აუარებელ შინამოსამსახურეთ.

ამავე დროს სრული უსაქმობა, აუარებელი თავისუფალი დრო. ფეოდალი ჰხარჯავს ამ დროს ქეიფსა, ლხინსა და დროსტარებაში, ნადირობაში, მაგრამ მაინც ბევრი რჩება:

ერთფეროვანი დღეები, ზამთრის გრძელი ღამეები.

აი, ასეთ პირობებში მისწრებაა გრძელი რომახი.

ამიტომაც რომანი ფეოდალური წყობილების პირმშო შვილია. ძველი რომანები რომ აიღოთ, ზოგი ჰათგანი რამდენიმე დიდი ნაწილისაგან შესდგება და ათას გვერდს აღემატება.

რა გინდ დიდი ღირსებისა იყოს ასეთი რომანი, დრო უხდა თუ არა, რომ გულდასმით გადაიკითხოთ?

რა თქმა უნდა, მისი წაკითხვა უფრო ისეთ ადამიანს შეუძლ... რომელსაც თავისუფალი დრო თავზე საყრელადა აქვს.

ასეთი გახლდათ ფეოდალური არისტოკრატია.

ბურჟუაზიულმა წყობილებამ შესცვალა ფეოდალების ბატონობა. ბურჟუაზიას, ფეოდალებთან შედარებით, ნაკლები დრო აქვს: მას სჭირდება ბევრი ფიქრი და ზრუნვა, რომ ფულს ფული გააგდებინოს.

მაგრამ ბურჟუაზიის გარშემო თავს იყრიან აუარებელი მუქთახორები, რომლებიც მუშა ხალხის ნაოფლარით ცხოვრობენ და თავისუფალი დრო კი ძალიან ბევრი აქვთ. ეს დრო იხარჯება ქეიფსა და დროსტარებაში. ბურჟუაზია ათენებს ღამეებს მრავალგვარ გარყვნილებაში, მაგრამ დრო მაინც ბევრი რჩება კიდევ. ამიტომ რომანს ბურჟუაზიულ წყობილებაშიაც ჰყავს ძალიან ბევრი მკითხველი.

ბურჟუაზიამ თითქმის უცვლელად გადმოიტანა ფეოდალური წყობილებიდან ძველი რომანის ფორმა, ჩასდო შიგ ახალი შინაარსი და ამრიგად ბაზარი გაივსო აუარებელი და სქელტანიანი ბურჟუაზიული რომანებით.

მათი უმთავრესი მკითხველები იყვნენ და არიან ბურჟუაზიის ქალები, რადგანაც მათ დრო ბევრი აქვთ რომანების საკითხავად, საქმე კი არავითარი.

ჩვენში ფეოდალებისა და ბურჟუაზიის ბატონობა შეიცვალა პროლეტარიატის მბრძანებლობით. ცხადია, ძველი ხელოვნებაც უნდა შეიცვალოს. ამ გზას ვერ ასცდება ვერც რომანი.

ძველი რომანი არა თუ თავისი შინაარსით, თავისი ფორმითაც სრულებით აღარ შეეფერება ახალ ცხოვრებას.

პროლეტარიატი დატვირთული არის საქმით. მას რჩება თავისუფალი ყოველდღე მხოლოდ რამდენიმე საათი. ამიტომ მხატვრული ნაწარმოები, გადაჭიმული რამდენიმე ას ფურცელზე, მისთვის მიუღებელია.

გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის — აი აუცილებელი პირობა პროლეტარული ხელოვნების ყოველი ნაწარმოებისა.

სიტყვის უდიდესი ეკონომია და შინაარსის უაღრესად შეკუმშვა, აი მეტად ძნელი ამოცანა ახალი სიტყვაკაზმული ნაწარმოებისა დიდი მხატვრობა პატარა შინაარსში.

ნოველა, პატარა მოთხრობა, მოკლე რომანი — აი რა უხდა ახალ მკითხველს, მუშა-მკითხველს.

იქნება ეს ჩამოქვეითებაა ხელოვნებისა?

სრულებითაც არა, ეს არის მხოლოდ ახალი ნაკადი ხელოვნებისა.

მე რომ მკითხოთ, მოკლე შინაარსში დიდი მხატვრობის შეჯგუფება გაცილებით უფრო ძნელია, ვიდრე გრძელ შინაარსში მისი გაშლა.

ახალი ხელოვნების შექმნა მეტად დიდი და ძნელი საქმეა; ის ითხოვს დიდ დროს, დიდსა და ხანგრძლივს კოლექტიურ შრომას. ამ ნიადაგზე ჩვენში დიდი მუშაობა სწარმოებს.

მე ვერ ვიტყვი, რომ აქ მუშაობას ჯერჯერობით დიდი და თვალსაჩინო ნაყოფი გამოეღოს, ყოველივე ის, რაც ხელთა გვაქვს, არის მხოლოდ მასალა; მაგრამ ასეთი მასალის დაგროვების გარეშე ვერავითარი ნიჭი ვერ შეჰქმნის ერთის დაკვრით დიდ ნაწარმოებს.

ახალი ძიების მწერალთა შორის ყურადღებას იპყრობს როდიონ ქორქია. მისი მოთხრობების პირველი ტომი თავისი ფორმით სრულე-

ბით მისაღებია პროლეტარული მკითხველისათვის: სიტყვის მოკლედ მოკრა, სხარტულად თქმა და ხშირად მხატვრულად თქმაც.

რაც შეეხება შინაარსს და დედა აზრს, ბევრი რამ არის ახალი ან ძიება ახლისა, ბევრი კი მოძველებული და მიუღებელია. თავისი წერის ხასიათით ავტორი ახლისაკენ მიისწრაფვის, მაგრამ ძველი დაღი ალაგ-ალაგ მაინც მძლავრად ემჩნევა.

„მხეიძეები ჩაბარდნენ ისტორიას. წურწუმიებმა ჩაიბარეს ისტორია. მონადირე წურწუმია და თავადი მხეიძე გაასწორა ისტორიამ“, — აი დედა-აზრი „ნარჩიტასი“, რომელიც საუკეთესო მოთხრობად უნდა ჩაითვალოს. განსაკუთრებით მხატვრულად არის მოცემული აქ მარულას აღწერა, ხოლო არის ფსიქოლოგიური სიყალბეც.

— „გოგუცა! დარჩი ჩემთან, შენ ცოლი და მე ქმარი.

— ხა, ხა, ხა, — გესლიანად გაიცინა ქალმა. — წურწუმია, გოგუცა წურწუმია... ხა, ხა, ხა!“

ეს ფსიქოლოგიურად სრული სიმართლეა: თავადის ქალი, თავადური აზროვნებით გაჟღენთილი, მის ხაყმევ წურწუმიას არ მიიღებს.

მაგრამ აი, ისინი დაშორდნენ ერთმანეთს. მოხდა რევოლუცია და გამოჩნდება თუ არა ეს წურწუმია, თავადის ქალი ნაზად ტუჩებს გაუშვერს თავის ნაყმევს, რომელმაც ის უხეშად გააუპატიერა.

ეს უსათუოდ ყალბი ადგილია.

აიღეთ „შავაძის ბედნიერება“. ლამაზად არის გაშუქებული და შეზავებული ადამიანის გულის ერთი კუნჭული, მაგრამ შიგ თითქმის სრულად არის აღწერილი სქესობრივი აქტი, როდესაც „ოთხთა ხელთა შეკრეს ორი ტანი მოკრილ ძნებსავით“.

მერე?

ამ „მერეს“ ავტორი განგვიმარტავს შემდეგ მოთხრობაში: „უმუშევარი“.

დაწესებულების უფროსი გააუპატიურებს უმანკო სოფიოს. მაგრამ ყური დავუგდოთ თვით ავტორს:

„რაღაც უცნაური ტკივილი იგრძნო სოფიამ, თითქოს მაჯავილი გაუყარეს ტანში. შემდეგ ტკივილი მოულოდნელ და დაუპატიჟებელ სიამოვნებად ეჩვენა. შემდეგ ესეც დაიკარგა და ბურუსმა მოიცვა უფროსიც და ისიც, რაც დაკარგა სოფიამ დაუბრუნებელ გზაზე“.

მგონი ყველაფერია ნათქვამი იქ, სადაც ხელოვანმა ნახევარ სიტყვაზედვე უნდა ჩამოუშვას ფარდა.

ეს არის წმინდა წყლის ბურჟუაზიული ხასიათი წერისა, ბურჟუაზიის მოჩლუნგებული, მოცვეთილი ნერვების გაღიზიანება და თანამედროვე ხელოვნებიდან უსათუოდ უნდა განიდევნოს.

ლამაზად არის დაწერილი „მერცხალა“, სადაც მოცემულია სურათი ახალი ცხოვრების წინამორბედი ქალისა. თქვენ უყურებთ ავტორის მიერ დახატულ მერცხალას და მყისვე რწმუნდებით, რომ მასში არის დიდი რწმენა, ძლიერი გაქანება და ნამდვილი საწინდარი ახალი სპეტაკი ცხოვრებისა.

თქვენ მზადა ხართ მიხვიდეთ მერცხალასთან და შესძახოთ მას: მერცხალა, მეც შენთან ერთად ახალი ცხოვრებისაკენო.

ამაშია გამარჯვება ავტორის მხატვრული შემოქმედებისა.

ცოცხლად არის დაწერილი „დათვის კანონი“. ავტორს აქვს საკმაო იუმორი და ეხერხება სასაცილო მდგომარეობათა გამონასკვა, მაგრამ ზოგჯერ ის ჰკარგავს მხატვრულს ზომიერებას და ხელოვნებას სცდება, როგორც, მაგალითად, მოთხრობაში „ვის გაასამართლებენ“. აქ არ არის არც მხატვრობა, არც ხელოვნება.

ავტორს აქვს დაკვირვების ნიჭი და ცხოვრებიდან ამოღებული სახეები და სურათები მხატვრულადა აქვს მოხაზული.

ადამიანის გულის გადაშლა და იმის ღურცლებზე დაწერილი ამოკითხვა მეტად ძნელი საქმეა; ფსიქოლოგიური შინაარსის მოთხრობები გვიმტკიცებენ, რომ ავტორს შეუძლია ამ სიძნელის დაძლევა.

ვინ არიან ავტორის გმირები?

პატარა, სუსტი ადამიანები, რომლებსაც არც ნებისყოფა აქვთ, არც სიმტკიცე, ბრძოლა არ შეუძლიათ და ან იღუპებიან, ან სხეულის გაყიდვით აღწევენ პატარა მიზანს.

თვრამეტ მოთხრობაში შეგხვდებათ მარტო თოლიგე, მერცხალა და იდა, სადაც თქვენ ხედავთ ძალას, ციცხლს, გატაცებას.

დანარჩენები? სუსტი, საბრალონი, განა არ შეიძლება სუსტი. საბრალო, უმწეო პიროვნება იყოს ხელოვნების საგანი?

შეიძლება, რატომაც არა, მაგრამ ყოველ დროს თავისი ხელოვნება აქვს, თავისი ესთეტიკური მოთხოვნილება და მისწრაფება.

უმწეო, საბრალო, უნებო და უილაჯო პერსონაჟები დღევანდელ დღეს უკვე აღარ შეეფერებიან, აღარა ჰღირს მათზე ნიჭის დაბანდება.

როდიონ ქორქიას კი უსათუოდ აქვს ნიჭი.

1928

გრიშაშვილი. „ძველი თბილისის ლიტერატურული ბოჰემა“

ამ ქუჩაბანდში მე მინახავს ძველი ჰამქარი,
ხელში დროშებით გადაქდობილ-გადანამწკრივი;
უსტაბაშს შვენის მოფარფარე მზის ყალამქარი
და ჰგალობს ზურნა დილის საარს ჰანგ-ღვთაებრივი.

აი, სურათი იშვიათი სილამაზით აღბეჭდილი და დიდის ხელოვნებით გამოტანილი ცხოვრების სინამდვილიდან. ყოველ ბგერაში სიყვარული სუნთქავს და ამავე დროს სევდის ლანდები იზმორებიან სტრიქონებში.

იმიტომ რომ გრიშაშვილი ძველი თბილისის ტარიელია და ძველი წიგნების მტვერში ცდილობს იმის აღდგენას, რაც სინამდვილეში გაჰქრა, აღარ არსებობს:

და ბადღა არის ყარაჩოღელთ ლხინი თუ კრივი?

აღარსად, ის დრო წავიდა, ისტორიის ჩარხის ტრიალმა გადაისროლა უკუნეთში, მაგრამ პოეტს დაუტოვა ძლიერი სიყვარული და ამ სიყვარულის ჩირაღდნით ხელში გრიშაშვილი ცდილობს აღადგინოს ძველი თბილისის სრული სურათი.

გრიშაშვილი დიდი ესთეტია, სიტყვის დიდი ხელოვანი, ამავე დროს ის არის იშვიათი მკვლევარი ძველი თბილისის ყოფა-ცხოვრებისა.

ეს დაგვიმტკიცა გრიშაშვილმა ჯერ „საიათნოვათი“ და ახლა „ძველი თბილისის ლიტერატურული ბოჰემით“.

ძველი თბილისი და ყარაჩოღელი განუყოფელია. როდესაც ძველ თბილისს ფარდას ახდით, თქვენს წინაშე აღიმართება ყარაჩოღელი.

ვინ არის ყარაჩოღელი?
ხელოსანი, დალალი, ბაყალი, მიკიტანი.
ყარაჩოღელი ძველი თბილისის მოქალაქეა.
ვინ არის ის ეროვნებით?

ქართველი, სომეხი, მაგრამ ორივე ძმები არიან, ტოლები, ამხანაგები ჭირსა და ლხინში.

შოვინიზმი, ვიწრო ნაციონალიზმი ყარაჩოღელმა არ იცის; სომეხი იყოს, ქართველი იყოს — მის თვალში განა სულ ერთი არ არის?

საიდან განვითარდა ყარაჩოღელში ასეთი ინტერნაციონალიზმი? იმდროინდელი ეკონომიური ურთიერთობიდან. ბატონობა ქართველი არისტოკრატიისა იყო, სომხის ბურჟუაზია მაინც და მაინც მაგარხერხემლიანი არ ყოფილა. ქართველი ბურჟუაზია არ არსებობდა; ამიტომ არ იყო ქიშპობა და ბრძოლა მუშტრისათვის, ბაზრისათვის ქართველ და სომეხ ბურჟუაზიას შორის; ამის გამო არც ეროვნულ შუღლსა და ანტაგონიზმსა ჰქონია ადგილი.

როდესაც ქართველი ბურჟუაზია გაჩნდა და წამოიზარდა, მან დაინახა მძლავრი მეტოქე თავის გვერდით, სომხის ბურჟუაზიაში. და ამიტომ მორთო: საქართველოს ბაზარი მარტო მე მჭირდება, მარტო ჩემთვის უნდა იყოსო.

იმ დროს, როდესაც თბილისის პირველი მოქალაქე ყარაჩოღელი იყო, ასეთს მოვლენას არ ჰქონია ადგილი, ამიტომაც ქართველ და სომეხ ყარაჩოღელს ერთმანეთში ვერ გაარჩევდით. შენ ქართველი ხარ და მე სომეხი, ან კიდევ შენ სომეხი ხარ და მე ქართველი?, ისინი ერთიმეორეს არ ეტყოდნენ: ერთნაირი ცხოვრება, ერთნაირი ჩვეულებანი, ერთნაირი მისწრაფებანი, ერთნაირი დროსტარება ჰქმნიდა ერთგვარ ტიპს ყარაჩოღელისას, რომელი ეროვნებისაც უნდა ყოფილიყო ის.

თავისი მდგომარეობით ყარაჩოღელი იყო წვრილი ბურჟუა. ამიტომ მთელი მისი გონებრივი და ქონებრივი ცხოვრება წვრილბურჟუაზიულ რკალში ვითარდებოდა.

გრიშაშვილის შედარება ყარაჩოღელისა და კინტოსი საუცხოო არის. აქ ერთგვარი იდეალიზაციაა ყარაჩოღელისა: ძველი თბილისის მოტრფიალეს ყარაჩოღელი განსაკუთრებით მოსწონს.

რაინდული კეთილშობილება ახასიათებს ყარაჩოღელს, მაგრამ ეკონომიური და სოციალური ჩამორჩენილობის ხანა ყოველთვის ასეთია.

ველურებში ბევრგან არ იციან რა არის ქურდობა, მაგრამ განა ეს ველურის მაღალ ზნეობას ახასიათებს? ცხოვრება პრიმიტიულია, მოთხოვნილება სულ პატარა, ამიტომ ველურს არ სჭირდება ქურდობა, მისი შეგნებაც ვერ მისულა ამის გამო ქურდობამდე.

ყარაჩოღელის ცხოვრების პირობებიც მარტივი იყო: თავადი და ყმა, დანარჩენი სოციალური კლასები მათში არ არსებობდნენ.

ცხოვრება იყო მდორე, მოთხოვნილება ცოტა, მანეთი დიდი ფული, ყარაჩოღელიც ასეთ პირობებში კმაყოფილი იყო, ამაყი, მხიარული.

> სამი რამ მიყვარს ამ ქვეყნად:
> ღვინო, დუდუკი, ქალები...

მიუბატეთ ამას ყოჩების ჭიდაობა, ყეენობა და კრივი — აი ყარაჩოღელის მთელი ესთეტიური ავლა-დიდება.

მას უყვარდა დროს ტარება საკრავითა და სიმღერით, სიმღერისათვის კი საჭირო იყო სატრფიალო ლექსები.

რადგანაც ასეთი ლექსები აუცილებელი იყო მომღერლისათვის, ამიტომ ყარაჩოღელის პირველი პოეტები აშუღები იყვნენ. აშუღში შეერთებულნი არიან პოეტი, კომპოზიტორი და მომღერალი. საუკეთესო აშუღი ის იყო, ვინც ლექსსაც კარგს შეთხზავდა, სასიმღერო ჰანგსაც კარგს გამოიგონებდა და ამავე დროს ხმაც კარგი ჰქონდა. ქალწულის მკობა, ქვრივისა, საერთოდ ქალისადმი ტრფიალის სხვადასხვანაირად შეტრიალება, სხვადასხვა განცდების შეფარდება — აი უმთავრესი შინაარსი ასეთი პოეზიისა.

რაც უფრო ვითარდებოდა საზოგადოებრივი ცხოვრება, ყარაჩოღელთა პოეზიის შინაარსიც იზრდებოდა და ამ შინაარსს მარტო აშუღები ვეღარ იტევდნენ; გაჩნდნენ ყარაჩოღელთა ნამდვილი პოეტებიც, რომლებმაც პოეზიაში სატრფიალო მოტივების გარდა შეიტანეს საზოგადოებრივიც და პოლიტიკურიც.

ყარაჩოღელების მრავალ პოეტთა შორის განსაკუთრებული ნიჭით არიან დაჯილდოებული გვიშვილი, სკანდარ-ნოვა, ანტონ განჯისკარელი, ჰაზირა და იეთიმ გურჯი.

გრიშაშვილის წიგნი დახასიათებულია ამ პოეტების შემოქმედების და საუცხოო დახასიათებაც არის.

ამ პოეტებმა შეასრულეს თავისი მოვალეობა და დღეს უკვე დავიწყების უფსკრულში იძირებიან. საჭირო იყო გრიშაშვილის მადლიანი კალამი, რომ ისინი ამოეწეზიურებინა და შესაფერი ადგილი მიეკუთვნებია ჩვენი საზოგადოებრივი განვითარების ისტორიაში. გრიშაშვილივით ამ საქმეს ვერავინ შეასრულებდა, რადგანაც პოეტური ფეხის ადგმის პირველ დღეებში გრიშაშვილი განიცდიდა მათ გავლენას. სკანდარ-ნოვამ მალე შენიშნა ეს და გრიშაშვილში თავისი მეტოქე დაინახა; მეტოქე მას არ უყვარდა თავის აუდიტორიაში და ამიტომ გაილაშქრა გრიშაშვილის წინააღმდეგ.

სკანდარ-ნოვა თავის თავს სახალხო მწერალს უწოდებდა. შეიძ-ლება ეს სახელწოდება მივაკუთვნოთ როგორც მას, ისე დანარჩენებს?

სახალხო ძალიან დიდი მცნებაა, მაგრამ გივიშვილი, სკანდარ-ნოვა, ჰაზირა თბილისის მდაბიო მოქალაქეებში მეტად პოპულარული იყვნენ; მდაბიო მოქალაქე ამათ უფრო იცნობდა, უფრო ჰკითხულობდა, და უფრო აფასებდა, ვიდრე სხვას.

თანამედროვე მკითხველს ვერც ერთი მათგანი ვეღარ დააკმაყოფილებს. თბილისის მდაბიო მოქალაქეც გაიზარდა და გამოიცვალა, რევოლუცია გახიცადა და სკანდარ-ნოვა, გივიშვილი და ჰაზირა მისგან ძალიან შორს დარჩნენ.

მაგრამ ამ პოეტებს აქვთ დიდი დამსახურება მდაბიო მოქალაქეთა წინაშე, რომელთაც მათ წერა-კითხვა ასწავლეს, გონების კარი გაუღეს, წიგნი შეაყვარეს, პოეზიას დაუახლოვეს, თავისი მდგომარეობა შეაგნებინეს და პოლიტიკური ბრძოლის ზარს — ოდნავადაც არის — ჩამოჰკრეს.

გივიშვილი და სკანდარ-ნოვა თუმცა აღნიშნავენ თავის პოეზიაში საზოგადოებრივ უსამართლობას, მაგრამ მათ არ ესმით კავშირი ამ უსამართლობასა და პოლიტიკურ წყობილებას შორის; ამიტომ პოლიტიკა მათ არ აინტერესებთ. სულ სხვაა განჯისკარელი და ჰაზირა.

ამათ კარგად ესმით, რომ საზოგადოებრივი უსამართლობის სათავე პოლიტიკური წყობილებაა და ამიტომ პოლიტიკური ბრძოლის ჰანგები მძლავრად გაისმის მათს პოეზიაში.

გივიშვილისა და სკანდარ-ნოვას ლექსებს აშუღები ავრცელებდნენ და არა თუ თბილისის მდაბიო მოქალაქე, საქართველოს ყველა დაბა-სოფლებში მღეროდნენ მათ.

აიღეთ გივიშვილის „ღვინოვ, კახურო, ვარ შენი მსმელი, გიხდ იყავ თეთრი, გინდა წითელი“, ან „მითხარ, მითხარ, რას მემდური. შენი სულისა, აღარა მაქვს მოთმინება, მკვლელო გულისა“.

სკანდარ-ნოვას „ორთავ თვალის სიხათლევ, რაზედ მოგიწყენია“ ხომ აგერ ნახევარი საუკუნე ხდება, რაც გაბატონებულია თბილისის მდაბიო მოქალაქის რეპერტუარში.

გივიშვილი დინჯი ბუნების მგოსანია, მას იზიდავს ეპოსი, ზღაპარი.

სკანდარ-ნოვა თავისი ბუნებით იმერული ნიჭია, მკვირცხლი, მახვილი, გრძნობაჭარბი. მისი შემოქმედება უფრო ლირიკაში იშლება.

. გრიშაშვილის გამოკვლევაში ძალიან დიდი ადგილი უჭირავს გივიშვილისა და სკანდარ-ნოვის საპაექრო ლექსებს. მართალია, მაშინდელ ბაზარს ეს პაექრობა მოსწონდა, მაგრამ დღეს მას აღარა აქვს არავითარი მნიშვნელობა. უმჯობესი იყო, რომ გრიშაშვილს უფრო ვრცლად გამოეყვანა მათი ნიჭისა და შემოქმედების დამახასიათებელი ლექსები.

გივიშვილი და სკანდარ-ნოვა უფრო ბაზრის მგოსნები არიან. თავის შემოქმედებაში ისინი დიდ ანგარიშს უწევენ ბაზარს.

ანტონ განჯისკარელი დემოკრატიის მგოსანია; მისი მიზანია დემოკრატიის გამოღვიძება და საბრძოლველად დარაზმვა. მისი ლექსი დახვეწილია, მუსიკალური, რითმა მოხდენილი, აზრით მდიდარი და გრძნობით სავსე:

შენც კაცი ხარ, ვით წესია,
შემოგცქერის მოძმე ყველა;
რად არ ხედავ, ძარღვებიდან
სისხლს ვინა გწოვს, ვით წურბელა?
კაცად არც კი გაფასებენ,
თითქოს იყო ჭიანჭველა,
რაღას სდუმხარ, შრომის შვილო,
აწ თენდება, აღარ ბნელ».

საზოგადოებრივი ცხოვრების საჭირბოროტო საკითხები, დაჩაგრული მოძმის ბედი, მშრომელი ხალხის მდგომარეობა, — აი რა არის საგანი განჯისკარელის პოეზიისა.

ყოველივე ეს შეზავებული აქვს მოხდენილი იუმორით, რისი ნიშუშებიც საკმაოდ არის გრიშაშვილის ნაწარმოებში.

ჰაზირა საქართველოს ტარიელია, მას იმდენად უყვარს საქართველო, რომ სხვაგან ძვირფას სასახლეს საქართველოში საფლავი ურჩევნია. ამიტომაც იმის პოეზიას ახასიათებს პატრიოტიზმი:

მოდი, შვილო, ჩემთანა,
გულში არ დამკრა დანა:
საქართველოს შვილი ხარ,
იცან შენი ქვეყანა,
მამულისთვის კვდებოდე,
მტრის პირდაპირ დგებოდე;
განათლებულ ქვეყნებში
კაცად იხსენებოდე.

თვითმპყრობელობასთან ბრძოლაში ჰაზირამ თავისი წვლილი შეიტანა და ის უსათუოდ იყო პოეტი — მებრძოლი მუშათა გამარჯვებისათვის, თუმცა მუშა ხალხის საბოლოო მიზანი მას არ ესმოდა. მე-

სი შესანიშნავი „მარტის თვე“ ხელიდან ხელში გადადიოდა და აღტაცებას იწვევდა მდაბიო მკითხველში.

ვის მხარეზე იყო ჰაზირა?

მუშა ხალხის მხარეზე.

აიღეთ მისი შესანიშნავი ლექსი:

სადაც არის გათენდება,
აღსდეგ, მუშავ, შენ,
ლამაზი დღე დაგიდგება,
ნუ გძინავს შენ,
მუშავ, მუშავ, შენ!

თითქმის ყოველი ლექსი ჰაზირასი სასიმღეროა, რადგანაც ის თვითონ აშუღი იყო; ამიტომ მისი ლექსის წყობა შეხამებულია მისსავე სასიმღერო კილოსთან.

ჰაზირა ერთობის მგოსანია და ამ ერთობის საჭიროებას უქადაგებს მუშებს; ჰაზირა წითელი დროშის მგოსანია, რევოლუციის მოტრფიალე.

როგორ უმღერის ჰაზირა პირველ რევოლუციას?

რასაც საფლავში ენატრობდი,
აწ თვალით დაეინახე.
. . . . . .
ჭრელი ჩვრების ალაგას
წითელი დროშა აღმართოთ.

აი ასეთ აზრებს უნერგავდა ჰაზირა თბილისის მდაბიო მოქალაქეებს და მისი რევოლუციური ლექსები სასიმღერო ჰანგების საშუალებით ხალხში ვრცელდებოდა. ყარაჩოღელების პოეტთა შორის ჰაზირას განსაკუთრებული ალაგი უჭირავს და თავისებური ფიგურა ამ აშუღი პოეტისა საუცხოოდ აქვს გრიშაშვილს გაშუქებული.

უკანასკნელი მოგიკანია იეთიმ გურჯი, რომლის შემოქმედება ძალიან წაგავს სკანდარ-ნოვასას — ამ უკანასკნელივით ენამახვილი, სიტყვამოსწრებული.

იეთიმ გურჯი თავისი ცხოვრებითაც მეტად მოგვაგონებს სკანდარ-ნოვას: ორივე პირწავარდნილი ბოჰემაა.

იეთიმ გურჯი ქეიფის, დროსტარების მგოსანია; ამიტომ მისი წვრილი ლექსები თითქმის ყველა სასიმღეროა და მეტად გავრცელებული თბილისის მდაბიო მოქალაქეებში. ქეიფს შვენის სატრფიალო ჰანგები და ამ დარგში იეთიმ გურჯი ძლიერია, მოხდენილი, ლამაზი და მდიდარი თავისებური თქმებით.

იეთიმ გურჯი ინტერნაციონალისტია თავისი რწმენით და თანხმობისა და სოლიდარობის მქადაგებელია.

თვითონ იეთიმ გურჯი საუკეთესოდ ახასიათებს თავის თავს:

სიყვარულის მგოსანი ვარ,
ვალამაზებ დედა ენას,
სიმღერების გამჩენი ვარ,
მეჯლისებში ვფანტავ ლხენას;
ერთა შუამავალი ვარ,
ყველგან ვცდილობ ვარდის ფენას.

როდესაც პირველი რევოლუციის ქარიშხალმა დაჰბერა, იეთიმ გურჯმა შეუერთა თავისი ჰანგი მუშათა საერთო გუგუნს, რის გამო რეაქციის დროს მრავალი წელი გაატარა რუსეთის სხვადასხვა ციხეში.

იეთიმ გურჯის შემოქმედება გრიშაშვილს საკმაოდ სრულადა აქვს დახასიათებული.

ყველა ამ პოეტებმა თავისი წვლილი შეიტანეს ქალაქის მდაბიო მოქალაქის შეგნებაში, პოეზია, მუსიკალური შემოქმედება და სიმღერა მათ ერთად შეჰკონეს და ამით მოიპოვეს თავის წრეში დიდი გავლენა.

ისინი დარჩენილი იყვნენ ლიტერატურის ისტორიის გარეშე, თუმცა ამ ისტორიაში მათ უსათუოდ ეკუთვნით თავისი ალაგი.

გრიშაშვილის წიგნი საუცხოოდ აკსებს ამ ნაკლს და ამიტომ ეს ახალი ნაწარმოები პოეტისა მეტად საჭირო და სასარგებლო წიგნია.

1928

მაქსიმ გორკი

სამშობლოს ცასა ბნელად გაშლილი
მწუხრის ზეწარი გადაეფარა —

პოეტის ეს სიტყვები ზედგამოჭრილია რუსეთის სინამდვილეზე 80-იან წლებში. ეს იყო ხანა შავრაზმული რეაქციის თავაშვებული მძვინვარებისა.

გლეხობას კისერზე აჯღა და სისხლსა სწოვდა თავადი, შემამუ-ლე, ვაჭარი, ჩარჩი, მევახშე, პოლიცია, ადმინისტრაცია და სამღვდელოება.

ქალაქში გაბატონებული იყო იგივე ვაჭარი, ბიუროკრატია, სამ-ღვდელოება, საწარმოო კაპიტალი არ იყო განვითარებული და ამიტომ ცხოვრების ასპარეზზე პროლეტარიატი ჯერ არა სჩანდა.

გლეხობა მოკლებული იყო ყოველგვარ შეგნებას.

სურათი მეტად უნუგეშო, მდგომარეობა საშინელი.

მოწინავე ინტელიგენცია ხედავდა, რომ ქვეყანა იღუპებოდა. ასე ცხოვრება არ შეიძლებოდა და სარევოლუციო განწყობილებით ირაზმებოდა, მაგრამ:

რა ჰქნას კარგმა მონარდემა,
დროზე შაში თუ არ მოვა!

მარტო მოწინავე ინტელიგენცია იგივეა, რაც სარდალი უჯა-როდ.

ინტელიგენცია რას გააწყობდა თავისი რევოლუციური განწყო-ბილებით, როდესაც პროლეტარიატი არსად იყო!

რევოლუციური ინტელიგენცია თავს იყრიდა „ნაროდნაია ვო-ლიას“ გარშემო და მოახერხა ალექსანდრე მეორის სიკვდილით დასჯა.

რეაქციამ ისარგებლა ამ შემთხვევით და მოწინავე ინტელიგენ-ცია ერთის დაკვრით გასრისა.

დანარჩენი ნაწილი ინტელიგენციისა შიშმა მოიცვა.

თვითმპყრობელობა უძლეველია, ბრძოლა მასთან უაზრო, — ასეთი აზრით გაიმსჭვალა ყველა. იარაღი დაჰყარა ყველამ, ჩაჯდა საკუთარ ოჯახში, შემოიფარგლა თავი პირადი ინტერესებით, თბილი ადგილით და, საერთოდ, საზოგადო დავიწყების ჯურღმულში ჩაიძირა.

აშმორებული ჭაობი, — აი მაშინდელი საზოგადოებრივი ცხოვრება.

საჭირო იყო ახალი ადამიანი, რომელიც იტყოდა ახალ სიტყვას. საჭირო იყო ისეთი ახალი სიტყვა, რომელიც მეხივით გავარდებოდა, შეარხევდა საზოგადოებას და იმედის ჩირაღდნებს დაანთებდა ყველას გულში.

საჭირო იყო მძლავრი მხილება, რომ ინტელიგენციას გახსენებოდა თავისი ადამიანური მოვალეობა.

ასეთი ადამიანი აღმოჩნდა. მან სტყორცნა აშმორებულ ჭაობს საზოგადოებრივი ცხოვრებისას ახალი სიტყვა.

ეს სიტყვა გასკდა ყუმბარასავით და იმედის სხივები მოჰფიხა ყველგან.

მაშინ ყველამ იწამა, რომ აღსასრული თვითმპყრობელობისა არ იყო შორს და ახალი ცხოვრების მოახლოებას ვეღარაფერი შეაჩერებდა.

ეს ადამიანი იყო მაქსიმ გორკი. მისი ახალი სიტყვა მთელი მისი შემოქმედებაა. როდესაც მაქსიმ გორკი გამოვიდა სამწერლო ასპარეზზე, სხვებიც ცდილობდნენ ახალი სიტყვის თქმას, მაგრამ ეს სიტყვა არავის ესმოდა, იმედად და ნუგეშად არავის ევლინებოდა.

გორკის ახალი სიტყვა კი მთელი ეპოქაა.

რატომ?

იმიტომ, რომ გორკის სიტყვა მონაბერი იყო ახალი კლასის გავლენით.

გორკის სიტყვაში ახალი კლასი მოსჩანდა.

გორკის სიტყვაში ახალი კლასის გუგუნი ისმოდა.

სხვების სიტყვაში კი არა.

ვინ იყო ეს ახალი კლასი?

რუსეთის პროლეტარიატი.

რუსეთის პროლეტარიატი არა სჩანდა, ის უცნობი იყო.

უცნობი იყო ალექსი პეშკოვიც.

90-იანი წლებიდან რუსეთში სწრაფად ვითარდება საწარმოო კაპიტალი. პროლეტარიატმა თავი მოიყარა დიდ ქალაქებში, საწარ-

მოო ცენტრებში; ნელ-ნელა შეკავშირდა, დაირაზმა და გამოვიდა ბრძოლის ასპარეზზე.

ალექსი პეშკოვმა სწორედ ამ დროს ჩამოიძრო ნიღაბი უცნობისა, მთლიანად დაეყრდნო პროლეტარიატის მარჯვენას და სტყორცნა ახალი სიტყვა,

სიტყვა — მეხის ნატეხი,

სიტყვა — ცეცხლის მფრქვეველი,

სიტყვა — რისხვითა და სიძულვილით გატენილი,

სიტყვა — ადამიანის სიყვარულით აელვარებული,

სიტყვა — იმედით აღფრთოვანებული,

სიტყვა — ახალი ცხოვრების მახარობელი,

სიტყვა — ბრძოლისა და გამარჯვებისა — პროლეტარული ბრძოლისა და პროლეტარული გამარჯვებისა.

აი, აქ არის ძალა და მნიშვნელობა მ. გორკის ახალი სიტყვისა.

გორკი პროლეტარიატის რიგებიდან გამოვიდა, ის იყო ხელზე მოსაქსახურეც, პურის მცხობელიც, დარაჯიც, ბარგის მზიდველიც, მზარეულის თანაშემწეც, მუშაც.

ამიტომ მან ადრე დაინახა ის, რაც სხვებმა გვიან შენიშნეს. მან იწამა ახალი კლასი, თავისი დიდი ნიჭის წყალობით ადრე შეიცნო მისი ისტორიული მოწოდება და ამან შეასხა მის აღმაფრენას ფრთები. ამან ჩაჰბერა იმის სიტყვას ის ძალა და მნიშვნელობა, რაშაც გორკი გადააქცია პროლეტარიატის უსაყვარლეს მწერლად.

რას წარმოადგენდა საზოგადოებრივი ცხოვრება 90-იან წლებში?

საპყრობილეს.

ყველა თავის თავზე ფიქრობდა, ყველა საკუთარი ინტერესებითა ცოცხლობდა და ნამდვილი ადამიანი, რომელიც მიისწრაფვის თავისუფლებისაკენ, სილამაზისაკენ, სპეტაკი ცხოვრებისაკენ, აღარსად იყო.

ასეთ პირობებში საჭირო იყო სასტიკი მხილება და გორკი გვევლინება, როგორც შეუბრალებელი ძაძხილებელი.

გორკი გამოვიდა დაბალი წრიდან, აღიზარდა დაბალ წრეში, დაბალი წრის ყველა საფეხური გაიარა: იყო შეგირდი ხელოსნისა, მზარეულისა, ხელზე მოსაქსახურე, უბრალო მუშა, მხერხავი, მეპურე, დარაჯი და სხვ. უყვარდა ფეხით მოგზაურობა. შემოუვლია რუსეთის დიდი ნაწილი და ეს მოგზაურობა იყო მისთვის საუკეთესო სკოლა: ძალიან ბევრი რამ ნახა, ბევრი რამ შეისწავლა, გაიცნო მდაბიო ხალხი და განსაკუთრებით შეისწავლა ბოსიაკების ყოფა-ცხოვრება.

ბოსიაკები ნამდვილი რუსული მოვლენაა, რუსეთის ვაჭრულ-ფეოდალური წყობილებიდან წარმოშობილი.

ბატონობის დროს გლეხი მიკრული იყო მიწაზე, ის მიწიანად შეადგენდა ბატონის საკუთრებას. ბატონის ნებადაურთველად გლეხს არსად შეეძლო წასვლა.

ბატონყმობის გადავარდნამ გლეხი უმიწაწყლოდ დატოვა, სამაგიეროდ მისცა გადასვლა-გადმოსვლის თავისუფლება. სოფლად ფეხი მოიმაგრა ვაჭარმა, ჩარჩმა, მევახშემ, კულაკმა.

ამდენმა მუქთახორამ გლეხობის გაღატაკებას ძალიან შეუწყო ხელი. უმიწაწყლოდ დარჩენილ გლეხს მეტი საშუალება არ ჰქონდა, უნდა დასდგომოდა გზაშარას და ეძია ლუკმა პური. მსხვილი წარმოება ჯერ არ იყო განვითარებული, ამიტომ მუშა ხელი არავის სჭირდებოდა: უმიწაწყლო გლეხები ნავთსადგურებში იყრიდნენ თავს სამუშაოს საძებნელად, ხან შოულობდნენ საქმეს, ხან ვერა; ხან მაჭარნი იყვნენ, ხან მშიერნი და აი ამ გზით წარმოიშვნენ ბოსიაკები.

გორკი ძალიან კარგად იცნობდა მათს ცხოვრებას. თავისი მოგზაურობის დროს ბევრგან ხვდებოდა მათ და ხშირად უცხოვრია მათთან ერთად.

საზოგადოების მხილებისათვის მან ისარგებლა საზოგადოების გარეშე მოქცეული ხალხით და იქიდან წარმოიშვა ბოსიაკური ხანა მისი შემოქმედებისა.

ბოსიაკების პირით მან სასტიკად გაჰკიცხა მაშინდელი საზოგადოება.

„ადამიანი სთვლემს და არავინ აღვიძებს მას. სთვლემს და პირუტყვდება. მას სჭირია მათრახი“ — წერს ერთ მოთხრობაში გორკი. მისი ბოსიაკური ხანის შემოქმედება მეტად მწვავე მათრახი იყო. გორკიმ გამოაღვიძა საზოგადოება და დაუსახა მას წინ ბედნიერება ბრძოლისა.

რისთვის, ვისთვის არის საჭირო ეს ბრძოლა?

ადამიანის განთავისუფლებისათვის.

ახალი ცხოვრების შესაქმნელად.

ვის შეუძლია ამ ახალი ცხოვრების შექმნა?

ამისათვის გორკიმ დაასურათა რუსეთის ვაჭრული საზოგადოება. „თომა გორდეევში“, „სამნში“, „ქალაქ ოკუროვში“, „ძათე კოჟემიაკინში“ მან მოგვცა საუცხოო სურათები.

რას წარმოადგენს ვაჭრული ყოფა-ცხოვრება?

საპყრობილეს, სადაც ერთი მეორესა სჭამს, ერთი ბედნიერია

და ათასი უბედური. აქ არ არის სიყვარული, თანაგრძნობა, გატანა; ყველა გატაცებულია ფულით, ყველა მონაა ფულის.

ვაჭართა წოდების საუკეთესო წარმომადგენლები თვითონ გმობენ მათ მიერ შექმნილ ცხოვრებას, თვითონ გაურბიან ასეთ ცხოვრებას და ზოგი მათგანი თვითმკვლელობით ათავებს.

ვაჭრული ურთიერთობა განწირულია, მას არ შეუძლია წარმოშვას ახალი ადამიანები ახალი ცხოვრების შესაქმნელად — აი საერთო დასკვნა გორკის შემოქმედების მეორე, ვაჭრული ხანისა.

ვაჭართა წოდებიდან გამოდიან მსხვილი მრეწველები, რომელთა ოცნებაა რუსეთის გარდაქმნა ამერიკისა და ინგლისის მსგავსად.

შეიძლება მრეწველთა კლასია მოწოდებული ახალი ცხოვრების შესაქმნელად?

ამ კითხვის გადაჭრას გორკიმ მოანდომა მესამე ხანა თავისი შემოქმედებისა.

„არტამონოვების საქმე", „ბარბაროსები" წარმოადგენენ მსხვილი ინდუსტრიის წარმომადგენელთა დასურათებას.

მათ შეაქვთ წარმოებაში ტექნიკური გაუმჯობესება, ელექტრომანქანები; ცხოვრებაში კი ისევ ძველი პრინციპი რჩება: გაუტანლობა, ერთიმეორის მტრობა, გაყვლეფა, უმცირესობის ბედნიერება დიდი უმრავლესობის ხარჯზე და საშინელი ყვლეფა.

„ეშმაკი აშენებდა, შენ კი მას ეხმარებოდი", — ეუბნება არტამონოვს მისი მსახური და ეს არის დახასიათება მრეწველთა კლასის მთელი საქმიანობისა.

დასკვნა ერთადერთია: მრეწველთა კლასი დაფუძნებულია სხვის გაყვლეფაზე და ახალი ცხოვრების შექმნა სამართლიანობისა და სილამაზის საფუძველზე მას არ შეუძლია.

გორკი მიმართავს ინტელიგენციის დასურათებას და აქედან იწყება მეოთხე ხანა მისი შემოქმედების.

„მოაგარაკენი", „ბარბაროსები" — აი უმთავრესად საუ არის ინტელიგენციის დასურათება.

რას წარმოადგენს გორკის ინტელიგენცია?

ერთი ნაწილი თბილ ალაგზეა მოკალათებული და სხვა ყველაფერი ფეხებზე ჰკიდია.

მეორე ნაწილი ფუსფუსებს და ძალიან ბევრს ლაპარაკობს.

მესამე გულხელდაკრეფილი განზე გამდგარა და ოცნებობს, ოცნებობს, მხოლოდ ოცნებობს.

ასეთი ხალხი ახალ ცხოვრებას ვერ შეჰქმნის.

მაშ სად არის ხსნა?

ამ კითხვის გადასაჭრელად გორკი მიმართავს პროლეტარიატს და წერს „მტრებს“, „დედას“, „აღსარებას“, „ზაფხულს“.

აქ ის გვაძლევს მუშების ტიპებს და მუშათა ყოფა-ცხოვრებას.

აქ თქვენ ვერა ნახავთ ვაჭრულ-კაპიტალისტური ყოფა-ცხოვრების მსგავსებას.

ერთობა, სოლიდარობა, სიყვარული, მაღალი მისწრაფებანი, საერთო საქმისათვის თავგანწირვა, — აი რა ახასიათებს პროლეტარიატს.

დასკვნა ცხადია: ახალი ცხოვრების შესაქმნელად პროლეტარიატია მოწოდებული.

„აღსარებაში“ მთელი რუსეთის გლეხობა მათეს სახით შეიგნებს ამას და მიდის პროლეტარიატთან, რომ იწამოს მისი მიზანი და მასთან ერთად შეუდგეს ახალი ცხოვრების შენებას.

პროლეტარიატსა და გლეხობას ხელმძღვანელი უნდა.

ვის ირჩევს გორკი ხელმძღვანელად?

იმას, ვინც იყო გორკის ხელმძღვანელი და მასწავლებელი:

ლენინსა და იმის პარტიას.

„საბჭოთა ხელისუფლება წარმოადგენს ჩემთვის ერთადერთ ძალას, რომელსაც შეუძლია რუსეთის ხალხის ინერციის დაძლევა და მისი ენერგიის ამოძრავება ცხოვრების ახალი, უფრო სამართლიანი და გონივრული ფორმების ასაგებად“, — აი გორკის განცხადება.

1928

საშა წულუკიძე

(მოგონება)

საშა წულუკიძე მე გავიცანი მოსკოვში. მესამე კურსის სტუდენტი ვიყავი, როდესაც საშა ჩამოვიდა სწავლის გასაგრძელებლად. ადამიანი გარეგნობით არ დაფასდება, მაგრამ პირველ შთაბეჭდილებას ხომ გარეგნობა ახდენს. საშას გარეგნობა მყისვე იპყრობდა მნახველის ყურადღებას. არასოდეს არ დამავიწყდება საშას დიდრონი, მიმზიდველი, შავი თვალები, გრძნობით, აზრით აღსავსენი, მუდამ აღგზნებული, მოელვარე და ცეცხლის მფრქვეველნი, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ის ეკამათებოდა ვისმეს. საკმაოდ მომზადებული იყო, ნაკითხი. მოსკოვში კიდევ უფრო დაეწაფა თვითგანვითარებას და ქართულ სათვისტომოში მალე დაიკავა საპატიო ადგილი. სათვისტომოში საშამ სიცოცხლე შემოიტანა და თავისი რეფერატებით ყველას გაუღვიძა ინტერესი სოციალური კითხვებისადმი. მაშინ სტუდენტობა გატაცებული იყო პლეხანოვით და პ. სტრუვეთი. პირველის „Монистический взгляд на историю“ და მეორესი „Критические очерки“ ყველაზე საყვარელი წიგნები იყო ახალთაობისათვის. ქართულ სათვისტომოში სჭარბობდა ეროვნული და ლიბერალური მიმდინარეობა. საშამ თავისი რეფერატებით შემოიტანა ახალი შუქი და აზრთა შეჯახება. იმხანად „მოამბეში“ დაიბეჭდა ლალიონის მოთხრობა „ფირალი დავლაძე“. საშამ სათვისტომოში წაგვიკითხა მოხსენება ამ მოთხრობის გამო. მისი მხატვრული კრიტიკა დაფუძნებული იყო მარქსისტულ მსოფლმხედველობაზე და ჩემზედ პირადად დიდი შთაბეჭდილება დასტოვა. მისი ზეგავლენით მე დავწერე პირველი კრიტიკული წერილი მამია გურიელის პოეზიის შესახებ.

შემდეგ საშას კრიტიკული წერილი ფირალი დავლაძის შესახებ დაიბეჭდა და, რამდენადაც მახსოვს, ეს იყო პირველი ქართული მარქსისტული სიტყვაკაზმული კრიტიკა.

სწავლის დამთავრების შემდეგ საშა თბილისში დაბინავდა.

რამდენიმე ხნის შემდეგ მეც თბილისში დავბინავდი და „კვალში“ ვმუშაობდი. დამჭირდა გუბერნატორის ნაცვა, საჭირო შეიქნა სერთუკი, კრახმალიანი საყელო და ყელსახვევი. მე არც ერთი არ მქონდა, არც ჩემ ამხანაგებში აღმოაჩნდა არავის. თურმე საშას ჰქონდა. გავექანე მასთან; გამომაწყო თავის სერთუკში, შემომატრიალა, გადაბრუნდა ლოგინზე და დაიწყო ხარხარი. საშა მაღალი იყო. ჩემი პატარა ტანი იმის გრძელ სერთუკში მეტად სასაცილო გამოვიდა. მაშინ მცირე თათბირის შემდეგ სერთუკი ტანისამოსზე ჩავიცვი, შევიკარი კარგად ქილეტი, დავმსხვილდი, მაგრამ არანაკლებად სასაცილო ვიყავი, სანამ საშა არ ამომიდგა გვერდით, ხოლო როდესაც გვერდში ამომიდგა, თავისი გრძელი კისერი და მაღალი წელი უფრო წაიგრძელა, ნამდვილი დონკიხოტი და სანჩო-პანჩო გამოვედით.

გადავწყვიტეთ, რომ უსერთუკოდ გუბერნატორთან მისვლას ისევ ასე სჯობდა და მეც წავედი.

საშა შემდეგ ბათუმში დაბინავდა. მეც დროებით დავტოვე თბილისი და ამგვარად ერთმანეთს დავშორდით.

1902 წელს მთელი ზაფხული და შემოდგომა ვმუშაობდი ყოველდღიურად „კვალის“ რედაქციაში ფ. მახარაძესთან, ნიკო ელიავასთან, ირ. ევდოშვილთან.

რედაქციის დავალებით აკვისტოში ჩაველი ბათუმს, აქაურ ამხანაგებთან მოსალაპარაკებლად სარედაქციო საქმეებსა და საკითხებზე. ჩამოვხტი საშასთან. იქვე ვავმართეთ რამდენჯერმე ამხანაგური კრება.

ვატყობდი საშას, რომ მისი ჯანმრთელობა შერყეული იყო. წინანდელთან შედარებით გამხდარიყო. თვალებში ჩუმი სიცხე გამოჭკრთოდა, ახველებდა; ვთხოვე. გაგსინჯავ-მეთქი, მაგრამ სიცილად არ ეყო. ავადმყოფური ფსიქოლოგია ავადმყოფობაზე უარესიაო, მიპასუხა.

— გეთანხმები, მაგრამ არც ის არის კარგი, როდესაც ადამიანი სრულებით არ ზრუნავს თავის ჯანმრთელობაზე, — მივუგე.

— ჩემო ვანო, ბევრი საკითხია, ძალიან ბევრი გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი და საინტერესო, ვიდრე პირადი ჯანმრთელობა, — იყო საშას პასუხი.

ზოგიერთი იმდენად შეპყრობილია შიშით, ვაი თუ ცუდი რამ მჭირდესო, რომ ამჯობინებს, სრულებით არაფერი იცოდეს, ვიდრე იცოდეს, რომ მძიმე სენით არის შეპყრობილი.

ზოგი კი იმდენად გართულია საქმეებში, რომ საკუთარ ჯანმრთელობაზე ფიქრი და ზრუნვა სრულებით ავიწყდება, ან და დროც არა აქვს ამისათვის.

უკანასკნელთა რიცხვს ეკუთვნოდა საშაც. ის ჩაბმული იყო თეორიულსა და პრაქტიკულ შუშაობაში და ჯანმრთელობაზე ზრუნვისათვის არ ეცალა.

იმ ხანად მე მიმიწვიეს ჯიხაიშში სამუშაოდ და იქ დავრჩი ორ წელიწადს. ამ ხნის განმავლობაში საშას ორი ბავშვი დაეხოცა. იმის მგრძნობიარე ბუნებას და შერყეულ ჯანმრთელობას ამან უსათუოდ ჩასცა ლაბვარი და ჭლექმა იჩინა თავი. საშა იძულებული შეიქნა სამსახურისა და ბათუმისათვის თავი დაენებებინა და გადმოსახლდა ქუთაისს. ქუთაისში გადმოვედი მეც, როდესაც საშა ვინახულე, ჭლექი უკვე მორეული ჰქონდა, მაგრამ ის სრულებით არ ზოგავდა თავის თავსა, ფარულ კრებებში იყო ჩაფლული. მუშებსა და ნოქრებში ეწეოდა პროპაგანდას, აგიტაციას და დაღლილი, მშიერი, დაქანცული და გაფითრებული ნაშუალამევის პირველსა და ორ საათზე ბრუნდებოდა სახლში. ხშირად აუვარდებოდა ხოლმე სისხლის ხველება. მაშინ ჩავაწვენდით ლოგინში და ვმკურნალობდით მე და პარმენ ჭიჭინაძე, მაგრამ როგორც კი მოიკეთებდა, მაშინვე გავარდებოდა. ბევრჯერ დანიშნულ დროს მივსულვართ მე და ჭიჭინაძე საშასთან, ავადმყოფი კი სახლში აღარ დაგვხვედრია!

როდესაც ჩავიგდებდით ხელში, ვუსაყვედურებდით, ვარიგებდით, მაგრამ ამაოდ.

— მე ხომ ბავშვი არა ვარ. ჩემი არსებობის ერთადერთი მიზანი რევოლუციის მუშაობაა და თუ კი ის მომისპეთ, სიცოცხლე რისთვის მინდა? კვერცხები რომ ვყლაპო და რძე ვსვა? — გვიპასუხებდა და ჩაგვაჩუმებდა.

მაშინ ქუთაისში განსაკუთრებით გაცხოველდა და გაძლიერდა სარევოლუციო მოძრაობა და საშა მთელი თავისი არსებით ჩაება შიგ. მას დაავიწყდა ყველაფერი — ოჯახი, ცოლი, შვილი, საკუთარი ჯანმრთელობა, ჭამა. ახსოვდა ერთადერთი რევოლუცია. მისთვის ანაფერი აღარ არსებობდა, გარდა რევოლუციისა. საშას ველარსად ვხედავდით, ის არსად სჩანდა; მთელი დღე და ღამე ატარებდა სარდაფებში და ეწეოდა სარევოლუციო მუშაობას მუშებში.

მუდამ ჰქონდა სიცხე 38—39 გრადუსი, მაგრამ ის იმდენად გატაცებით, ისეთი თავდავიწყებით ემსახურებოდა რევოლუციას, რომ სიცხე არ აწუხებდა, სიცხეს არა გრძნობდა — აწყობდა ფარულ კრებებს, რაზმავდა, ამზადებდა და ათვითცნობიერებდა პროლეტა-

რულ ელემენტებს. ასეთი გატაცებული, თავდავიწყებული მუშაობა, როგორსაც საშა ეწეოდა, მეტად იშვიათია.

ამ დასუსტებულ, ღონემიხდილ ადამიანს, რომლის ფილტვებშიაც ჭლექი უკვე ქარიშხალივით ბობოქრობდა, პროლეტარიატის გამარჯვების შეურყეველი იმედი აძლევდა დაუშრეტელ ენერგიას საარაკო მუშაობის გასაჩაღებლად.

რევოლუციის ქუჩაზე საშა იწოდა. მისი მეგობრები ვხედავდით ამას, მაგრამ არაფერი შეგვეძლო: არ იყო არავითარი ძალა, არავითარი რჩევა, არავითარი საბუთი, რომელიც საშას ააღებინებდა ხელს ასეთს მუშაობაზე.

მოქანცული, ღონემიხდილი დაბრუნდებოდა სახლში და მოსვენების ნაცვლად ლიტერატურულ მუშაობას შეუდგებოდა. საშა შეგნებულად ეწირებოდა მსხვერპლად მუშა ხალხის დიად საქმეს: აშკარა იყო, რომ ის სანთელივით დაიწვოდა და დაიფერფლებოდა მალე. ამიტომ მე და პარმენ ჭიჭინაძემ გადავწყვიტეთ, ფული გამოგვეღო და საშა აბასთუმანს გაგვესტუმრებია.

სამზადისში რომ ვიყავით. საშას მოულოდნელად აუვარდა თავის ტკივილი.

მალე გამოირკვა, რომ ეს იყო მენინგიტი (ტვინის ანთება) ჭლექის ნიადაგზე. ჩვენ ვუმალავდით, მაგრამ საშამ თვითონ გვითხრა: ტყუილად ცდილობთ ჩემს გამობრუნებას, ვიცი, ჩემი სნეულება მენინგიტია და დიდხანს არ გასტანს, მაგრამ რამდენს ვიცინებ, რომ თქვენი მოლოდინის წინააღმდეგ ორ თვეს ვიცოცხლებდეო.

ტუბერკულოზის ბუნება, მიმდინარეობა იმდენად საფუძვლიანად შესწავლილი ჰქონდა საშას, რომ ვერ შევძელით მისთვის თვალები აგვეხვია. ნაძალადევად ვიცინოდით იმის სიტყვებზე, ეჭვიანს ვუწოდებდით, იმის თავის ტკივილს მოქანცულობას ვაწერდით და ვპირდებოდით: აი წახვალ აბასთუმანს, დაისვენებ კარგად, შემოდგომიდან გაათკეცებული ენერგიით შეუდგები მუშაობასაო.

ერთი ამგვარი ლაპარაკის დროს საშამ თვალები მოგვაპყრო და გულდასმით გვისმენდა. მე გულში გამიელვა და ალბათ ექიმ ჭიჭინაძესაც: მგონი დავაჯერეთო. როდესაც სიჩუმე ჩამოვარდა, საშამ ღიმილით მოგვმართა:

— საშინლად მებრალებით, საშინლად!

— რატომ?

— იმიტომ, რომ გლახა დიპლომატივით მუდამ სიცრუე უნდა ილაპარაკოთ, მაშინაც კი, როდესაც თქვენი აღარავის სჯერა.

ჩვენი ყოველგვარი მეცადინეობა ამაოდ დარჩა, ჩვენი იმედი

ჩაიშალა: საშამ იცოდა, რომ მას მენინგიტი ჰქონდა ტუბერკულოზის ხიადაგზე და მისი სიცოცხლე მალე დასრულდებოდა. უკანასკნელ დღემდე საშას არ დაუკარგავს საღი აზროვნება. მხოლოდ უკანასკნელ დღეს აზროვნება დაჰკარგა და მალე შეწყდა კიდეც ამ იშვიათი ადამიანის გულისცემა.

საშას რომ სხვა ადამიანივით თავისი ჯანმრთელობისათვის მიეექცია ყურადღება, თუ არ გამომრთელდებოდა, კიდევ იცოცხლებდა რამდენიმე წელიწადს მაინც. მაგრამ ის სრულებით არა ზოგავდა თავის თავს. ჯანმრთელობაზე ფიქრი და ზრუნვა ისეთს ხანაში გაუმართლებელ ბოროტმოქმედებად მიაჩნდა. ის დაუღალავად, შეუსვენებლად, თავდავიწყებით და თავგანწირულად შრომობდა სიტყვით, კალმით, თეორიულად, პრაქტიკულად. მის გულში ეიზგიზებდა ცეცხლი ნამდვილი რევოლუციონერისა და მუშათა კლასის იშვიათი მებრძოლისა და ამ ცეცხლმა დასწვა ის უდროოდ.

მუშათა კლასს ელვის სისწრაფით მოედო საშას გარდაცვალების ამბავი. გასვენებასა და დასაფლავებას აუარებელი ხალხი დაესწრო, მოვიდნენ მუშათა დელეგაციები სხვა და სხვა ქალაქიდან. საშა წაასვენეს ხონს.

რადგანაც მე თვითონ მშრალი პლევრიტით ვიყავი ავად, არ გავყოლივარ. შემდეგ გადმომცეს: ცხედარს გუბში კობა დახვდა და ისეთი სიტყვა წარმოსთქვა, რომ ნამდვილი ჭექა-ქუხილი იყო რევოლუციისაო.

1935

3. წოდელია

ივანე გომართელი

ცხოვრება და მოღვაწეობა

ჩვენი ახლო წარსულის გამოჩენილ მოღვაწეთა შორის, კერძოდ, ქართული ლიტერატურის ისტორიკოსთა და მკვლევართა შორის ივანე გომართელს ფრიად თვალსაჩინო ადგილი უჭირავს. მე-19 საუკუნის ბოლო წლებიდან დაწყებული სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე მან არა ერთი შესანიშნავი ნაშრომით გააჰდიდრა ქართველი ხალხის სულიერი საგანძური.

ამავე დროს მას მეტად საინტერესო ბიოგრაფია ჰქონდა. თავისი ცხოვრების გზაზე ივანე გომართელი შეხვედრია არა ერთ გამოჩენილ ქართველ მოღვაწეს, ახლო ურთიერთობა ჰქონია მათთან და თვითონაც სათავეში სდგომია არა ერთ კულტურულ წამოწყებას.

ივანე გომართელი დაიბადა 1875 წლის 2 ოქტომბერს[1] (ძველი სტილით) ზემო იმერეთში, სოფ. გორისაში, ღარიბი აზნაურის გედეონ კაციას ძე გომართლის ოჯახში. დედა — სალომე სვიმონის ასული — კურცხალიას ქალი იყო.

პირველდაწყებითი განათლება ივ. გომართელმა ოჯახში მიიღო. როცა სასკოლო ასაკის გახდა, იგი მამამ თბილისში სასწავლებლად ჩამოიყვანა და სათავადაზნაურო სასწავლებელში მიაბარა. მშობლებსა და ახლობლებს დაშორებული პატარა ივანე ძლიერ განიცდიდა ოჯახიდან შორს ყოფნას. ცნობილ პედაგოგ და სახელოვან მამულიშვილზე, თავის მასწავლებელ ალექსი ჭიჭინაძეზე მოგონებაში ივ. გომართელი წერს: „როდესაც სათავადაზნაურო სასწავლებელში მიმაბარეს, ობლობის მთელი საშინელება მაშინ განვიცადე. მარტოობა მაშინ ვიგრძენი. დედა შორს იყო, შორს; მისი ალერსი,

---

1 ივანე გომართელის დაბადების თარიღად ალ. ხახანაშვილს და სხვებს 1877 წელი აქვთ აღნიშნული, ზოგს 1876 წ., რაც არ არის სწორი, 1876 წლის 8 ოქტომბერი (ძვ. სტ.) მონათვლის თარიღია.

შისი ხილვა, მისი ხმის გაგონება, მის კალთაში თავის ჩადება, მის უბეში ხელის შეყოფა მენატრებოდა, მწყუროდა.

ამხანაგებმა ეს სევდა ვერ შემიმსუბუქეს, რადგანაც თავიდანვე ბავშვური. გულუბრყვილო, უბოროტო დაცინვით შემხვდნენ: ღვიტიკელა. ხოხონიკაო. ნგონია, მე მაშინ პირველი იმერელი ვიყავი სასწავლებელში.

როდესაც გავიგე, რომ სასწავლებლის მზარეული ივანე რაჭველი იყო, თუნდა ბიძაჩემი დამენახოს. ვიცოდი, რომ რაჭა ჩვენი სოფლიდან ახლოს იყო და ივანეს მივეკედლე. შემიყვარდა, იმასაც შევუყვარდი...

...სიყვარულმა გამათამამა. ობლობის და მარტოობის ტვირთი შემიმსუბუქდა. თავისუფალ დროს ივანეს ხან ზურგზე მოვახტებოდი. ხან კისერზე ჩამოვეკიდებოდი...

...მე რომ სწავლა დავიწყე, პედაგოგიკაში სიყვარულსა და პატივისცემას შიში სჭარბობდა, მასწავლებელთა უმრავლესობა უფრო შიშით მოქმედებდა ჩვენზე, ვიდრე სიყვარულით. ამის გამო სილა უბაში დიდად იყო მიღებული, წკიპურტები და ყურების აწევა ხომ ლაღობდნენ და ხარობდნენ...

...შემოდგა თუ არა ალექსიმ სასწავლებელში ფეხი, სილა, წკიპურტები, ყურების აწევა სადღაც გაიპარნენ...

სწორედ ხუთი წელიწადი იყო ალექსი ჩემ მასწავლებლად და ამ ხნის განმავლობაში მე არ მახსოვს, რომ ერთხელ ხმამაღლა სიტყვა ეთქვას კლასში, ერთხელ გაგვწყრომოდეს, ერთხელ აღელვებულიყოს, აჩქარებულიყოს გაკვეთილის დროს.

რუსულს ალექსი გვასწავლიდა ქართული ენის შემწეობით. უმეტეს დროს გაკვეთილს ახსნა-განმარტებას ანდომებდა და სახლში როდესაც ვბრუნდებოდით, გაკვეთილი თითქმის მზადა გვქონდა.

ალექსი მარტო მასწავლებელი არ ყოფილა. ის იყო მზრუნველი მამა, რომელიც საკუთარ შვილზე, შესაძლებელია, იმდენს არ ფიქრობდა. რამდენსაც ჩვენზე.

სათავადაზნაურო სასწავლებელში ჩემ დროს ოთხი კლასი იყო და მესამეში რომ გადავედი, მეოთხე დახურეს უსახსრობის გამო.

სასწავლებლის გათავების შემდეგ მოსწავლენი გზაკვალდაბნეული რჩებოდნენ: გიმნაზიაში შესვლა მაშინ იშვიათს თუ ეღირსებოდა, დანარჩენები ან პატარა მოხელეებად შედიოდნენ სადმე, ან მუქთაყლაპიათა და გამოუსადეგარ ადამიანთა რიცხვს ემატებოდნენ.

მიუხედავად იმისა, რომ მეოთხე კლასი ჩვენი ცხვირის წინ მოსპეს უსახსრობის გამო, ალექსიმ იმდენი იმეცადინა, რომ ბანკის

ზარჯით მესამე კლასის გათავების შემდეგ სუყველა სურამში წაგვიყვანა გიმნაზიისათვის მოსამზადებლად.

იქ ჩვენ გვქონდა საკუთარი სადგომი და გვყავდა საკუთარი მზარეული.

ჩვენი მასწავლებლები იყვნენ ალექსი. ექვთიმე თაყაიშვილი და განსვენებული გრ. გრძელიშვილი...

...აგვისტოში, როდესაც გამოცდების დრო დადგა, ალექსიმ თვითონ წამოგვიყვანა თბილისს და დაგვაბინავა სასწავლებელში, რომ გამოცდების დროს უფრო ეგდო ჩვენთვის ყური.

გამოცდების ყველას ძალიან გვეშინოდა და განსაკუთრებით კი რუსულისა, რადგანაც გიმნაზიებში ისეთი წარმოდგენა ჰქონდათ ჩვენზე იქაურ მასწავლებლებს, თითქოს ჩვენ ტყიდან გამოვარდნილი ვიყავით და რუსულისა ინჩი არა გვესმოდა რა.

ალექსი ყოველთვის გვამხნევებდა, თვითონ მოგვყვებოდა გამოცდებზე.

...რვა კაცს გვამზადებდა და ერთის გარდა სუყველამ ჩინებულად ჩავაბარეთ გამოცდა, ყველა მიგვიღეს გიმნაზიაში"[1].

გიმნაზიაში ყოფნისას ივანე ბეჯითად მეცადინეობდა, ბევრს კითხულობდა და საკმაო განათლებაც მიუღია. სასკოლო საგნებს დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა და ამიტომაც იყო, რომ მხოლოდ მან დაამთავრა 1894 წელს თბილისის მეორე გიმნაზია ოქროს მედლით. და ეს გარემოება მაშინდელმა გაზეთმა „ივერიამ" ახალი ამბების რუბრიკაშიც აღნიშნა: „წელს მეორე კლასიკურ გიმნაზიაში ოცდათმა მოსწავლემ დაამთავრა სწავლა. ამათში ოთხი ქართველია: ივანე გომართელი, გიორგი ყაზახაშვილი, თ. გიორგი მუხრანსკი და ი. გრძელიშვილი. ივანე გომართელი დაჯილდოებულია ოქროს მედლით და სტიპენდიით (ხაზი ჩვენია. — ვ. წ.). ყველანი უმაღლეს სასწავლებელში აპირებენ შესვლას"[2].

გიმნაზიის დამთავრებისთანავე 19 წლის ივანე გომართელი მოსკოვს გაემგზავრა სწავლის გასაგრძელებლად. წარმატებით ჩააბარა შესაღები გამოცდები და ჩაირიცხა მოსკოვის უნივერსიტეტში სამედიცინო ფაკულტეტზე.

ივანე გომართლის მოსკოვში სწავლის პერიოდში ქართველ სტუდენტობას მძიმე ეკონომიურ პირობებში უხდებოდა ცხოვრება. იმ დროის ქართულ პრესაში ხშირად შეხვდებით ცნობებს, თუ რო-

---

[1] ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება", 1917 წ., № 6.

[2] გაზ. „ივერია", 1894 წ., № 124.

გორ. მატერიალურ სივიწროვეს განიცდიდა რუსეთში მყოფი ქართველი მოსწავლე ახალგაზრდობა; ბევრი ხელმოკლეობის გამო სწავლას თავს ანებებდა და სამშობლოში ბრუნდებოდა, ზოგი კერძო გაკვეთილებით და სხვადასხვა სამუშაოში აღებული ფულით აგრძელებდა სწავლას.

მართალია, ივანე გომართელი სტიპენდიას ღებულობდა, მაგრამ მაინც უჭირდა მატერიალურად, დახმარებას არავისაგან ელოდა; ამიტომ მშობლებთან ვეღარ ჩამოდიოდა, ერიდებოდა ზედმეტ ხარჯს, მოსკოვში რჩებოდა სამუშაოდ; იქ ერთმა მდიდარმა მემამულემ თავისი შვილების რეპეტიტორად აიყვანა. ყოველ ზაფხულს მემამულის ბავშვებს ამეცადინებდა მოსკოვის მახლობლად აგარაკზე, სადაც უზრუნველყოფილი იყო უფასო ბინით და კვებით, თანაც გასამრჯელო ეძლეოდა. აღებულ ფულს სწავლის გასაგრძელებლად იზოგავდა.

ღარიბ ქართველ სტუდენტთა სასარგებლოდ საღამო-კონცერტები ეწყობოდა ხოლმე. მაშინ მოსკოვში ერთ ასეთ საღამოს, 1897 წლის 12 თებერვალს, ივანე გომართელიც დაესწრო. თბილისში გამოგზავნილ კორესპონდენციაში — „ქართული საღამო" იგი წერდა: „როგორც სხვა ქალაქებში, ისე მოსკოვშიაც ქართველი სტუდენტები ძალიან ხელვიწროდ გაბლავართ; ხელვიწროობა კი არამც თუ უცხო ქვეყანაში — უცხო ხალხში, შენს საკუთარ სამშობლოშიაც ძალიან შემაწუხებელია. ამიტომ ქართველი სტუდენტები მოსკოვში ღარიბი ამხანაგების სასარგებლოდ ყოველ წელს ვმართავთ „ქართულ საღამოს" და შემოსავალი ფულით ერთმანეთს ხელს ვუმართავთ.... ასე რომ არ მოვიქცეთ, შიმშილით დავიხოცებით. ჩვენი შეძლებული პირები იმდენად კაცთმოყვარე და გულკეთილი არ არიან ჯერ, რომ წელიწადში ერთი საღამო ქალალდი არ ითამაშონ და იმ ფულის მცირეოდენი ნაწილი, რომელსაც წააგებენ იმ ერთ საღამოს, საქველმოქმედო საქმეს მოახმარონ"[1].

ივ. გომართელი ბავშვობიდანვე გატაცებული იყო მხატვრული ლიტერატურით და ისტორიით, ბევრს კითხულობდა, წერდა ლექსებსა და მოთხრობებს. უკვე მოსკოვის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტი აქტიურად ჩაება ლიტერატურულ და საზოგადოებრივ საქმიანობაში, გახდა ჟურნ. „ჯეჯილის" უახლოესი თანამშრომელი: რეგულარულად აგზავნის ორიგინალურ თუ თარგმნილ ლექსებს, სამედიცინო-პოპულარულ სტატიებს, ახლომეგობრული ურთიერთობა აქვს ჟურნალის რედაქტორ-

[1] გაზ. „ცნობის ფურცელი", 1897 წ., № 129, გვ. 3.

გამომცემელ ანასტასია თუმანიშვილ-წერეთელთან, რასაც ნათლად ადასტურებს მათი პირადი მიმოწერა. ეს სიახლოვე შეიძლება იმითაც იყო გამოწვეული, რომ ივ. გომართელი, როგორც ის თავის მოგონებაში წერს, ანასტასიას მეუღლეს — გიორგი წერეთელს ძალიან კარგად იცნობდა, „ჩემი სოფლიდან იყო და მის ოჯახში ხშირად დავიარებოდი პატარაობიდანვე", მეგობრობდა მის შვილებს— ელენეს, ირაკლისა (ქაკი) და ლევანს. სწორედ მათი ასეთი სიახლოვე იყო მიზეზი, რომ საფრანგეთში გათხოვილმა ელენე წერეთელმა, ცნობილმა მწერალმა და მთარგმნელმა, ქუთაისიდან თბილისში ივ. გომართლის გადმოსვლა რომ გაიგო, 1907 წლის 23 ოქტომბერს ან. თუმანიშვილ-წერეთელს დიდად აღფრთოვანებულმა მოწერა: „...ვანო გომართლის თბილისში გადმოსვლამ და თქვენს ახლოს დასახლებამ ძალიან გამახარა შენთვის და ლევანისათვისაც; ლევანს კარგი მეგობარი დაუახლოვდა და შენ — „ჯეჯილის" საუკეთესო თანამშრომელი (ეს ვანოს კი არ უთხრა, თუ არა ოავს გამოიდებს „საუკეთესო ვანო"). ძიძაც გახარებული იქნება, ვინ იცის რამდენჯერმე კიდეც იყო მასთან თავის გასაინჯავად"...[1]

გ. წერეთლის ოჯახმა დიდი როლი ითამაშა მისი შემდგომი აზროვნებისა და შეხედულებების ჩამოყალიბებაში. ამ ოჯახმა შეაყვარა და ჩაუნერგა პატარაობიდანვე მას სამშობლოს, მშობლიური ენის, ლიტერატურისა და ისტორიის სიყვარული და პატივისცემა.

ან. თუმანიშვილმა ახალგაზრდა ივ. გომართელს შეამჩნია ნიჭი, ცოდნა, მონდომება, მუყაითობა და ამიტომ იჩენდა განსაკუთრებულ ზრუნვას, ეხმარებოდა, რითაც კი შეეძლო. გაჭირვებასა თუ სასოწარკვეთილებაში მყოფი ივ. გომართელი ანასტასიას უზიარებდა თავის გულის ნადებს და მისგან ღებულობდა მშობლიურ რჩევა-დარიგებას.

ივ. გომართელი სამწერლო ასპარეზზე მოგვევლინა, როგორც ფრანგულიდან საბავშვო მოთხრობა „გულთმისნის" მთარგმნელი, რომელიც 1896 წლის ჟურნ. „ჯეჯილის" პირველ ნომერში დაიბეჭდა. აქედან მოყოლებული ის ამ ჟურნალის უცვლელი თანამშრომელია, მოსკოვიდან რეგულარულად უგზავნის რედაქციას ორიგინალურ და თარგმნილ ნაწერებს: ლექსებს, მოთხრობებს, სამეცნიერო-პოპულარულ წერილებს ისტორიის, მედიცინისა და ბუნებისმეტყველ-

---

[1] კ. კეკელიძის სახ. საქართველოს მეცნ. აკად. ხელნაწერთა ინსტიტუტის ან. თუმანიშვილი-წერეთლის ფონდი № 670.

ლების სხვადასხვა საკითხზე, რომლებსაც, თავისი გვარის გარდა, აქვეყნებდა „ვანოს“ ფსევდონიმით[1].

1896 წელსვე ივ. გომართელმა რუსულიდან თარგმნა და ივ. როსტომაშვილმა ცალკე წიგნად გამოსცა საბავშვო მოთხრობა „ხტუნია-ციყვუნია“, რომელსაც ცნობილი ქართველი გრავიორის გ. ტატიშვილის მიერ ამოჭრილი 19 სურათი ამშვენებს. ამ თარგმანმა თავის დროზე დიდი მოწონება დაიმსახურა.

ივ. გომართელი რამდენიმე ათეული ორიგინალური თუ თარგმნილი საბავშვო ნაწარმოების ავტორია. მან დიდი ამაგი დასდო ქართული საბავშვო ლიტერატურის დამკვიდრება-განვითარებას. ივ. გომართელმა თავიდანვე სახელი გაითქვა წერის სადა, ყველასათვის გასაგები და მიმზიდველი მანერით. მის ნაწერებს დიდი და პატარა სიამოვნებით კითხულობდა. როდესაც გიორგი წერეთლის ქალიშვილმა ელენე წერეთელმა საფრანგეთში მიიღო 1907 წლის № 4 „ჯეჯილი“, სადაც ივ. გომართლის მოთხრობაც იყო მოთავსებული, გულდასმით წაკითხვის შემდეგ ან. თუმანიშვილ-წერეთელს მოსწერა: „ჩემო საყვარელო ტასო, მივიღე გუშინ „ჯეჯილი“, ძალიან მომეწონა, კარგად შედგენილი, კარგი ნომერი არის. ვანოს „ბედნიერი ქვეყანა“, როგორც ყოველთვის, ცოცხალი და სასიამოვნო ენით და ბავშვებისათვის ადვილად გასაგებად არის დაწერილი“[2].

ივ. გომართელს, როგორც საბავშვო მწერალს, დიდად აფასებდა და პატივს სცემდა თვით იაკობ გოგებაშვილი, რომელსაც 1908 წლის აგვისტოში განსაკუთრებულად წერილობით მიუმართავს ივ. გომართლისათვის, რომ დაეწერა რაიმე ბავშვების ჰიგიენისა და მათი ყოველდღიური ცხოვრების რეჟიმის შესახებ. ეს წერილი უნდა ყოფილიყო ჭკუის მასწავლებელი როგორც ბავშვებისათვის, ისე მშობლებისათვისაც. წერილი მეცნიერულად გამართული, თანაც პოპულარული და მხატვრული ენით, მიმზიდველი მოთხრობის სახით უნდა დაწერილიყო.

ივ. გომართელმა ეს თხოვნა მიიღო და 1908 წლის 12 აგვისტოს იაკობ გოგებაშვილს საპასუხო წერილსა სწერს:

„ღრმად პატივცემულო ბ-ნო იაკობ!

თქვენს თხოვნას დიდი სიამოვნებით შევასრულებ, მაგრამ ერ-

---

[1] იხილეთ ჩვენი წერილი — „ერთი უცნობი ფსევდონიმის გამო“, „ლიტერატურული საქართველო“, 1965 წ., № 24, 11 ივნისი.

[2] კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს მეცნ. აკად. ხელნაწერთა ინსტიტუტის ან. თუმანიშვილ-წერეთლის ფონდი № 667.

თი გარემოების მეშინია: ვაითუ ჩემი წერილი თქვენთვის გამოუსადეგარი შეიქნეს. თქვენისთანა პედაგოგი ჩვენ კი არა, დღეს რუსეთსაც აღარ მოეპოვება; ამიტომ, ცხადია, ბავშვებისათვის მე იმის მსგავსს ვერას დავსწერ, რასაც თქვენ დასწერდით, გარდა ამისა თბილისში ახლა ექიმები ძალიან ცოტანი არიან და მთელი ამოდენა ხალხი მე მომაწყდა. სნეულება — ნამეტნავად კუჭისა და ნაწლავებისა — ახლა აქ ძალიან გავრცელებულია და დილის 7 საათიდან საღამოს რვა საათამდე მოცლა არა მაქვს. ამიტომ შესაძლებელია თქვენს მიერ შეკვეთილი წერილი რიგიანი არ გამომივიდეს. ყოველ შემთხვევაში მე დავწერ და გაახლებთ; თუ ივარგოს, ისარგებლეთ, თუ არ ივარგოს და მე ნუ მომერიდებით: ან გადაასწორეთ. ან გადააკეთეთ, ან სულ უყურადღებოდ დასტოვეთ.

თქვენი მარად პატივისმცემელი

ივ. გომართელი".

მიუხედავად ივ. გომართლის საექიმო პრაქტიკით ასეთი გადატვირთულობისა (დღეში 15—16 საათის განმავლობაში ღებულობდა პაციენტებს), მან მაინც ცხრა დღეში პირნათლად შეასრულა თავისი დაპირება და 1908 წლის 21 აგვისტოს ამცნობს იაკ. გოგებაშვილს:

„ღრმად პატივცემულო ბ-ნო იაკობ!

თქვენს მიერ შეკვეთილი წერილი მე უკვე გავათავე შავად, მაგრამ არ ვიცი: დიდხანს დარჩებით მანდ თუ არა. თუ მალე ჩამობრძანდებით, მაშინ აქ მოგართმევთ, თუ არა და მანდ გამოგიგზავნით. თუ გამოგადგებათ, ხომ კარგი, თუ რასმე საჭიროდ დაინახავთ, ჩაამატებთ. მართლწერა, რასაკვირველია, თქვენი იქნება. გადაწერა მეზარება, — ასეც გარკვევით არის დაწერილი. თუ არ ივარგებს, ნუ მომერიდებით: ამისთანა შემთხვევაში მე წყენა არ ვიცი.

თქვენი უმორჩილესი ივ. გომართელი"[1].

ივ. გომართლის მიერ დაწერილი წერილი იაკ. გოგებაშვილს მოწონებია და თავისი „ბუნების კარის" ახალ — მეთვრამეტე გამოცემაში, რომელიც 1909 წელს გამოვიდა, შეუტანია შემდეგი სათაურით: „როგორ მოიპოვეს ვახტანგმა და თამრომ სრული ჯანის სიმრთელე და შეიძინეს განვითარება გონების და ზნეობისა"[2], და მთელი 18 გვერდი დაუთმო. ამ წერილს არც ახლა დაუკარგავს თავისი ცხოველმყოფელი ძალა.

ივ. გომართლის, როგორც ქართული საბავშვო ლიტერატურის

---

1 იაკობ გოგებაშვილის წერილები მომაწოდა ფილოლოგიის მეცნ. დოქტორმა შ. გოზალიშვილმა, რისთვისაც დიდ მადლობას მოვახსენებ.

2 „ბუნების კარი", თბ. 1909 წ., გვ. 391—408.

ერთ-ერთი მეხვეურისა და ამაგდარის დამსახურება იმთავითვე ღირსეულად შეაფასა პროფ. ალ. ხახანაშვილმა და აკ. წერეთლის, რაფ. ერისთავის, იაკ. გოგებაშვილის, ეკ. გაბაშვილის, ნ. ლომოურის გვერდით მასაც ასახელებს.

ალ. ხახანაშვილმა ივ. გომართელს მიუძღვნა მთელი თავი, სადაც აღნიშნავდა, რომ „იგი ერთ-ერთი უნაყოფიერესი ახალგაზრდა პუბლიცისტია, კრიტიკის სფეროში უტილიტარულ თვალსაზრისზე დგას და უარყოფს წმინდა ხელოვნების მნიშვნელობას“[1].

ივ. გომართელი მოსკოვის უნივერსიტეტში სამედიცინო ფაკულტეტზე სწავლის პერიოდში ესწრებოდა გამოჩენილ მეცნიერთა ლექციებს ჰუმანიტარულ საგნებში.

იმ დროს მოსკოვის უნივერსიტეტში არსებობდა „ქართველ სტუდენტთა სათვისტომო“, სადაც ეწეოდნენ ცხოველ კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობას. ამ წრეში კითხულობდნენ მოხსენებებს, რეფერატებს და შემდეგ მსჯელობის საგნად ხდიდნენ. წრეს ხელმძღვანელობას უწევდა პროფ. ალ. ხახანაშვილი.

ივ. გომართელი ამ წრის აქტიური წევრი იყო და წრეში ალ. წულუკიძის მიერ წაკითხულმა რეფერატმა — „ახალი ტიპი ჩვენს ცხოვრებაში“ მისცა სტიმული დაეწერა თავისი პირველი ვრცელი კრიტიკული წერილი — „თხზულებანი მამია გურიელისა“, რომელიც შემდეგ „კვალში“ დაიბეჭდა“[2].

ივ. გომართელი თავის მოგონებაში, რომელიც 1936 წლის 3 ნოემბრით არის დათარიღებული, წერს: „საშა წულუკიძე მე გავიცანი მოსკოვში. მესამე კურსის სტუდენტი ვიყავი, როდესაც საშა ჩამოვიდა სწავლის გასაგრძელებლად... საკმაოდ მომზადებული იყო, ნაკითხი. მოსკოვში კიდევ უფრო დაეწაფა თვითგანვითარებას და ქართულ სათვისტომოში მალე დაიკავა საპატიო ადგილი. სათვისტომოში საშამ სიცოცხლე შემოიტანა და თავისი რეფერატებით ყველას გაუღვიძა ინტერესი სოციალური კითხვებისადმი. მაშინ სტუდენტობა გატაცებული იყო პლეხანოვით და სტრუვეთი. პირველის „Монис-

---

[1] А. Хаханов, Очерки по истории грузинской словесности. Вып. 4. Москва. 1906 г., стр. 445.

[2] 1943 წელს გამოცემულ ალ. წულუკიძის „თხზულებების“ შენიშვნებში (გვ. 289) წერია, რომ „ალ. წულუკიძემ მოსკოვში „ქართველთა სათვისტომოში“ წაიკითხა რეფერატი 1898 წლის შემოდგომაზე“. როგორც ივ. გომართლის მოგონებიდან ჩანს, ეს ცნობა არ არის სწორი, რადგან 1898 წლის 9 თებერვალს მას უკვე თავისი რეფერატი გამოუგზავნია „კვალში“ დასაბეჭდად. დაბეჭდამდე კი სათვისტომოში წაიკითხა; მაშასადამე, ა. წულუკიძეს უფრო ადრე წაუკითხავს თავისი რეფერატი, 1897 წლის სექტემბერ-ოქტომბერში.

тический взгляд на историю» და მეორესი «Критические очерки» ყველაზე საყვარელი წიგნები იყო ახალთაობისათვის. ქართულ სათვისტომოში სჭარბობდა ეროვნული და ლიბერალური მიმდინარეობა. საშამ თავისი რეფერატებით შემოიტანა ახალი შუქი და აზრთა შეჯახება. იმხანად „ფოამბეში“ დაიბეჭდა ლალიონის მოთხრობა „ფირალი დავლაძე“. საშამ სათვისტომოში წაგვიკითხა მოხსენება ამ მოთხრობის გამო. მისი მხატვრული კრიტიკა დაფუძნებული იყო მარქსისტულ მსოფლმხედველობაზე და ჩემზედ პირადად დიდი შთაბეჭდილება დასტოვა. მ ი ს ი ზ ე გ ა ვ ლ ე ნ ი თ მ ე დ ა ვ წ ე რ ე პ ი რ ვ ე ლ ი კ რ ი ტ ი კ უ ლ ი წ ე რ ი ლ ი მ ა მ ი ა გ უ რ ი ე ლ ი ს პ ო ე ზ ი ი ს შ ე ს ა ხ ებ (ხაზი ჩვენია. — ვ. წ.). შემდეგ საშას კრიტიკული წერილი „ფირალი დავლაძის“ შესახებ დაიბეჭდა და, რამდენადაც მახსოვს, ეს იყო პირველი ქართული მარქსისტული სიტყვაკაბმული კრიტიკა“[1].

ივ. გომართელს თავისი რეფერატი მამია გურიელზე სათვისტომოს წრეში წაუკითხავს, მსმენელებში დიდი დავა და აზრთა სხვადასხვაობა შექმნილა. ამ საკითხთან დაკავშირებით საინტერესოა ივ. გომართლის მიერ 1898 წ. 9 თებერვალს მოსკოვიდან ან. თუმანიშვილ-წერეთლისადმი გამოგზავნილი წერილი: „გიგზავნით მამიას გარჩევას „კვალში“ დასაბეჭდად. თუ არ დაბეჭდოთ, გთხოვთ, ნუ დამიკარგავთ... წარმოიდგინეთ. ჩვენი ცხოვრების შესახებ მე პესიმისტი ვიყავი, ახლა კი ამ რეფერატის წერამ გამაოპტიმისტა და ახლა ვეღარაფერი ამოშლის ჩემში იმ რწმენას, რომ ჩვენ კი არ ვკვდებით, ვცოცხლდებით. ბევრი მოწინააღმდეგე აღმომიჩნდა. მამია რომ სუსტი მწერალია, ამაში თითქმის ყველა დამეთანხმა, დანარჩენში კი ბევრი სულ სხვა აზრისა იყო: ე. ი. აწმყო სიკვდილს გვიქადის და თვით მეთვრამეტე საუკუნის გასულსაც ჩვენი ცხოვრება უკეთესი იყო, წინმსვლელობისა და ეროვნების გადარჩენის მხრივ, ვიდრე დღესო. მეც ასე ვფიქრობდი აქამდის, მაგრამ აწი კი აღარა“...[2].

ივ. გომართელი მოსკოვის უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში გაეცნო გ. პლეხანოვის ფილოსოფიურ შრომებს, რამაც შემდგომში მისი იდეების ჩამოყალიბებაზე დიდი გავლენა იქონია. საერთოდ გ. პლეხანოვი ქართველ მარქსისტთა შორის ძალიან პოპულარული იყო, განსაკუთრებით, როგორც ეს ივ. გომართელმაც აღნიშნა, გულ-

---

[1] ივ. გომართელი, „საშა წულუკიძე“ (მოგონება), საქართველოს მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის ფონდი № 12798, საქმე № 273, აღწ. 2.

[2] საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი, № 16141-ბ.

დასმით კითხულობდნენ და სწავლობდნენ მის „მონისტურ თვალსაზრისს ისტორიაზე“. 1901 წელს „Jdem“-ის ფსევდონიმით „კვალში“ დაიბეჭდა გ. პლეხანოვის წერილი — „როგორც ჰქუხს, ისე არა წვიმს“, ვარ. ჩერქეზიშვილის[1] წერილების წინააღმდეგ[2].

სამედიცინო დარგზე სწავლა არც თუ ისე იოლი იყო, თუ გავითვალისწინებთ ამ ფაკულტეტის სპეციფიურობას. ივ. გომართელმა ყოველივე სიძნელე გადალახა, ეს გასაოცარი ენერგიისა და ერუდიციის ადამიანი კიდევ ახერხებს იპოვოს დრო და სპეციალური ლიტერატურის გარდა ფხიზლად ადევნოს თვალყური რუსულ და ქართულ ახალ წიგნებს: ლიტერატურაში, ხელოვნებაში, ისტორიაში, ფილოსოფია-ფსიქოლოგიაში და სხვ., თვითონაც წერს სხვადასხვა საჭირბოროტო საკითხზე.

ივ. გომართელი სანამ საექიმო ფაკულტეტს დაამთავრებდა და სახელმოხვეჭილი ექიმი გახდებოდა, ქართველმა საზოგადოებამ გაიცნო, როგორც ნიჭიერი მწერალი და ლიტერატურული კრიტიკოსი, აგრეთვე როგორც ავტორი ქართულ ენაზე პირველად დაწერილი წიგნისა — „ისტორია აღმოსავლეთისა“ (სადაც წარმოდგენილია ძველი ეგვიპტე, მცირე აზია, ინდოეთი, საქართველო, მიდია, სპარსეთი), რომელიც 1897 წელს თბილისში ცალკე წიგნად გამოიცა.

ივ. გომართელმა სტუდენტობის პერიოდში 40-ზე მეტი ნაშრომი გამოაქვეყნა, აქედან მხოლოდ ერთი წერილი — „ფიზიოლოგიური წერილები“ — ესებოდა მედიცინას. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ როდესაც 1898 წლიდან „კვალი“ ხდება „მესამედასელების“ ლეგალური ორგანო, სამეცნიერო ფაკულტეტის მეოთხე კურსის სტუდენტმა, 23 წლის ივ. გომართელმა შეცვალა ისეთი სახელგანთქმული მწერალი, როგორიც იყო ხომლელი და ჩაიბარა „კვალის“ კრიტიკის განყოფილება.

„1898 წლიდან ჟურნალ „კვალში“ ჩემი ადგილი დაიჭირა ახალგაზრდა კრიტიკოსმა ივ. გომართელმა. რომელიც ჟურნალის მოსპობამდე ნიჭიერად უძღვებოდა კრიტიკის განყოფილებას“[3], — იგონებს ხომლელი.

მიუხედავად იმისა, რომ ივ. გომართელი მატერიალურ სივიწროვეს განიცდიდა, იგი მუდამ გულკეთილი, ქველმოქმედი და ყვე-

---

[1] ევროპაში ცნობილი ანარქისტი და მწერალი (1844—1925), 1900 წლის გაზ. „ივერიაში“ (№ 229, 247, 258) ვ. მარველის ფსევდონიმით გამოაქვეყნა სტატია „მოგზაურობა ბელგიაში“, რომელშიაც გაილაშქრა მარქსიზმისა და სოციალ-დემოკრატიის წინააღმდეგ.

[2] „კვალი“, 1901 წ., № 26—28.

[3] ხომლელი. რჩეული ნაწერები. თბ., 1963 წ., გვ. 442.

ლას დამხმარე იყო. საზოგადოებრივ საქმეში ხომ არაფერში უკან არ დაიხევდა.

1898 წლის „კვალში“ დაიბეჭდა კორესპონდენცია სათაურით: „საქველმოქმედო საქმე“, სადაც სოფ. ქორეთის სოფლის მასწავლებელი დ. აბდუშელიშვილი იტყობინება:

„ქ-ნო რედაქტორო! უმორჩილესათ გთხოვთ ნება გვიბოძოთ უგულითადესი მადლობა გამოვუცხადოთ მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტს, რომელმაც წარსულ 1897 წ. სექტემბრიდან გამოუწერა ჩემდა რწმუნებულ ქორეთის (საჩხერის რაიონი) სასოფლო სკოლას ჟურნალი „ჯეჯილი“. მოწაფენი, მოკლებულნი ამ გვარ საკითხავს ჟურნალს, აღტაცებით მიეგებენ „ჯეჯილს“. დიდი მადლობის ღირსია ბ. გომართელი, მით უმეტეს, რომ ასეთ ძვირფას შემოწირულებას პირველათ ღებულობს ქორეთის სოფლის სკოლა თავის თანამედროვე თანამგრძნობელ ახალგაზრდისაგან, თავის ოცი წლის არსებობის განმავლობაში“[1].

ჩაუდგა თუ არა სათავეში „კვალის“ კრიტიკულ განყოფილებას, ივ. გომართელი წერს რეცენზიებს ან. ფურცელაძის „ცისკარას“, ილ. ალხაზაშვილის „ბუნება და ცხოვრებას“ შესახებ, „ივერიაში“ (№ 63) ათავსებს სტატიას სათაურით „ოცნება და ცხოვრება“, სადაც განხილულია დ. კლდიაშვილის მოთხრობა „მრევლში“, 1899 წ. იბეჭდება „ქართული სიტყვაკაზმული მწერლობა 1898 წ.“, „კრიტიკული შენიშვნები. „ამოდის, ნათდება“ და სხვა მოთხრობები ვაჟაფშაველასი“, „შარშანდელი „ჯეჯილის“ კრიტიკოსი“, „ხალხის გულის მესაიდუმლე (თხზულებანი ეგ. ნინოშვილისა)“ და სხვ.

ეგ. ნინოშვილის ნაწარმოებების განხილვა ივ. გომართელს ადრევე ჰქონია განზრახული, მაგრამ სათანადო მასალების უქონლობის გამო დროებით თავს იკავებდა. ამის შესახებ 1899 წლის 6 აპრილს იგი მოსკოვიდან ან. თუმანიშვილ-წერეთელს სწერს: „...დიდი ხანია ნინოშვილის გარჩევა მინდა, მაგრამ ჯერჯერობით თავი დავანებე, რადგანაც ბიოგრაფიას ველი („კვალში“ რომ გამოაცხადეთ). მწერლის ნაწარმოების ასახსნელად კარგი ბიოგრაფია მეტად საჭიროა. ვინც ნინოშვილის ბიოგრაფიას წერს, ძალიან კარგი იქნება, რომ მემკვიდრეობას განსაკუთრებით ყურადღებას მიაქცევდეს, ე. ი. დედამამის ზნე-ხასიათს, თუ შესაძლებელია ბაბუა-ბებიასაც და ძმებსაც, თუ ყავდა. ეს ფრიად საჭიროა, რადგანაც მემკვიდრეობა მწერლის მოღვაწეობაში ბევრ რამეს ხსნის; ბიოგრაფიაში უნდა იყოს დახასიათებული ნინოშვილი, როგორც ადამიანი. გიორგის (გიორგი წერეთე-

---

[1] „კვალი“, 1898 წ., № 48. გვ. 80.

ლი. — ვ. წ.) ბიოგრაფია კი მოკლეა. თუ დიდხანს არ დაიგვიანებს თქვენი ბიოგრაფია, ხომ კარგი, თუ არა და, გიორგის ბიოგრაფიით უნდა დავკმაყოფილდე. ამ შემთხვევაში გთხოვთ, დროებით გამოგიგზავნოთ ნინოშვილის დაუმთავრებელი მოთხრობა, და თუ რამე აქვს დაუბეჭდელი პუბლიცისტური შინაარსის, ისიც. წავიკითხავ და გამოგიგზავნით"[1]...

სამთვენახევარში ივ. გომართელმა დააამთავრა ეგ. ნინოშვილის შემოქმედების განხილვა, გამოუგზავნა რედაქტორს და 1899 წლის 18 ივლისს დაიწყო ბეჭდვა „კვალში" „ხალხის გულის მესაიდუმლეს" სათაურით[2].

ივ. გომართელი პირველი კრიტიკოსი იყო, რომელმაც ეგ. ნინოშვილის შემოქმედება ასე ვრცლად და საფუძვლიანად განიხილა. ეს „კვალში" დაბეჭდილი წერილი შემდეგ მთლიანად წინასიტყვაობად წაემძღვარა ს. თავართქილაძის მიერ 1904 წელს თბილისში გამოცემულ ეგ. ნინოშვილის თხზულებათა ერთტომეულს და 1920 წელს გამოცემულ ეგ. ნინოშვილის თხზულებათა ორტომეულს.

ივ. გომართელმა 1899 წლის შემოდგომაზე დაამთავრა მოსკოვის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტი. ჯერ გამწესებული არ იყო სამუშაოზე. არ იცოდა, რა ბედი ელოდა; როგორც სტიპენდიანტი, ივ. გომართელი ვალდებული იყო განსაზღვრული ხანი ემსახურა სახელმწიფო დაწესებულებაში. ამ პერიოდში ერთგვარ სულიერ დეპრესიას განიცდის, თავისი მომავალი „გამოურკვეველ მდგომარეობად" მიაჩნია, ყველაფერზე გულგაგრილებული ვარო, ამბობს ის, „უბედურ ბედზე დაბადებულად" თელის თავის თავს. არ იცის, მომავალი რას უქადის. მის ბუნებრივ მისწრაფებას ექიმის დიპლომი არ აკმაყოფილებს, სწავლის გაგრძელება უნდა საზღვარგარეთ, მაგრამ ამისათვის არც სახსრები გააჩნია და არც პირობები უწყობს ხელს.

სასოწარკვეთილი ივ. გომართელი 1899 წლის 23 ოქტომბერს მოსკოვიდან ან. თუმანიშვილ-წერეთელს სწერს: „...გავათავე უნივერსიტეტი, ახლა თითქოს თავისუფალი ადამიანი ვარ, შემიძლია თითქოს თავისუფლად დავადგე იმ გზას, რომელიც უფრო შეეთანხმება ჩემს სურვილს და სულიერ მოთხოვნილებას. მაგრამ რა გზას დავადგები, საით წავალ, რა გამოვა ჩემგან, სწორეთ არ ვიცი. საექიმო მეცნიერება საუკეთესო და სიმპათიური მეცნიერებათაგანია, მაგრამ მე ის სრულებით არ მაკმაყოფილებს. შეიძლება, სრულიად

---

[1] საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი № 16142-ბ.

[2] „კვალი", 1899 წ., № 29, 30. 32, 33, 36—38, 42, 44, 45, 47, 51.

არაფრის ნიჭი მქონდეს, შეიძლება სრულიად უსარგებლო წევრი ვიყო საზოგადოებისათვის, მაგრამ მე არ შემიძლია, მე არ მინდა უმთავრეს საგნად ექიმობა გავიხადო. გარემოება კი ძალას მატანს და ეს არის ერთადერთი ჩემი სატანჯველიც.

ჩემი უახლოესი საწადელი ის იყო, რომ უნივერსიტეტის გათავებისთანავე საზღვარგარეთ წავსულიყავი. მაგრამ ეს საწადელი არ მისრულდება. სახლში არა გამაჩნია რა ორი კვალი მიწის მეტი და ისიც რომ გავაყიდვინო, მოხუცი მშობლები მშიერი და ტიტვლები დაიხოცებიან; რომ ვისმე მივმართო თხოვნით, ერთი რომ არა გამოდნება რა, მერე თხოვნა, როგორც ჭირი, ისე მძულს: ნიადაგ თხოვნა, თხოვნა და თხოვნა ვის არ შეძულდება! მეგონა ვალად ვიშოვიდი სალმი. მარა არავინ მასესხა; ან კი რა სარგებლობის გულისათვის მასესხებდნენ? ასე მშრალზე დავრჩი ჯერჯერობით. მინდოდა პატარა ხანს ისევ აქ დავრჩენილიყავი. მაგრამ ჯერჯერობით ასეთ ქეიფზედ ვარ, რომ არაფრის გაკეთება არ შემიძლია. თუ პატარა გულს გადამეყარა, ახალწლამდე დავრჩები, თუ არა და ამ მოკლე ხანში წამოვალ და იმედი მაქვს, თბილისში განახავთ"[1]...

თბილისში ჩამოსვლისთანავე ივ. გომართელმა „კვალში" დაიწყო მუშაობა. შემდეგ თავის სპეციალობაზე ჯავახეთში, სოფ. ბარალეთის საავადმყოფოს ექიმად დანიშნეს. აქ ის თითქოს უცებ გამოეთიშა სამყაროს, ყველაფერს და ყველას მოწყდა. ოცდაოთხი წლის ახალგაზრდამ. რომელიც რამდენიმე წელი მოსკოვში ცხოვრობდა, საზოგადო საქმეებით და მწერლობით იყო გატაცებული და საზღვარგარეთ წასვლაზე ოცნებობდა, დიდი მორალური ტრავმა განიცადა.

თუ რას წარმოადგენდა მაშინ ჯავახეთი, ეს კარგადა აქვს აწერილი ივ. გომართელს თავის ვრცელ წერილში „ჯავახეთი და ჯავახნი", რომლის პირველი თავი 1900 წლის 21 მაისს „კვალში" დაიბეჭდა „...ჩვენს პატარა საქართველოში ბევრია მივარდნილი, ყრუ კუთხე, მაგრამ ასეთი მივარდნილი ალაგი, როგორც ჯავახეთი, არა თუ საქართველოში, ბევრგან არსად მოიპოვება... როდესაც უცხო კუთხის ადამიანი პირველად შემოდის ჯავახეთში, ჯერ რაღაც გამოურკვეველი გრძნობა იპყრობს; თბილისიდან ჯავახეთში მეორე დღეს მიხვალთ და ასე კი გგონიათ, თითქოს რამდენსამე წელიწადს გემგზავროთ და რაღაც უცნობ მხარეში მისულიყოთ. გამოურკვეველი გრძნობა თანდათან სევდად იქცევა, სევდა იზრდება, ლოდივით დაგაწვებათ გულზე და მზად ხართ იტიროთ, რომ ცრემლებით მაინც დაიმშვიდოთ გული... ის გრძნობა, რომ თქვენ სხვა პლანეტაზე ცხოვ-

[1] კ. კეკელიძის სახ. საქართველოს მეცნ. აკად. ხელნაწერთა ინსტიტუტის ან. თუმანიშვილ-წერეთლის ფონდი № 375.

რობთ და არა ძველ დედამიწაზე. განუშორებლად თან დაგდევთ, სანამ ჯავახეთს არ მოშორდებით... კუთხე მეტისმეტი მივარდნილი და ყრუ"[1]...

ჯავახეთში ექიმად მუშაობისას ივ. გომართელს დიდი ჯაფა დაადგა. თუ გავითვალისწინებთ მაშინდელ საგზაო და სატრანსპორტო პირობებს, მივხვდებით, რა ძნელი იყო სოფელ-სოფელ სიარული, ავადმყოფების ადგილზე გასინჯვა და პირველი დახმარების გაწევა. ივ. გომართელი პირველ ხანებში ძნელ პირობებში ადგილზე ქირურგიულ ოპერაციებსაც აკეთებდა. მიუხედავად დიდი გადატვირთულობისა, საზოგადოებრივ საქმიანობაშიც ჩაება — აირჩიეს ადგილობრივი კომიტეტის ხაზინადრად. ამასთან 1900—1901 წლებში უხვად წერს ლიტერატურულ-კრიტიკულ, პუბლიცისტურ და საბუნებისმეტყველო სტატიებს, რომლებსაც აქვეყნებს „კვალში", „ჯეჯილში", „Новое Обозрение"-ში. მართავს მოლაპარაკებას ან. თუმანიშვილ-წერეთელთან „კვალის" შესყიდვაზე.

1900 წლის 9 მარტს ან. თუმანიშვილ-წერეთელს სწერს: „ეს-ეს არის მივეჩვიე, როგორც იქნა, ჯავახეთს, ქ-ნო ანასტასია, მაგრამ იმდენად აქაურობას ვერასოდეს ვერ მივეჩვევი, რომ წელიწადზე ძეტი გავძლო. მართალია, ახლა საქმე ძალიან ბევრი მაქვს: ავადმყოფებს გარდა აქაური კომიტეტის ხაზინადრობა მომანდვეს და ეს-ეს არის, ლამის თავი გამომირეტდეს... სოფლებში ხშირად მიხდება ხოლმე სიარული, რის გამოც აქაური ხალხი და მისი ცხოვრება ეს-ეს არის გავიცანი. საერთოდ კი ასეთის მოღვაწეობით მე დიდი კმაყოფილი არა ვარ ახლავე და, პატარა დრო რომ გაივლის, მაშინ ხომ ვეღარ დამაკმაყოფილებს. მართალია, სარგებლობის მოტანა შემიძლია, მაგრამ მარტო ეს არ არის საკმარისი. შენი მოქმედება, მიუხედავად იმისა, რომ სხვისთვის სასარგებლოა, შენც უნდა გაკმაყოფილებდეს. ჩიტი რომ გადასაფრენად იქნება გამზადებული, ასე ვარ ახლა მე. ყოველივე ამას იმიტომ გწერთ, რომ ამ კმაყოფილების მოპოება, სულიერი წყურვილის დაკმაყოფილება როგორც ჩემი, ისე ბევრი სხვისაც, — თქვენზედ არის დამოკიდებული. თქვენგან რომ არ გამეგონა, მე გულშიდაც არ გავივლებდი, და არც სხვები, გიორგის გარდაცვალებისთანავე ჩამომეგდო თქვენთან ბაასი „კვალის" გაყიდვის შესახებ, მაგრამ რადგანაც თქვენ თვითონ განაცხადეთ თქვენი განზრახვა, ჩვენც ამიტომ შეგატყობინეთ ჩვენი სურვილი, ყველას, ვისაც „კვალთან" რაიმე კავშირი აქვს, მაგ გაზეთის ყიდვა უნდა. მე

---

[1] „კვალი", 1900 წ., № 21, 22, 25, 27, 28 (ეს წერილი საინტერესოა ეთნოგრაფიული თვალსაზრისითაც. ვ. წ.

აღვნიშნავთ თავადაზნაურობის დაღუპვას, ამით სრულებითაც არ შევეგებებით სიხარულით მის ალაგს ბურჟუაზიის გაბატონებას. ერთადერთი საქმე, რისი გაკეთებაც ყოველ მწერალს შეუძლია, ეს არის აღნიშვნა იმისი, რაც ცხოვრებაში ხდება. ჩვენი ცხოვრების მიმდინარეობა კი პირველობას ართმევს თავადაზნაურობას და აძლევს ბურჟუაზიას. თუ პირველინ დაქვეითება არ არის სამწუხარო, სამაგიეროდ არც მეორის გაბატონება არის სასიხარულო, რადგანაც უპირატესობანი, არისტოკრატიის ხელში იქნება თუ ბურჟუაზიის ხელში, ყველგან განსადევნია. მაგრამ წოდებრივ წყობილებასთან შედარებით, ბურჟუაზიული ხანა უკეთესია თუნდაც იმით, რომ ის ერთი ნაბიჯით ახლოს არის სასურველ წყობილებასთან. მიუხედავად იმისა, რომ ბურჟუაზიაც გასაკიცხ და მავნებელ საფუძველზეა დამყარებული, არისტოკრატიასთან შედარებით მაინც პროგრესული ელემენტია. არისტოკრატია დღეს ჩვენში არა თუ ქონებრივად, გონებრივად და ზნეობრივადაც კი გაღატაკდა: ოდესღაც ამაყი, მედიდური, დღეს მოიხარა, მელაქუცაობას და ლაქიობას მოჰკიდა ხელი, რაც მას მეტად ბრძნულ და სასახელო პოლიტიკად მიაჩნია; ცხოვრებისათვის კი ის სრულებით მობერებული და უძლურია, ბეტხორცია, გახრწნილი, რომელიც ცოტაოდენად რიგიანი ყნოსვის პატრონს ცხვირზე ხელს წაავლებინებს. სულ სხვაა ბურჟუაზია; არისტოკრატიასთან მას ერთი საერთო თვისება აქვს: სხვისი ექსპლოატაცია, სხვისი ოფლით რჩენა, სხვის უბედურებაზე საკუთარი ბედნიერების შენება მისი დამახასიათებელი მხარეა. სამაგიეროდ ის ხელს უწყობს ეროვნული სიმდიდრის დაგროვებას, საწარმოო ძალის განვითარებას და ამიტომ არისტოკრატიასთან შედარებით უსათუოდ პროგრესულია. მკითხველი ტყუილად ნუ იფიქრებს, ვითომ ბურჟუაზიას და ბურჟუაზიულ ხანას იდეალურ სამოსში ვხვევდე: ბე მხოლოდ იმის თქმა მინდოდა, რომ დღევანდელ პირობებში ბურჟუაზია არისტოკრატიას სჯობია, არისტოკრატია ისპობა და თავის ალაგს უთმობს ბურჟუაზიას. ერთი ბატონის ხელიდან მეორე ბატონის ხელში ჩავარდნა სასიხარულოს არაფერს მოასწავებს, მაგრამ რადგანაც ბურჟუაზიული ხანა უფრო უახლოვდება იმ ხანას, რომელმაც ადამიანს უნდა მიანიჭოს სრული თავისუფლება და თანასწორობა, ამიტომ მხოლოდ უგუნური ან კაცობრიობის მტერი იტყვის: არისტოკრატიის ბატონობა სასურველი და აუცილებელიაო.

1902

მგონია, თქვენთვისაც სასურველი უნდა იყოს, რომ თქვენი გაზეთი ისევ ჩვენს ხელში იყოს, ვიდრე სხვის ხელში. კარგად იცით, სხვის ხელში რომ ეგ გაზეთი გადავიდეს, მაგისი მიმართულება სრულებით წაიშლება; ეს ხომ ძირიანად ამოთხრა იქნება იმ ნერგის, რომელსაც თქვენ და გიორგი ამდენი ხნის განმავლობაში თავგამოდებით ზრდიდით. ამიტომ ჩვენზედ მეტიც რომ მოგცეთ ვინმემ, მე მგონია, უპირატესობა მაინც ჩვენ უნდა გვეკუთვნოდეს. თქვენ თვითონ ხშირად გითქვამთ ხოლმე: „კვალი“ ყოველ წლივ მხოლოდ ზარალს იძლევაო, და მეც ვიცი, რომ მხოლოდ ორიოდეჯერ აღემატება შემოსავალი გასავალს. იმავე თანამშრომლების ხელში რომ ერთბაშად მომგებიანი გახდეს „კვალი“, შეუძლებელია: თუ აქამდის ზარალობდით, ჩვენს ხელში რომ იქნება, მოგება არც მაშინ გვექნება, რადგანაც, რისი გაკეთებაც შეგვიძლია, თქვენც იცით, ზარალის მიზეზი უმთავრესად დედააზრია და მიმართულება „კვალის“. ასეთ მიმართულებას ჯერ ჩვენში ცოტა თანამგრძნობი ჰყავს და ვინ იცის, როდის გაუმრავლდება. ამიტომ, ცხადია, გვინდა „კვალის“ ყიდვა იმიტომ კი არა, რომ სარგებელს მივდევდეთ, არამედ გვინდა, რამდენადაც კი შესაძლებელია, უანგაროდ ვემსახუროთ იმ მიზანს, რომელსაც თქვენ თქვენი ძალღონე შეალიეთ, გიორგიმ მთელი სიცოცხლე, და ამით, შეძლებისდაგვარად, წინ წავსწიოთ ჩვენი საზოგადოებრივი თვითცნობიერება. დაუმატეთ ამას ისიც, რომ ჩვენ ყველა ღარიბი ვართ და თუ ვივალებთ რასმე, თორემ ისე არა გვაბადია რა. ამიტომ თუ რომ „კვალის“ გაყიდვა გადაწყვეტილი გაქვთ, ისე დაგვითმეთ, რომ არც ჩვენთვის იყოს საზარალო და არც თქვენთვის. თქვენი აზრი კი დროზე უნდა შეგვატყობინოთ, რომ ჩვენც დროზე შევუდგეთ საქმეს. იქნება სთქვან, თუ კი თავგამოდებით მუშაობა შეგიძლიათ, რატომ ჩვენთან არ მუშაობთო, მაგრამ დარწმუნებული ბრძანდებოდეთ: რასაც თქვენს ხელში აკეთებდა ვინმე, მეტის გაკეთება არც უთქვენოდ შეუძლია; ხოლო თუ ასეთი სურვილი გვაქვს „კვალის“ ყიდვის, იმიტომ რომ თქვენ გაყიდვა გინდათ და ჩვენ კი იმ მიზნისაკენ სიარული მწერლობაში, რომლისკენაც „კვალი“ მიდიოდა და მიდის“[1].

ქართული მწერლობის ამაგდარმა ზ. ჭიჭინაძემ ივ. გომართელს, როგორც ლიტერატურულ კრიტიკოსს და ფართო გაქანების პუბლიცისტს, სწორედ ამ წლებში მიაქცია ყურადღება და როდესაც „კვალის“ მნიშვნელობასა და თანამშრომლებზე ლაპარაკობს, პირველ რიგში ივ. გომართელს ასახელებს. „...ამ უკანასკნელ წლებში

[1] საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი № 16143-ბ.

თვალსაჩინო ადგილი დაიჭირა გომართელმა. ამისი წერილები საყურადღებონი არიან, სანაქებო და მასთან გამოსადეგნიც, მისი წერილი რაფ. ერისთავის და ევდოშვილის შესახებ სანაქებოდ ჩაითვლება. ასეთი წერილები დიდათ განვითარებულ ერის მწერლობასაც დაამშვენებდა. ვის არ გვახსოვს 1860 წლების შემდეგი დროის რუსეთის საუკეთესო ჟურნალ-გაზეთების და ნამეტურ პისარევის კალამი, დობროლიუბოვის და სხვ.

ივ. გომართელის წერილებმა კვლავ მოგვაგონა ეს პირნი და გაგვაცხოველა მათებურის ბრწყინვალეს კალმით. ახ, ჩვენში უნდა ახალგაზრდობა არსებობდეს და მათ შესმენა უნდა ჰქონდეთ, რომ ასეთი პირები თავიანთ ბრწყინვალე კალმით შესამჩნევად დააფასონ, ის იდეალები, რაც ამათ ნაწერებში ბრწყინავენ, სადაც ესენი ლაღობენ, ის მათ ნათლად და მკაცრად ჩაინერგონ"[1].

ივ. გომართელმა მტკიცედ გადაწყვიტა ჯავახეთიდან წამოსულიყო, რადაც არ უნდა დაჯდომოდა, თბილისს გადმოსულიყო და სადმე სახელმწიფო სამსახურში შესულიყო. 1901 წლის 4 ივნისს ან. თუმანიშვილ-წერეთელს თავის განზრახვას უზიარებს: „...ჩვენი გადაწყვეტილება ახლა ეს არის, ბ-ნო ტასო: ამ ზაფხულზე, თბილისში რომ ვიქნები, ვეცდები, რაიმე სახელმწიფო ალაგი ვიშოვნო 25—30 მანეთიანი ან სასწავლებელში, ან სხვაგან სადმე. ასეთი ალაგი თუ ვიშოვნე, მაშინ სახელმწიფო სამსახურში ვიქნები და თავს დამანებებენ. თუ ვერავითარი სახელმწიფო ალაგი ვერ ვიშოვნე, მაშინ აქეთ მაინც ვეღარ წამოვალ, ფული მე იმდენი არა მაქვს, რომ თავი გამოვისყიდო, კიდეც რომ შეიძლებოდეს, და უეჭველია, დიპლომს არ მომცემენ და კერძო პრაქტიკას ამიკრძალავენ. მე ეს მირჩევნია, ვიდრე მთელი ჩემი ცხოვრება დავიმახინჯო.

ასეთ მდგომარეობაში, როგორშიაც მე ვცხოვრობ, ვერ ვხედავ ვერავითარ მიზანს ჩემის ცხოვრებისას; თუ სხვებრ ვერაფრით გავინთავისუფლე თავი, ერთი გზაღა დამრჩენია: დიპლომს თავი დავანებო. საზღვარგარეთ, უეჭველია, არ გამიშვებენ. პირველ ხანებში იქნება რომელიმე რუსულ რედაქციაში ვიშოვნო ისეთი ალაგი, რომ თავი ვირჩინო, და მერე მოვაგვარებ რასმე. აქეთ წამოსვლა მე აღარ შემიძლია. თუ ვიშოვნე რამე ალაგი თბილისში ისეთი, რომ მანდ დამტოვეს, ხომ კარგი, თუ არა და იძლებული ვიქნები დიპლომს თავი დავანებო, — აი ჩემი გადაწყვეტილება. თქვენ თვითონ მიბრძანეთ: თუ კი ასეთ ცხოვრებაში მიზანს ვერა ვხედავ, თუ არ მაკმაყოფილებს ასეთი ცხოვრება, მაშ რა უნდა ვქნა? უნდა მაინც ვიცხოვრო

---

1 ზ. ჭიჭინაძე, ისტორია ქართულის გაზეთების და ჟურნალების გამოცემებისა, თბილისი, 1902 წ., გვ. 56—57.

ასე, არა? მე მგონია, ჩემ ალაგს თქვენც ჩემსავით მოიქცეოდით. ამ თვის. თიბათვის, გასულს გადმომიყვანენ მე მანდ. ამ ორ თვეში ვეცდები ვიშოვნო რაიმე სულ მცირე ალაგი. ოღონდ კი სახელმწიფო სამსახურში ვითვლებოდე და სავალდებულო სამსახური თავიდან მოვიშორო. თუ ვერ ვიშოვნე და მაშინ ისე უნდა მოვიქცე, როგორც გწერთ. მეტი აღარ შემიძლიან. ერთი წელიწადი კიდევ რომ ასე უმიზნოდ გავატარო, უეჭველია, ან თავს მოვიკლავ, ან გავგიჟდები.

თქვენი ძალიან დიდი მადლობელი ვარ. რომ ჩემი გულისათვის ასე წუხდებით ხოლმე. რითი გადაგიხადოთ, არ ვიცი, ღმერთმანი. რაღაი ამდენად წუხდებით ჩემი გულისათვის, ერთი სათხოვარი ამისრულეთ: თუ ვინიცობაა იძულებული გავხდი დიპლომზე ხელი ავიღო, „Новое Обозрение"-ში ხომ არ იქნება რაიმე ალაგი 25—30 მანეთიანი? რაც უნდა იყოს, მე ყველაფერს ვიკისრებ რედაქციაში. რადგანაც ეს საქმე, როგორც თქვენ იცით, ყველაზე უფრო მიყვარს. თანამშრომლობაც შეძიძლია, რადგანაც საერთოდ ჩემი მიმართულება. მგონი, არ ეწინააღმდეგება მისი რედაქტორების, თქვენი ძმების. მიმართულებას „სხვილ" პრაქტიკულ კითხვებში და წვრილებში — ხან მე დავუთმობ, ხან ისინი. ერთი სტატია კიდეც გავგზავნე „Новое Обозрение"-ში, ის ჯორჯაძის წერილებმა გამოიწვიეს[1], არ ვიცი. ბეჭდავენ თუ არა"[2].

ივ. გომართელი თავს აღწევს ჯავახეთს, 1901 წლის აგვისტოდან თბილისშია, მცირე ხნით მიხეილის საავადმყოფოში მუშაობს, თანამშრომლობს გაზ. „Новое Обозрение"-ში, სადაც ათავსებს ლიტერატურულ-კრიტიკულ და პუბლიცისტურ წერილებს: „Еще об Армяно-Грузинских отношениях". „Кое-что об интеллигенции". რამდენიმე სტატიას სათაურით: „Критические заметки", რომელშიც განიხილავს გ. წერეთლის რუსულად თარგმნილ „მამიდა ასმათს" და მის შემოქმედებას, ირ. ევდოშვილის, გრ. აბაშიძის, შ. არაგვისპირელის და სხვების შემოქმედებას. წერს რეცენზიებს ახლად გამოსულ წიგნებზე.

ამავე დროს „კვალში" ბეჭდავს საინტერესო წერილებს: „1900 წლის სიტყვაკაზმული მწერლობის მიმოხილვა", „რ. ერისთავის პოეზია", „რუსული პოეზიის უმთავრესი მომენტები XIX საუკუნეში". „ზნეობრივი კითხვები", „ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრება გუშინ და დღეს" და სხვ.

---

[1] ივ. გომართლის ეს წერილი დაიბეჭდა სათაურით: „Армяно-Грузинский отношения", გაზ. „Новое Обозрение, 1901 г., № 57724.

[2] საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი № 16144-ბ.

ჯერ კიდევ 1897 წელს კ. აბაშიძემ „მოამბის“ 7—10 ნომრებში გამოაქვეყნა წერილი „ცხოვრება და ხელოვნება“, სადაც აღნიშნავდა იმდროინდელი ქართული პოეზიისა და ბელეტრისტიკის პესიმისტურ განწყობილებას; აღნიშნავდა, რომ 90-იანი წლების ბელეტრისტიკა დიდად ჩამორჩება 60-იანი წლებისას, მხატვრული სიტყვა დაქვეითდა, დაეცა, დაკნინდა, ახალი დროის მწერლები გამოხატავენ მხოლოდ უიმედობას: „გაურკვევლობა იდეალისა. ურწმუნოება, გულისგამგმირავი პესიმიზმი, — აი რა იხატება დღევანდელ ჩვენის ლიტერატურის წარმომადგენელთა ნაწარმოებებში“ („მოამბე“. 1897 წ., № 10, გვ. 55).

კ. აბაშიძის ამ წერილს „კვალის“ ფურცლებიდან გამოეხმაურა ალ. წულუკიძე თავისი სტატიით „ახალი ტიპი ჩვენს ცხოვრებაში“ და კ. აბაშიძის სასოწარკვეთილებით გაჟღენთილ წერილს საკმაოდ დამაჯერებელი პასუხი გასცა[1].

1901 წელს კ. აბაშიძემ გაზ. „ცნობის ფურცელში“ იმავე საღაურით თითქმის იმავე შინაარსის წერილი დაბეჭდა: ჩვენი ლიტერატურა მოკვდა და არც არის იმის იმედი, რომ გამოცოცხლდება და ფეხზე დადგებაო. მან მოახდინა ამ საკითხის გამო ანკეტა: „საქართველოს წარსულის საუკუნის ლიტერატურა, მისი მოსალოდნელი და სასურველი მომავალი“, ზოგიერთ მწერლის ოპტიმისტურ პასუხს არ დაეთანხმა და ბოლოს დაასკვნა: „ცხოვრება ჩვენ არ ეგვიცდის და ჩვენ კი საპყარნი ვართ და მისს მსვლელობას ვერ ავყევით. პოლიტიკურად აღარ ვარსებობთ, ეკონომიურად სულს ვღაფავთ. ზნეობრივად და ფიზიკურად დავკნინდით, ჩვენი ლიტერატურა კუს ნაბიჯით მიდის, მაშინ როდესაც გარეშე ერთა ლიტერატურა, რომელთანაც ჩვენ მჭიდროდა ვართ დაკავშირებული, გასაოცარის სიჩქარეფით მიდის და უსწრებს ჩვენს გონების ზრდას ჩვენი ენისა და ლიტერატურის ნიადაგზე... ყოველივე ეს ჰბადებს ჩვენში მწარე უსასოებას“[2].

კ. აბაშიძის ასეთი თვალსაზრისი მესამე დასისათვის მიუღებელი იყო და „კვალის“ ფურცლებიდან ივ. გომართელი მაშინვე გამოეხმაურა თავის წერილში — „ქართული ლიტერატურა მე-19 საუკუნეში“: „...ჩვენი ლიტერატურის უმთავრეს ტონად წარსულ საუკუნეში ბ. აბაშიძე აღიარებს პესიმიზმს; თუმცა ამით ძალიან ცოტაა ნათქვამი, მაგრამ ჩვენ მაინც არას ვიტყოდით, რომ ბ. აბაშიძეს

---

[1] „კვალი“, 1898 წ., ოქტომბერ-ნოემბერი. ამავე საკითხს ეხება 1897 წ. 21 ნოემბერს ელ. ჯაბინაძისადმი მიწერილ კერძო წერილში ა. წულუკიძე (იხ. თხზულებანი, გვ. 280—281).

[2] „ცნობის ფურცელი“, 1901 წ., № 1429.

კერძო მწერლები არ მოეყვანა თავისი აზრის დასამტკიცებლად. ჩვენს დროში ვერ ნახავთ ისეთ მწერალს, რომელსაც ერთი სევდა მაინც არ დაბადებოდეს, ერთი კვნესა მაინც არ აღმოხდენოდეს გულიდან. მაგრამ ამის მიხედვით თუ ყველა პესიმისტად მოვნათლეთ, დიდი სიცრუე იქნება... რა საფუძველი აქვს მათ წუწუნს? არავითარი. ეს ბატონები ისე სჯიან ლიტერატურაზე და მის სასურველ მომავალზე. თითქოს ლიტერატურა ცხოვრების პირმშო შვილი კი არ იყოს, არამედ ზევსის თავიდან იბადებოდეს მინერვასავით და ბ. კიტა აბაშიძის რეცეპტით იზრდებოდეს. თავისთავად ცხადი უნდა იყოს თითქოს შემდეგი ჭეშმარიტება: თუ წარსული საუკუნის განმავლობაში ჩვენი ცხოვრება ვითარდებოდა, ლიტერატურაც უნდა განვითარებულიყო; თუ ჩვენი ცხოვრება ვითარდება, ჩვენი ლიტერატურაც განვითარდება მომავალში; მაგრამ წერილების ავტორებმა ამ ჭეშმარიტებას გზა აუხვიეს და ერთი გაიძახის: ვიღუპებით, რადგანაც უნიჭოებმა ნიჭიერებს მწერლობის ზსპარეზი მიგვატოვებინესო, მეორე კი: რაღა დაგვიხსნის, როდესაც ყველა იმ ენით აღარ წერს, როგორითაც ჩვენი მამა-პაპები სწერეხო და სხვა...

მესამოცდაათე წლებში ჩვენი ცხოვრების ერთბაშმა პროგრესმა გამოიწვია ლიტერატურის აღფრთოვანება და გაფურჩქვნა, დღეს კი ცხოვრება სხვა გზას დაადგა და ამიტომ ლიტერატურაც სხვა მიმართულებას ღებულობს. ახალ გზაზე ერთბაშად სიარული შეუძლებელია და ამიტომ ჩვენს დღევანდელ ლიტერატურასაც რაღაც გაუგებრობა ეტყობა; ცხოვრება ჯერ მტკიცე კალაპოტში არ ჩამდგარა, ამიტომ ლიტერატურასაც სიმტკიცე აკლია; დროებით ხალხის ყურადღებას უფრო მატერიალური ინტერესები იზიდავენ თავისკენ, რაც ხელს უშლის ლიტერატურის გაფურჩქვნას. მაგრამ ყოველივე ეს ისევ მომასწავებელია ჩვენი ლიტერატურის ევოლუციისა და არა სიკვდილისა"[1].

ივ. გომართელი და მესამედასელები დარწმუნებულები იყვნენ, რომ ჩვენი ლიტერატურის მოდუნება და წაბორძიკება დროებითი მოვლენა იყო, რომ ახლო მომავალში ცხოვრების პროგრესთან ერთად ლიტერატურაც მოიკრებს ძალღონეს, გამაგრდება, ბურუსიდან გამოერკვევა, ისევ ხალხის გზის მაჩვენებელი მნათობი გახდება. ამ საკითხზე ნიჭიერმა პუბლიცისტმა არჩილ ჯორჯაძემაც გამოსთქვა თავისი აზრი:

„ცხოვრების საერთო აღორძინებასთან ერთად გაჩნდება ნაწარმოები, რომელიც სიმღერასავით ტკბილი იქნება, სიბრძნესავით ღრმა.

---

[1] „კვალი", 1901 წ., №15—18.

ამ ნაწარმოებში ამოვიკითხავთ ჩვენი სულის კვეთებას. იგი აგვაღელვებს. რადგან შიგ ნაამბობი იქნება ჩვენი დიდი ხნის წყურვილი სიცოცხლისა და სიყვარულისა და ჩვენი გაუგებრობა და გაურკვევლობა სიკვდილის წინაშე!"[1]

მათი ეს შეხედულება ცხოვრებამ და სინამდვილემ გაამართლა. ჩვენი ლიტერატურა მართლაც გაიფურჩქნა, აყვავდა და მძლავრად გაიდგა ფესვები; მოკლე ხანში მოგვევლინენ ნიჭიერი პოეტები და ბელეტრისტები, რომელთა სახელები საუკუნოდ შემორჩება ისტორიას და დაამშვენებს მშობლიური ლიტერატურის საგანძურს.

1902 წელს. როდესაც „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების" გამგეობის თავმჯდომარედ არჩეულია ილია ჭავჭავაძე, ივ. გომართელს ირჩევენ სოც.-დემოკრატების პარტიიდან ამ საზოგადოების წევრად, სადაც რამდენიმე წელი დაჰყო.

ივ. გომართელი 1902 წელს მთელ ზაფხულს მუშაობდა ყოველდღიურ „კვალის" რედაქციაში ფ. მახარაძესთან, ნიკო ელიავასთან და ირ. ევდოშვილთან ერთად.

1902 წლის შემოდგომაზე მიიწვიეს ექიმად დიდ ჯიხაიშში. აი რა გვიამბო ამ პერიოდის შესახებ საქართველოს დამსახურებულმა ექიმმა გიორგი ფილიპეს ძე კაჭახიძემ: „გაწვდით იმ მცირე ცნობებს. რაც ექიმ გომართლის შესახებ მე სინამდვილით ვიცი...

1902 წელს მე დავამთავრე სოფ. დიდი ჯიხაიშის 2-კლასიანი სკოლა. მამაჩემი ფილიპე ხშირად ავადმყოფობდა და საშუალება არ ჰქონდა სასწავლებლად გავეგზავნე სადმე. ამიტომ მე დავიწყე მუშაობა „ქსენონის" აფთიაქში, სადაც მალე დავეუფლე წამლების დამზადებას. ამავე დროს ხშირად ვესწრებოდი ავადმყოფების მიღებასაც.

ექიმი გომართელი ჩვენს ოჯახთან ახლო ურთიერთობაში იყო და მე დიდ ყურადღებას მაქცევდა.

როდესაც ის ქუთაისში გადავიდა საცხოვრებლად, მამაჩემს უფხრა, გიორგის მე წავიყვან ჩემთან, ვასწავლი და კაცი დადგებაო. როდესაც 1903 წლის შემოდგომაზე ის ქუთაისში გადავიდა საცხოვრებლად. მეც თან წამიყვანა.

მე მის ოჯახში ვცხოვრობდი, მან დამიქირავა პედაგოგები და სათანადო მომზადების შემდეგ 1904 წლის სექტემბერში გადავედი თბილისში სასწავლებლად...

გომართლის ოჯახთან მუდმივი კავშირი მქონდა და ჩემს სწავლაში ის მატერიალურ დახმარებას არ მაკლებდა. ივ. გომართელი

---

[1] ირ. ჯორჯაძე, წიგნი მესამე. თბ., 1911 წ., გვ. 4.

იყო ძალზე ქველმოქმედი, ეხმარებოდა როგორც ნათესავებს, აგრეთვე პარტიულ მუშაკებს. კარგ მეგობრულ ურთიერთობაში იყო პეტრე ქავთარაძესთან და მამია ორახელაშვილთან, რომლებიც მე მის ოჯახში ხშირად მინახავს...

1902 წელს დიდ ჯიხაიშში ადგილობრივი გლეხების ხარჯზე გაიხსნა „ქსენონი". თითოეული გლეხი წელიწადში იხდიდა სამ მანეთს, რის საფასურად მთელი წლის განმავლობაში უფლება ჰქონდა ესარგებლა როგორც საექიმო დახმარებით, აგრეთვე უფასო მედიკამენტებით, ქსენონის გამგე-ექიმად მოწვეული იყო ექიმი ივანე გედეონის ძე გომართელი.

ქსენონის გახსნამდე საექიმო დახმარებისათვის გლეხებს უხდებოდათ ექიმის მოყვანა სამტრედიიდან ან ხონიდან, რისი შესაძლებლობაც გლეხობის უმეტეს ნაწილს არ ჰქონდა.

როდესაც ექიმი გომართელი ჩავიდა სოფ. დიდ ჯიხაიშში და მუშაობა დაიწყო. მცხოვრებთა შორის მაშინვე დიდი ავტორიტეტი დაიმსახურა. ის მკურნალობდა არა მარტო შინაგან დაავადებას. არამედ მას ჰქონდა ქირურგიული და სხვა სპეციალობის კარგი ცოდნა, რასაც დიდი წარმატებით იყენებდა.

ერთხელ მას მოუყვანეს ავადმყოფი ვინმე ბიბილეიშვილი, რომლისათვის აუცილებელი იყო ფეხის მოკვეთა. მე მაშინ ბავშვი ვიყავი და არ ვიცოდი, თუ რა სიძნელეს წარმოადგენდა ასეთი ოპერაციის გაკეთება სოფლის არასათანადოდ მრწყობილ საექიმო დაწესებულებაში, მაგრამ დღეს ჩემთვის, როგორც ექიმისათვის, ნათელია, რომ მას ჰქონდა სათანადო ცოდნა. გამოცდილება, რათა ავადმყოფისათვის ფეხი მოეკვეთა ბარძაყის არეში, რის შემდეგ ავადმყოფი განიკურნა და სიკვდილს გადარჩა. მეორე შემთხვევა ასეთი იყო: ლეჩხუმის ერთ-ერთი სოფლიდან მოიყვანეს ავადმყოფი, რომელსაც მუცლის ღრუში ჰქონდა წყლული (ასტიტი), მან წყალი ამოაცალა მუცლის ღრუდან და ავადმყოფი, რომელიც ურმიდან ძლივს ჩამოიყვანეს, ექიმის კაბინეტიდან თავისი ფეხით გამოვიდა. კიდევ ბევრ თვალსაჩინო სამკურნალო ღონისძიებებს უტარებდა ავადმყოფებს, რამაც მას სახელი გაუთქვა და მასთან სამკურნალოდ მოდიოდნენ არა მარტო ჯიხაიშის მცხოვრებლები, არამედ მთელი ქუთაისის მაზრიდან. ავადმყოფების მიმართ მას ჰქონდა ძალზე გულისხმიერი მიდგომა, რაც მის ავტორიტეტს და პატივისცემას კიდევ უფრო ზრდიდა მოსახლეობაში. მოგეხსენებათ, რომ დიდი ჯიხაიში თავისი ტერიტორიით და მოსახლეობის რიცხვით ძალზე დიდია და ერთ ექიმს ძალზე უჭირდა მუშაობა, მით უმეტეს, რომ მცხოვრებლები ექიმით, მედიკამენტებით უფასოდ სარგებლოდნენ და საჭირო

იყო თუ არა. ყველა მოდიოდა საექიმო დახმარებისათვის როგორც ქსენონში. აგრეთვე უძახდნენ ბინაზე.

ყოველივე ამან გადატვირთა როგორც ექიმი, აგრეთვე აფთიაქი, რამაც გამოიწვია მედიკამენტების დიდი ხარჯვა და ექიმსაც ბინაზე 10—15—20 გამოძახებაზე წასვლა მაშინდელი ტრანსპორტით (ეტ-ლით. ცხენით) ძალზე უძნელდებოდა, ვერ ასწრებდა. ყოველივე ამან გამოიწვია ის. რომ 1903 წლის შემოდგომაზე ივანე გომართელ-მა გადაწყვიტა დაეტოვებინა დიდი ჯიხაიში და ქუთაისში გადასუ-ლიყო.

სოფლის მცხოვრებლებმა თავისი საყვარელი ექიმი დიდი პატი-ვისცემით გააცილეს და დაულოცეს გზა"...

ივ. გომართელი დიდ ჯიხაიშში მუშაობისას საექიმო პრაქტიკით რომ დიდად იყო გადატვირთული, იქიდანაც სჩანს, რომ იმ პერიოდ-ში „ჯეჯილში" მოთავსებულ „დედამიწის ისტორიის" გარდა ახალი არაფერი გამოუქვეყნებია.

„გაათავა თუ არა სავალდებულო სამსახური, ბ-ნი გომართელი დაბინავდა ქუთაისში და მცირე ხნის განმავლობაში დაიმსახურა ხალხის უურადღება და სიყვარული. მრავალი ხალხი, განსაკუთრებით სოფლებიდან. დადიოდა სამკურნალოდ ბ-ნ გომართელთან, რომე-ლიც უმეტეს შემთხვევაში სასყიდელს არ ართმევდა და ხშირად თი-თონ ყიდულობდა შეუძლებელ პაციენტებისათვის წამლებს. ასეთმა ქველმოქმედებამ გაუთქვა სახელი ბ-ნ გომართელს და დასავლეთ საქართველოში იშვიათია ისეთი კაცი, რომ მადლობით არ იხსენიებ-დეს მის სახელს"[1].

ასე ახასიათებდა 1906 წელს გაზეთი „შრომა" ივ. გომართლის საზოგადოებრივ მოღვაწეობას.

ივ. გომართელი, როგორც თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწე, რომელიც სიტყვით თუ საქმით რევოლუციის იდეებს ემსახურებო-და, სადაც კი ხმა მიუწვდებოდა, უკან არსად არაფერში იხევდა, რისთვისაც მეფის ჟანდარმერიას აღრიცხვაზე ჰყავდა აყვანილი.

რუსეთ-იაპონიის 1904—1905 წლების ომმა დააჩქარა რუსეთში რევოლუციის მომწიფება. მეფის მთავრობის განზრახვა. რომ ომის საშუალებით ჩაეხშო რევოლუციური მოძრაობა. არ გამართლდა. პი-რიქით, ომმა ხალხი გააღატაკა და იგი მეფის რუსეთის დამარცხე-ბით დამთავრდა. ხსენებულმა ომმა ყველას დაანახვა, რომ თვით-მპყრობელობა სრულიად აღარ შეეფერობოდა რუსეთის ხალხის მდგომარეობას და გახრწნის გზაზე შემდგარიყო. დამარცხებამ ხე-

---

[1] „შრომა", 1906 წ., № 46, გვ. 3. „სახელმწიფო სათათბიროს წევრნი".

ლი შეუწყო 1905 წლის გამათავისუფლებელი მოძრაობის გაძლიერებას.

„ქართველი ხალხი, რუსეთის იმპერიის არარუს ხალხთა მსგავსად, ორმაგ ჩაგვრას განიცდიდა: ეროვნულს — თვითმპყრობელობისა და მისი დამქაშების მხრივ, და სოციალურს — საკუთარი მემამულეებისა და კაპიტალისტების მხრივ“[1]. ამიტომ 1905 წლის მოძრაობამ საქართველოში ხალხის თითქმის ყველა წრე ჩაითრია. სოფლებსა და დაბა-ქალაქებში ხალხმა ძველი მოხელეები გადააყენა და თავის საქმეებს თვითონვე უძღვებოდა. მთავრობის დაწესებულებებს ბოიკოტი ჰქონდა გაცხადებული და აღარავინ ეკარებოდა. სოფლებში მოძრაობას მალე აგრარული ხასიათი მიეცა და მემამულეები იძულებული გახდნენ თავისი კარ-მიდამო მიეტოვებინათ.

სწორედ ამ დროს მეხივით გავარდა ივ. გომართლის სტატია — „მიწის განსაზოგადოებრიობა“. სადაც ის აღნიშნავდა: „დღეს მიწის უმეტესი ნაწილი იმათ ხელშია, ვინც მიწაზე სრულებით არ მუშაობს, მიწის მუშა კი. ესე იგი ის ადამიანი, რომელსაც სრული უფლება აქვს საკმაო მიწით სარგებლობდეს, მიწას მოკლებულია... ამიტომ გზა სიმართლის. სამართლიანობისა და ხსნისაკენ ერთადერთია: უნდა ჩამოერთვას მიწა ყველას და აღიარებულ იქმნეს საზოგადოების საკუთრებად იმ პირობით, რომ ყოველ წევრს საზოგადოებისას, რომელსაც კი ექნება სურვილი და ღონე მიწის მუშაობისა, შეეძლოს ამ მიწით სარგებლობა“[2].

ივ. გომართელი 1905 წელს „ივერიასა“ და „მოგზაურში“ ლიტერატურულ-კრიტიკულ წერილებს გარდა აქვეყნებს იმ დროისათვის მწვავე პუბლიცისტურ წერილებს. „ივერიის“ მოწინავეში — „აუცილებელი გზა“ ივ. გომართელი მოურიდებლად, საქვეყნოდ აცხადებს: „როდის მოისპობა ქვეყანაზე ადამიანთა ყვლეფა, როდის მოეღება სამუდამოდ ბოლო დაბეჩავებას, როდის განთავისუფლდება კაცობრიობის უმრავლესობა მონობისა და მრავალგვარი შევიწროვების უღლიდან, ე. ი. როდის განხორციელდება ქვეყნად ეკონომიური თანასწორობა? ყველა ეს იმგვარი კითხვებია საერთოდ, რომ გადაჭრილი პასუხის მიცემა შეუძლებელია... ეს დღე უსათუოდ უნდა გათენდეს, და ეს კი სრულებით საკმარისია მებრძოლთათვის.

ჩვენში ბიუროკრატიული რეჟიმი უარყოფს თავისუფლად შეკრებას, თავისუფლად ლაპარაკს, თავისუფლად წერას, თავისუფლად გაფიცვას, — ერთი სიტყვით ყოველგვარ თავისუფლებას ყველა

---

[1] საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევები. თბილისი, 1957 წ., გვ. 129.

[2] გაზ. „ივერია“, 1905 წ., № 136, 5 აგვისტო.

იმგვარ კითხვებში. რომელთა განხორციელებაც ყველა გაყვლეფილ-ოათვის აუცილებელ საჭიროებას შეადგენს"[1].

ამავე ხანში ივ. გომართელმა გამოაქვეყნა პიესა „ქოხში", რომელსაც ქვესათაურად მისცა — „სცენები სოფლის ცხოვრებიდან". პიესა დაიბეჭდა 1905 წლის „ივერიის ბიბლიოთეკის" პრემიად (№ 4) და სწირად იდგმებოდა ქართულ სცენაზე.

„...რევოლუციის ხანაში ქართულ სცენაზე ბატონობს: „ექიმი შტოკმანი", „ჟან და მადლენა", „ფეიქრები", „გაი გრაკხი", „ერნანი", „ჟილ-ბლაზი", „ქოხში", „წამხდარი სისხლი" ივ. გომართლის, „მეზობლები" ტრ. რამიშვილის, „მღვიმეში" შალვა დადიანის, „ძალა აღმართს ხნავს" ვ. გუნიასი და სხვა. ამ პიესებში პირველ ადგილზე მასების სოციალურ ზრდას და ამოძრავებას ვხედავთ, დაგმობილია ძველი პარაზიტული წოდებები და კრიტიკულს ცეცხლში ტარდება მათი დამცველი ბიუროკრატიული მთავრობები"[2].

თავისი პიესის გმირს, დომენტის, ივ. გომართელი ასეთ სიტყვებს ათქმევინებს:

„განა ცოტა გლეხი ჯობია თავადიშვილს?.. როცა გლეხი შეიგნებს, რომ ის იმგვარივე ადამიანია, როგორიც ის მუქთამჭამელები, რომლებიც მისი ოფლითა რჩებიან, სულ კუდით ქვას ასროლიებს. კი არ უნდა გავჩუმდეთ, უნდა ვიყვიროთ, ხმამაღლა უნდა ვიყვიროთ, რომ ერთმანეთს თვალები ავუხილოთ... უმეტესობა, მამაჩემო, ჩვენისთანა ღარიბები არიან. შენც, მეც. იმასაც, ე. ი. ყველას რომ თვალები ახილული გვქონდეს, მაშინ დავინახავდით, რომ ძალა ჩვენს ხელშია, — ჩვენზე ძლიერი, ჩვენი დამძლევი არავინ არის. საერთო ძალით კი რაც გვინდა, იმას ვიზამდით, მარტო შენ რომ იყვიროო. ამით კი ვერას გახდები, მდიდრებზე ბევრით მეტი ვართ და ამიტომ ძალაც ბევრით მეტი გვაქ. ცალ-ცალკე ყველას გვეშინია, მარა ჩვენ რო ეს უბრალო ჭეშმარიტება შევიგნოთ და შევერთდეთ, ვერავინ ვერაფერს დაგვაკლებს, პირიქით, რაც გვინდა, იმას ვიზამთ მაშინ. — ყველა ღარიბებმა და გაჭირვებულებმა თვითონ უნდა იხსნან თავი, სხვა მათ არავინ იხსნის. უნდა გავახილოთ თვალები ახალგაზრდებმაც და მოხუცებმაც, შევიგნოთ ტყუილი და მართალი. ასე ცხოვრება აღარ გვარგია. სულ მუდამ გაჭირვებაში ყოფნას ბარემ ერთხელ გავიჭირვოთ, ის გვირჩევნია; ჩვენ თუ არაფერი გვეღირსება, ჩვენ შვილებს მაინც მოესწრებათ... დროა შევერთდეთ, შეერთებული ძალით გავანადგუროთ ყველა ხალხის მტერი და ჩვენ, ღარიბებმა, დავაწესოთ

---

[1] გაზ. „ივერია", 1905 წ., № 167, 18 სექტემბერი.

[2] ვ. ხუროძე, „მხატვრული ლიტერატურა 1905 წელს", ჟურნ. „რევოლუციის მატიანე", 1930 წ., № 2(23), გვ. 166.

ახალი ცხოვრება ღარიბი ხალხისათვის!“ — ასეთი სიტყვებით ამთავრებს ივ. გომართელი თავის პიესას — „ქოხში“.

1905 წლის „ცნობის ფურცელში“ მოთავსებულია ცნობა, რომ ბათუმში, 20 სექტემბერს, „რკინიგზის თეატრში, აქაურ სცენის მოყვარეთა მიერ წარმოდგენილ იქმნა პირველად ახალი პიესა ივ. გომართლისა „ქოხში“. წარმოდგენას აუარებელი ხალხი დაესწრო, თეატრში ტევა არ იყო. პიესას დიდის ყურადღებით ისმენდნენ. სცენის მოყვარენი კარგად მოიქცნენ, რომ ხალხს მოასმენინეს ახალი პიესა და ისიც ისეთი რეალური და მისი ცხოვრებიდან ამოღებული, როგორიც არის ბ-ნ ივ. გომართელის პიესა“[1].

1906 წლის 12 იანვარს ქართული დრამატული საზოგადოების დასმა ვ. აბაშიძის საბენეფისოდ დადგა ივ. გომართლის პიესა „ქოხში“, რომელშიც მონაწილეობდნენ ჩვენი გამოჩენილი მსახიობები: ტ. აბაშიძე, ნ. გაბუნია-ცაგარლისა, ვ. აბაშიძე. ვ. გუნია, შ. დადიანი. კ. შათირიშვილი, კ. ყიფიანი და სხვ.[2].

ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე დავით ჩხეიძე, რომელიც ბავშვობიდანვე ახლოს იცნობდა ივ. გომართელს, აი რას მოგვიყვა:

„მოწაფეობის დროს რეალურ სასწავლებელში ჩამოყალიბებული გვქონდა სცენის მოყვარულთა წრე. არდადეგების დროს სასწავლებელში და ახლომახლო დაბებში ვდგამდით რევოლუციური შინაარსის პიესებს. ჭიათურაში დავდგით ივ. გომართლის პიესა „ქოხში“. წარმოდგენას დიდძალი მაყურებელი დაესწრო, სპექტაკლი კარგად ჩავატარეთ. ჭიათურაში იყო ბოქაული შავრაზმელი, მეფის ტახტის დიდი ერთგული ვინმე კედია, რომელიც პიესის შინაარსმა აღაშფოთა და სასტიკად გაილაშქრა ჩვენს მიმართ. აფიშაზე წრის ხელმძღვანელად ჩემი გვარი იყო გამოცხადებული, დამიწყო ძებნა თეატრის შენობაში. იმ დროს ჭიათურაში მუშაობდა ცნობილი რეჟისორი და მსახიობი ვალერიან შალიკაშვილი, რომელმაც მოასწრო ჩემი დამალვა. კულისებში იდგა ყუთი, რომელშიაც ჩავჯექი და ზევიდან ტანისამოსი დამაყარა და ასე გადავრჩი დატუსაღებას. იმავე ღამით გამომპარეს ჭიათურიდან“.

ივ. გომართლის ლიტერატურული. პუბლიცისტური და პოლიტიკური მოღვაწეობა მაშინვე ჯეროვნად შეაფასეს მისმა თანამედროვეებმა. აი რას წერდა „ბათუმის გაზეთი“: „ივანე გომართელი ჩვენი ცნობილი ლიტერატორია... მადლიანი ნიჭის ნაყოფით მას ბევრი

---

[1] გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1905 წ., № 2918.
[2] გაზ. „ცნობის ფურცელი“. 1906 წ., № 2977.

მშრომელი გაუთვიცნობიერებია. ბევრისათვის აუტოკენია ბული უკეთეს მემრისის ბრძოლისათვის. ის იყო სწორი გზის ერთ-ერთი საყვარელი მაჩვენებელთაგანი...".

ამიტომ არც გასაკვირია, რომ 1905 წლის რევოლუციის დამარცხების შემდეგ, როდესაც თვითმპყრობელობამ სასტიკად იძია შური დამარცხებულ ხალხზე, განსაკუთრებით კი განაპირა კუთხეებზე, და შავი დღე დაუდგა საქართველოსაც, სადაც ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხეს მოედვნენ მთავრობის მიერ გაგზავნილი დამსჯელი რაზმები და აგენტები, ყურადღების გარეშე არ დაუტოვებიათ ივ. გომართელიც. მას სასტიკად სდევნიდა ჟანდარმერია და პოლიცია. ბოლოს იგი იძულებული გახდა ქუთაისს მოშორებოდა და დროებით თავი შეეფარებინა სოფელ თვრინში (ზესტაფონის რაიონი). ჩხეიძის ოჯახში.

„ამ დროს — მოგვითხრობს დავით ჩხეიძე — ჩემი უფროსი ძმა გრიგოლი ქუთაისში საშუალო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მიემგზავრებოდა გერმანიაში უმაღლესი ცოდნის შესაძენად. მოლაპარაკების შემდეგ გადაწყდა, რომ გომართელი როგორმე გაეპარებინათ საზღვარგარეთ. საჭირო იყო დიდი სიფრთხილე ორთავესათვის. თვალი რომ აეხვიათ პოლიციისათვის, გომართელს დაუმზადეს ჩოხა-ახალუხი, თავი ყაბალახით გაუკრეს და ვითომც ხელზე მოსამსახურე, 1906 წლის დასაწყისში გაყვა ჩემს ძმას. ასე დააღწია თავი დაჭერას".

საქართველოდან ივ. გომართლის წასვლა კავკასიის მუშათა სოც.-დემოკრატ. ორგანიზაციების ყოველდღიურმა ორგანომ მაშინვე აღნიშნა. გაზ. „განთიადის" ფურცლებზე ახალ ამბებში ვკითხულობთ: „როგორც გადმოგვცეს, ექიმი ივ. გომართელი, რომელსაც ადმინისტრაცია დასაჭერად დასდევდა, ყენევაში ჩასულა და იქ ცხოვრობს თურმე"[1].

ამის შემდეგ ივ. გომართელი პეტერბურგში ჩამოდის და აქტიურად ებმება თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლაში.

1905 წლის რევოლუციის დამარცხების შედეგად საზოგადოებას გულგრილობა, მოწყენილობა და მოქანცულობა დაეტყო; რუსეთის ინტელიგენციის მნიშვნელოვანმა ნაწილმა ზურგი აქცია რევოლუციას, რუსეთის მწერლობაში კი გამეფდა „პორნოგრაფია, სქესობრივი აღვირახსნილობა თითქოს აუცილებელ პირობად ხდებოდა პიროვნების ვითომდა განთავისუფლებისათვის. მხატვრულ ნაწარმოებთან ერთად იშვა სპეციალური ხასიათის ფილოსოფია, რომელ-

[1] გაზ. „განთიადი", 1906 წ., № 5, 10 მაისი.

შიაც რელიგიურ და პატივსადებ მოტივებთან ერთად იმავ ბილწ ნაკადულს მოჰნახავთ. გაჩნდნენ მქადაგებელნი „თავხედი სიყვარულისა“, „სამსხვერპლო სიყვარულისა“, ბიზანტიური საეკლესიო ტერმინოლოგიით იწყება ლაპარაკი არშიყზე და ტრფიალზე. „წუთების მყლაპველი“ გმირები ულვაშებს იგრეხდნენ ნახევრად გატიტვლებულ ნორჩი ქალების წინაშე, „ხორცის გამარჯვების მეჯლისი“ დღესასწაულობდა თავის გამარჯვებას და ვნების და მრუშის ტლაპოში ჩაეფლნენ თვით „ფილოსოფნიც“. საქმე იმაშია, ამბობდნენ, რომ ადამიანში უნდა დაიხოს და დაიკარგოს დროის, სივრცის შეგნება. საჭიროა მომენტის გამონახვა, სადაც წარსული, აწმყო და მომავალი თითქმის ერთმანეთში იშლებიან და იკარგებიან. ამგვარი მომენტი ექსტაზია, სიყვარულის ასლი, ღვთაებრივი ეროსი. სქესობრივი ურთიერთობა ერთი ამ მოვლენათაგანია. აქ ადამიანი ტრანსცენდეხტალურ სამეფოში გადადის და უკვდავი ხდება (როზანოვი). გაუმარჯოს უკვდავ წამს, გაუმარჯოს გატიტვლებულ ადამიანს და მის აღმაფრენას უკვდავებისადმი... რევოლუციის მეორე დღეს ამით იკვებებოდა ახალგაზრდობა“ — წერდა არჩილ ჯორჯაძე[1].

სწორედ ამ პერიოდის შესახებ წერდა მ. გორკი, რომ „ათი წელი, 1907—1917 წლებამდე, ღირსია იმისა, რომ უაღრესად სამარცხვინო და უაღრესად უნიჭო ათწლეულის სახელი ეწოდოს რუსეთის ინტელიგენციის ისტორიაში, როდესაც 1905 წლის რევოლუციის შემდეგ ინტელიგენციის მნიშვნელოვანმა ნაწილმა ზურგი შეუბრუნა რევოლუციას, დაექანა რეაქციული მისტიკისა და პორნოგრაფიის ჭაობში, თავის დროშად უიდეობა გამოაცხადა და თავისი რენეგატობა დაფარა „ლამაზი“ ფრაზით: „მე დავწვი ყოველივე, რასაც თაყვანს ვცემდი, თაყვანი ვეცი მას, რასაც ვწვავდი“.

პეტერბურგიდან დაბრუნდა თუ არა ივ. გომართელი, ქუთაისიდან 1907 წლის აგვისტოში საცხოვრებლად გადავიდა თბილისში და გვერდით შემოიკრიბა ისეთი მწერლები, როგორიც იყვნენ მ. ჯავახიშვილი, სვ. ყიფიანი, პ. სურგულაძე, პ. თუმანიშვილი. მათ გადაწყვიტეს გამოეცათ კრებული.

კრებულში მონაწილეობის მისაღებად მოიწვიეს: ვაჟა-ფშაველა, შ. არაგვისპირელი, ია. ეკალაძე, თ. რაზიკაშვილი, კ. მაყაშვილი, ეკ. გაბაშვილი, ან. ერისთავ-ხოშტარია, ცახელი, თომაშვილი და სხვ. ჩვენს ხელთ არის ორი წერილი ივ. გომართლის მიერ დ. მეგრელისადმი მიწერილი. 1907 წლის 15 აგვისტოთი დათარიღებულ წერილში ვკითხულობთ:

---

[1] არჩილ ჯორჯაძე. წიგნი მეორე. 1911 წ., გვ. 196—197

„პატივცემულო ბატონო დიმიტრი! რადგან ამ ბოლო დროს ქართულად სრულებით აღარ გამოდის ხელოვნური ნაწარმოებები, ამიტომ ჩვენ განვიზრახეთ გამოვცეთ ჯერ-ჯერობით ერთი 300 გვერდიანი კრებული (2000 ცალად). პირადად ჩვენთვის ამ გამოცემისაგან არავითარ სარგებელს არ მოველით. გამოცემა დაჯდება დაახლოებით 600 მან. და სხვა, სტამბის, ქაღალდის და სხვა მასალებს რაც გადარჩება, დარიგდება ჰონორარად. გაცნობებთ, რომ მოგმართავთ თხოვნით ამ მოკლე ხანში შეგვატყობინოთ, თანახმა იქნებით თუ არა მონაწილეობა მიიღოთ ხსენებულ კრებულში და ამასთანავე მოგვაწოდოთ თქვენი ნაწარმოებები. პასუხი, გთხოვთ, ერთი კვირის ვადაში შეგვატყობინოთ. თუ გაქვთ რაიმე დამზადებული, გთხოვთ ახლავე გამოგვიგზავნოთ. თუ არა —1 იანვრისათვის მოგვაწოდოთ...“[1]

ივ. გომართელს ამ წერილის პასუხი მიუღია და სამაგიეროსაც სწერს:

„დიდად პატივცემულო ბ-ნო დიმიტრი!

თქვენი წერილი მივიღე და პასუხსაც გწერთ. ჟურნალი ჩვენში არ არსებობს. ბევრი რამ სიტყვაკაზმული გაზეთებშიაც ვერ მოთავსდება. ამით მწერლობაც ფერხდება. ხალხსაც სულიერი საზრდო აკლდება. ჩვენ რომ რუსეთის კონსტიტუციას ვუყუროთ, მგონია, დიდი ხნის ლოდინი დაგვჭირდება. ამიტომ რამდენიმე კაცმა შევადგინეთ ამხანაგობა იმ მიზნით, რომ სიტყვაკაზმული კრებული გამოვცეთ ხოლმე. პირველი იანვრიდან შევუდგებით ბეჭდვას უსათაუროდ. კრებულს გამოვცემთ დროდადრო, —შეიძლება თვეში ერთი. შიგ მოთავსებული იქნება მხოლოდ სიტყვაკაზმული ნაწარმოები. სამას გვერდზე ნაკლები არ იქნება, მეტი—კი. გარეგნობით კარგი უნდა იყოს. ხარჯსა ვკისრულობთ ჩვენ. წმინდა შემოსავალი რაც დარჩება, თანამშრომლებს, ზარალი თუ იქნება, ჩვენ —ამხანაგობამ უნდა ვიკისროთ. ჩვენი შავი მუშაობა, რასაკვირველია, უსასყიდლოა. მე დარწმუნებული ვარ, არა თუ ზარალი, მოგებაც დარჩება. წერილი დამზადებული იყო თქვენთან და თქვენს მეუღლესთან. აქამდინ მიიღებდით. ჩვენი ცნობილი მწერლების ნაწერებს ჩვენი მოწონება აღარ ესაჭიროება. იმათ საზოგადოება აფასებს და ჩვენ კი რაც უნდა გამოგზავნოთ თქვენ, თქვენმა მეუღლემ, ვაჟა-ფშაველამ, ცახელმა, დედაბრიშვილმა და სხვ., უსათუოდ დავბეჭდავთ. პირველ კრებულში უსათუოდ უნდა იყოს თქვენი და თქვენი მეუღლის ნაწერები და სხვა ჩვენი ცნობილი მწერლების. ჩვენ გვინ-

---

1 საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმის ფონდი № 6356-ბ.

და, რომ პირველი კრებულითვე მოვიგოთ საზოგადოების გული. თუ სამსონმა (სამსონ ფირცხალავა.—ვ. წ.) არ მოგვცა, სხვას ველით თქვენგან. თუმცა დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენი კრებული უმალ გამოვა. პირველი იანვრიდან ბეჭდვას შევუდგებით. სტამბაც, ქაღალდიც და პირველი კრებულისათვის საჭირო ფული მზადა გვაქვს"[1].

მართლაც, 1908 წელს ეს კრებული „ნიავის" სახელწოდებით დაიბეჭდა, მაგრამ მაშინვე აუკრძალავს ცენზურას ივ. გომართლის პიესის „განკითხვის დღის" მოთავსების გამო. კონფისკაცია უყვეს მთელ ტირაჟს. ასე რომ მკითხველმა წიგნი ვერ იხილა. ამ კრებულის არსებობა და შინაარსი ჩვენთვის უცნობი იქნებოდა, თუ არა პოეტ-აკადემიკოსის იოსებ გრიშაშვილის უანგარო სიყვარული წიგნისადმი. მის მიერ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიისადმი გადაცემული ბიბლიოთეკის ფონდების დამუშავებისას აღმოჩნდა ეს კრებული ი. გრიშაშვილის შემდეგი შენიშვნით: „ეს წიგნი აკრძალული იყო 1908 წ. და სულ არ გამოსულა გასაყიდად. ი. გრიშაშვილმა შეიძინა ცალ-ცალკე ფურცლებად ასოთამწყობ დ. კილაძის შემწეობით და აკინძა".

აი, ამ კრებულის შინაარსი, რომელიც საინტერესო იქნება ჩვენი ჟურნალისტიკის ისტორიისათვისაც:

ნიავი. (სალიტერატურო კრებული). პ. თუმანიშვილის გამოცემა. თბილისი. 1908. 288 გვ.

შინაარსი

1. ია ეკალაძე — ახალი ბატონები — 1—38 გვ.

2. შ. არაგვისპირელი — მიჯაჭვული ამირანი — 39—42 გვ. (მხოლოდ ერთი კარი პაპა ფოცხვერას ნაამბობიდან).

3. ივ. გომართელი — განკითხვის დღე. პიესა ოთხ მოქმედებად — 43 — 140 გვ.

4. ვაჟა-ფშაველა — ღილა და კვირისა (მწყემსის ნაამბობი) — 141—147 გვ.

5. თ. რაზიკაშვილი —ავადმყოფი —148—150 გვ.

6. ახალთაობას (ლექსები) —151—152 გვ.

7. ცახელი —საბრალო ბაბუა (პოემა) —153—164 გვ.

8. თ. რაზიკაშვილი —ქორის ბახალა (ამბავი) —165—172 გვ.

9. დუტუ მეგრელი —მალხაზ ბარელი. დრამატ. პოემა 4 სურათად —173—202 გვ.

---

1 საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი № 6355-ბ.

10. მაყაშვილი—სულის ხალარო (ლექსი) —203—204 გვ.

11. დ. თომაშვილი —„ციხეკიდურ ლაქვარდ გუმბათზე...“ (ლექსი) — 205—207 გვ.

12. დ. თომაშვილი — სული ობოლი (პოემა) — 208—224 გვ.

13. სვ. ყიფიანი —სოფელში —სცენები სოფლის ცხოვრებიდან. 4 მოქმედებად — 225—288 გვ.

ივ. გომართელმა 1905 წელს დაწერა სამმოქმედებიანი დრამა „ჯაშუში“, რომელიც 1907 წელს ძლივს დაბეჭდა ჟურნალში „ჩვენი გზა“[1]. ამ პიესის დადგმა სასტიკად აკრძალული იყო. 1908 წლის „ნიშადურის“ (№ 39, გვ. 10) ცნობათა რუბრიკაში ასეთ შენიშვნას ვკითხულობთ: „ივ. გომართელის ახალი პიესა „ჯაშუში“ —წარმოსადგენად მთავრობას ნება არ დაურთავს იმ ჭეშმარიტ მოსაზრებით, რომ უმაგისოთაც ყოველდღიურ ცხოვრებაში თითქმის ყველა ჯაშუშობსო, თავიც კი მოგვაბეზრეს და სცენაზედ იმდენი ინტერესი აღარ იქნებაო...“

ივანე გომართელი ერთი პირველთაგანი იყო საქართველოში, ვინც თავისი სამეცნიერო წერილებით და მხატვრული ნაწარმოებებით 1905 წლიდან მოყოლებული ოცდაათიან წლებამდე სისტემატიურად ილაშქრებდა რელიგიისა და ცრუმორწმუნეობის წინააღმდეგ, რელიგიას უპირისპირებდა მეცნიერებას, ცდილობდა ხალხი გაერკვია რელიგიისა და ათეიზმის მნიშვნელოვან საკითხებში, განმარტავდა და თვალნათლივ ხსნიდა ღმერთის, ქრისტეს და ქრისტიანობის წარმოშობის მიზეზებს. ბიბლიიდან მოტანილი მაგალითებით არჩევდა იქ მოცემულ წინააღმდეგობებს, ააშკარავებდა რელიგიის ყალბ, ანტიმეცნიერულ მტკიცებას, რომ ყველაფერი ამ ქვეყნად ღვთისაგანაა და მისი ნებისაგან გამომდინარეობს. ამას იგი მაშინ ჩადის, როდესაც რეაქციის წლებში რელიგია და იდეალიზმი დიდ სამსახურს უწევს მეფის დამქაშებს მშრომელი მასების დასამონებლად. ამ პერიოდში ივ. გომართელი გვევლინება ნამდვილ მებრძოლ ათეისტად.

ივ. გომართელმა 1907 წელს „ნაკადულის“ ფურცლებზე დაბეჭდა ასტრონომიის სფეროდან წერილი „სამეცნიერო საუბარი“[2]. ამ წერილმა ქუთაისის სასულიერო წოდების ორგანოს „შინაური საქმეების“ გულისწყრომა დაიმსახურა. გაზეთის თანამშრომელი სეფე ველელი უკიჟინებს: „აქ რამდენი წინადადებაცაა, იმდენი შეცდომაა, სიცრუე და სიმრუდე... ივ. გომართელის სულისკვეთე-

---

[1] „ჩვენი გზა“, 1907 წ., № 21, 23, 25—27, 29—31.

[2] ჟურნ. „ნაკადული“ (სიყმაწ.) 1907 წ., № 10

ბას შეადგენს დაამტკიცოს, რომ არ არის და არც საჭიროა იყოს არავითარი ღმერთი, შემომქმედი ცისა და ქვეყნისა"[1]. რაში ყოფილა თურმე ეს „სიცრუე და სიყალბე" — ამაზე პასუხობს ჟურნალ „განათლებას" რედაქცია: „თურმე ქვეყნიერებაზე ყველაფერი ღვთის ძალით გაჩენილა, აღორძინებულა და რადგანაც ბ-ნი გომართელი ღმერთს, ამ ყოვლად შემოქმედს, ერთის სიტყვითაც არ იხსენიებს თავის სტატიაში, ამიტომ მისი სტატია ყალბი და სიცრუე ყოფილა"[2].

1908 წელს გაზეთებში „ჩვენი კვალი", „ჩვენი ქვეყანა" დაიბეჭდა ივ. გომართლის წერილები ამჯერადაც „სამეცნიერო საუბრების" სახელწოდებით, რომელიც დედამიწის, ცხოველების და ადამიანის წარმოშობის საკითხებს ეხება. აქ ის, დარვინის ევოლუციური თეორიის საფუძველზე, ცხოველთა სამყაროდან ადამიანის წარმოშობას ამტკიცებს. ამავე წელს ცალკე წიგნად გამოდის მისი „ტვინი და სული". ყველა ამ შრომაში იგი ილაშქრებს რელიგიის და ცრურწმენის წინააღმდეგ.

ივ. გომართელი განმარტავს: სამღვდელოება რომ ქადაგებდა. ღმერთმა ცალ-ცალკე გააჩინა თევზი, ქვეძძრომნი, ცხოველები, ფრინველები, მცენარენი და ადამიანი, დარვინმა გამოააშკარავა სრული სიყალბე ასეთი შეხედულებისა და დაამტკიცა, რომ ერთი მოდგმა განვითარდა მეორისაგან, როგორც მცენარეთა, ისე ცხოველთა სამეფოში და ადამიანიც შედეგია ასეთი განვითარებისა უმდაბლესი ცხოველებიდან.

დარვინმა უამრავი საბუთით დაამტკიცა, თუ როგორ ცვლილებას იწვევს ცხოველთა და მცენარეთა რიგებში არსებობისათვის ბრძოლა და ბუნებრივი შერჩევა. ამ რკინის კანონს ბუნებისას ვერც ადამიანი აიცდენდა თავიდან. ადამიანი ძველთაგანვე ისეთი კი არ გაჩნდა, როგორიც დღეს არის, არამედ თანდათანობით განვითარდა უმდაბლესი ცხოველიდან. ჩვენი წინაპრები არა ყოფილან ადამი და ევა, არამედ ცხოველები, რომლებიც ოთხზე დადიოდნენ და ენა არ იცოდნენ[3].

ივ. გომართელი მეცნიერების მიღწევებზე დაყრდნობით განუმარტავს ხალხს, რომ სამყარო ღმერთის მიერ კი არ არის შექმნილი. როგორც ამას რელიგია ქადაგებს, არამედ როგორც მეცნიერება აღიარებს —ობიექტურად არსებული მატერიალური სინამდვილისა-

---

[1] გაზ. „შინაური საქმეები", 1908 წ., № 1, გვ. 8 — 11

[2] ჟურნ. „განათლება", 1912 წ., № 4, გვ. 309.

[3] ივ. გომართელი, გლეხის კარაბადინი თბ., სახელგამი, 1928 წ., გვ. 11, 12

გან, მარტივიდან რთულისაკენ კანონზომიერი განვითარებით, დაბალი ფორმიდან მაღალი ფორმისაკენ, რომ ორგანული მატერია არაორგანული მატერიის განვითარების შედეგია.

1908 წ. ახლად გამოსულ ყურნალ „ალიონში" (№ 1, 2) ივ. გომართელმა დაბეჭდა სტატია — „როგორ გააჩინა ადამიანმა ღმერთი". ეს წერილი ყუმბარასავით გასკდა, დიდი რეაქცია გამოიწვია რელიგიის და ეკლესიის მსახურთა შორის. ივ. გომართელი ილაშქრებს იმ ცრუ შეხედულების წინააღმდეგ, ვითომ იესო ქრისტე ქალწულ მარიამს ჩაესახა სულიწმინდის ზეგადმოსვლით. ავტორი აღნიშნავს, რომ რელიგია ამართლებს კლასობრივ ჩაგვრას, იცავს მონობას, ასწავლის მშრომელებს შეეგუონ და შეურიგდნენ სიღატაკესა და გაჭირვებას:

„დღევანდელი საქრისტიანო სამღვდელოება ქრისტეს მიმდევარი კი არ არის, არამედ ფარისევლების, რომელთა წინააღმდეგ თავიდანვე იყო მიმართული ქრისტეს მოძღვრება... საქრისტიანოს ფარისევლებმა ქრისტეს მოძღვრება თავის გემოვნებაზე გადააკეთეს; საბრალო ხალხი კი დარწმუნებულია: სამღვდელოების პირით თვით ქრისტე ლაპარაკობსო. ქრისტე რომ ეხლა მოევლინოს ქვეყანას, ყველაზე უმალ მისი სახელის მატარებელი სამღვდელოება ამხედრდებოდა იმის წინააღმდეგ...

ქრისტე უარყოფდა მხოლოდ იმ ყალბ, ცრუ და უსამართლო, სისხლში შეღებილ ცხოვრებას, რომლითაც დღესაც სცხოვრობს კაცობრიობა და ჯერ ალბათ კიდევ დიდხანს იცხოვრებს, სანამ ძლიერი მაჯა ოფლის მღვრელისა ძირიანად არ განაახლებს ქვეყნიერებას. ხოლო ქრისტეს ამ ყალბი ცხოვრების ნაცვლად ამ ქვეყანაზე უნდოდა ნამდვილი, ადამიანური ცხოვრების აგება და თუ მის განზრახვას, იმის ქადაგებას სრულებით ამახინჯებენ, — იმიტომ რომ ქრისტეს ავტორიტეტით ხალხი დააბრმავონ; სიბრმავე კი საჭიროა ბატონების კეთილდღეობისათვის...

ისტორიამ არ იცის არც ერთი ხანა, როცა სამღვდელოება სინათლის მომხრე და გაჭირვებული ხალხის ჭირისუფალი ყოფილიყოს"[1].

ივანე გომართელმა საქვეყნოდ ამხილა, რომ რელიგია ქადაგებს მოთმინებას, ამქვეყნად აუტანელი ტანჯვის უყოყმანოდ გადატანას; რომ იგი სამართლიანად მიიჩნევს ადამიანის ბატონობას ადამიანზე, ამქვეყნიური აუტანელი ტანჯვისათვის მშრომელ მასებს პირდება იმქვეყნად განთავისუფლებასა და ბედნიერებას.

---

[1] გაზ. „ალიონი", 1908 წ., № 2.

ამ სტატიისათვის ივ. გომართელი პასუხისგებაში მისცეს, გაზეთიც მაშინვე დახურეს.

1910 წელს ამ სასამართლო პროცესს გამოეხმაურნენ გაზეთი „ფონი“ და ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“[1].

ივ. გომართელი 1910 წ. თებერვალში გაასამართლეს და 31 მაისს დააპატიმრეს ერთი წლით

ივ. გომართლის ეს პატიმრობა მოხსენიებული აქვს გ. ლასხიშვილს თავის მემუარებში (270-ე გვ.).

მეტეხის ციხეში ყოფნა ივ. გომართელმა ტყუილად ჯდომით არ გაატარა. როგორც ჟურნ. „განათლებას“ რედაქცია გვაუწყებს, „ბ-ნი ივ. გომართელი შარშან, როდესაც მთელი წლით დატუსაღებული იყო, შეუდგა ასტრონომიის შესწავლას, რის შესახებ ქართულად არაფერი მოგვეპოვება; მან დასწერა მოკლედ და გარკვევით ვრცელი სტატია ამ საგანზე აწინდელის მეცნიერულის მეთოდისა და საუკეთესო მეცნიერთა შეხედულებების კვალობაზე. ეს ხელნაწერი მასალა მან წარუდგინა „ნაკადული“-ს რედაქციას დასასტამბავად. ყველა სიამოვნებით მიეგება ნიჭიერი ავტორის ამ ახალ ნაშრომს, რომელიც შედარებული და შემოწმებული იქნა საუკეთესო ასტრონომების ნაშრომებთან; ზოგმა ის აზრიც გამოსთქვა, რომ ცალკე წიგნად დაბეჭდილიყო[2] და პრემიად მისცემოდა „ნაკადული“-ს მკითხველებს, რადგანაც ასტრონომიის შესახებ ჩვენ აწინდელი მეცნიერების მოთხოვნილების კვალობაზე არაფერი გვაქვს; ბ-ნი გომართლის სტატია ყველასათვის გასაგებად დაწერილი საუკეთესო სახელმძღვანელო იქნებოდა სახალხო სკოლის მასწავლებელთათვის, რომელნიც მოვალენი არიან როგორც მოწაფეებს, ისე ხალხსაც გადასცენ მეცნიერთა შეხედულება ამ საჭირო საგანზე“[3].

ივ. გომართელი კარგი ორატორი გახლდათ და ხშირად გამოდიოდა ლექციებით სხვადასხვა საკითხზე, მონაწილეობას იღებდა დისპუტებსა და ლიტერატურულ გასამართლებაში; საყურადღებოა მისი სიტყვები, წარმოთქმული გიორგი საკაძის[4] და ალ. ყაზბეგის მაყვალას[5] დასაცავად გასამართლების დროს. მის გამოსვლებს აუ-

---

[1] გაზ. „ფონი“, 1910 წ., № 3, გვ. 7; ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, 1910 წ., № 22.

[2] ივ. გომართლის წიგნი „ასტრონომია“ ცალკე წიგნად გამოვიდა თბილისში 1919 წელს. ეს არის მშობლიურ ენაზე პირველად დაწერილი ასტრონომიის სახელმძღვანელო.

[3] ჟურნ. „განათლება“, 1912 წ., № 4, გვ. 309.

[4] იქვე, № 1, „გიორგი საკაძე“.

[5] გაზ. „ფონი“, 1910 წ., № 4, „მაყვალას გასამართლება“.

დიტორია ხალისით ესწრებოდა და კმაყოფილი რჩებოდა ლექციებით; მაშინდელი გაზეთები ქებით იხსენიებდნენ, აღნიშნავდნენ, რომ „ორატორმა თავისი ტკბილი ენით მოხიბლა საზოგადოება“.

ივ. გომართელმა 1909 წელს დაწერა და საჯაროდ წაიკითხა ლექცია პოეტ ვახტანგ ორბელიანზე. ამ ლექციის წაკითხვის დღე გაზეთებში რამდენიმე დღით ადრე ცხადდებოდა, მაგრამ ტექსტი არსად დაბეჭდილა მაშინდელი ცენზურის გამო. ეს ტექსტი დღემდე ჩვენთვის უცნობი იყო. ლექციის ტექსტს, ფანქრით დაწერილს, ჩვენ მივაკვლიეთ[1]. ავტორს სათაური მიუცია: „სარწმუნოება სამშობლოს სიყვარულისა“. ამ ლექციის წინაალმდეგ მაშინვე სასტიკად გაილაშქრა გაზ. „მერცხლის“ რედაქციამ, მაგრამ, როგორც თვით ივ. გომართელი წერს: „ვ. ორბელიანის პოეზიის შესახებ ლექციის წაკითხვის დროს გავბედე და ვსთქვი: სამშობლოს სიყვარული უდიდესი გრძნობაა და ამ გრძნობას ყველა უნდა ვეფერებოდეთ-მეთქი. რამდენიც კი შეიძლება შემამკეს ამის გულისათვის“[2].

როდესაც წ.-კ. გამავრცელებელმა საზოგადოებამ ნება დართო ექიმ მიხ. გედევანიშვილს ილ. ჭავჭავაძის თხზულებები გამოეცა, კომისიის წევრებად აირჩიეს ივ. გომართელი. კ. აბაშიძე, გრ. ყიფშიძე, იაკ. ფანცხავა; გ. გედევანიშვილის გამოცემულ ილია ჭავჭავაძის პირველ ტომს ივ. გომართელმა უძღვნა შესანიშნავი სტატია[3].

იოსებ იმედაშვილის ჟურნალ „თეატრი და ცხოვრების“ დაარსების დღიდან (1910 წ.) დახურვამდე (1926 წ.) ივ. გომართელი მისი უახლოესი თანამშრომელი იყო.

1917 წელს ი. იმედაშვილის მიერ ახლად დაარსებულ გაზ. „ხალხის ერთობის“ (შემდეგ გადაკეთებული „ხალხის თავისუფლება“) ყოველ ნომერში იბეჭდება ივ. გომართლის წერილები.

1919 წლის 9 ნოემბერს პოეტ ვ. რუხაძის ბინაზე შესდგა ქართველ მწერალთა ერთი ჯგუფის კრება ვ. რუხაძის თავმჯდომარეობით და ამ კრებამ დაადგინა „შევიდეს ქართველ მწერალთა საერთო კავშირში, როგორც განსაკუთრებული ჯგუფი“. და ამ ჯგუფმა დაიწყო გამოცემა ყოველთვიური სამხატვრო-სალიტერატურო ჟურნალისა „ცისარტყელა“, რომლის რედკოლეგიაში არჩეული იქნენ: ივ. გომართელი, ა. აბაშელი, ობოლი მუშა და სხვ. ფაქტიურად ამ

---

1 ივ. გომართლის ნათესავის — ქეთევან ციციშვილ-მირიანაშვილის ოჯახში. რისთვისაც მადლობას მოვახსენებთ.

2 გაზ. „თემი“, 1913 წ., № 150. ივ. გომართელი: „რისთვის?“.

3 გაზ. „ჩვენი დროება“, 1913 წ., № 20. „შთაბეჭდილებანი“.

ჟურნალის რედაქტორი და კრიტიკის განყოფილების ხელმძღვანელი ივ. გომართელი იყო.

ივ. გომართელი პროგრესულად მოაზროვნე ქართველი ინტელიგენციის იმ ჯგუფს მიეკუთვნებოდა, რომელიც სოციალისტური რევოლუციის შემდეგ მთელი თავისი შეგნებით საბჭოთა საქართველოს აღორძინების ფერხულში ჩაება და თავის უშრეტ ენერგიას, ცოდნას და გამოცდილებას, სიტყვით თუ კალმით, განთავისუფლებული სამშობლოს კეთილდღეობის საქმეს ახმარდა.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მან 11 წიგნი და 150-ზე მეტი სტატია გამოაქვეყნა. მათ შორის აღსანიშნავია რომანი-ქრონიკა „სამი დროება", „ტვინი და სული" (მეორე გამოცემა), „გლეხის კარაბადინი", ანტირელიგიური მოთხრობა „ნიგვზიერთის ღვთისმშობელი". ევროპაში მოგზაურობის შედეგად დაბეჭდილი „შთაბეჭდილებანი" (მოსკოვი-ბერლინი-პარიზი), „მაქსიმ გორკის ცხოვრება და შემოქმედება" და სხვ. სტატიები: მ. ჯავახიშვილის მოთხრობების პირველი ტომის წინასიტყვაობა, „ეაყოს ხიზნები და ჩვენი ცხოვრება", „ილ. ჭავჭავაძე და მისი მხატვრული შემოქმედება", „ალ. ყაზბეგი და მისი ძიება", ლიტერატურულ-კრიტიკული და თეატრალური რეცენზიები, წერილები მაშინდელი ახალგაზრდა პროლეტარული პოეტების: ა. მაშაშვილის, ს. ეულის, ი. ვაკელის და სხვ. შემოქმედებაზე, ოციან წლებში ჩვენს ლიტერატურათმცოდნეობაში წამოჭრილ სადისკუსიო საკითხებზე — ფორმისა და შინაარსის ურთიერთდამოკიდებულებაზე, პროლეტარული ხელოვნების რაობაზე, მედიცინის, პოლიტიკის და სხვა საკითხებზე.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებში ივ. გომართელი აქტიური თანამშრომელია გაზ. „მიწის მუშის", სადაც 1923 წლიდან თითქმის ყოველ ნომერში ათავსებს სტატიებს სხვადასხვა საკითხზე, პოპულარულ-სამეცნიერო წერილებს, განსაკუთრებით გლეხობისათვის წერს მედიცინის საკითხებზე, ააშკარავებს ხუცებისა და ეკლესიის მაქინაციებს.

„ჩვენ ყველა უნდა შეეებრძოლოთ ყოველგვარ მტერს — შინაურსაც, გარეულსაც, რომელიც კი საბჭოთა წყობილების წინააღმდეგ ააპირებს წამოსვლას, — წერდა ივ. გომართელი, — ჩვენ უნდა დავუმტკიცოთ ხელისუფლებას, რომ მას არა ჰქონდეს მთელი ქართველი ერის ასეთს გადაწყვეტილებასა და განწყობილებაში არავითარი ეჭვი.

ბრმა უნდა იყოს ადამიანი, რომ ვერ დაინახოს, რა დიდი საქმე კეთდება ჩვენში: ელექტრონის სადგურები, აბრეშუმის, ბამბის, მაუდის, გრეხილ-ავეჯეულობის ქარხნები, სამზადისი ქაღალდის ქარ-

ნის ასაგებად, ჭარბლის მოსაყვანად, ჭაობების ამოშრობა ყოთსა და ქობულეთში, სარწყავი არხების გაყვანა და სხვა.

ყოველივე ეს დიდი ეროვნული საქმეა თუ არა, დანარჩენს რომ თავი დავანებოთ?

როგორც ჰხედავთ, ბოლშევიზმს მარტო სამოქალაქო ომი კი არ შესძლებია, დიდი საქმეების კეთების უნარი და ძალღონეც ჰქონია"[1].

ივ. გომართელი თავის შრომებში ფილოსოფიის ზოგად პრობლემებსაც ეხება და მატერიალიზმის პრინციპებზე დგას, მას დიდი ღვაწლი მიუძღვის იმ იდეოლოგიურ დისკუსიებშიც, ქართველი მარქსისტები რომ აწარმოებდნენ სხვა მიმდინარეობათა წინააღმდეგ.

დაწყებული 1898 წლიდან მეოცე საუკუნის 30-იან წლებამდე, შეიძლება გადაჭრით ითქვას, რომ საქართველოში არ დარჩენილა საზოგადოებრივი ცხოვრების არც ერთი უბანი, სადაც ივ. გომართელს თავისი სიტყვა არ ეთქვას და შესამჩნევი კვალი არ დაემჩნიოს.

ივ. გომართელმა დღიდან საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოავლისა თავის დეევიზად გაიხადა სამშობლოს. მშრომელი ხალხის უანგარო სამსახური. მას მუდამ აღელვებდა საქართველოსა და ქართველი ხალხის ბედი.

ივ. გომართელის დამსახურება მეტად დიდია ქართული ლიტერატურული კრიტიკის, ხელოვნების, ესთეტიკის სფეროში, მის წერილებსა და ნაშრომებს ქართველი მკითხველი მუდამ წაიკითხავს.

ივ. გომართელი გარდაიცვალა 1938 წლის 19 აპრილს, ღამის 3 საათზე უეცრად, გულის შეტევით. დაკაფლავებულია ვაკის სასაფლაოზე.

---

1 „ახალი გზა", 1927 წ., № 3, გვ. 10.

ივანე გომართლის ნაწერები

(არასრული სია)

1896 წ.

1. ხტუნია ციყვუნია (ცალკე წიგნად), გრ. ტატიშვილის გრაკიურებით.
2. გულთმისანი. ნამდვილი ამბავი (თარგმანი), ეურნ. „ჯეჯილი", № 1.
3. პეპელას თავგადასავალი. მოთხრობა (თარგმანი), ეურნ. „ჯეჯილი", № 3.
4. მესკეა. მოთხრობა, ეურნ. „ჯეჯილი", № 6.
5. უბრალო ამბავი. მოთხრობა (თარგმანი), ეურნ. „ჯეჯილი", № 7.
6. გიგლას ფისუა. ლექსი, ეურნ. „ჯეჯილი", № 8.
7. ნათლიმამას ძღვენი. მოთხრობა, ეურნ. „ჯეჯილი", № 10.
8. გლეხის ბიჭუნა. ლექსი, ეურნ. „ჯეჯილი", № 10.

1897 წ.

9. ისტორია აღმოსაელეთისა (ცალკე წიგნად).
10. წისქვილი. მოთხრობა, ეურნ. „ჯეჯილი", № 2.
11. გულკეთილი ლევანი. მოთხრობა, ეურნ. „ჯეჯილი", № 4.
12. მოიპარა. ამბავი (თარგმანი), ეურნ. „ჯეჯილი", № 5.
13. პაპუა და მერცხალა (გადმოკეთებული დიმიტრიევის მოთხრობიდან). ეურნ. „ჯეჯილი", № 6.
14. მერცხლების ბუდე. მოთხრობა (თარგმ. ფრანგულიდან), ეურნ. „ჯეჯილი", №№ 7, 8.
15. ობოლი. მოთხრობა, ეურნ. „ჯეჯილი", №№ 7, 8, 9.
16. პაპია გაჯალდა! ამბავი, ეურნ. „ჯეჯილი", № 9.
17. გარიბალდის ცხოვრება. ეურნ. „ჯეჯილი", № 10.
18. კორესპონდენცია. მოსკოვი. ქართული საღამო. გაზეთი „ცნობის ფურცელი", № 129.

1898 წ.

19. თხზულებანი მამია გურიელისა. გაზეთი „კვალი", №№ 31—37.
20. „ციხკარა" ან. ფურცელაძისა, გაზეთი „კვალი", №№ 41, 43.

21. „ბუნება და ცხოვრება“ ილ. ალხაზიშვილისა, გაზეთი „კვალი“, №№ 51, 52.
22. ოცნება და ცხოვრება („მრეველში“ დ. კლდიაშვილისა), გაზეთი „ივერია“, № 63.
23. კაკის მეფობა. მოთხრობა, ეურნ. „ჯეჯილი“, № 2.
24. ახალი ქვეყანა (ქრისტეფორე კოლუმბი), ეურნ. „ჯეჯილი“, № 2, 3.
25. ერთი დღის დაია. მოთხრობა (თარგმანი), ეურნ. „ჯეჯილი“, № 3.
26. ქალაქელი ძამია. მოთხრობა, ეურნ. „ჯეჯილი“, №№ 3, 5.
27. ვისი ბრალი იყო? მოთხრობა, ეურნ. „ჯეჯილი“, № 6.
28. პატარა პუმის თავგადასავალი. მოთხრობა (თარგმანი), ეურ. „ჯეჯილი“, №№ 7—8.
29. ფიზიოლოგიური წერილები, ეურნ. „ჯეჯილი“, №№ 2, 3, 11.

1899 წ.

30. ქართული სიტყვაკაზმული მწერლობა 1898 წ., გაზეთი „კვალი“, №№ 1, 2, 5—7.
31. შარშანდელი „ჯეჯილის“ კრიტიკოსი, გაზეთი „კვალი“, №№ 14, 16, 17.
32. კრიტიკული შენიშვნები: „ამოდის, ნათდება“ და სხვა მოთხრობები ვაჟა-ფშაველასი, გაზეთი „კვალი“, № 28.
33. პასუხის პასუხი (ბოცვაძეს), გაზეთი „კვალი“, №№ 34, 35.
34. ხალხის გულის მესაიდუმლე (თხზულებანი ეგ. ნინოშვილისა), გაზეთი „კვალი“; №№ 29, 30, 32, 33, 36, 38—42, 44, 45, 47—51.
35. ბ-ნ ხომლელის. შენიშვნა (ლიტერატურული კრიტიკა და პლაგიატობა), გაზეთი „კვალი“, № 52.
36. იაქშიჩი — ჩუმი დარაჯი (სერბული მოთხრობა. თარგმანი), ეურნ. „მოამბე“, № 1.
37. პესტალოცი. ეურნ. „ჯეჯილი“, №№ 7, 8.

1900 წ.

38. ორმოცდა ათი წელი ქართული თეატრისა, გაზეთი „კვალი“, №№ 1, 2.
39. გ. წერეთელი, როგორც ბელეტრისტი, გაზეთი „კვალი“, № 3.
40. ჩვენი სიტყვაკაზმული ლიტერატურა 1899 წ., გაზეთი „კვალი“, № 5, 7, 9.
41. ჯავახეთი და ჯავახნი, გაზეთი „კვალი“, №№ 21, 22, 25, 27, 28.
42. ახალი გზა („ქამუშაძის გაჭირვება“ დ. კლდიაშვილისა), გაზეთი „კვალი“, №№ 29, 30, 32.
43. ხელოვნება და მისი მიზანი, გაზეთი „კვალი“, №№ 33, 34, 36, 38, 39, 40, 43.

1901 წ.

44. 1900 წლის სიტყვაკაზმული მწერლობა, გაზეთი „კვალი“, №№ 1, 2, 6.
45. რ. ერისთავი, როგორც საერო პოეტი, გაზეთი „კვალი“, № 9.
46. ქართული ლიტერატურა მე-19 საუკ., გაზეთი „კვალი“, №№ 15—19.
47. ქართული საერო პოეზია. რაფიელ ერისთავი, გაზეთი „კვალი“, №№ 20, 21, 23, 29.

48. რუსული პოეზიის უმთავრესი მომენტები XIX საუკუნეში, გაზეთი „კვალი“, №№ 30—35.
49. ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრება გუშინ და დღეს, გაზეთი „კვალი“, №№ 36, 37 (გაგრძელება აღარ მოყვა).
50. ზნეობრივი კითხვები, გაზეთი „კვალი“, №№ 39—43.
51. ბაქტერიები ანუ ბაცილები, ჟურნ. „ჯეჯილი“, №№ 3—8.
52. უწინდელი ცხოველები, ჟურნ. „ჯეჯილი“, №№ 9, 10.
53. მცენარე და მისი ცხოვრება, ჟურნ. „ჯეჯილი“, №№ 11, 12.
54. Армяно-Грузинские отношения, газета «Новое Обозрение», № 5724.
55. Еще об Армяно-Грузинских отношениях, газета «Новое Обозрение», № 5747.
56. Кое-что об интеллигенции, газета «Новое Обозрение», № 5767.
57. Критические заметки. «Кавказский Вестник», № V—VI.
58. Критические заметки (Первый том произведений Ш. Арагвиспирели), газета «Новое Обозрение», № 5791.
59. Критические заметки. (Стихотворения И. Евдошвили и Гр. Абашидзе), газета «Новое Обозрение», № 5856, 5859.

1902 წ.

60. სიტყვაკაზმული მწერლობა 1901 წელს, გაზეთი „კვალი“, №№ 1—4.
61. თავისუფლება ნებისა თუ აუცილებლობა? გაზეთი „კვალი“, №№ 15—19.
62. დავ. კლდიაშვილის მოთხრობანი, გაზეთი „კვალი“, №№ 23, 24.
63. ილ. ჭავჭავაძე და მისი პოეზია, გაზეთი „კვალი“, № 36.
64. მაქსიმ გორკი (კრიტიკულ-ბიოგრაფიული წერილი, წიგნში: მაქსიმ გორკის მოთხრობები. წიგნი პირველი, თარგმანი ვანო გიუნაშვილისა), გვ. 7—22.
65. შილერის პოეზიის ძირითადი თვისებები, გაზეთი „კვალი“, №№ 41—45, 47, 51, 52.
66. ბუნება და მისი ცხოვრება, ჟურნ. „ჯეჯილი“, № 1.
67. მზე და მისი მნიშვნელობა დედამიწისათვის, ჟურნ. „ჯეჯილი“, №2.

1903 წ.

68. შილერის პოეზიის ძირითადი თვისებები (დასასრული), გაზეთი „კვალი“, № 1.
69. შილერის პოეზიის ძირითადი თვისებები (ცალკე წიგნად), ქუთაისი, გ. მაღრაძის გამოცემა.
70. ღია წერილი ბ-ნ „სიტყვას“, გაზეთი „კვალი“, № 9.
71. დედამიწის ისტორია, ჟურნ. „ჯეჯილი“, № 3.

1904 წ.

72. ხალხის გულის მესაიდუმლე (თხზ. ეგ. ნინოშვილისა), (წიგნში: ეგ. ნინო-

შვილი, თბილისი. 1904 წ., ს. თავართქილაძის გამოცემის წინასიტყვაობა), გვ. 31—107.

73. ჯუზეპე გარიბალდი (ცალკე წიგნად), თბილისი.

74. შილერის პოეზიის ძირითადი თვისებები (ცალკე წიგნად), მეორე გამოცემა, თბილისი.

1905 წ.

75. ქოხში. სცენები სოფლის ცხოვრებიდან, „ივერიის“ ბიბლიოთეკა, პრემია № 4, 1905 წ., გვ. 5—112.

76. წამხდარი სისხლი, კომედია 4 მოქმედებად, „ივერიის“ ბიბლიოთეკა, პრემია № 8, 1905 წ., გვ. 5—106.

77. დღევანდელი სიტყვაკაზმული მწერლობის როლი და მნიშვნელობა, ჟურნალი „მოგზაური“, გვ. 41—43.

78. საუბარი, გაზეთი „ივერია“, № 114.

79. პასუხის მაგიერ, გაზეთი „ივერია“, № 118.

80. რა გზას უნდა დაადგეს სამღვდელოება? გაზეთი „ივერია“, № 130.

81. რა არის კრიტიკა, გაზეთი „ივერია“, №№ 128, 132.

82. ხელოვნური ნაწარმოების კრიტიკა, გაზეთი „ივერია“, № 133.

83. მიწის განსაზოგადოებრიობა, გაზეთი „ივერია“, № 136.

84. დღევანდელი მოძრაობა და სხვადასხვა კლასთა მისწრაფებანი, გაზეთი „ივერია“, № 140.

85. მუშათა კლასი და ხალხი, გაზეთი „ივერია“, № 145.

86. ერთობა, გაზეთი „ივერია“, № 146.

87. წვრილი მესაკუთრე და სოციალიზმი, გაზეთი „ივერია“, № 152.

88. კიდევ აგრარული საკითხის შესახებ, გაზეთი „ივერია“, № 154.

89. პროლეტარიატი და გლეხობა, გაზეთი „ივერია“, № 157.

90. გლეხობა და საწარმოო იარაღთა განსაზოგადოებრიობა, გაზეთი „ივერია“, № 160.

91. გლეხობა და სოციალ-ეკონომიური იდეალი, გაზეთი „ივერია“, № 161.

92. აუცილებელი გზა, გაზეთი „ივერია“, № 164 (მოწინავე წერილი).

93. აუცილებელი გზა, გაზეთი „ივერია“, № 167.

94. პასუხი დეკანოზ ღამბაშიძეს, გაზეთი „ივერია“, № 167.

95. წერილი რედაქციის მიმართ, გაზეთი „ცნობის ფურცელი“, № 2820.

96. ნ. ბარათაშვილი, გაზეთი „ივერია“, № 184.

97. შილერი. „საქართველოს კალენდარი“, 1905 წ., გვ. 299.

98. წერილები გლეხებისადმი, ჟურნ. „მოგზაური“, № 16, გვ. 253—254.

99. არა თუ ასეთი წვრილმანი, ჟურნ. „მოგზაური“, № 28, გვ. 455.

100. წერილი რედაქციის მიმართ, ჟურნ. „მოგზაური“, № 28.

1906 წ.

101. ეროვნული საკითხი (ცალკე წიგნად).

102. Государственная Дума (Стенограф. отчет СПб телеграф. агенства). Заседание 15 июня. Гомартели. газета «Тифлисский листок», № 133.

1907 წ.

103. ნაწყვეტი წარსულიდან, გაზეთი „ცისკარი“, №№ 1—3, 6, 7, 9, 11.
104. ექიმთან (ოდესეული ერთ მოქმედებად), ჟურნ. „ნიშადური“, №№ 7—9.
105. ჯაშუში (სამ მოქმედებიანი დრამა), გაზეთი „ჩვენი გზა“, №№ 21, 23, 25—27, 29—31.
106. წერილი რედაქციის მიმართ, გაზეთი „ჩვენი გზა“, № 31.

1908 წ.

107. ტვინი და სული (ცალკე წიგნად).
108. ჩაგრულთა პოეტი. წიგნში: ვ. რუხაძე, „ცისკარი“ (ლექსები), მესამე შესწორებული გამოცემა. ქუთაისი, 1908 წ., გვ. 1—7.
109. ქართული სცენა, გაზეთი „ფასკუნჯი“, № 2.
110. უმეცრების რახა-რუხი, გაზეთი „ჩვენი კვალი“, №№ 1, 2.
111. სამეცნიერო საუბარი, გაზეთი „ჩვენი კვალი“, №№ 1, 2.
112. ილ. ჭავჭავაძის პოეზიის ერთი მხარე, გაზეთი „ჩვენი კვალი“, № 15.
113. როგორ გააჩინა ადამიანმა ღმერთი, გაზეთი „ალიონი“, №№ 1, 2.
114. სამეცნიერო საუბარი, გაზეთი „ჩვენი ქვეყანა“, № 1.
115. ბლანკის ცხოვრება და მოღვაწეობა, გაზეთი „ჩვენი ქვეყანა“, №№ 3, 4 (გაგრძელება აღარ მოყვა).
116. ეპისკოფოსის სიზმარი, ჟურნ. „ეშმაკის მათრახი“, №№ 21—25, 27.
117. უტოპისტები და მარქსის მოძღვრება, გაზეთი „მნათობი“, №№ 1, 2 (გაგრძელება აღარ მოყვა).
118. ლევ ტოლსტოი (მისი იუბილეს გამო), გაზეთი „ეკალი“, № 5.
119. საფრანგეთის სახელმწიფო და საზოგადოებრივი წყობილება, ჟურნ. „ჯეჯილი“, №№ 1—5.
120. სახელმწიფო წყობილება ინგლისში, ჟურნ. „ჯეჯილი“, № 6.
121. სახელმწიფო წყობილება ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატებში, ჟურნ. „ჯეჯილი“, №№ 7—9.
122. საჩინო გენძელაძე, მოთხრობა, ჟურნ. „ჯეჯილი“, №№ 10, 11.
123. ამხანაგები. მოთხრობა, ჟურნ. „ჯეჯილი“, № 12.
124. განკითხვის დღე. პიესა ოთხ მოქმედებად. სალიტერატურო კრებული „ნიავი“, გვ. 43—140.
125. წერილები ფიზიოლოგიიდან, „ნაკადული“, საყმაწ. ჟურნ., №№ 1, 3, 4, 6, 7.

1909 წ.

126. როგორ მოიპოვეს ვახტანგმა და თამრომ სრული ჯანის სიმთელე და შეიძინეს განეთარება გონებისა და ზნეობისა. წიგნში: ი. გოგებაშვილი, ბუნების კარი, მეთვრამეტე გამოცემა, 1909 წ., გვ. 391—408, და შემდეგ ყველა გამოცემაში იბეჭდება.
127. სარწმუნოება სამშობლოს სიყვარულისა (წაკითხული ლექცია ვ. ორბელიანზე). იბეჭდება პირველად.
128. სალიტერატურო შენიშვნები, ჟურნ. „სხივი“, №№ 1, 2, 3, ხოლო IV თავი დაიბეჭდა ამავე ჟურნალის 1910 წ., № 4.

129. მოწინავე, გაზეთი „ფონი“, №№ 10, 11, 12, 14.
130. ცოტა რამ ქალთა ცხოვრებიდან, ალმანახი „ჩვენი გუშაგი“, № 2.
131. სოფლად, ალმანახი „ახალი გუშაგი“, № 1.
132. წერილი მეგობართან, ალმანახი „ახალი გუშაგი“, № 2.
133. ვანოს მურია. ჟურნ. „ჯეჯილი“, № 2.
134. სანდრო და ზურა. ჟურნ. „ჯეჯილი“, № 3.

1910 წ.

135. ხალხური ანდაზები და გამოცემები (არ დაბეჭდილა. დაცულია საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურულ მუზეუმში, ფონდი № 2431-ბ).
136. ჩაგრულთა პოეტი. წიგნში: ვ. რუხაძე, თაიგული (ლექსები), ბათუმი, 1910 წ., გვ. 1—6.
137. ნ. ბარათაშვილის პიროვნების და პოეზიის დახასიათება. წიგნში: ნ. ბარათაშვილის ლექსები და წერილები, თბ., 1910 წ., გვ. 20—32.
138. მაყვალას გასამართლება, დამცველის ივ. გომართლის სიტყვა, გაზეთი „ფონი“, № 4.
139. ლ. ანდრეევი, ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, № 1.
140. დრამატული გამგეობის წევრი (ვოდევილი), ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, №№ 11—13.
141. მუსიკის მნიშვნელობა, ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, № 19.
142. პატარა ფელეტონი, ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, № 21.
143. საუბარი მეცნიერებიდან, ჟურნ. „ჯეჯილი“, № 2.

1911 წ.

144. ადამიანის ნება და ზნეობა (ცალკე წიგნად).
145. დავ. კლდიაშვილის მოთხრობანი. წიგნში: დ. კლდიაშვილი. მოთხრობები, ტ. 1, ბათუმი, 1911 წ., გვ. 27—71.

1912 წ.

146. გიორგი საკაძე (სიტყვა, წარმოთქმული სახალხო სახლში გიორგი საკაძის გასამართლებაზე), ჟურნ. „განათლება“, № 1, გვ. 60—66.
147. ოჯახის ზნეობრივი მხარე, ჟურნ. „განათლება“, № 5, გვ. 353—359.
148. შთაბეჭდილებანი. ბ. ახნაზაროვის ლექსები და სცენები, გაზეთი „თემი“, № 66.

1913 წ.

149. ნაფიქრი. გაზეთი „ხმა კახეთისა“, 1913 წ., №№ 21, 22.
150. მზის მგოსანი. წიგნში: ს. აბაშელი, მზის სიცილი, თბ., 1913 წ., გვ. 8—13.
151. ჭალადიდელის პოეზია, წიგნში: თხზულებანი გ. ქოჩაქიძისა (ჭალადიდელის), ქუთაისი, 1913 წ., გვ. 1—6.
152. ნაფიქრი, გაზეთი „ჩვენი დროება“, № 7.
153. ვ. ი. რცხილაძე, მცენარენი და ცხოველნი, გაზეთი „ჩვენი დროება“, № 9.
154. შთაბეჭდილებანი, გაზეთი „ჩვენი დროება“, № 20.
155. ალ. მირიანაშვილი. ივავ-არაკნი, გაზეთი „ჩვენი დროება“, № 20.
156. სქესობრივი საკითხი, ჟურნ. „განათლება“, №№ 1, 3, 4, 6.

157. სიმართლის აღდგენა, გაზეთი „თემი“, № 149.
158. რისთვის? გაზეთი „თემი“, № 150.
159. ჩემი პასუხი, გაზეთი „თემი“, № 151.
160. თათუშა (სტუდენტის ნაამბობი), გაზეთი „თემი“, № 151.
161. არამზადა (მოთხრობა), გაზეთი „თემი“, № 152.
162. კოტიკი (მოთხრობა), გაზეთი „თემი“, № 153.
163. იმავე საგანზე, გაზეთი „თემი“, № 155.

1914 წ.

164. ასტრონომია (ცალკე წიგნად), თბილისი.
165. თამბაქო და მაგარი სასმელები (ცალკე წიგნად), ქუთაისი.
166. სქესობრივი საკითხი და ბავშვი (ცალკე წიგნად), ფოთი.
167. კონსტანტინე დიმიტრის ძე ყიფიანი (მისი სასცენო და სალიტერატურო მოღვაწეობის იუბილეს სახსოვრად 1868—1914 წ.) (ცალკე წიგნად).
168. სევდის მგოსანი. წიგნში: გ. ტაბიძე, ლექსები, ტ. I, ქუთაისი, 1914 წ., გვ. 5—11.
169. ქართველი ქალის დანიშნულება, ჟურნ. „განათლება“, № 2.
170. პატარა წერილი, ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, № 1.
171. დაწყევლილი დღე (მოთხრობა), ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, № 2.
172. ჩვენი მწერლობა და მთარგმნელნი, ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, № 4.
173. სადღეისო, ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, № 5.
174. ნაწყვეტი (მოთხრობა), ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, № 8.
175. ქართული თეატრის მოკლე ისტორია, ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, № 12.
176. იასონის ოინები (ვოდევილი), ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, № 13—17.
177. პატარა წერილები, ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, № 32.
178. სიყვარული (მოთხრობა), ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, №№ 33, 34.
179. ნიკორას სიკვდილი, ჟურნ. „ჯეჯილი“, № 1.

1915 წ.

180. აკაკი. წიგნში: „ორი სიტყვა“, გვ. 3—13.
181. აკაკის ავადმყოფობის გამო, ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, № 3.
182. მემკვიდრეობა (მოთხრობა), ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, № 12.
183. კონსილიუმი (მოთხრობა), ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, №№ 14. 15.
184. აკაკი (გარდაცვალების გამო), ჟურნ. „ჯეჯილი“, № 2.
185. შირაქი. ჟურნ. „ჯეჯილი“, №№ 1—5.
186. ჩვენი მოღვაწე ქალები — ნინო ბეჟანის ასული ყიფიანისა. ჟურნ. „განათლება“, № 4.

1916 წ.

187. ზამთარი. ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, №№ 4—6.
188. აკაკი უკვდავია და ქართველთა სიამაყე, ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, № 5.
189. მოგზაურობა სისხლის წვეთისა, ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, № 8.

190. ირ. ევდოშვილი. ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, № 9.
191. უბრალო საუბარი უბრალო მკითხველთან, ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, №№ 10, 11, 14, 15, 17, 20, 22, 23.
192. თამარ მეფე და ქართველი ქალი, ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, № 18.
193. ეროდიონი, ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, № 19.
194. ერთობა, ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, № 19.
195. ლადო დარჩიაშვილი, ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, № 21.
196. ქართველი გრიგორიანები, ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, № 30.
197. მარო და ვარლამი, ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, № 32.
198. სოფლად, ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, № 37.
199. სოფელში, ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, № 38.
200. ქართველი ისრაელები, ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, № 39.
201. სოფლის დაკვირვებიდან, ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, № 41.
202. ჩვენი ვალიკო, ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, № 42.
203. კრება. ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, № 43.
204. ვლადიმერ სტაროსელსკი, ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, № 44.
205. ნ. ბარათაშვილი, ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, № 47.
206. ეროვნული თვალსაზრისი, ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, № 49.
207. სადღეისო, ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, № 51.
208. თეატრი, ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, № 50.
209. ქრისტეს შობა, ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, № 52.

1917 წ.

210. ორი მეგობარი, ჟურ. „ჯეჯილი“, № 1.
211. პატარა ქურდი, ჟურნ. „ნაკადული“, № 4.
212. საახალწლო, ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, № 1.
213. ს. ფაშალიშვილი, ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, №4.
214. ალექსი ჭიჭინაძე, ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, № 6.
215. ჩემი მოგონება (ალ. ჭიჭინაძე), ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“. № 6.
216. ახალი პოეზია (პოეტი ქალის სალომე ხალიანის შესახებ), ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, № 7.
217. პირველი კლასის კუპე, ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, №№ 9, 10.
218. ქართველ დემოკრატიას, ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, № 11.
219. სადღეისო, ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, № 11.
220. სადღეისო, ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, № 12.
221. ჩვენი რწმენა, ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, № 13.
222. უბრალო საუბარი, ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, № 13.
223. რვა საათი სამუშაო დღე, ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, № 17.
224. ომი და ზავი, ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, № 19.
225. სადღეისო, ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, № 20.
226. საამდროო საუბარი, ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, № 22.
227. სადღეისო საუბარი, ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, № 23.

1918 წ.

228. საერთო მდგომარეობა, გაზეთი „ალიონი“, № 21.
229. ომი და ზავი, გაზეთი „ალიონი“, № 18.

230. მწარე სინამდვილე, გაზეთი „ალიონი“, № 25.
231. გიორგი პლეხანოვი, გაზეთი „ალიონი“, № 28.
232. ჩვენი მდგომარეობა, გაზეთი „ალიონი“, №№ 29, 31, 33.
233. სოფელში, გაზეთი „ალიონი“, № 30.

1919 წ.

234. ვ. რუხაძის პოეზია, ჟურნ. „ცისარტყელა“, № 1.

1920 წ.

235. ახალი გზა („ქამუშაძის გაჭირვება“ დ. კლდიაშვილისა), წიგნში: დ. კლდიაშვილის მოთხრობები, ტ. I, თბ., 1920 წ., გვ. 27—73.
236. სიტყვაკაზმული მწერლობა 1919 წელს, გაზეთი „ერთობა“, №№ 1, 2.
237. სალიტერატურო შენიშვნები, გაზეთი „ერთობა“, № 62.
238. დავით კლდიაშვილის შემოქმედება, გაზეთი „ერთობა“, №№ 41, 44.
239. წერილები ხელოვნებაზე, ჟურნ. „ცისარტყელა“, № 4.
240. გ. ქუჩიშვილის პოეზია, ჟურნ. „ცისარტყელა“, № 9. გვ. 79—88.
241. კ. ნადირაძე, ჟურნ. „ცისარტყელა“, № 9, გვ. 89—96.
242. ი. გრიშაშვილის „საიათნოვა“, კრებული „ლილა“, № 2.
243. ობოლი მუშის პოეზია. წიგნში: ობოლი მუშა. ლექსები.
244. ათი წელი უანგარო მოღვაწეობისა, ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, № 13.
245. ხალხის გულის მესაიდუმლე (თხზულებანი ეგ. ნინოშვილისა), წიგნში ეგ. ნინოშვილი. თხზულებანი, ტ. 2, თბ., 1920 წ., გვ. 5—102.
246. ი. ირემაშვილი, წიგნში: ი. ირემაშვილი, რევოლუციის ტალღები. ისტორიული პიესა. თბ., 1920 წ., გვ. 3—5.
247. საუბარი სოფლის ხალხთან, გაზეთი „ახალი სხივი“, № 1.

1921 წ.

248. გასული წლის (1920) სიტყვაკაზმული მწერლობა. ჟურნ. „ცისარტყელა“, № 14.

1922 წ.

249. საქართველო და პოეზია, ჟურნ. „ხომალდი“, №№ 4—5.
250. ნოე ჩხიკვაძე, წიგნში: ნ. ჩხიკვაძე. ლექსები, თბ., 1922 წ., გვ. 9—12.

1923 წ.

251. პოეზიის გარშემო, ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, № 1.
252. მუშა მგოსანი, ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, № 2.
253. იშვიათი დღესასწაული, გაზეთი „ლომისი“, № 1.
254. პოეზიის წლისთავი, გაზეთი „პოეზიის დღე“, № 4.
255. ტკბილი ყმა (ვ. სარაჯიშვილი), გაზეთი „ლომისი“, № 34.
256. „ანთებული ხეივანი“, გაზეთი „ლომისი“, № 31.
257. სახალხო დრამატიული დასის რეპერტუარი, საიუბილეო კრებულში: „სახალხო თეატრი“, 1893—1932, გვ. 18—25.
258. ეგნატე ნინოშვილი, გაზეთი „მიწის მუშა“, № 141.
259. ნაძრახი ღელე (მოთხრობა). გაზეთი „მიწის მუშა“, № 190.
260. დღეობა (მოთხრობა), გაზეთი „მიწის მუშა“, № 193.

261. ქეთო (მოთხრობა), გაზეთი „მიწის მუშა“, №№ 217.
262. წითელი ჯარის ბანაკში (მოთხრობა), გაზეთი „მიწის მუშა“, № 221.
263. დათიკოს ბატკანი (მოთხრობა), გაზეთი „მიწის მუშა“, № № 230, 231.
264. ტვინი და სული (ქრისტე, სული, საიქიო, ღმერთი), გაზეთი „მიწის მუშა“, № № 232, 238.
265. ნიგვზიეთის ღვთისმშობელი (ანტირელიგიური მოთხრობა), გაზეთი „მიწის მუშა“, №№ 244, 247, 249, 251, 258, 260, 264, 267, 269.

1924 წ.

266. ნიგვზიეთის ღვთისმშობელი (ცალკე წიგნად).
267. გრიშაშვილის პროფილი, კრებული „ლეილა“, № 3.
268. მ. ჯავახიშვილი-მ. ადამაშვილი, წიგნში: მ. ჯავახიშვილი-მ. ადამაშვილი, მოთხრობები, თბ., ტ. 1, 1924.
269. ალ. ყაზბეგი და მისი ძიება, წიგნში: ალ. ყაზბეგი, რჩეული მოთხრობები, ტ. 1, გვ. 11—20.
270. ტასო აბაშიძე, გაზეთი „ქართული სიტყვა“, № 10.
271. ვაშა ტასოს! გაზეთი „ქართული სიტყვა“, № 13.
272. ჩვენი თეატრის გარშემო, გაზეთი „ქართული სიტყვა“, № 14.
273. შორი ნათელი, გაზეთი „ქართული სიტყვა“, № 16.
274. ქართული ჟურნალი „კავკასიონი“, № 1—2, გაზეთი „ქართული სიტყვა“, № 20.
275. სახალხო სცენის გოლიათი, გაზეთი „ქართული სიტყვა“, № 20.
276. ჟურნ. „კავკასიონი“, № 3—4 (რეცენზია), გაზეთი „ქართული სიტყვა“, № 27.
277. ვიქტორ ზამბახიძე (მოთხრობა), გაზეთი „მიწის მუშა“, № № 311, 312, 315, 316, 319, 320, 323, 325, 506, 508, 510, 512, 514, 516, 518, 520, 523, 525.
278. ორი იანვარი და ჩვენი თეატრი, ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, № 1.
279. პოეზიის ახალ გზაზე, ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, № 2.
280. კრიტიკული შენიშვნები. ივ. ელიავშვილის „სამშობლო ბუნების სარკე“, ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, № 3.
281. განვლილი სეზონი ქართული აკადემიური თეატრისა, ჟურნ. „ხელოვნების დროშა“, № 1.
282. ჟიუნ-მავრი, „ტყის ზღაპარა“, ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, № 4.
283. არიმანი, ლურჯი კაბარე, ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, № 5.
284. იონა ვაკელი, ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, № 7.
285. ნიკო გოცირიძე (მისი იუბილეს გამო), ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, № 8.
286. ოვანეს თუმანიანი, ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, № 17.
287. ქართული რომანის დღესასწაული, ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, № 17.
288. აღდგომა, გაზეთი „მიწის მუშა“, № 331.
289. საიქიო, გაზეთი „მიწის მუშა“, № 333.
290. სული, გაზეთი „მიწის მუშა“, № 336.
291. ტვინი თუ სული, გაზეთი „მიწის მუშა“, № 342.
292. ეგ. ნინოშვილი (გარდაცვ. 30 წლისთავი), გაზეთი „მიწის მუშა“, № 345.
293. ორიენტაციის საკითხი, ჟურნ. „ახალი გზა“, № 2.

1925 წ.

294. ილ. ჭავჭავაძე და მისი მხატვრული შემოქმედება, ჟურნ. „ახალი კავკასიონი“, № 1—2.
295. მუშათა კლასის მწერალი, წიგნში: პ. ირეთელი, დამარცხებულნი. ქრისტინე, თბ., 1925 წ., გვ. 4—7.
296. ჩვენი თეატრი, ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, № 1.
297. გ. წერეთელი, ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, № 3.
298. სასარგებლო წიგნი, ია ლომოური, ციებ-ცხელება ანუ მალარია საქართველოში, ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, № 7.
299. წარსულიდან. ძველი რომი. ძმები გრაკხები. ქრისტე, ჟურნ. „ახალი გზა“, № 3.
300. წარსულიდან, ჟურნ. „ახალი გზა“, № 5.
301. ბურჟუაზია და პატარა ერები, ჟურნ. „ახალი გზა“, № 8.
302. რა უნდა იცოდეს ყოველ მუშას და გლეხს, ჟურნ. „ახალი გზა“, № 12.
303. ეონა ვაკელი, ახალი პოემა „ევროპა“, ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, № 8.
304. ინტელიგენცია და გაეროვნების საკითხი, ჟურნ. „ახალი გზა“, № 13.
305. ეროვნული საკითხი, ჟურნ. „ახალი გზა“, № 14.
306. ჩვენი სოფელი, ჟურნ. „ახალი გზა“. № 15.
307. „ჯაყოს ხიზნები“ და ჩვენი ცხოვრება, ჟურნ. „ახალი გზა“, №№ 16, 17.
308. სალიტერატურო შენიშვნები (პროლეტარული მწერლობა), ჟურნ. „ახალი გზა“, № 18.
309. პირველი მაისი, ჟურნ. „ახალი გზა“, № 19.
310. მუშათა კომისია და მისი მოღვაწეობა, ჟურნ. „ახალი გზა“, № 37.
311. წითელი ოქტომბერი (მოთხრობა), გაზეთი „ახალი სოფელი“, № 2.
312. საუბარი მიწის მუშასთან, გაზეთი „ახალი სოფელი“, № 2.
313. ბაბუას კითხვა უსწავლია (მოთხრობა), გაზეთი „ახალი სოფელი“, № 3.
314. მარიამი და ირაკლი (მოთხრობა), გაზეთი „ახალი სოფელი“, № 6.
315. თავად მანუჩარის სიზმარი (მოთხრობა), გაზეთი „ახალი სოფელი“, № 7.
316. უწინ და ახლა (მოთხრობა), გაზეთი „ახალი სოფელი“, №№ 13, 16.
317. ბესიას სიზმარი (მოთხრობა), გაზეთი „ახალი სოფელი“, № 17.
318. ბოქაული (მოთხრობა), გაზეთი „ახალი სოფელი“, № 22.
319. ლევანას გიორგი (მოთხრობა), გაზეთი „ახალი სოფელი“, № 50.
320. სოსიას შემთხვევა, გაზეთი „ახალი სოფელი“, № 51.
321. ტვინი და სული (ცალკე წიგნად).

1926 წ.

322. მუშა მგოსანი. წიგნში: გ. ხეჩუაშვილი, ლექსები, ტ. II, თბ., 1926 წ., გვ. 5—8.
323. „ჰამლეტი“ ჩვენს სცენაზე, ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, № 13.
324. მარო (მოთხრობა), გაზეთი „ახალი სოფელი“, № 72.
325. საიქიო, სამოთხე და ჯოჯოხეთი, გაზეთი „ახალი სოფელი“, № 102.
326. მალარია და მასთან ბრძოლა (ცალკე წიგნად).
327. სიგიჟეს მამაცთა ვუგალობ დიდებასl „დურუჯი“, 19-26/1-26 წ., საღვესასწაულო გამოცემა: ჩვენს მასწავლებელს — საპატიო კორპორანტს ჯ. მარჯანიშვილს (ქრებული), გვ. 2.

1927 წ.

328. თავის მოვლა (ცალკე წიგნად).
329. ახალი ავტონომიის სამზადისი, ჟურნ. „ახალი გზა“, № 1.
330. საუბარი, ჟურნ. „ახალი გზა“, № 3.
331. საუბარი, ხელოვნება, ჟურნ. „ახალი გზა“, № 9.
332. საუბარი პროლეტარულ ხელოვნებაზე, ჟურნ. „ახალი გზა“, № 10.
333. ს. ეული, ჟურნ. „ახალი გზა“, № 14.
334. ალ. მაშაშვილი, ჟურნ. „ახალი გზა“, № 17.
335. ჩვენი მოვალეობა, ჟურნ. „ახალი გზა“, №№ 22, 43.
336. ფრთხილად საბჭოთა სადარაჯოზე, გაზეთი „ახალი სოფელი“, № 110.
337. ქრისტეს აღდგომა ტყუილია, გაზეთი „ახალი სოფელი“, № 111.
338. ლამაზი კატო (მოთხრობა), ჟურნ. „მშრომელი ქალი“, №№ 10, 11. გვ. 23—25.

1928 წ.

339. დაწყევლილი დღე (მოთხრობა), კრებ. „პატარა ჩანგი“, თბ., 1928 წ., გვ. 83—89.
340. ჩვენ ისევ აკსდგებით! სატირული პიესა 3 მოქმ. აპოთეოზით. სანიტ-განათლების კრებ., წ. IV—V, 1928 წ., გვ. 17—22.
341. გლეხის კარაბადინი (ცალკე წიგნად).
342. მიწის მუშის მტრები, საუბარი სხვადასხვა ავადმყოფობაზე (ცალკე წიგნად).
343. მაქსიმ გორკის ცხოვრება და შემოქმედება (ცალკე წიგნად).
344. ი. გრიშაშვილის „ძველი თბილისის ლიტერატურული ბოჰემა“, ჟურნ. „ახალი გზა“, № 60.
345. მაქსიმ გორკი, ჟურნ. „ახალი გზა“, № 63.
346. როდიონ ქორქია, ჟურნ. „ახალი გზა“, № 63.
347. მგზავრის შთაბეჭდილებანი, გაზეთი „კომუნისტი“, №№ 261, 267, 273, 275, 279, 285.

1929 წ.

348. შთაბეჭდილებანი (მოსკოვი-ბერლინი-პარიზი) (ცალკე წიგნად).

1931 წ.

349. სამი დროება. რომანი-ქრონიკა (ცალკე წიგნად).

1935 წ.

350. საუბარი სარწმუნოების საკითხებზე, გაზეთი „მებრძოლი ათეისტი“, № 4, 7, 10, 11, 15, 16, 17, 18.

1936 წ.

351. ბავშვის ნაწლავების მუქთახორები (ცალკე წიგნად).
352. საშა წულუკიძე (მოგონება), დაცულია მარქსიზმ-ლენინიზმის საქ. ფილიალის პარტიულ არქივში, ფონდი 12798, საქმე 273, აღწ. 2.

1937 წ.

353. საუბარი ჯანმრთელობის საკითხებზე, ტ. I (ცალკე წიგნად).

1955 წ.

354. კრიტიკული შენიშვნები: „ამოდის, ნათდება“ და სხვა მოთხრობები ვაჟა-ფშაველასი. შესულია ი. ბოცვაძის მიერ შედგენილ ქრესტომატიაში: „ვაჟა-ფშაველა ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში“, ტ. I, თბ., 1955 წ., გვ. 190—193.

1964 წ.

355. კოტე ყიფიანი, წიგნში: კ. ყიფიანი, მოგონებები, წერილები, თბ., 1964 წ., გვ. 98—108.

სარჩევი

ახალი გზა 5
ორმოცდაათი წელი ქართული თეატრისა 22
დავ. კლდიაშვილის მოთხრობანი . 32
მაქსიმ გორკი (კრიტიკულ-ბიოგრაფიული წერილი) 42
შილერის პოეზიის ძირითადი თვისებანი . 52
ჩაგრულთა პოეტი . 90
ქართული სცენა . 94
ხალხური ანდაზები და გამოცანები 97
მზის მგოსანი . . 100
ალ. მირიანაშვილი. იგავ-არაკნი 105
პატარა წერილი . . 108
ქართველი ქალის დანიშნულება 110
კონსტანტინე დიმიტრის ძე ყიფიანი . . . 115
ჩვენი მოღვაწე ქალები — ნინო ბეჟანის ასული ყიფიანისა 145
თეატრი . 154
ჩვენი ვალიკო 158
ს. ფაშალიშვილი . 161
სიტყვაკაზმული მწერლობა 1919 წელს 165
დავით კლდიაშვილის შემოქმედება 175
გ. ქუჩიშვილის პოეზია . . 185
ი. გრიშაშვილის „საიათნოვა“ 194
ლიტერატურული შენიშვნები 197
ნოე ჩხიკვაძე 233
სახალხო დრამატიული დასის რეპერტუარი 237
იშვიათი დღესასწაული . 246
„ანთებული ხეივანი“ 248
ტკბილი ყმა 255
ქართული ჟურნალი 258
განვლილი სეზონი ქართული აკადემიური თეატრისა 268
მიხეილ ჯავახიშვილი-ადამაშვილი 275
ნიკო გოცირიძე . 283
სახალხო სცენის გოლიათი 286
გრიშაშვილის პროფილი 289
ორი იანვარი და ჩვენი თეატრი 292
ოვანეს თუმანიანი 295
ტასო აბაშიძე 298
ვაშა ტასოს! 301
ჩვენი თეატრის გარშემო 303

იონა ვაკელი . . 306
ისევ ჩვენი თეატრისათვის . . 311
„ჯაყოს ხიზნები“ და ჩვენი ცხოვრება 315
იონა ვაკელი. ახალი პოემა „ევროპა“ 325
ჩვენი თეატრი . 329
მუშათა კლასის მწერალი 331
„ჰამლეტი“ ჩვენს სცენაზე 336
ალიო მაშაშვილი 340
სანდრო ეული 347
მაქსიმ გორკის ცხოვრება და შემოქმედება 351
როდიონ ქორქია 387
გრიშაშვილი. „ძველი თბილისის ლიტერატურული ბოჰემა“ 391
მაქსიმ გორკი . . 398
საშა წულუკიძე 404
ივანე გომართელი. ცხოვრება და მოღვაწეობა. (ვ. წ ო წ ე ლ ი ა ს ი) 409